

844
1975/4

საქართველოს
საბჭოთავო
საგარეო
აღმსრებელი
დეპარტამენტი

ტყეა

გიორგიანი ახალ წელს!



1975



აკადემიკოსი ივანე გერიტაშვილი

ტსენი

13092

212

გამომცემის მისამართი წელი

1

იანვარი

1975

თბილისი

საქ. კვ. ც.-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მფარველთა კავშირის ორგანო

ვ. შარქიანი
ს. ჯორჯიანი

შინაქროსი

პროზა, კოეზია

- 3. ბარიელ ზანტორია. წიგნიდან: „წყნარი მზის წაღიწადი“. ლექსები
- 10. ვახუა ამირეჯიბი. დათა თუთაშხია. წიგნი მეორე. რომანი. გაგრძელება
- 65. მიხეილ ქვლივიძე. ლექსები
- 67. კარლო ძაბატაძე. ბასირენება ზღვაზე. მოთხრობა
- 90. არნო ონელი. ლექსები
- 91. ბაბუ მებურიშვილი. ლექსები

ახალი თარგმანები

- 93. გიორგი გუგულია. ლექსები. აფხაზურიდან თარგმნა მურმან ხურცილავამ.
- 94. გორის გურგულია. ლექსები. აფხაზურიდან თარგმნა ზაურ ბოლქვაძემ

გამარჯვების 50 წელი

- 96. ლიფია კოლოშვილი. „ავაზა“ და მარუხ-ბავი

წერილები

- 106. ლავროსი კალანდიაძე. ერთი ნაწარმოების სულიკვეთებისა და მისი განვითარების სათავეს ბავში
- 119. თანვიზ ჩხიძე. ახალგაზრდა კაცის ფსიქოლოგიისათვის
- 131. სოსო სიგუა. ახალი რკალი
- 137. ლევან მენაბდე. რუსთველი რუმინეთში
- 145. მაღლენა მირიანაშვილი. ძველი ქართული საბალონების ნოტივზე ჩაწერის შესახებ
- 148. გიორგი ვაჩნაძე. დანაშაულის პროკაბანდის ნაციონალისტური ასპექტები სოციალიზმის ძველების წინააღმდეგ

საბუნაწლო სუფრასთან

- 156. ტია-ტია
- 159. უთველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი ჯანსუღ ნაკაჭვიანი

სარედაქციო კოლეგია:
 გურამ ასათიანი,
 ვალერიან ბაქრაძე,
 აბაჰი ბაქრაძე,
 გივი გეგეჭორი,
 გურამ ჯვარცხელი,
 მერაბ ელიოვიშვილი,
 კარლო კალაძე,
 კონსტანტინე
 ლორთქიფანიძე,
 ოტია ბაქრაძე,
 (პასუხისმგებელი მდივანი),
 ნოდარ წულეისკირი,
 ბარიელ ზანტორია,
 სერგი ზილიანი,
 თამაზ ზილიანი,
 ლევა ჯანაშია.

წიგნიდან: „წყნარი ღამის წელიწადი“

გაზეთური კაკალი

ურა ცხენზე ურა ბიჭს კიდევ ბევრჯერ შესვამ!
არაყს კაკლის მურაბით კიდევ ბევრჯერ შესვამ!

სადავებებს დაიმოკლებ, კვიცს დარდივით გახედნი,
ყველა ტკივილს დაგიოკებს ოქტომბერში კახეთი.

აივაკებ შარას მტვრიანს, გომბორს ახვალ სტუმრად,
„შენ დაუკა!“ — არღნის ტრიალს შენც იყიდი თუმნად.

... ველარ ამჩნევ ამაყ საქმროს, ვერც პატარძალს — ღმერთქალს:
„ნახე, კაცო? — იმ უსაქმურს რა კაკალი ედგა!“

ისე მოგაქვს სოფლიდან ნერგის სუსტი წვეპლა,
თითქო მთელი მსოფლიოს ბედი ხელში გეპყრას.

მოდოდა სუსტი წვიმა, იმ წვეპლას რომ რგავდი!
თიხისგან რო... აი, იმას, სწორედ იმას გავდი!

ურა ცხენზე ურა ბიჭს კიდევ ბევრჯერ შესვამ!
დილის არაყს მურაბით კიდევ ბევრჯერ შესვამ!

შცხებითიდან მოგზაურობის ვიტალი კოროტიჩის პასუხი
მასაინკლუბის შეხვედრებზე: „ნუ, კაკა?!“

— მე ვნახე, როგორ შერევა შრეებს შრეები;
მე ვნახე, როგორ შერევა წრეებს წრეები;
ვნახე ძველ წლებში შერეული ახალი წლები;
ვნახე ძველ ძვლებში შერეული ახალი ძვლები;
ვნახე მტკვრის წყალში შერეული არაგვის წყალი;
ვნახე სერაფიტ — შერეული ძვირფას თვლებს თვალი,
და ტაძრის კარნიშს ჩაფრენილი ერთი მარჯვენა,
რომელს მოკვეთა არ უწერია...

ზ ვ ი ლ ი

ამხდარა, რაც კი ნატვრა ინატრე —
ტკაცუნობს ბიჭი, როგორც ჩამრთველი,
რომლის ხმას უკვე მოყვა სინათლე,
მისი ძარღვივით მხნე და ჯანმრთელი.

შენი სიცოცხლე არის ამ ბავშვის...
შენ თუ გადარჩი, მისით გადარჩი!
აწვენი... და ისე მალავ საბანში,
როგორც ნაპერწკალს — მიმქრალ ღადარში...

ბ ი ჭ ი

მიიმღერის, და შინ მიაქვს კიდევუმოჭმული პური! —
ასე დაეინახე მთვარე იმ საღამოს, თუმც მეფური
ჰქონდა ფერი! ფერი ჰქონდა დედის კოცნასავით მკრთალი,
და მიმზერდა, როგორც ცრემლით ავსებული ზაქის თვალი.

ჩხრიალებდა კორდზე დეღე, სხარტი, როგორც კალამბური,
უფრო სწორედ — ხაზი რამე, ნაჩქარევად გალამბული!
სავსე ჰქონდა ჯიბეები კენჭებით და ნიჟარებით.
არ მღეროდა! — ღამით მხოლოდ იმღერიან მშვიშარები!

ხიდი გადიარა ბოლოს. ნისლით მოსრისა შუბლი.
გული მაინც ვერ იჯერა კიდევუმოჭმული ღრუბლით.
... იმ ცას ახლავ გრძნობს სხეული. ხედავს თვალი ისმენს ყური...

...
მივლიდინებ, და შინ მიმაქვს კიდევუმოჭმული
პური..

საქარ-ვარსკვლავი ბეთანიის გზაზე

პატივისცემაც, დაფნებიც, „გრან-პრიც“ —
მხოლოდ მას — უცხოდ მშვენიერ აპრილს:
მკლავდამძიმებულს ენძელას ფურცლით!
მკერდდამშვენიებულს ფერადი ზღაპრით!

ყველაზე დიდი კინოვარსკვლავის
კაბაზე უფრო ძვირფასი კაბით
მოდის ის, დიდის ამალით, ამბით:
„მოგვიკლა ბიჭი!“
„გადარევეს ამ ბიჭს!“

... იმ დღესაც წვიმამ მთელი დღე ღამბა
სამშინთვო ღრუბლის ჩითი და ბამბა...
გალობა ტკბილი. ცეკვა და ცეკვა —
ქართული. როკი. გოპაკი. სამბა.

ყოველი ჯილდო! დაფნები! „გრან პრიც“ —
მხოლოდ მას — უცხოდ მიმზიდველ აპრილს!
ჩვიდმეტი წლისას! — თავს რომ იწონებს
ყველა კაბაზე ღამაში კაბით!

ნოსტალგია გავრეცხვის გავრეცხვის

„ახ, ნიბაბი კი მომავლენა...“

დანიელ კონქაძე

...გავდა ქუხილი ზევსის
სურვილთა გადაადგილებას!
გაბეზრებული წვიმით —
იწყებდა ბებო მათ გინებას:
„ჰაი ჩავიწყდა ხმა! არ დაგდგომოდეს საშველი!“
გავდა ქუხილი ზევსთან ქალბატონ ჰერას წარდგინებას!

გავდა ცისფერი წვიმა ირმებს, მოწველილს ჰერას თითებით!
მე იმ წვიმების ფერი ვერ დავივიწყებ ვერასდობებით!
მეხსიერების ვეება
ტაშტი შევუდგი მე იმ წვიმებს —
ვავროვებ... ტანზე მიკრულ
ნაწვიმარ ხალათს ვერ ვიცილებ...

დარია!.. დასალიერთან
გალდვა ჰეფესტოს ლითონი!
მოღელავს მეცხრე ტალღა —
ღიმილი ჰოსეიდონის.

გავს ფერად სხივთა კონა
ნაყოფს, დაკრეფილს ჰერას თითებით...
... მე ის მტანჯველი შუქი
ვერ გავიხსენებ ვერასდობით...

მეც შემიტყუებს ველური ფიქრი, როგორც ველურ ბიჭს — ველური თაფლი-
უსიერ ტყეში... უსიერ ტყეში შრიალებს ნეშო... ირხევა წაბლი...

უსიერ ტყეში ვეება წაბლი მთლად მოთხვრილია თაფლით და ფიჭით.
დაკბენილი ვარ უამურ ფიქრით, როგორც ფუტკრისგან — ველური ბიჭი.

დაკბენილი ვარ. ნესტრებით ნაგვემს ძლივს მახსოვს. გემო ველური თაფლის.
დაკბენილი ვარ... მხარდაკაწრული, ტანჯვა-წამებით ვეშვები დაბლა,

და ყურში ისევ ზუზუნნი მიდგას, ვით საზღაური და საფასური
გოლეულისთვის. გოლეულისთვის აუპ, რა მადლა ვიყავ გასული!

კბენის სიმწარე მახსენებს სიტკბოს, და სიტკბოს ნდომა — სიმწარეს მაჩვენებს!
დაკბენილი ვარ! და ვეფერები ათას ჭრილობას და ათას ნაჩხველტს...

ქ ა ლ ი

ბზინავდა ცისფრად სველი დობილო,
და ბალახებში, გამხმარ წყავებთან,
იწვა თათებში თავჩადებული
ბებური ძუკნა და წკავწკავებდა.

რა ატირებდა... რა აწუხებდა...
იქნებ უბრალოდ გული ტკიოდა,
რომ მთვარეს უკვე ვეღარ უყვებოდა,
და მთვარე... მაინც ამოდიოდა...

ისევ წარსულის გაგო

დრო კი მიჰქრის.
დრო კი მიდის.
დრო კი გადის.
დროს კი, დროს კი
თან გადააჰყვამ მზე იწვების. მზერა ხეთის. ცა ეტრუსკის.

დრო კი გადის.
დრო კი მიდის.
დრო კი მიჰქრის.
დრომ კი, დრომ კი
ივერიის ულამაზეს არხებს გაუჩინა თრომბი.

მაგრამ დრომევე სპარტელი თუ არაგველი სამასი ძმა
ცოცხლებივით... გეუბნები, ცოცხლებივით დამასიზმრა...
შენ კი, ჩემო კარგო ბიჭო, მაგრამ ცოტა სულწასულო,
დამიჯერე: მომავალი არვის იღებს უწარსულოდ!

ელეგია ურბანისტულ თემაზე

როგორც იყო მაშინ,
იმ შორეულ წარსულში —
ისევე-ისე ყრია
ცა — ღმერთების ნაჭუჭი!
ფეხმოტეხილ ღრუბელს
გაძვრა ცალი ფაჩუჩი!
იბადება დილა
სუსტი ნისლის ფაჩუნში!

... მაგრამ ვინ მოვატყუო
ძველი პეიზაჟით,
როცა ბავშვის ოცნებაც

მოდხვრილია „საჟით!“
როცა გადასასვლელებს,
ერთმანეთზე საშისს,
ბავშვი ვერ გადასულა,
ვერ მოსულა სახლში...

წარსული, ჩაფრენილი
ფაფარსა და ძუაში!
და მომავლის ხიდები!
და...
მანქანა შუაში!..



მრგვალი, როგორც დაღაჟინა —

მანქანისაკენ მიგორავს ბურთი.
მიჰქრის ბურთისკენ პატარა ბიჭი.
მიჰქრის ბიჭისკენ შავი მანქანა.
მანქანისაკენ მიგორავს ბურთი.

და... არაფერი ხდებოდეს თითქო —
გვის ქუჩის კიდეს ბებერი ქურთი...

თუთის სვაზი ვოხუცი მეზობლის საფლავთან

უცნაურია: ხეებს გაფორმილს
აქ არ ასხია არასდროს ხილი...
შენ გძინავს ისევ!
აკი ამბობდი,
ცოტა მყოფნისო ბერიკაცს ძილი!..

მეზობლიური აღმართები

ლეღას

მთა არის მაინც: იცვამ თბილად — კურტაკს, „კოლქოტკებს“ —
და აღმართ-აღმართ მიუყვები ძვირფას გოლგოთებს!

ჩაუკიდიათ წრეში ხელი ანანურისთვის,
და დავლურს უგლის ოცდაათი მთვრალი ტურისტები.

სხვა ოცდაათი მოსდებია მწვანე ფერდობებს,
და სოფლისათვის ქვის და გირჩის სროლით ერთობა.

„აქ ცხელა კიდეც!“ — ბუერებში ისდი „კოლქოტკებს“,
და სევდით უმზერ დაკავებულს უკვე გოლგოთებს...

ზამთარი კრიმინალისთვის თვალით

მუშაობს თეთრი ხელთათმანებით,
რათა წაშალოს მინდვრის სიმწვანის,
მთების სილურჯის
და ნაკადულის ქურდობის კვალი...

საზამთროდგომო თავაზობანი

თითქო ვუმზერ დელაკრუას —
ისე ვუსმენ მე თქვენს კრუალს
კრუალებო! კრუალებო,
სევდა თქვენი — უნაკლოა.

მაღე მცხუნვარება მაჭრის
სოფლად კარტებს ისე აჭრის —
ამ ჯერის ვალეტს რომ უყურებ,
თვით კოზირის დამას გაჭრის...

დროშოვანის გასაგონად

არა „კონ ტიკით“ და არა „ბიგლით“ —
მე მოვლილი მაქვს ქვეყანა ფიქრით:
რუსთველის შუქით!
ბოდლერის შხამით!
სოკრატეს სიბრძნით!
გოეთეს წიგნით!

არა „ბიგლით“ და არა „კონ ტიკით“,
არც ჭიქა არყით,
არც ნარკოტიკით —
მხოლოდ ოცნებით! მხოლოდ ოცნებით! —
ჩემი „ბიგლით“ და ჩემი „კონ ტიკით“.

სუფსის ლელი და ლესის ლაქაში
რისთვის მეძებნა მე შრი ლანკაში!
არ მირბენია სოფლიდან — სოფლად
და ქალაქიდან — ნაქალაქარში!..

მაინც იქა ვარ — ძველი მითების
და უფრო ძველი პირამიდების
სადაც სიმაღლე ცას მიწვდენია
და ზეიშია დიდის დიდების!..

იქა ვარ!
ტალღას მიაპობს ფიქრი —
ჩემი „კონ ტიკი“ და ჩემი „ბიგლი“ —
სავსე სიკეთით, და სავსე სევდით,
და კაცზე ზრუნვით მოღლილი წიგნი...

რაც ამ ქედების კალთებზე სიზიფეს ლოდმა იგორა:
ჩამოვა! ავა! ჩამოვა! — იყო და არა იყო რა!

შავ ზღვას შეერთვის რიონი და პაწაწინა თიქორა:
ქრება ერთიც და მეორეც — იყო და არა იყო რა!

ბრუნავს, დღეა თუ ღამეა! ბრუნავს და ბრუნავს ჩიკორა:
იყო, არის და იქნება ის, რაიც არა იყო რა!

ბარის და თოხის გალადა

(ძველი სიხლრა)

სვანები ვართ, მიწას ვბარავთ,
ვართ ბარების ანაბარა.
წინ მივიწვევთ უკან-უკან,
რომ ვიშოვოთ ცოტა ფარა.

მისთვის ჩამოვსულვართ ბარად,
სავენახედ მიწას ვბარავთ.
ბარმა ოქრო ამოაგდოს! —
ავდგებით და მოვიპარავთ.

არ გვჭირდება შენი რუკა —
მუშტარს ვეძებთ შუკა-შუკა.
სავენახედ მიწას ვბარავთ:
წინ მივიწვევთ უკან-უკან!..

განა მუდამ ასე ვივლით!
სულ ტყუილად გაგვცინათ:
ბარვით უკან მივდიოდით? —
თოხნა-თოხნით წავალთ წინა!

ტფილისელი ვაჭრის სიხლრა

(XIX საუკუნე)

ვარ ვაჭრებში პირველი,
ჩემი საქმე წინ არის:
დილით მტრედი გავყიდო —
სალამოზე შინ არის.

ჩემზე უფრო მდიდარი
ქვეყანაზე ვინ არის:
ღამით ლეკვი გავყიდე —
დილით ლეკვი შინ არის.

ზლოტის, მარკის, მანეთის,
დოლარის და დინარის
მოჩუნჩულებს მდინარე!
მიყვარს ცქერა მდინარის!

მაგრამ ჩემზე საწყალიც
ალბათ არავინ არის:
ღამით გოგოს გავათხოვ —
დილით გოგო შინ არის.

მაინც ტკბილად ჩურჩულებს
ჩემი ეზოს ჩინარი:
— რა კარგია, ძვირფასო,
როცა ყველა შინ არის!

როცა მტრედიც — შინ არის!
როცა ლეკვიც — შინ არის!
როცა გოგოც — შინ არის!
როცა ყველა შინ არის!



ჭაბუკა ამირხანი

დათა თუთაშხია

რომანი

წიგნი მეორე

... მაშინ აღავლინა დაღადისი თუთაშხამ მობრთ ცათა:

— მე, უზენაესო! არა სარბევლად თავისა ვეზიარე ფიქრთა; არა კვართისათვის ჩემ ვბეჭვი ქსელნი; არა ძიებდა შურისა ვეც მახვილნი და არა ათინათისგან მოჭადლოებით გარდვიქმენ ძედ ხორციელად. არამედ — სნებათაგან განკურნებისთვის მოდგმისა კაცთა. გარნა უქმ მექმნენ სხევანი გონთა და ძალთა, ვერა მოილო ნაყოფი კეთილი თესლმან, რომელი ვზნიე მე, რამეთუ არა მომეც ნიჭი გარდაქცევისათვის სიკეთედ ბოროტებისა. აჲ, მოველ და მომავე ზვედრი ჩემი და მივაგო ნაგრაშსა შენსა.

და განისმა ხმა:

— არა იყავ ძე ხორციელი და მით ვერა ეზიარე სიღრმეთ კაცთა ბუნებისა. წარვედ და მპოვე მეინახეთა, რომელნი: იზრახვიდნენ ძღვნისა მირთმევას მავანისათვის, გარნა მიმქონდეთ უბითა მახვილი და ფლასთაგან ძრცივიდნენ მას; ეგრძაღვოდნენ აუგის თქმასა მიმართ მოყვანისა, გარნა ამოხორვილ მქონდეთ პაღვი ხორცითა მისითა და ეწადოთ შეტ; მლაღადებდნენ თავყანსა ღმრთისასა, გარნა სასოებდნენ სატანასა და მძლავრებას მისას ღმერთსა ზედა. ხოლო შენ სდექ მკვიდრად და ურყეველად რწმენასა, ვითარმედ სრულქმნისათვის ღვაწლი არს ჰეშმარტი დანიშნულება კაცისა და დაგესხმის ნიჭი გარდაქცევისათვის სიკეთედ ბოროტებისა!

მიეცა თუთაშხა ნებითა თვისითა წამებასა უმძიმესსა, სწორად მათისა რომელნი იყვნენ ერისკაცნი უწამებულენი. შემდგომ მარტვი-

ლობისა განმოფინა შუბლოსა იგურდიე ნათელი სხივთა, უკუმოიქცა სოფელსა და მრქვა:

— ესერა, კაცნო! მოველ ხსენისათვის თქვენდა მძლავრებისაგან ურჩხულისა. მა, მაგალითი, ვითა ჯერ არს მისვლა მსხვერპლად მოყვანისა თვისისათვის, ერისა მარადობისათვის, სრულქმნისათვის სულისა კაცობრიულისა!

მოიკვეთა თუთაშხამ თვისითავე დაშნითა მკლავი მარცხენა, მიუგდო ურჩხულსა და დანთქა მან. მოიკვეთეს და მიუგდეს მათ ცოცხა კაცთა და დანთქა მან. მოიკვეთა თუთაშხამ ფეხნი ორთავ, მიუგდო ურჩხულსა და დანთქა მან. მოიკვეთეს და მიუგდეს მათცა და დანთქა კვალად. შედეგად ამისა იცვალა ფერი თვისი საწიწლარი ურჩხულმან და ნაკლულ იქმნა ძალი ცეცხლისა გაღმომღინარეხი ხახით. იხილა ერმან ესე უოველნი და რომელთამე აგრბთვე აჰმეის ასონი თვისნი მას ურჩხულს.

აღედგინა ურჩხული ორთა ფეხთა ზედა, ვითა კაცი, კინი ექმნა ბრქუალნი და ღინგი მისი გარდაიქცა სახედ კაცისა.

მაშინ განაღო მკერდი თუთაშხამ, აღმოგლიჯა გული თვისი, უბოძა ურჩხულსა, ხოლო არა დანთქა მან, არამედ მრქვა მეტყველებითა კაცურითა:

— არღა ვარ მწყურვავილი სისხლთა, არღა მიძს სურვილი ჰამად კაცთა.

და მიეცა მყის ყველაჟსა ახალი, რომელთა მოიკვეთეს ასონი თვისნი.

— არა მკლათ კაცი ესე და აჰა, ნიჭი თქვენ, გარდაქცევისათვის სიკეთედ ბოროტებისა.

დაუტევა სულმან თუთაშხასამან ხორცნი მიწასა ზედა, აღევლინა ცოდ, დაჯდა მოთვარედ და იქმნა ძე იგი ხორციელი ღმერთად.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარა“ № 11, 12.

როგორც პავლეს ძე ხაპლანი

— როგორც ჩანს, საქართველოს საარქივო სამმართველოს თავისი შენობის ექსტერიუალში აქვს პლაკატი ჩემი ფიზიონომიითა და წარწერით, რომ მე მართლაც ვიმსახურე კავკასიის ჟანდარმერიის საიდუმლო აგენტად რვა თვის მანძილზე. შესაძლოა, პლაკატი კი არა, შვეიცრიის მაგიდაზე რაიმე დავთარი უდევთ და ჩემი ნამსახურობა იმ დავთარში წითელი მელნით არის შეტანილი. დიახ, ვიმსახურე და ეს ფაქტი აღნიშნული მაქვს ყველა ჩემს მიერ შევსებულ ანკეტასა და ავტობიოგრაფიაში. ხსენებული დავთარი თუ მართლაც არსებობს, კარგი იქნებოდა ისიც ჩაეწერათ, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტიდან რევოლუციური მოღვაწეობისთვის გამრიცხეს, რომ პირველ მსოფლიო ომამდე ორჯერ ვიყავი დაპატიმრებული და სამი წელიწადი ორენბურგშიც ვახლდით ვადასახლებული. არც იმის ჩაწერა იქნებოდა ზედმეტი, რომ აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვარ და ჩემს ნაშრომებს მსოფლიოს ყველა ჰელმინტოლოგი იცნობს. თქვენ ჰელმინტოლოგიისა იცით რაიმე?.. კეთილი და პატიოსანი. ახლა ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ჟანდარმერიაში ნამსახურობის საკითხზე ჩემთან ბევრჯერ მოსულან და მომავალშიც ველი ვიზიტებს, თუმცა, მართალი გითხრათ, დათა თუთაშხიასთან ჩემი ურთიერთობების გამოსაძიებლად, ჯერ არავინ ყოფილა, თქვენ პირველი ბრძანდებით. დიახ, იყვენ და კიდევაც მოვლენ-მეთქი, მოგახსენეთ. რაკილა ასეა, მობილიზაციური მზადყოფნით უნდა დაგხვდეთ ხოლმე. დავიწყით გენეალოგიიდან. აი, ჩემი გვარტომობის ნუსხა. დედა: მამით — სამადაშვილი; დედით — თავლიანიძე... და ზემოთ ყველა ქართველები

იყვენ. აქ იმდენად საინტერესო არაფერია. აი, მამა! მამაჩემი მამით — ყაფლანიშვილი იყო, დედით — ფარლანაშვილი და მამაჩემის დედის შტოშიც ყველა ქართველებია. მიაქციეთ ყურადღება, მამაჩემი ყაფლანიანიცად სწერია, მამაჩემის მამა — ყაფლანიშვილი, ხოლო მისი მამა, ანუ პაპაჩემის მამა — ისევე ყაფლანიანიცად არის აღნიშნული და მის ზემოთ, ყველა ყაფლანიანიცები არიან. უდავოდ სომხები ყოფილან, მაგრამ პაპაჩემს ქართველობა, ყაფლანიშვილობა უსურვებია. მისგან განსხვავებით, მამაჩემს — სომხობა, ყაფლანიანიცობა და მეც ამ გვარზე დამწერეს. ვინაიდან მე, როგორც ეთნიკური ფენომენი, სამ მეოთხედზე ქართველი ვარ, ყაფლანიშვილობა გადავწყვიტე და საიდუმლო აგენტად ყოფნის დროს და მერეც ამ გვარზე ვიწერებოდი. რუსეთში სასწავლებლად ჩამოვედი და მიგხვდი, რომ ახალ გარემოში ჩემი ამ სიგრძე და, ამასთან, ძნელად გამოსათქმელი გვარი ვერაფერი შვილი იყო. დავირტვი ყაფლანი, რაც რუსულად გამოითქმის: კაპლანი. ამ გვარზე ვიყავი, სანამ ის ფანტიკოსი დედაკაცი რევოლუერს გაისროდა. გაისროლა და მას აქეთ ვარ რობერტ პავლეს ძე ხაპლანი, თუმცა ერთობ ხშირად მიხდება განვმარტო რომ იტალიელი არა ვარ და ხაპლანისა და კაპლანის შორისაც არის არსებითი განსხვავება. ამ მხრივ თუ კიდევ რაიმე გაინტერესებთ, შემიძლია ჩემი გვარტომობის ნუსხის ფოტოპირი გავატანოთ. უფრო დაწვრილებითი ცნობებისთვის მიმართეთ ჰერალდიკისა და გენეალოგიის სამმართველოს ლონდონში — ბეისუოტერ-სტრიტ 9, შეიძლება აღმოაჩნდეთ რაიმე დამატებითი

ვაზუა ამირაჯიანი
დათა თუთაშხია

მასალა. რაც შეეხება ჩემს ცხოვრებას მოსკოვის უნივერსიტეტში შესვლის დღიდან დღეის დღემდე — ინებეთ, მანდ ყველაფერი ამომწურავად სწერია. წაიღეთ, თქვენი იყო, გამრავლებული მაქვს. ახლა ქანდარმერია!

მამაჩემი პავლე ყაფლანიანიც პროფესიით თერძი იყო, თავისი საკუთარი — მიაქციეთ ყურადღება — საკუთარი სახელოსნო ჰქონდა თბილისში, პუშკინის ქუჩაზე, ადელხანოვის მალაზიის გვერდით. ესლა რომ მოდების ატელიე ჰქვია, ისეთი ყაიღის რამ იყო. ჰყავდა, როგორც ევროპული, ისე აზიური და სამხედრო ტანსაცმლის საუკეთესო სპეციალისტები. თბილისის ელიტა და ბომონდი — მთლიანად მამაჩემის მუშტარი იყო. დავამთავრე თუ არა კლასიკური გიმნაზია, სამხედრო ვალდებულებამ მიწია. მამაჩემი წინააღმდეგი იყო, რომ მისი ერთადერთი ვაჟი იაპონიის ომში დაღუპულიყო და ერთ მშვენიერ დღეს გამომიტყადა — დროებით ქანდარმერიაში მოვაწყეო.

მართლაც დროებითი აღმოჩნდა. ვიმსახურე, გამოვედი და მას შემდეგ სამხედრო ვალდებულებისა აღარაფერი ვიცი, ჰელმინტოლოგი ვარ. რას წარმოადგენდა ჩემი სამსახური? თვალყურის დევნებას. ძველი პროფესიაა, ძალიან ძველი, აი, დათა თუთაშხიასთან მოვედით.

სამი რევოლუციის შემსწრე და მოწაწილე ვარ — ცხრაასხუთის, თებერვლის და ოქტომბრის. დაყინებით ვიტყვი, რევოლუცია შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ყველა, მთელი საზოგადოება, კაცი და ქალი, ბებერი და ბავშვი, მომხრე და მოწინააღმდეგე — თუ ყველა რევოლუციაზე ლაპარაკობს. ასე იყო სამივე რევოლუციის წინ, ყოველ ადამიანს თავში ბუქილი ჰქონდა ატეხილი სიტყვისგან — „რევოლუცია!“ სწორედ იმ პერიოდში ვიმსახურე. საკვირველი ის არის, რომ თვითონ მე, რა თქმა უნდა, რევოლუციის მომხრე ვიყავი და ქანდარმერიაში კი ამოვყავი თავი. სხვა დრო იყო,

მამის სურვილს კანონზე მეტი ჰქონდა, წინააღმდეგობას ვერ გააწევიდი.

ერთი სიტყვით, მივიღე დავალება და წავედი სამტრედილაში. წასვლის წინა ინსტრუქციების თანახმად, იქიდან მატარებლით თბილისს ერთი მანაკაცი უნდა წამოსულიყო. გვარ-სახელი. არ მიიხრეს, მაგრამ როგორც გაირკვა ეს კაცი დათა თუთაშხია იყო. თვალყური უნდა მჭებოდა, — ვის შეხვდებოდა სადგურზე და მატარებელში, რას ეტყოდნენ ან რას იტყოდა. თუთაშხიას თბილისში მისი ძმა, ჩემზე ცოტათი უმცროსი ახალგაზრდა კაცი უნდა დახვედროდა. თუ ძმები ერთად წავიდოდნენ, ჩემი მისია ამოწურულად ითვლებოდა. თუ დათა თუთაშხია სადგურიდან საითმე გაუხვევდა — თვალყური უნდა ვანმეგრძო. ყოველივე ამასთან ერთად, მე იგი უნდა მეხსნა შესაძლებელი დაპატიმრებისგან, რისთვისაც სათანადო საბუთი ჩამაბარეს.

სამტრედილაში ბიძა მყავდა. ერთი დღე იმ ოჯახში ვავატარე. ხორავით სავსე კალათი გამომატანეს და ტომიკით სავსალიც. ხორავი და სავსალი ოპერაციის აუცილებელი კომპონენტი იყო, სტუმრად ნამყოფის შთაბეჭდილება უნდა მომეხდინა. ჩემმა უფროსებმა იცოდნენ, სამტრედილაში რომ ბიძა მყავდა — რამეს გამოატანენო, გაითვალისწინეს, და სახელდობრ მე, ალბათ, ამ ნიშნითაც შემარჩიეს.

სადგურში გამოვედი, დათქმულ ადგილას გავჩერდი. ხედვითი მესხიერება ესლაც კარგი მაქვს და მაშინ ხომ მქონდა და მქონდა. დათა თუთაშხია თუ სადმე გაიჭაპანებდა, უეჭველად უნდა მეცნო, რადგან ჩემმა უფროსმა ერთი ვიღაც მაღალი ჩინის მესვეური დამანახვა, — ეს კაცი დაიხსომე, ორი წვეთი წყალივით ჰგვანან ესა და შენი თვალყურის პირი ერთმანეთსაო. ვიცანი. გამოჩნდა თუ არა, მაშინვე ვიცანი. არ მეცნო კიდევ, დათქმულ ადგილას ვიდექი, იქაური აგენტი მოვიდა, საცნობი მიიხრა და მანიშნა, — აგერ,

ის კაცია, ჩამიბარებიაო... თუთაშხიამ ჩამიარა და სადგურის რესტორანში შევიდა. სექტემბრის ნახევარი იყო, მართალია, ზაფხულივით თბილოდა, მაგრამ თუთაშხიას მაინც ერთობ ხალვითად ეცვა: თავზე ფაყუ, მაულის შარვალ-ხალათი, პაკიჭები და წულა-მესტი. იდლიაში რაღაც გახვეული ჰქონდა. შევიდა, დაჯდა, საჭმელი მოითხოვა და მე სადგურის უფროსის ოთახს მივამუშრე. ისე იყო მოფიქრებული, რომ მე და დათა თუთაშხიას გვერდივეერდ უნდა გვემგზავრა, თუკი მოხერხდებოდა, რა თქმა უნდა.

სადგურის უფროსთან კალათებიანად შევედი და, აი, მაგალითიც იმისა, რომ მაშინ ყველას და ყველგან რევოლუციის ბეული ჰქონდა ატეხილი, დამალ წყობილებას ჰელმინტები ჰყავდა. უფროსი საწერ მაგდალასთან იჯდა, კარის კრიალზე გამომხედა და ვითომ არც არავინ შესულიყო, ზურგს უკან ღია კარში ვიღაცას გადაელაპარაკა:

— გაიგე, ბარტლომე, რა უქნიათ, მამაძალეებს, ამათ? გაუტანიათ მახათაზე ზარბაზნები და თუ არ მოიშალეთ მიტინგები და მისთანები, მაგ თქვენ თბილისშივე ამოგუთუყავთ მატლებივითო!

— ნამეტანი გოუჭირდა თვითმპყრობელობას, ნამეტანი! — მოისმა უკანა ოთახიდან. — ლენინს უთქვამს, თვითმპყრობელობა, მეფე და ბურჟუაზია თავისით არკაცს არაფერს დოუთმობს, ძალით უნდა წაართვა წასართმევი, მარქსმა თქვა ასეო. არ დათმობს და ვნახავ რუსთ-ხელმწიფეს კედელთან მიყუდებულს. ასე არ ქნეს ფრანგებმა?!

— კი მარა, ამ სახელმწიფო სათათბიროს რომ ლაპარაკობენ...

— სახელმწიფო სათათბირო ქიმერა! — ჩამოვართვი სიტყვა სადგურის უფროსს. — სახელმწიფო სათათბიროში მეფე და მისი დამქაშები თავის ხალხს შეიყვანენ.

ამას რომ ვამბობდი, სადგურის

უფროსს საიდუმლო აგენტის წიგნაკი დავანახე. სათქმელი ჯერ დამთავრებულიც არა მქონდა, რომ უფროსს ქალაქის ფერი დაედო.

— არც მასე იქნება მაგ საქმე, ბიძიკო, ვინ და რომელი ხარ, ვერ გიცანი, — მოისმა უკანა ოთახიდან. — მარა სახელმწიფო სათათბირო...

— მართალს ამბობს ეს კაცი, მართალს! — გამომესარჩლა სადგურის უფროსი, უმაღვე მიხედა, რომ უანდარმის წინაშე ბოლშევიკების პოზიცია დადასტურა და ახლა ნიკაპი აუცახცახდა.

გავუღიმიე, ხელი ჩავუქნიე, — არაფერია-მეთქი, და ჩურჩულით ავუხსენი, რაც მესაჭიროებოდა. იმწამსვე ადგა, გამომყვა. სანამ კარი ჯახანს გაიღებდა, უკანა ოთახიდან განუწყვეტლად ისმოდა მოსაზრებები და შეხედულებები, რომელთა გამო მაშინ, იმ სიტუაციაში ენისეიზე თუ ლენაზე გამგზავრება დიდ იღბლიანობად ჩაითვლებოდა.

ბილეთების საქმე ადვილად მოგვარდა. პლაცკარტიანი ვაგონის მეჩვიდმეტე ადგილი მე ავიღე. მეცხრამეტე ადგილის ბილეთი სადგურის უფროსმა გვერდზე გადმოღო და სალაროში დარჩა, სანამ დათა თუთაშხია მოვიდა. მოვიდა, თბილისის ბილეთი მოითხოვა, მეცხრამეტე ადგილი მისცეს. მე ჯერ დებეშა გავგზავნე, ამა და ამ ვაგონით მოვდივარ-მეთქი, და მერე ისევ თვალყური განვაგრძე.

დათა თუთაშხია მოსაცდელ დარბაზში შესულიყო, განმარტოებით იჯდა, მაგრამ ხუთი წუთიც არ იყო გასული, რომ მის გვერდით ვიღაცამ მოიკალათა. ცოტა ხნის მერე ირგვლივ უკვე ბგზავრების მოზრდილი ჯგუფი იჯდა და, რალა თქმა უნდა, რევოლუციაზე ლაპარაკი გახურდა. საკმაოდ ხმამაღლა საუბრობდნენ, მაგრამ მოშორებით ვიყავი, რიგიანად არ მეყურებო-

პაპუა აშირეჯიზი
დათა-თუთაშხია

და. წავიდე ჩემი კალათები და მეც იმით მივუჯვები.

— რაო მერე, ის სანებლიძე თუ ვიღაც რომ მოსულა თქვენს სოფელში, არ თქვა, — ქარხნები მუშებს და მიწა გლეხებსო?

— რავე არ იტყოდა, მაგას არ ლაპარაკობენ სულ!

— თქვა, აბა არ თქვა? მიდიხ და დაისაკუთრეთ თავადაზნაურობის მამულეები!.. რა მიწები აქვს ნამაშევეში ქაიხოსრო წულუკიძეს, ხო, ხო, ხო!

— მიდიხ და დაისაკუთრეთ, თქვენც.

— მართალია, მართალი — მიდიხ და დაისაკუთრეთ.

— ჯერ მუშებმა ქნან თავისი.

— რატომ, ჯერ მუშებმა, შე კაცო?!

— რატომ და, დასაკარგი არაფერი აბაღიათ მათ. მე რომ მივიდე და წულუკიძის მიწებს დავეპატრონო, რა ვიცი, შებრუნდეს ეგებ და, რაცხა ექვსი ქვეცა საყანე მაქვს, წამართმევენ იმასაც.

— გვიგოთ, რუსეთში რაფრა მოიქცევა გლეხობა და ისე ვქნათ ჩვენც.

— ვინც მოითმენს, ის მოიგებსო, ნათქვამია.

— მთელი სიცოცხლე ითმენ, შე კაცო, და ქე გატყვია რაცხა მოგებაში ხარ.

— ახლა, რაფრაა ამათი საქმე, თუ იცი? ნამაშევის მიწები ქე უნდათ, აბა არა?! მარა, ვინმე რომ მიართმევდეს თავისით, ე, ის იქნება ნამეტანი კაი, ხა, ხა, ხა!

— გლეხები მოახდენთ რევოლუციას, მეტი არ იქნა თქვენი მტერი!

დათა თუთაშხია ამ ლაპარაკს, გულდასმით უსმენდა, მაგრამ არ ჩარეულა, ხმა არ დაუძრავს. მხოლოდ ერთხელ გაიღიმა, როცა ვიღაცამ ბრძანა:

— გვითხრან, ბატონო, რამდენს მომცემენ ნამაშევის მიწებიდან და თუ დამიჯდა კვლამი, მივალ და წოუკიდებ ცეცხლს ქაიხოსრო წულუკიძის სახლკარს. გლეხი კაცი ვარ მე, დღევანდელი

ლი კვერცი მიჩრეენია, ხვალინდელ ქათამს!

— ის საკუთარი კვერცი რომ გაქვს, იმიტომ არ ვარჯიხარ რევოლუციისთვის, — ვთქვი და ამ დროს ორი ზარიც ჩამოპკრეს, მატარებელი გამოვიდა.

ხალხი წამოიშალა, ბაქანზე გავედით.

ნახევარი საათის შემდეგ დათა თუთაშხია და მე ერთმანეთის პირდაპირ ვისხედით. ვაგონი რევოლუციაზე, გამოსვლებზე თბილისისა და რუსეთის, ნამდვილსა თუ მოგონილ ამბებს ლაპარაკობდა.

— სიტყვის თავისუფლებაზე, რაო, სიტყვის თავისუფლებაზე? — ჩვენგან მეორე თუ მესამე განყოფილებაში იკითხა ვიღაცამ ხმამაღლა და ატყდა ალიაქოთი:

— რა გაქვს სათქმელი, ნეტავი, და თუ გაქვს, რას გაჩუმებულხარ, შე კაცო!

— რა აქვს სათქმელი და, თუ არ მოეწონება კაცს რამე, უნდა ქონდეს იმის უფლება, რომ თქვას და გაუგონონ მთავრობის კაცებმა. შეხედულეები მართავენ ქვეყნიერებას, შეხედულეები!

— სად ნახავ ისეთ მთავრობას, რომ იტყვი და გაგაგონებს?!

— აუუუ! სად წავიდა ის კაცი?! საფრანგეთის რევოლუციაში წავიდა, საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაში, შეხედულეები მართავენო, კაცო!

— თავისუფლება თუ იქნა, მთავრობაში ისეთ კაცებს ავირჩევთ, რომ გაგვიგონონ და ჩვენს გასაკირზე იზრუნონ. აბა?!

— შენ რომ კაცს აირჩევ და სახელმწიფო სათათბიროში რომ გამოიჭიმება, აღარ იქნება ის კაცი შენი. ექნება სიტყვის თავისუფლება, მარა, შენს გასაკირზე არ ილაპარაკებს ის, თავის თავს მიხედავს, თავის თავს!

— აგერ, ჩამოყალიბდება სახელმწიფო სათათბირო და მოგვცემენ თავი-

სუფლებას, აბა რას იზამენ, კაცმა რომ თქვას!

— კი, ხონჩით მოგართმევენ, ხონჩით!

— თავისუფლებას ბრძოლით უნდა მოპოვება. ვილაკის მოცემული თავისუფლების იმედი ნუ ექნება ნურავის! — დავიძახე მე და დათა თუთაშხიას შევეკითხე: — ასე არ არის?

მხრები ოდნავ აიჩეჩა, პატარა ხანს იფიქრა და მითხრა:

— თავისუფლება, ბიძიკო თვითონ უნდა მიცეს აღამიანმა თავის თავს.

— როგორ ეგ? — გამოელაპარაკა მეზობელი.

— სხვას ნუ შეაწუხებ, ერს ზარალს ნუ მიაყენებ და ისე იყავი, როგორც გინდოდეს და იცხოვრე, როგორც მოგეხსიათოს, — მიუგო დათა თუთაშხიამ.

— ყველა მასე რომ იქცეოდეს!.. ვინ მიცა მაგის შეგნება ხალხს?! — ჩაერია მეორე მეზობელი.

— აბა, მთავრობა მოგვცა ისეთი, მანდეთ რომ იყოს მიმართული და ხალხიც გაიყოლოს მანდეთ, ყველა... ენახვდით მაშინ, ექნებოდა თუ არა შეგნება ხალხს! — გვერდის ადგილიდან თქვა ვილაკამ.

— მაგას სხვა სოციალური გარემო სჭირდება, — გადაველაპარაკე თუთაშხიას.

— კი სჭირდება, მართალია ეგ, — უყოყმანოდ დამიდასტურა.

— მთავრობაში, ბატონო, მემამულეები და ბურჟუაზიაა მოკალათებული. ღარიბი და ლატაკი რაში ეპიტნავენა მას, — მოისმა ტიხრს იქიდან.

დათა თუთაშხიას ზემოდან ვილაკ იწვა, მანამდე კრინტი არ დაუძრავს. ამის გაგონებაზე გადმობრუნდა და გასძახა:

— მაშ ვინ გინდა მთავრობაში, ჰა? — კახურ კილოზე გასძახა.

— ვინ მინდა და ღარიბებისგან უნდა შედგებოდეს მთავრობა! მუშურ-გლეხური უნდა იყოს.

— ის ღარიბი იზრუნებს სხვა ღარიბისთვისა, არა?

— იზრუნებს, აბა, არ იზრუნებს?!

— შე კაი კაცო, მდიდრები არიან, აქვთ კიდევცა და თავზეც გადასდით, შეუძლიათ და არ კი ზრუნავენ. ღარიბსა თავისთვის არაფერი აბადია და რითი და რანაირად იზრუნებს, ჰა? თუ იშოვნა რამე იმ შენმა ღარიბმა მთავრობის კაცმა, წაიღებს და შინ მიიტანს; შინა, შინაა! მოკლე ხანში გამოიდრდება და რაზეც დაგიცილებს, ზეით აიხედავ და ნახამ. — გადაბრუნდა კახელი და იმისი ხმა აღარავის გაუგონია.

— ამხანაგებო, ასეა თუ ისე, საშინელი აღსასრული ჯობს გაუთავებელ საშინელებას. ცარიზმი უნდა დაემხოს!

— მაგ კია მასე, მარა!..

— სწორია, სწორი.

— დაემხოა, აბა, არ დაემხოა?!

— მამა გიცხონდებათ თქვენ! კი, აბა, დაემხოა! თავისით დაემხოა, თავისით. დეიძინებს ამელამ და აღარ გამოიღვიძებს ზვალ!

ხალხმა გული იჯერა, ვაკონი მიწყნარდა, მშვიდ საუბარზე გადავიდა. გადმოვიღე საგლიანი ტომსიკა, გავშალე საჭმელ-სასმელი, მივიპატყეე დათა თუთაშხიას. კიდევ ორი მგზავრი დაგვეწვია და ზესტაფონამდე სულ რევოლუციური სადღეგრძელოები ვილაპარაკეთ — იმ ორმა მგზავრმა და მე, თორემ დათა სიტყვაძუნწი კაცი აღმოჩნდა. თავის დამოკიდებულებას ჩვენი აზრების მიმართ მხოლოდ ღიმილითა და ეესტით გამოხატავდა ხოლმე და ერთსაც და მეორესაც მუდამ ორმაგი მნიშვნელობა ჰქონდა. ვერ გაიგებდი, თანახმა იყო თუ წინააღმდეგი. პროკოფი ჭანტურიად გამეცნო და მხოლოდ ერთხელ ჩავვერია საუბარში, როცა საიდანლაც მოისმა:

— ხალხებს თავისუფლება სწყურობათ. რუსეთის იმპერია საპყრობი-

აბაჟა ამირაჯიბი
დათა თუთაშხია

ლუა, ციხე შიგნიდან უნდა აფეთქდეს!
დათამაც გაიგონა ეს წამოძახება და
გვიტახრა.

— ეგერ, იმ კაცს შეხედეთ.

გასასვლელში, ჩვენს საწოლ მერ-
ხებთან ერთი ვეება, დონდროხა კაცი
იღვა. ტანსაცმელი თავის ზომაზე ვაცი-
ლებით პატარა, ტანზე შემოტმასნული
ეცვა, შარვლის ტოტები და ხალათის
სახელოები ერთობ მოკლე ჰქონდა.
ბარძაყზე უხეიროდ გაკერილი ნარღვე-
ვი ეტყობოდა, შიგნიდან მოძალებული
სისქის ნარღვევი.

— მაგ დღეშია გლვხობა, რობერტ-
ბიძიკო. თვითონ — ვაიზარდა, მადა და
მოთხოვნილება მოემატა, მარა უფლე-
ბები, სარჩო და საბადებელი, წინათ
რომ ქონდა, იმდენი აქვს ისევ. თავი-
სუფლებათ, რომ ეუბნებია — გლეხი
თავისუფლებათი მიწას გულისხმობს.
რევოლუცია და გადატრიალება მის-
თვის საწებელი და მისაჭმელია, არა-
ფერი სხვა. ახლა, საქმე ის არის, ეგერ
იმ კაცს მისი ზომის შარვალ-ხალათი
რომ მიცეს ვინმემ, როგორც კაცი და
როგორც ადამიანი, უკეთესი თუ ვახ-
დება იმით? ესაა საკითხავი. დავწვადი
მეც იმ ქაიხოსრო წულუკიძის სახლ-
კარს, ვიცოდე ოღონდ ამით რომ უკეთე-
სი გახდებოდა ვინმე!

ზესტაფონს რომ გავცდით, ღამის
სამი საათი იყო. დავწექით და დავიძი-
ნეთ. ჭაჭის არაყი გვქონდა ნასვამი,
გვიან გამოვიღვიძეთ. მატარებელი,
თურმე, დიდი დაგვიანებით მიდიოდა
და მაინც პირის დაბანა ძლივს მოვასწა-
რით, რომ თბილისის სადგურში ამოვ-
ყავით თავი.

შემადგენლობა გაჩერდა და ჯარის-
კაცების მჭიდრო ალყაში აღმოჩნდა.
გადაცმული თუ ფორმაში გამოწყობი-
ლი პოლიციელები ჩამოსულეებს აჩე-
რებდნენ, საბუთებს სთხოვდნენ. ზოგს
უშვებდნენ, საეჭვოდ მიჩნეულები ვან-
ზე გაჰყავდათ, ჯგუფად აგროვებდნენ.

დათა თუთაშხიას თავისი კაცი და-
უხვდა — უმცროსი ძმა, მე ჩემი —
შემცვლელი აგენტი. ურთიერთობები

უმალ გავარკვიეთ. ვინცობაა დათა
თუთაშხია ძმას არ წაჰყვებოდა და
საითმე დაადებდა თავს, ისევ მე უნდა
გავყოლოდი, როგორც ნაცნობი. თუ
თავიდან მომიშორებდა, მაშინ მესამე
აგენტი ვააგრძელებდა თვალთვალს,
იქვე იყო, ხალხში გარეული, მაგრამ
ყველაფერი ისე დატრიალდა, რომ იმ
ამბავის არც ერთ მონაწილეს აღარ
აღმოგვაჩნდა არჩევანი.

დათა თუთაშხია და მე ვავიცი
ერთად ჩამოვხტით. შემცვლელი აგენ-
ტი იქვე მომეგება, შინაურული გა-
მარჯობა მიიხრბა, კალათი და ტომსიკა
გამომართვა. ის იყო დათა თუთაშხია
და აგენტი ერთმანეთს გავაცანი, — ეს
ჩემი თანამგზავრი და ეს ჩემი ბიძა-
მეჭი, ვთქვი და ამ დროს თუთაშხიას
ძმაც მოვიდა. შუა ტანის გომნაზისტი
იყო, ალბათ, მერვე კლასელი. თუთაშ-
ხიამაც გავაცანო თავისი ძმა. დროა და-
ვიძრათ, ქალაქში გასასვლელისკენ გავ-
წიოთ. თუთაშხია კი დგას იქაურობას
ძალიან გულდასმით ათვალისერებს.

— რა ხდება, ნეტავი, აქ? — იცი-
ხა მან.

— ძაღლები თარეშობენ, — თქვა
ჩემმა „ბიძამ“.

— ყველგან ასეა, დიდი არეულო-
ბაა ქალაქში, — დადასტურა „ბიძა-
ჩემის“ ნათქვამი თუთაშხიას უმცროს-
მა ძმამ. — მომეცი მაგ ფუთა, მე წა-
მოვიღებ, — იმ რალაც განვეუღებ
უთხრა, თუთაშხიას რომ იღლიაში ჰქო-
ნდა ამოჩრილი.

— იყოს აქ, — მიუგო დათა თუ-
თაშხიამ. — ძალიან საინტერესოა აქა-
ურობა, — დააყოლა და სწორედ ამ
დროს ორი აყლაყუდა პოლიციელი
მოგვადგა.

— მოგვეყვიო! — გვიბრძანა ერთ-
ერთმა და სრული დარწმუნებული
იმაში, რომ მის წინადადებას ულპა-
რაკოდ შევასრულებდით, ზურგიც კი
იბრუნა.

„ბიძაჩემი“ აყაყანდა, — რა გინ-
დათ, რა დაგიშავეთო. პოლიციელები
თავისაზე დადგნენ, ხელების გადა-

გრეხვა და ძალით წაყვანა დღეობის.
„ბიძაჩემო“. თუთაშხიას ძმა გამოექომა-
ვა, შუაში ჩაუვარდა. ამაზე ჯარისკაცე-
ბი მოცივდნენ. დათა თუთაშხიას ნი-
დაყვზე ხელი მოვუცაქუნე და თვა-
ლებით ვანიშნე, — თავი გავარიდოთ-
მეთქი. იმწამსვე დამყვა. ზურგი ვი-
ბრუნეთ, მოპირდაპირე მხარეს წავე-
დით. შემადგენლობას ალყა ერტყა, უკ-
ვე ვთქვი. გასვლაზე ლაპარაკიც კი
ზეღმეტი იყო. არც ვაციე, არც ვაცხე-
ლე — დაცლილ ვაგონში ავედი და
დათა თუთაშხიაც ამომყვა.

ერთობ საინტერესო ვითარება ჩა-
მოყალიბდა. მე და „ბიძაჩემი“ ინსტ-
რუქტაჟის თანახმად ვმოქმედებდით
და ჩვენი საქციელი სავსებით გამართ-
ლებული იყო. — თუთაშხიას უმცროსი
ძმა ინსტინქტურად, უნებლიეთ ჩაერია
საქმეში. თვით თუთაშხიამ, ბუნებრი-
ვით, თავის გარიდება არჩია, მაგრამ
როცა უმცროსი ძმა უფროსს ესარჩი-
ლება — უფროსიც ხომ უნდა გამო-
სარჩლებოდა უმცროსს, მით უმეტეს,
რომ ხელეზგადაგრეხილი ჩვენს თვალ-
წინ წათბრის ჯარისკაცებმა! ამ მიგ-
ნებამ რაღაც ეჭვი შემომიჩინა. მართა-
ლია, მაშინვე გავიფიქრე, — ამ კაცს,
რომ პოლიციასთან ნორმალური ურ-
თიერობები ჰქონდეს, მაშინ არც
თვალთვალს დაუნიშნავდნენ და რა გა-
საკვირია, რომ ასე მოიქცა-მეთქი, მაგ-
რამ ის დაეპყება ვერც ამ მოსაზრებამ
მომაშორა.

— რას უზამენ ახლა მაგათ? —
თუთაშხია დაკავებულებს გულისხმობ-
და.

— ეგენი ვიდაცას ეძებენ, შეიძლე-
ბა რამდენიმე კაცსაც, — მივეუბნე მე. —
საეჭვოებს და ვინც წინააღმდეგობა გა-
უწია, პოლიციაში წაიყვანენ. ქალაქში
საკანგებო მდგომარეობაა გამოცხადე-
ბული — ზოგერთი, შეიძლება, გაასა-
მართლონ კიდევ.

დათა თუთაშხიამ გაიციხა:
— ბიძაშენს და ჩემ ძმას, ვერა-
ფერს დააკლბენ მაგენი, ასე მგონია
მე, ავერ გამოჩნდება.

უანჯარაში ვიჭვრიტებოდით, ანაზ-
დად თავით ფეხამდე ქრუანტელმა და-
მარა. სულ ადვილად შეიძლებოდა,
რომ ჩვენი საიდუმლოება გამჟღავნე-
ბულიყო და ასეც მოხდა.

დაკავებულთა ალყაშემორტყმული
ჯგუფიდან ჯარისკაცებს ორ-ორი კაცი
გამოჰყავდათ, ჩხრეკდნენ, საბუთებს
უსინჯავდნენ. შემდეგ უმრავლესობას
უშვებდნენ და სხვები კი ვანზე გაჰყავ-
დათ, სხვა დატოვებულებთან ერთად
პირდაპირ ქვაფენილზე სხამდნენ. ჩვე-
ნი მესამე აგენტი შორიახლო ტრია-
ლებდა. მივხვდი, ჩვენ გვეძებდა, იმ
დავიდარაბაში, როგორღაც გამორჩე-
ნოდა, რომ ვაგონს შევაფარეთ თავი. ამ
მხრივ, სადარღებელი არაფერი უნდა
ჰქონოდა, რადგან ასე იყო თუ ისე,
თვალთვალის პირთან, ანუ დათა თუ-
თაშხიასთან ერთად ხომ აგენტიც გაქ-
რა — მე, მაგრამ ალბათ, ჩვენი ასავალ-
დასავალი შინც ინტერესდა და წა-
რამარა აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს.
ამასთან, მას მეორე საზრუნავიც ჰქონ-
და: „ბიძაჩემი“ და დათა თუთაშხიას
ძმა მახეში იყვნენ ვაბმული, მათი გა-
მონხნა იყო საქმით. მოქმედების პირ-
ველი საფეხური მან სწორად ჩაატა-
რა — იღვა და ელოდა თუ რას იზამ-
დნენ პოლიციელები. ხომ შეიძლებო-
და, ორივენი გაეშვათ? მაშინ ოპერა-
ციის წამყვან ოფიცერთან მისვლა, ვი-
ნაობის გამხელა და, ამდენად, კონსპი-
რაციის წესების დარღვევაც აღარ და-
სჭირდებოდა. კაცმა რომ თქვას, აგენტ-
მა თავისი მოქმედების მეორე საფეხუ-
რიც სწორად ჩაატარა, მაგრამ რა იყო-
და, რომ დათა თუთაშხია ყველაფერს
დაინახავდა. ჯარისკაცებმა „ბიძაჩემი“
და თუთაშხიას ძმა ერთად გამოიყვა-
ნეს, უმალ იცნეს, — ესენი იყვნენ, წი-
ნააღმდეგობა რომ ვაკვიწიესო. ხელები
მიუსვ-მოუსვეს, იარაღი არ აღმოჩინ-
დათ და შინც კონდახეზს ცემით შე-
გდეს ვადარჩეულ-დატოვებულთა ჯგუ-

ააააა ააირაჯიზი
დათა თუთაშხია

ქ. მარტის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკა
ბიბლიოთეკა

ფში. მესამე აგენტმა კიდევ ცოტა ხანს მოიცადა, ოპერაციის წამყვან ოფიცერთან მივიდა, საბუთი აჩვენა და ლაპარაკი დაუწყო — ცხადია, მდგომარეობა აუხსნა. შემდეგ ოფიცერმა „ბიძაჩემი“ გამოიყვანა, საბუთი გაუსინჯა. ილაპარაკეს და დათა თუთაშხიას ძმოსაც დაუძახეს. ოფიცერმა რალაც ჰკითხა, ბიჭმა უპასუხა და სამთავენი ერთად წავიდნენ ქალაქში გასასვლელისკენ.

დათა თუთაშხიამ ხმამაღლა გაიციხა, რალაცნაირად თვალი თვალში გამოიყარა. მე იხტიბარი არ ვავიტეხე და ვთქვი:

— ის კაცი, ალბათ, ბიძაჩემის ნაცნობი იყო!

— კი, მასეა! — დამიდასტურა დათა თუთაშხიამ.

პირისპირ ვისხედით, ფანჯარაში ვიჭვრიტებოდით, იმ ალიაქოთის დამთავრებას ველოდით. მე ჩემსას ვფიქრობდი, ის — თავისას და ორთავე, დაახლოებით, ერთსა და იმავეზე. ჩემი საფიქრალი ის იყო, რომ გარემოებამ მამხილა, მაგრამ ეს არასგზით არ უნდა დამედასტურებინა, თუ კიდევ შეეცდებოდა დათა თუთაშხია ამას. იმაზეც ვფიქრობდი, რომ პოლიცია საცაა თავის დავიდარაბას მორჩებოდა და მაშინ როგორღა მოექცეულიყავი? დავხსნოდი? ამის უფლება არ მქონდა. სიმართლე მეთქვა და თუთაშხიასთან ვყოფილიყავი, სანამ სადმე მივიდოდა? სიმართლის თქმის უფლება არ მქონდა.

რაც იქ მაშინ მამაჩემს ჩემი ლანძღვა-გინება ერგო!

ჟანდარმერიის მხილებულ აგენტს დათა თუთაშხიას შიში უნდა მწვევოდა, საკვირველია, მაგრამ ამდაგვარს არაფერს ვგრძნობდი. საიდანღაც ვიცოდი, რომ ეს კაცი არაფერს დამიშავებდა. ახლა ის ფიქრი შემეჩინა, — დათა თუთაშხია რას ფიქრობს, როგორ მოიტყუვა-მეთქი და ამ დროს ჩვენი შემადგენლობა დასძრეს, მალაქნების ბაზრისკენ წააჩანჩალეს. გარემოცვა

უკვე იხსნებოდა, მაგრამ მაინც კარგი იყო, რომ ჯარისკაცებს გავცდით.

ჩვენი ვაგონი მახუთის შესახვევს გაუსწორდა და შემადგენლობა დადგა. იქაურობა მოვათვალიერეთ, საექვო, და მოსარიდალი არაფერი ჩანდა. ჩამოვხტით.

— ეხლა როგორა ვქნათ, პროკოფი-ბიძია?.. — ვკითხე და როდესაც ჩემმა თანამგზავრმა შეკითხვის თვალთ შემოხედა, დავძინე: — გზა სიითა გაქვთ, თვითონ გააგნებთ, თუ წამოგყვით?

დათა თუთაშხიამ საათი ამოიღო, დახედა. შეინახა, დაფიქრდა, ისევ შემომხედა და მითხრა:

— ქალაქში მინდა გავლა, უნდა ვნახო, რა ხდება და რა როგორ არის აქ. თუ გეჩქარება, წადი, ბიძიო, შენ. გავაგნებ თვითონ.

— არსათი არ მეჩქარება.

— აბა თუ არ გეჩქარება, ვიყოთ ერთად პატარა ხანს. ისე ვხედავ საქმეს, რომ ვჭირდებით ერთმანეთს. ხომ ასეა? — ეშმაკური ღიმილით მითხრა დათა თუთაშხიამ და უკვე სრულიად ცხადი გახდა, რომ ჩემი კონსპირაცია სავესებით და უიმედოდ ჩაიფუშა.

— აგერ, იმ კედელზე რომ გადავძვრეთ, უკვე ქალაქში ვიქნებით, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე, — ვთქვი მე.

— გადავძვრეთ, მაშინ.

იქვე ვადახტომა არ იფარგებდა, ადვილი შესაძლებელი იყო, რომ ჩერქეზიშვილის ქუჩისა და მახუთის შესახვევის კუთხეში კახავები ან პოლიციის პატრული იღვა და მაშინვე ვეტაცებდნენ ხელს. ცოტა ზემოთ, ჩულურეთისკენ, სახლებსა და კედელს შორის ვიწრო, გრძელი გასავალი შეგულებოდა, ის გასავალი კედელს იქით წამომდგარი სახლების ეზოებზე იყო, იქ მივედით.

— აქ გადავძვრეთ პროკოფი-ბატონო, მოფარებულა, — მივთავაზე.

— აქ იყოს, — დამეთანხმა დათა თუთაშხია, მიაყურა და თქვა: — რაღაც ამბავია, კედელს იქით! მეც მივაყურე.

მართლაც, ჩემი, ხმადაბალი ყრია-
მული ისმოდა.

კაი ორმოცი წლისა იქნებოდა დათა
თუთაშხია მაშინ, მაგრამ ისე სხარტად
ავიდა გალავანზე, რომ შემშურდა. ავი-
და, გადაიხედა. ერთხანს ათვალეირა
იქაურობა. მერე ხელი ჩამომაწოდა და
მეც ამიყვანა.

ასამდე კაცი იყო მოქუჩებულის.
ჯგუფებად იღვნენ, საუბრობდნენ, კა-
მათობდნენ. ჩერქეზიშვილის ქუჩიდან
ახალ-ახალი ხალხი შემოდიოდა. აგრავ-
ნილი ტრანსპარანტები ჰქონდათ. ზოგს
კედელზე მიეყუდებინა, ზოგს — ილ-
ლიაში ამოეჩარა.

გალავანზე ჩამოვსხედით. ძირს,
ცოტა მარცხნივ, რამდენიმე კაცი იდგა-
ერთმა მათგანმა — ქერა იყო, ოცდაათისა
იქნებოდა — ჯიბის საათი ამოი-
ღო, დახედა, თავი გადაიქნია და თქვა,
— ხალხს ვთხოვთ, ახლო მოვიდნენ-
ო. სხვები იმავ წამს ხალხში გაერვი-
ნენ, — აქეთ წამოდიოთ!

მოგროვდნენ. ქერამ დაბალი ხმით
აცნობა, რომ გოლოვიჩის პროსპექტზე
სობოროში თავს იყრიდნენ შავრაზმე-
ლები, ძირითადად, „მიხეილ მთავარ-
ანგელოზლები“. ისინი თორმეტ სა-
ათზე უნდა გამოსულიყვნენ და მანი-
ფესტაცია მოეწყოთ. წინ სამღვდელოე-
ბა გამოუძღვებოდა. პოლიციისა და
მონარქისტების ჩანაფიქრით ეს უნდა
ყოფილიყო თბილისისა და მთელი კავ-
კასიის- მოსახლეობის სოლიდარობის
გამოხატვა მეფის რეჟიმის მიმართ.

— ასე ძალიან თუ უყვართ მეფე
და მისი სატრაპები, — დაიძახა ვილა-
ცამ, — იყოლიონ, ვინ უშლის, მარა
ჩვენ დაგვანებონ თავი, ჩვენ და ნამე-
ტანი კარგად მოეწყობა საქმე...

— გაჩერდი მანდ, დაანებე სისუ-
ლელეების ლაპარაკს თავი!.. — შეუძა-
ხეს აქეთ-იქიდან.

— სისულელე კი არა, პროვოკა-
ციაა, რუსეთის მუშათა კლასს ემიჯ-
ნება. ეგ ლოზუნგია, გამთიშველი ლო-
ზუნგი!..

— ყურადღება, ამხანაგებო, გან-

ვავრძობ!.. — დაიძახა ქერამ და ხალხს
აცნობა, რომ ნაძალადევის, ისნის,
ნავთლულის, ორთაჭალის, დიდუბის,
მთაწმინდის — მთელი თბილისის მუ-
შათა კლასისა და რევოლუციურად
განწყობილი სხვა ფენების წარმომად-
გენლებს ალექსანდრეს ბაღში უნდა
მოეყარათ თავი.

— გაგვიშვებენ, ვითომ?

— კი, ეტლით მიგიყვანენ, ეტლით!

— გავარდევთ და გავალთ!..

— ალექსანდრეს ბაღსაც ალყას შე-
მოარტყამენ.

— შემოარტყან, შემოარტყან!..

— ყურადღება, ამხანაგებო, დრო
ცოტაა, განვავრძობ, — ისევ ძლივს
დააწყნარა ხალხი ორატორმა. — ჩვენ
ყველა ერთად გავალთ ალექსანდრეს
ბაღიდან დემონსტრაციით და კიდე
ერთხელ დავანახებთ თვითმპყრობე-
ლობას, რომ მისი აღსასრული დადგა!
ცხადია შავრაზმელები პოლიციისა და
ჯარის დახმარებით გაფანტვას დაგვიპი-
რებენ. ცარიზმს და მის დასაყრდენს —
რელიგიის ბანგით გაბრუებულ, არცით
გამოღეშებულ მკვლელებს უნდა ვაჩვენ-
ოთ, რომ რუსეთის იმპერიის რევო-
ლუციური მუშათა კლასი, გლეხობა,
ყველა ჩაგრული ერი მჭიდროდ არის
დარაზმული და მისი დამარცხება შეუ-
ძლებელია! ამხანაგებო, რევოლუციამ
მტკიცედ იცის, რაც სურს და ჩვენ
უნდა გავიტანოთ ჩაგრული მასების
მისწრაფებათა მკაფიოდ გამოხატვე-
ლი ლოზუნგები...

— ლოზუნგები ვნახოთ, ლოზუნგე-
ბი! — იყვირა ვილაცამ.

— ლოზუნგებს რა ნახვა უნდა!

— უნდა, ბატონო, უნდა! ზოგი

ისეთი ლოზუნგია, რომ პირდაპირ სა-
ხრჩობელაზე გაგიყვანენ...

აი, აქ, რომ იტყვიან, — აირია მო-
ნასტერიო, სწორედ ის მოხდა. უმრავ-
ლესობამ სიფრთხილის გრძობა და-
კარგა, კახკებესა და პოლიციაზე ალა-

ვაჟა-ფშაველას
დათა თუთაშხია



რაინ ფიქრობდა. ჯგუფებად დაიყვანენ. ერთმანეთს თავის შეხედულებებს ყვირილით უმტკიცებდნენ, ზოგმა გაწევ-გამოწევაც კი სცადა. ქერა ორატორი და კიდევ რამდენიმე კაცი ხალხს ამშვიდებდა, წესრიგის დამყარებას ცდილობდა, მაგრამ ყველაფერი ამოიყო, სანამ ერთმა, უკვე კარგა მოხუცებულმა კაცმა მოულოდნელი პაუზით არ ისარგებლა:

— ამხანაგებო, სად არის თქვენი რევოლუციური შეგნება! — დაიძახა მან, რეაქციას აღარ დაელოდა და წინადადება შეიტანა: — ჩვენ კიდევ მთელი საათი გვაქვს. თუ აუცილებლად მიგაჩნიათ, მაშინ გამოვთქვათ აზრი, მაგრამ წესიერად და ორგანიზებულად. ხუთი ორატორი, რეგლამენტი — ხუთი წუთი თითოს. თანახმა ხართ?

— კარგია! — დაიძახეს აქეთ-იქიდან.

ქერა ორატორმა ქეჩო მოიფხანა, გაიღიმა, თავი გააქიცინა და თქვა:

— ერთი პირობით: ვლასპარაკობთ მხოლოდ იმაზე, თუ ვის რა ღოზუნგები მიგვაქვს. წყნარად, არავითარი ყვირილი და ხმამაღალი რეპლიკები. ვისა აქვს სიტყვა?

სანამ პირველი ორატორი აივნის კიბეზე ადგილს დაიკავებდა, დათა თუ-თაშხია სიცილით ვაღმომელაპარაკა:

— ერთმანეთს რომ ეჩხუბებიან ესენი, იმდენი ჩხუბი ხელმწიფეს და მის წყობილებას რომ უქნან, ჩვენში კი არა და დედამიწაზე არ დარჩეს, იქნება, მეფის სახსენებელი...

— ჩვენ მოვიტანეთ, ამხანაგებო, ტრანსპარანტი: „პური, მიწა და რვა საათიანი სამუშაო ღღე!“ — განაცხადა „ტრიბუნაზე“ გამოსულმა.

— კი! ვაშლდ თუ არა მაგ ტრანსპარანტს, იმ წუთში მოვართმევინ შემწვარ-მოხრაკულს!

— ველარ მოიშალეს ამთ პურმა-რილის მათხოვრობა!

— ხმელა პური რაღა სათხოვნელია, შე კაი კაცო! ღვინოც მიაწერეთ, ბარემ. რვა საათიანი სამუშაო ღღის

შემდეგ ბლომად დრო დაგრჩებათ, ქამეთ, დალიეთ და წამოწეით მეფისგან ნაბოძებ მიწაზედა!

ის მოხუცებული კაცი, რომელმაც აზრის გამოთქმის წინადადება წამოაყენა, ახლა ორატორს გვერდში ამოუდგა, ხელი ასწია, სმენა იყოსო, და თქვა:

— აქ სასაცილო არაფერია! პური განაგებს ქვეყნიერებას!.. — მაგრამ უმალ შეაწყვეტინეს:

— ამხანაგო, ეგ რევოლუციის პირველ საფეხურზე, საწყის პოზიციებზე დაბრუნებას ნიშნავს!

— რევოლუცია უნდა გაღრმავდეს, განვითარდეს!

— სთხოვონ, კაცო! ეგება აძლევს პურსა მეფეი, რა იცით თქვენა?

— მეფე ჩვენ ნებაყოფლობით არაფერს მოგვცემს! — დაიგრგვინა ქვემოთ ერთმა ტანმორჩილმა და უზომოდ მძლავრი იოგების პატრონმა კაცმა. — მეფეს ძალით უნდა გამოვგლიჯოთ უფლებამოსილი სახელმწიფო სათათბირო, რომელიც, თავის მხრივ, მშრომელი მასების მხარდაჭერით, რუსეთში დემოკრატიულ წყობილებას დაამყარებს. „გაუმარჯოს სრულიად რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას!“ — აი, ჩვენი ღოზუნგი.

— ფეოდალური მონარქიის ხახხა ბურჟუაზიული დემოკრატიის სტომაქზე სცვლით? — ხმამაღლა იკითხა „პურის, მიწისა და რვა საათიანი სამუშაო ღღის“ ღოზუნგით გამოსულმა.

— შენ გაჩერდი თუ ძმა ხარ! თქვენი ადგილი ხიდის ყურშია და არა ბარაკადებზე. ჩამოგქით და იმათხოვრეთ! — შეუძახეს საიდანღაც.

— რეგლამენტი, რეგლამენტი! — გაისმა ხალხში, კიბეზე მესამე ორატორი ავიდა და განაცხადა:

— „თვითგამორკვევისა და ეროვნული დამოუკიდებლობის უფლება!“ — ეს არის ჩვენი ღოზუნგი, ამით მივდივართ გოლოვინის პრესპექტზე!

— ჩვენი ეკონომიური ჩამორჩენილობის პირობებში ეროვნული დამო-

უქოდებლობა?! — შეედავა მძლავრი
იოგების პატრონი, რომელმაც „სრუ-
ლიად რუსეთის დემოკრატიული რეს-
პუბლიკის“ შექმნა მოითხოვა. — ჩვენ
საკუთარი ბურჟუაზიაც კი არ გვყავს,
არამცთუ დამოუკიდებლობისთვის აუ-
ცილებელი, კარგად განვითარებული
ეკონომიკა!

— კმარა, კმარა!

— რეგლამენტი!

— ვისა გაქვთ კიდევ ლოზუნგე-
ბი?! — გამოაცხადა ქერამ.

მთელი ამ მიტინგისა თუ შეკრების
მანძილზე — უკეთ რომ ვთქვათ, ჩვენ-
ნი კედელზე შემოსულებიდან მოყო-
ლებული — შუაში, მაგრამ განცალკე-
ვებულად იდგა რვა, ათკაციანი ჯგუფი.
იდგა და ჩუმად იყო, გულდასმით
ადევნებდა თვალს ყველასა და ყველა-
ფერს. როცა ქერამ „ტრიბუნა“ დაცა-
ლა და გამოაცხადა, — კიდევ ვის რა
გაქვთ სათქმელიო, ამ ჯგუფს ერთი
კაცი გამოეყო, კიბუზე გავიდა და დინ-
ჯად თქვა:

— „საყოველთაო შეიარაღებული
აჯანყება!“, „გაუმარჯოს პროლეტა-
რიატის დიქტატურას!“, „ყველა — ბა-
რაკადებზე!“. მხოლოდ ამ ლოზუნგებს
შეუძლია, მოუტანოს გამარჯვება ჩაგ-
რულ ხალხებსა და ექსპლოატირებულ
კლასებს! მე დავამთავრე.

— ლოზუნგები სწორია, მაგრამ
რუსეთი ჯერ არ არის მზად საყოველ-
თაო და ერთდროული მოქმედების-
თვის. პროლეტარიატისა და სხვა რე-
ვოლუციური კლასების ცალკეული
რაზმების შეუთანხმებელ გამოსვლებს
მეფის სატრაპები ადვილად აზმობენ.
თქვენ, ამხანაგებო, ფაქტიურად უაზ-
რო, გაუმართლებელი სისხლის ღვრის-
კენ მოუწოდებთ მასებს!..

— დღეს დაღვრილი სისხლი მომა-
ველ ბრძოლებში გამარჯვების საწინ-
დარი!

— სამართლიანი საქმისთვის, ხალ-
ხის კეთილდღეობისთვის დაღვრილი
სისხლი უქმად არასოდეს ჩაივლის!

— მაგ იმედით იყავით.

— ეგრე ვამიგია, მშვიდობიან — დე-
მონსტრაციასზე მივდივართ, თუ სსსაე-
ლაოზე?

— ასე, ხელცარიელი და ლოზუნ-
გების ამარა საყოველთაო შეიარაღე-
ბული აჯანყება ვინ თქვა და სად გა-
გიგონიათ, ნეტავი!

— ჩირგვებში გარბიხართ, რენეგა-
ტებო?!

— ვინ არის რენეგატი?.. თქვენ
პროვოკაციაზე უბიძგებთ ხალხს!

ისეთი ყაყანი ატყდა, რომ ერთმა-
ნეთისა აღარავის აღარაფერი ესმოდა
და დაძაბულობამ იმ დონეს მიღწწია,
როცა გამშველბელს ყველა მოღავე
მხარე თავის მოსისხლე მტრად სთვლის.
დათა თუთაშხია ჩემსკენ გადმოიხარა,
ყურში ჩამძახა:

— კაცო, მე ვიცი მათი ლოზუნგე-
ბი ყველასი ზეპირად და ამათ ერთმა-
ნეთის არ იციან, ნეტავი?.. ახლა, რა
აჩხუბებთ, თუ იცი? იმდენი მაგარი
ამათში არც ერთი არ არის ჯერჯერო-
ბით, სხვებს რომ გაუძღვეს. ერკემალი
არ ყავთ. ერკემალი ყველაფერშია სა-
ჭირო. ისე, კარგია ეს. იჩხუბებენ, და-
კამენ ერთმანეთს; იმ ჭიდაობაში გა-
ძლიერდება, ვიღაცა იქნება და როცა
იქნება, და მაშინ უკეთ წავა მათი საქ-
მე!

— ჩვენ ვტოვებთ აქაურობას! —
გამოაცხადა მძლავრი იოგების პატ-
რონმა, ჩერქეზიშვილის ქუჩისკენ გას-
წია და ათი, თორმეტი კაცი მიჰყვა.

— ნუ დავაკავებთ, წავიდნენ!

— ჩვენც მივდივართ, ამხანაგებო,
მომყვით! — დაიძახა მოხუცმაც, ვინც
აზრის გამოთქმის წინადადება შემოი-
ტანა და პირველი ორატორის გამოსარ-
ჩლებიას თქვა: „პური განაგებს ქვეყ-
ნიერებასო“.

მოხუცსაც ოცამდე კაცი გაჰყვა.

სწორედ ამ აყალმაყალსა და ღრი-
ალში სრულიად გაუთვალისწინებელი
რამ მოხდა: რკინიგზის... ლინდაგების

ვახუა ამირაჯიბი
დათა თუთაშხია

მხრიდან დათა თუთაშხიას ისე მაგრად გადაუქირეს ზურგზე მათრახი, რომ შეჰყვირა კიდეც. შეჰყვირებდა, მაშ, რას იზამდა, მარტო ტყლაშანი ღირდა ერთ რამედ! მეორედაც შემოუქინეს, მაგრამ ჩაასწრო, ძირს ჩახტა. მიხედვლავ მოვასწარი, ოთხი ცხენოსანი კახაკი დავინახე და თუთაშხიას მივბაძე. ის იყო მიწას ფეხი დავაკარე, ჩერქეზიშვილის ქუჩის მხრიდან სტვენა მოისმა, დაიძახეს, — კახაკებიო! ჯგუფები, რომლებმაც მიტინგი დატოვეს, უკვე ქუჩას იყენენ მიტანებული, რომ ისევ პირი იბრუნეს, უკანვე გამოიქცნენ. კიდევ რამდენიმე წამის შემდეგ მავთუთის შესახვევშიც შემოცვივდნენ კახაკები — ხუთი მხედარი, და მათრახები ამოქმედეს. მერე რაც მოხდა, უფრო დაწვრილებით აღწერის ღირსია.

მავთუთის შესახვევს, თბილისელი კაცი ხართ და მოგვხსენებთ, შესახვევი ჰქვია და ნამდვილად კი წიხია — რკინიგზის ლიანდაგების მაღალ კედელთან წყდება. კახაკებმა ჩერქეზიშვილის ქუჩიდან შესახვევში რომ შემოაჭენეს და წასასვლელად გამზადებული ჯგუფები წინ გამოირეკეს, სადემონსტრაციოდ მოსული ხალხი ცნობისმოყვარეობითა თუ წინააღმდეგობის გაწევის მიზნით, ეზოდან შესახვევში გამოცვივდა, მაგრამ ცხენების მოწოლის შედეგად სხვებთან ერთად კედელს მიაწყდა. ზოგი კედელზეც გავიდა, მაგრამ ლიანდაგებზეც რომ კახაკები დაინახეს, ჩემი და დათა თუთაშხიასი არ იყოს, ისევ ძირს ჩამოხტნენ. კახაკების რკალის გარღვევასა და ჩერქეზიშვილის ქუჩისკენ გასვლას აზრი არ ჰქონდა, რადგან იქიდან, ასე ვთქვათ, მეორე ეშელონის სახით ქვეითი პოლიციელები მოიწევდნენ. ერთი თუ ორი წუთის მანძილზე ძლიერ მიიმე და, თითქოს გამოუვალი ვითარება იყო. კედელზე მირეკილ-მიქუჩებული ხალხის თავპირსა, მხრებსა და ზურგებზე კახაკების მათრახებს გაუდიოდა ტყლაშატყლუში. მე და დათა თუ-

თაშხიასაც კარგებისა გვერგო, იმდენად კარგებისა, რომ დათა თუთაშხიას ტვილისიდან სახეც კი გადაებრიცა და ილღიაში ამოდებულ ფუთაზე იტაცა ხელი. რა დროის ფიქრი, თვალყური და მოსაზრება იყო, მაგრამ მაინც მენიშნა და ადრე აღებული უკვიც დამიდასტურდა, რომ ფუთაში იარაღი ჰქონდა. არ უხმარია, ჩვენი მხრიდან ერთი ტყვიაც რომ გავარდნილიყო კახაკები კურდღლებივით ამოგვეუქავდნენ. ასე იყო თუ ისე, იმ უმძიმესი ერთი თუ ორი წუთის შემდეგ მოხდა ის, რაც გადაულახავი ჯებრით დაგუბებულ ღვარცოფს ემართება — სადღაც სხვაგან, განზე გაარღვევს დაბრკოლებას, ახალ კალაპოტს გაიკვლავს და გავა. ზემოთაც ვთქვი, რკინიგზის გალავანსა და სახლებს შორის ვიწრო გასავალი იყო-მეთქი — იგივე ერთი მეორეზე მიყოლებული ვიწრო ეზოები — რომელთაგან უახლოესში კახაკების გამოჩენამდე დემონსტრაციაზე მიმავალი ხალხის ბუმბა-კამათი მიმდინარეობდა. როგორღაც მოხერხდა, ხალხი ისევ იმ გასავალს მიაწყდა, განაპირა კახაკსა და მის ცხენს გვერდი აუქცია, ეზოში გაიჭრა და ერთ მთლიან ნაკადად, ძუნძულით, შემობრუნებებით, ქვების სროლით გაემართა ჩუღურეთისკენ. ჩვენც იქ აღმოვჩნდით, ნაკადის დაახლოებით ბოლო რიგებში. ჩვენც სხვებთან ერთად მივძუნძულედით და მე სხვებივით ვესროდი კახაკებს ღიდი გაჭირვებით ნაპოვნ ქვებს. ის ჯგუფები, ვინც დემონსტრაციაზე უარი თქვა და წასვლა დააპირა, ახლა ნაკადის თავში გარბოდნენ. მიაწიეს თუ არა ჩერქეზიშვილის ქუჩაზე გამსვლელ პირველსავე ჩასახვევს, იქით წასვლა დააპირეს, მაგრამ ქუჩა ჯარისკაცებს შეეკრათ და ისევ პირდაპირ გაქცევა ამჯობინეს — სხვა გზა არც იყო, კვლავინდებურად რკინიგზის გალავანს მიჰყვნენ. ნაკადს ბოლოდან ის ჯგუფი ჰკრავდა, რომელმაც საყრველთაო შეიარაღებული აჯანყებისა და ბარიკადებზე გასვლის ლოზუნგები წამოაყე-

ნა და, სიმართლეს ვიტყვი, უიარაღო, ხელცარიელი ხალხის კვალობაზე საკმაოდ ყოჩაღადაც ირჩებოდნენ. ისინი რომ არა, კაზაკები ცხენის ჩლიქით ჩავვთლავდნენ. ერთი სიტყვით, გავრბივართ და როგორღაც იყო დათა თუთაშხიას მხარდამხარ აღმოვჩნდი. მიძინებულვარ, სიცილს ძლივს იკავებდა. დამინახა და მითხრა:

— კარგად გავრბივართ, რობერტ-ბიძიკო, ძალიან კარგად. არა, როგორი აყოლიება ცოდნია ამ საქმეს, თუ უყურებ შენ?!

— რომელ საქმეს, კაცო?! — გამწარებულმა მივუხე.

— რევოლუციის, ძამიკო, რევოლუციას!

— რომ აღარც ვეშვებთან, მამა-ძაღვები! — ვთქვი მე. — როდემდის უნდა გვდიონ?!

— ურია წყალს მიქონდა — გზაც იქით ქონდაო, ნათქვამია, — ისევ სიცილით გადმომძახა დათა თუთაშხიამ. — თუ გავუძელით და ათი წუთი ასე ვირბინეთ კიდევ, ალექსანდრეს ბაღში ამოვყავთ თავს.

მართლაც, რაღაცნაირად გამოდიოდა: რაც მეტს მივრბოდით, მით უფრო ვუხალვოდებოდით ადგილს, საითაც დემონსტრანტებს ბრძოლითა და ღიდი დანაკარგებით უნდა ეველოთ. ჯარისკაცებსა და პოლიციას ყველა გზა შეკრული ჰქონდა, გარდა იმ ქუჩისა, რომელსაც ვორონცოვის მოედნისკენ, ანუ ალექსანდრეს ბაღისკენ მივყავდით.

გალავანი ჩათავდა, რკინიგზის მხრიდან მოიერაშე კაზაკებმა, თავი მოკლეს — მარცხნივ, სვანეთის უბნისკენ არავინ აუშვეს. მოგვედევდნენ და მთრახვებითა გვეკმედნენ. ზემო ჩუღურეთამდე სულ ამ დღეში ვიყავით. იქ ვორონცოვის მოედნისკენ დაქანებული ერთი ქუჩა შეუკრავი აღმოჩნდა. მეწინავეებმა ჩაუხვიეს, უკანა ხალხიც მივეყვით და, აკი მექოთნეების ქუჩაზე ამოვყავით თავი. კაზაკები ძველებურადვე გვაწვებოდნენ. კონკის ლიანდაგი გადავჭერით, ვორონცოვის მოედან

ნი ქარით გადავიჭროლეთ, ხიდიც გადავიარეთ და მადათოვის კუნძულზე არიერგარდმა დაიძახა — დადგენ, აღარ მოგვედევნო!

მივიხედე. კაზაკები ხიდის გაღმა იდგნენ, გამოგვეცქეროდნენ. ალექსანდრეს ბაღს გავხედე, ზღვა ხალხი იყო წითელი დროშებით, ლოზუნგებით, ტრანსპარანტებით. ჩანს, კაზაკებმა ის რამდენიმე ათასკაციანი მასა დაინახეს და შედრკნენ. არც არავის ბრძანება გაუტია, არც ვისმე ხმა დაუძრავს, გაშალა ჩვენმა ხალხმა თავისი ტრანსპარანტები — პურიდან მოყოლებული ბარიკადებზე გასვლის მოწოდებით გათავებული, ყველა — და, მაშუთის შესახვევიდან კისრის ტეხით და მთრახვების ცემით მორეკილები — ზუსტად დანიშნულ დროს ალექსანდრეს ბაღში თავმოყრილ ხალხს შეერჩვენ.

დათა თუთაშხია და მე აფთიაქის წინ ვიდექით, სულს ვითქვამდით. ახლომხლო პოლიციისა და კაზაკების ჰაქანება არსად იყო. სადემონსტრაციოდ მოსულმა ხალხმა ალექსანდრეს ბაღის ზემო ნაწილისკენ აიწია და ქუჩა ისეთი მშვიდი იყო, როგორც ადრეაინ დღით, მეგზოვეების გამოსვლამდე.

— წავიდეთ და ვნახოთ ჩვენც, რა მოხდება ზევით, ჰა? — თქვა დათა თუთაშხიამ. — გოლოვინის პროსპექტზე ავიდეთ?

ძალიან ნელა მივდიოდით. რამდენჯერმე ავუჩქარე ნაბიჯს, მაგრამ ისევ ვუკელი, რადგან დათა თუთაშხია, სიარულის ნელ ტემპს რაღაც ხაზგასმით მთავაზობდა და სიღინჩეზე მიყოლიებდა. მე ისევ ძუნძულისა და კაზაკების ცხენების თქარა-თქურით ვიყავი შეპყრობილი, ის ტემპი ჯერაც არ გამომნელებოდა და ბარიატინსკის დაცარიელებული, უხალხო, ჩამკვდარი ქუჩა გულზე ლოდით მავებოდა. დათა თუთაშხია ფეხს ითრევდა, მე ერთი სული მქონდა მენახა, ზევით რა მოხდებოდა, და ვთქვი:

ვაგუა ამირაჯიბი
დათა თუთაშხია

— ჩქარა ვიართ, პროკოფი-ბატონო.

— რა ვიცი...

— არ უნდა ვიართ ჩქარა.
— რატომ?..

— რატომ და, ყველა რომ ჩქარობს და ჩოჩქოლია შენს ვარშემო, თუ აყვი შენც, ვერ გაიგებ, რა ხდება. ცხენზე რომ ზიხარ და მიჰყენებ, ცხენის ყურებს ხედავ მხოლოდ, რომ ჩამოხვალ, მაშინ ყველაფერს ხედავ ცხენისას, ხომ ასეა?

— ეგრეა, — დავადასტურე და ოციოდე ნაბიჯიც არ გვქონდა გავლილი, რომ მართლაც სიმშვიდე ვიგრძენი. აზრი ისევ იმას დაუბრუნდა, თუ როგორ მოგვოყვანა პოლიციამ ალექსანდრეს ბაღში და ვაოცებოთა ვთქვი:

— ეს რა საკვირველი რამე მოხდა... არა, საიდან გამოიციანი, პროკოფი-ბატონო, ალექსანდრეს ბაღში ამოგვაცოფინებენ თავსაო?!

— არ გამოიციანია, სამასხროდ ვთქვი, მაგრამ ისე გამოვიდა, სწორედ, და ამანვე არის, რომ ვფიქრობ ახლა.

— მგონი, რომ განზრახ მოგვერეკეს რაღაც დიდი მუხანათობა აქვთ მომზადებული, პა? — მართლა ასეთი აზრისა ვიყავი.

დათა თუთაშხიამ იყუჩა და თქვა:

— არ გავს განზრახ ვაკეთებულს... ან რა მნიშვნელობა აქვს, რობერტ-ბიძიკო, მაგას. იმ ზომამდეა დამპალი ეს ქვეყანა, რომ რასაც იღონებს, ყველაფერი მის წინააღმდეგ მოტრიალდეს, უნდა. მითხარი, თუ კაცი ხარ, მთავარმართებელი ხარ, ვითომ, და რას იზამდი აქ, ახლა... ამას ვგულისხმობ, აგერ-აგერ შეტაკება რომ არის მოსალოდნელი?

— ცხადია, რასაც იზამს მთავარმართებელი. მიაშველებს პოლიციასა და ჯარს, დაარბევინ შავრაზმელები დემონსტრანტებს. დაჭრილიც ბლომად იქნება, მოკლულიც, დაპატიმრებული და გაციმბირებულიც...

— რა გამოვა, საბოლოოდ მანდენდნ?

— მე ვეტყვი; რაც გამოვა. ხალხი მეტ სიძულვილს ჩაიდებს გულში მთავრობისას, უფრო გაეშმაკდება და მომავალში უკეთესი ქუთით მიუღდება თავის საქმეს. მეფე და მისი მთავრობა დარჩება წაგებული საბოლოოდ ახლა, უკუღმა ვთქვათ და ხალხმა დაარბია შავრაზმელები და პოლიცია. გული მიეცემა ხალხს, ჩვენს ხელში ყოფილა გამარჯვების საქმეო. ხალხს თუ გული მიეცა, ძღვევამონილებს რწმენა თუ გაუჩნდა, წინ ველარაფერი დაუდგება მერე. ამ შემთხვევაშიც მეფეა წაგებული. კაი, ბატონო. ახლა, მეფე-ხარ, ვითომ, შენ, დაატყვე საქმეს, ძალით რომ ვერ ხდები ვერაფერს და რას იზამ, ნეტავი?

— დავუარსებ სახელმწიფო-სათათბიროს დადგენ, ირჩიონ და ილაყბონ!..

— თვითონ თუ ირჩიო ხალხმა იმ სათათბიროს, თუ რაცღა მიიმუნობა იქნება, იმის წევრები — ილაპარაკებენ ის კაცები იქ და წელიწადიც არ მოუწდება ხალხში სიმართლის გავრცელებას. რას შერები მერე, მეფე რომ ხარ, გაშიშვლებული და ნიღაბჩამოგლეჯილი მეფე? არც ეს ივარგებს, თუ ატყობ შენ.

— ავდგები და... სულაც არაფერს დავუარსებ...

— არ დაუარსებ და ამ ხალხს ვერ მოუხერხებ ვერაფერს და დაწყნარებას გადაყვე იქნება, ზედ ისიც დავუშვათ, რომ აჯობა მთავრობამ ამ გამოსვლებს და აჯანყებებს, რაი, მერე? გაითვალისწინებენ პოლიტიკოსები შეცდომებს, გაინაბება ხალხი ერთხანს, უპოვის მერე შესაფერ დროს, დაცხებს ისევ და მოკვამა ჭირი მეფემ და იმპერიამ. მომაკვდავს რობერტ-ბიძიკო, აღსარების და სანთლების მეტი არ შევლის არაფერი!

ბარიატინსკის ქუჩა თითქმის ათავებული გვქონდა, პროსპექტზე უნდა გავსულიყავით. დამინტერესა, დათა-თუთაშხია ამაზე რას მეტყოდა:

— შენ რას იზამდი, პროკოფი-
ბატონო, როგორ მოიქცეოდი?
— მეფის ადგილზე? მივატოვებდი
ტახტს, თუ მოუერეოდი საკუთარ თავს.
წავიდოდი, საზღვარგარეთ ვიცხოვ-
რებდი სადმე... მაგრამ ოხუნჯობაა ეს.
— ხალხის ადგილზე?
— ხალხი რასაც შერება — იმას!
დაველოდებოდი.
— ვის?
— ერკემალს. დანარჩენ ერკემლებს
რომ აჯობებდა, ისეთს. ყველაზე სა-
მართლიანს და ყველაზე მეტს ვინც
შემპირდებოდა, ისეთს.
— მერე? იმ ერკემალს გაყვები?
— ხალხი გაყვება. ყოველთვის მი-
ყვება ხალხი.
— შენ თუ გაყვებოდი, ბატონო
პროკოფი, მე ეს მაინტერესებს.
— გავყვებოდი, მაგრამ ორი პირო-
ბა აქვს ამას. უნდა დაერწმუნდე რომ
ის კაცი, ვინც ძველს გადაადგებს,
იმასვე რომ არ გააკეთებს ისევე, ახლა
რაც არის, ხალხი ქათმის ხორცია და,
საკივად არ ივარგა, მაგრამ ჩახოხბი-
ლად იქნება ნამეტანი კარგი, დედას
გვეფიცებო?! მე თუ მკითხავს ვინმე,
ძნელია ძალიან მთლად ახლის გაკეთე-
ბა და საჭირო თუა, ისიც საკითხავია.
ახლა, მეორე და მთავარი, გახსოვს,
ალბათ: შეხედულებები განაგებენ
ქვეყნიერებასთ, მატარებელში თქვა
ვილაცამ და მაზუთის შესახვევში
სწვამ — პური განაგებს ქვეყნიერება-
სთ. მე თუ მკითხავს ვინმე, ჭერჭერო-
ბით ისეა საქმე, რომ შური და სიხარბე
განაგებს ქვეყნიერებას. ცუდები ვართ,
ჭერ კიდევ, ადამიანები და იმიტომ არის
ასე. დამარწმუნოს ვინმემ, რომ ძველს
გადავადგებთ, ახალს ავაშენებთ და ის
ახალი ადამიანს გააუკეთესებსო — გა-
ყვები: და გამოვადგები, მგონია, სხვა
რომ გამოვადგება, ისე ან უკეთესად.
გოლრჯინის პროსპექტზე ხალხ-
მრავლობა იყო. ჩანდა, რომ მოსახლე-
ობასაც ვაეგო, მანიფესტაცია იქნებათ,
ზოგი სეირნობდა, ზოგნი იდგნენ და
საუბრობდნენ. ყოველ ათ, თხუთმეტ

ნაბიჯზე პოლიციელები დაიზღაზნე-
ბოდნენ, კაზაკების ცხენების თქარა-
თქური აყრუებდა იქაურობას.
სასტუმროსთან ვიდექით. ვილაცამ
დაიძახა, — გამოვიდნენო!
დათა თუთაშხიამ საათი ამოიღო,
დანედა, ხალხს თვალიერება დაუწყო,
თითქოს, ვილაცას ეძებდა.
ჯერ სამღველოება გამოჩნდა. წინ
მიხილ მთავარანგელოზის ვეებერთე-
ლა ხატი მოჰქონდათ. მერე ნიკოლოზ
მეორის პორტრეტი, შემდეგ ღროშები
და ყოველივე ამას ზღვა ხალხი მოჰ-
ყვებოდა. მარცხნივ გამოუხვიეს, ოპე-
რისკენ. ალექსანდრეს ბაღს გაუსწორ-
დნენ, მაგრამ სადემონსტრაციოდ თავ-
მოყრილ ხალხს არც ხმა დაუძრავს,
არც ფეხი გამოუდგამს ბალიდან. იდგ-
ნენ; რაღაცას ელოდნენ.
მანიფესტაციას ორთავ მხრიდან
ძეწვედ ვადაბმული კაზაკების რიგები
მოჰყვებოდა. მიმე, ნელი ნაბიჯით მო-
ემართებოდნენ და «доже царя хра-
ни“-ს მღეროდნენ. ამათაცა ჰქონდათ
ლოზუნგები და ტრანსპარანტები: «За
царя и отечество», «Долой бунтов-
щиков», «Вера, надежда, любовь»
და სხვა ასეთები. ზოგი მანიფესტანტი
ცოლშვილით გამოსულიყო, ბავშვები
მხრებზე შემოესვათ. ბარე, სამი ათასი
კაცი იქნებოდა.
გაგვისწორდნენ. დათა თუთაშხიამ
მითხრა:
— სიმყარეს თუ ვრძნობ, სუნს!
საკმეველის; მოუხელებელი არყი-
სა და ცხენის ოფლის სიმყარე დად-
გა. მანიფესტაციის სათავეში კათედრა-
ლური ტაძრის პატრონიკზე გამოწვრ-
თნილი გუნდი მღეროდა და საკმაოდ
კარგადაც, მაგრამ შუაწელში და ბო-
ლოში, ჯერ იყო, გუნდის გალობა ცუ-
დად ისმოდა, მერე, უმრავლესობას ან
ხმა არ უვარგოდა, ან სმენა და, ერთი
სიტყვით, ისეთი ღრიანცელი იდგა,
იფიქრებდით, ხელახალი წარდგნა იწ-
ყება და ეს ამოდგნა ბრბო სიკვდილის

ვახუა აშირაძის
დათა თუთაშხია



შიშსა ღრიალებსო. გუნდი სიმღერას მორჩა, შუა რიგებში გარმონი აკვირტინდა, ქალებმა ცეკვა-თამაში წამოიწყეს, მაგრამ სათავე ისევ ამღერდა და მოცეკვავეებს ბრძანება მოუვიდათ, — შეწყვიტეთო!

შეწყვიტეს და ისევ აღრიალდნენ. მანიფესტაცია სასტუმროს გასცდა, კახაყების ბოლო ცხენებმა ჩვენს ცხვირწინ ბლომად ჩონჩორიკი გადმოწაფრქვიეს და ალექსანდრეს ბალიდან დემონსტრანტებიც დაიძრნენ. რატომღაც მეგონა, რომ ესენიც ოპერისკენ გასწევდნენ. არა. გამოვიდნენ, გაშალეს ტრანსპარანტები, მარცხნივ გაუხვიეს, მთავარმართებლის სასახლისკენ აიღეს გეზი. მოულოდნელი ვითარება შეიქმნა. შავრაზმელები თავისი ბადრაგითურთ ზევით მიდიოდნენ. დემონსტრანტები — მოპირდაპირე მხარეს. კაცმა რომ თქვას, ყველაფერი სწორად წარიმართა: მანიფესტანტებს ქალაქის მოსახლეობის წინაშე სურდათ თავისი გრძნობების გამოხატვა, დემონსტრანტებს — წყობილების უმადლესი წარმომადგენლის, მთავარმართებლის წინაშე. ჩემი არ იყოს, ამგვარ შემოტრიალებას, ალბათ, არც შავრაზმელები მოელოდნენ. მანიფესტაცია გაჩერდა, პირით დემონსტრანტებისკენ შემობრუნდა. ალექსანდრეს ბალიდან კი ხალხი უწყვეტ, მძლავრ ნაკადად გამოდიოდა.

ჩვენს გვერდით ახალგაზრდა ქალვაჟი იდგა. ვაჟი ქართველი იყო, გოგო — რუსი, ჩვენსავით სეირს უყურობდნენ.

— ერთი, ამათ შეხედე, ამათ! — თქვა ვაჟმა სიცილით.

მანიფესტაციის სათავედან ანაფორა აკაპიწებული მღვდლები ქოშინით მოცივდნენ, ხელისგულები თეძოებზე შემოილაგეს და განცვიფრებული სიფათებით მიაშტერდნენ ბალიდან გამომავალი დემონსტრანტების ბოლო ჯგუფებს. მანიფესტაცია სრულიად დაბნეული იყო და არც რაიმე განკარგულება ისმოდა.

— საით, ანტიქრისტენო! — ხა ერთ-ერთმა მღვდელმა.

იმავ წამს გაისმა:

— Бей их! — და მანიფესტაცია ბღვილს მოსწყდა, დემონსტრანტებისკენ გამოქანდა.

მღვდლებმა თავისი ხალხის შეკავება სცადეს, მაგრამ უკნიდან მოწოლილმა მასამ წინა რიგები მღვდლებიანად წააქცია, ფეხით ჩათელა და გაშშავებით ეკვეთა დემონსტრაციის არიერგარდს.

ნამდვილი ომი ატყდა. დემონსტრანტებს ქვები და კეტები აღმოაჩნდათ. პირველივე ბათქის შედეგად კარგა ბლომა შავრაზმელებს დაუსკდათ თავპირი, მაგრამ ის გამოსროლილი ქვები ახლა შავრაზმელებმა აკრიფეს და არანაკლებ ეფექტურად გამოიყენეს. საარტილერიო მომზადება ვათავდა, მხარეები ხელჩართულზე გადავიდნენ. დიდი დაკა-დაკა იყო, სასტიკი! კახაყები, ჯარი და პოლიცია საქმეში ჯერჯერობით არ ერეოდა, რადგან დემონსტრანტები, მართალია, ბრძოლით, მაგრამ მაინც ხომ უკან იხევდნენ — მთავარმართებლის სასახლისკენ. ეს რატომღაც გამარჯვებად შავრაზმელებს ეთვლებოდათ და „წესრიგის დამცველნი“ ასეთი ვითარებით კმაყოფილი იყვნენ. დემონსტრანტებმა მიზანს მიაღწიეს — მთავარმართებლის სასახლის წინ გაჩერდნენ, თავისი ტრანსპარანტები მეფის ნაცვალს მიაშვირეს, ოროდღე წუთს ასე იდგნენ და ამ დროს უთვალავი შაშხანა ერთდროულად გავარდა... იმავ წამს ერმოლოვის ქუჩიდან, სასახლის ეზოდან და ერევნის მოედნის მხრიდან ცხენოსანი თუ ფეხოსანი ჯარის მთელი პოლკი გამოცივდა და დემონსტრანტებს ეტაკა. გაჭირვება მაჩვენე — გაქცევას გაჩვენებო, ნათქვამია... ესეც ნუ იქნება, მთავარმართებლის სასახლის საიერიშოდ იქ არავინ მისულა, სადემონსტრაციოდ მივიდა ხალხი; დემონსტრაცია უკვე ჩატარებული იყო, და იქამდის ხომ არ იდგებოდნენ, სანამ ნიკოლოზი პეტერბურგიდან ტახტის დატოვების

დებეშას გამოგზავნიდა?! დემონსტრაციის თავკაცებმა დაიძახეს, — ვისაც საით შეგეძლოთო! ოციოდ წამში სასახლის წინა მოედანი ცარიელი იყო. ვინც მოასწრო, ლომბარდისკენ ჩაუხვია და მოუხვია. ზოგმა კალოუბანთან უგვერდა და სალდათის ბაზრისკენ დავშვა, ძირითადად მასამ ისევ ალექსანდრეს ბაღისკენ აიღო გეზი, მაგრამ გეზის აღებაც არის და გეზის აღებაც: ის იმოდენა ხალხი უზარმაზარი ზეავივით მოწყდა, არიერგარდთან მორკინალ „მთავარანგელოზებს“ ეკვეთა. ვინც ჩაითელა — ჩაითელა; ვინც არა — უკან დახევას შეუდგა და დემონსტრანტების ძირითადად მასამ წყალვარდნილივით ჩაიტანა გრილი ალექსანდრეს ბაღში. გოლოვინის პროსპექტზე ერთი წუთის შემდეგ სეირის საყურებლად გამოსული ხალხისა და შვერახმელების ვარდა ჯღარავინ იყო, პოლიციას, ჯარსა და კაზაკებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში. აქაც იგივე მოხდა, რაც აქამდე ორჯერ უკვე იყო: დემონსტრაციის ჩასაშლელად მოწოდებულმა ძალამ, სწორედ მათ სასარგებლოდ იმოქმედა — დემონსტრაცია ჩატარდა, ხალხი სამშვიდობოს თითქმის უდანაკარგოდ გავიდა და შვერახმელები კი გამარჯვებას შეიმობდნენ, — კუდიტქვა ვასროლინეთო! არ დაშლილან, იქვე ტრიალებდნენ, ძღვევამოსილი ფიზიონომიები ჰქონდათ, ჯგუფ-ჯგუფად, ჩასუნთქულები დადიოდნენ და მოსერიანებებსა თუ გამველ-გამომველს შარსა სდებდნენ, — დემონსტრაციის მონაწილე ხარო!

იყო ერთი თავის მართლება და უშვერი სიტყვის ბორიალი.

ჩვენს გვერდით, ახლოს, ქალ-ვაჟი იდგა-მეთქი, ადრეცა ვთქვი... — ერთი, შეხედეთ! — ანაფორა-აკაპიწებულ მღვდლებზე თავის გოგონას რომ მიანიშნა, ხომ გახსოვთ?.. იმ ქალ-ვაჟთან, სამი „მთავარანგელოზელი“ მიიჭრა, — რას დაყუდებულხართო!

— რა თქვენი საქმეა, სად დაედგე-

ბით და საით წავალთ?! — დამცინავი ღიმილით, რუსულადვე მიუგო ვაჟმა.

ერთ-ერთმა მომხდურმა — არც აცია, არც აცხელა — ვაჟს გაუქანა და სახეში სთხლიშა. ვაჟი წაბზრბაცდა, მაგრამ იმავ წამს დაუბრუნა სამაგიერო, გაწევე-გამოწევა ატყდა. ვილაყები ჩაუვარდნენ გასაშველბლად. ორმა შვერახმელმა საიდანაც შაშხანის ხიშტები დააძრო. ხიშტებს მოკლე ტარები ჰქონდათ მირგებული. იმ შვერახმელს, რომელმაც ვაჟს გაარტყა, ჩანს, სამანიფესტაციოდ ცოლიც ჰყავდა გამოყვანილი. ის დედაკაცი ვაჟის გოგოს მიეპარა, სილა გააწნა. გოგო რუსულად მოთქმას მოაჰყვა, თავის ვაჟს მკლავზე ჩამოეკიდა, — აქაურობას გავშორდეთო. ვაჟი დაჰყვა, გამშველებლების მოსარჩლეობით ისარგებლეს, ზევითკენ წავიდნენ. შვერახმელები მაინც იწევენდნენ. მაშინ ქალ-ვაჟმა უახლოეს სადარბაზოს შეაფარა თავი და მალე გამშველებლებმაც მონახეს გზა. უხიშტო შვერახმელი თავისმა დედაკაცმა წაიყვანა. თითქოს, ყველაფერი მორჩა. ხიშტიანი შვერახმელები ჩვენგან ათიოდე ნაბიჯზე იდგნენ, ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, ისე ეტყობოდათ, რომ ესენიც თავის გზას უნდა გასდგომოდნენ და გაუდგნენ კიდეც. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეგონა.

ვიდექი, საითლაც ვიყურებოდი. დათა თუთაშხიამ მკლავი გამკრა:

— იქ შევიდნენ ისინიც, — მითხრა ხმადაბლა.

— ვინ? სად?

— ის ხიშტიანები. სადაც ქალ-ვაჟი შევიდა, იქ.

— ჰა? — რალაცამ შემაფიქრია.

— გამოლემილებია და გულზე არიან მოსული მაგენი... — დათა დიდრა და მეც მიყევი.

სადარბაზოში შევიდოდი, ამ დროს ვილაყამ დაიყვირა:

— დათა!

ვახუა ამირაჯიძე
დათა თუთაშხია



დათა თუთაშხია უკვე სადარბაზო-ში იყო. არ ვიცი ვერ ვაიგონა, თუ ჩემი თანდასწრებით ძახილზე პასუხს მოეძიდა — არ გაჩერებულა. ზღურბლზე შეეჭირდი, ხმაზე გავიხედე.

— დათა, დათა! — დაიძახა ისევ მამაკაცმა, რომელსაც გვერდით ტანადი გიმნაზიელი მოსდევდა და ხელით მანიშნა, მანდ რომ კაცი შევიდა, იმას ვეძახო.

ბრვე კაცი იყო, ასე, ოცდათხუთმეტისა. თუ მეტის. ნელა მოდიოდა, კოჭლობობთ, ზისფეხიანივით.

— პროკოფი-ბატონო, ვილაც ვეძახის!

დათა თუთაშხია წამით შედგა, მომხედა, დამავიწორდა და თქვა:

— ეინ დამიძახებეს აქ, ვის ვიცნობ მე?! მოვალ ახლავე. — გზა განაგრძო და მეც უნებლიეთ მივეყვი.

გრძელი, ბნელი დერეფანი იყო. მერე მარცხნივ კიბეები ჩადოდა. კიდევ ერთი მოკლე დერეფანიც და აივანზე გავედით. ოთხივ მხრიდან შენობებით შემოსაღტურებოდა მიმართ ეს აივანი მეორე სართულისა. იყო ჩვენს ქვეშ, მარცხნივ, კედლის ძირში ვეებურთელა სანაგვე ყუთი იდგა. ეს-ლაც არ ვიცი ნაკავი როგორ ვაქონდათ, ალყაფი არსად ჩანდა. სანაგვე ყუთზე ის ორი ხიშტიანი შავრაზმელი იდგა და ნაგავს გაშვავებით ხიშტავდა.

— Стой, ни с места — сукины дети — დაიყვირა დათამ, ილიაში ამოჩრილ ფუთას თითი რაღაცნაირად გამოჰკრა და მის ხელში ახალთახალმა ნაგანმა გაიბრჭყვიალა.

ხიშტიანებმა ისკუპეს, გაქცევა დააპირეს, მაგრამ დათა თუთაშხიამ ორი ტყვია ზედიზედ ისროლა.

მე საერთოდ გაფიქრება ვერაფრისა მოგასწარი — შავრაზმელები ორთავენი ძირს ეყარნენ და დათა თუთაშხიას რკინის კიბეებზე ჩაჰქონდა რიალი. მეც დავეშვი, არც ამისთვის დამიყოლებოდა აზრი. პირველი სართულის აივანზე ჩასულმა, რატომღაც, სანაგვეში ჩავიხიდე. ეს ალბათ ქვეცნობიერე-

ბაში შემორჩენილი იმპულსი გეტყვით, ვერ ხომ არ ვიცოდი, რატომ ხიშტავდნენ შავრაზმელები ნაგავს ისე თავგამოდებით? ჩავიხედე და უნებლიეთ რაღაც დავიღრიალე. სიტყვა არ ყოფილა, ხმა აღმომხდა, საშინელი ხმა.

სანაგვე ყუთში მოკუნტული, სისხლში ამოსვრილი ქალ-ვაჟი იწვა. ორთავე პირქვე და ოდნავ გვერდულად — ერთმანეთისკენ შორიშორ.

ვერ გეტყვით, რამდენ ხანს გავრძელდა ჩემი გაოგნება. ის კი ვიცი, იმ საზარელ სურათს უმაღლ მოგწყვიტეთვალი და სიარული განვაგრძე. ეზოში ჩავედი, დათას სიახლოვეს, მის პირდაპირ დავდექი. მიწაზე გაშლილ შავრაზმელებს დავაჩერდი.

ერთი ფეხში იყო დაჭრილი. მეორე — დუნდულში. ეს იქიდან ვიცი, რომ დათა თუთაშხიამ თავად მოჰქმენა ქრილობები. ცოტა ხანს იდგა, ჩემსავით დასტკეროდა თავის ნამოქმედარს. მერე ცივი, გაბზარული ხმით უთხრა მწოლთარეებს:

— Кто из вас жить хочет?! დაჭრილები განაბული იწვნენ, თვლებში ამოგვექეროდნენ.

— Один из вас останется жить. Кто хочет жить?!

ფეხში დაჭრილს აზროვნების უნარი სავსებით ჰქონდა დაკარგული. ვერც ენითა, თქვა რამე და ვერც თვლებით. მეორეს, ალბათ, თავდაცვის ინსტინქტი აუმოძრავდა, გაცოცდა, დათა თუთაშხიას ფეხზე მკლავები შემოჭხვია, აქვითინდა.

ტიროდა და ფეხებს უკოცნიდა, დათა თუთაშხიამ ფეხი გამოითავისუფლა.

— Встань, скотина! შავრაზმელმა ხიშტი დაიშველია, წამოდგა.

დათა თუთაშხიამ ფეხით მეორე შავრაზმელის მარცხენა ბეჭი აჩვენა და თავის აჩვენეთ ანიშნა — ამ ადგილას ჩაჰკარი ეგ ხიშტიო!

ზეზე მდგომი შავრაზმელი გაშრა, თვლებში აფახულა.

— Давай быстрее! — შეუძახა და-
თამ და ფეხებთან კიდევ წყვილი ტყვია
მიაცალა.

მსვერპლი პირქვე ემხო, თვალები
აივნებისკენ ჰქონდა, მაგრამ როცა მის-
მა თანამებრძოლმა ხიშტი შემართა,
მწოლიარე ელვის სისწრაფით პირადმა
ამოტრიალდა...

ხიშტი მკერდზე დააცხრა, გული
გაიარა, ვადამდე ჩავიდა და მიწას მია-
ლურსმა სხეული.

— Теперь, иди, живи! — ხაზგას-
მით, თითქმის, დამარცვლულად ჩაი-
ლაპარაკა. დათა. თუთაშხიამ.

მკვლელს ვერაფერი გაეგო — უშ-
ვებდნენ, თუ დასცინოდნენ.

— Иди, говорю... живи!

მკვლელი მიტრიალდა, ორიოდ ნა-
ბიჯი გადასდგა, დუნდულზე ხელი მო-
ივლო. წამით შეჩერდა. ისევ გადას-
დგა ნაბიჯი და საიდანღაც გამოსრო-
ლილმა ტყვიამ თავის ქალა კოლოფის
სახურავივით აუხადა.

შიგ შუა შუბლში მოხვედროდა.
ქალამ საოცარი ხმა გაიღო, ვერაფერს
ვერ შევადარებ, არ ვიცი მსგავს ხმას
რა გამოიღებს ხოლმე.

აივნისკენ ავიხედე.
ის კოჭლი, ხისფეხა კაცი იდგა და
ტანმაღალი გიმნაზიელი რევოლვერს
კიტელის შიდა ჯიბეში იდებდა.

დათა თუთაშხიამ კარგა ხანს უყუ-
რა აივანზე გადმოდგარ მსროლელს.
მერე რევოლვერი ჯიბეში ჩაიდო, სა-
ნაგვეში ჩაიხედა.

— გამოვა ვინმე, ამოასვენებენ, სა-
ცოდავებს, ამათ, — ჩაილაპარაკა. და
კიბეებისკენ გაემართა.

დათა თუთაშხია ნელი ნაბიჯით,
თაგაქინდრული მიდიოდა.

მეორე სართულის აივანზე ავედით.
ხისფეხიანი და გიმნაზიელი იქ აღარ
დაგვხვდნენ. დერეფანში შესულიყვნენ,
იქ გველოდებოდნენ.

ხისფეხიანი ზურგით კედელს მინ-
დობოდა, იატაკში იყურებოდა, ცალი
ხელით პატარა ულვას იწვალებდა.
გიმნაზიელი დიდი ცისფერი თვლებით

გვიცქეროდა. მისი იერი უსაზღვრო
ცნობისმოყვარეობასა და განცვიფრე-
ბას გამოხატავდა.

ერთმანეთისთვის სალაში არ მიუ-
ციათ. ალბათ, არ იყო საამისო განწყო-
ბილება.

— ამდენი სისხლი?! — ამოიხრა
დათა თუთაშხიამ, იყუჩა და უფრო ხმა-
მალლა, ბოლმითა სთქვა: — არ მინდა
ასეთ ქვეყანაში ცხოვრება, ყელში ამო-
ვიდა უკვე...

— ხედდა, რამდენნი ვართ?.. აღა-
რაეის აღარ უნდა, — მიუგო ხისფეხამ.
დათა თუთაშხიამ მოგვიანებით
უთხრა:

— კი, ბევრნი ხართ, ვიცი მე!.. არ
უნდა გესროლა, ევლო ქვეყანაზე!

— მე არ მისერია, ამან დამასწრო,
— ხისფეხამ გიმნაზიელზე მიანიშნა...
— შემავიგინა... ამ აყალ-მაყალში.

— ღროზე კი არა და... გამოღმა თუ
გამოვაწვედი საერთოდ, არ მეგონა, —
თქვა დათა თუთაშხიამ, ჭაბუკს თვალი
შეავლო, და ხისფეხას უთხრა:

— შენს ნასროლს გავდა ის.

— გავდა.
დავიძარით. დერეფანი გავიარეთ,
დიდ კიბეებს შევუღდექით.

— გადაწყვიტე? — ჰკითხა ხისფე-
ხამ დათა თუთაშხიას.

თუთაშხია გაჩერდა, იყუჩა და მიუ-
გო:

— კი. გადავწყვიტე.

უკვე ავათავეთ კიბეები, სადარბა-
ზოში უნდა გავსულიყავით და დათა
თუთაშხია ისევ გაჩერდა, ხისფეხას
დაუწყო ყურება. ეს იყო უსიტყვო შე-
კითხვა. ხისფეხამ მიუგო:

— თუ შენიშნე, მე კაი ხუთი წელია
აღარ გამომიტყვამს ჩემი შეხედულება
მაგაზე. სიჩუმეს ვარჩევდი ხოლმე. ახ-
ლა გაგიმეთრებ: სწორი გადაწყვეტი-
ლება!

ხისფეხა გაჩუმდა და, ჩანს თქმა
აღარაფრისა უნდოდა. მაშინ დათა თუ-
თაშხიამ უთხრა:

ვახუა ანიბავიძე
დათა თუთაშხია



— მაშინ ისიც თქვი, რატომ მიგაჩინია სწორად ეს გადაწყვეტილება, დამავიწყდა, რას მელაპარაკებოდი.

ხისფხვამ ქეჩო მოიქეჯა, ოდნავ გაიღიმა და მიუგო:

— კაი, ვაგიმეორებ, შენ ადამიანებს აკვირდები, ცალ-ცალკე პიროვნებებს აღიქვამ. ხედავ, რომ არ ვარგა კაცი და ამიტომ ხალხზეც ავიტყუვდა გული. მაპატიე, მაგრამ შენ ერთი, მთავარი რამ არ იცი. ადამიანი, პიროვნება, თითქმის ყოველთვის ტყუის. ხალხი უნდა გაიცნო და უეჭველად შეგიყვარდებ. მაშინ პიროვნებასაც სხვა თვალით შეხედავ. კაცი საზიზღარი კი არ არის — საცოდავი და საბრალოა. ხალხი უნდა ნახო, ხალხში ცხოვრება აუცილებელია შენთვის, რომ ადამიანი შეგიყვარდეს.

— მაშინ ბაზარში წავალ, ბევრი ხალხია ბაზარში მუდამ.

— ბაზარი ადამიანების დაპირისპირების, ურთიერთ შერკინების ადგილია. იგი ადამიანებს თიშავს. ის ადგილი კი, სადაც შენ მიდიხარ, მოწინააღმდეგეებსაც კი აკავშირებს და იქაური ცხოვრება მუშტად შეკრული ხალხის ბრძოლაა ძალადობისა და უსამართლობის წინააღმდეგ. იქ უნდა ნახო, რა არის სიტყვა „ხალხი“!.. — ხისფხვა ანახლად უხერხულობამ დაამუხრუჭა. დაეინახე, რომ რალაცის შერცხვა, ალბათ, უნებლიეთ აღებული მენტორული, ნოტაციური ტონისა.

ცოტა ხანს სიჩუმე იყო.

— რა არ მელაპარაკეს! მიზეზი აღარ დარჩა, მგონია, იმის სამტიციკებელი რომ უნდა ჩავჯდე, მაგრამ შენ რაც მითხარი, ეგ არ უთქვამს არც ერთს არასდროს და შენ რომ გქონდა ნათქვამი, დამავიწყდა, თითქოს. კაი, ბატონო! მივუმატებ მაგასაც და წავალ, სადაც მივდიოდი — ხუმრობის ტონით თქვა დათა თუთაშხიამ, ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო, ხისფხვას გადასცა. მეორე ჯიბიდან — მუჭით ვაზნები.

ესეც ხელში ჩაუჩხრიცა. გიმნაზიკოსს შეხედა, დააკვირდა და უთხრა: — თქვენ გააკეთეთ, იქნება, ჩვენ რომ ვერ შევძელით, ის... წავიდეთ, რომ ბერტ-ბიძიკო, ერთსა და იმავე ადგილში მივდივართ ორივე.

დათამ ორთავეს ხელი ჩამოართვა და ისევე პროსპექტზე გავედით.

— საით მიდიხარ, პროკოფი-ბატონო? — ვკითხე.

— ქანდარმერიის სამმართველოში. ზევით უნდა იყოს, მგონია, მთაწმინდის უბანში, — თქვა დათა თუთაშხიამ.

ქანდარმერიის სამმართველომდე აღმართ-აღმართ ათიოდ წუთის საველი იყო. სმა არც ერთს არ დაგვიძრავს. დათა წინ მიდიოდა. მე კვალში მივდევი, როგორც კვიცი ფაშატს. ბოლომდე ასე ვდიე. სადარბაზოსთან მომდებრუნდა, ეშმაკურად გამიღიმა.

— კაი, აბა. წავალ მე, მშვიდობით იყავი!

ხელი არ ჩამოუტრთმევია, შევდა და კარისკაცს რალაც უთხრა.

გარედან ვადევნებდი თვალს: ორი, სამი წუთიც არ იყო გასული, რომ ის დიდი თანამდებობის კაცი ჩამოვიდა, რომელიც სამტრედიაში წასვლის წინ დამანახვეს — აი, ამის გარეგნობა დაიხსომე, ერთმანეთს წყლის წვეთებივითა ჰგვანანო.

იმ კაცმა მკლავი გაუყარა და წავიყვანა.

მართლაც, საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს.

მას აქეთ აღარ მინახავს დათა თუთაშხიამ.

მეც შევედი და ჩემს უფროსს გამოვეცხადე. პატაკი და მოხსენება დავაპირე. არ დამაცადა. მითხრა, — წავიდი, დაისვენე და ხვალ დილის ათ საათზე გამოცხადდით.

წავედი, დავისვენე — იმ დღის შთაბეჭდილებების გადაამუშავებას დასვენება თუ შეიძლება დაერქვას — და დილით დანიშნულ დროს მივედი.

არც ეხლა დამაცადა ჩემმა უფროს-

მა, ვიღაცას დაურეკა, საითღაც წამიყვანა, სხვა განყოფილებაში. მითხრა, ზარანდიასთან მივდივართ, იმას მოახსენებო.

ზარანდია, როგორც გვარი, ჩემთვის, რა თქმა უნდა, ცნობილი იყო. გარეგნობით ვერ ვცნობდი, რომელია. სამტრედიისში წასვლის წინ რომ უფროსი დამანახვეს, ის ადრეც შენიშნული მყავდა, მახსოვდა, მაგრამ იმისა არა გამეგებოდა რა, თუ ეს კაცი იყო ზარანდია. ჩემმა უფროსმა უცხო კაბინეტში შემიყვანა და სავარძელში რომ კაცი დავინახე, აი, მაშინღა გავაერთიანე დახსომებული გარეგნობა და ცნობილი გვარი.

დაბრძანდითო, მითხრა. ჩამოვჯექი, ჩემი უფროსიც დაჯდა.

ზარანდიამ შეხედა და, — თქვენ თავისუფალი ხართო!

წავიღა ჩემი უფროსი კუდამოძუებულა.

ჯერ ყველაფერი თავიდან ბოლომდე დაწვრილებით მაამბობინა. მერე თჯახის, გვარისა და წინაპრების ამბავი გამომიტხა: შემდეგ იმის გამოჩვენა

ვევას მიჰყო ხელი, თუ ჟანდარმერიაში რა გზებით მოვხვდი. როცა გამოარკვია, რომ მოწოდებამ კი არა, სამხედრო ვალდებულებიდან თავის დაღწევის სურვილმა მიმიყვანა, პირდაპირ მკითხა, — სამსახურის დატოვება ზომ არ გინდაო. მინდა-მეთქი. მერე რა საქმეს მოჰკიდებ ხელსაო. სწავლა უნდა განვაგრძო, მოსკოვის უნივერსიტეტში მინდა შესვლა-მეთქი. ეს იღეა ძალიან მომიწონა, მითხრა,—ხვალ მამაშენი მომიყვანეო და გამიშვა.

რა თქმა უნდა, მივხვდი, თავიდან მიშორებდა, მაგრამ გზაც იქითა მქონდა და ამით ზარანდიამ კარგად ისარგებლა.

სამი დღის შემდეგ თავისუფალი ვიყავი.

კიდევ ერთი კვირა და მატარებელი მოსკოვისკენ მიმაქროლებდა.

ახლა უკვე ბევრი დრო მქონდა რიგინად გადამეღო თვლი შეიდი თვისა და ოცდასამი დღის მანძილზე ჟანდარმერიაში ჩემი სამსახურისთვის.

შეკითხვები თუ აღარა გაქვთ, მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

ალექსი სნეხირო

— პატიმრების ამბობება რისთვის იყო ნაჭირო?... ახლავე მოგახსენებთ. ათას ცხრაას ხუთი წლის ჩვიდმეტი თქტომბრის მანიფესტით თვითმპყრობელობა რუსეთის იმპერიის ხალხებს პიროვნების ხელშეუხებლობასთან და სინდისის, სიტყვის, კრებების, კავშირების თავისუფლებასთან ერთად პოლიტიკატიმართა ამნისტიასაც შეჰპირდა. უმაღლვე აღმოჩნდა, რომ მანიფესტით ცარიზმს დროის მოგება სურდა. მანიფესტის პარაგრაფები მხოლოდ იმდენად სრულდებოდა, რამდენადაც ამას თვითმპყრობელობისთვის მოჰქონდა სარგებლობა. ეს ცნობილი ჰქმნა მართებდა.

სიკანონმდებლო სათათბიროც წინასწარ იყო დაკოდული და პოლიტიკატიმართა ამნისტიაც. პროფესიულ

რევოლუციონერების დიდი რაოდენობა სხვადასხვა საბაბით საპყრობილებში ჩატოვეს, ხოლო მანიფესტის შემდეგ უფრო მეტი გაშმაგებით მიჰყვეს ხელი დაპატიმრებებს. მე დონის როსტოვის სატუსალოდან სწორედ იმ ამნისტიით გავთავისუფლდი. ჩემი იქ დარჩენა არ შეიძლებოდა, პარტიამ იქაურობას გამომარადა, თბილისის კომიტეტში ერთი დავალებით გამომგზავნა. იმ დროისთვის რვა წელიწადი თბილისში ნაცხოვრები ვიყავი და ქართულიც საკმაოდ ვიცოდი. მატარებლიდან ჩამოვედი თუ არა, მტაცეს ხელი და ისევ დამაპატიმრეს. ისეთი საქმეების ჩადენა დამაბრალეს, არავითარი წარ

ვაზუა ანდრეაზი
დათა თათაშვილი



მოდგენა რომ არ მქონდა. ნაუცბათე-
ვად დაჯდაბნილ ბრალდებას ერთი შავ-
რახმელის ცრუ ჩვენებები დაუბრუნეს,
გასამართლების პროცედურა ვაითამა-
შეს და ათი წლის პატიმრობა ამკიდეს.
მე გამონაკლისი არ ვახლდით, ჩემის-
თანა რამდენი იყო — ათასობით!

მანიფესტი გამოქვეყნდა, სათათ-
ბიროც აირჩა და რევოლუცია არამარ-
ტო გაგრძელდა. არამედ უფრო ვა-
ლრმავდა და გამძაფრდა. რატომ? იმი-
ტომ, რომ მასები აღთქმული დაპირე-
ბების შეუსრულებლობას ხედავდნენ.
ხალხის გულუბრყვილო ნაწილი მანი-
ფესტის აღსრულებას მოითხოვდა. უფ-
რო გამჭირავი ნაწილი დარწმუნდა,
რომ მანიფესტი მხოლოდ ხაფანგი იყო
და ერთადერთ გამოსავალს თვით-
მპყრობელობის დამხობაში, ცარიზმის
მოსპობაში ხედავდა. ციხეების ამბო-
ხება საერთო სახალხო მოძრაობის
აუცილებელ შემადგენლად იყო მიჩ-
ნეული. ჩვენ ცარიზმისთვის უნდა და-
ვემტყიცებინა, რომ რევოლუციას სა-
პყრობილეებითა და მასობრივი რეპ-
რესიებით არამეტო ვერ ჩაახშობდა,
არამედ ვაამახვილებდა კიდევ და რომ
თვითმპყრობელობის ერთადერთი ხსნა,
ისიც დროებითი, მანიფესტით ვათვა-
ლისწინებული პირობების მთლიან,
სრულ, გადაუდებელ აღსრულებაში
იყო. ამბოხების ერთ-ერთი მიზანი მა-
ვალისთვის შექმნაშიც მდგომარეობდა.
ჩვენ სხვა ციხეებიც მოგვამაყვდნენ. ეს
უნდა ყოფილიყო დარტყმა თვით-
მპყრობელობის საფუძველთა საფუძ-
ველზე — საპყრობილეებზე. წარმო-
იდგინეთ იმპერია, პოლიციური სახელ-
მწიფო, რომელიც რეპრესიებითა და
სატუსაღოებშია კი ვეღარ იოყებს
აღშფოთებულ მასებს! აქ მას მხოლოდ
ის გამოსავალი ექნება, რომ ფარ-ხმალი
დაყაროს ან მასობრივ ხოცვა-ჟლეტას
მიპყოს ხელი, რაც მხოლოდ მოახ-
ლოებს მის დაღუპვას. ეს, რაც აჯან-
ყების სტრატეგიას ეხება. შესაძლებ-
ლობებზე, ტაქტიკაზე, მოსალოდნელსა
და მიღებულ შედეგებზე უფრო მო-

გვიანებით მოგახსენებთ. ასლამბაძეს
მივყვებით.

იმას ვამბობდი, ჩეიდმეტი ოქტომბ-
რის ამნისტიამდე რამდენიმე დღით
ადრე ორთაქალის ციხეში ჯანიაშვილ-
მა, კოსტინმა და კიდევ ოცამდე კაცმა
ამბოხება წამოიწყეს და მარცხი განი-
ცადეს-მეთქი. შემდგომში იმ ამბოხე-
ბის ერთ-ერთი მონაწილე როსტოვეში
ეტაპით მოიყვანეს. ბორკილები ედო,
კატორღაში მიჰყავდათ — ცალკე სა-
კანში დაამწყვდიდეს. თბილისელი მუშა
იყო — ნიკო ფალაშვილი. როსტოველ-
მა პატიმრებმა იმ აქციის შესახებ ძა-
ლიან ცოტა რამ ვიცოდით, დეტალები
გვიანტერესებდა. ზედამხედველს ფუ-
ლი მივეცი, ფალაშვილის საკანში შე-
მიშვა. ბევრი მასლაათის დრო არ იყო,
ნიკო ფალაშვილს პატიმრებში მოგრო-
ვებული ფული ჩავაბარე და ვკითხე.
თუ რამდენმა კაცმა მიიღო მონაწილე-
ობა ამბოხებაში.

- ოცდასამმა — ვინც მოთავეები
ვიყავით და კიდევ ოციოდე სხვამ.
- ციხეში რამდენი პატიმარი იყო?
- სამ ათასზე მეტი!
- მერე?
- ნიკო ფალაშვილმა მხრები აიჩეჩა.
- არ მოგვყვნენ?
- არა.
- რატომ?
- მაგ საქმეს ვერაფერი გავუკეთ.
- ისევ აიჩეჩა მხრები ნიკომ. — რა
ვიცი, მასა წიკოზე შეყენებულსა ჰგავ-
და. თითქოს ყველა პირობა იყო მხარი
დაეჭირათ, აგვეყოლოდნენ...
- რა შემთხვევის გამო წამოიწყ-
ყეთ... რა მიზეზს დაუკავშირეთ, რო-
გორ იყო? — აღარ მოვემეი.

— საღამოთი ბალანდა დაარიგეს —
ცარიელა წყალში მოხარშული კილკა.
იმის ჭამა არ შეიძლებოდა. ხალხი
აღშფოთდა. მეთითხმეტე საკანში ერთ-
მა პატიმარმა ის ბალანდა ზედამხედ-
ველს სახეში შეასხა. ძალით გაათრიეს.
სცემეს და კარცერში ჩააგდეს. მთელი
ციხე აფუგუნდა. მეორე დილას ის გა-
ცეცხლებული ხალხი ზის, წუხანდელ

ამბავზე ლაპარაკობს, მკერდში მუშტს იბრახუნებს. ამასობაში საუზმეც მოიტანეს — თითო პატარა ნაჭერი ქაშაყი. მატლებიანი იყო. ჩვენი საკნის მამასახლისმა უფროს ზედამხედველს აჩვენა. ზედამხედველმა დახედა, გაიღიმა და უთხრა, — მატლები გადაყარეთ და ქაშაყი მიირთვითო! მიშა კოტოვი ზედამხედველს ეტაკა — ესე გვეჭონდა მოფიქრებული. დანარჩენები — თავკაცებს ვამბობ — დღე იყო და საკნები ღია გვეჭონდა და ციხეს მოვედეთ. ზოგი დარბოდა და ხალხს მოუწოდებდა, — ადექით, მოგვეყვითო! ზოგმა ზედამხედველები კორპუსებიდან გავათრიეთ, ალაყაფამდე მივრეკეთ და ციხიდან გავყარეთ. ოცოდ კაცი აგვეყვამეთქი, აკი ვითხარით. ერთი ორასი კაციც კორპუსებიდან გამოსულიყო, გულხელდაკრეფილი იდგნენ, შემოგვეცქეროდნენ. სხვებს საკნებიდან ცხვირი არ გამოუყვიათ. ციხეში შემოსასვლელეები ჩავხერგეთ, ქვები, აგურები, რაღაც რკინები მოვიმარაგეთ და საღარაჯო კოშკზე გასულ ციხის უფროსს შევეძახეთ, — სანამ მთავარმართებელი არ მოვა, ციხეში არავის შემოუშვებთ და არც საჭმელს მივიღებთ-თქო. ერთი საათი თუ ცოტა ნაკლები, ციხე ჩვენს ხელში იყო. მთავარმართებელს ველოდით, პეტიცა მზად გვეჭონდა, უნდა გადაგვეცა მალე ბარკადებს სალდათები მოაწვენენ. ქვა დავეშინეთ. დაიხიეს. ცოტა ხნის მერე დაბრუნდნენ. ფარები ჰქონდათ და თითო მაგარი. ლამაზი კეტიცა. ლამაზი იმიტომა ეთქვი, რომ სულ ერთნაირად შავად და თეთრად აჭრელებული ფარები და კეტები იყო. ეტყობა, ადრევე ჰქონდათ მომზადებული. მოვიდნენ. ფარები აიფარეს და ალაყაფს მოაწვენენ. მოაწვენენ და მოაწვენენ. შემოანგრის, მგლებივით შემოცვივდნენ ზმ ჭრელი კეტებით. დაგვერივნენ. იმათაც კარგებისა მოხვდათ — გულხელდაკრეფილ შემაცქერლებს. ვიბრუნეთ პირი... ერთი სიტყვით, ესე იყო.

ჯერ კიდევ როსტოვის ციხეში, ამ-

ბოხების მოწყობაზე რომ ჩამოვარდნილობდა ლაპარაკი, თბილისელი პატიმრების ცდა და მარცხი მუდამ მაგალითის სახით ამოტივტივდებოდა ხოლმე. თბილისში, ხელახალი დაპატიმრების მერე, მეტეხის ციხეში ვიჯექი და ერთ-ერთი მთავარი სალაპარაკო იქაც ორთაქალის მარცხი იყო. რა მოხდა, რატომ მოხდა ასე? მაშინ ამგვარი ამბოხებების მზა-მზარეული გამოცდილება არ არსებობდა. ამას დაფიქრება, მიზეზების პოვნა, შესწავლა ესაჭიროებოდა.

თომა კომოდოვი და მე ორთაქალაში ერთად წაგვიყვანეს. რა თქმა უნდა, ვივალდებულეთ იქაურ ამხანაგებთან ერთად, ადგილზე გავრკვეულიყავით ვითარებაში, შეცდომები აღმოგვეჩინა, გაგვეთვალისწინებინა და ხელსაყრელი პირობების შემთხვევაში ცდა გავვემეორებინა.

თომა კომოდოვი ბენდუქიძის მექანიკური სახელოსნოების ყოფილი მუშა იყო. მაშინ, ასე, ოცდაათისა იქნებოდა, მაგრამ არალეგალურ მუშაობაში დიდად გამოცდილი. იმ ადამიანს ყველაფერი უხვად ჰქონდა — მკვერმეტყველებიდან, საკმაოდ ღრმა პოლიტიკური ცოდნიდან და მასებთან საჭირო ურთიერთობის დამყარების უბაღლო ნიჭიდან დაწყებული — შორსმჭვრეტელობიდან, სწრაფი მოსაზრების უნარიდან და თავზე ხელაღებული გამბედაობით დამთავრებული — როცა ამას მდგომარეობა მოითხოვდა. ძალიან მიმზიდველი, სანდომიანი იერიისა და მხიარული ხასიათის კაცი იყო. დიდი პოპულარობით სარგებლობდა — განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კატორღიდან გამოქცევა მოახერხა. ბრატსკში ჩაიყვანეს. სულ რაღაც სამიოდე კვირის თავზე ბორკილები გადაიხერხა და მოუსვა. ერთი კვირის სავალზე საფარს გადააწყდა. ისევ დაიჭირეს, ისევ დაადეს ბორკილები და თავისივე კატორღისაკენ გაიგდეს. ორი სალდათი

ვახუა ამირაჯიძე
დათა თუთაშვიდი

ახლდა. რომელიღაც სოფელში დაუ-
ღამდათ. მამასახლისმა ღამის გასათე-
ვად ერთი ოთახი დაუთმო. სალდათე-
ბი მორიგეობდნენ — ერთს ეძინა, მე-
ორე თომას ოთახში იჯდა, ფხიზლობ-
და. შუაღამე გადასული იქნებოდა.
თომამ შენიშნა, სალდათი სთვლემდა.
ჩემად ადგა, ფანჯარა უხმაუროდ გა-
ლო და თვითონ საწოლის ქვეშ შეიმა-
ლა. გუშავს გამოედვიდა, ღია ფანჯარა
და ცარიელი ლოჯინი ნახა, განგაში
ატეხა. სალდათებმა და მამასახლისმა
სოფელი ზეზე წამოაგდეს ახლო-მახლო
ტყეებს მოსდეს. თომა საწოლის ქვეში-
დან გამოძვრა. ქლიბი იპოვა, ბორკი-
ლები და კატორღის ტანისამოსი მამა-
სახლისის სასადილო მაგიდაზე დატო-
ვა. მამასახლისისავე ტანსაცმელში გა-
მოუწყო და მოუსვა. თბილისში მოვი-
და, ისევ არაღვეალურ მუშაობაში ჩაე-
ბა. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ
ოქტომბრის მანიფესტი და ამნისტია
გამოიცა. თომა კომოდოვმა სუფთა
პასპორტი მიიღო, მაგრამ ჩემი არ
იყო, მალე „ახალ საქმეზე“ აიყვანეს,
იმასაც ათი მისცეს.

ერთი სიტყვით, მეტეხიდან ორთა-
ჭალაში მივეყვართ. გავჩხრიკეს, სხვა
ფორმალობებზეც შესრულდა, ქუჩაში
გავვიყვანეს. იქ ბაღრაგი დაგვხვდა —
ოთხი სალდათი თავისი უფროსით.
ბაღრაგს უკვე ჰყავდა რომელიღაც სა-
პოლიციო უბნიდან გზად წამოყვანილი
პატიმარი. მიგვითვალეს და დავიძა-
როთ.

მეტეხის ხიდი ვადმოვიარეთ, ორ-
თაჭალისკენ გავუხვიეთ. იმ უცნობ პა-
ტიმარს ავხედ-დავხედე. პატარა ტანი-
სა იყო, ასე, ოცის, ოცდაერთისა იქნე-
ბოდა და ძალიან გაჭიმული მობრძან-
დებოდა. დამაინტერესა, ნეტავი, რა
ჯურის კაცი უნდა იყოს-მეთქი. თომას
გვერდში იყო, ვანიშნე, გამასლაათებო-
და. კარში უცნობ ადამიანს გამოკითხ-
ვა რომ დაუწყო, — ვინა ხარ და რა
კაცი ხარო, — უზრდველობაში. ჩამო-
გვრბამევა. ციხეში პირიქით არის — ამ
პროცესს გამასლაათება ჰქვია და ყუ-

რადღების, თანაგრძნობის ნიშანი.
ღენად, ისიც ჩვეულებრივი რამაა.
თუ გკითხეს, — რა ჩაიღინე, რისთვი-
სა ზიხარო.

— რა კაცი ხარ? — ვადელაპარა-
კა თომა ჩვენს გაჭაჭულ თანამგზავრს.

— კაცი ვარ! — სასხვათაშორისოდ
მიუგო მან.

ციხის ენაზე ეს იმას ნიშნავდა, —
„კანონიერი ქურდი“ ვარო!

— რაზე ზიხარ?

— რაზეც! — ცივად მოუჭრა.

— რამდენი გაქვს? — სასჯელი
იგულსხმებოდა.

— რამდენიც არის! — რა შენი საქ-
მეაო.

— მერამდენე ჯდომავ?

— მერამდენეც არის! — მიუგო
ბიჭმა და გულმოსული თვალი ესრო-
ლა.

— რა გქვია? — განზრახ აღარ მოე-
შვა თომა.

— პოქტიას მეძახიან! — თავი აღარ
უნდა დამანებოთ?

— სახელია თუ მეტსახელი?

— რაც არის! — ლაპარაკს მოვრ-
ჩითო.

ყველაფერი ცხადი გახდა. ეს ბიჭი
ქურდობანას თამაშობდა და წმინდა
წყლის არიფი კი იყო.

— ამას გარადღოვის პირმშოს მტრე-
დები ეყოლება მოპარული, — ჩურ-
ჩულით დამიდასტურა მიხვედრა თო-
მამ.

პოქტიას ყველა პასუხის შინაარსი
ზუსტად ისეთი იყო, როგორც კანო-
ნიერი ქურდისა იქნებოდა, მაგრამ ინ-
ტონაციაში გაიყიდა — ქედმაღლად,
უტიფრად დაიჭირა თავი; ქურდი კი
ასეთ შემთხვევაში ზრდილობიანია, შე-
მპარავია და, როგორც ჩანს, პოქტიას-
თვის ციხური საქციელის მსწავლებელს
საქმის ეს მხარე მხედველობიდან
გამორჩენოდა. თვით პოქტია დარწმუ-
ნებული იყო, რომ თავის „არისტოკრა-
ტულ“ წარმოშობაში საესგებით დაგვა-
ჯერა და ისევ ისე იჭაჭებოდა. ერთი
სიტყვით, ციხეში ადვილად და სხვის



ხარჯზე ცხოვრების საფუძვლებს აქედანვე იქმნიდა ბიჭი. ამას რაც მოჰყვა, ახლავე მოგახსენებო.

ორთაჰალის ციხემ „დაგვაძულა“ — ადმინისტრაციის ენაზე ასე ერქვა პატიმრის მიღების პროცედურას, რაც ძირითადად, გაჩხრეკასა და მოყვანილთა დაეთარში გრაფების შეეხებას ნიშნავდა, და კარანტინისკენ წაგვიყვანეს.

დაიხზრილეს კლიტეებმა და ურდულეებმა, გაიღო კარი — საყნის სიმყრალე და ხორხოცი ცხვირპირში წიხლივით გვეძგერა. ზედამხედველმა დაიძახა:

— ტარასტა, ტრი ჩალავეკ, მეტენი! — და ზურგს უკან კარი ჩაიკეტა.

ეს იყო უზომოდ გრძელი, ვიწრო, ბნელი და ნოტიო საყანი მთავარი კორპუსის ნახევარსარდაღში. მიუჩვეველი თვალი მხოლოდ ლანდებს არჩევდა. ლანდები კი იმდენი იყო, რომ იქაურობა ერთ, მთლიან, მოფუთფუთე ფანტასტიურ ორგანიზმს უფრო ჰგავდა, ვიდრე მრავალი ადამიანისგან შემდგარ მასას.

— ადგილი არ არის, ბატონო, ვედარ გაიგო ამ ხალხმა! რომ ტენიან და ტენიან, სად ტენიან, ნეტავი? მოეწყვეთ მანდ, არ არის ადგილები! — იმ აურზაურში ძლივს მოისმა „ტარასტას“ ხმა საყნის ჩაბნელებული სიღრმიდან.

— მოდი აქ! — გასძახა თომამ მამასახლისს.

თვალი სიბნელეს მიეჩვია. მხარმარცხნივ უხუფო, პირთამდე სავსე პარაშა იდგა და მისგან უკვე ერთ ნაბიჯზე იატაკი არ ჩანდა — ხალხი იწვა. აქვე, პირდაპირ მწოლიარე ხალხში იდგა პატარა მავილა. პატიმრები დომინოს თამაშობდნენ. საყანს მთელ სიგრძეზე გასდევდა ორსართულიანი ტახტი და ტახტს ზემოდან, სამ ადგილას გისოსიან სარკმლებში ცოტაოდენი სინათლე შემოდიოდა. მარჯვნივ, ზემო სართულზე პატიმრების ჯგუფი მოკალათებულიყო, ერთ-ერთი რაღაცას ყვებოდა, სხვები დროდადრო ხმამაღლა იციროდნენ. სულ ბოლოში სარკმელთან

რამდენიმე კაცი ქალაღდს თამაშობდა უკეთ ვთქვათ: ორნი თამაშობდნენ, სხვები მყურებლები იყვნენ.

— მოვედი, რომელი ხარ?! — თქვა მამასახლისმა.

— ჩვენ დასაგები არაფერი გვაქვს, იატაკზე ვერ დავწვებით. ტახტზე მისწი-მოსწიე ხალხი, — უთხრა თომამ.

— ახლავე, ბატონო... საწოლებს მოგართმევთ, ქვეშაგებს, თეთრეულს, სამოვარს...

— მოკეტე! — შეაწყვეტინა თომამ. — ორი ადგილი ზემოთ! დროზე!

მამასახლისი მიხვდა, რომ ხუმრობა და ქილიკობა აღარ გამოდგებოდა, მაგრამ კარანტინი, მართლაც, უსაშველოდ იყო გადატვირთული. ვინ იცის, ეს მერამდენედ უნდა მიეწ-მოეწია ხალხი და ან თუ კიდევ დარჩა მისაწვე-მოსაწვეი ვინმე? მამასახლისმა ტონი შეიცვალა, მაგრამ ჭიჭყინს უმატა:

— წადით, ბატონო, და სადაც ნემსის ჩასაგდები ადგილი იპოვოთ, შეგარგოთ ღმერთმა. რავე, მე ის კი არ ვარ... რა ქვია იმას?..

ჩვენი არ იყოს, არც ჩვენთან ერთად მოსულ პოქტიას აწუხებდა ბარგი-ბარხანა. იქაურობას გაეცალა, ტახტის გასწვრივ დატოვებულ ბილიკზე ბოლოს ცემას შეუდგა. სწრაფად დადიოდა, ხელები გავაზე ჰქონდა გადაჯვარედინებული. ეს ილეთი კარვად გამოუდიოდა, სწორედ ისე იქცეოდა, როგორც არაერთგზის ნაციხარმა კაცებმა იციან.

შევიმჩინე, ამ შეხლა-შემოხლას შორიასლოდან ერთი ახალგაზრდა კაცი გულდასმით უსმენდა. მერე მოგვიასლოვდა, თომას დააკვირდა და წავედა.

სანამ ჩემი ძმაკაცი მამასახლისთან კამათში დროს ატარებდა, მე საყნის თვალიერება-შესწავლით ვიყავი ვართული. ჩვენს პირდაპირ, ტახტის ზემო სართულზე ერთი კაცი პერანგის ამხანაგის ამარა იჯდა; თავისი შარვალი

ვახუა ამიძგინი
დათა თუთაშვილი



ხელში ეჭირა და საგულდაგულო დაკვირვების მერე და დავრწმუნდი, რომ მკბენარს კი არ ხილავდა, ღილს იეკრებდა. გავიფიქრე კიდევ, — მამაცხონებული, ამ სიბნელეში, ნეტავი, რას ხედავს-მეთქი. იქვე ფეხმორთხმით იჯდა თეთრ წვერულვაშა კაცი, გიშრის კრიალოსანს აჩხუკუნებდა და ღილის დაკერების პროცესს დასცქეროდა. ბებერი კი არა, ნაადრევად გაჭალარავებული იყო. ვიგრძენი, ეს კაცი სადღაც მენახა, საიდანღაც ვიცნობდი. ვიგრძენი და, თითქმის, დავრწმუნდი კიდევ, მაგრამ გამომცნურების დრო არ იყო, ჯერ უნდა როგორმე დავბინავებულიყავით.

ის ახალგაზრდა კაცი დაბრუნდა, რომელიც თომას აკვირდებოდა; ყაყანში, როგორღაც, დრო იხელთა, თომას ჰკითხა:

— თქვენ თომა კომოღოვი ხართ? თომამ ახალგაზრდას ახედ-დახედა და მიუგო:

— დიახ!
— წამოდით აქეთ. მე შალვა თუხარელი ვარ.

მამასახლისმა თვალები დააჰყიტა. ჩვენ უკვე ვილაკებებს ვალაჯებდით, ბილიკისკენ მივიწვევდით, როცა „ტარასტამ“ მოგვაძახა:

— კომოღოვი, კაცო! მერე, ვერ თქვი, დროზე?

პოლიტიკურები მარცხენა კუთხეში ფანჯარასთან ზემო სართულზე მოკალათებულიყვნენ. ხუთ კაცს ოთხი ლოგინი ჰქონდა, შედარებით ხალვათად იწვენ და ჩვენ ორივენი, შეიძლება ითქვას, თავისუფლად შეგვიკედლეს.

ციხეში, და ისიც რევოლუციის მსვლელობის დროს, სალაპარაკოს რა გამოლევდა! ახალი თუ ძველი ამბების მოყოლასა და განსჯაში მთელი საათი გავიდა. პოქტია ისევ ისე დაიარებოდა. მისი საქციელის შინაარსი და მიზანი ის ვახლდათ, რომ მამასახლისს თავისით უნდა მიეპყრო ყურადღება კაციისთვის; რომელიც არც რამეს თხოულობს, არც „რკინის რიგში“ იკავებს

ადგილს და ნერვოზულ, სწრაფმოძრაობის სცემს. „რკინის რიგი“ ნიშნავს კაცზე მტკაველს იატაკზე. აქ წოლა მხოლოდ გვერდზე იყო შესაძლებელი და ძილის დროს ყოველი გადაბრუნება მეზობლების გაღვიძება-შეწუხებას იწვევდა — ერთი ღრენა და ჯაჯღანი ატყვდებოდა ხოლმე. ამიტომ ღამით, გვერდის შენაცვლება მამასახლისის განკარგულებით; მთელი რკინის რიგისთვის ერთდროულად ხდებოდა. ყველა ერთად გადაბრუნდებოდა და ყველა ერთად განავრძობდა ძილსა თუ თვფენას...

პოქტიავზე ვლაპარაკობდი. მან ყველაფერი იღონა იმისთვის, რომ საჯნის მამასახლისის კანონიერ ქურდად მიეჩნია და ადგილი მიეთავაზებინა, მაგრამ მამასახლისი „დამპალი“ ანუ ციხის ცხოვრების თავისებურებებში კარგად გარკვეული კაცი აღმოჩნდა, პოქტიას სიყალბე-მყისვე იყნოსა და აღარც რაიმე ყურადღება მიუქცევია, — ივლის, დაიღლება და პარაშასთანაც მყუდროდ მოეწყობაო! როცა ბოლოს მეთოდმა არ გაუმართლა, პოქტიამ, როგორც ციხეებში ნათრევე კაცს შეეფერებოდა, სხვა ხერხს მიმართა — ადგილის წართმევის ხერხს. საამისოდ პოქტიამ ის კაცი შეარჩია, რომელიც ცოტა ხნის წინ შარვალზე ღილს იეკრებდა. არჩევანი ფორმალურად სწორი იყო; კაცი ზის, შარვალზე ღილს თავისი ხელით იეკრებს, ესე იგი, ქურდი არ არის, — დაასკვნა პოქტიამ და ამაში, თითქმის მართალიც იყო, რადგან ციხეში ქურდს ლაქია და მომვლელი არ მოაკლდებოდა. ის კაცი არც ტანსაცმლით ჰგავდა ცოტად თუ ბევრად „გამოსულს“: გახუნებული ხალათი, ღდინგაცილილ სალდათურ მძიმე ჩექმებში ჩატანებული შარვალი. მოკუნტული ზის, ფიქრობს.

რადაცნაირად დაემთხვა, რომ საუბარს მოერჩით, ძირს ჩავედი, — გავიარ-გამოვიარო, მუხლემში გავიშალთ-მეთქი. მოსიარულე რამდენიმე იყო. მეც მწკრივს ავედევნე და გავყევი. ცოტა ხნის შემდეგ პოქტია თავის მსხვერპლთან ვაჩერდა, ბილიკი

ჩაიკეტა, მოსიარულეები უნებლიეთ შეჩერდნენ. ათიოდე ნაბიჯის მოშორებით ვიდექი, პოქტიას შევეცქეროდი, — ენახოთ, რა მოხდება-მეთქი.

— ჩამო, ბიძა! — მთელი თავისი მრისხანებისა და ფეხმოუცვლელობის უნარი გააყოლა პოქტიამ იმ ორ სიტყვას.

„ბიძა“ არც განძრეულა, არც წარბი შეუხვრია, არც შესტყობია თუ გაიგონა რამე. მარტო თეთრ წვერულვაშამ მოიხედა, პოქტიას თვალი სხვათაშორის შეავლო. და ისევ მიატრიალა თავი.

იმწამსვე ვიცანი — დათა თუთაშხია! კინაღამ შევეყვირე, მაგრამ ვერ მოვასწარი... „ბიძამ“ მუხლი გაშალა, სალდათური ჩექმის ცხვირი პოქტიას შიგ სიფათში აძგერა. წამიერი გარინდება საკმარისი აღმოჩნდა, რომ დარტყმა განმეორებულყო. პოქტია შეტორტმანდა, ცხვირიდან თქრილით წამოსკდა სისხლი.

დათა თუთაშხია აუღმღვრევლად აჩხაუნებდა კრიალოსანს; თვალებს დინჯად დაატარებდა: ხან პოქტიას უყურებდა; ხან — ეკზეკუტორს, ხან დამსწრეთა რეაქციას აკვირდებოდა.

დომინოს ქვევს მაგიდაზე ჭახაჭუხი ვაუდიოდათ.

— ზედ დაგვდის, კაცო! — დაიძახა ოტაჯზე მწოლიარეთაგან ერთ-ერთმა და სისხლის წვეთებს გაერიდა.

— პარაშასთან მიდი... წამო, კაცო, წამო!..

ხალხი გაიწ-გამოიწია, გზა დაუგდეს, პოქტია პარაშასთან მივიდა, ცხვირის მოვლას მიჰყო ხელი.

— ხარჩოჯან, ეგრე გამეტებით არ იქნება, ჩემმა მზემ! — ვილატამ დაიძახა და ამ მეტსახელით მივხვდი, ვაგონილი მქონდა, ვინც იყო ეს კაცი: პროფესიით ყვაილების ვაჭარი, მოწოდებით — აქტიური მამათმავალი; რაც პერიოდულად იწვევდა მის მობრძანებას ორთაჭალაში.

— ჰა, ბალი ორი შაურიაო?! — შეულრინა პასუხად ხარჩომ, წვივები შეი-

კეცა და პოქტიას ვიზიტამდე დაწყებული ფიქრი განაგრძო.

შივასავით იჯდა. ჰგავდა კიდეც. ბოლთის მწკრივი დაიძრა, მეც მიეყევი. რატომღაც ეჭვი მეწვია, — იქნებ, ვცდები, ეს თეთრ წვერულვაშა კაცი დათა თუთაშხია არ არის, კიდეც უნდა დავაკვირდე-მეთქი.

პოქტია, სანამ სისხლის დენამ უკლო, პარაშაზე იყო დახრილი. მერე იქვე, მართალია, შეძლებისდაგვარად მოშორებით, მაგრამ მაინც პარაშის სიახლოვეს ჩაჯდა; თავი ზურგისკენ გადაიგდო და გაინახა.

პარაშასთან ჩაჯდა! ეს იმას ნიშნავდა, რომ პოქტია ქურდის უფლებებზე პრეტენზიას აღარასოდეს განაცხადებდა და თეორიულად ასე საფუძვლიანად მომზადებული მალე თავადაც მიხვდებოდა, რომ ციხეში ცხოვრების, სიცოცხლის შენარჩუნების სხვა რამ გზა უნდა ეძებნა.

ერთი-ორჯერ კიდეც დავბოლოთე და ჩემიანებთან ავედი. ანდრო ჭანეიშვილს შევეკითხე, — ის თეთრწვერა კაცი ვინ არის-მეთქი.

— დათა თუთაშხიაა. ვაგიგონია? გამეცინა.

გამოირკვა, რომ დათას ხუთად ხუთი წელი ჰქონდა მისჯილი. ვადას აქ, ორთაჭალაში იხდიდა. ერთი თვის წინათ, რატომღაც და რალაცისთვის, ქანდარმერიის საპყრობილეში გადაეყვანათ და ცხრა თუ ათი დღის შემდეგ ისევ ორთაჭალაში მოეყვანათ. საერთო ჯამში, თურმე, სულ რამდენიმე თვე იჯდა, მაგრამ მთელი ციხე იცნობდა და მეგობრებიც ჰყავდა.

— როგორ უჭირავს თავი? — ვიკითხე მე.

— არის თავისთვის.

— უსიტყვეთი კაცია, — დასძინა შალვა თუხარელმა.

— არავინ არაფერს ერჩის და არის ასე.

ვახუა აშირაჯიანი
დათა თუთაშხია



— ერჩის, თორემ... იციან, ვის ერ-
ჩილონ და ვის — არა!

— გეტყობა იცნობ, — მიტხრა ან-
დრო ჭანიევილმა.

— ვიცნობ, ბავშვობიდანვე ვიც-
ნობ, — დავუდასტურე.

ჩემი ახალი მეგობრები დაინტერეს-
დნენ და საქმე მაინც არაფერი იყო,
დათა თუთაშხიასთან შეხვედრებისა და
ურთიერთობების მოყოლას შევუდექი.

პოქტია თავჩაქინდრული იჯდა,
ხელს წარამარა ცხვირზე ივლებდა. ძა-
ლიან მიუსაფარი და საცოდავი იერი
ჰქონდა, მაგრამ ის ორი წიხლი იმას-
თან შედარებით მაინც არაფერი იყო,
რაც ციხეში ზომიერად ითვლებოდა
და რაც იმ დროისთვის უკვე არაერთ-
ხელ მქონდა ნანახი. სხვა პოქტიებს
მსგავსი შეცდომა „ნახევარი სიცოცხ-
ლის“ ფასად უჯდებოდათ. ასეთი ტერ-
მინიკი კი იყო ხმარებაში: «ОКТЯБРЬ
ПОЛЖИЗНИ».

დათაზე ლაპარაკს მოვრჩით. ისევ
ძირს ჩავედი. ვფიქრობდი, ერთი-ორ-
ჯერ კიდევ ამეველ-ჩამეველო და თვი-
თონ თუ ვერ მიცნობდა, მე გამოვცნა-
ურებოდი.

— მოდი აქ, ბიჭო! — დაუძახა ხარ-
ჩომ პოქტიას.

პოქტია ისევ ისე იჯდა, თავი არ
აუღია — რა იცოდა, თუ მას ეძახდნენ.

— მოდი-მეთქი, შენ გეუბნები!..
მაახედეთ! — ვაიმეორა ხარჩომ.

მეზობელმა პოქტიას ნიდაყვი წაჰ-
კრა, — შენ გეუბნებიანო!

პოქტია ერთხანს მილურსმულივით
იყო, ტახტის ზემოთა სართულს წარ-
ბებს ქვეშიდან აპყურებდა. მერე წამო-
დგა, მწოლიარეებს გადაალაჯა, ხარ-
ჩოსთან მივიდა, მაგრამ იმ ვარაუდით
დადგა, რომ გამოქნეული წიხლი ვე-
ლარ მოსწევდომოდა.

— ამო, დაჯე! — წყნარად შერიგე-
ბის კილოზე უთხრა ხარჩომ.

პოქტია შეყოყმანდა, მაგრამ ავიდა.

დათა თუთაშხიამ ნაცემს ცხვირპი-
რი ვულმოდვინედ დაუთვალიერა და
განზე გაიხედა.

პოქტიამ ცალი ფეხი შეიკეცა და
რე — ტახტიდან ძირს გადაიშვირა და
თავის ეგზექტორს გაჯაერებული
თვალები მიაპყრო.

— ეხლა, რა გითხრა! — მშვიდად,
მამასავით მიმართა ხარჩომ. — ეგ რამე
ვინც გასწავლა, არ გითხრა, „ბიძა“ თუ
არ ჩამოვიდა, მერე რა უნდა ქნაო?

პოქტია გაფაციცებით შესტყურო-
და, ხმას არ იღებდა.

— შოოო, აი!.. არ უთქვამს, რაღა.
მე გეტყვი, შეიძლება რო გამოგადგეს...
ხარჩო ძირს ჩახტა, ანაზღაოთ, თანა-
მოსაუბრის ფეხს ეცა... პოქტია იმავ
წამს ადგილს მოწყდა, ჰაერში კამარა
შეჰკრა, დომინოს მოთამაშებებს თავზე
გადაეველო და პარაშასთან მოადინა
ბრაგვანი.

— ვაჰ! — აღმოხდა ერთ-ერთ მო-
თამაშეს. — ნახე?!

— დასვი, კაცო, რა დროს ეგენია!..

— ვაჰ, არა ნახე?

— დასვი, დასვი!

— არა... ნახე, რა იყო?!

— მიდი, დასვი-მეთქი, ჰა!

მოთამაშემ დომინოს ბოლოები მო-
ათვალიერა, თავის ქვეებს ჩახედა და
დასვა.

ხარჩო ტახტზე ავიდა.

— ჰოო, აი, ეგ დავიწყანია, რაღა! —
თქვა როცა წვიგები ისევ შეიკეცა და
რივიანად მოიკალათა.

აქ სრულიად მიულოდნელი რამ
მოსხდა: დათა თუთაშხიამ უკან გაიჩო-
ჩა, ბეჭები კედელს მიაყრდნო, ხარჩოს
თეძოებს ორივე ფეხი ერთდროულად
აძგერა. ხარჩომ, რა თქმა უნდა, პოქ-
ტიას ტრაექტორია გაიმეორა, მაგრამ
იმ განსხვავებით, რომ უკანალით შიგ
დომინოში ჩაჯდა. მაგიდა მორყეული
იყო, იმოდენა სიმძიმის დანარცხებას
ვერ გაუძლო, ნაწილებად დაიშალა.
ხარჩომ ზეზე დადგომისა და წონასწო-
რობის შენარჩუნების ცდისას პარაშა
ხელჰყო, უკეთ ვოქვათ, ფეხჰყო და
საკმაოდ შედგვიანდაც. ირგვლივ მწო-
ლიარენი თუ მსხდომნი მყისვე, თვა-
ლის დახამხამებაში, დენაკრავებივით

წამოცვივდნენ და ისეთი ალიაქოთი ატყდა, როგორსაც ციხეშიც კი იშვიათად შეხვდებოდა კაცო.

სახელდობრ, რა რას მოჰყვა, ამის აღქმა-დადგენა შეუძლებელი იყო, არც ვცდილვარ. ცემა-ტყევის, ღრიანციელის, ნეკნების მტკრების რამოდენიმე კერამ ერთდროულად იფეთქა და თვალის დახამხამებაში, თითქმის მთელი საკანი ჩაითრია. დომინოს მოთამაშეთაგან ორი იქვე, იატაკზე მწოლიარე ხალხს ჭაასკდა. აქ ხელჩართული ბრძოლა უმთავრესად სახელდახელოდ წაძრობილი ჩექმებით, მძიმე ფეხსაცმელებითა და კალოშებით წარიმართა. ფეხყოფის შედეგად წამოვარდნილი რკინის რიგი ხარჩოს ეტაკა. მამათმავალს, ბარე ათი კაცი ერთდროულად უზავუნებდა: ვინ — მუშტით, ვინ — წიხლით, ერთს წყლის კასრის ვეება ხუფი ეჭირა და ჩარტყმა კი ვერაფრით მოეხერხებინა, სხვები უშლიდნენ ხელს. ბოლოს, როგორც იქნა უყელა, მოუქნია, მაგრამ ხარჩოს მაგივრად სხვას დასცხო და ჩხუბის ახალი კერაც მისივე წარმოიშვა. პოქტია ხარჩოზე მისეულ ზედახორას უტრიალებდა, მარჯვენა ხელის სალოკი თითი გაბზეცილი ჰქონდა, შესაფერ პოზიციას ეძებდა, რომ თავის ეგზეკუტორისთვის შიგ თვალიში ეტაკებინა. გამომრჩა მეტყვა, დაკა-დაკა დაიწყო თუ არა — ტახტზე ავხტი, თორემ ლაპარაკი ზედმეტია, მეც ძალიან კარგებისა მომხედებოდა. ზემოდან ბრძოლის ველი საუკეთესოდ ჩანდა. მტკიცედ შემოიძლია ვთქვა, ყველაზე ნაკლებად კურკალა, ანუ დომინოს მესამე მოთამაშე დაზარალდა. იატაკზე მწოლიარეებმა იგი ერთხანს აბურთავეს, მერე ხელებსა და ფეხებში ჩააფრინდნენ, ტომარასათვის გაქან-გამოაქანეს და ტახტზე ამოსროლეს. კურკალა ჩემსა და დათა თუთაშხიას შორის დაებერტყა. მისდა ბედად, ვარდნის დროს დიდად არავინ დაუზიანებია, ამიტომ ტახტზე მკდომთავან ორიოდ მუჯლუგუნის მეტი არც არაფერი მოხვედრია. არც თავად ცდილა,

მუჯლუგუნების სამაგიერო მიეზლო და ასე იაფად და მექანიკურად მასურებელთა პარტიკაში ჩაირიცხა. კურკალამ რომ დანახა, აღარავინ რასმე მერჩისო, სასწრაფოდ წამოიჭრა და ამის შემდეგ მთელი იმ ომის მანძილზე სულ ერთი და იგივე იძახა:

— ვააა, ე რა ხდება, კაცო!.. — ამას იტყოდა, დაბეგვილ ადგილებზე ხელებს წაივლებდა, დააყოლებდა: — უჰ, უჰ, ვაი, ვაი, ვაი! — და თავიდან იწყებდა: — ვააა! ე რა ხდება, კაცო!..

სხვათაშორის, არც თვით მოჩხუბრებსა და მასურებლებს ესმოდათ, თუ რა ხდებოდა. სათავე სად იყო, ხარჩოს მეტმა არავინ იცოდა. ყოველ შემთხვევაში, საყოველთაო ჩხუბის იმ წუთში, რომელსაც ახლა ვყვები, ასე ჩანდა.

ღიახ. ხარჩო-მეთქი, და ხარჩო იმ მომენტში ერთბაშე მძიმე საშიშროებას განიცდიდა. ეს ეპიზოდი თავიდან, სახელდობრ, როგორც დაიწყო, არ დამინახავს; ომის სხვა უბანს შევცქეროდი. ხარჩოსკენ მაშინ გავიხედე, როცა კურკალამ გიჟივით დაიძახა:

— ვააა!.. იმას ნახე, ხარჩოს ნახე... არა, დარდაკასაც ნახე, ვააა! ე რა ხდება, კაცო!..

რა ხდებოდა და, ხარჩო წაქუშული ეჭირათ, ბოდიშს ვიხდი, წელს ქვევით ერთბაშე შილიფად იყო. იქვე, მასთან გასამიჯნურებლად სრულიად და ყოველნაირად გამზადებული დარდაკა — ხარჩოს კოლეგა მამათმავლობის დარგში — თავისი ვერაგული განზრახვის სისრულეში მოყვანას ცდილობდა. მაგრამ ხარჩო ბორჯავდა...

დათა თუთაშხია კვლავინდებურად მუხლებშეკეცილი იჯდა, რაღაც სავანგებო ყურადღებით დაჰყურებდა იმ ულმოზელ, უაზროდ თავაწყვეტილ, გადარეულ სამყაროს. მის იერში ცნობისმოყვარეობა უფრო სჭვივოდა, ვიდრე გაოცება ან პირველმიზნობის სინანული. მომეჩვენა, რომ იგი ყველაფერს ერთად უყურებდა, როგორც

ვახუა აშირეჯიბი
დათა თუთაშხია



ორკესტრის უსმენენ ხოლმე, და სრულად არ აინტერესებდა ამა თუ იმ ეპიზოდის შინაარსი ან სიმძაფრის დონე.

თქმა რად უნდა, ისეც ადვილი წარმოსადგენია, საკანში როგორი ღრიანცელი იდგა, მაგრამ სწორედ ჩემს ფეხთით ერთი ისეთი შეკვივლება გაისმა, რომ ხარჩო-დარდაკას სამიჯნურო ეპიზოდს თვალი უმაღ და უნებლიეთ მოვწყვიტე, ძირს ჩავიხედე. დაივიწყების ავტორი ვერ დავადგინე, საზარელი ზედახორა იყო, ოცამდე კაცი ერთ დიდ გორგლად ჩახვეულიყო და ვინ ვისა სცემდა, ვინ ქვევით იყო და ვინ ზევით — ვერავინ ვერაფერს გაუგებდა. ჩემი ყურადღება, უპირველესად ყოვლისა, დომინოს მეოთხე მოთამაშემ მიიპყრო. კანონიერი ქურდი ბრძანდებოდა, მეტსახელად ტამბია ჰქონდა. ის ტამბია ზედახორას დასტრიალებდა, ცდილობდა ერთმანეთში გადახლართული, მხენეშავი სხეულების ქვეშიდან დაღწეული მაგიდის რომელიმე ფეხი გამოეღო. რამდენჯერმე ხელიც კი მოავლო, მაგრამ სხეულები ზედ იწვნენ და ვერაფერს ხდებოდა. ამ დროს სასამელი წყლის კასრის ხუფი რატომღაც დარდაკას ჩასცხეს თავში. დაარეტიანეს, წაქცევა არ დააცადეს — პირდაპირ პარაშაში ჩასვეს. მართალია, დარდაკა გონს უმაღვე მოეგო, პარაშიდან ამოვიდა, მაგრამ, ცხადია, გადატანილი ფათერაკის შემდეგ სქესობრივი აღტიკინება სავსებით დაკარგული ჰქონდა და ხარჩო პროფესიულ შეურაცხყოფას გადაარჩა.

ტამბიამ, როგორც იქნა, მაგიდის ფეხის გამოღება მოახერხა. ვიფიქრე, — ახლა ამ მუხის კეტს დაატრიალებს და, ვაი იმის ბრალი, ვისაც მოხვდება-მეთქი, მაგრამ ნურას უკაცრავად, არავისთვის უთავაზებია — ტახტს გასწვრივ ჩაპყვა, დათან ათიოდ ნაბიჯით ვასცდა, ჯერ მაგიდის ფეხი ამოაგდო ზემოთ, მერე თავადაც ამოვიდა და კეტით შეიარაღებული ჩვენკენ დაიძრა. ვამივლვა, — ქვემოთ მოჩხუბრებს ზემო-

დან დაუწყებს კეტით ცემას-მეტყობა მაგრამ სულ სხვა რამ მოხდა: ტამბიამ კეტო მართლაც; ისე შემართა; ვითომ ძირს ერთ-ერთი მოჩხუბრის დამარცხება ჰქონდა განზრახული და უკანასკნელ წაშში დათა თუთაშხიას დასცხო! თავში მოხვედრება უნდოდა, მაგრამ ტამბია უგრძობ დათან თუ თვალმა — არ ვიცი — რაღაცნაირად წაიხარა, კეტის მის ბეჭებზე დასხლტა და ტახტს დააცხრა. ხმის ამოდება ვერც კი მოვასწარი — ტამბია განიარაღებული გახლდათ, გაქცევის მიზნით, პირდაპირ მოჩხუბრებში გადაშვებას აპირებდა; რომ დათან მოქნეულმა კეტმა მოუსწრო. ტამბია ტახტის კიდევ სველი ჩვარივით დაეცა და ძირს შერედა გადავარდა.

— ვააა! ამას ნახე... ტამბიას ნახე... ქურდებსა სცემენ!!! ე რა ხდება, კაცო!.. ქურდებსა სცემენ!!! — დაიძახა კურკალამ.

ამ წამოძახებამ მაგიურად იმოქმედა, რადგან მაშინდელ ციხეში ქურდი ხელშეუხებელი იყო, ქურდის მცემელს სიკვდილი თუ არა, „ნახევარი სიცოცხლის“ წართმევა მაინც ჰქონდა განადღებულ. რა-თქმა უნდა, ყოველ მოჩხუბრთაგანს ესმოდა, რომ მისი მოწინააღმდეგე თუ მსხვერპლი, შეუძლებელია კანონიერი ქურდი ყოფილიყო — ისინი ასეთ საქმეში მონაწილეობას საერთოდ არასოდეს მიიღებდნენ და, ამ კერძო შემთხვევაშიც ზემო ტახტზე ერთად მოქუჩებულები გადმოპყურებდნენ სანახაობას, მოკლე კომენტარებში ამკობდნენ ომის მსვლელობას. მაგრამ, — ქურდებსა სცემენო, და იმაში დარწმუნება, რომ ქურდთან არ აქვს საქმე, მაინც ყველასთვის, საჭირო იყო. ამიტომ ჩხუბის ტემპი იმ წამოძახილისთანავე დავარდა, მხოლოდ ორი-სამი წამით დავარდა და ისეც ახალი ძალით იფეთქა.

— სადა სცემენ?! — დაიძახა კამბულამ.

— ვისა სცემენ?! — ყურები სცქვიტეს სხვა ქურდებმა.

— ტამბიას ნახეთ, ტამბიას!.. ბაიყუშმა, ბაიყუშმა! — დიძახა კურკალამ, დააყოლა: — ვაა! ე რა ხდება, კაცო! — და გაფრინდა კიდეც: დათას კეტმა ნიჩბით ახვეტილი ნეხვივით გადაავლო ტახტიდან.

ბაიყუში, თურმე, დათა თუთაშხიასთვის შერქმეული სახელი იყო და ის იმოდენა ბრბო პირდაპირ ჩვენკენ გამოქანდა. ფიქრის დრო აღარ მქონდა, ზეზე წამოვიჭირი, გადაველობე. იმავ წამს წამქციეს, ზედ გადამიარეს, დათას ეტაკნენ. დათას კეტი ეჭირა, სამი თუ ოთხი ქურდი თვალის დახამხამებაში გამოიყვანა მწყობრიდან, სხვები შედრკნენ, კეთება წამით შეწყდა.

— ეგ კეტი აქ მომე! — უბრძანა კამბულამ დათას.

— მოდი, ბიძიკო, და წაილე!

— ჰა, ბაიყუში!.. მოვალთ, კეტსაც წავიღებთ და ჯანსაც! დააგდე, რო გეუბნებიან!

— მე არ მიხვია ხელი თქვენთვის პირველს, მან დამარტყა ჯერ, ეგერ რომ გდია, ტამბია რომ ქვია, ის...

— პირველი-მეორე არ ვიცი! კეტი დააგდე, თორე მოვედით და ეგ არის!

— ჰა, ბაიყუშჩან, დააგდე, ვერა ხედავ, რამდენნი ვართ?!

— ძალა ერთობაშიაო, ხო იძახიან, არა?.. აი, ერთი ბა შენ ჩვენი ნახე... ეგ მაგათ ჩვენგან ისწავლეს; ჩემმა მზემ და შენმა მზემ, ჩვენგან!..

— წაილეთ, ახლა, ის თქვენი ტამბია, ბოვშეებო, და წადით მშვიდობით! — უთხრა დათა თუთაშხიამ.

— არ იძლევა, ნახე?

— გიქია, რაღა!..

დათა თუთაშხიამ უმალ იგრძნო, ქურდების შემტევი სული გატეხილი იყო და აღარც დაუყოვნებია — თავად ეკვთა. კიდეც ორი თუ სამი კაცი იქვე წაქცია, სხვები ძირს პანტა-პუნტით გადაცივდნენ, მაგრამ ზურგიდან წამოპარულებმა დათას საბანი გადააფარეს თავზე, წაქციეს და ცემა დაუწყეს. ძირს გადაყრილი ქურდები, მათ შორის, თავდახეთქილებიც კი, ყვე-

ლანი თვალის დახამხამებაში ამოცივდნენ, წაქცეულ დათას დააცხრნენ, როგორც სვეები ლეშს, და ყველამ ერთდროულად, დაუნდობლად დასცხეს — რითაც და როგორც შეეძლოთ. ალბათ, გასაგებია, რომ ვაშველებდი და პოლიტიკურებმაც ყველამ მიირბინეს, ვაშველებმა ჩაებნენ, მაგრამ მხოლოდ ვაშველებმა, რადგან პოლიტიკურებსა და ქურდებს შორის ერთი უთქმელი პირობა არსებობდა — ერთმანეთს არ ვერჩოდით, და ეს პირობა რუსეთის იმპერიის ყველა საპყრობილეში, ყველანაირ ვითარებაში მოქმედებდა. დათა პოლიტპატიმარი არ იყო, ამდენად, მხოლოდ ვაშველების უფლება გვქონდა. მართალია, ჩვენ რომ არა, იმ ვაშველებულ ნაძირალებს დათა თუთაშხია იქნებ სიკვდილის პირამდეც მიეყვანათ, მაგრამ მთავარი მაინც თვით დათამ შესძლო: ერთი, რომ კეტი ბოლომდე ხელთა მქონდა, ვერაფრით წაართვეს და, მეორე — მომხდურებს ძალიან მოხერხებულად, დიდი ოსტატობითა და საქმის ცოდნით იგერიებდა. თვლაზე თუ მიდგა, ქურდების ერთ დარტყმაზე დათას სამი დარტყმა მოდიოდა. ეგ არის, ქურდები ოცამდე იყვნენ და დათა კი მარტო-ხელად იცავდა თავს, თუ გამშველებლებს არ მივიღებთ მხედველობაში... ქურდებისა და დათას ომის დროს საკანში რა ხდებოდა, დაწვრილებით ამისას ვერაფერს ვიტყვი, სხვებისთვის არ მეცალა. ერთი კია — ჩხუბში მონაწილეთა რაოდენობამაც იმატა, ტემპმაც და ვაშვაგებამაც. ძნელი სათქმელია, რამდე და სადამდე მივიღოდა საქმე, საკნის კარი რომ არ ვაღებულყო და ზედამხედველს არ დაეძახა:

— ტარასტა, აბეეე!

ბალანდა მოგვიტანეს!

გფიცავ სინდისს, დაუყოვნებლივ და იმწამსვე, მყისვე და ერთბაშად დამთავრდა ყველაფერი. ქურდებისა და დათას ბრძოლაც კი დამთავრდა, რად-

ვაპაპა ამირჯიიზი
დათა თუთაშხია

გან ზედამხედველს იქით ამანათების დამტარებლის მსუქანი სიფათი გამოჩნდა და ამას კიდევ ერთი დაძახება მოჰყვა:

— პერდაჩები მოვიდა, ტარასტაა!

ქურდებმა ყურები სცქვიტეს, დათას დაეხსნენ, კამბულამ წარმოსთქვა, — მეფშვით, გიჟიანო, და თავისი კუთხისკენ გაიკრიფნენ საკანი დაცხრა, ახალა გავიგონე, რომ მთელი ციხე, უკლებლივ ყველა კორპუსი და საკანი ღრიალდება:

— ქურდებსა სცემენ!!!

ეს ღრიალი სხვა ქურდების ორგანიზებული იყო — რა თქმა უნდა, სოლიდარობის, მხარდაჭერის, კოლეგების ხელმყოფთა დაშინება-დაშოშმინების მიზნით და დადუმდა თუ არა ჩვენი საკანი, ის ერთობლივი ღრიალიც შეწყდა.

— უჰ! ვათავდა, ვონია, კაცო?! — საკნის „ტარასტამ“ ტახტის ქვეშიდან გამოყო თავი, მიიხედ-მოიხედა, დარწმუნდა, რომ მართლაც ყველაფერი დამთავრებული იყო.

გამოდგრა, ტანისამოსი შემოიბერტყა, თანაშემწეებს თავი მოუყარა და მათი თანხლებით კარისკენ გამოსწია.

საცაა, ამანათებიც უნდა შემოეტანათ, ქურდები თავის „კუთვნილ წილს“ ტიტანური სიმშვიდით ელოდნენ.

დათა თუთაშხია წამოდგა, მოწესრიგდა, ცხვირსახოცი ამოიღო, დასისხლიანებული თავბირი შეიწმინდა, უცაბედად შემომხედა, მიცნო და ძალიან გადამღები ხარხარი აუვარდა.

ბალანდის დარიგებას შეუდგნენ, საკანი თიხის ჯამებისა და ხის კოვჩების ბორილმა მოიცვა. კასრებთან რიგი დამწკრივდა. ხმას არავინ იღებდა. ახლახან ნაჩხუბრები, ხანგრძლივი უსაქმობითა და მოწყენილობით გულგაწვრილებულებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ერთიანად დაბეგვილ მოწინააღმდეგეებს. ხანდახან თუ იტყოდა ვინმე, — კარგად ამოურიე და ისე დაშისხიო! — ეგ იყო.

მე და დათა ვისხედით, ვსაუბრობ-

დით. ძალიან ნაცემი იყო, მაგრამ მაინც ისე ეჭირა თავი, ვითომ, არც ეჩხუბოს, არც ეცემოთ და არც არაფერი სტკენოლდეს.

საკანი ბალანდის ხვრებას შეუდგა. ფელდშერი მოვიდა, — ბიკენტი იალქანიძე, დაშავებულების მკურნალბა გაახურა. მერე ვილაცას გასძახა, — მე აქ მართო ვერაფერს გავხედებო, და ცოტა ხანში მეორე ფელდშერიც მობრძანდა.

წყლები და ტილოები შემოიტანეს, იატაკის რეცხვას მიჰყვეს ხელი. სიბინძურეში ამოთხვრილებმა პარაშა დასაცლელად წაიღეს, იქიდან ზედამხედველებს აბანოში უნდა წაეყვანათ.

ამანათების მიღება-ჩაბარება დაიწყო.

„შობლებმა“ — ამთ შესახებ ცოტა მოგვიანებით ვიტყვი — ბალანდა შეეცაპეს, ფანჯრებს აეკერნენ და ჩვენს საკანში მომხდარის გამო ზემო სართულებისთვის ზუსტი ანგარიშის ჩაბარებას შეუდგნენ.

— ვაა! ეს რა მოხდა, კაცო!.. — თავისას გაიძახოდა კურკალა.

ხარხო დაბრუნდა. თავი შეხვეული ჰქონდა, სახეზე ბარე ათვან ეკრა საღბუნი და მხოლოდ თვალები მოუჩანდა. ცალი მკლავი კისერზე შებმულ ჩვარში ჰქონდა გაყრილი, მეორეთი შარვალი ეჭირა, — არ ჩამვარდესო: გაწამაწიაში ახლახან დაკერებული ღილები ასწყვეტოდა. ზემოთ ამოსვლა დააპირა. ერთიანად დაღუწილი იყო, ვერც ფეხი დაიმორჩილა და ვერც ხელი.

— ხარხო-ბატონო, — მიმართა დათა, თუთაშხიამ, — რომ ამოდგერე, გეღარ ჩახვალ, მაინც, მოსაქმება მოგინდეს, იქნება, და პარაშას არ მოგიტანენ აქ, იცი შენ ეს. ერთთა კიდევ — გაუპატიურებული მამათმავალი არ მჭირდება გვერდში.. არ დამიწყო, ახლა, ვბორგავდი, ის საქმე არ ყოფილაო და მისთანები. ა, შენ შენი ბარგი, სხვაგან მოძებნე ადგილი, თუ კაცი ხარ.

ამას თქმა იყო, დათამ ხარჩოს ყურთბალიში და მყრალი საბანი აგორგლა — მუთაქის ტოლა გამოვიდა. მერე ყელზე ხელის ჩამოსაკიდებლად შებმული ჩვარი გაუწია, შიგ ანაგორგლი შეუჩარა და მე მომიბრუნდა:

— თქვენთან ერთად მოიყვანეს ის ბიჭი, ამან რომ გადაავდო... ეგერ რომ ზის. რა ქვია, თუ იცი?

— პოქტია მქვიანო, — ვაცნობე მე.

— რას არ გამოიგონებს ეს ხალხი... პოქტია, მიდი აქ, ბიძიკო! — დაუყვირა დათამ.

ბიჭი მოვიდა, ღმილით ამოგვხედა.

— ამოდი და დაწევი აქ. გათავისუფლდა ადგილი.

პოქტია უკვე ჰკუანასწავლი იყო, წარბი შეჰკრა, დათას ექვის თვალი ესროლა.

— ამოდი, ბიძიკო, ამოდი! — გაუშეორა დათამ.

პოქტია დარწმუნდა, საშიშროება რომ არაფერი იყო და მარდად ამოვიდა.

— გაშალე ეს ჩემი ნაბაღი, ორნი რომ მოვთავსდეთ, ისე, და მოგიტანენ, ალბათ, ლოკინს მერე და მერე... არაფერი ქურდი არ ხარ შენ და აზნაურობის მაძიებლობას დაანებე თავი!

პოქტიამ გაიცინა, შიშველ ფიცრებზე წამოწვა.

— კვიმსაძე არი, კვიმსაძე?! — დიძახა ამანათების დამტარებელმა.

— არის, არის, — დაუდასტურა მამასახლისმა და პოლიტპატიმრებს გასძახა: — კლასიონ, ამანათია შენი აქ, კვიმსაძევე!

— კლასიონ ბიჭიევიჩი! აგერ ვარ, მოვლივარ!

კლასიონი ორმოციოდე წლის კაცი იყო. თვრამეტი წლის ასაკის შემდეგ თხუთმეტი წელიწადი ციხეებსა და გადასახლებებში ჰქონდა გატარებული — დანარჩენი დრო, როგორც თვითონ ამბობდა, ხელახლა ჩასაჯდომად ემზადებოდა. მას იცნობდა რუსეთის იმპერიის არალეგალური სამყაროს თითქმის, ყო-

ველი ცნობილი წარმომადგენელი, მაგრამ ვერავენ იტყოდა, თუ რომელ პარტიას ეკუთვნოდა კლასიონი, რა პოლიტიკური მრწამსი ჰქონდა, ან რა სურდა გარდა იმისა, რომ ცარიზმი ყოველ მიზეზს გარეშე განადგურებულყო. სასაცილო, მაგრამ საჭირო კაცი — ასე უწოდებდნენ კლასიონ კვიმსაძეს და ეს დახასიათება საოცრად სწორი გახლდათ. იყო მის ბიოგრაფიაში ასეთი მომენტი: ერთ-ერთი გაცხარებული კამათის დროს, როცა ვედარაფერი გაუგეს, თუ რომელ პოლიტიკურ მოძღვრებას იზიარებდა, პირდაპირ ჰკითხეს:

— თქვენი პლატფორმა, ამხანაგო კლასიონ?!

— რიონი, ბატონო! — კლასიონი ქუთაისელი მღვდლის შვილი იყო.

სწორედ იმ ქუთაისელი მღვდლის — მოხუცი ბიჭია კვიმსაძის შემოგზავნილი გახლდათ ის ამანათი. უზარმაზარი რამ იყო, კლასიონმა მარტო მოხარული დედლები მიითვალა — თორმეტი.

— კლასიონ-ბატონო, მაგ თორმეტ დედალში ერთი ნამდვილად მამაჩემის შეწირულია მამაშენის ეკლესიისთვის, — გაემსახრა ვილაქ ქუთაისელი.

— შენ რომ დაგიჭირეს, მას მერე სად ყავს ქათამი მამაშენს, ბიჭო? — შეუბრუნა კლასიონმა. — ჰა, შენ ერთი დედალი, გაუგზავნე ოჯახს, ყავდეთ, სანამდე გაგიშვებდნენ და საკუთარი დაუბრუნდებოდეთ შინ. ჰა, შენ ხაჭაპური და, აგერ, შოთიცი წაიღე ერთი.

კლასიონ კვიმსაძემ ხორავი მოიტანა; დაახარისხა, დაანაწილა, ჩვენთვის იმდენი დაიტოვა, რაც არ გავვიფუჭდებოდა და მისაკითხავების დაგზავნას შეუდგა. ამასობაში ანდრო ჭანეიშვილმა სუფრა გააწყო.

— ალექსი, წამოიყვანე დათა და მოლით, ვკამათ, კაცო, აღარ მოგშივ-

ვახუა ამირაჯიანი
დათა თუთაშვილი

დათ? — დაგვიძახა შალვა თუხარელ-
მა.

— გადიშალე ნაბადი და დაწევი
ისე, — უთხრა დათა თუთაშხიამ პოქ-
ტიას, როცა წასასვლელად გავწიეთ.

მევედით, ტახტზე გაშლილ პურმა-
რილს შემოვუსხედით. კლასიონი ერთი
ჩოჩქოლ-ჩოჩქოლით გზავნიდა მისა-
კითხავენს და ყოველ გზავნილებას
სიტყვიერ ტექსტს მიყოლებდა:

— ა, წაუღე ეს ქურდებს, სისხლი
გაშრა მაგათი, რაფრა ჩამცხო რომე-
ლიდაცამ იმ გაშვებელ-გამოშვებელ-
ში, კუქუზნაყი მტკივა. გავგაყედ ლა-
მის... წაუღე და უთხარი, — წილი არ
გეგონოთ, კლასიონ კვიმსაძისაგან არა-
ფერი წილი არ გეკუთვინოთ; მოსაკით-
ხავია ეს-თქვა... მეტი არ იქნა ჩვენი
მტერი და იქამდე არაფერი ეტყინოს
მამაჩემ ბიჭია კვიმსაძეს... „უუფუჯლო
შეგვიწყალე, უფალო შეგვიწყალე,
უფალო შეგვიწყალეე!“ — მამას გა-
მოაჯავრა შვილმა. — წაუღე და, — მო-
საკითხავია, წილი არ გეგონოთ, თქვე
ტილიანებო-თქვა, არ დაგავიწყდეს ეს...

— ძალიან კობტად გამოგდის, კლასი-
ონ, შენგან კაი მღვდელი დადგებო-
და, — გაემასხრა შალვა თუხარელი.

— მეფეს რომ უნდა მღვდლებად
გამოხარდოს, ისინი დაუნგრევენ სწო-
რედ მიწიერ სასუფეველს, თვარა, ვნა-
ხავთ მაგასაც!.. — კლასიონმა ხელები
გადაიფშვინტა, მკაფი გატეხა და ჭამას
შეუვლექით.

— ასეთი ხაჭაპურები იცის, საცო-
დავმა ელემ, ჩემმა დამ, — თქვა დათა
თუთაშხიამ, პატარა ხანს იფიქრა და
დასძინა: — რამდენი ხანია ვზივარ და
ერთხელ არ მოსულა აქ. რაღაც არის
მის თავს, ნამდვილია ეს.

— ამ ერთ კვირაში ორჯერ გადმოგ-
ცეს და ვის მოაქვს, გყავს ვინმე თბი-
ლისში? — ჰკითხა შალვა თუხარელმა.

— რაღვია ჩემი, ბიძაშვილის ცო-
ლი.

— არ იდარტო, ღმერთი მოწყალეა,
დათა-ბატონო, — გაამხნევა კლასიონ-
მა.

— კლასიონ, ქერა ზანგი გინახავს
შენა? — მიამიტად ჰკითხა შალვა თუ-
ხარელმა.

— ნახავ მეფის და მისი სატრაპების
ხელში რამეს! — დაუყოვნებლივ და
სრულიად სერიოზულად მიუღო კლასი-
ონმა, ერთხანს იფიქრა და თქვა: —
რავა, არის საერთოდ ქერა ზანგები,
თუ?

ხარხარი ატყდა. კლასიონს შერცხ-
ვა, რომ წამოეგო და მისაფურჩეხებლად
დათას შეემასხრა:

— შენ მაინც რა გაცინებს, ვიცოდე
ერთი! სიკვილის რომ გადარჩი, ის
გინარია, ზომ?.. დედა, რა ურტყეს და
რას გაუძლო ამ კაცმა, არ იტყვიო?

— ასე, მართლაც, არ ვუცემივარ
არავის და არასოდეს, — სიტყვითვე
დაუქრა კვერი დათა თუთაშხიამ. —
ძალიან ბევრნი იყვნენ, ოხრები!

— შენი ხასიათის პატრონს, უარე-
სი მოგიწევს და ხშირად მოგიწევს, ძა-
მიკო, — დასძინა კლასიონმა.

— რა ხასიათი მაქვს ასეთი, ნეტა-
ვი?

— რაც სახელი შეგარქვეს, ის ხა-
სიათი გაქვს, სწორედ! მარტო კაცი
ჭამაშიაც ბრალიაო, — არ უსწავლე-
ბიათ პატარაობისას შენთვის ეს ანდა-
ზა, დავით-ბატონო?.. მარტო არ უნდა
იყო, ვინმეს მხარეზე უნდა იყო, თვა-
რა, ნაბეგვი იქნები სულ. ასეთია „სე
ლა ვი“ და რას იზამ! — დაუფრანგუ-
ლა კლასიონმა.

— აქ ექვსნი ვართ. ადვილი შესა-
ძლებელია, ბრძოლის სწავდასხვნაი-
რი მეთოდების მომხრენი ვიყოთ, —
პირველად გამოელაპარაკა დათას თომა
კომოდოვი, — მაგრამ ერთი რამ ექვ-
სივეს გვაერთებს — ხალხის უმჯობე-
სი მომავლისთვის ბრძოლის წყურვი-
ლი. რომელ პოლიტიკურ მოძღვრება-
საც არ უნდა იზიარებდეს ყოველი
ჩვენგანი, საბოლოო მიზანი მაინც ერთ-
ნაირი გვაქვს. ეს გვაერთებს, ამით
ვართ ძლიერები!..

— ნამეტანი ძლიერები ვართ, ნა-
მეტანი! — სიტყვა ჩამოართვა კლასი-

ონმა. — ძლიერები!.. გაჩერდი, თუ
კაცი ხარ. ისე ერთობით ვართ და ისე
ძლიერები ვართ, რომ ერთი ძლიერიანი
მეფე ვერ ჩამოვადგეთ, არ დაადგა სა-
შველი და, მაგ კი არა, აქეთ გამოვვალ-
პო ციხეებში!.. ე, ერთობით ვინ არის!
— კლასიონმა ქურდებისკენ გაიშვირა
ხელი.

— მაგენი!.. — თქვა დათამ. — მა-
გათი ერთობა იქიდან მოდის, რომ ყო-
ველ მათგანს ცალ-ცალკე თავის გატა-
ნა და კაი ცხოვრება უნდა. საკუთარი
კეთილდღეობისთვის ერთობაა ქურ-
დების ერთობა! სხვისი კეთილდღეო-
ბისთვის ერთობა სხვაა კიდევ და ცოდ-
ნა უნდა ამას. ამის უტოლინარი კაცე-
ბით რომაა სავესე რევოლუციური მო-
ძრაობა, მიტომ არის ის ერთობა ფუყე
და უსუსური და მიტომ არის, ამდენ
ხანს რომ ვერ იმარჯვებს!

— დიდი მცოდნე კაცი ყოფილხარ,
რა ხანაა გატყობ, დათა-ბატონო, და
რომ გვასწავლიდე, ცარიზმს რა მოვუ-
ხერხოთ, კაის იზამ, ნამეტანი, — წაე-
ქილიკა კლასიონ კვიმსაძემ.

ბავშვობიდანვე ვიცოდი, დათა: თუ-
თაშხია დასაცინი კაცი არ იყო და
მეუხერხულა. ისიც დავინახე, რომ
კლასიონს არც სხვებმა მოუწონეს საქ-
ციელი. თვით კლასიონიც რამდენადმე
შემცბარი იყო, მაგრამ მგონი იმიტომ,
რომ სამასხროდ ნათქვამმა მოსალოდ-
ნელი რეაქცია არ მოუტანა. მხოლოდ
დათაზე ვერ იმოქმედა კლასიონის უშ-
ნო ოხუნჯობამ.

— დიდი მცოდნის — რა ვითხრა
და ვერც იმისას მოგახსენებ, ცარიზმს
როგორ უნდა მოველოს, მაგრამ დავიყ-
ვან, აგერ, ამ ბარკალს და ვიტყვი, რაც
ვიცი!..

— ქურდების ერთობის — გცოდ-
ნია, ბატონო; სხვისი კეთილდღეობის-
თვის ერთობის ამბავი — კიდევ უფრო
მშვენიერად: შენ მარტო რომ ხარ,
სხვები რომ ერთობით არიან და ამით
რომ დაგიოჯგვეს ვეერდები. და თავ-
პირბ — ამასაც შენი პირით ამბობ!..
მიდი ვინმესთან, გააკეთე შენც, რასაც

ისინი გააკეთებენ და ველარ გაგბე-
დავს ვერაკაცი ვერასფერს და ველარც
გიბაფუნებენ წალმა-უკულმა... — კლა-
სიონ კვიმსაძეს ამ აღვილას გაუწყდა
სიტყვა, რადგან დათა თუთაშხიამ წა-
მახული მარგილივით მიაბჯინა თვალე-
ბი, ლუკმა ვადაყლაბა და მიუგო:

— შენ მაგისთვის მიეკედლე, მგო-
ნია, რევოლუციას და მეც მასე მოვიქ-
ცე, თუ?!

უხერხულობამ დაგვადღუმა და კლა-
სიონიც, ბოლოსდაბოლოს, მიხვდა,
რომ წესიერ კაცს უღირსად ელაპარა-
ცებოდა.

— თუ ხალხის მომავალზე უანგა-
როდ მოვიქრალი კაცები ხართ თქვენ,
— სიჩუმე დაარღვია დათა თუთაშხიამ,
— თქვენი მიზანი ის თუა, რომ ადამი-
ანი იმაზე უკეთესი შეიქნას, ახლა
რომ არის, მაშინ კაი ხნის მოსული ვარ
თქვენთან მე, კაი ხნის!

პატარა ხანს ისევ სიჩუმე იყო.

— გაწყენიე, დათა თუთაშხია, ჩემი
ხუმრობით და ნუ მიაქცევ ყურადღე-
ბას, თუ კაცი ხარ, — დიმილით უთხრა
კლასიონ კვიმსაძემ.

— არაფერი არ მწყენია მე.

— შეუძლებელია არ გწყენოდა,
ვადაეპარებ... პატარაზე.

— მაგაზე ნუ იფიქრებ და ნუ შე-
წუხდები, მართლა არ მწყენია, ვფიცავ
სინდისს! — გაუმეორა დათამ.

კლასიონ კვიმსაძე გაინაბა, დათას
დააკვირდა და ცოტა ხნის მერე უთხრა:

— აბა, ის უნდა მითხრა მაშინ, რა-
ტომ არ გწყენია.

— მაგ თუ ვითხარი, კლასიონ, მა-
შინ შენ დარჩები ნაწყენი და დავანე-
ბოთ თავი ამ ლაპარაკს.

დათამ შოთის ნახევარზე მოხარმუ-
ლი დედლის მოზრდილი ნაჭერი, ყვე-
ლი დაორი კვერცხი დააწყია, ვილაცას
დაუძახა, პოქტიასთან გაატანა. კლასი-
ონი მხარეთქოზე იწვა, ალბათ, იმაზე
ფიქრობდა, თუ რა იგულისხმა დათა
თუთაშხიამ თავის ნათქვამში.

ვაგუა ამრეკვიბი
დათა თუთაშხია

— კლასიონ-ბატონო, შენ რომ ჩემს მოსვლას და თქვენთან ერთობას ამბობ, მომიწევს მაგის გაკეთება მე, მაგრამ როდის, თუ იცი? — ლაპარაკის თემა შეცვალა დათა თუთაშხიამ.

— როდის, მაინც?

— ამ უაზრო ჩხუბს და უბედურობას ხომ უყურეთ თქვენ და ხომ დაინახეთ რა ძალა და რა ილაჯი დევს ამ ხალხში! დროით და წყობილებით გაუბედურებული და ცხოველის დონემდე დაყვანილი ხალხია ეს ხალხი. იქაც ასეა, სწორედ, — დათამ ფანჯრისკენ გაიშვირა ხელი. — მდინარეს წისქვილი როგორ უნდა დავატრიალებინო — ვიცი ეგ მე. ამ ხალხის ძალა და ილაჯი, ასე უაზროდ რომ იხარჯება, მთივე სასარგებლოდ რომ დაიხარჯოს, ეს, როგორ უნდა გაკეთდეს, ამას ვისწავლი ჯერ და მოვალ მაშინ. — დათამ იყუჩა და დასძინა: — თქვენ თუ იცით ამ საქმის რამე, მოვალ და ვისწავლი თქვენგან.

— ჯერჯერობით არ ვიცი, დათა! — თოქა კომოდოვი ჩაერია საუბარში. — ეგ რომ გეცოდნოდა, არც ამდენ შეცდომებს დაუშვებდით და რევოლუცია, იქნებ, უკვე გამარჯვებულიც ყოფილიყო... ვაკვირდებით, ვსწავლობთ, ვისწავლით! ერთობა მაგაშიც საჭიროა...

— მეტი არ იქნა ჩვენი მტერი, ჩვენ ვერაფერი ვისწავლოთ! — ბოლშოით ჩაილაპარაკა კლასიონმა და ძირს ჩავიდა. ჩვენი შემდგომი საუბარი ისე წარიმართა, რომ მომხდარი ჩხუბის გაანალიზებასა და პატიმართა ამბოხების შესაძლებლობებზე ვიმსჯელებდით დიდხანს. დათა თუთაშხია აქტიურად იყო განწყობილი, ჩანდა, თავდაც ბევრი ჰქონდა ნაფიქრი ამაზე. ისიც გამოირკვა, ამბოხების იმ ცდის დამსწრე და ნაწილობრივ მონაწილეც კი ყოფილა, მე რომ თავიდანვე მოგახსენეთ. ცოცხალი მოწმე აქვე გყავდა და, რა თქმა უნდა, მრავალ შეკითხვაზე მოუხდა პასუხის მოცემა.

კლასიონ კვიმასძეს ქვემოთ ხალხი

მოეგროვებინა, დიდის აზარტით უხსნიდა განსხვავებას თეატრალურ ენარებს შორის. დაახლოებით, ასეთ განმარტებას აძლევდა:

— ა, კიდევ ერთ მაგალითს გეტყვით: გოგოს უყვარს ბიჭი და ბიჭს უყვარს გოგო. უყვართ ერთმანეთი და რა გინდა რომ ქნა. ცდილობს ეს ბიჭი რამენაირად ლოგინამდე მიიტყუოს გოგო და აგერ, აგერ ქეც მიიტყუებს, ისე ეტყობა საქმეს. რცხვენია გოგოს და რაცხა ასეთები კიდევ. მოდის, ახლა, მესამე — მუხმუხელა და ოხერი ვილაც. შეუჩნდება ამ გოგოს, არ აძლევს საშველს. იმდენს იზამს, რომ დაიყოლიებს, წაიყვანს და რა ქნას მაშინ შეყვარებულმა ბიჭმა? რას იზამს — მიტრიალდება და წვახ სხვა გოგოს საძებრად! ა, ესაა დრამა! ახლა, ტრაგედია: იმ მიტოვებულმა ბიჭმა თავი თუ მოიკლა, ე, ისაა ტრაგედია და კომედია რაა, თუ იცი? რაა და, დღეს რომ თქვენ ჩხუბი ქენით და არც ერთმა რომ არ იცოდით, რატომ ჩხუბობდით — ე, ისაა კომედია!..

ამ დროს საკნის კარი გაიღო. ჯერ, აბანოში წაყვანილი ხალხი შემოიხვეტა — ბარე, ოცდახუთი კაცი. მერე ციხის უფროსი და მისი თანმხლები პირები შემობრძანდნენ. მამასახლისი მაშინვე იქ გაჩნდა და საკანი გაინახა.

კოცი — ციხის უფროსი, შუაში იდგა. აქეთ-იქიდან ორ-ორი ქანდარმი ჰყავდა. ზურგს უკან, კარებში — ზედამხედველები. ციხის უფროსს მარტო გვარი კი არ ჰქონდა ორიგინალური — თავადაც საკმაოდ საკვირველი კაცი იყო: მისი ხმა არავის გაეგონა და ლაპარაკი საერთოდ თუ შეეძლო, ამაზე დარწმუნებით ვერავინ რასმე იტყოდა. ამ შემთხვევაშიც ისე განვითარდა საქმე, რომ კოცს ხმა არ დაუძრავს. უფროსმა ზედამხედველმა რაღაც წაუჩურჩულა. კოცმა თავი დაიქნია — სულ ოდნავ დაიქნია, შეიძლება ითქვას, არც დაუქნევია.

— პოქტია რომელია! — დაუძახა უფროსმა ზედამხედველმა.

პოქტია წამოიწია, — მე ვარო, დაი-
ძახა.

— გამოდი!

გამოვიდა. ციხის უფროსმა სამი
თითი ამწვია — კარცერში, სამი დღე-
ღამით. კორპუსის უფროსმა პოქტიას
თვალი შეავლო, პანდური ამოსცხო და
დერეფანში გაავლო. უფროსმა ზედა-
მხედველმა ციხის უფროსს ისევ წას-
ჩურჩულა. ამან თავი დაიქნია.

— ხარჩო, გამოდი!

ხარჩომაც სამი თითი და პანდური
მიიღო, დერეფანში გალასლასდა.

— ჩემი ჯერია, ახლა... აქ ყოფნას
კარცერის ჯობია, ჰაერი მაინც არის საკ-
მარისი იქ, — ჩაილაპარაკა დათამ და,
მართლაც, თუთაშხია დაიძახეს.

დათა მივიდა და დადგა. ციხის უფ-
როსმა ერთხანს თვალეში უყურა, მე-
რე ხელი აიქნია, — წადი, თავისუფა-
ლი ხარო, და კორპუსის უფროსს ანიშ-
ნა, — შემდეგო.

ტამბიას, დარდაკას, თქვენ წარმო-
იღვინეთ, კურკალასა და კამბულასაც
კი — კარანტინში მყოფი ქურდების
„პაპას“, ყველას სამი თითი, თითო
პანდური და დერეფანში გაყვანა ერგო.
ამის შემდეგ უფროს ზედამხედველს,
ჩანს, გადასაჩურჩულებელი აღარაფე-
რი გააჩნდა და მაშინ კოცი პირადად
შეუდგა საქმეს. საკანში შემოვიდა, სა-
სიარულოდ დატოვებულ ბილიკს მარ-
ჯენივ ბოლომდე ჩაჰყვა. მერე ზურგი
იბრუნა, საკნის მეორე ბოლოში გავი-
და და როცა ისევ კართან მიბრძანდა
კიდევ თხუთმეტი კაცი უკვე დერეფან-
ში იყო პანდურის ცემით გაგდებული.
რა მიზეზით დააბრუნა დათა თუთაშ-
ხია, ან რის მიხედვით არჩევდა დასას-
ჯელებს, ამის რა მოგახსენოთ, მაგრამ,
ნამდვილია, რომ ხმა არავის დაუძრავს.
თითს დაუქნევდა, — ჩამოდიო, გა-
დიო; ან ადექი და წადიო, და იმ ერთ
დაქნეულ თითს კიდევ ორ თითს მიუ-
მატებდა. ეს იყო და ეს. დაწუწუნებაც
კი არავის მოსვლია აზრად. ბოლოს
ციხის უფროსი საკნის მამასახლისს მი-
უბრუნდა, ხუთივე თითი ცხვირწინ

აუბზიკა და ძალიან თავზიანად, დაახ-
ლოებით ისე, როგორც ხელგაშლილმა
მასპინძელმა სასურველი სტუმარი, —
დერეფანისკენ გაიპატივა.

— ესაა საქმე?! ტახტის ქვემოდას
ცხვირი არ გამომიყვია... ამდენს ვწვა-
ლობ... ესაა საქმე? — აწუწუნდა „ტა-
რასტა“ და დაიძრა.

კორპუსის უფროსმა მამასახლის-
საც მიაყოლა პანდური, მაგრამ მე ისე
მგონია, ნათქვამის გამო მოხვდა, თო-
რემ კოცის გულდია, ზრდილობიანი მი-
პატიყების შემდეგ პანდური მოსალოდ-
ნელი აღარ იყო, თუ ციხისა რამე გა-
მეგება.

კარი ჩაიკეტა.

კიდევ ერთი კვირა ან ათი დღე გა-
გრძელდა კარანტინი, წესისამებრ პირ-
ველი პატიმრის შემოყვანიდან ოცდა-
ერთი დღის თავზე დაიშალა და საკნებს
მივაშურეთ.

დათა თუთაშხიას, თურმე, ლოგინი
და სხვა ბარხანა, ორთაჭალიდან ქან-
დარმერიაში დაბრუნებისას, თან არ
წაიღო, საკანში დაეტოვებინა. თავის
ადგილზე მიმიყვანა, როგორმე დავე-
ტევითო. დავბინავდით და ორი კვი-
რაც არ იყო გასული, რომ ჩვენი საკა-
ნი მომავალი ამბოხების შტაბად გა-
დაიქცა. საორგანიზაციო კომიტეტში
თავიდან შეიღნი შევედით: თომა კო-
მილოვი, ანდრო ჭანეიშვილი, შალვა
თუხარელი, ჰამბო ხლგათიანცი, ეზიზა
პელიძე, პეტრე ანდრამიჭუკი და მე —
ალექსი სნეგირი. იმ პერიოდში დღი-
სით საკნებისა და სართულების კარებს
არ გვიკეტავდნენ. საშუალება გვქონდა,
ვინც გვინდოდა და როცა გვინდოდა
მაშინ გვენახა. დათა თუთაშხია კომი-
ტეტში, ცხადია, არ შესულა, მაგრამ
ერთად ვიწეკით და, არამც თუ მთლიან-
ად იყო საქმის კურსში, არამედ —
ყველა საკითხის უნებლიე თანაგამს-
ჯელიც გახლდათ. კლასიონ კვირსაძე
საკნის მამასახლისად გავიყვანეთ, სა-

ზაგაუა ამირაჯიბი

დათა თუთაშხია

ეჭვო პატიმრებზე ზედამხედველობა, კონსპირაციის უზრუნველყოფა იყისრა. ციხე — ციხეა, ზოგიერთი რამ თავისთავად ხდება და არასასურველადაც რომ მივაჩნია, მაინც იძულებული ხარ, შეურთოდე, შეეკუო. მხედველობაში მაქვს ის, რომ დათა თუთაშხიამ ერთხელ შეკედლებული პოქტია აღარ მოიცილა, საკანში ამოიყვანა და თავის ვეკრდში მიუჩინა ადგილი. საბოლოოდ, პოქტია ერთობ კარგი ბიჭი აღმოჩნდა, მაგრამ შეუმოწმებელი კაცი იყო და კარგა ხანს ყველას ხინჯად გვეჯდა. სასაცილო ის გახლდათ, რომ თომა კომოდოვის მიხვედრა, — ამას გოროდოვოს ბიჭის მტრედები ეყოლებნა მოპარულიო, ზუსტი აღმოჩნდა, ერთი პატარა დეტალის გარდა: მტრედები სამხედრო პროკურორისა ყოფილა! პოქტია მალე მიხვდა, თუ რამდენად სერიოზულ და საშიშ საქმეს ვამზადებდით, თანამზრახველობა ეამაყა და უსიტყვოდ, ფრთხილად და გონიერულად ასრულებდა სხვადასხვა ხასიათის დავალებებს, მათ შორის საქმოდ სარისკოებსაც. ხინჯი გვქონდა-მეთქი, მაგრამ დამამშვიდებელი ფაქტორიც იყო: პოქტიას დათა თუთაშხია ზეგარდმო მოვლენილ ღვათებად მიაჩნდა, ახალშექნილი ღმერთის შეგნებულ ღალატს მისგან არც ერთი არ ველოდით — გამოუცდელობისა გვეშინოდა.

ახლა, საქმეს დავუბრუნდეთ. შესაძლებლობებსა, ტაქტიკაზე და მოსალოდნელ შედეგებზე მერე ვიტყვი-მეთქი. აი, მისმინეთ.

ამბოხება, მოგეხსენებათ, საბრძოლოდ განწყობილი მისის აქტიური მოქმედებაა. ამ მხრივ, როგორც დადებითი, ისე ხელშემშლელი ფაქტორებიც იყო. მაშინ ორთაქალის საპყრობილეში ოთხი ათას შეიდასი პატიმარი იჯდა. ერთი შეხედვით, ეს ფრიად დიდ ძალას წარმოადგენდა, მით უმეტეს, რომ აუტანელი პირობები გვქონდა. საკნებში ოთხას-ოთხასი კაცი პირდაპირ მოსფალტებულ იატაკზე რკინის რიგით იწვა. ტანტები, როგორც უკვე ვთქვი,

რატომღაც მხოლოდ კარანტინში იყო შემორჩენილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კიდევ ერთ პატარა საკანს, სადაც კატორღელები ჰყავდათ გამომწყვდეული. სახაზინო კვება არაფრად ვარგოდა და ციხის დიდი გადატვირთვის გამო ადმინისტრაცია გარედან მოტანილი საჭმლის მიღებას, გაჩხრეკასა და საკნებში ამოტანას ვერ ასწრებდა. ისიც ხომ მხედველობაშია მისაღები, რომ შინიდან საჭმლის მომტანი არცთუ ყველას ჰყავდა. ჭირისუფლები იძულებული იყვნენ დილიდან დაღამებამდე საკნების გადმოსაცემ სარკმელთან რიგში მდგარიყვნენ. ხშირად ვერც ახერხებდნენ გადმოცემას და მოტანილ ამანათთანაღ შინ ბრუნდებოდნენ. ამას დაერთო ისიც, რომ ციხის უფროსის ბრძანებით, ერთ მშვენიერ დღეს, სართულების კარები ჩაიკეტა და მხოლოდ თავ-თავის სართულებზე მიმოსვლა შეგვეძლო. კიდევ ერთი კვირის მერე კატორღამისცილებივით თვით საკნის კარიც ჩაგვიკეტეს. აქედან მოყოლებული, საჭირო ოთახშიც კი წინასწარ შედგენილი ცხრილით, მთელი საკანი ერთად გავყავდით და უმალ საკანშივე გვეკეტავდნენ. ეს პარტო დილით და საღამოთი ხდებოდა და ამიტომ საკნებში ვეებერთელა პარაშები დაგვიდგეს. აქოთდა და აყროლდა იქაურობა. ყოველივე ამან დიდი უკმაყოფილება, დრტვივნა გამოიწვია. გახშირდა ადმინისტრაციისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევები და ზედამხედველებზე გაწევა-გამოწევის მაგალითებიც კი. გამოსვლებზე, გაფიცვებზე, აჯანყებებზე — საერთოდ, რევოლუციის მსვლელობაზე ვარედან შემოსული ამბები — ციხეში, შეიძლება ითქვას, ერთადერთი სალაპარაკო თემა იყო და ესეც აღიზიანებდა ადამიანების ფსიქიკას, გადამწყვეტობით მუხტავდა, საბრძოლო განწყობილებას ქმნიდა ამას გარდა, საკნებში მრავლად იყვნენ მოხალისე თუ ჩვენს მიერ გამოყოფილი ავტორიტეტები, რომლებიც რევოლუციური იდეების პროპაგანდას ეწე-

ოდნენ და, უნდა ითქვას, ერთობ შედგინადაც. იმის მერეც კი, როცა საკნებში ჩაკვირდნენ და პროპაგანდისტებს ადგილგადასაცვლების საშუალება თითქმის მოესპოთ, სიტყვით მოქმედება ისევ ვრძელდებოდა, როგორც მანამდე. ყოველივე ეს ჩვენს სასარგებლოდ მუშაობდა და ისიც, რომ ჩვენის ღრმად რწმენით, ხელისუფლება ახალ, ჩვიდმეტი ოქტომბრის შემდეგ შექმნილ ვითარებაში, ამბოხებულთა მიმართ უკიდურესი ზომების მიღებას უპეკველად მოერიდებოდა. მოკლედ რომ მოვჭრათ, ციხეს, პატიმართა მასას, ერთი შეხედვით, მოწოდებისა და მაგალითის მიცემის მეტი არაფერი უნდოდა, მაგრამ... ისიც შესაძლებელია, რომ მისა საბრძოლოდ იყოს განწყობილი და აქტიურ მოქმედებამდე კი ვერ მივიდეს. სწორედ ასე ჩაიფუშა ამბოხების უკვე რამდენჯერ ხსენებული ცდა. მოქმედებამდე მიუსვლელობას, აქტიური, ხელჩართული წინააღმდეგობის გაუწყველობას მრავალი მიზეზი აქვს და მათ შორის ორია უმთავრესი: მასის სოციალური შემადგენლობა და საბაბი!

გაერცელებულია მცდარი აზრი, ვითომ ამბოხებები, აჯანყებები და ფართო მასშტაბის სხვა სახალხო გამოსვლები ვიღაცის მიერ წინასწარ დანიშნულ დღესა და საათზე იწყებოდეს. მე არ ვგულისხმობ სამთავრობო გადატრიალებებს, როცა შეთქმულთ ერთგული სამხედრო ნაწილები ჰყავთ და ოპერაციის დაწყებას ბრძანების მეტი არა უნდა რა. ხალხის ამბოხებაზე ვლაპარაკობ და აქ სულ სხვა რამ არის საჭირო. მისა, როგორი დამუხტულიც არ უნდა იყოს იგი, ბრბოდ თუ არ იქცა, აქტიურ მოქმედებას ვერ დაიწყებს. იგი ინერტული, უმჯობეს შემთხვევაში, შესაძლებელი აფეთქების შემცველი რამ არის და საჭიროა მისი ამოქმედება, ბრბოდ ქცევა. ამისთვის კი საბაბია საჭირო! შემდეგ, ბრბოს, თუკი იგი ბრბოდვე რჩება, აუცილებელი დამარცხება, გაფანტვა და კვლავ მორჩილება უწერია. იმისთვის, რომ მისი მოქმედება

სა სერიოზულ აქციაში გადაიზარდოს, საჭიროა მათგანისებელი ძალა, გარკვეული რევოლუციური მოძღვრებით აღჭურვილი ადამიანების სახით — ძალა, რომელიც სამართლიან მიზანს, ბრძოლის სწორ გზებს დაუსახავს, ტაქტიკით შეაიარაღებს ბრბოს...

— ეს ყველაფერი — კარგი, — თქვა ერთ-ერთი მსჯელობის დროს თომა კომოლოვმა, — მაგრამ მოდით, კიდევ ერთხელ დავადგინოთ ციხის სოციალური პორტრეტი და ისიც გავიანზოროთ, თუ რომელი ფენის ასამოქმედებლად — როგორი ბუნების საბაბია საჭირო.

— სწორია, — დაადასტურა თუხარელმა. — მგონი, რომ არ არსებობს ისეთი საბაბი, რომელიც ყველას წამოაგდებდეს, მაგრამ უდაოდ არსებობს საბაბი, რომელიც ერთ ან რამდენიმე ფენას ამოქმედებს, თუ, რა თქმა უნდა, მაგალითს მივცემთ.

აი, რა ხალხი იყო მაშინ ორთაჭალის ციხეში და რა ფენებისაგან შედგებოდა მისი მოსახლეობა:

ყველაზე მცირერიცხოვანი იყო პროფესიული რევოლუციონერების ფენა. ამ ფენის ფუნქცია და ბრძოლისუნარიანობა თავისთავად გასაგებია, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ მათი რიცხვი იმ ოთხი ათას შვიდას კაცში ოცდახუთ-ოცდაათს არ აღემატებოდა. აქ მე იმ რევოლუციონერებს ვამბობ, ვისაც ციხე გვქონდა მოსჯილი და არა კატორღა. კატორღელები — აგრეთვე ოცდახუთი-ოცდაათი კაცი — ცალკე საკანში ისხდნენ და მათში პოლიტიკური, დაახლოებით ათი თუ იქნებოდა, მეტი არა, მაგრამ ამბოხებაში მონაწილეობის მხრივ ამ გარემოებას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, კატორღელები ყველანი, განურჩევლად მათი სასჯელის წარმოშობისა, აქტიურ მონაწილეობას მიიღებდნენ, ამაში დარწმუნებული ვიყავით. ამდენივე უნდა

პაპუა ამირაჯიბი
დათა თუთაიანი

გვევლისხმა, ვინც ციხეში პირველივე გამოსვლების შემდეგ მოხვდა, აქ შეგნებულად, საბოლოოდ დაუკავშირა თავისი მომავალი პოლიტიკურ მოღვაწეობას, რევოლუციას, ხალხის მომავალს. მერე ამნისტიამ მოუსწრო, ვათავისუფლდა და რევოლუციურ მოძრაობაში ხელმეორე მონაწილეობისთვის კვლავ ჩაჯდა. ეს იყო სხვადასხვა სოციალური ფენებიდან გამოსული ახალგაზრდობა. მუშათა ოჯახებიდან გამოსულთა გვერდით მღვდელისა თუ კაპიტალისტის შვილსაც ნახავდით, მასწავლებლისა თუ ბანკის მოხელის შვილსაც და ერთი მათგანის მამა კი უბნის ზედამხედველი იყო — ქანდარი! ამათი ახალგაზრდული შემართების, თავისუფლების იდეებისადმი ერთგულების იმედი გვექონდა და არც მოგტყუებულვართ. მხედველობაში ვიღებდით იმასაც, რომ თუ რამდენიმე ათას კაციურ მასაში გარკვეული ჯგუფი აქტიურ მოქმედებას წამოიწყებდა, მაშინვე გამოჩნდებოდა კიდევ ასობდე, სრულიად მოულოდნელი თავზე ხელაღებული მომხრე. ეს მასის თვისებაა, ასეთი გამოცდილება რევოლუციას უკვე ჰქონდა. აღვნიშნოთ, რომ დასახელებული ასორმოცდაათი-ასოთხმოცი კაცი ავანგარდი იყო, მაგრამ ვისი ავანგარდი? ავანგარდი ხომ ის ნაწილია, რომელმაც ძირითადი მასა უნდა გაიყოლოს? ამ ძირითად მასაზეც ვთქვათ.

ხუთასზე მეტი პატიმარი, ანუ მთელი კონტიგენტის ათი-თერთმეტი პროცენტის ციხის „მომსახურებას“ შეადგენდა. ადმინისტრაცია მომსახურებას მცირე სასჯელიან, ან ახლო მომავალში გასათავისუფლებელ პატიმართა რიცხვიდან აკომპლექტებდა. ამ ფენას ეკუთვნოდა ყველა — ციხის კანცელარიაში, საავადმყოფოში, თუ საწყობებში მომუშავე პატიმრებიდან დაწყებული — მრეცხავებით, დამლაგებლებითა და ასენიზატორებით ვათავებულნი. ეს იყო პრივილეგირებული ფენა, რომელიც ციხის ადმინისტრაციის სუ-

ლიერი და ფიზიკური ნასუფრალით იკვებებოდა, მის ბრძანებებს, წესებსა თუ უკანონო ღონისძიებებს მზადყოფნით ასრულებდა და უახლოეს ხანში „დაწინაურებას“ ან გათავისუფლებას ელოდა. ამ ხალხისგან ამბოხებას მხოლოდ გამცემლობის, მუხთლობისა და მუხანათობის მოლოდინი უნდა ჰქონოდა — სხვა არაფრისა. რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ მცირედ გამონაკლისს: მომსახურებაში ხუთი-ექვსი ჩვენი კაციც არაა. შესაძლებელი ამბოხების მიმართ დამოკიდებულების თვალსაზრისით მომსახურებასვე მიეკუთვნებოდა გულახდილი მონარქისტების, შავრაზმელებისა და არსებულნი რეჟიმის სხვა აქტიური მომხრეების, აგრეთვე ხუთას-ექვსას კაციანი ფენაც. ესენი სიამოვნებით დაგვეცხრილავდნენ, თუკი ვაზნასა და იარაღს ანდობდა ვინმე. ერთი ამდენიც ისეთი პატიმარი იყო, ვისაც ორიდან ექვს თვემდე რჩებოდა მოსახდელი ვადა და, — ამბოხებულთა მომხრედ არ მიმიჩნეონ, თანამონაწილეობისთვის ხელმეორედ არ დამსაჯონო, სულ ადვილად შეიძლებოდა, ჩვენს წინააღმდეგ აღემართა ხელი. ამგვარად, პატიმართა საერთო რაოდენობის მესამედისა, არამც თუ იმედის ნასახი არ უნდა გვექონოდა, არამედ მის უვნებელყოფაზეც კი იყო საფიქრალი. საერთოდ, ასეთი მესამედი ყველა ციხეს ყავდა. და ეს მესამედი რომ არა, ვერც ერთი ციხის ადმინისტრაცია ვერ განახორციელებდა თავის დანიშნულებას.

— მაგათ, საბაბი კი არა... ასტრახანის ციხეში რა ქნეს მაგათ, თუ იცით? — ჩაერთა კლასიონ კვიმსაძე, რომელიც მისი არაერთგზისი და დაქინებული მოთხოვნების შედეგად, კომიტეტში სათათბირო ხმის უფლებით შევიყვანეთ. — რა ქნეს და, ხუთმა პატიმარმა — ორი მეფოვე იყო, ერთი ასენიზატორი და ორიც ოხერი, ვილაც, აღარ მახსოვს ახლა, — შტოფი არაყი ჩაიგდეს ხელში, დათვრნენ — დათვრებოდნენ, აბა, რა იქნებოდა,

— «Боже царя храни» დასცხეს და ჩასვეს კარცერში ხუთივე, არ უშველა არაფერმა. მეორე დღის საღამოხანი იყო, მიაყვანინა ციხის უფროსმა თავის კაბინეტში ის «Боже царя храни»-ს მომღერლები და გამოუცხადა, — გუბერნატორმა ბრძანა, ხვალე დილით ხუთივე უნდა ჩამოგახრჩოთ და შვიდ საათზე აგერ დამხვდით ყველა, შემოსასვლელთანო. რა მოხდა, თუ იცით? ერთს გული გაუსკდა ღამე და მოკვდა. დანარჩენი ოთხი მოვიდა დაბარებულ ადგილზე და ზუსტად შვიდ საათზე, დილით. საკუთარი თოკები ქონდათ ოთხივეს, კარვად და მშვენივრად გამოყულფული და ორს ასტრახანის ეპისკოპოსთან მიწერილი ცოდვების მონანიების წერილები უბოვნეს ჯიბეში, კიდევ. ჩემი თვალით ვნახე ეს და, ჭკუა თუ გინდათ, ბატონო, აგერ ვარ, დამიჯერეთ მე — მაგენი პირველ რიგში უნდა გავავლოთ ციხიდან.

ყულფებისა და ცოდვების მონანიების წერილების — რა მოგახსენოთ — ზოგმა დაიჯერა, ზოგმა არა, მაგრამ დიდი კამათისა და განსჯის შემდეგ ვადიარეთ, რომ ამ ფენას ვერავითარი საბაბი ვერ ამოძრავებდა, ვნებისა და ზარალის მეტს არაფერს მოგვიტანდა და კლასიონის წინადადება პირობითად მიღებულ იქნა — ამბოხების დაწყებისთანავე ეს ხალხი ციხიდან უნდა გაგვევლო.

ახლა, ეგრეთ წოდებული «ვიგინდარები». ამ ფენაში შედიოდა სამასამდე გამფლანგველი და სხვადასხვა არაპოლიტიკური დანაშაულის ჩამდენი წვრილმანი და საშუალო მოხელე. ესენი მთელ დღეებს იმაზე საუბრებსა და ტკბილ მოგონებებში ატარებდნენ. თუ როგორ უთხრა მას საიდუმლო მრჩეველმა ტრატატატაკოვსკიმ, — უფალო, წესიერად მოიქეციო, ან როგორ დაკარგა გენერალმა ტრალალაკოვიჩმა პენსენ და როგორ მარდად უბოვნა და მიართვა იგი ადიუტანტმა. ციხემდე ამ ფენის სულიერი სარჩო პრივილეგირებულნი წოდებების შარავანდელთან

ლაიცი ვახლდათ და ახლაც ყოველ მათგანს სერიოზული იმედი ჰქონდა, რომ ციხიდან გასვლის შემდეგ მიაღწევდა იმას, რასაც ჩაჯდომამდე სიცოცხლის ოცნებად ატარებდა. ჩვენ მათ მელებს ვეძახდით და მელები, რა თქმა უნდა, ამბოხების დაწყებისთანავე სოროებს მიაშურებდნენ. ვიგინდარებსვე განეკუთვნებოდა კიდევ შვილასი-რვაასი პატიმარი: ზოგმა მოლაღატე ცოლს სახეში თეზაფი შეიასხა; სხვამ, კარის მეზობელს წერაქვი თუ ძალაყინი დაჰკრა, — შენი ღორი ჩემს ბოსტანში რატომ გადმოვიდაო; ვილაცამ იძალადა, ან არასრულწლოვანი გაბრწვა; ერთი ისეთიც კი იყო, რომელმაც საკუთარი ბებია გაძარცვის მიზნით ცულოთ დაჩეხა — ნაძარცვმა შვიდი მანეთი და ორი აბაზი შეადგინა. მაგრამ ამ ფენის დიდ უმრავლესობას, მაინც, წვრილმანი ბაცაეები შეადგენდნენ და ყველას ერთად ვიგინდარებზეც ამიტომ ერქვათ. აჯანყებაში გამოუსადეგრობის თვალსაზრისით ამავე ფენას განეკუთვნებოდა სამასამდე ავადმყოფი თუ სიმულანტი და ასამდე უცხოელი მოქალაქეც. ამგვარად, სთვალავიდან კიდევ ათას ხუთასი კაცი უნდა მოხსნილიყო, როგორც ინერტული, პასიური, უმჯობეს შემთხვევაში, ნეიტრალური სულადობა.

— მაგენს ერთმანეთის დასახოც საბაბად ისიც ყოფნის, ხარჩო რომ პარაშაში ჩაკრავს ფეხს, მაგრამ ხელისუფლების წინააღმდეგ ასაწვე ხელს საკუთარი კბილებით ვადაიჭამენ, — ხელი არ მაქვს და რა ავწიოო! — თქვა დათა თუთაშხია.

— ზედმეტი ბარჯია, რკინის რიგიდან ვერავითარი საბაბით ვერ წამოვადებ, — ჩაილაპარაკა პეტრე ანდრაშჩუკმა.

— თუ ზედმეტი არიან, გავყაროთ ეგენიც, — წინადადება შემოიტანა ეზიზა კელიძემ.

ვახუშა ამირეჯიანი
დათა თუთაშხია

— გაგდება არ ივარგებს, — უარ-
პყო ანდრო ჭანიეშვილმა: — დღეს-
დღეობით რევოლუციის ერთი მთავარ
მიზანთაგანი იმაში მდგომარეობს, რომ
ბარიკადების ცალ მხარეს მხოლოდ გა-
ბატონებული კლასი დარჩეს და მეო-
რეს მხარეს ყველა ჩაგრული ხალხები,
მშრომელთა მასები, საზოგადოების
ყველა სხვა კლასი თუ ფენა.

— ეგენიც თუ გავყარეთ, რაღა გა-
მოვა! — მხარი დავუჭირე ანდრო ჭა-
ნიეშვილს. — ჩვენმა ამბოხებამ მთე-
ლი მასის, პატიმართა დიდი უმრავლე-
სობის რევოლუციური განწყობილება,
ცარიზმისადმი შეუთრეველობა უნდა
გამოხატოს და არა ერთი მუჭა უქმყოფი-
ლო ელემენტის წაიფთვებება. ვი-
გინდარების ფენა, სანახევროდ მაინც
დეკლარირებული პროლეტარებისგან
შედგება და რევოლუციის, მამასადა-
მე, ჩენი მომავალი ამბოხების მორა-
ლური ვალდებულება ისიც არის, რომ
განმარტებითი მუშაობისა თუ პირა-
დი მავალითის მეშვეობით კლასობრი-
ვი შეგნება გავუღვივოთ, მწყობრში
დავაბრუნოთ დესპოტიის მსხვერპლნი.
მე წინააღმდეგი ვარ ვიგინდარების გა-
გდებისა!

— ჩემი სიტყვა დაიხსომეთ, —
თქვა შალვა თუხარცლმა. — თავიდან-
ვე არა, მაგრამ, თუ ციხე რამდენიმე
დღით მაინც ჩავივადეთ ხელში — ვი-
გინდარების მესამედზე მეტი დავეი-
ჭერს მხარს...

— კაცო, თქვენ ერთ რამეს არა
ფიქრობთ, ჩემმა მზემ! — ჩაერია პამ-
ბო ხლვათიანი. — ვიგინდარების გა-
გდება არ იქნება! მა ქურდები და მაგა-
თი ავან-ჩავანი რო მშვივრები დარჩე-
ბიან? ქურდებმა მაგათი საჭმლის წი-
ლი უნდა ჭამონ თუ არა? მოშივდებათ
და ჩვენ წინააღმდეგ დადგებიან. არ
მოშივდებათ — არ დადგებიან!.. არა,
ყველა არა, მაგრამ ქურდებში და მა-
გათ ავან-ჩავანში ზოგი ისეთი ბიჭია...

— გაჩერდი, პამბო, თუ ძმა ხარ,
ქურდის სიკეთე ვინ გაიგონა, — სიტ-
ყვა გააწყვეტინა ეზიზა ჭელიძემ და ახ-

ლა ამ ფენის განხილვა-შეფასებას. მივ-
ყევით.

იმ დროს ორთაქალის ციხეში ათა-
სამდე კანონიერი ქურდი და „შობლი“
მოითვლებოდა. იმას მე ნაწილობრივ
ზემოთაც შევეხე, რომ ქურდების კას-
ტა მაშინდელ საპყრობილეებში გან-
საკუთრებულ გაბატონებულ ფენად
იყო მიჩნეული. კასტა-მეთქი, იმიტომ,
რომ მათ თავისი დაუწერელი, მაგრამ
ერთობ ზუსტად ჩამოყალიბებული კა-
ნონები, ზნეობრივი კოდექსი და სამს-
ჯავრო პროცედურა ჰქონდათ. ისინი
თავს „ციხის პატრონებად“ სთვლიდ-
ნენ. ამ პრეტენზიას საფუძვლად ერთი
ფრიალ დამაჯერებელი მოსაზრება ედო:
ჩემი ცხოვრება ციხეში ჯდომა, დროე-
ბით გათავისუფლება და ისევ ციხეში
მოსვლა, ციხე ჩემი სახლია. შენ კი
შემთხვევით, დროებით მოსულ კაცი,
და მამასადამე, სტუმარი ხარ! ეს ასე
ვთქვათ, ლოგიკური წანამძღვარი სრულ
პრაქტიკულ რეალიზაციას იღებდა, რა-
დგან ციხეში პირველად მოსული კაცი
დაბნეულობასა და უმწყობას იჩენდა,
მაშინ, როდესაც ქურდი ტრადიციისა
და მიღებული გამოცდილების გამო
საოცარი ცხოველმოსილებით, სიცოც-
ხლისუნარიანობითა და შეგუების ხერ-
ხების მთელი არსენალით იყო აღჭურ-
ვილი. ქურდების კასტას, როგორც ცი-
ხის ადმინისტრაციასთან, ისე პატიმარ-
თა სხვადასხვა ფენებთან ურთიერთო-
ბის საფუძვლად მეთოდოლოგია, მიზნობრივი
თეორია და პრაქტიკა ჰქონდა, — რა
მთლიანად კასტისა თუ მისი ცალკეუ-
ლი წევრის კეთილდღეობას ემსახურე-
ბოდა. აქვე უნდა აღინიშნოს: კანონიე-
რი ქურდის მხრივ რაიმე სახის თანა-
მშრომლობა ციხის ადმინისტრაციასთან
ან მის წარმომადგენელთან, იმ დრო-
ში, ისევე გამოირიცხული იყო, რო-
გორც პოლიტიკასთან რაიმე სახის მი-
სი ურთიერთობა. ქურდი აპოლიტი-
კურ, კოსმოპოლიტურ ელემენტს წარ-
მოადგენდა. მისი საქმე იყო ქურდო-
ბა — სულერთია სად და ვისგან. მისი
მოვალეობა — კასტის კანონებისა და

ზნეობრივი კოდექსის განუხრელი აღსრულება ყოველთვის, ყველა ვითარებაში და ყველგან! მართალია, რუსეთის იმპერიაში რევოლუციური მოძრაობის გაცხოველებამ და ამასთან დაკავშირებით ციხეებში პოლიტპატიმრების მომრავლებამ ქურდების უფლებები რამდენადმე შეკვეცა, მაგრამ მათ აქაც შესაშური მოქნილობა გამოიჩინეს. როგორც უკვე ითქვა, პოლიტპატიმრებთან ურთიერთობას საფუძვლად დაუდეს პრინციპი „არ გერჩი — ნუ მერჩი“, და ამ გზით პრეროგატივების დიდი ნაწილი შეინარჩუნეს — მათ შორის: ციხის დანარჩენი ფენების ხარჯზე ჰამა-სამა, ჩაცმა-დახურვა, ციხის ტერიტორიაზე თავისუფლად ხეტიალი და სხვა წვრილმანი, მაგრამ პატიმრისთვის ძლიერ მნიშვნელოვანი უფლებებიც. აქვე ვიტყვი, ქურდებს თავისუფლად ხეტიალის საშუალება არც მას შემდეგ აღეკვეცათ, როცა ორთაქალაში საკნები ჩაიკეტა.

ქურდებზე — კმარა. ქურდებთან ერთად შობლან ეახსენე. როგორც ყველას კასტას შეეფერება, ქურდებსაც ჰყავდათ თავისი თანამგრძობელი. დათა თუთაშხიამ მათ „ახნაურობის მაძიებლები“ შეარქვა. ეს იყო სისხლის სამართლის დამნაშავეთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი და ყოველ მათგანს „კანონიერი ქურდის“ წოდების მოპოვება სწყურდა. ამისთვის მათ დროთა განმავლობაში და შესაბამისი საქციელით უნდა დაემტკიცებინათ, რომ „ქურდის სისხლი“ ჰქონდათ და არა გაჭირვებისა და, მით უმეტეს, შემთხვევის ძალით ჩაიდინეს დანაშაული. ისინი რიცხვობრივად რამდენჯერმე აღმატებოდნენ კანონიერ ქურდებს და კასტას მიანიჭ განუსაზღვრელი გავლენა ჰქონდა მათზე. ორი აზრი არ არსებობდა იმაზე, რომ ამბოხების შემთხვევაში ქურდები და შობლა მტკიცე ნეიტრალიტეტის გზას დაადგებოდნენ. თუმცა აქაც გვექონდა იმის იმედი, რომ შობლაში სწორად წარმართული განმარტებითი მუშაობის, აგრეციისა და

კლასობრივი შეგნების გაღვივების გზით, საკმაო რაოდენობის აქტიური მომხრეების მოპოვება შეიძლებოდა. დანახავით, რომ ასეც მოხდა. მოკლედ რომ მოვჭრათ, მთელი ამ ამქრისგან საფრთხე მოსალოდნელი არ იყო. პირიქით, რევოლუციამ უკვე იცოდა, რომ გამოსვლის, დემონსტრაციებისა თუ საბარკადო ბრძოლების დროს ქურდები თავის საქმიანობას სწყვეტდნენ, ზოგჯერ ყოველგვარ ბოროტმოქმედებათა აღმკვეთი ძალის ფუნქციას ნებაყოფლობით კისრულობდნენ და ამ ვალდებულებას პირნათლადაც ასრულებდნენ.

— საბაბი თქვი, თვარა, მაგენი თუ გაცხარდნენ და აიღეს თავზე ხელი! — თქვა კლასიონმა.

— ჰო, რა — ევრება, — დაუდასტურა ჰამბომ. — აი, ამ სალაფავს რომ გვაჭმევენ, ბალანდა რათა ჰქვიან, იციო?

— ბალანდაა, შე კაი კაცო, და იმიტომა ჰქვი. ჩახოხბილი დაარქვან?! — მიუგო სიცილით თუხარელმა.

— ევრე არ არის. იმიტომა ჰქვიან, რო პეტროპავლოვსკში ქურდებმა კომენდანტი მოხარშეს. იმისი გვარე, კიდე, ბალანდინი იყო, — განმარტა ჰამბომ.

— კომენდანტის ნახარში რისთვის უნდოდათ, ჰო? — იკითხა ეზიზა ქელოძემ.

— საკმელსა ჰპარამდა. ხორცი, ზეთი, მარილი, რამე — სუ იმას მიჰქონდა და ქურდები ცარიელა წყალზე ჰყამდა. ქურდებიც და ყველაღაც დაიჭირეს, იმ ცარიელა ქვაბში ჩასვეს და მოხარშეს. სუთოლად ცარიელა არ იყო, წყალი ესხა. ეგეც — ბალანდა! არა, შენ მიზეზი ნახე და — ძალიან ფინტი ხალხია, ბევრი რამე შეუძლიათ, ჩემმა მზემ.

ამგვარად, რჩებოდა დაახლოებით ხუთასკაციანი მასა, რომელიც ჩვენის

ვახუა ამირაჯიანი
დათა თუთაშხია

აზრით, ამბოხებას მხარში ამოუდგებოდა, ძირითად სიმძიმეს თავის თავზე აიღებდა და მისი საუკეთესო ნაწილი დამრტყმელი ძალის როლსაც შეასრულებდა. ვინ იყო ეს ხალხი? უპირველესად ყოვლისა, მათს დიდ უმრავლესობას უკვე მიღებული ჰქონდა მონაწილეობა ცარიზმის მიმართ აქტიური პროტესტის რაიმე ფორმით გამოხატვაში — მასობრივი გამოსვლებიდან და ერთპიროვნული წინააღმდეგობით დამთავრებული. ამთავან ერთი ნაწილი ამნისტიით გათავისუფლებული და კვლავ დაპატიმრებული იყო. ჰქონდათ სასჯელის დიდი ვადები — ხუთიდან ათ წლამდე. ასაკი — ოციდან ორმოცდაათამდე. მართალია, სხვადასხვანაირად ხედავდნენ თავისი ერისა და ხალხის მომავალს, მაგრამ ყველას ესმოდა — ესმოდა-მეთქი, შეგნებული ჰქონდა — რომ იყო ორად ორი გზა: გრძელი — რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე სრული ბურჟუაზიული დემოკრატიის შექმნა და მოკლე — იმპერიის ლიკვიდაცია, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება. ეს მასა, ძირითადად, თავშეკავებული, სერიოზული, უკვე დამდგარი ხასიათის ადამიანებისაგან შედგებოდა. თვითონ არ იცოდნენ ზედმეტი ლაპარაკი და არც სხვისი ჭარბალის დიდი დონეებით მოსმენა უყვარდათ. ყოველი მათგანი რეჟიმის უვარგისობის გამოისობით ციხეში მოხვედრილი პატიოსანი, მშრომელი კაცი იყო. პატიოსანი — მაშასადამე, უსამართლობის დაუძინებელი მტერი, პოტენციაში სამართლიანობისთვის თავდადებული მებრძოლი — თუკი ამისი საბაბი და შესაძლებლობა გამოჩნდებოდა, თუკი ბრძოლას გონიერი, პატიოსანი ძალა წამოიწყებდა. იყო ასეთი გონიერი და პატიოსანი ძალა — რევოლუცია, მისი მამოძრავებელი მოძღვრება, იქ და იმჟამად ჩვენი მიზნისა და კონკრეტული გეგმის სახით.

მიაქციეთ ყურადღება: აფეთქების შემცველი მასა — იყო; ბრბოდ ქცეული მასის სტიქიური მოქმედების ორ-

განიზებულ აჯანყებად გადაქცევი, ტაქტიკით შემაიარალებელი ძალა — იყო; არ იყო კონკრეტული საბაბი; მიზეზი, რომელიც მასას ბრბოდ გადააქცევდა. ხატონად რომ ეთქვათ, იყო ფეთქებადი ნივთიერებით სავსე კასრი და არ იყო ნაპერწკალი, ამნთები საბაბი არ იყო.

— კორპუსებისა და საყენების გასაღებები ჩავვაგდებინა ხელში და... — ჩაილაპარაკა პეტრე ანდრაშჩუკმა.

— არ არის ეგ მაინცდამაინც შეუძლებელი საქმე, — დასძინა ეზიზა ჭელიძემ.

— მართალია, მაგრამ მასა მხოლოდ აფექტის წყალობით ამოძრავდება და არა იმით, რომ მას საკნის კარს გაუღებენ. კარები ღია გვექონდა, მერე რა?.. აფექტია საჭირო. აფექტის გამოწვევას კი სათანადო საბაბი, მიზეზი სჭირდება, — ვინ იცის, მერამდენედ აღნიშნა თომა კომოლოვმა.

— მაგ საბაბს ჩვენი სიტყვა და საქმე ვერ გააჩენს, — ჩაერია დათა თუთაშხია. — ერთია მხოლოდ: აღმინისტრაციის საქციელით უნდა მოხდეს ეგ. ისეთი უნდა ჩაიდინოს აღმინისტრაციამ, რომ აფეთქდეს, თომა რომ ამბობს, ის კასრი.

— მაგ საქნელს, ჩააღენინებს აღმინისტრაციას კაი ჭკვიანი კაცი, — ვანაცხადა კლასიონმა. — ხომ შეიძლება, ისეთი მოვიგონოთ რამე, რომ აღმინისტრაციამ უკიდურესობებს მიმართოს და ამან გამოიწვიოს აფექტიც და აფეთქებაც?!

— შეუძლებელი არაფერია, კლასიონ-ბატონო, მაგრამ... — მიუგო ანდრო ჭანეიშვილმა.

— რაო, ნეტავი? — მიაგება კლასიონმა.

— რაო და რასაც შენ გულისხმობ — ყალბობანდობაა, — უთხრა თომა კომოლოვმა. — ერთი რამ ნუ დაგავიწყდება: მართალია, წყობილება იმდენად დაღლა, გაბოროტდა და, აქედან გამომდინარე, ისეთ ღონისძიებებზე მიდის, რომ ამბოხების საბაბის ხელოვ-

ნურად შექმნა, პროვოცირების გზით გამოწვევა, არცთუ ძნელი რამ არის, მაგრამ რევოლუციამ უკვე იცის, რომ მასა ხელოვნურად შექმნილ პროვოცირებულ საბაბს ინსტინქტურად გრძნობს. ასეთ მისატყუარზე იგი ან სულ არ მიდის, ან მივა, აკენაკვს, სიყალბეს იგრძნობს და საქმის პირველსავე ნაბიჯებზე მიგატოვებს. ამ ხასიათის ერთი მარცხიც კი სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ მასამ სამუდამოდ დაეარგოს საბაბის ხელოვნურად შემქმნელი პარტიისა თუ რევოლუციონერთა ცგუფის მიმართ ნდობა და პატივისცემა. ამიტომ არ შეიძლება, კლასიონ!

— არა, გენაცვა, რევოლუცია სუფთა რამეა. მანდ კუტუყიანი რამეები არ იქნება, — დაადასტურა ჰამბომ.

— პო, პო, ჩეიცივით თეთრი ხელთათმანები და დაინახავ, რაღაცა ამბოხებას მოაწყობთ, — შემოგვიღრინა კლასიონმა, დასძინა: — ვიყოთ და ველოდოთ, რა მენაღვლება მე! — და ბოლთას მისდგა.

მართლაც, ისე იყო საქმე, რომ ლოდინის მეტი არაფერი დაგვრჩენოდა. თითქოს, ჩინში მოვექეციით და, თითქოს, მზად ვიყავით ხელი ჩაგვექნია, მაგრამ ყველას გვექონდა რაღაც წინაგრძნობა, იმედი, ზოგ ჩვენგანს რწმენაც კი, რომ რაიმე საბაბი უექველად გამოჩნდებოდა. ყველაფერს, რაც ჩვენს ირგვლივ ხდებოდა, მხოლოდ ამ თვალსაზრისით ვზომავდით და, ბოლოსდაბოლოს, ისევ კლასიონ კვიმსაქმე მოახდინა აღმოჩენა.

ვიფარება შემდეგნაირად წარმართა: ერთ მშვენიერ დღეს კორპუსების უფროსებმა თავ-თავისი საბრძანებელი ჩამოიარეს და ბატონ კოცის შეთხზულმა ბულა წაგვიკითხეს. იგი, დაახლოებით, ასეთი შინაარსისა იყო: ამჟამად რუსეთის იმპერიაში სახალხო ხელისუფლება სუფევს, რაც სახელმწიფო სათათბიროთია განხორციელებული. სახალხო ხელისუფლების საწინააღმდეგო ყოველგვარი აგიტაცია ხალ-

ხის წინააღმდეგ მოქმედებას ნიშნავს, რასაც მისი უდიდებულესობა სრულიად რუსეთის იმპერატორი ვერას დიდებით ვერ დაუშვებს. თუ ვინმე ფიქრობს, ვითომ მანიფესტით შეპირებული სიტყვის თავისუფლება პატიმრებზეც ვრცელდება — გაიხსენოს, რომ მანიფესტი მოქალაქეებისთვის არის გამოშვებული, ხოლო პატიმარს სამოქალაქო უფლებები განაჩენის გამოტანისთანავე აქვს აყრილი. მაშასადამე, პატიმარი მოქალაქე არ არის! ასეთი იყო კოცის ბულის, ასე ვთქვათ, განმარტებითი ნაწილი. ამას მოსდევდა სანქციები, ანუ სასჯელი: მეფეზე აუგისთვის — ხუთი დღელამე კარცერში; სახელმწიფო სათათბიროს ვალანძღვისთვის — ოთხი დღელამე; მინისტრების, საიდუმლო მრჩევლების, ეკლესიისა თუ უმადლესი სამღვდლოების სიტყვიერი შეურაცხყოფა სამ დღელამედ ღირდა და ყველაზე იაფი პოლიცია და ციხის ადმინისტრაცია ჯდებოდა — ორი დღელამე. ამაზე ნაკლებ დღელამიან სასჯელს ბულა არ ითვალისწინებდა და კოცის სულგრძობლად განუგებობელი რამ იყო. ეს სიახლე სალაპარაკოდ, სამასხროდ და სასაცილოდ კარგა ხანს გვეყო. დემბინმა ამ ბულაზე პაროდიაც კი დაწერა, ყველა საცნებში გაავრცელა და ისე მოხერხდა, რომ პაროდის ერთი ასლი თვით ბატონ კოცსაც მიართვეს. ლუკა პეტროვიჩ დემბინი რუსი მწერალი იყო, იმ დროს საკმაოდ ცნობილი, არა მარტო მახვილი კალმის გამო, არამედ იმიტაც, რომ მეფის მთავრობა წარამარა აპატიმრებდა.

მასხრობა-მასხრობად, მაგრამ ბატონი კოცი თავის თხზულებაში აღთქმულ დაპირებათა შესრულებას ერთობ ენერგიულად შეუდგა. უპირველესად ყოვლისა, დემბინი გააქანეს კარცერში ორი დღელამით — ციხის ადმინისტრაციის შეურაცხყოფა! შემ-

ვაჯაჯა ამირაჯიბი
დათა თუთაჯიბი

დევ, კოცმა თითო სართულიდან თითო ვაცი გამოაყვანიხა და ისინიც კარცერში ჩასვა. ამასთან, თითქოს, იმის სადემონსტრაციოდ, რომ ბულაში აღნიშნული ოთხივე სასჯელი რეალური იყო — ერთს ხუთი დღეღამე მისცა, მეორეს — ოთხი, მესამეს — სამი და მეოთხეს — ორი. არავითარი შეცდომა: ოთხივე ჩვენი, ასე ვთქვათ, შტატის ავიტატორი იყო და არა ვინმე მოხალისეები, რომლებიც უფრო აქტიურად ცი იქცეოდნენ, ვიდრე დავალებით მომუშავენი და, ამდენად, კოცის თვალსაზრისით — უფრო დასასჯელნიც. აქედან ორი დასკვნა გამოვიტანეთ: ერთი ის, რომ კოცი დასახული პოლიტიკის თანმიმდევრულად, მტკიცედ ვატარებს აპირებდა და მეორე — მშვენივრად იყო ინფორმირებული ორივე დასკვნა სწორი აღმოჩნდა, რადგან მან დაჟინებით განაგრძო ავიტატორების დასჯა და, სახელდობრ, ჩვენი დავალებით მომუშავე ავიტატორებისა. არც ჩვენ დავიხიეთ უკან — მუშაობა გავაძლიერეთ; არც კოცმა — რეპრესიებს უმატა და ბულის გამოქვეყნების დღიდან თვენახევრის თავზე კორპუსების უფროსებმა თავის მრევლს ციხის უფროსის დანაბარები გადასცეს: ვინც მეორედ და, მით უმეტეს, მესამედ ჩამივარდება ხელში, ისეთ საქმეს დავმართებ; რომ მეფისა და სახელმწიფო სათათბიროს გინებაც სამუდამოდ დავიწყდება და სირცხვილით ცხვირსაც ვეღარსად გამოყოფს!

ქვეყანაზე ისეთი პრობლემა არ არსებობს, მოცლილმა კაცმა რაიმე სწორი გადაწყვეტა არ გამოუხაზოს — ეს ცნობილი და საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, მაგრამ ციხის უფროსის ამ მუქარას კარგა ხანს ვერაფერი ეშველა. ვერა და ვერ დავადგინეთ, რა უნდა ეღონა კოცს ისეთი, რომ იმ მჭევრმეტყველ, საუცხოოდ მომზადებულ, პროპაგანდის უზომოდ მოყვარულ გიმნაზიელებს თავისი საქმე მიეტოვებინათ და, ამასთან ერთად,

სირცხვილისგან ცხვირიც ვერსად გამოეყოთ?

— ქადაგს უხარია რალაც, აღმოჩენა აქვს, დაიხსომე ჩემი სიტყვა, — დათა თუთაშხია კლასიონ კვიმსაძეს ხანდახან ქადაგს ეძახდა.

ძალაუნებურად დავაკვირიდი. მართლაც, გაბრწყინებული, ემპაქურად მოციმიციმე თვალებით დაიარებოდა კლასიონი. ორი-სამი დღე, თითქმის, არც ერთს არ გამოგვლაპარაკებია და მანძილზე იგრძნობოდა, რომ მისი ტენი ორთქლის მანქანის ოდენა მუშაობას ასრულებდა — ქშინვაც კი ის მოდა. ბოლოს, როგორც ჩანს, კლასიონმა წყლისა და ნახშირის მარაგი ამოწურა, შესაფერი დრო იხელთა და ყურში ჩამჩურჩულა:

— ვიცი მე, ალექსი, რასაც უპირებს კოცი ჩვენს ბიჭებს!

— პა?.. რას უნდა უპირებდეს?

— სადაა კარცერები?.. სარდაფში, ხომ?

— მერე?

— დერფენის ცალ მხარეს არამ კარცერებია, მეორე მხარეს საკნების, ხომ?

— კი, კარანტინის საკანია და კიდევ რამოდენიმე სხვაც. კარცერების მხარესაც არის... ორი თუ სამი საკანია კარცერების მხარეზე.

— ვინ ზის იმ საკნებში, თუ იცი?

— ორ საკანში ვენერიული ვადამყოფები სხედან... სხვები ვინ არიან?

— აღარ მახსოვს...

— კარცერების პირდაპირ სვანი რომ არის, მერვე, კაცი, მერვე!.. ვინ ზის იქ?.. — კლასიონს ჩემმა მიუხვედრელობამ თუ უტოლინარობამ გული მოჰკვარა.

— აღარ მახსოვს-მეთქი!.. შენ რა, გამოცდას მიწყობ? თქვი, რის თქმა გინდა!

— მამათმავლები სხედან მერვე საკანში, მამათმავლები, შე ჩემი ცოდვით სავსე!.. დიღლია, დარდაკა, ხარჩო, დარჩო, აღისკერა, რუდოლფ ვალენტინოვიჩი... ვინაა კიდევ იქ?..

— მერე, მერე? — მგონი, ახლოს ვიყავო.

— მერე და, კარცერებში მარტო, თითო-თითოდ უზის კოცს ჩვენი გიშნა-ზიფლენი! წარმოიდგინე, ახლა, ღამით... გაუღებს კარს და შეუშვებს! იმ ერთ ციკქნა კაკალაშვილთან იმხელა სპილოსავით დარდაკას, — შედი და ქენი რაც მოგეხასიათოსო!..

— ბირი დავადე — არც მეტი, არც ნაკლები! პირველი, რაც გავიფიქრე, ის იყო, რომ ასეთ სიბილწეს კლასიონის მეტი მსოფლიოში ვერაფერს გამოიგონებდა...

— როგორი საბაბია, ა?! — კლასიონის ძლევამოსილი მხედართმთავრის თუ ახალი მატერიკის პირველადმომჩინის იერი ჰქონდა. — წარმოიდგინე ახლა, მაგას ციხე რომ შეიტყობს!..

— ხმა, კრინტი არ დაძრა, კლასიონ!

— რატომ, ნეტავი?

— კოცს ეგ, იქნებ, აზრადაც არა ჰქონდეს, მაგრამ თუ მის ყურს მაგისთან შესაძლებლობა მისწვდა, ვინ იცის გააკეთოს კიდევ, — ახლა-მე მომივიდა გული.

— მაგ არის სწორედ საქმე!

— რა საქმე, რის საქმე!.. ეგ სულაც რომ არ მოხდეს და მხოლოდ ვერსია ვავრცელებდეს... შენ გესმის, რომ სამუდამო კომპრომეტაციაა?! მართლაც და, სად უნდა გამოყოს ცხვირი... პოლიტიკაა, ხელად წამოაძახებენ, — აჟა და აჟ, ამა და ამ წელს დარდაკას საყვარელი იყავით!.. ხმა, კრინტი არ დაძრა!

— როგორ, შე კაცო, ამ ოთხი ათას შეიდას კაცში ჩემხელა ტენის პატრონი მეორე აღარ მოიძებნება, ვითომ?.. შორს ნუ წახვალ, აგერ, ჩვენი საკუთარი აბრაჯი უკვე მიხვედრილია ყველაფერს, მომკალი თუ ვინდა.

— რა იცი?

— რაის რა ვიციო, შე დალოცვილის შეილო და უფრო დალოცვილის შეილიშვილო... პოქტია დატოვა ეზოში გუშინ სეირნობის მერე და, ჩემპ,

ყურით გავიგონე, რომ ეუბნებოდა: — ზუსტად დაადგინე, ვინ ზის იქ და რამდენ-რამდენი სხედან კარცერშიო. რისთვის ჭირიოდა, თუ კაცი ხარ?.. ახლა, დათას გაზით ვერ ამოგლეჯ პირიდან მაგას, მარა, სხვაც მიხვდება ვინმე და გველივით გამოხობდება ხმა, ცხადია ეს.

დათას ხსენებაზე მივიხედ-მოვიხედე, — სად არის-მეთქი. ლოგინზე წამოწოლილიყო, ჩვენკენ იყურებოდა! კიდევ ცოტა ხანი ვიბჭუეთ მე და კლასიონმა. ვადავწყვიტეთ, კომიტეტისთვის გვეცნობებინა ეს ეჭვი.

იმის მოყოლა რა საჭიროა, თუ როგორი რეაქცია გამოიწვია ჩვენმა ნათქვამმა. პირველი შთაბეჭდილების ტალღამ ჩაიგრილა და, როგორც უკვე ვთქვი, — ყველა მოვლენას ამბოხების თვალსაზრისით აღვიქვამდით-მეთქი, ამ საქმეშიც იმავე კუთხით გამოიხედა: ივარგებს თუ არა საბაბად და რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ?!

აზრი გაიყო — ზოგი ამბობდა, რომ ბატონი კოცი ამგვარ რაიმეს ვერ გაბედავდა. მეორენი ამტკიცებდნენ — უეჭველად იზამსო. მხოლოდ ერთ რამეში ემთხვევოდა ყველა შეხედულება: კოცის განზრახვა — მიუხედავად იმისა, განხორციელდებოდა იგი თუ არ განხორციელდებოდა — აფექტის და, მამასადამე, აფეთქების პოტენციას ეჭვს გარეშე შეიტავდა!

— კოცი ასე და ისე აპირებსო... მარტო ჭორი და მითქმა-მოთქმა ვერ იკმარებს საბაბად, — კატეგორიულად განაცხადა კლასიონმა.

— მეც ასე მგონია, ვერ იკმარებს, — დაუდასტურა თომა კომოდოვმა.

— მაშ, რა იკმარებს? — იკითხა პეტრე ანდრაშჩუკმა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ყოველი ჩვენგანი ვარაუდობდა, რომ აფეთქებისთვის იმ სისაძაგლის მოხდენა, სისრულეში მოყვანა, ან სხვა, თანაბარი აღმამფო-

ვახუა აშირაჯიანი
დათა თუთაშვილი

თებლობის შემცველი ბოროტება იყო საჭირო, მაგრამ, აბა, რომელი გაბედავდა ესოდენ დიდი შეურაცხყოფისთვის, სამუდამო კომპრომეტაციისთვის გაემეტებინა ამხანაგი, თანამებრძოლი — ასეც ნუ იქნება — უბრალოდ, ადამიანი!

— რევოლუცია სუფთა რამეა, ჭუჭყიანი რამეები არ იქნება! — ვაიმეორა ჰამომ თავისი სენტენცია და ყველას გულზე მოგვეშვა, რომ სათქმელი იტქვა.

— მართალია ეგ, ჰამომ-ბატონო, — მიაგება კლასიონმა, — მაგრამ რევოლუცია ბრძოლაა, მსხვერპლს და დანაკარგს მოითხოვს და როცა საკითხი ამბოხებას ეხება...

— მოკლედ მოჭერი! — სიტყვა ჩამოართვა ჰამომ.

კლასიონი შეეყოყმანდა. თომა და ჰამომ კვლავინდებურად თვალეზში შეკუთრებდნენ. დათა თუთაშხია აქამდე მხართეძოზე იწვა — წამოდგა, ფეხები შეიკეცა და ისიც კლასიონს მიაშტერდა. სხვებს თავები ჩახრილი ჰქონდათ, ძირს იყურებოდნენ. მე, ხან ერთს შევცქეროდი, ხან — მეორეს...

— უნდა მოხდეს ეგ... ამბოხება თუ გინდათ, უნდა მოხდეს! — მტკიცედ თქვა კლასიონმა. — ყველა მასე ფიქრობთ და თქმის გეშინიათ!..

კლასიონს ახლა უკვე ყველა თვალეზში შესცქეროდა, მაგრამ არც ერთ მხერაში არ იყო უარყოფა, გაკიცხვა და დაგმობა. არა, ყველას თვალეზში ერთი და იგივე იდო: სამწუხაროა, რომ ამბოხების ნაღდი საბაზი ივარგება, მაგრამ მავის ჩადენა არ შეიძლება!!!

— კლასიონ კვიმსაძე! — სიჩუმე დაარღვია დათა თუთაშხიამ. — შენ რომ გვთავაზობ, მასეთი გზებით გამარჯვებული რევოლუციის დროშაზე კაკალაშვილი და დარდაკა უნდა იყოს ოქროს ძაფით ამოქარგული, ასე ვფიქრობ მე...

— გამომივიდა ესაც!.. დამიწყეს აქ... წმინდა ბერი წმინდალ წაწყდაო,

ნათქვამია!.. დროშა და ის... კიდევ!.. — აღუდღუნდა კლასიონ კვიმსაძე.

ხმა აღარავის ამოუღია.

დათა თუთაშხიამ ჩაიციხა. ერთხანს იფიქრა, მერე ქალაღი და ფანქარი იშოვნა, საკმაოდ ვრცელი წერილი დაწერა, ციხის მასშტაბებისთვის ვრცელი, ორი გვერდი. გადაიკითხა, დაასირსოლავა, ძაფი შემოახვია და თავის პოქტიას მისცა:

— მოახერხო უნდა, კატორღელების საკანში გოგია წულაძეა ცალფეხა — გაჩვენე მე ერთხელ. მას მიეცი ხელიდან ხელში. ჩემი მისვლა არ ივარგებს იქ. იცოდე ჩავარდნა არ შეიძლება ამ წერილის!

კატორღელების საკანი ჩვენ სართულზე იყო. პოქტიას ის წერილი ან მაშინ უნდა გადაეცა, როცა სასეირნოდ გავეყვანდნენ, ან იქიდან დაბრუნებისას. არც ერთი იყო მაინცდამაინც ძნელი, არც — მეორე!

მაღე, — სეირნობაო, დაიძახეს და გავიკრიფეთ.

სასეირნო ეზოში ერთი ისეთი რამ მოხდა, რომელმაც დარწმუნებული ვარ, რომ ეს სწორედ ასეა, — დანარჩენი თავისთავად განაპირობა. კედელს იქიდან ვიღაცამ კენჭზე დაბმული ბართი გადმოისროლა. ერთი შობლათგანი დასწვდა, აიღო და, რა თქმა უნდა, სპარაპეტას მიართვა. სპარაპეტა ქურდების პატრიარქი გახლდათ, ქიდად სახელგანთქმული და უეშმაკესი ბოროტმოქმედი, თავისი საქმის დიდოსტატი, ოცდათუთმეტ-თექვსმეტი წლის კაცი. პატრიარქმა ბართს ძაფი შემოაცალა, ქალაღი გაშალა, წაიკითხა, ჯიბეში ჩაიღო. პატარა ხანს იარა. მერე თომა კომოდოვთან მივიდა და უთხრა:

— თომაჯან, ესლა ვადმოუგდიათ, ჩვენი არ არის, ბაიყუშის სახელზეა... შიგ იმნარიები სწერია, რომ იქნება ჯერ შენ უნდა წაიკითხო. მოგცე, თუ ბაიყუშმა ნახოს?

— ვისიც არის, იმას მიეცი, — ღიმილით მიუგო თომამ.

— ჰა?... — შეეყოყმანდა სპარაპეტა. — ჰო, რა, შენი ნება.

— დათა, მობრძანდი, ერთი! — დაუძახა თომა კომოდოვმა.

დათა თუთაშხია მივიდა, სპარაპეტამ ბარათი გადასცა. დათამ წაიკითხა, თომას გაუწოდა და დააყოლა:

— ბიკენტის ხელია ეგ, იალქანიძის. ფერშლად რომ არის საავადმყოფოში. ძმაკაცია ჩემი!

ბარათმა ორიოდ წუთში კომიტეტის ყველა წევრი მოიარა. აი, მისი შინაარსი: კოცმა საგანგებო უფლებები მიიღო. რაში გამოიხატება და რაში გამოიყენებს — არ ვიცი. ავტორი ბიჭების კომპრომეტაციისთვის და სხვების დასაშინებლად მამათმავლების გამოყენებას აპირებენ. პირველი ასეთი რამ „ცუგოს“ ცელაში უნდა მოხდეს, ზეგ ღამით.

პირადად მე წაიკითხვისთანავე შემიჩნდა ეჭვი, რომ ბარათი კლასიონ კვიმსაძის ინსპირირებული იყო.

— დავრჩები მე, ვნახავ ბიკენტის და გავიგებ ყველაფერს, — თქვა დათამ. სეირნობის დამთავრების შემდეგ ზედამხედველს მანეთიანი ჩასჩარა და საავადმყოფოსკენ გასწია.

საკანში ავედით. რა დავგიმალეთ, — აბა, ყველანი ციხეებში და გადასახლებებში ნათრევი ვიყავით, რა არ გადაგვხდენია, მაგრამ იმ ბარათიდან მიღებული შთაბეჭდილება თომა კომოდოვის ნერვებისთვისაც კი მძიმე ტვირთი აღმოჩნდა. ისე უხერხულად ჩემს სიტუაციაში არ მიგრძენია თავი. როგორ ვითნრათ... მეგონა, ვითომ, ეს არის ახლა სიბინძურეში ამოვალეს და დაბანის უფლება აღმიკვეთეს, — ზედ უნდა შეგაშრესო! ჩვენს კუთხეში შევიხვეტეთ, თავები ჩაკვიდეთ, ყველა თვეთავის საფიქრალს მიეცა.

დათა თუთაშხია დაბრუნდა. ბარათი, მართლაც, ბიკენტი იალქანიძისა იყო და დათამ ახალი ვერაფერი მოიტანა, გარდა იმისა, რომ ბიკენტიმ პირველწყარო დაუსახელა, სანდო პირველწყარო — საავადმყოფოს უფრო-

სი, სამხედრო ექიმი, გვარად შჩეკლუნოვი, მაგრამ რად დასჭირდა ჟანდარმს ბიკენტისთვის გაენდო სახელმწიფო საიდუმლოება?! ესაც ცალკე საფიქრალად შემოგვიჩნდა. იმ ღამეს სისხამზელა მოვრჩით ჩურჩულს. დიღით — რაღა დიღით, თორმეტი დაწყებული იყო — ვისაუზმეთ და მერე გვიან ღამემდე ისევ იმ საქმეს ჩავკირაკიტბდით. ჯერ ვითარებაში ნათლად გარკვევა იყო საჭირო. შემდეგ, იმის დადგენა, თუ რა შეგვეძლო, რა სახის ჩარევას მოვახერხებდით. და რა შედეგები იყო მოსალოდნელი. უკვე ყველაფერი ასგზის აღნიშნული, შეფასებული, განსჯილი გვექონდა, მაგრამ დასკვნა არსად ჩანდა. ბოლოს თომა კომოდოვმა სმენა ითხოვა და თქვა:

— მოდი, ახლა, მოსაზრებებს მოვეუყაროთ თავი, თორემ ამდენი ხანია ვჯაღანებთ და ხვალინდელი დღე კი კარზეა მომდგარი. აი, ასე დავიწყით: ჩვენს თვალწინ ბოროტება, უჭუჭყიანისი სისაძაგლე უნდა მოხდეს. რა შეგვიძლია გავაკეთოთ, რომ არ მოხდეს?

— თითო საკანში თითო ჩვენი კაცი ხომ მაინც გვყავს? — თქვა ეზიზა ქელიძემ. — გავაგებინოთ ყველას. ავაყვიროთ მთელი ციხე და ვაიძულოთ ადმინისტრაცია, ხელი აიღოს განზრახვაზე. კვილის ეშინიათ ჟანდარმებს, ხომ ვიცით ეს ყველამ...

— მამათმავლებს ცალკე შევუთვალოთ, რომ ის სისაძაგლე თუ იკისრეს, მოგვხედებიან ხელში და ყველას სათითაოდ დავხოცოთ — დამნაშავეს და უდანაშაულოს, — დასძინა ანდრო ჭანიშვილმა.

— კაცო, ხვალე სასეირნოდ არ წაგვიყვანენ, რო? — თქვა ჰამბომ. — ერთიც ისეთნაირი რამე მოვიგონოთ, შევცვივდეთ ქვეითა კორპუსში, კარები შევამტვრიოთ და ჩვენი კაცები წამოვიყვანოთ. მორჩა?

— არა მგონია, კაი გამოვიდეს რა-

ვახუა ამირაჯიბი
დათა თუთაშხია



მე მანდეღან! — თომა კომოდოვს მიმართა დათამ. — თქვენ რომ ამბობთ, მაგ საქმიდან დიდი-დიდი ის დარჩეს... დაუშვით, ეგ ბოროტება არ მოხდება — ხვალ არ მოხდება, მაგრამ კოცი არ დაიშლის მაინც და იზამს, ადრე თუ მალე თავისას. იმდენი უნდა ვავაქეთოთ, რომ მადა, სამუდამოდ თუ არა, კაი ხნით მაინც წაუხდება...

— თუ ისეთი ხმაური და ღრიალი გამოვიწვიეთ, რომ პროკურორი მოვა, მაშინ პეტეციას გადავცემთ, ამ საძაგელ განზრახვაში ვამხილებთ ციხის ადმინისტრაციას და გამეორებას ვედარ ვაბედავენ, — დაუროთო პეტრე ანდრამჩუკმა.

— კი, აბა, ვედარ ვაბედავენ! — ჩაიქირქილა კლასიონმა: — წაიკითხავენ თუ არა ჩვენს პეტეციას, ვაწითლდება ყველა — მეფიდან კოცამდე და ვაგვიშვებენ სახლებში. რასაა, ეს კაცები რომ ლაპარაკობენ, გადავირიო ლამის!

— ეგ გზა არ ვარგა, ამხანაგებო! — მეც ჩავერიე კამათში. — თვით ჩვენი რევოლუციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ცალკეულ ბოროტებას კი არ ვბრძვის, არამედ მთელ იმ ვითარებას, რომელშიც ეს და სხვა მრავალი ბოროტების მოხდენაა შესაძლებელი. ვითარება უნდა აღმოიფხვრას და არა ერთი რომელიმე შედეგი ამ ვითარებისა. შეგვიძლია?.. ჩემი აზრით, ამაზე ვუმართებს ფიქრი, თორემ სახელდობრ კაკალაშვილისა თუ ივანოვის გაღარჩენა არცთუ მიუწვდომელი რამ არის.

— კი, ისეთი უნდა მოვახდინოთ, რომ დიდი ხნით დაახლოდეთ და იქამდე აღარ გაბედონ, სანამ არ გადავაშენებთ. წავიყვანთ საიქოს და იქ ერთმანეთს თუ დაუპირებენ მაგისტანებს, ნუ ჩავერევით ჩვენ, მაგათი საქმე იყოს ის, — დაადასტურა ეზიზა ჭელიძემ.

— კაცო, მასეთი რაიმე ამბობებაა მხოლოდ. ამბობება არ მოხდება, სანამდე ის სისაძაგლე არ მოხდება!.. ვაივით, — ეანდარებები ასე და ასე აპირებენო, ამაზე არ ვამოგვყვება მასა...

დღეა, რა მოვუხერხო ამ ხალხს, რომელთა კლასიონ კვიმსაძე.

— ნურაფერს ნუ მოგვიხერხებ, თუ ძმა ხარ, დაწყნარდი როგორმე! — მიუღო შალვა თუხარელმა.

— საბაბი თუ გინდათ, იქნება, მგონია, მაგრამ თომას პირისპირ მინდა ველაპარაკო ჯერ, — განაცხადა დათა თუთაშვიამ.

სიმართლე უნდა ვთქვა, გამოცდილება სასესებელი არც ერთს არ გვექონდა. მაგრამ დათა თუთაშვიას მაინც სულ სხვა ბუნებისა და არსის ძალად ვთვლიდით. ყოველი ჩვენგანი გრძნობდა, რომ მიუხედავად განდგომილი ხასიათისა, მიუხედავად რევოლუციის მიმართ ერთგვარი სიფრთხილისა და უნდობლობისა, აუცილებლად დადგებოდა მომენტი, როცა იგი თავის და მხოლოდ თავის სიტყვას იტყოდა. ამ თემაზე მის ზურგს უკან ვესაუბრია კიდევ და ახლა — არ ვიცი, იმ ტონის გამო, რომლითაც დათამ ის სიტყვები თქვა, თუ თვით ნათქვამის მნიშვნელობის ძალით იყო — ყველანი გვიინაბეთ, თვალეშში შევაჩერდით.

— თუ ხართ თანახმა? — შეგვეკითხა დათა.

— ეგრე იყოს, — თქვა ჰამბომ. სხვებმაც დასტური განაცხადეს. ვინ — სიტყვით, ვინ — თავის დაქნევით.

დათა გაგვეცალა. მოცარიელებული ადგილი შეარჩია, დაჯდა და თომას დაუძახა. დიდ ხანს ილაპარაკეს მერე მეც მიმიხმეს, მივედი. ის იყო ჩამოვჩქეი და ამ დროს სპარაპეტა მოგვიახლოვდა.

— მე — ბოდიში! ცოტა ხან დადევით; რამე უნდა გითხრათ, მეტროს წავალ, თქვენნი საქმისა მაშინა თქვით.

— მოდი, სპარაპეტ, დაჯექი, — შეეხმიანა თომა კომოდოვი.

სპარაპეტა მოგვიჯდა, მიიხედ-მოიხედა. სამ-ოთხ ნაბიჯზე არაფერ იყო.

— მე თქვენი რამეები ყველაფერი ვიცი. ჩემმა მზემ!.. — სპარაპეტამ შეგვათუალთურა, — აბა, რა ეფექტი მო-

ვახდინეთ. — არა, კიდევ ორმა კაცმაც იცის, მაგრამ ჩვენ ქურდები ვართ და არაფერიც არ ვიცით. გაიგეთ? — თავები დავიჭინეთ. სპარაპეტას, ჩანს, თავის შეკითხვაზე დასტური სჭირდებოდა. მიიღო და განაგრძო: — ეხლა, მერას გეტყვით... აი, ამას, — დათა თუთაშხიას მკლავზე მოავლო ხელი, — ამას ერთი ბიძაშვილი თუ მამიდაშვილი ჰყვანს. ეხლა აღარ მახსოვს, სწორე როგორ იქნება — მამიდაშვილი, თუ ბიძაშვილი, მაგრამ სულერთია და იმნარი კაცი ქვეყანაზე არ დაღის! თავი კი არ აბია — კისერზე ეჩმიადინი აღვას! ჩემმა მზემ, ეჩმიადინი! იცით, ვინც არის?

— ვიცით, — მიუგო თომამ.

— კარგია, რომ იცით, ეხლა აქ აღარ არი, პეტერბურგში წაიყვანეს, იქა ჰყვანთ. არა, ისეთნარი ვინმეა, პარიში წაიყვანონ — ნიჩვეო უდივიტელნი იქნება, ჩემმა მზემ. ჰო, იმას ვეუბნებოდით, რა: მე იმის ხელში გამოვლილი კაცი ვარ. ერთხელაც რას მეუბნება: — სპარაპეტან, ცვატტანემ, რისთვინა ქურდობ? მე ვეუბნები თუ, — ფული მინდა და ვქურდობ. ის ამბობს, — მაგნარი ფული რო ციხეა? მე ვეუბნები თუ, — მაშ, ჩემთვინ ისეთი ფული სად არი, რომ ციხე არ იყოს? — გაიცინა და მეუბნება: — არი ეგეთი ფული! მეთქი თუ, — სადა? ლომის უკანალშიო!.. — ლომის უკანალშიო, კაცი, ლომი იცით? — ვაცნობეთ, რომ ვიცით. — ჰოო, მაგრამ ის ფული როგორ უნდა აიღო, იცი? — მეუბნება. — ვა, მივეპარები, დავჯდები, დაველოდები, ერთხელაც იქნება, მონეხვამს, ფულს ვადმოაყოლებს, ავიღებ და წამოვალ-მეთქი. არაო! ეგრე აღებული ფულიც უშეშველი ციხე არიო. მაშ, როგორ-მეთქი?! — რას მეუბნება: — როგორა და ხახა უნდა გაუღო... — ლომსა, კაცი! — ხელი შიგ ხახაში ჩაუყო, წახვიდე, წახვიდე, ბოლოში გახვიდე და ეგრე, იქიდან უნდა ამიიღოო!.. ცხოვრება და შოვნა ეგეთი რამეაო! გაიგეთ?.. ნაღდი რამე

მითხრა, ჩემმა მზემ, თქვენმა მზემ, მაგრამ ამ სიტყვას კარგი გასინჯვაც უნდა!.. ეხლა, თქვენ ის არა თქვათ, ვითომ მე იმისთვინ მოვედი, რო ამას ეგეთი მამიდაშვილი ჰყვანს და ვითომ ეგ მინდოდა მეთქვა. არაფერიც! ეს კაცი, როგორც გინდა მამიდაშვილი ჰყვანდეს, ნაღდი კაცია. მე სპარაპეტა ვარ — კაცს ერთი შეხედო, უკვე ვიცი. არა, სხვა რამე გიოხრათ: იმ ლომს თქვენ უკნიდან ნუ უტრიალებთ. ვისაც გამოღება გინდათ, ხახაში ხელი ჩაუყავით და გამოიღეთ! სხვანარად იქიდან არაფერიც არ გამოიღება. ეგ არი. ეს სიტყვა კარგა გასინჯეთ. მოვრჩი. ძალიანაც კარგა იყავით! — სპარაპეტა ადგა.

— დაიცადე, — უთხრა თომამ, ანიშნა დაჯეიო და დასძინა: — ჩვენ რომ ხელი ჩავყოთ, თქვენ როგორ მოიქცევით?

— ვაა! ჩაყავით, რალა, ეგაჩერე ვნახოთ!.. არა, სანამ არ ჩაჰყოფთ და იქიდან არ ამიიტანთ, არაინაც არ გაინძრევა. ვინც გინდა იყოს, ეს სიტყვაც კარგა გასინჯეთ! წავედი.

სხვათაშორის, დათა თუთაშხიას განზრახვა, როგორც მერე გამოირკვა, სწორედ ლომის ხახაში ხელის ჩაყოფას ნიშნავდა, მაგრამ სპარაპეტას წასვლის მერე და ბოლომდე რაც იყო, თანმიმდევრობითა და დაწვრილებით მოყოლის ღირსია.

სპარაპეტა წავიდა, თომამ თვალი გააყოლა, მერე თავი ჩაღუნა. ცოტა ხანს იფიქრა და, ალბათ, ეს დათასთან საუბრის გაგრძელება იყო. ჰკითხა:

— კარგად აწონ-დაწონე?.. შესძლებ?

— ეს საქმე ცუდი იმით არის, რომ შევძლებ! წესიერი კაცი იმის გაკეთებას უნდა ცდილობდეს, რაც არ გაუკეთებია ჯერ და არ შეუძლია ამიტომ. თქვენ ხართ სწორედ თომა-ბატონო, ის კაცები, რომ არ შეგიძლიათ და ისეთის

ვახუა ამირაჯიანი
დათა თუთაშხია



კეთებას მოკიდეთ ხელი. მეც მხოლოდ მიტომ აღმოვჩნდი თქვენთან, თქვენთან ყოფნა რომ არ შემეძლო.

— იმიტომ, რომ არ შეგეძლო? — ჩაილაპარაკა თომამ, იყუჩა და უთხრა: — დათა, პირადად მე თანახმა ვარ, პირადად მე ყველაფერზე წამოვალ, მაგრამ ერთი პირობით: უნდა მიიხრება, რის ეტლისთვის კისრულობ მაგოდენა რისკს.

— აუცილებელია, რომ ვითხრა?

— არა. თხოვნაა, მინდა ვიცოდე.

— თუ მოვახერხებ თქმა. ბევრია სათქმელი და თავი ვერ მოგუყარო, იქნება, მე რომ მინდა და საჭირო რომ არის, ისე. — დათამ კარგა ხანს იფიქრა. — ერთი ბოროტება რომ ხდება რაიმე შენს დასაანახზე და ხელმისაწვდომზე, მისი მოსპობა ადვილია, ძალიან. მისი სიკეთედ გადაქცევა ძნელია უფრო, მაგრამ შეიძლება, მაინც. ეგ არის, არაფერი საქმე არ არის ეს, სხვაგან და უფრო მეტი ბოროტება მოხდება, უეჭველია, მიზეზი თუ არ მოსპე იმ ბოროტების, ბუდე თუ არ დაუნგრე. ბუდე აქვს თავისი ყველაფერს მზის ქვეშ და — ბოროტებასაც. ბოროტების ბუდის დანგრევა დიდი საქმეა ძალიან. ისე დიდი საქმეა ეს, რომ გასაჭირადაც ღირს და სიკვდილადაც. ამიტომ მინდა გვაკეთო, რაც გითხარი, და არაფერი დიდი რისკი არ არის აქ, ვიტყვი ამასაც.

თომა კვლავინდებური დაყენებით შეპყურებდა დათას და გამომეტყველების მიხედვით ისე ჩანდა, რომ კიდევ რაღაცას ელოდა. დათა ფიქრს მიუხვდა, ისევ ვაიციანა და განაგრძო:

— ამას წინათ, აგერ ალექსიმ რომ თქვა, რევოლუცია ვითარებას უნდა ებრძოდეს და არა ერთ რომელიმე შედეგს ვითარებისასო, ის ვითხარი მეც და ერთია კიდევ: არასდროს არაფერი არ მდომია ადამიანისგან, კეთილი და სამართლიანი რომ იყოს, ამის მეტი. ვაწამებულს და გატანჯულს რომ ნახავ ვინმეს, უნდა იღონო რაიმე, რომ ეშველოს იმ კაცს, ადამიანი თუ ხარ. ამას

ვშვრებოდი მე, მაგრამ თვითონვე უნდა გაანძიროს თავი და ხელი და ხომ უნდა უშველოს თავის თავს და მის ბედში მყოფსაც, სიკეთე და სამართალი თუ უნდა. თვითონ არ გაანძირებს ხელს არასგზით: ერთი — იმიტომ, რომ არ იცის, ვინ ან რა არის მისი გამამწარებელი და გამტანჯველი და მეორე ის, რომ თუ დაინახვე და გააგებინე, — აგერ, ეს არის მიზეზი, უბედური რომ ხარ, და ამას უნდა მოსპობაო, — ვერ შებედავს, მისას ბუზს ვერ აუქნევს ხელს. მისივე სიკეთისთვის როგორ უნდა დაეაძვრევიო კრისტე, ხელი როგორ ავაწევიო, ეს მინდა ვისწავლო, თომა-ბატონო. ხომ გათქმევიანე ერთხელ, — ჯერ არ ვიცით, ესწავლობთ და უეჭველად ვისწავლით, მეფეს როგორ უნდა ჩამოგდებო! ისე ვარ მეც, მაგრამ ჩემი სასწავლი და თქვენი სასწავლი ერთნაირიც არის და სხვადასხვანაირიც. ჩემი ძნელია, უფრო. ვითხარი ყველაფერი, რაც გამეგებოდა და რისთვისაც მინდა გავაკეთო ის.

ერთხანს ჩუმად ვისხედით, ვფიქრობდით, თომამ გამომამხიზლა:

— კარგი! ალექსი, აი, დათა ამბობს, რომ ხვალ ღამით ჩავვაზარებს ყველა კორპუსისა და საყნის გასაღებებს. რა გზით ვაკეთებს ამას, თავისი საქმეა და არ სურს ჩვენ რომ ვიცოდეთ — ჩემს გარდა, ვინმემ. ეს პირობა უნდა მივიღოთ. ყოველივე ამას მე კომიტეტის წევრებს გადავცემ და იქ გადაწყდება, ვიწყებთ თუ არა ამბოხებას, საბაბად იგივე სისამაგლე რჩება. ჩვენს დახმარებას დათა არ საჭიროებს, მარტო შენ უნდისარ! მძიმე და სარისკო საქმეა...

— მე მზად ვარ. თუ არ შეიძლება, საერთო ჩანაფიქრსა და გეგმას გავეცნო, არც ეგ მინდა. მოვდივარ! — სიტყვა ჩამოვართვი თომა კომოლოცს.

თომამ ჩვენებისკენ გასწია, დათას ვკითხე, — ახლავე ხომ არა ვარ საჭირო-მეთქი, და თომას მივყევი — მეც ხომ კომიტეტის წევრი ვიყავი.

ახლა დეტალურად აღარ მახსოვს

თავბირი როგორ წარიმართა, ვინ რა თქვა და ამის მოყოლა არც არის საჭირო, მაგრამ მინდა აღვნიშნო, თუ როგორი იყო კომიტეტის წევრების რეაქცია იმაზე, რომ ამბოხება ხვალ ღამით უნდა დაწყებულიყო!

მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარებული გეჰონდა: საკნებში — სამისა თუ ოთხის გამოკლებით — ჩვენი ხალხიდან თითო კაცი საქმის კურსში იყო. მათ, თავის მხრივ უკვე შეგულებული ჰყავდათ ოთხ-ოთხი, ხუთ-ხუთი სიმედო კაცი იმ შემთხვევისთვის, როცა კომიტეტისგან აქტიური, კონკრეტულად დასახელებული მოქმედების გეგმასა და მითითებას მიიღებდნენ. ისიც გათვალისწინებული იყო, რომ შერჩეულმა პირებმა, კონსპირაციის მიზნით ამბოხების მზადების შესახებ არაფერი იცოდნენ, ვადაწყვეტ მომენტში ზოგ მათგანს იქნებ ელაჩრა კიდევ. იყო მზადადგინისა და დაწყების პირობითი ნიშნებიც, რაც თავკაცებისთვის ამბოხების დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე გახდებოდა ცნობილი. ის ნიშნები მხოლოდ თომა კომოდოვმა იცოდა. რჩებოდა რამდენიმე ღონისძიება, რომელთა განხორციელება თავისთავად ნიშნავდა ამბოხების დაწყებას...

ვიტყვი და ეს ერთადერთი სიმართლე იქნება, რომ ყველა წევრს, უკლებლივ, გაორება შევნიშნე: ერთი მხრივ — გულის წამოშვება და სიხარული, რომ მოდის დიდი ხნის ნათკნებარი წუთი და, მეორე მხრივ — იმედი, რომ დათა თუთაშხია დაპირების შესრულებას ვერ შეძლებდა! არ დავმალავ, თავად მეც მქონდა ეს გაორებულობის გრძნობა. ამ მოვლენას თავისი ასენა აქვს. საერთოდ, ხომ ძნელია ისიცოცხლეს კითხვის ნიშანი დაუსვა და ისიც გონების კარნახით, ცივი ანგარიშით, წინასწარი მოფიქრებითა და გადაწყვეტილებით. მაშინაც კი ძნელია, როცა შენი სამშობლოს მტერს ებრძვი იარაღით ხელში და შენს ზურგს უკან დგას შენი ხალხი, შენი

შვილები, შენი სახელმწიფოს კანონი, რომელიც ნებას გრთავს გახდე მკვლეელი და გაძლევს გარანტიას, რომ კეთილი ადამიანის სახელი გექნება! ახლა, წარმოვიდგინოთ შემთხვევა, როცა ერთ მუჭა თამაზრახველებთან ერთად უნდა პირისპირ მიხვიდე, ეკვეთო უზარმაზარ იმპერიას, სამხედრო ძალას, თავდაცვის ათასნაირი საშუალებებს და კანონს, რომელიც დაუყოვნებლივ გამოაცხადებს მკვლელად, მოლაღატედ, ნაძირალად. უმძიმესი ტვირთია, მიუხედავად რწმენისა, რომ სწორედ სამშობლოს და შენი ხალხის უმჯობესი მომავლისთვის მიდიხარ ამაზე! ცხოვრებისა თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობის სახელდობრ ასეთ და ანალოგიურ მომენტებში იჩენს ხოლმე თავს ხელმძღვანელის, ბელადის როლი და ის საოცარი ჰუმანიტეტბაც, რომ ყოველთვის ერთი პიროვნების ნებისყოფასა და გამოცილებებაზე ჰკიდია ჩანაფიქრის აღსრულების საქმე.

— ამხანაგებო! არც გვიან არის და არც სირცხვილია — თუ რომელიმე ჩვენგანს რაიმე მიზეზის გამო საქმიდან გასვლა სურს, თქვას და გავიდეს: ნურც იმას შეევეკითხებით, რით არის გამოწვეული მისი გადაწყვეტილება! — განაცხადა თომა კომოდოვმა და დასძინა: — ახლა ნუ შევეკითხებით.

რომელი იტყოდა, ლაჩარი ვარო? ყველამ თანხმობა და მზადყოფნა ვთქვი. მარტო ანდრო ჭანეიშვილმა იკითხა:

— კი, მაგრამ რატომ მოითხოვს ჩვენგან დათა თუთაშხია, რომ ბრმად მიეყვით?

— დათა თუთაშხია ჩვენგან სრულიად არაფერს მოითხოვს, — მიუგო თომამ. — მივიღოთ, რომ მან თავისი თავი მოვალედ ჩათვალა, გვაცნობოს: ხვალ ღამით, ათიდან თერთმეტამდე ხელში ჩაიგდებს გასაღებებს. ჩვენზეა დამოკიდებული, — გვინდა? ვისარგებლოთ!

მავაშა აშირაჯიზი
დათა თუთაშხია

დათა თუთაშხიამ გამოიარა, მგონი, დემბინისკენ მიემართებოდა. კლასიონმა ხელი წაუთათუნა, შეაჩერა, — სათქმელი მაქვსო.

დათამ ჩაიპულსლა.

— რას აპირებ და როგორ აპირებ, გვინდა ვიცოდეთ. რატომ გვიმალავ? — ჰკითხა კლასიონმა.

დათა თუთაშხიამ სათითაოდ დაგვათვალღერა.

— ნუ გეწყინებათ, ცული არ არის არაფერი, მე რომ ვიტყვი, იმაში... თქვენ დამდგარი ჰკუთის კაცები ხართ ყველა. განსჯა, რჩევა-დარიგება გიყვართ. მე რომ უნდა გავაკეთო, იმას ერთი კაცის ჰკუთის მეტი არ ჰირდება. რომ ვითხრათ, რას და როგორ ვაპირებ, აზრს გამოთქვამთ თქვენსას და, ანგარიშს რომ გიწევთ, თქვენმა აზრმა შემაყოყმანოს, იქნება. ყოყმანი ცული ამხანავია ასეთ საქმეში. ამიტომ ვერ გეტყვით ვერაფერს.

— კაცო, შენ რაღაცა გინდა ქნა და ჩვენცა გვკითხე, რაღა! — უთხრა ჰამბომ. — ერთიც ვნახით, ისეთი რამეა, რომ ჩვენთვის, ჩვენი საქმისთვის საზიანო გამოვიდეს, მერე?

დათა თუთაშხიამ ჩაიცინა.

— ჰამბო-ბატონო, ნიკოლოზ მეფემ იმდენი ზიანი მოგაყენა, რომ მე ვეღარ დაგიმატებ, მგონია, ვეღარაფერს. ციხეა ეს, ჩემზე მეტი იცი აქაური წესების და არაეისი საქმე არ არის, რას ვაპირებ და რა მინდა! ჩემსას ვაკეთებ მე. მოყვება ამას ისეთი ვითარება, რომ გამოგადგეთ, იქნება, თქვენს ჩანაფიქრში. ბოლოსდაბოლოს, არც მინდა ვიცოდე გამოიყენებთ თუ არ გამოიყენებთ. ჩემი საქმის და საკეთებლის მე ვიცი და უნდა გავაკეთო!

სიჩუმე ჩამოდგა.

დათამ წასასვლელად წამოიწია.

— ტყუის ეს კაცი რამეში? — იკითხა თომა კომოდოვმა.

— ცამდე მართალია! — თქვა ეზიზა ჰელიძემ.

— ვერ გამიგია, რა საჭიროა ეს ეკ-

ვიანობის სცენები?! — ყველგან ვიხილავ, ყველურა პეტრე ანდრასტემა. — რა გინდათ მეტი! შეგვიძლია? ვისარგებლოთ! არ შეგვიძლია? სოროებში შევძკრეთ.

— ყოყმანი არც თქვენს საქმეში ვარგა. ამას გეტყვით მე, — მოგვმართა დათა თუთაშხიამ.

— კი, მარა — როდის აქეთ ვახდა ეს საქმე მარტო ჩვენი და რა არის, რომ გვემოიჯნები, ნეტავი?! — მიუღო კლასიონმა.

— არავის არ ვემოიჯნები მე და სწორედ პირიქით არის ეგ. თქვენ თვითონ თქვით ჯერ... არ გვინდა ეს ლაპარაკი, მოამზადეთ მოსამზადებელი, თუ აპირებთ რამეს, — გვითხრა დათა თუთაშხიამ და წავიდა.

თომა კომოდოვმა კიდევ ერთხელ იკითხა:

— საქმიდან გამსვლელი თუ არის ვინმე — თქვას!

არავინ არ აღმოჩნდა.

— მაშინ, შეუვლდგეთ.

გადაწყდა, რომ მიეცემდით მხოლოდ მზადყოფნის ნიშანს — ხვალ საღამოთი, ანუ ცუგო რომ თავის ცვლას ჩაიბარებდა, მაშინ, დაწყების ნიშანი საჭირო აღარ იყო. დათა თუთაშხიამ თუ მართლაც ჩაიგდებდა ხელში გასაღებებს, საცნებს როცა გავხსნიდით, ამბოხების დაწყების ნიშანიც ის იქნებოდა. ამის მეტი სხვა რამ საკითხი არ განგვიხილავს: დასვენება, ძილი იყო საჭირო, ხვალინდელ დღეს დიდძალი ნერვები და ნებისყოფა მოუნდებოდა.

რატომღაც მგონია, ის ღამე, არამარტო მე, არამედ შევიდევმ და მერვემაც — კლასიონმა, თეთრად გავათენეთ. ერთმანეთს ვუმალავდით, რომ გველვიდა — ერთი იმიტომ, რომ ყოველ ჩვენგანს სურდა, ამხანაგების თვალში თვით აუმღვრეველობისა და უღარდულობის განხორციელება ყოფილიყო და მეორე — ვცდილობდით, საკუთარი მღელვარება სხვისთვის არ გადაგველო.

ბრიყვი არა ვარ და არც მკვებარა
და მაინც ერთი ფიქრი მაწვალებს:
რით გაგაკვირვო, ჩემო ქვეყანავ,
რა დაგიწერო, შენ გენაცვალე?

რა გაგიკეთო, რა დაგიმშვენო,
მეც როგორ გავხდე „ერთი მათგანი“,
რომ შენს ხსოვნაში არ წაიშალოს
ჩემი ფიქრი და ჩემი ნათქვამი?!

ნ ა ზ ო ს

მიზიდავ ანდამატურად
და ისე ძლიერ გნატრობ, —
სულ არ მჭირდება გიყურო,
შენ რომ დაგხატო, ნატო!

რად მინდა თვალის გახელა
ან მსგავსებაზე ლოცვა:

შენზე ვიფიქრებ და ხელად
წარმომიდგები ცოცხლად —

ჩემი ოცნების მაგვარი,
გალიმებული ლაღად
და ისღა მრჩება,

ფანქარი
არ დავაცილო ქაღალდს!

დღე მიიწურა.

სალამო ხანს სად წავა კაცი,
რომ მოიშოროს მარტოობის მტანჯველი სენი?

და კვლავ —
გასროლილ ვაზნასავით, ბოლომდე დაცლილს,
ჩემს სულს
ახალი შთაგონების საფანტით ვტენი.

გზაზე მივდივარ. პატარა ჩიტი სტვენით მომყვება უკან.
რა ჰქვია, არ ვიცი (ჩვენს დროში ვიღას ასსოვს ჩიტები!)
ხან თავზე გადამეულება, ხან ჩემს წინ დასკუბდება,
მივუახლოვდები თუ არა, ჭყვილით აფრინდება და
უფრო შორს გადაინაცვლებს. არ მენდობა, ეტჰობა...
მოდი, გენაცვალე, მხარზე დამაჯექი! მე გატარებ, მოგეფერები,
თავზე ხელს გადავისვამ... რა უბედურებაა, ღმერთმანი,
ეგრე როგორ დაგამინა ადამიანმა, რომ არავის აღარ ენდობი?

ნ ო ე მ ბ ე რ ი

მოთავდა რთველი. დაიწურა ბოლო მტევნები.
ჩამოატარეს ორღობეში ურმით წალამი.
დაცარიელდა ეზოები. მთელი სოფელი
გარინდებულა, თითქო რაღაცის

მოლოდინშია... მაგრამ ცოტაც და...
ისე, ვით დილით, აღიონზე მამლის ყვილი,
ერთი სახლიდან მეორეში, სოფლიდან სოფლად
გაინავარდებს „ვარპალალოს“ გადაძახილი!

მ რ ი ს ო ნ ე ჯ ი

სანდრო მათიაშვილს

თბილისი შენთვის — ბაღდადია, პარიზი, რომი, —
მის ძველ ქუჩებში გაბმული ხარ, როგორც კალმახი.
დამშვენებული შილაფლავით, ბასტურმით, ტოლმით —
სუფრაა შენი სახელოსნო, შენი ყაბახი.

შენთვის ერთია — იელოვა, ქრისტე, ალაჰი, —
ციურ მნათობებს, ვით წარმართი, უცქერი ნდომით.
მაგრამ მაშინ ხარ ჭეშმარიტად ვაჟკაცი, ლომი,
როცა კახეთი გაგონდება და კარდანახი!

სანდრო! სადაა სამართალი — არ ვიყოთ ერთად?
იმ არაბული ცხენის გული შენ მოგცა ღმერთმა,
მუდამ მზადა ხარ სანადიმოდ და სააშვილად...

მოდი, ჩვენს ბიჭებს გავუაროთ, გავებათ სმაში,
გათენებისას სოღანლუღში მივირთვათ ხაში
და ეს სონეტიც იმ სუფრაზე დავაჭაშნიკოთ!

მხატვარ ირაკლი ჯაჯანაშვილს

ყანწს ავსებ ღვინით, თუ ყალიბში ასხამ თაბაშირს,
თუ ერთი მუჭა ტალახიდან ამოგყავს სურა, —
შენ მე მაგონებ საწყალ ნიკო ფიროსმანაშვილს
როცა სარდაფში მუეუოვის ხატავდა სურათს.

აფერუმ, ძმაო, შენს მარჯვენას, შნოსა და უნარს!
არ გამომაკლო შენს ამქარში, შენს ამალაში.
სატევარივით, შოთი პურის მოგაწედი ყუას
და ვით მეტოქეს, გამოგიწვევ პურის ჭამაში!

... დონჯშემიყრილ მედუქნეებს გგანან დოქები.
იმუქრებიან ჯიხვის რქები, ვით მარტორქები,
ნისკარტა ჭურჭელს გაფრენაზე უჭირავს თვალი.

ელავს ჭიქური ძველებური და მიამიტი,
ცეცხლს ეფიცება ალასტული მუცლით კრამიტი
და გდია ქვევრი — დედამიწის ბურთივით მრგვალი.



ქარლო ზაზაგაძე

ბასეირნება ზღვაზე

საშემოდგომო გამოცდა გამომყვა ერთ საგანში. დედა სულ მეჩხუბებოდა, დაჯექი და იმეცადინეო. მე კი, სოფელში გული აღარ მიჩერდებოდა. დედას ვეჭუჭღუნებოდი, თუ გინდა კარგად ვისწავლო, მამასთან, ქალაქში გადავიდეთ და იქ ვიცხოვროთ-მეთქი. მე, ჩემი და-ძმა და დედა, სოფელში, ბაბუას ძველ ოდაში ვცხოვრობდით. ბაბუა ღრმა მოხუცებული ვახლდათ და დედა უვლიდა, ძალიანაც რომ მოენდომებინა ქალაქში 'საცხოვრებლად გადასვლა, ბაბუას ვერ მიატოვებდა. ქალაქს ვამბობ, თორემ რა ქალაქია, ერთი პატარა რაიონული ცენტრი.

მამაჩემი ამ რაიონულ ცენტრში სუბტროპიკების ინსტიტუტში მუშაობდა. ცხოვრების მესამედი გრეიბფრუტის ყინვაგამძლე ჯიშის გამოყვანას შეაღია, მაგრამ სასურველ შედეგს ჯერ კიდევ ვერ მიადწია, თორემ ვაზეთებიდან უთუოდ გაიგებდით: გრიგოლ გაბაძემ, დიდი შრომისა და შეუპოვრობის შედეგად, გამოიყვანა ახალი, ყინვაგამძლე გრეიბფრუტის ჯიში, რომლის გაშენებას შეუდგებიან ჩვენი ქვეყნის შედარებით ცივ სარტყელშიაც. თვითნასწავლით აგრონომი ამ შრომისათვის წარდგენილია... შეიძლება, ცოტა უფრო სხვანაირადაც გამოქვეყნებულიყო, მაგრამ უდაოა, რომ გრეიბფრუტის ყინვაგამძლე ჯიშის გამოყვანა დიდ

გადატრიალებას მოახდენს სუბტროპიკული მეცნიერების განვითარების დარგში. ჯერჯერობით კი მამაჩემს არაფერი არ გამოსდის.

ამასწინათ სოფელში დუხუნა იყო ამოსული. ჩვენი ნათესავია, ბაბუა იტყვის ხოლმე, ერთი განაყოფები ვართო. მამამისი, გერონტი ბიძია, დიდი კაცია... დუხუნა ოთხიოდე წლით უფროსია ჩემზე, თბილისში სწავლობს, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, მეორე კურსზეა. როცა უმაღლესში ეწყობოდა, ჩვენმა თავმჯდომარემ მისცა ცნობა: „დუხუნა გაბაძე, კოლმეურნეობის აქტიური წევრია და გამოუმუშავებული აქვს 500 შრომადღე“. მართალი არ გეგონოთ: დუხუნას თავის დღეში არ დაუკრავს თოხი, მაგრამ რას არ აკეთებენ მამები შეილებისათვის! მამაჩემს კი არ გვანან; პროფესიულტექნიკურ სასწავლებელში შედი და ხელობას დაეუფლე, თუ სწავლა არ გინდაო...

დუხუნას სოფელში დაეუახლოვდი. არც ისეთი უკადრისა ყოფილა, როგორც პირველად მეგონა. ცხენს მივათხოხარეებდი; გზაზე გადმოვიდა და ხელი დამიჭნია. ცხენი შევაჩერე, დუხუნა მომიახლოვდა, ფაფარზე ხელი გადაუსვა, შემსვი, მაგარი მოჭირითე ვართ. გადმოვხტი, დუხუნამ უზანგზე შედგა ფეხი და ხელად მიგხვდი: არც

ისე კარგი მხედარი გახლდათ... სანადიროდაც ვიყავით. მართალია, ვერაფერი მოვინადირეთ, მაგრამ გზადაგზა ათას რაღაცას მიყვებოდა და მე პირდაღებული რომ ვუსმენდი, ასე მითხრა, რამხელა ქაჯი ყოფილხარ, არაფერი არ ვინახავსო. ამასობაში ერთი როჭო წამოგვიფრინდა, ვერც კი მოვასწარი რაიმეს თქმა, ორივე ლულიდან რომ დაახალა. კიდევ კარგი, ვერ მოარტყა. გუნება წაუხდა, ერთი სკვინჩა მანც მოგვეკლათ. მერე, თოფს ბათქაბუთქი აუტეხა. გული რომ იჯრა, მითხრა: შინ წავიდეთო. გზაში სულ ჩემს ქაჯობაზე მელაპარაკებოდა, ვატყობდი ეს დიდ სიამოვნებას ანიჭებდა, ისე კობტად მისაბუთებდა, გაბრაზებასაც ვერ ვახერხებდი. მაგალითად, მითხრა, გოგო წაიყვანე თეატრში, იყიდე ბილეთი, ბენუარის ლოჟა, როგორ მიაგნებ ბენუარის ლოჟას, ან საერთოდ თუ იცი, რა არის ბენუარიო. ლოჟა კი ვიცოდი რა იყო, მაგრამ ბენუარი პირველად მესმოდა. სიცილით ვადაბეირდა.

— ზღვა თუ ვინახავს? — მკითხა ბოლოს. შეჩერდა, თვალი ეშმაკურად მოჭუტა და დამაცქერდა, აბა, რას იტყვისო.

არა, არ მინახავს-მეთქი. მეგონა გაცივებდა და ერთხელ კიდევ დამარწმუნებდა, ქაჯი რომ ვიყავი, მაგრამ არ გაუცინია:

— ჩამოდი, ჩამოდი, ძმაო, ჩემთან და ზღვასაც განახვებ.

სოფელში, აბა, რაღა დამაკავებდა, გულა-ნაბადი ავიკარი და რაიონული ცენტრისაკენ მიმავალ ავტობუსს გავყვი.

სალამოს ჩავედი. მამაჩემი შინ დამიხვდა. ბროშურას კითხულობდა და რვეულში რაღაცას ინიშნავდა. კარი რომ შევადე, გაოცებულმა შემომხედა:

— რა მოხდა, ხომ კარგადა ხართ? — მკითხა შეშფოთებულმა.

— კი, — ვუთხარი და ოთახს თვალი მოვაველე.

მამა დამშვიდდა, ხელი ჩამომართ-

ვა, დაჯეითო, მითხრა და კვლავ ბროშურას ჩააცქერდა.

საწოლზე ჩამოვჯექი. ოთახი ისე პატარა იყო, რომ საწოლს ზედ ებჯინებოდა მაგიდა, მაგიდას — კარადა, კარადას — ჭერი. ოთახს ერთი ფანჯარა ჰქონდა, რომელსაც ახლა ლამის ბინდ-ბუნდი მოსდგომოდა. ისედაც ჭუჭყიან იატაკზე ასანთის უამრავი დანახშირებული ღერები, ეყარა. გამიკვირდა, ვინ დაწვა ამდენი ასანთი, ან რაში დასჭირდათ-მეთქი. ზევით ავიხედე — გაჩახჩახებული ნათურის გარშემო პეპლები და ბუხები დაფრინავდნენ.

კვლავ მოვაველე ოთახს თვალი და ვთქვი:

— ცოცხი მომეცი, გამოვგვი. სოფლიდან რაღაც-რაღაცეები ჩამოვიტანე და ვჭამოთ.

— ცოცხი კართან დევს. — ისე გაიშვირა ხელი მამამ, ბროშურისთვის თვალი არ მოუშორებია.

ბროშურას შევხედე, ყდაზე ეწერა: „პომიდორის ვეგეტაციური ჰიბრიდეები“. „პომიდორის ყინვაგამძლე ჯიშების გამოყვანაზე გადასულა მამაჩემი“ — გამიელვა და ცოცხი ავიღე. ოთახი გამოვავე, მერე თევშები დავრეცხე და სოფლიდან წამოღებული სანოვაგე მაგიდაზე ამოვალაგე. ტილოში შეხვეული მჭადები და ხაჭაპურები ჯერ ისევ თბილი იყო. მამამ ბროშურა გვერდზე გადადო, მჭადი და ყველი მოიტეხა, ჰო, ჰოო, რა კარგი ხარ მჭადოო და ისე შეექქა, ბროშურისთვის თვალი არ მოუშორებია.

მოულოდნელად ვიღაც გოგოს ხმა შემომესმა, შევტრიალდი და სარკმლიდან გადავიხედე; ზღაპრული სურათი გადამეშალა თვალწინ: ლამის ბინდ-ბუნდში მოჩანდა მწვანედ მოხასხასე ეზო, რომელსაც ქუჩიდან შემოჭრილი ელექტრონის შუქი სვეტებად ეცემოდა. ეზოში მდგარი ვაშლის ხის დიდი ტოტი ჩვენს სარკმელს წვდებოდა. ორსართულიან, ლამაზაივნიან სახლის კიბისაკენ ლამის ფერიასავით მიფარდა-

ტებდა ვილაც გოგო, თან ღლინებდა. ფერიამ სწრაფად აირბინა ქვის კიბის საფეხურები, აივნიდან გადმოხვდა ეზოს და კარს უკან გაუჩინარდა. მამაჩემს შეეხედე, მას ბროშურის კითხვა დამეთავრებინა. და გამალეებით მიირთმევდა:

— დალოცვილია სოფელი, დალოცვილი! რამდენი ღლით ჩამოხველი?

— სამი-ოთხი ღლით.

მამა შემომაჩერდა. მას გამხდარი სახე ჰქონდა; ჩაცვნილი თვალები და რატომღაც წვერი მოეშვა. ერთხანს დაკვირვებით შემომცქეროდა, ბოლოს მივთხა:

— როგორ არის შენი საქმე, რას აპირებ?

— უნდა ვიმეცადინო.

— იმეცადინო?! — მამამ ძვალი გატკვირა და ერთხანს ჩაფიქრებული წუწნიდა. მერე კვლავ მომპაპრო თვალი, — შედი პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში, დურგლობა ისწავლე, ჩემი რჩევაა. ჩხირკედელაობა ვიყვარს, ხელობას ადვილად დაეუფლები.

ასეც ვიცოდი, ამას მეტყოდა მამა. ხმა არ გამიცია. ერთი სული მქონდა მეკითხა, ღუხუნა სად ცხოვრობს-მეთქი.

— რა გაეწყობა, — თქვა მამამ. — ხვალ საცდელ ნაკვეთში წაგიყვან, გრეიბფრუტის ახალ ჯიშებს გაჩვენებ.

— მოისხა?! — გამიკვირდა მე.

— როგორ არა, მალე დამწიფდება! — ღუხუნა ახლოს ცხოვრობს? — ვკითხე, რაკი საცდელ ნაკვეთში წასვლა მინცადამინც არ იყო საინტერესო.

— ღუხუნა? რომელი ღუხუნა? — მამამ ყური მოისრისა.

— გერონტი ბიძის შვილი.

— აა! — თქვა მრავალმნიშვნელოვნად, — ის რა შენი ტოლია?!

— ამას წინათ სოფელში იყო, თუ რაიონში ჩამოხვალ ბევრ რამეს გაჩვენებ, ზღვაზეც წაგიყვანო.

მამა წამოდგა, ერთხელ კიდევ მოსრისა ყური და გარეთ გავიდა. მაგია ავალავე, მერე ფანჯრიდან გადავიხედე. ამასობაში მამამ გასაშლელი საწოლი და ქვეშაგები შემოიტანა. ფანჯრისაკენ ჩავწვიეთ მაგია, საწოლი გავშალეთ, ლეიბი დავავეთ და ერთხელ კიდევ ვკითხე:

— იცი ღუხუნას სახლი?

— კი, ხვალ მიგიყვან, — დამამიგა და მამამ და კარი ჩაქეტა, — ახლა კი დავწვეთ, შენ „ლუქანკაზე“ დწევი.

მამამ ხალათი გაიხადა და საწოლზე ჩამოჯდა. მართალია, სახეზე გამხდარი იყო, მაგრამ ისეთი დაკუნთული გახლდათ, იფიქრებდით, ტანმოვარჯიშეაო. მეც შევწევი ლოჯინში და მამამ სინათლე ჩააქრო — ოთახში ისე დაბნელდა, ფანჯარასაც ვეღარ ვხედავდი. მამა ერთი-ორჯერ გადატრიალ-გადმოტრიალდა, რკინის საწოლი ააჭრიალა და მალე მშვიდი ფშვინვა შემომესმა.

ღიღხანს არ დამძინებია, ღუხუნასთან მომავალ შეხვედრაზე ვფიქრობდი. მერე, ჩემი უცნობი მეზობელი გამახსენდა, ფერიასავით კიბზე — რომ აღიოდა, და რაღაც გამოუთქმელი სიხარული ვიგრძენი. ნეტა აქ ვადმოვბარგდებოდეთ და ვიცხოვრებდეთ! ძალიან მომწონდა ღუხუნას ცხოვრება, მისი სიტყვა-პასუხი და მიხრა-მოხრა, ხშირად ვბაძავდი კიდევ. ახლაც თვალწინ მედგა მოღიმარი ღუხუნა და მესმოდა მისი ხმა.

მოულოდნელად მამაჩემის საწოლი აჭრიალა, მამა ჯიქურ წამოჯდა ლოჯინზე და ასანთი ააბრიალა, საწოლში რაღაცას დაუწყო ძებნა. ასანთის ღერი ბოლომდე დაილია, ნამწვი იატაკზე დააგდო და ახლა მეორე ღერი ააბრიალა.

— რა მოხდა? — წამოვიწიე ლოჯინიდან.

— ბალონჯო, დასწყევლის ღმერთი! — მიპასუხა ჩურჩულით, — ვერა და ვერ ვიყიდე „აიროზოლი“.

კარლო ტაბატაძე
ბასიონიშვა ზღვაზე

ისევ მივწევი ლოგინზე. მამა დიდხანს აბრიალებდა ასანთის ღერებს და ნამწევებს იატაკზე ყრიდა. ველარ მოვითმინე და ვუთხარი, შუქი აანთემეთქი.

— შუქი რომ ავანთო, გაიქცევიან! ნეტა სად გაიქცევიან?.. კვლავ დუხუნაზე დავიწყე ფიქრი. მამა, როგორც იქნა, მიწვა და კვლავ ფშვინვა ამოუშვა.

დილით რომ გამომეღვიძა, მამა უკვე წასული იყო. მაგიდაზე წერილი იდო: „შინ იყავი, შესვენებაზე მოვალ“. წამოვდექი, ფანჯრიდან გადავიხედე, მერე ჩემი ლოგინი ავალაგე და პირი დავიბანე. დიდხანს მოწყენილი გიჯექი ოთახში, მამაჩემის ბროშურას ვკითხულობდი პომიდორებზე და თან ცივ მჭადსა და ყველს მივირთმევდი.

— ლეილა! — შემომესმა მოულოდნელად.

ფეხზე წამოვხტი, თითქოს მე მეძახოდნენ, და ფანჯარას მივუახლოვდი, მალულად გადავიხედე. ჭიშკართან ორი გზგონა იდგა. ქვის კიბეზე კი ჩემი მეზობელი ლეილა ჩამორბოდა. მერე ეხო გადაირბინა, ჭიშკარი გამოაღო და მეგობრები შეიპატიჟა.

ძალიან მომინდა, ყურადღება რომ მოექციათ ჩემთვის. ვაშლის ხე კენწე-რომდე შევათვალეირე, ისეთი წითელი ვაშლები ესხა, უთუოდ ჩაბეჩა მოვინდებოდათ.

გოგონები შემოვიდნენ და ვაშლის ხის ძირში მოლზე დასხდნენ, საუბრობდნენ და იცინოდნენ.

რა ვქნა, რა ვესროლო ვაშლს? — გავიფიქრე და ოთახს თვალი მოვაკლე. უცბად გამახსენდა, მამა ფუნჯის თოფს მპირდებოდა, სოფელში ამოგიტანო. წიგნების კარადასთან მივირბინე და გამოვალე. მართლაც, ქვედა თაროზე, ფუნჯის თოფი იდო. ხელი დავსტაცე, გადავხსენი და ვაჭტენე. გულისფანცქალით დავუმიზნე ვაშლს, მაგრამ ვერ მოვარტყი. მეორედ უფრო გულდასმით დავუმიზნე. ვაშლი ტრიალ-ტრიალით წამოვიდა და გოგონების გვერ-

დით დაცა. სამივემ გაოცებულბმა ახედეს ხეს. ერთმა ჩემკენაც გამოიხედა და, თვალი რომ მომკრა, გაეღიმა. მეგობრებს რაღაც გადაულაპარაკა. ალბათ ძალიან სასაცილოდ ვიყავი გაბადრული, რადგან ერთმანეთს სიცილით შესაკდნენ. ერთმა ხელი გააქნია, რას აკეთებთ. მე თოფი ვუჩვენე და ვაშლს დავუმიზნე.

მოულოდნელად კარი გაიღო და მამაჩემის შემფოთებული ხმა შემომესმა:

— რას სჩადი?

თოფი დავუშვი და მამას შევხედე. ის ფანჯარას მოუახლოვდა, ქვევით გადაიხედა. მერე ხელის კვრით მომამოთრა და გაბრაზებულმა მითხრა:

— იცი იქ ვინ ცხოვრობს?

— ვინ? — კვითხე გაოცებულმა. მამაჩემი ასე შემფოთებული არ მენახა.

— ჩვენი დირექტორი, ვინმეს რომ მოხედეს... — მამამ თოფი ბუზლუნით გამომართვა და კარადაში შეინახა, — წავიდეთ, შენი მარტო დატოვება არ იქნება, ჩემთან საცდელ ნაკვეთში წავიყვან!

— დუხუნასთან მიმიყვანე.

— ჰო, მართლა! — თქვა მამამ, თითქოს აღარც ახსოვდა, — წავიდეთ! გარეთ გამოვდიეთ, მთავარი მოედანი გადავჭვრიეთ და განიერ ქუჩას დავადექით. მალე ოთხსართულიანი შენობის წინ შეეჩერდით.

— მესამე სართულზე ცხოვრობენ, — მითხრა მამამ, — ადი, თუ შენ არ არიან, მალე დაბრუნდი. თუ არ დაბრუნდები, წავალ.

— შენ არ ამოხვალ?

— არა, რა საჭიროა? — გაშალა ხელები მამამ, მერე ჩვეულებისამებრ მოისრისა ყური.

მართალი ვითხრათ, მარტო ასვლა არ მინდოდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო. შენობას ავხედე და კიბეს აყყევი. მესამე სართულზე „გაბაძე“ ამოვიკითხე კარზე და ელექტროზარის დილაქს გულისფანცქალით დავაჭირე

თითი. კარი ოდნავ გაიღო, ვილაც ქალ-
მა ღრბოში ცხვირი გამოყო:

— ვინ გინდა?

— დუხუნა, — გავუღიმე მე.

— დუხუნა არ არის სახლში! — და
კარი მომიხურა ცხვირწინ.

გამობრუნებას ვაპირებდი, მეორე
ქალის ხმა რომ მომესმა, ვინ იყო.

— ვილაც სოფლელი ბიჭი! — უპა-
სუხა პირველმა.

კარი ახლა ფართოდ გაიღო და
დუხუნას დედა, მარო ბიცოლა, გამო-
ჩნდა. გავუღიმე. ვერ მიცნო, მაინც
შემიპატიჟა. შევედი და მარო ბიცო-
ლას ხელი ჩამოვართვი, გამარჯობათ-
მეთქი. მეორე ფაშფაშა ქალი სამზარე-
ულოს კართან იდგა და მიყურებდა. მა-
რო ბიცოლა დამაკვირდა, მერე გახა-
რებულმა შეიცხადა:

— შენ გრიგოლის ბიჭი არა ხარ?

— დიახ! — ვუპასუხე და ვიგრძე-
ნი, სიწითლემ ლოყები ამიწვა.

— დედა, დედა, რამხელა გაზრდი-
ლა?! — თქვა მარო ბიცოლამ და ლო-
ყაზე მაკოცა.

— ვინ არის დედა? — მოისმა საი-
დანაც დუხუნას ხმა.

დუხუნა შემინულ კარს მოსდგო-
მოდა და ჩამტვრეულ თუ საგანგებოდ
ამოღებულ სარკმლიდან იხედებოდა.
ძალიან გაეხარდა, კარგია, რომ ჩამო-
ხვედიო, და ხელი გამოყო:

— რას იზამ, შინაურ პატიმრობა-
ში ვარ! — მოიხადა ბოდიში.

მარო ბიცოლამ გაიციინა და მითხრა:

— გასაღები გერონტის აქვს, ვიდ-
რე მოვა აი, აქ დაჯექი, — დერეფანში
სკამი დამიდგა.

— ჰო, ჰო, დაჯექი! — გამოიჭყიტა
დუხუნამ, — არ ამომგუდეს ამ ოთახ-
ში!

— ისაუბრეთ, — დამადო მხარზე
ხელი მარო ბიცოლამ, — მე საქმეს
მივხედავ.

— რა უნდა ვისაუბროთ, თქვე ქა-
ცებო! — მიაძახა დუხუნამ, — მოდი,
კარი გააღე!

— არ მაქვს, შენს თავს ვფიცავარ,

გასაღები! — გადმოაბრუნა ჯიბეები
მარო ბიცოლამ.

— არაუშავს, — მომმართა ახლა მე
დუხუნამ და საათზე დაიხედა, — დო-
დი ქაჯუნაც მალე მოვა. არ იკითხავ
რატომ დამამწყვდირეს? ერთი ტიპის
სიფათი არ მოგვეწონა, კარგა ლაზა-
თიანად მივბეგვეთ. თხუთმეტ დღეს, აქ
ჯდომა ჯობია. რას იტყვი, არ ჯობია?

კარს მოშორდა, ოთახში გაიარ-ვა-
მოიარა, თან ღიღინებდა. მალე ისევ
მოადგა სარკმელს, გამიღიმა და მითხ-
რა:

— ზოგი ჭირი მარგებელია, სულ
ზეპირად ვისწავლე პოლიტეკონომია,
ჩასაბარებელი მაქვს, არა გჯერა? —
მოჭუტა თვალები დუხუნამ, — აი, ნა-
ხე, დაიჭი ეს წიგნი!

წამოვდექი, დუხუნას წიგნი ჩამო-
ვართვი და გადავშალე.

— შენ მხოლოდ სათაური მითხა-
რი...

წიგნი გადავფურცლე, სათაური
ამოვიკითხე. დუხუნამ გაიმეორა, ჩა-
ფიქრდა და დაიწყო. მართლაც, თით-
ქმის სიტყვა-სიტყვით ყვებოდა, თან
ოთახში მიმოდოდა. როცა დაამთავ-
რა, სარკმელს მოადგა, თვალები მო-
ჭუტა და მკითხა:

— ხომ მაგრად ვიცი, მეტი რა უნ-
დათ ამ ქაჯუნებს.

თანაგრძნობით გავუღიმე და, ის
იყო, ახალი თავის სათაური უნდა მე-
თქვა, რომ ყურები ცქციტა, მამა მოვი-
ლაო. ქუჩიდან მანქანის დამუხრუჭების
ხმა შემომესმა. მალე ჯერ ზარი დაი-
რეკა, მერე კარი გაიღო და ჰოლიდან
ვერონტი ბიძიას ხმა ვაისმა, მერე დე-
რეფანში გამოჩნდა, ხელში გასაღებე-
ბის აცმას ატრიალებდა. მე რომ დამი-
ნახა, შეჩერდა, თვალი დამადგა.

— ეს გრიგოლის ბიჭია, — უთხრა
მარო ბიცოლამ.

— ოო! — თქვა ვერონტი ბიძიამ,
გამიღიმა და ხელი ჩამომართვა.

კარლო ტაბახაძე
განმეორება ზღვაში

— ჩქარა, ჩქარა! ვაღღ კარი! —
ფევირა მოუთმენლად დღუხუნამ.
გერონტიმ ახლა იქით ვაიხედა და
მძიმედ გაემართა კარისაკენ. მსუქანი
კაცი იყო, ლოყებდაუღაჟა, თვალის
უბეები შესიებოდა, გაბუშტული ცხვი-
რი და პატარა შვიი უღვაშები ჰქონ-
და, შეჭლარაგებული თმა კი გვერდზე
კოხტად ვადევარცხნა.

გერონტი ბიძიამ კარი ვაღღ. ოთა-
ხიდან გივივით ვამოვარდა დღუხუნა და
ერთ ადგილისაკენ ვაუტია. მამა გვერ-
დზე ვაღდა, შვილს სიყვარულით უყუ-
რებდა. მარო. ბიცოლამ ვაიცინა, ვაი-
ცინა იმ ფაშვამა ქალმაც და რაღაც
თქვა. დღუხუნა შეჩერდა, ქაჯუნებოთ და
კვლავ გზა ვანაგრძო.

— ნუ იცინი, მანო! — ვააფრთხი-
ლა მარო ბიცოლამ ქალი, — თორემ
ყველას ვაგვხოცავს.

გერონტი ბიძიამ თითი მიიდო ტუ-
ჩებზე, იყუჩეთო და მერე მე მომი-
ბრუნდა:

— რა ამბებია სოფელში, ბაბუაშე-
ნი როგორ არის?

— ახლა კარვადაა, ესაა, თვალსა
და ყურს დააკლდა.

— ოო, რა კაცია, მთელი სოფელი
მაგის ვამოზრდილია. ბაბუაშენმა ვე-
სწავლა ანაბანა!

დერეფანში ისევ ვამოჩნდა დღუხუ-
ნა, სწრაფად მოგვიახლოვდა.

— ეს კაცი თქვენთან სალაქლაქოდ
კი არაა ჩამოსული, ქალაქში ვასეირ-
ნება უნდა! — ხელი წამავლო. უხერ-
ხულად ვავუღიმე გერონტი ბიძიას და
დღუხუნას მივყევი.

— ოღონც მაგ ქაჯუნებს სოფლის
ამბებზე ელაპარაკე და მეტი არაფერი
არ უნდათ, — ვადმომილაპარაკა ხმა-
დაბლა დღუხუნამ.

მომეჩვენა, რომ გერონტი ბიძია ძა-
ლიან კარგი კაცი იყო, რაკი სოფელიც
უყვარდა. ვამიკვირდა, მამაჩემი ხში-
რად უდიერად მოიხსენიებს ხოლმე:
იბღინებოთ, ბიუროკრატიოთ, საყუ-
თარი შვილის საქმე ვერ ვაუგაიაო...

— ეს ჩემი ოთახია, როგორც ვინდა

ისე მოეწყვე, — მითხრა
ოთახში შესვლისას და ტანსაცმლის
კარადას მიუახლოვდა.

დივანზე დავჯექი, ჩემს წინ მინის
დაბალი მაგიდა იღდა, რომელზედაც
ყურნალები ეყარა. მაგიდას ხელი ვა-
დავუსვს, ყურნალებიდან მომდომარი
ქალები შემომძქროდნენ.

მოულოდნელად ტელეფონმა დი-
წკრიალა. დღუხუნა ყურმილს მისწვდა:

— ალო, ჰო, ვისმენ, მარინა! ვეცა-
დინებო. ამ ორ დღეში ალბათ. რაა?
ვასტროლები? ვნახოთ აუცილებლად.
ხომ არ მოიწყინე? — დღუხუნამ მე შე-
მომხედა, თვალი ჩამიკრა და კვლავ
ყურმილს ჩასძახა, — რას ამბობ, მა-
რინა?! ვკოცნი! დავირეკავ, ჰო, აუცი-
ლებლად! — ყურმილი დადო, ისევ
კარადას მიუახლოვდა და მითხრა, —
ჩემი საცოლე იყო! შენი მეზობელია.

— ჩემი მეზობელი?! — ვავიკვირ-
ვე, ჯერ ვერ მივხვდი სადაურ მეზო-
ბელზე მელაპარაკებოდა, უცბათ ლეი-
ლა ვამახსენდა ჩემი უცნობი მეზობე-
ლი, და ვკითხე. — ლეილას და ხომ
არ არის?

— ჰო, იცნობ ლეილას?

— ისე, შორიდან.

— თუ ვინდა, დღესვე ვავაცნობ, —
მოჭუტა თვალები დღუხუნამ, — აკადე-
მიური ოჯახი აქვს, მამამისი ინსტიტუ-
ტის დირექტორია, — კარადას მიუ-
ბრუნდა, — მე მაინცადამაინც არ მო-
მწონს, მაგრამ დიდი ქაჯი ვადარეულია,
მაგათ აუცილებლად უნდა ვავუმოყუ-
რდეთ.

?!
დღუხუნამ კარადიდან ნაირ-ნაირი
პერანგები ვადმოყარა; ერთი ამთარ-
ჩია, ჩაიცვა; არ მოეწონა. ახლა მეორე
ჩაიცვა. ჯდომა მომწყინდა. წამოვდექი,
ავივანზე ვასასვლედი კარს მივუახლო-
ვდი.

„ვინ ვადაურჩა უცოდველი
დღეების დენას,
ვინც არ შესცოდა, როგორ შესძლო
მან თავის რჩენა?“

დუხუნა სარკესთან იდგა და თმას ივარცხნიდა, ხან ერთი მხრიდან შეხედვდა თავის პროფილს და ხანაც მეორე მხრიდან.

— ხომ ლამაზი ბიჭი ვარ? — მკითხა ბოლოს და კვლავ სტროფი მოაკოლა:

„პეი, ლამაზო, ლამაზო,
ნულარ დამაგდე ხელადა,
მაჩვენე ვარდი და დარდი
გულს მომეშვება ხელადა“.

— აა, მაგარია ომარ ხაიამი, ეს რობაიები მისია, ჩემი არ გეგონოს. მეც ვწერდი ლექსებს მაგრამ... — მომიანლოვდა, ქუჩას გადახედა და კარბი გამოალო.

აივანზე გავედით, ჩვენს ქვემოთ შავი გაკრიალებული „ვოლგა“ იდგა. ქუჩა ვიცანი, მე და მამა მოვედით ამ ქუჩით. მამა ალბათ ქვევით მელოდებოდა, რომ აღარ ჩავედი წავიდა.

— იცი ხაიამის რობაიები? — მკითხა დუხუნამ და თვალები მოჭუტა, გამომცდელად დამაკვირდა.

— არა, არ ვიცი, — ვუთხარი გულახდილად და ჩემდაუნებურად შემრცხვა, ვაგწითლდი.

კმაყოფილმა გადაიხედა აივნიდან, მერე მომიბრუნდა და მითხრა:

— ეს დიდი ქაჯის „ვოლგაა“, — მერე ისევ ქვევით გადაიხედა და დაიძახა, — შურიკ?

„ვოლგიდან“ შოფერმა თავი და ხელი ერთად გამოყო და ზევით ამოიხედა.

— აა, ხომ არ მოიწყინე?

— არა დუხუნ-ჯან, მე არა, შენი ჯავრი მაქვს!

— ნუ ჯავრობ, დღეს ავიშვებ! — გაიცინა დუხუნამ და ოთახში შევიდა.

შეკყევი: ტანსაცმელის კარდას მიუახლოვდა და პერანგების დაკიდებას შეუდგა, თან ღიღინებდა. პერანგები შევათვალიერე, ზოგი კუბოკრული იყო, ზოგი თეთრი, ზოლებიანი; ყვითელი, წითელი... მოკლედ, ამდენი ნაირ-ნაირი პერანგი მაღაზიაში თუ მე-

ნახა, მაგრამ მაღაზიისა ამით რას შეედრებოდა! კარადაში კოსტუმებიც ბლომად ეკიდა.

რამდენი პერანგი გაქვს! — ვთქვი გაოცებულმა.

— პერანგები?! — დუხუნამ შემათვლიერა და მკითხა, — რომელი მოგწონს ყველაზე უფრო?

— აი ეს, — ხელი დავადე ზოლებიან, მოკლესახელოებიან პერანგს.

— გემოვნება გქონია, ეს პერანგი სულ ერთხელ მეცვა, — დუხუნამ პერანგი ჩამოხსნა, გამომიწოდა და მითხრა, — ჩაიცვი, შენთვის მიჩუქნია! გავინახე, არა, არ მინდა-მეთქი.

— დუხუნა, გამოიყვანე ეგ ბავშვი, მოშვიდებოდა! — დაიძახა სამზარეულოდან მართ ბიცოლამ.

— ჩაიცვი, ჩაიცვი!.. დაიცა! — დუხუნამ ფეხებზე დამხედა, — სადღაც ახალი ფეხსაცმელი მქონდა, მე პატარა მომივიდა, — თქვა და კარადა გადმოქექა, ფეხსაცმელები იპოვნა, წინ დამიყარა; ისეთი ლამაზები იყო, სიზმარშიც არ დამესიზმრებოდა: — აბა, ჩქარა ჩაიცვი! საუშველი ვჭამოთ და ქალაქში გავისივინოთ!

პერანგი გამოვიცვალე და ფეხსაცმელი გულისფანქვალით მოვისინჯე — ჩემს ფეხზე იყო შეკერილი. ოთახში გავიარ-გამოვიარე. დუხუნამ შემათვალიერა, მერე პერანგი შემისწორა:

— მთავიხდა, ლამაზი ბიჭი ყოფილხარ! — სავარცხელი აიღო და ქოჩორი გადამვარცხნა, — რა არის ასე ქაჯურად რომ ხარ ვაკრეკილი?

— ჩვენს სოფელში ერთი დალაქია და ყველას ასე კრიჭავს, — ვუპასუხე ღიმილით.

— არაუშავს, ცოტა რომ წამოგეზრდება, ჩემს დალაქთან მივიყვან.

— მოდიხართ? — შემოიხედა ოთახში გერონტი ბიძიამ.

— წავიდეთ, — მითხრა დუხუნამ და ღიღინით გამიძღვა წინ.

პარლო ბაბატაძე
ბასიჩინაბა ზღვაზე

ზალაში შევედით. გერონტი ბიძია მაგიდის თავში დაჯდა. მის გვერდით მე დამხვეს. მარო ბიცოლამ რატომღაც მოიბოდიშა, დღეს ბორში გვაქვს, ასე, შინაურულად გადავიაროთო. სუფრას თვალი მოვაგვლე: ყველი, კიტრი, პომიდორი, მწვანელი. მეტი რა უნდათ-მეთქი, გაფიქრებაც ვერ მოვასწარი, მარო ბიცოლამ მკითხა:

— ბორში ხომ ჭამ, შეილო?

უცებ ვერც კი მოვახერხე პასუხის გაცემა. დუხუნამ გამომიყვანა მღვობარეობიდან:

— დასხით, ნუ გააჭირეთ საქმე! — თქვა გულმოსულად და საათზე დაიხედა.

— სად სწავლობ, რომელ კლასში ხარ? — მკითხა გერონტი ბიძიამ.

— მერვეში, მაგრამ მამა მირჩევს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში შედიო, — ვთქვი და დუხუნას თავმომწონედ გადავხედე, შეიძლება ქალაქელი ბიჭი გავხდე-მეთქი.

— „ფეხუში“?! — გაიცინა დუხუნამ, — გიჭირს სწავლა? — მკითხა მერე თანაგრძობით და დასძინა, — მასწავლებელი უნდა დაიჭირაო.

— ვის დაიჭირავენ ახლა სოფელში? — გაცხარდა უცებ მარო ბიცოლა, — ასე ადვილია?

— რა ვიცი, მე კი მეხვია მასწავლებლები, — თქვა დუხუნამ და მანოს ბორშით სავსე თეფში ჩამოართვა.

— კარგია, კარგი, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი, — დაიწყო ღინჯად გერონტი ბიძიამ, — დღეს, ბევრი სპეციალისტი გვპირდება!

ამასობაში მანომ ბორში ჩამოგვირიგა, ბოლოს თავისთვის დაიდგა და ჩემს გვერდით დაჯდა. გემრიელად შევიქეცი, მწვენიერი, ძელიანი ნაჭერი იდო ჩემს ულუფაში, ერთი სული მქონდა ბორში დროზე დამეხვიბა, მაგრამ დუხუნა რაღაც ინაზებოდა.

— როგორ არის ქვევით ვასილი? — მკითხა მოულოდნელად გერონტი ბიძიამ.

ფიქრებით ისევ იმ ძვლიან ხორცს დავსტრიალებდი და ამ კითხვამ დამაბნია, ვერ მოვისაზრე რომელ ვასილზე მეკითხებოდა.

— რა იცის, კაცო, ბავშვმა ქვევით ვასილი?! — გაჯაერდა მარო ბიცოლა.

— როგორ არ ეცოდინება! — შეუტია გერონტი ბიძიამ და პირი პურით გამოიტენა, მერე ბორში დააყოლა და მომიბრუნდა, — წითელი, გრძელრქიანი ხარები ჰყავდა ხოლმე ვასილს.

— კარგად არის, ახლაცა ჰყავს გრძელრქიანი ხარები, — მიევუგე გახარებულმა, ჩემი საყვარელი ცხოველები რომ ასხენა, — იმხელა ჩლიქები აქვს ვასილის ხარებს, დათიკო მჭედელი საგანგებოდ ჰედავს მათთვის ნალებს.

— დათიკოს კიდეც შეუძლია?! — შემომამკერდა გაკვირვებული გერონტი ბიძია.

როგორ არ შეუძლია, ისევ დათიკოა ჩვენი სოფლის მჭედელი-მეთქი და ჩვენი საუბარი ისე კარგად აეწყო, რომ დიდხანს ენა არ გაგვიჩერებია. გერონტი ბიძია ისეთ რაღაცებს მეკითხებოდა, მე რომ ათი თითვეით ვიცოდი. თანაც მიკვირდა, საიდან ასოვს ესა თუ ის ადგილი და ხალხი. მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ბევრ რამეს მისწორებდა კიდეც, ასე კი არა, ისეაო. ამასობაში ბორში დავამთავრეთ და მანომ მეორე თავი კერძი — კატლეტი და შემწვარი კარტოფილი შემოიტანა. გერონტი ბიძიამ ღვინო ჩამოასხა ჭიქებში. მოგეხსენებათ შემწვარი კარტოფილი რა გემრიელია, განსაკუთრებით კარგი ტყემალი თუ ვაქვს, ჰოდა, გადმოვიყარე თეფშზე კარტოფილი. დავისხი ტყემალი და ერთი კატლეტი დავითრიე. გერონტი ბიძია კვლავ სოფლის ამბებზე მელაპარაკებოდა, რა ჰქნეს გადმა ვენახი გააახლეს თუ არაო. მე იქეთ გადავიხარე და დიმიტრი, თითქოს ჩურჩულით ვუთხარი, „ვის სცხელა, ბატონო, მაგისათვის?“ „უუჰ, — იყვირა გერონტი ბიძიამ, — როგორ, მართლა არ ვანუახ-

ლებიათ!“ „არა ბატონო, მაგ კი არა, ავერ ხუთი წელია ვთხოვლობთ ჩვენი უბნიდან ბოსლის გადატანას და“... ამაზე უფრო გადაიხრა გერონტი ბიძია. „არა, არ გადაუტანიათ, აივსო ჩვენი უბანი ნეხვით“. ჭიქა ავიღე, დავლოცე ყველა და გადავკარი, მერე ისევ გადავიხარე გერონტი ბიძიასაკენ:

— ამოვიხოცეთ ნეხვში, თავმჯდომარეს ფეხებზე ჰყიღია, სხვა სოფლიდან მოსულს კი არა, ჩვენს სოფელსაც აღარ შესტკივდა გული. რამდენი კარგი რამის გავეთება შეიძლება, ბატონონი არავინაა, ბატონონი! კაცს გული უნდა შესტკიოდეს სოფელზე, გული! თორემ, აბა ეს საქმეა, ერთი სანეხვე მიანიც მოეწყოთ!..

გერონტი ბიძია პირდაღებული, გაკვირვებული მომჩერებოდა. არც მარო ბიცოლა იყო ნაკლებად გაცეცხული. დუხუნა ადგილზე ვერ ისვენებდა, ცქმუტავდა, ხშირად საათზე იხედებოდა და მე გადმომხედავდა ხოლმე მე კი, ბაბუაჩემის ნათქვამი მიტრიალებდა თავში, ჩავალ გერონტისთან, ხელმწიფის ტოლი კაცია, ამ ამბავს ასე არ დავტოვებო. ჰოდა, ამ ხელმწიფის ტოლ კაცს ველაპარაკებოდი ახლა, ღვინოსაც მივიერთმევედი მასთან ერთად, და აბა, მითხარით, ჩვენი ჭირ-ვაჩაზი არ გამეზიარებინა? ისევ გადავიხარე გერონტი ბიძიასაკენ და ისიც მოვახსენე, რომ წელს ჩვენი სოფლის მოსავალს ცუდი პირი უჩანს-მეთქი. „სიმინდის ყანები სარეველამ ამოაქრო, ყველა ზვრები სასუქით ვერ უზრუნველყვეყი და ვაზი საცოდავად გამოიყურება. ამდენი ნეხვი კი ჩვენი ოდის წინ ზვინებდალ დგას“. ამან, შევატყე, მიზანს მიაღწია, გერონტი ბიძიამ სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა. მეც გავიშვირე ხელი, სიგარეტი მიწოდდა ამელო, მაგრამ უმალ თავი შევიკავე. მივხვდი მეტის-მეტი იქნებოდა. გერონტი ბიძიამ შემამჩნია, შემომამჩერდა და გაცეცხულმა მკითხა:

— ეწყვი?

სირცხვილისაგან ავიწყურე. დუხუნ-

ნას გავხედე, ისიც აბოლებდა და ოდნავ მოღიმარი მომჩერებოდა, მიღი მოწიე, ნუ გრცხვენიაო.

— რა დროს შენი სიგარეტია, შევილო?! — თქვა მარო ბიცოლამ.

უხერხულად ჩაკვიდე თავი. დუხუნამ გაიცინა, მერე ფეხზე წამოდგა და ტელევიზორი ჩართო. გერონტი ბიძიამ იქით გაიხედა, შეტრიალდა მარო ბიცოლაც.

დუხუნამ ტელევიზორი გაასწორა და კვლავ სუფრას მოუჯდა. მეტად საინტერესო გადმოცემას უჩვენებდნენ, ცოცხალი არსებების უჯრედების გამრავლებას. გავიფიქრე, ნეტა მამა იყოს აქ და უყურებდეს-მეთქი. ეს გავიფიქრე და გერონტი ბიძიამაც მკითხა, მამაშენი როგორ არის, რას შვრებაო. ალბათ მასაც უჯრედების გამრავლებამ მოაგონა მამაჩემი. კარვად არის-მეთქი, ვუთხარი.

— ჩვენ არ გვეკარება, არ ვიცი, რას გვემდურის ეს კაცი.

— რას უნდა გვემდუროდეს, — თქვა მარო ბიცოლამ, — ერთდება მოსკლა.

— ძალიან დაკავებულია მამაჩემი, ახალი ჯიშის გრეიპფრუტი გამოყავს, — გავამართლე მამა.

— ვიცი, ვიცი! — ჩაიქნია ხელი გერონტი ბიძიამ.

მანომ დაჭრილი სახამართო შემოიტანა და მაგიდის შუაში ჩაღვა. სახამართო წითლად ღვიოდა.

— ნაწყენი ვარ მამაშენზე! — თქვა ისევ გერონტი ბიძიამ, — მე ყველაფერში დავებნარები, თორემ არაფერს გაუფუფუჭებ!

— რეებს ამბობ, გერონტი?! — ჩაერია მარო ბიცოლა.

— რომ მოსულიყო და ეთქვა, ამდენ ხანს ბინასაც მივალებინებდი, — არ მოიშალა თავისი გერონტი ბიძიამ, თან სახამართოს ნაჭერი აიღო, წვრილად დაჭრა, მერე კვლავ მე მომი-

პარლმ ტაბატაძე
ბასმიროვა ზღვაში

ბრუნდა, — მიირთვი, შვილო, მიირთვი!

საზამთროს მოზრდილი ნაჭერი ავიღე და ის იყო ჩვენებურად, მამაპაპურად ჩავკბიჩე, ღუხუნაც წამოხტა:

— წავედი თ ახლა ჩვენ!

— სად? — გაუკვირდა გერონტი ბიძიას.

— ეს კაცი აქ სასაიროდ ჩამოვიდა, ჯერ არაფერი უნახავს!

— მართლა? გინდა გასეირნება? — მკითხა გერონტი ბიძიამ და დაჟინებით მომანერდა.

ორჯერ ზედიზედ ჩავკბიჩე საზამთრო, მერე გაქცევაზე მყოფ ღუხუნას შეგხედე და ვთქვი:

— ძალიან!

— საზამთრო მაინც გექამათ! — დაიწუწუნა მარო ბიცოლამ.

— არ გვინდა, — მიუგო ღუხუნამ და კარს მიაშურა.

რალა უნდა მექნა, ერთხელ კიდევ ჩავკბიჩე საზამთრო, თან ტელევიზორს თვალს არ ვაშორებდი, მერე წამოვხტი, ნაჩუქარ პერანგზე დავიხედე, ხომ არ დავსვარე-მეთქი. ყველას ღიმილით გამოვვითხოვე და ღუხუნას გავყვი. გერონტი ბიძია და მარო ბიცოლაც წამოდგნენ, ძალიან არ დაიგვიანოთო, მალე მოდიოთ, შენც ჩვენთან მოდი და აქ დაიძინეო.

ქუჩაში ისე გა'ზოდა ღუხუნა და თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, როგორც სიბნელიდან გამოშვებული მოზვერი. თავი ყინჩად ეჭირა, ხშირად შემომხედავდა ხოლმე, აბა, ჩქარაო. ჩაუქროლეთ კინოთეატრს, გადავჭერთ მოედანი და დავიდამართეთ, თან სიგარეტს ვაბოლებდით. ფოტოატელიეს რომ მივუახლოვდით, ღუხუნა შეჩერდა, შემომხედა და ღიმილით მითხრა:

— ახლა, ერთ კარგ გოგოს ვაგაცნობ, ხომ გყვარს გოგოები?

ვაოცებული შევაცქერდი: „თუ მარინა უნდა გამაცნოს, ამას რატომ მეკითხება?“ გამეცინა, არ ვიცოდი, რა მეპასუხა, სკოლაში გოგოებთან ვმეგობ-

რობდი, ერთი მომწონდა კიდევ, შავაა ღუხუნა სულ სხვა სიყვარულს გულისხმობდა. შემრცხვა, სიწითლემ ლოყები ამიწვა.

— მოდი, მოდი! — თქვა ღუხუნამ და ეზოში შესასვლელ თაღში შეუხვია.

— ღუხუნა, როგორა ხარ, ძამა? — შემომემსა ვილაცას ხმა. მივიხედ-მოვიხედე, მაგრამ ვერავის მოვკარი თვალი.

ღუხუნა ნაქურდალზე წასწრებულევით შეჩერდა, თვალემოკუტულმა შემომხედა და ღიმილით მითხრა:

— რომ არ დამლანდოს არ იქნება! — მერე ფოტოატელიესაკენ გაიხედა: — გავლილი არ მინდოდა გენახე, თორემ გამოვლით შენზე უკეთესის ვის გავუვლი!

— ძამა, ხომ იცი, ჩემს ფანჯარასთან ჩიტები ვერ გაიფრენს. მიდი, მიდი ცუცა შინა!

კბე ავირბინეთ და კართან შევიჩერდით. ღუხუნამ სამჯერ მიაკაკუნა მოხრილი სალოკი თითი. კარი მალე გაიღო და ზღურბლზე მოღიმარი ცუცა გამოჩნდა. ხალათი მოეხურა, პერანგი და შიშველი მკერდი მოუჩანდა. მე რომ დამინახა, ხალათი შეიკრა. ღუხუნა შეუპატიჟებლად შევიდა ოთახში, ცუცას ლოყაზე აკოცა და მაგდასთან დაჯდა, მერე მე დამიქინა ხელი, მოდიო. მივუახლოვდი, სკამზე უხერხულად, ნახევრად ჩამოვკეპი და იქაურობას თვალი მოვაველე, მამაჩემის ოთახიდან მხოლოდ იმით განსხვავდებოდა, რომ ყველაფერს ქალის ხელი ეტყობოდა.

— მამას ჰყავს გამოკეტილით, მართალია? — თქვა სიცილით ცუცამ.

— ჰო, ექვსი დღე ვიყავი შინაურ პატიმრობაში. რას ამბობს თუ იცი ის ტიპი?

— რა უნდა თქვას, მოაკეტინეს!

ცუცასკენ ვაგაპარე თვალი. ის ჩემზე სამიოდე წლით უფროსი იქნებოდა, მაგრამ უკვე დაქალბებულყო. კუბრევით შავი თმა ჰქონდა, თაფლისფერი ნაღვლიანი თვალები, ტუჩებზე კი ღია ფერის პომადა წაესვა. შემამჩნია რომ

მიეჩერებოდი, გამიღიმა და დუხუნას
ჰკითხა:

— ეს ბავშვი ვინ არის?

— ჩემი ნათესავია! — მიუგო დუ-
ხუნამ ღიმილით და თვალი ჩაუკრა.

ავიწურე, თვალები სად წამელო
აღარ ვიცი. ცუცამ გაიცინა, მორცხ-
ვი ბავშვი ყოფილაო, — ჩაილაპარაკა.

— ჰო, მორცხვია! — გაეცინა დუ-
ხუნას, — ახლა მე წავალ, ეს მორცხვი
ბავშვი შენთან იყოს, — ცუცას მხარზე
ხელი დაჰკრა, — მალე მოვალ!

მეც წამოვდექი, არაფრად მეჭაშნი-
კებოდა ცუცასთან მარტო დარჩენა,
გულს ბგავ-ბუგი ვაჰქონდა. დაჯექიო,
ხელით მანიშნა დუხუნამ.

— დარჩი, სად ვარბიხარ, რამდენი
ხანია არ მინახიხარ?! — უსაყვედურა
ცუცამ.

— კარგი, შემეშვი, ამ ბიჭს გიტო-
ვებ მძევლად, — დუხუნამ ისევ ავოცა
ლოყაზე და კარს მიიშურა.

ცუცამ გააცილა, მერე კარი ჩაკეტა
და ტახტზე ჩამოჯდა, ფეხი-ფეხზე გა-
დაიდო მოურიდებლად. კვლავ გახე-
ვებული ვიდექი.

— დაჯექი. ნუ გრცხვენია! — გამი-
მეორა ცუცამ.

— არა მრცხვენია! — წავიბურღ-
ღუნე და ჩამოვჯექი.

ცუცამ გაიცინა, გაბრაზება გცოდ-
ნით და ხალათი გაისწორა.

— რამდენი წლისა ხარ? — მკითხა
მერე.

— თექვსმეტის! — ვთქვი ისევ
გულმოსულად.

— თექვსმეტის, — გაიმეორა ცუ-
ცამ, წამოდგა, მომიახლოვდა და ქო-
ჩორზე ხელი ვადამისვა, მერე კარადა
გამოაღო, — ტკბილეულობა ხომ გიყ-
ვარს? — მკითხა საქციელწამხდარმა.

— არა! — ვთქვი კვლავ ბურღულუ-
ნით და თვალი ცუცასაკენ ვავაპარე.

— ჰო, კარგი, ნუ ბრაზდები! — შე-
მომანათა ნაღვლიანი თვალები, მერე
კარადიდან ნამცხვარი და შოკოლადის
ყუთი გადმოიღო, მაგიდას მოუჭდა და
მკითხა, — რა გქვია?

ბიჭიკო მქვია-მეთქი და ყუთს და-
ვადგი თვალი, რომელშიაც ნაირ-ნაირი
მოყვანილობის შოკოლადები ეწყო.
აღბათ, ლიჭიორითა სავსე. გამახსენ-
და, ერთხელ სოფელში ჩამოიტანა
ჩვენმა ნათესავმა ასეთი შოკოლადი,
მოუჭერ კბილს და პირში ლიჭიორი
შეგესხებდა. ძალიან მომიწონდა ერთი
ცალისკ შეჭემა.

— მიირთვი, მიირთვი! — შემამ-
ჩნია ცუცამ, შოკოლადის ყუთი ახ-
ლოს მომიწია და ჩამოჯდა, — და
გყავს?

— კი, მყავს! — ვუბასუხე ისე, თა-
ვი არ ამიწვეია.

— მე კი, არავინ არა მყავს. უფ-
რო სწორად მყავდა, მაგრამ... დედა
აღრე მოგვიკვდა, ჩემი ძმა ვილაცამ იშ-
ვილა. მე, სოფელში ერთხანს კარდა-
კარ ვიზრდებოდი. რომ წამოვიზარდე,
აქ, რაიონში ჩამომიყვანეს და დუხუ-
ნანთან მიმბარეს: სახლს ვალაგებდი,
ვრეცხავდი, საჭმელს ვამზადებდი, თან
სალამოს სკოლაში ვსწავლობდი... —

დაიწყო ცუცამ, თითქოს თავს იმართ-
ლებსო, — კარგი ხალხია, ცუდს ვერ
ვიტყვი მათზე, მაგრამ მე კი დამლუ-
პეს... დუხუნა შემომჩინდა... მერე ბა-
ტონმა გერონტიმ ეს ოთახი მიშოვნა
და ტკბილი სიტყვით თავიდან მომი-
შორა... ჩემს მაგივრად, ეს სამი წელია
მანო ჰყავთ, თავს ევლებიან, არ ვაგვე-
ქცესო, — ცუცამ გაიცინა, — ეჰ, რას
იზამ, ბავშვი ვიყავი, არაფერი გამეგე-
ბოდა... მარო დეიდამ არაფრით არა
ჰქნა, სად ცუცა და სად ჩემი შვილიო.

უბედური ვარ, სიყვარული მე არ ვი-
ცი და ერთგულება, არავინ ჩემზე არ
ფიქრობს! — ამ სიტყვებს სიყალბის
ელფერი დაჰკრავდა, გუნებაში გამე-
ცინა, ვიცი რა ქალიცა ხარ-მეთქი. ცუ-
ცა კი ვანაგრძობდა, — ერთი რამ მა-
ნუგეშებს, დუხუნა ვერ მიშობს და
ხშირად მოდის ხოლმე... ეე, რომ შე-
მეძლოს აქედან წასვლა, სადმე შორს

პარლმ ტაბატაძე
ბასირინა ზღვაძე

გადაკარგვა, ცხოვრებას თავიდან და-
ვიწყებდი... ძალიან ძნელია მარტო-
ბა. შენ, ჯერ ცხოვრებას არ იცნობ, არ
შეგიძლია თანამიგრძნო...

ბოლო სიტყვები ცრემლით იყო
ნათქვამი. ცუტას შეეხედე, გამიკვირ-
და: „რატომ ტირის, ჭკუაზე აფრაკად
ხომ არ არის, ან რაიმეს დაცანცლვა
ხომ არ უნდა?“ ვიცი ამისთანა ქალე-
ბის ამბავი, ხშირად მომისმენია სო-
ფელში: ჯერ დაგიახლოვდებიან, მერე
რაიმეს დაცანცლავენ და გამოგიშვე-
ბენო. ასე ვფიქრობდი, თუმცა არაფე-
რი მებადა, გარდა ათი მანეთისა. ჯი-
ბეში ჩავიყავი ხელა: ყველაფერი რიგ-
ზე იყო. ჩვენს სოფელშიაც არის ერთი
ასეთი ქევეის გოგო, ხან მეწისქვილე-
სთან მიუსწრებენ, ხან — ჟორჟია შო-
ფერთან და ხანაც — მეველესთან.
ერთხელ დაჯდა თურმე და იტირა, უბე-
დური ვარ, ჩემი კეთილი გულისა არა-
ვის არ ესმისო, ჩემი არავის არ სჯე-
რაო.

— იცი, მე რატომ ვტირი? — მკით-
ხა მოულოდნელად ცუტამ, თითქოს
ჩემს გულში იჯდა, — იმიტომ რომ შენ
კარგი ბიჭი ხარ, ჯერ კიდევ შეურყვენ-
ლი, არ ვავხარ ღუხუნას, არ მგავხარ
მე... თუმცა, შენ ჯერ ბავშვი ხარ! —
ჩაფიქრდა, — მაგრამ მე ვიცნობ შენი
ხნის ბიჭებს, თვალში ბეწვს ამოვაც-
ლიან... გინდა, მე და შენ კარგი მე-
გობრები ვიყოთ, მე არ მინდა ამით
აპყვე, ამათსავით გაფუჭდე... იცი სად
წავიდა ღუხუნა?

— სად? — შევანათე თვალები ცუ-
ტას.

— სათამაშოდ, — თქვა ჩურჩუ-
ლით, — ისინი ყოველთვის სათამაშო-
ბენ... აჰ, ჩემთანაც ბევრჯერ უთამა-
შაოთ, სანამ არ აფუქრალე! — ცუტა
ალარ ტიროდა, ჩაფიქრებული მომა-
ჩერდა, მერე თანდათან ხმას აუწვია, —
იყავი ჩემი მეგობარი, დამიცავი ამათ-
გან, მეგობარი კი არა, ჩემი ძმა იყა-
ვი! — ეს წინადადება თვითონვე მოე-
წონა, მომიახლოვდა და ხელი მომხ-

ვია, — ჩემი ძმა, ხომ იქნები ჩემი
ძმა?!

— უნდა წავიდე! — წავიბურღლუ-
ნე გაოგნებულმა და წამოვდექი.

— რატომ? რა გეჩქარება? აჰ, ჩემ-
თან იყავი, საერთოდ გადმოზარდი
სოფლიდან, ცივ წიავს არ მოგეკარება...

— უნდა წავიდე! გვიანაა, მამა
იჯავრებს!

— როგორ, მამა აჰ არის?! — მკით-
ხა გაოცებულმა ცუტამ.

ვუთხარი ვინც იყო მამაჩემი, აგერ,
ახლოს ვცხოვრობთ-მეთქი და კარს
მივაშურე.

— გაავცილებ, რახან არ იშლი, —
თქვა ცუტამ და კარი გააღო.

გარეთ უკვე ბნელოდა. ჩემი ყუ-
რადღება გაჩახჩახებულმა ფოტოვიტ-
რინამ მიიქცია, იქ ღუხუნას ვაღიდე-
ბული სურათები იყო გამოფენილი.

— მამიას თხოვნით ვადაილო ეს
სურათები! — მითხრა ხმადაბლა ცუ-
ტამ, — ხალხს მოვიზიდავო... ახლა რა-
მდენი გაუჭირდება, იმდენი საწყალ
მამიას გამოართმევს ხოლმე ფულს, —
ცუტამ მიიხედ-მოიხედა და ჩურჩუ-
ლითვე განაგრძო, — მამია სულ იმის
ცდაშია, როგორმე ღუხუნასთან და-
მოკიდებულება არ გაიფუქოს...

— ლამე გამარჯვებისა ცუტა! — გა-
ისმა მოულოდნელად ფოტოგრაფის
ხმა, მამიას ფანჯარაში გამოიყო თავი
და იქედნურად იღიმებოდა.

— იცი მამია ეს ვინაა? — ცუტამ
ხელი მომხვია და თავი მხარზე მომა-
ღო, — ჩემი ძმაა, ამას ვენაცვალე!

— ვა, მომილოცავს ცუტა! — გაი-
ლიმა მამიამ, — აქამდე სულ ბიძაშვი-
ლები მოდიოდნენ, ახლა ძმებმაც დაი-
წყეს სიარული?!

— დავყარე მაგ ენაზე მიწა! —
მიაწყველა ცუტამ, მერე მე მომიბრუნ-
და და მითხრა, — გაფუჭებული კაცია,
ყურს ნუ უგდებ. წავიდე.

ცუტამ ხელკავი გამომდო და ნელი
ნაბიჯით გაუწყვეთ ქუჩას, თუმცა არ
მსიამოვნებდა მასთან სეირნობა, მაგ-

რამ არც თავის დაღწევა, გაქცევა მიც-
ლია.

ჩვენს ქუჩაზე რომ გამოვედით, გა-
მომეტხოვა: აბა, შენ იცი, ხვალ აუცი-
ლებლად გამოიარე, ორ საათზე გელო-
დებიო და ლოყაზე მაკოცა. როგორც
კი გავშორდი, ლოყა სასწრაფოდ მო-
ვიწმინდე და შინისაკენ მოვუსვი.

მამა წამოწოლილი დამხვდა, რაღა-
ცას კითხულობდა. ჩემი საწოლიც გაე-
შალა. ოთახში რომ შევედი, შემომხე-
და და მკითხა:

— კმაყოფილი ხარ?

— ხვალ შენთან წამოვალ საცდელ
ნაკვეთში, — და ფანჯრიდან გადავი-
ხედე. უცნობი მეზობელი გამახსენდა.
ეზოდან ბაიბურთი არ ისმოდა:

— გშია? — მკითხა მამამ და ჩემს
პერანგს დააქკერდა.

— არა. ეს ღუხუნამ მაჩუქა, ფეხ-
საცმელებიც!

მამამ ახლა ფეხსაცმელებზე დამ-
ხედა. ხმა არ გაუღია, კედლისაკენ გა-
დაბრუნდა და შუქი ჩააქრეო, მითხრა.

ლოგინში შევეჭქი, თვალები მოვ-
ხუჭე. დიდხანს არ დამძინებია — ღუ-
ხუნაზე ვვიჭრობდი. ნეტა რას თამა-
შობენ!.. მამაჩემისაკენ გადავბრუნდი,
მას უკვე ეძინა, ხმადაბალი ფშვინვა
ისმოდა. სძინავს, არაფერი არ აინტე-
რესებს. ოთახს თვალი მოვაველე. უც-
ნაური კაცია, როდემდე უნდა იცხოვ-
როს ამ პატარა ოთახში, მივიდეს გე-
რონტი ბიძისთან, ყველაფერში დაე-
ხმარება. უცბად ცუცა გამახსენდა: „მე
კი დამღუბეს... მერე ბატონმა გერონ-
ტიმ ტკბილი სიტყვით თავიდან მომი-
შორა“. თავიდან მოიშორა, აბა ცოლად
ხომ არ შერთავდა ღუხუნას!! ხვალ მა-
გათთან აღარ მივალ, იქნებ ჩემი მეზო-
ბელი გავიცნო. თვალწინ ლეილა დამი-
დგა, ფერიასავით რომ აირბინა კიბის
საფეხურები და დიდხანს გალურსუ-
ლი, ოცნების კოშკებს ვაგებდი...

დილით, ადრე გამაღვიძა მამამ,
მაგრამ მართალი ვითხრათ, ადგომა ძა-
ლიან დამეზარა: შინ დავრჩები „აირა-

ზოლს“ ვიყიდი-მეთქი და კედლისაკენ
გადავბრუნდი.

მეორედ რომ გამომეღვიძა, მზე
ჩემს საწოლზე გაწოლილიყო. ფანჯა-
რასთან მერცხლები შემომხსდარიყვნენ
და ჭიკჭიკებდნენ. უცბად გოგოების
საუბარი და კისკისი შემომესმა. ფეხზე
წამოვხტი და ფანჯარას ვეცი. ვაშლის
ხის ძირში ლეილა და მისი ამხანაგები
ისხდნენ. სასწრაფოდ ჩავიცვი შარ-
ვალი და ეზოში ჩავიბრინე. ონკანი გა-
ვხსენი, წყალს ბეჭები შევუშვირე და
გავგრილდი, თვალიც კი მეზობელ ეზო-
საკენ მეჭირა. აქ მათი საუბარი კარ-
ვად ისმოდა: ზღვაზე გატარებულ
დღეებს იხსენებდნენ. მერე ლეილამ
თქვა: მოდით ხვალ, გოგოებო, ზღვაზე
გავისეირნოთ, მამას ვეტყვი, მანქანას
გვათხოვებსო. ზღვის ნახვა ჩემი ოცნე-
ბაც იყო, ახლავე გავიქეცივი ღუხუნას-
თან და ვეტყვი, ზღვაზე წავიდეთ-
მეთქი, იქნებ გერონტი ბიძიამ მანქანაც
გვათხოვოს. ეს აზრი ჭკუაში დამიჯდა.
კიბე ავირბინე და ოთახში შევედი, ისე
ვიყავი აღტაცებული, სიმღერაც წა-
მოვიწყე, თანაც ისე ხმამალა, ქვევით
გოგონებს რომ გავეგონათ. ხშირ-ხში-
რად საჩუქრისადაც ვიხედებოდი.

სახლის აივანზე დიდი გოგო გად-
მოდგა, იღიმებოდა. „ეს ალბათ მარი-
ნაა“, გამიელვა გუნებაში და დავა-
კვირდი. მართალია შორს იყოს, მაგრამ
მინც მომეწონა. მეორედ რომ გადა-
ვინედე ეზოში, აღარავინ იყო. სასწრა-
ფოდ გადავიცვი ნაჩუქარი პერანგი და
გარეთ გამოვეარდი, რაიონის ცენტრი-
საკენ მიმავალ ქუჩას დავადექი, თან
აქეთ-იქით ვიხედებოდი.

მოულოდნელად, ბიჭიკო, შემო-
მესმა. ცუცა იყო, მიღიმოდა. შეცბუ-
ნებული შევჩერდი. სწრაფად მომიახ-
ლოვდა და ჭიქურ ლოყაზე მაკოცა.

— წუხელ, გვიან გამოიარა ღუხუ-
ნამ, ბიჭიკო რატომ გაუშვიო, — მითხ-
რა ცუცამ და ხელკავი გამოძლო, —

კარლო ტახტაძე
ბასმირინა ზღვაზე

უთამამნიათ, ხუთათასი წაუგია ძველი ფულით!

— ხუთასი? — შევიცხადე მე.

— სულ ასე აგებს, მაგის მოგებულნი მე არ მინახავს, თამაშს კი თავს არ ანებებს!

— მერე, სადა აქვს ამოდენა ფული?

— ზოგი მე უნდა ვუთხარო, ზოგიც მამია ფოტოგრაფს შეაწერა, — თქვა მშვიდად ცუცამ და დასძინა, — ზოგს ალბათ მამასაც დასტყუებდა.

ამ ამბავმა ძალიან ჩამაფიქრა, ათასი რაღაცა წარმოვიდგინე. ნუთუ დუხუნა ასეთია?.. ცუცა ერთხანს უხმოდ მომყვებოდა, მერე შეჩერდა, მოედნის მეორე მხარეს გაიხედა და სახეგაბრწყინებულმა მითხრა:

— მოდი კინოში შევიდეთ, კარგი ფილმი გადის.

მეც იქით გავიხედე, კინოთეატრის წინ გოგო-ბიჭებს მოეყარათ თავი. დიდი ხანია წესიერი ფილმი არ მენახა, ათასში ერთხელ მოდის მოძრავი კინოსოფელში და ბებიაჩემის დროინდელი ფილმები მოაქვთ ხოლმე. უცბად, ჩვენსკენ მომავალი ორი ბიჭი დავინახე, ჯინსები და ბათინკები ეცვათ. ერთს ფართე ქამარი მხარზე ჰქონდა გადაკიდებული.

— იქეთ გადავიდეთ! — მითხრა შემფოთებულმა ცუცამ.

ველარ მოვასწარით — ბიჭები სწრაფად მოგვიახლოვდნენ, ერთმა მე მსტაცა ხელი, მეორემ ცუცას და ერთმანეთს შეგვაჯახეს, თან უწმაწურად ივინებოდნენ და ხითხითებდნენ. შევატყუვე, მთვრალეები იყვნენ. ჭერ დავიბენი, მერე კი გავფართხალდი და თავი გავინთავისუფლე, მაგრამ მაღალმა ბიჭმა პანდურის ამორტყმა მაინც მომასწრო. მართალი გითხრათ, ძალიან შემეშინდა, ორთან ვერაფერს გავხდებოდი. შიშს ისიც დაერთო, რომ ცუცამ ისტერიული წივილ-კივილი ასტეხა, ხელი გამიშვით, რა გინდათ, ეს ჩემი ძმავა! ბიჭები სიცილით გადაბჟირდნენ. ცუცა

ამან უფრო გაახელა და ერთს თვალეებში ებღღენა კრუხივით...

ჩემთან პატარა ბიჭმა მოიბრინა და მიჩურჩულა, გაიქეცი, დუხუნას დაუძახეო, — ალბათ გუშინ დამინახა დუხუნასთან. შეგტრიალდი და უკანმოუხედავად მოვქუსლე.

კარი მანომ გამოიღო, გაკვირვებულმა შემათვალეირა და ის იყო რაღაც უნდოდა ეკითხა, დუხუნაც გამოჩნდა, კარგ გუნებაზე იყო. მოდი, მოდიო, დამიძახა. შევედი, ვახვითქული ვიყავი და მიხვდა რაღაც მიჭირდა, მხარზე ხელი გადამადო, ყველაფერი დაწვრილებით მოვუყუევი. კინალამ ვადაირია, ვინ გაბედა ჩემი ნათესავის, ჩემს რაიონში ხელის ხლება, აბა, მაჩვენე როგორი ვაქაუცები იყვნენო. ძალიან გამეხარდა, ორივეს რომ მაგრად მივბრეკავდით. დუხუნას ავედგენე. ვისა აქვს ათი თავი, როგორ გამოიბედესო, ყვიროდა დუხუნა და წინ გარბოდა. მალე ჰიშვართან შეჩერდა და ორჯერ გამბით დასტვინა. ეზოში, ოცი-ოცდარი წლის ბიჭი გამოჩნდა. კეხიანი ცხვირი და ფერმკრთალი სახე ჰქონდა, შავი თმა მოკლედ შეეკრიბა და უშბლზე გადმოეყარა. წკნაპაო, უთხრა დუხუნამ და ჩემს თავგადასავალს მოუყუა. წკნაპამ კბილები გააღრჭიალა, პერანგი გადაიცვა და გამოგვყვა.

მოედანზე აღარავინ დავხვდებო, დუხუნა ამოდ აცეცებდა თვალებს. ისევ იმ პატარა ბიჭმა მოიბრინა და გვითხრა:

— ლუღხანაში შევიდნენ. დუხუნამ ღრმად ჩაისუნთქა, კუნთები დაძაგრა და წინ გავარდა. მას წკნაპა მიჰყვა, მერე მე, უკან კი, სეირის საყურებლად, პატარა ბიჭები აგვედგენენ.

ლუღხანა ხალხით იყო სავსე. როგორც კი შევედი იმ ბიჭებს კუთხეში მოგკარი თვალი, იდგნენ, ხინკალს მიიროთმევდნენ და ლუღს ყოლებდნენ.

— ისინი ხომ არ არიან? — მკითხა წკნაპამ.

— თავი დავექნე და ისე ავლელი, ნიკაპი ამიკანკალდა.

— ესენი ხომ იცი ვინც არიან? — თქვა წენაბამ მრავალმნიშვნელოვნად და ღუბუნას შეხედა, — ბებური და ომარა!

ღუბუნა ნირწამხდარი იდგა. ამასობაში ბიჭებმა დაგვიანხეს, ხელები გაშალეს, წენაბას ვახლავართო!

— ძმაცალებს გაუმარჯოს! — შესძახა წენაბამაც და მანაც ხელები გაშალა.

შეიქნა ერთ ხვევნა-კოცნა. ღუბუნაც მათ მიუახლოვდა და მერე მე და მიქნია ხელი.

მიუახლოვდი, ბიჭები გაკვირვებულები შემომქეპროდნენ.

— რატომ გალახეთ ეს ბიჭი? — იკითხა წენაბამ და თვალები აუელამდა.

— გასალახი იყო, — თქვა ბებურმა, პანდური რომ ამომარტყა, იმან, — ცუტას მოყვებოდა!

— ცუტას?! — შემომხედა წენაბამ.

— მე გავაცანი, — გაიღიმა ნაძალადევად ღუბუნამ.

— მამ შენ ყოფილხარ გასალახავი! — გამოსცრა კბილებში ბებურმა.

ღუბუნა უხერხულად შეიმშუშნა.

— დალიეთ! — თქვა ომარმა და არაყი ჭიქებში ჩამოასხა.

წენაბამ ბიჭები აღღვგრძელა და გადაჭრა. ღუბუნა ერთხანს აწურული იდგა, მერე მეტუფეტეს მიაშურა.

— სად დიკარგე? — იკითხა ბებურმა.

— თბილისში ვიყავი, როსტომის საქმე გავაიმასქენით!

ღუბუნამ ხინკალი და ერთი ბოთლი არაყი მოიტანა. ომარმა თეფშები და კახუები გასწი-გამოსწია და თქვა:

— ხვალ ბათუმში ვიქნებით, ჩამოდი!

— წავიდეთ რა ბათუმში! — მუჩურჩულე ღუბუნას.

— გინდა?! — გვერდულად გამომხედა და არაყი ჭიქებში ჩამოასხა.

— ძალიან. ხვალ წავიდეთ, გერონტი ბიძიას მე ვეტყვი.

— წავიდეთ, მაგაზე ადვილი რა არის! — დამამიჟდა ჩურჩულით ღუბუნამ.

— დალიე! — მითხრა ომარმა.

არაყი გადავკარი და ლუდი დავაყოლე. ძალიან მესიამოვნა, გამახსენდა, გოგია მეწისქვილეს უყვარს ხოლმე ტრაბახი: მოვატანიე ორმოცი ცალი ხინკალი, ხუთი კათხა ლუდი...

დიდხანს ვიყავით ლუბხანაში, არაყს ვსვამდით, ლუდს ვაყოლებდით და ხინკალს მივირთმევდით. წენაბა, ბებური და ომარი ჩემთვის გაუგებარალაცეებზე საუბრობდნენ: მეზღვაურები ჩამოვიდნენ და კარგი რალაც-რალაცეები ჩამოიტანესო, იშხანას უნდა მოვაკეტინოთო... მერე ბებურმა ჭიქა აიღო და ღუბუნას უთხრა:

— რა უნდა ბიჭო მამაშენს ჩემთან, მე ის კაცი არა ვარ, ვინმესი რომ შემეშინდეს!

ღუბუნამ მხრები აიჩეჩა და აბუზულმა წენაბას შეხედა.

— ეე! — ამოიოხრა ბებურმა და არაყი გადაჭრა.

მალე ისე გამოვფეერი, აღარც არაფერი მესმოდა, არც არაფერს ვგარძნობდი. როგორც მერე გავიგე, შინ წენაბამ და ღუბუნამ მიმიყვანეს, უფრო სწორად, მიმიტანეს და საწოლზე დამდეს. მთელი ღამე თურმე ვბორავდი და ვაბოდებდი. მამაჩემისთვის ისიც მიკითხავს, ცუტას და ბებურის თუ იცნობ-მეთქი. მერე გული ამრევია და რომ დავმშვიდებულვარ, მამას ბავშვით ჩავუხტებებივარ და ჩამძინებია.

ნჯღრევამ გამომალეცია. თვალი რომ გავახილე, გათენებული იყო. თავს ღუბუნა მადგა:

— ადე, ჩქარა, მატარებელზე გავგვიანდება!

თვალები ისევ მივლულე, მაგრამ უმალ გამახსენდა ბათუმში წასვლაზე რომ ვიყავით შეთანხმებულები და თვალები კვლავ დავაჭყიტე. თავი სა-

კარლო ტაბატაძე
ბასმირინაზა ზღვაზა

შინლად მტკიოდა, რომ წამოვდგე, ალბათ მომწყდება-მეთქი. ღუხუნამ წამომაჩინა, თან იცინოდა და ერთსა და იმავეს მეკითხებოდა:

— რა მოგივიდა, რამ მოგკლა, არაყი არ დაგილევიო?!

ტანზე ზანტად ჩაიცივი და პირი

დავიბანე, მაგრამ ვერაფრით ვერ გამოვფხიზლდი, ახლა კუჭიც მეწვოდა. მაგიდაზე წერილი იდო, წაკითხვა დავაპირე, მაგრამ ღუხუნა ხელებში მეცა, მაგის ღრო არაა, ჯიბეში ჩაიღე და მერე წაიკითხეო.

ჯერ ღუხუნასთან. შინ გავიარეთ. გერონტი ბიძია დერაფანში შემოგვეგება, შეშუბებული თვალები მომაპყრო და მკითხა:

— მამ ძალიან გინდა ბათუმში წასვლა?

— კი, ზღვის ნახვა ჩემი ოცნებაა! გერონტი ბიძიამ ახლა შვილს შეხედა და დინჯად თქვა:

— რაკი ესეა, წადით, მხოლოდ იცოდეთ, ჭკვიანად! — მერე კვლავ მე მომაპყრო თვალი, — ძალიან ბევრი არაყი დაგილევენებით ღუხუნასათვის!

გაკვირვებული შევაცქერდი ღუხუნას, რომელიც კედელზე მიყრდნობილი, თვალებმოჭუტული იდგებოდა.

— შენ ჩამოიტანე ალბათ სოფლიდან არაყი? — მკითხა გერონტი ბიძიამ.

მივხვდი, რაშიც იყო საქმე, უხერხულად გავიღიმე.

— სად შეუძლია, შეილო, ღუხუნას არყის სმა! — მისაყვედურა მარო ბიცოლამ, რომელიც სამზარეულოს კართან იდგა.

— წავიდეთ, გვაგვიანდება! — ღუხუნამ კარს მიაშურა.

— წადით, წადით! — დაიხედა საათზე გერონტი ბიძიამ, — მხოლოდ იცოდეთ, არაყი აღარ დააღვივინო. ნუთუ ამდენი არ იცის მამაშენმა?

უცბად გული მომივიდა, მამაჩემი ასე უდიერად რომ ახსენა, მინდოდა მეყვირა, მამაჩემმა კი არა, თქვენმა

შვილმა დამაღვივინა-მეთქი, მაგრამ ღუხუნა მიხვდა რომ გავწიწმატდი, ხელი მსტაცა და გარეთ გამიყვანა.

სადგურზე სირბილით გავედით. იქ წყნაბა დაგვხვდა, ძმაცატურად ჩამომართვა ხელი და სიცილით მკითხა „პახმელიაზე“ ხომ არა ხარო. ჯერ ის წყენაც არ გამწვებოდა და ამ კითხვამ კიდევ უფრო ჩამითუთქა გული. მაგრამ ხმა არ ამოიღია. მალე ელექტრომატარებელიც ჩამოდგა და ვაგონში ავედით.

ერთ ადგილას არ დავმჯდარვარ, ხან მატარებლის თავში ვიყავით, ხან — ბოლოში. წყნაბა ხშირად ვილატვილატეებს გამოელაპარაკებოდა ხოლმე, ლლაბუცობდა და იცინოდა. მე და ღუხუნა აღიუტანტებოვით დავდევდით. რამდენჯერ გავიფიქრე, დავჯდები და ჩემთვის ვიქნები-მეთქი, მაგრამ წყნაბა ისეთნაირად მანიშნებდა ხელით, მომყვიო, ძალაუნებურად მივყვებოდი. გამოგიტყდებით, მეშინოდა კიდევ, რაკი ბილეთები არ აგვილია...

მალე ზღვაც გამოჩნდა, სარკმელს ვეცი და დიდხანს გაოცებული გავცქიროდი ლურჯ სივრცეს, რომელიც თვალსაწიერზე ცას უერთდებოდა. შორს თეთრი გემი მოცურავდა, ხოლო ჩვენს ქვემოთ, რკინიგზის გასწვრივ, ზღვის სანაპირო ავსებული იყო დამსვენებლებით.

ბათუმისოდენა ქალაქი ჯერ არ მენახა, შენობებს პირდაღებული მიგჩერებოდი და ხბოსავით მივდევდი ღუხუნას და წყნაბას. მალე სანაპიროზე გავედით.

— აი, ზღვა, თუ გინდა, იცურავე! — მითხრა წყნაბამ და ღუხუნას თვალი ჩაუტრა.

ბეტონის ჯებირიდან გადავიხედე. ზღვა მდორე და გამჭვირვალე იყო. შორიასლოს სატვირთო გემები იდგნენ, „საზღვაო პორტი“ ეწერა შენობას, რომელიც ზღვას ვადაპყურებდა. იქვე, მოაჯირის მიყრდნობოდა მეზღვაური და უსტვენდა.

— იცურავე, ჩვენ აქ დაგელოდებოთ! — მხარი აუბა დუხუნამ.

— თავს რომ იკლავდი, ზღვაში მინდა ცურაობაო, — გაიცინა წყნაბამ და ლითონის ბოძზე შემოკდა.

ბოძი ცნობისმოყვარეობით შევეთვალე და თითქოს წყნაბა ჩემს ვულში იჭდა, მითხრა:

— ამ ბოძებზე გემებს აბამენ.

გამეღიმა, მინდოდა მეთქვა, ვინ ჰამს მაგას-მეთქი, მაგრამ მოშორებით დავინახე, ასეთსავე ბოძზე შავი გემი იყო თოკით გამობმული.

— იქნებ ცურვა არ იცი? — დამცინავად გაიღიმა წყნაბამ.

— თქვენ რატომ არ ცურაობთ?

— ჩვენ?! — წყნაბამ ყელთან ხელი მიიტანა, — ამოსულია ყელში, თუ გინდა იცურავე, თუ არა და...

ზღვას გავხედე, მოხდეს მოსახდენი-მეთქი, გავიფიქრე და ტანთ გავიხადე. ჭებირიდან გადავეშვი, მაგრამ ცუდად გადავხტი, ტყაპანი მოვადინე და მუცელი მეტკინა. ყურადღება არ მიმიქცევია. როცა ამოვყურე მელავდი და უკან მოვიხედე, წყნაბა და დუხუნა ერთმანეთს სიცილით ასკდებოდნენ. მეზღვაური ჭებირთან მოსულიყო და ხელს მიქნევდა, ჩქარა ამოდო. მიეტრიალდი და გავცურე. დუხუნამ ხელი გამომიწოდა, ამოვედი. წყნაბა ისევ ფხუკუნებდა. სიცილს იკაეებდა დუხუნა. მეზღვაური მოგვიახლოვდა და წყნაბას საყვედურით მიმართა:

— როგორ შეიძლება ასე გადახტომა, ან აქ ცურაობა?

— არაუშავს, — დაამშვიდა მეზღვაური დუხუნამ, — პატარა ქაჭუნაა, გაზრდება და დაივიწყდება.

მეზღვაურმა ხელი ჩაიქნია და წავიდა. მე ამასობაში ტანზე ჩავიცვი, თან მიკვირდა, რა მოხდა, რა განგაში შექმნეს, მუცელი არც ისე ძალიან მტკინა-მეთქი.

— წავიდეთ, წავიდეთ! — თქვა წყნაბამ ღიმილით და წინ გავვიძღვა. სანაპიროს გავყევით. დუხუნა და წყნაბა კიდე იცინოდნენ. ცურაობა გცოდ-

ნიაო, მითხრა დუხუნამ და მხარზე ხელი გადამადო. ასე მიედლიოდით ერთხანს.

კაფეში შევედით. ახლა მივხვდი, შიმშილით თავბრუ რომ მესხმოდა. ერთი აჭარული ხაჭაპური სულმოთუქმელად შევყლაპე, ყავაც დავაყოლე და, რომ დავნაყრდი; ტარაბუამაც გამიარა. ჭიბებზე გავიყარი ხელი, ათმანეთიანი ამოვიღე, დუხუნამ უცბათ ჩამომართვა ფული და თვალების მოჭუტვით მკითხა:

— კიდე ვაქვს?

მეორე ათმანეთიანიც ვუჩვენე.

— კარგი, კარგი, შეინახე! — მითხრა მან და შევატყე, გამორთმევა უნდოდა.

— გამოართვი, დაგვპირდება! — თქვა წყნაბამ.

დუხუნამ ფული გამომართვა და ჭიბეში ჩაიღო, მეორე დანახარჯი გადაიხადა.

სანაპიროზე გავედით, პარკი ხალხით იყო სავსე. გაოცებული შევცქეროდი პალმებსა და გაკრეპილ ბუჩქებს, რომ უცბათ პლაჟზე აღმოვჩნდით. შეცბუნებული შევჩერდი, თვალებს აქით-იქით ვაცეცებდი. ალბათ დამიჯერებთ, ამდენი შიშველი ქალი და კაცი ჯერ არ მენახა.

დუხუნა და წყნაბა იქვე წამოწოლილ გოგოებს მიუახლოვდნენ:

— შეიძლება? — ჰკითხა დუხუნამ.

პასუხს არც ერთი არ დალოდებია, სწრაფად გაიხადეს და ზღვას მიაშურეს.

გადმოცემით ვიცოდი, რაც ხდებოდა პლაჟზე, მაგრამ რასაც ახლა ვხედავდი, ამის წარმოდგენა ნამდვილად არ შემეძლო. ჩავიჩოქე და ქვიშაზე დავჯექი. გოგოებმა შემომხედეს, მეორე ერთი წამოდგა, გამიღიმა და ნელა გავემართა ზღვისაკენ. თვალი მოვარიდე, დუხუნას და წყნაბას დავუწყე ძებნა. ნეტა ჩემი მეზობელი ლეილა სად არის?

პარლო ბაბაბაძე
ზაპირინაბა ზღვაზე

აქ იპოვნი ვინმეს? თვალი ამიჭრელდა და თავი ჩავლტუნე. უმწეობა ვიგრძენი, მივხვდი, რომ არაარაობა ვიყავი, ერთი იმ ქვათავანი, სილაზე რომ ეგდო. დავწვები, თავს ქვიშაზე დავდებ და დავიძინებ. თუ აქ პლაჟზე უნდა მოვსულიყავით, რა საჭირო იყო ჩემი იქ გამომიშენება. ახლა მივხვდი, რატომ იცი-ნოდნენ ღუხუნა და წყნაბა.

— რატომ არ ტურაობ? — შემომესმა მოულოდნელად ღუხუნას ხმა, — საცურაო ტრუსი არა გაქვს ხომ?

თავი დაუქვნიე. ღუხუნამ ტანსაცმელი აიღო და ვასახდელისაკენ წავიდა, მას წყნაბაც მიჰყვა. მალე მობრუნდნენ, ტანზე ჩაეცვათ და თმას ივარცხნოდნენ. წამოვდექი, ალბათ მივდივარ-მეთქი. ღუხუნამ საცურაო ტრუსი გამომიწოდა:

— ჩაიცვი, იტურავე, ჩვენ მალე მოვალთ.

— აქედან ფეხი არ მოიცვალთ, — გამაფრთხილა წყნაბამ, მერე ქალიშვილებს მიუბრუნდა, — ეს ბიჭი თქვენთვის ჩაგვიბარებია!

ღუხუნა ხელის აქნევით გამოეთხოვა ქალიშვილებს და წავიდნენ. მე ერთხანს მათ მივჩერებოდი, მერე ვასახლელში შევედი და საცურაო ტრუსი ჩავიცვი. უხერხულად ვიგრძენი თავი. შიშველი როგორ გავიდე-მეთქი. ვილაც ბიჭმა შემოიხედა, ჩქარა, რიგი ღვასო. გამოვედი, ტანსაცმელი გოგონებთან ახლოს დავყარე და ზღვას მივაშურე. უცბად რაღაც შიშმა შემიპყრო, „ნუთუ ამ უკიდევანო ზღვაში უნდა შევეცურო?“ წარმოვიდგინე, რომ დავიხრჩე. გიპოვნის ვინმე თუ რა? — ალბათ გემი და მყვინთავები დასჭირდებათ ჩემი ვაბერილი გვამის მოსაძებნად. მერე ამას მამაჩემი მოაბავს ვითომ თავს? თუმცა, გერონტი ბიძია დავხმარება, დავხმარება კი... თუ ვერ მიპოვნეს, ისე დამიტოვებენ. საცოდავი დედაჩემი! ამის გაფიქრებაზე ცრემლი მომერია. მივიხედ-მივიხედე, მომეჩვენა, მთელი პლაჟი მე მომჩერებოდა. გოგონები ხელს მიქნევდნენ, შე-

დი იტურავეო. გამბედაობა მოვიკრიბე, ზღვაში შევეტოპე და სუნთქვაშეკავებულმა შევეცურე. მესიამოვნა, გავგრილდი. მკლავური მოვუსვი, ზურგზედაც ვადავებრუნდი. უცბად მამაჩემის წერილი გამახსენდა, გავალ და წავიკითხავ-მეთქი. მაგრამ ზღვიდან გამოსვლა აღარ მინდოდა, მკლავებს დახარბებულ ვიქნევედი და ხშირ-ხშირად ნაპირისაკენ ვიხედებოდი. როგორც იქნა, მოვიყირჭე ცურაობა და ნაპირზე გაბადრული გამიგედი. ვოგოებს ჩაეცვათ და ნახვამდისო, მითხრეს. ქვიშაზე დავჯექი. ძალიან ცხელოდა, მზე იკბინებოდა. ნეტა ზღვიდან არ გამოვსულიყავი, მაგრამ ამ ტანსაცმელს რა ვუყო, ვის დაუტოვო — ახლოს აღარავინ იჯდა. ისევე გამახსენდა მამაჩემი, შარვლის ჯიბიდან წერილი ამოვიღე და წავიკითხე: მამა მირჩევდა სოფელში წავსულიყავი, ღუხუნას ნუ აპყვებო, რაიონში ცუდი სახელი აქვს გავარდნილი და რაიმე უბედურებას არ ვადაგყაროსო. წერილი დავქმუშენე და კვლავ ჯიბეში ჩავდე. პარკისაკენ გავიხედე: „სად წავიდნენ ამდენ ხანს, რას აკეთებენ?..“ ძალიან ცუდ გუნებაზე დავდექი.

ვილაც ქალმა ჩაიარა, მხარზე ხელს დამადო:

— დაიწვები შვილო, ამაღამ ველარ მოისვენებ.

ბეჭები უკვე მეწვოდა. წამოვდექი, ერთხელ კიდევ გავიხედე პარკისაკენ და მხრებზე პერანგი მოვიხურე. ერთხანს ასე ვიდექი და აქეთ-იქით ვიხედებოდი, მერე ტანსაცმელი ზღვასთან ახლოს მივიტანე და შევეცურე. დღე-ღამე ვნებიერობდი ზღვაში, ხშირად ნაპირისაკენ ვიხედებოდი, ჩემი ტანსაცმელი ხელს არავინ გააყოლოს-მეთქი. შუაღლე კარგა ხნის ვადასული იყო, ღუხუნას და წყნაბას რომ მოეკარ თვალი, მეძებდნენ. დამინახეს და ხელი დამიჭინეს, გამოდიო.

— მალე ჩაიცვი! — მითხრა ღუხუნამ რაღაც უგუნებოდ.

— ციხისძირში გავიაროთ, —

თქვა წყნაპამ და პარკს მიაშურა.

მას ღუხუნა მიჰყვა მღუმარედ. გასახდელში შევედი, ტანსაცმელი სწრაფად ჩაიცივი და მათ გამოვედევნე. კამათობდნენ:

— ასჯერ ვთქვი, შენთან ერთად აღარ ვითამაშებ-მეთქი... — ამბობდა წყნაპა.

— რა ჩემი ბრალია, არ მიმართლებდა! — მოისაწყლა თავი ღუხუნამ.

— არ გიმართლებდა კი არა, არიფი ხარ! — შეჩერდა წუთით წყნაპა, — ახლა სამგზაგრო ფულიც აღარა გვაქვს.

— მე მაქვს სამი მანეთი! — ვთქვი და კიბეში ჩაიყავი ხელი.

წყნაპა შეჩერდა, დამაძკერდა და დაეკავებით მითხრა, კიდევ გექნებაო.

— არა, მეტი არა მაქვს!
წყნაპამ კიბისაკენ გააქანა ფული და წინ გასწია:

— აბა, ჩქარა, არ დაგვაგვიანდეს. ავტობუსი დამსვენებლებით დაგვხვდა გაჭედლილი, მაგრამ მაინც ავედით. ჯერ მე ამიშვეს, მერე ღუხუნა და წყნაპა ამოვიდნენ, ასე წელმოუხრელებმა ვიმგზავრეთ ცინისძირამდე.

ღლე გაფერმკრთალებული იყო, რცა პლაჟზე ჩავედით. დიდი, მრგვალი მზე თვალსაწიერზე ჩასვენებულოყო და საცაა ზღვაში ჩაყვინთავდა. ცის ტატნობი შეფაკულყო, ზღვასაც ეკიდა ცეცხლი. ისეთი ლამაზი იყო, პირდაღებულ მიეჩერებოდი.

პლაჟზე ერთადერთი ქალი იჯდა, თითქოს ჩვენ გველოდებოდა, ფარფლებიანი ქუდი ეხურა, კალთაში კინოაპარატი ედო და ზღვას გასცქეროდა. წყნაპა გამოელაპარაკა, მალე ისე გაუშინაურდა, ხელიც კი მოხვია. მერე ღუხუნა იხმო, მოდი გავაცნობ, კარგი ქალიაო. ქალი იცინოდა. ღუხუნა გუნებაზე დადგა, გამხიარულდა და მე დამიძახა: მოდი, შენც გაიცანიო.

არ განძრეულვარ, მზეს გამცქეროდი, ის უკვე ზღვას შეეხო და ჩაყურყუმალემა იწყო. ძალიან მაინტერესებდა, როგორ გაუჩინარდებოდა. ღუხუნამ ნაპირზე გაიარ-გამოიარა,

ქალმა კინოაპარატი მოიმარჯვა და მზის ჩასვლა გადაიღო. წყნაპა ხშირხშირად იხედებოდა საათზე. მერე წამოდგა, ქალს მხარზე ხელი გადასდო და კიბეებისაკენ წაიყვანა, ღუხუნაც მათ მიჰყვა. მზე მთლიანად ჩაიძირა, ზღვას კენჭი ვესროლე და უკან-უკან ყურებით კიბეებისაკენ გავემართე. ახლა, ღუხუნა და ის ქალი აღიოდნენ კიბეზე, წყნაპას კი ხელში კინოაპარატი ეჭირა და იღებდა. მე რომ დამინახა, დამიძახა და ხმადაბლა მითხრა:

— ზევით ადი, მალე „ექსპრესი“ ჩამოდგება, ჩაჯექი, ჩვენც მალე მოვალთ!

ქალი ერთხელ კიდევ შევათვალეირე; ძალიან გამხდარი და ხნიერიც გახლდათ, კისკისებდა და რაღაცას თავგამოდებით ყვებოდა. ცოტა აკლია მეონი — გუნებაში გამეცინა, რა საერთო გამოძებნა ამ ბიჭებთან? რამდენნაირ აღამიანს შეხედება კაცი! აღმართი ავათავე, რკინიგზის ლიანდაგი გადავიარე და ბაქანზე გავედი, იქ რამოდენიმე ქალი და კაცი იდგა. მალე საყვირის ხმა გაისმა და ელექტრომატარებელი გამოჩნდა. დაჯინებით დავიწყე ცქერა ზღვისაკენ. მატარებელი ჩამოდგა. ბოლო ვაგონისაკენ გავიქეცი და კვლავ ზღვისაკენ გავიხედე, დავინახე: წყნაპა გამოიბოძა, ღუხუნა კი უკან მოსდევდა, თან ხელს მიქნევდნენ, ვაგონში აღიო. ამასობაში მატარებელი დაიძრა, კიბეზე შევხტი და ტამბურში შევედი, სარკმელს ვეცი, მოასწრებენ თუ არა-მეთქი. ამოვიდნენ. წყნაპას აქეთ-იქით გაურბოდა თვალი.

— მაჩვენე! — უთხრა ფერდაკარგულმა ღუხუნამ.

ახლა შევნიშნე, წყნაპას კინოაპარატი ეჭირა ხელში. ელდა მეცა: ნუთუ წაართვის? ის ქალი რა იქნა? სარკმლიდან გავიხედე; გვირაბში მივქროდი. ღუხუნამ კინოაპარატი ჩამოართვა და შეათვალეირა:

— ზევით ადი, მალე „ექსპრესი“ ჩამოდგება, ჩაჯექი, ჩვენც მალე მოვალთ!

ქალი ერთხელ კიდევ შევათვალეირე; ძალიან გამხდარი და ხნიერიც გახლდათ, კისკისებდა და რაღაცას თავგამოდებით ყვებოდა. ცოტა აკლია მეონი — გუნებაში გამეცინა, რა საერთო გამოძებნა ამ ბიჭებთან? რამდენნაირ აღამიანს შეხედება კაცი! აღმართი ავათავე, რკინიგზის ლიანდაგი გადავიარე და ბაქანზე გავედი, იქ რამოდენიმე ქალი და კაცი იდგა. მალე საყვირის ხმა გაისმა და ელექტრომატარებელი გამოჩნდა. დაჯინებით დავიწყე ცქერა ზღვისაკენ. მატარებელი ჩამოდგა. ბოლო ვაგონისაკენ გავიქეცი და კვლავ ზღვისაკენ გავიხედე, დავინახე: წყნაპა გამოიბოძა, ღუხუნა კი უკან მოსდევდა, თან ხელს მიქნევდნენ, ვაგონში აღიო. ამასობაში მატარებელი დაიძრა, კიბეზე შევხტი და ტამბურში შევედი, სარკმელს ვეცი, მოასწრებენ თუ არა-მეთქი. ამოვიდნენ. წყნაპას აქეთ-იქით გაურბოდა თვალი.

— მაჩვენე! — უთხრა ფერდაკარგულმა ღუხუნამ.

ახლა შევნიშნე, წყნაპას კინოაპარატი ეჭირა ხელში. ელდა მეცა: ნუთუ წაართვის? ის ქალი რა იქნა? სარკმლიდან გავიხედე; გვირაბში მივქროდი. ღუხუნამ კინოაპარატი ჩამოართვა და შეათვალეირა:

— ზევით ადი, მალე „ექსპრესი“ ჩამოდგება, ჩაჯექი, ჩვენც მალე მოვალთ!

ქალი ერთხელ კიდევ შევათვალეირე; ძალიან გამხდარი და ხნიერიც გახლდათ, კისკისებდა და რაღაცას თავგამოდებით ყვებოდა. ცოტა აკლია მეონი — გუნებაში გამეცინა, რა საერთო გამოძებნა ამ ბიჭებთან? რამდენნაირ აღამიანს შეხედება კაცი! აღმართი ავათავე, რკინიგზის ლიანდაგი გადავიარე და ბაქანზე გავედი, იქ რამოდენიმე ქალი და კაცი იდგა. მალე საყვირის ხმა გაისმა და ელექტრომატარებელი გამოჩნდა. დაჯინებით დავიწყე ცქერა ზღვისაკენ. მატარებელი ჩამოდგა. ბოლო ვაგონისაკენ გავიქეცი და კვლავ ზღვისაკენ გავიხედე, დავინახე: წყნაპა გამოიბოძა, ღუხუნა კი უკან მოსდევდა, თან ხელს მიქნევდნენ, ვაგონში აღიო. ამასობაში მატარებელი დაიძრა, კიბეზე შევხტი და ტამბურში შევედი, სარკმელს ვეცი, მოასწრებენ თუ არა-მეთქი. ამოვიდნენ. წყნაპას აქეთ-იქით გაურბოდა თვალი.

— მაჩვენე! — უთხრა ფერდაკარგულმა ღუხუნამ.

ახლა შევნიშნე, წყნაპას კინოაპარატი ეჭირა ხელში. ელდა მეცა: ნუთუ წაართვის? ის ქალი რა იქნა? სარკმლიდან გავიხედე; გვირაბში მივქროდი. ღუხუნამ კინოაპარატი ჩამოართვა და შეათვალეირა:

— იაბონურია. რა კარგად გამოვი-
და, ჯერ ვერ მივხვდი, რას ექურტურე-
ბოდი იმ ბებრუხანას, მერე კი... —
ლუხუნა მე მომიბრუნდა, თვალები მო-
ქუტა და ძმაკატურად მკითხა, — ხომ
კარგა კინოაპარატია? *

— არსად არაფერი წამოგცდეს! —
გამფრთხილა წენაბამ და თვალებში
ისეთი ცეცხლი გაუკრთა, იფიქრებ-
დით, კაცის მოსაკლავად მიდისო.

— ქალი სად არის? — ვკითხე გა-
ოცებულმა.

— ვინ? ის ქალი? — გაიცინა წენა-
ბამ, — გვაჩუქა, კარგი ბიჭები ხართო.

ახი კია იმ ქალზე, რომ კისკისებ-
და, ხომ უნდა იცოდეს, ვის უმეგობრ-
დება! კინოაპარატი შევათვალიერე,
ხელიც გადავუსვ-გადამოვუსვი, ძალიან
ლამაზი იყო.

— რამდენს მოგცემს ნეტა მამია?

— ექვსასს ალბათ, — თქვა დაბე-
ჭოთებით წენაბამ.

— არ ავშენდებით! — გამოცო-
ცხლდა ლუხუნა.

ვაგონში ორიოდ კაცი იჯდა, მეო-
რე ვაგონში გავედით, იქითაც ცოტა
იყო ხალხი და მესამე ვაგონს მივაშუ-
რეთ, იქ შედარებით მეტი მგზავრი
დაგვხვდა.

— აქ დაესხდეთ! — თქვა წენაბამ,
მერე მერხზე შეხტა და საბარგულზე,
ჩემოდნის უკან გადამალა კინოაპარა-
ტი.

შიშმა გამიარა და დავმშვიდდი,
სარკმელს მივუჯექეი. დღე იწურებოდა,
შორს, ზღვისა და ცის დასალიერი ჯერ
ისევ წითლად ღვიოდა. ჩემი ყურადღე-
ბა „ვოლგამ“ მიიქცია, რომელიც ავ-
ტოსტრადაზე ჩვენს პარალელურად
მოჰქროდა. მანქანაში ჩემი მეზობელი
ლეილა და მისი ამხანაგები ისხდნენ,
იციინოდნენ და როგორც მე მომეჩვენ-
ნა, შოფერს უკეიფებდნენ, მატარე-
ბელმა არ გაგვასწროსო. ვერ გადმოგ-
ცემთ რა დამემართა; სადღაც, გულის
სიღრმეში, ტკივილი ვიგრძენი. ძალიან
მომიინდა მათთან ყოფნა. ორივე ხელე-
ბით ვეცი სარკმელს. ნეტა, მხედვენ

თუ არა, მხედვენ თუ არა? „ვოლგამ“
მოუხვია, ჩვენს თავზე, ხილზე გადაი-
რა და გაუჩინარდა. წამოვხტი მეორე
მხარეს სარკმელთან მიწოდდა მიბრუნა,
ლუხუნამ შემაჩერა:

— წამოხვალ თუ აქ დარჩები?

აქ დავრჩები-მეთქი და სარკმელთან
მივირბინე. ერთხანს თვალი ვერ მოვ-
კარი „ვოლგას“. მერე ისევ გამოჩნდა,
გაოგნები მიცინოდნენ და ამით მივ-
ხვდი, მიცნეს. მოულოდნელად მატარ-
ებელი გაჩერდა, ჩემს პირდაპირ კი
„ვოლგამ“ დაამუხრუჭა. ლეილა და
მისი ამხანაგები მანქანიდან ვადმოვიდ-
ნენ, ნიჟარაზე დალიეს წყალი და ისევ
მანქანაში ჩასხდნენ.

ერთხანს შარაგზა ჩვენ მოგვედგა
და კარგად ვხედავდი „ვოლგას“, თუმ-
ცა უკვე შეზინდებული იყო. უცხად
მილიციის მანქანა გამოჩნდა, კვილით
და ლურჯი ნათურის ციმციმით გადაა-
სწრო „ვოლგას“ და წინ გავარდა. მა-
ლე გზა გაუჩინარდა. ახლა მოწყენილი
გავცქეროდი წყვილადს და ვფიქრობ-
დი, რომ ლეილა ჩემთვის მიუწყვდომე-
ლი იყო. რა ბედნიერია ლუხუნა-მეთ-
ქი, ლეილას და ცოლად უნდა მოიყუა-
ნოს. მერე წარმოვიდგინე რომ „ვოლ-
გა“ გადაბრუნდა და ლეილას ვუშვე-
ლე. მარტო ლეილას კი არა, მის ამხა-
ნაგებსაც. დაილუპა შოფერი, თუმცა,
არა, ისიც გადავარჩინე. ვამეცინა, რა-
ღა ჩემი გადასარჩენები ვახდებიან სუ-
ყველა?!

ლუხუნა და წენაბა შემოვიდნენ ვა-
გონში, ლუხუნა იღიმებოდა და რომ
მომიახლოვდა მითხრა:

— შენი რბილი მოდის; წინა ვა-
გონში შეგვხვდა.

გაოცებული შევაჩერდი, რომელი
ღობილი-მეთქი.

— ცუცა!

ნაქურდალზე წასწრებულებით გა-
ვიღობე, ნუთუ ლუხუნამ გაიგო ჩვენი
დამმოხლოვდა ამბავი.

— ბოლო ვაგონში ვიქნებით, —
მითხრა მერე ლუხუნამ და წენაბას მიპ-
ყვა.

მალე ცუცაც გამოჩნდა, ხელში დიდი ჩანთა ეჭირა, თვალთ მომქებნა, სიყვარულით შემომცინა და მომაშურა:

— ბათუმში თუ ვინდოდა წამოსვლა, ვერ მითხარი? რატომ არ გამოიარე ჩემთან? — მომიახლოვდა, გადასკოცნა და მერხზე ჩამოჯდა.

— უცბად, მოულოდნელად წამოვედით, — ვთქვი და მივიხედ-მოვიხედ-ღე.

მგზავრები ცნობისმოყვარეობით მოგვეჩერებოდნენ.

— ისეთი კარგი ჯინსი გიყიდე?! — ცუცამ ჩანთა კალთაში ჩაიდო და გადმოქექა.

გაოცებული შევაჩერდი. მაგრამ ცუცამ შარვლი თვალწინ რომ ამიფრიალა, გავიფიქრე: ნეტა მომერგებოდეს-მეთქი.

— აბა, ნახე, მიიზომე! — მითხრა ცუცამ, თითქოს ჩემს გულში იჭდა.

მოულოდნელად მატარებელი გაჩერდა, დრო ვიხელთე, წამოვდექი და თავი ფანჯარაში გავყავი. გარეთ სასიამოვნოდ გრილოდა. ხმადაბალი სტვენა შემომესმა. იქით გავიხედე: საბარგო შენობას დუხუნა და წყნაპა ამოფარებოდნენ და ხელს მიქნევდნენ, ჩქარა, ჩქარაო.

ნეტა რა მოხდა? — გავიფიქრე და ის იყო, ჩასვლას ვაპირებდი, ვაგონში მილიციის ლეიტენანტი და ის გამხდარი ქალი შემოვიდნენ. შემოფოტებულმა გაქცევა დავაპირე, მეორე კარისაკენ გავიხედე. იქიდან მილიციელი მოდიოდა, ხაფანგში ვიყავი მოქცეული. ფანჯარას ვეცი, დუხუნა და წყნაპა აღარ ჩანდნენ. რა ჩემი ბრალია, მე ხომ არ მომპარავს: გავიმავრე აცახცახებული გული, მერხზე დავვექი და ჩემი საქციელით გაოცებულ ცუცას მივაპყარი თვალი.

მოგვიახლოვდნენ, ქალი შეჩერდა და დამაკვირდა, მერე თითი მომაშვირა:

— ერთი ეს ბიჭი იყო! რიგითი მილიციელი ქორივით და-

მაცხრა, ფეხზე წამომავდო, ხელები მომიგრინა და გამძაგრა. თვალებიდან ცრემლები გადმომცვივდა, ბეჭები ამეწვა და სახსრებმა ტკაცატკუცი გაიდეს. ლამის იყო არ ავღრიალდი.

ცუცა, ჯერ დაიბნა, მერე კი ფეხზე წამოხტა და მილიციელს ეცა:

— რა გინდა ამ ბავშვთან, რა დავიშავა?!

მგზავრები დაფრთხნენ, მიმოფანტნენ და გაოცებულები შორიდან იყურებოდნენ. კაცი, ჩვენს პირდაპირ რომ იჭდა, ცუცას ამოუღვა გვერდით:

— მართლაც, რას ერჩით ამ პატარა ბიჭს?

— თქვენ არავინ გეკითხებათ, ესენი არიან სწორედ ქვეყნის დამქცევები! — შესძახა ლეიტენანტმა, მერე მე მომიბრუნდა, — სად არის კინოაპარატი?

პირი კი მაგრად მოგკემე, მაგრამ თვალები თაროსაკენ გამექცნენ.

— იქ ხომ?! — გაიშვირა ხელი ლეიტენანტმა, მერე მერხზე შეხტა, კინოაპარატი ჩამოიღო, კმაყოფილმა გაიღიმა და ცუცას და მგზავრებს გამარჯვებულმა აჩვენა, აი, რა მოიპარა ამ პატარა ბიჭმაო.

გახარებულმა ქალმა სწრაფად ჩამოართვა კინოაპარატი, გულდასმით შეათვალიერა და მხარზე გადაიკიდა, მერე მე შემავლო თვალი, იღიმებოდა — ქანჭურთვით დამკვანარ სახეს გარდივარდმო აჩნდა პომადით მოთხუნული, გამოწურული ტუჩები.

სახტად დარჩენილი ცუცა, ხან მე მომიჩერებოდა, ხან ქალსა და ხანაც კინოაპარატს.

— წამოიყვანეთ! — ბრძანა ლეიტენანტმა.

მილიციელმა, თითქოს ამას ელოდა, კინწისკვრით გამივლო წინ. ისევ ამეწვა ბეჭები და ამევსო ცრემლით თვალები. მგზავრები აჩოჩქოდნენ და ახმაურდნენ. მე კი არაფერი მესმოდა, თვალწინ მამაჩემი მედგა...

პარლმ ტაბატაძე
ბასმირნაზა ჯღავაძე

— რა გინდათ ამ ბავშვთან, — ყვიროდა ცუცა, — ჩვენ რას გვერჩით, ისინი დაიჭირეთ! ისინი, ვინც დასაჭერები არიან! მეც დამლუბეს, ეს ბავშვიც აიყოლიეს!

ამასობაში ტამბურში გამოვედით. რიგითმა ხელი გამოიშვა და კიბეზე ჩახტა, ახლა გვერდით ლეიტენანტი ამომიღვა. კიბეზე ჩავდგი ფეხი და თვალი საღვთისაყენ გავაპარე: ნეტა სად არიან ღუხუნა და წკნაპა?

— გაქცევის ხომ არ აპირებ, შე ლაწირაყო! — ჩამავლო მკლავში ხელი ლეიტენანტმა.

გაქცევას, ნეტა სად უნდა გავიქცე, ვის უნდა გავიქცე...

— ჩამოდი ჩქარა! — დამიყვირა რიგითმა, — თვალებს ნუ აცეცებ აქეთ-იქით!

კიბეზე ჩავედი. რიგითმა, ისევ მომიგრჩხა ხელები, გამძაგრა და მილიციის მანქანისაკენ წამიყვანა.

●
ასე დამთავრდა ჩემი გასეირნება ზღვაზე. შეიძლება აქ წერტილიც დამესვა. მაგრამ მერე რაც მოხდა, იმან სულ სხვა თვლით შემახედა ცხოვრებას. ახლა ნაღდად მაქვს გადაწყვეტილი პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში ვისწავლო, ღურგლობას დავეუფლო და მამას მხარში ამოვუდგე, ვაშენო და ვაშენო სახლები. საშენებელი კი იტოცხლეთ ბევრია, მარტო ჩემს სოფელში მეყოფა საქმე: კლუბი ასაშენებელია, ფერმა გადასატანი. ახლა სოფლებებისას აღარ იკითხავთ? ყველას უნდა ახალი სახლი წამოკვიმოს, პოდა, დავდგები მეც და ვაშენებ...

იმ დასაქცევ დამეს კი ერთი წუთითაც არ მომიხუტავს თვალი, ვიჯექი მილიციის განყოფილებაში და ათას სისულელეზე ვფიქრობდი: ხან ციხე მედგა თვალწინ, ხან კოლონა. ერთი პირობა ისიც ვიფიქრე, კედელს მივართყავ თავს და ის იქნება-მეთქი. დილით, ახალი მორიგე მოვიდა. ზედ მეტყობოდა ალბათ რა დამნაშავეც ვიყავი და

მამაშვილურად დამიწყო. გამოკითხვა, რატომ დაგიჭირეს, რა შეგემთხვაო. კრიჭაშვიტური კანტიკუნტად ვბასუხობდი. ათი საათი იქნებოდა ტელეფონმა რომ დარეკა, მორიგე ყურმილს დასწვდა. დიდხანს უსმენდა და „ღიახ უფროსოო“ იძახოდა. საუბარს რომ მორჩა, მე მომიბრუნდა და რაღაც საზეიმო განწყობილებით გამომიცხადა:

— შენ თურმე დამნაშავე არ ყოფილხარ, წადი, თავისუფალი ხარ!

გაოცებულმა პირი დავაღე, ასე ადვილად თუ გამომიშვებდნენ, არ მეგონა.

— წადი, მოუსვი! — გამიმეორა მორიგემ.

ვარეთ გავგნებული გამოვედი: ნუთუ ღუხუნა და წკნაპა დაიჭირეს? ვაითუ მე დამაბრალონ, შენ გავგვიო. მოშორებით შავ „ვოლგას“ მოვკარი თვალი. ფანჯრიდან ღუხუნა მიქნევდა ხელს. რატომღაც შევკრთი, გული ისე ამიფორთხილდა, კინაღამ არ ამომეარდა. ღუხუნას ვილაღ გოგო უჯდა გვერდით, ჯერ ცუცა მეგონა, რომ მივეუახლოვდი, მხოლოდ მაშინ ვიცანი, მარინა იყო, ლეილას და ელდანაკრავით შევჩერდი, ნუთუ ამანაც ვაიგო ჩემი ამბავი.

— როგორა ხარ? — მკითხა ღუხუნამ, როგორც კი შურიკას გვერდით დავექეი და მხარზე ხელი დამარტყა.

უკან შევტრიალდი და შევცინე, თან მარინას შევაველე თვალი. ღუხუნა თვალბომბუტული შემომძკეროდა. ნეტა წკნაპა სად არის? გამიელვა ანაზღად.

— გეგონა მივატოვე განსაცდელში, — გადაწვა საგარძელზე ღუხუნა, — ამ დილით ძლივს დაუქავშირდა მამა მილიციის უფროსს.

გაოცებულმა მივაპყარი თვალი, გერონტი ბიძიას ყურამდევ მისულა ეს ამბავი!

— გუშინ მამაშენმა დარეკა, — განაკრძო დინჯად ღუხუნამ, — ღედაჩემმა უთხრა, — ნუ დარდობ, ბათუმში არიანო.

მაჩვენებდა ხსენებაზე დარდი ისევ შემომავწვა გულზე.

დუხუნას კი პირი არ გაუჩერებია, ათას რაღაცას ყვებოდა, ხშირად მარინას ხელს მოხვევდა და მკერდზე მიიკრავდა ხოლმე. მარინა ძალიან მომეწონა, ისეთი ნაზი და სათნო სახე ჰქონდა, როგორც ჩვენი სოფლის ეკლესიაში დახატულ ფრესკას. ცოტა ვავერთე; გზის ორივე მხარეს, ხან ჩაის პლანტაციები და ხანაც მანდარინის ლამაზად აქოჩრილი ბაღები მოჩანდა, სადღაც, გულის სიღრმეში გეგმებდაც კი ვაწყობდი, სოფელში, ბიჭებთან რომ დამეტრახახა...

მოულოდნელად მანქანამ დაამუხრუჭა. სარკელიდან გავიხედე: სვეტებიანი შენობის წინ, კიბის საფეხურებზე ვიღაც კაცები იდგნენ, გერონტი ბიძიას შემოხვეოლნენ და საუბრობდნენ.

დუხუნამ, ფეხით გავისიერნოთო და, მანქანიდან გადმოვედი, მამასთან მისვლას არც აპირებდა, მაგრამ გერონტი ბიძიამ დავეინახა და ხელი დაგვიქნია. დუხუნას შევატყვე არ ესიამოვნა. მივუახლოვდი.

— აი, ეს არის გუშინდელი დღის გმირი! — მომაშვირა ხელი გერონტი ბიძიამ და გვერდით მდგარ მილიციის მაიორს შეხედა.

მილიციის მაიორმა გაიცინა, გაიცინეს დანარჩენებმაც.

— მთელი ღამე დაზაფრული ვიყავი; — განაგრძობდა გერონტი ბიძია, — რა იყო ნეტა ასეთი ის კინოაპარატი?!

— რას იზამ, ბავშვია! — თქვა მალაშამ — კაცმა სიცილით, — ამასწინათ მალაზის ვიტრინა ჩაუქმსხერვევით, შო-

კოლადების მოპარვა დომეა რამ ბუტაფორა შერჩათ ხელს...

ყველამ გაიცინა. სიხიბებდნენ ერთმანეთს უყურებდნენ, ზედ ეტყობოდათ, ძალად რომ იცინოდნენ — უფროსის საამებლად. ილიმებოდნენ დუხუნა და მარინაც.

— ბიძია, — მომიბრუნდა ისევ მე გერონტი ბიძია, — რა ჯანდაბად გინდოდა ის კინოაპარატი?

— მე?! — შევძახე გოცებულმა და პირი დავადე. მივხვდი რაშიც იყო საქმე, ბოლმა ყელში მომავწვა, მეტის თქმა ვეღარ მოვახერხე. ერთხანს გერონტი ბიძიას შევეყურებდი გამოლოცნილებული, მერე დუხუნას და მარინას შევაველე თვალი.

კაცებმა სიცილი შეწყვიტეს და გაკვირვებულები მომჩერებოდნენ. დუხუნას ფერი დაეკარგა. გერონტი ბიძიას შეშუპებული თვალები ბრიყვულად მოეპყრო.

თვალზე ცრემლი მომადგა, ნუთუ ყველაფერი მე დამაბრალეს, მე! მალე-მალე უნდა გადავიხადო, რომ დამეხმარნენ, ციხიდან გამომიყვანეს! მარინას შევხედე, ის გახევებული იდგა და ვიგრძენი, ჯერ კიდევ არაფერი არ იცოდა.

— შენ რაღა გინდა ამათთან! — შევეღრიალე გაბოროტებულმა, — რა?! — ესლა მოვახერხე, მერე ყველას სათითაოდ ვკიდე თვალი, შევეტრიალდი და შინისაკენ მოვუსვი.

სიბრაზისაგან ყელში რაღაც მანქანა ბოდა და მასჩობდა, თვალებიდან კი ცრემლი დაპალუპით მცვივოდა. აქოშინებული შევეარდი ოთახში, ლოგინზე პირდაღმა დავეწხეე და ავქვი-თინდი.



ე ლ ე გ ი ა

იმ ყრმას ვფიცავარ, სულში რომ მიზის,
ბაგეზე მომდგარ სანუკვარ სიტყვას,
მე სადიდებლად მშობლიურ მიწის,
მუდამ გულწრფელი სიმღერა მითქვამს.

მზე იყო ჩემი ლოცვის სათავე,
მზე — მესვეური ვრცელ სამყაროთა.
სულ მიშვებული მქონდა სადავე
და რაშაც მზისკენ მიუხაროდა..

ო, დღეს კი ვნატრობ ჭაბუკურ სიცილს,
ჟამმა მწუხრის ხმით ზარი დარეკა,
ლექსში ბინდნარეგ სიმღერად ისმის
განცდილი ცრემლი და მწუხარება.

წუთისოფლის ქარს რომ გავატანე,
რა იყო? — ლაღი ფიქრი — ოცნება,
და ვით ძვირფასი რაღაც მადანი
შემომრჩა ლექსის პატიოსნება.

იმ ყრმას ვფიცავარ, სულში რომ მიზის,
მზე იყო ჩემი ლოცვის სათავე,
ო, ახლა ვნატრობ ჭაბუკურ სიცილს,
წუთისოფლის ქარს რომ გავატანე.

სახლ-მუზეუმი

მელანდებიან ახლაც ისევე
ჩვენი სულმნათი მამა-პაპანი,
ღვაწლმოსილი და დარბაისელი
აქა ბრძანდება ერთი მათგანი.

ბუხარი სულაც აღარ ვიზგიუებს,
არ ისმის შაირ-ზღაპრები, ანდა
შვილიშვილების სიცილ-კისკისი,
საგანთიადო ზეიმს რომ ჰგაედა.

აგერ მწკრივია სამფეხა სკამთა,
ესეც სავარძელ-საკარცულები,
გუშინ ყველას რომ ხატივით სწამდა,
დღეს კი არავის უნდა სრულუბით.

ახლა აქ სუფევს დუმილი მკაცრი,
სდუმს ყველაფერი: ბუხარიც, ჭერიც
და ეს დუმილი ერთი მზეკაცის
უკვდავებას და დიდებას მღერის.



უძიარავი ნაჩუქარი ნივნების წარწერებითან

გადამიხადეს პირწმინდად ვალი,
 მორჩა,
 დასრულდა ჩემი ობლობა.
 ყველას ვუყვარვარ,
 დაგიდგეთ თვალი:
 მჭვო,
 ყოყმანო და უნდობლობავ.
 შეხეთ წარწერებს:
 (გაგისკდეთ გული,
 ვის სჯერა თქვენი, რომ იფიცებით...)
 „მეგობარ პოეტს ალალი, ძმური
 სიყვარულით და პატივისცემით“.
 შეხეთ ნაჩუქარ წიგნთა იმ წყებას,
 ამდენი წიგნი მიდგას თავდებად...
 ყველა წარწერა ასე იწყება,

ყველა წარწერა ასე თავდება.
 მე ვიცი, რატომ უფოთავთ და ღელავთ,
 რწმენას და იმედს რად თვლით ზღაპრებად,
 ყველას ვუყვარვარ
 გეტირათ დედა
 მტრობავ,
 ლალატო
 და ჩასაფრება!
 ყველას ვუყვარვარ:
 იხარე ჭერო!
 მათ სიყვარულში უნდა შევება
 და გავეჯიბრო,
 ვაი, შენ ჩემო
 უმტერო თავო,
 რა გეშველება!..

ჭ ყ ვ ი უ ი

ლომის თათები —
 მთავარი გზის გასახვევები...
 აქ, ქოხის ჩრდილში,
 ქვითინებენ სასახლეები.
 აქ ამობრწყინდა...
 აქ ღელავდა,
 აქ ბუბუნებდა.
 არც ნებივრობა,
 არც განცხრომა,
 არც ფუფუნება.
 სიცილ-ტირილით

დარწყულება და დაპურება...
 უდაბურება,
 მეფის ჭალის უდაბურება.
 მარადიული ფიქრის ცვეხლი
 აქ ბრიალებდა,
 ფასკუნჯის ფრთებით
 ლეგენდები აქ ფრთხილებდა.
 ლომის თათები —
 მთავარი გზის გასახვევები...
 აქ, ქოხის ჩრდილში
 ქვითინებენ სასახლეები.

შოთა ნიშნინაიძეს

მიდის ხანი —
 ჯიქი შეუბრალები,
 მოხატული დღის და
 ღამის ხალგობით.
 მიდის,
 მიაქვს
 ბევრჯერ დანატირები,

სიჭაბუკე,
 როგორც ნანადირევი.
 მიდის მშვიდად
 დიდებული ნადავლით,
 შენთა ლექსთა
 ლერწმოვანზე გადავლით.
 მგოსნის სული

გაიტვინა,
გარინდდა,
წვეთავს სიტყვა
ჯიქის ნაჭანგარიდან.
წვეთავს ნატვრა
დღეისის და ხვალისის,
რწმენა,
მჭეფ,
ვარამი და ხალისი.
წვეთავს ომის
გრიალი და ქუსილი

და სიბრაზე
გაფოფრილი კრუხივით.
წვეთავს ცრემლი
ობლების და ქვრივების,
ამ მიწა-წყლის
სიყვარულით ვირევით.
მიდის ხანი —
ჯიქი შეუბრალები,
მოსატული
დღის და ღამის ხალებით.

ს უ რ ა თ ი


ჩრდილში ჭილობი გაიფინა
და ზედ წამოწვა
და კოინდარში მოთამაშე
შვილიშვილს უხმო.
გადაიგორა ბიჭი მკერდზე
და ჩვილ ლოყაზე
ჭორბოსანივით ხელისგული მოუთათუნა.

მერე გაუშვა.
მუთაქაზე ჭალარა თავი
დადო თუ არა,
ჩაეძინა.
ალერსით მორწყულ
გულმკერდს მშვიდი და
თანაბარი სუნთქვა ურხევდა.

სიკვდილ-სისოხსელ

მხოლოდ ის ხდება
რაიც მომხდარა...
გინდ დამიკარ და
გინდ არა — კვერი.
ერთჯერ სიკვდილით ცოტა მომკვდარა,
ორჯერ და სამჯერ სიკვდილით — ბევრი.
ომში მიმავალ ვაჟებს იმ დილით
ასე მიმართა მოხუცმა ერთმა:
„ერთხელ გაჩენილთ —
ერთხელ სიკვდილი!
ერთხელ სიკვდილი გაკმართო ღმერთმა“.
ვინც მოძმეს უმტრო,
მამული გასცა —
რისხავს მშობელი მიწაც და ცაცა.
ვინც მოძმეს უმტრო,
მამული გასცა —
დედას ცოცხალზეც ჩაეცვას ძაძა!
არარაობა,
ნაცარი,

ფერფლი,
საკუთარ რწმენის ჩრდილი და ლანდი,
სულმოკლეობის,
ცთუნების მსხვერპლი,
ცოცხალი მკვდარი რამდენი დადის.
რამდენი დადის ჯავრით თვალსეული, —
საკუთარ თავის ციციკნა ნამტვრევი...
ერთხელ სიკვდილი რაა ასეთი,
ერთხელ სიკვდილიც აქვთ სანატრელი.
სიცოცხლის ზარის ნაუ-ნაუში
ვერ დაიოკა ბევრმა წადილი...
ოსრავს და კენესის სინდის-ნამუსის
ბეწვის ხიდიდან გადავარდნილი.
სხვა არაფერი,
რაიც მომხდარა,
მხოლოდ ის ხდება,
დამიკარ კვერი.
ერთჯერ სიკვდილით ცოტა მომკვდარა,
ორჯერ და სამჯერ სიკვდილით — ბევრი



ახალი თაგბჯნაი

გიორგი გუბია

ბრძენი მოკვდება ოდეს, — აზრი დარჩება ბრძნული,
აზრი, რომლითაც იხარებს შთამომავლობის გული.
ავსული მიიცვლება და — ავი ქარებიც ქრიან,
და მერე რჩება ჭრილობა — სამარადისოდ ღია.

სახელი მოლატისა წყველ იქნება მარად, —
ერთი ბოროტი საქმე ათასწლეულებს კმარა.
თუ გმირს ეწია ჟამი მარადიული ძილის, —
ნამდვილი უკვდავებაა გარდაცვალება გმირის.

ყ ა გ ა რ დ ო

დღეს სტუმარი ვარ შენი, ყაბარდოვ,
მე მოველ — ფიქრი ჩემი გაგანდო,
შავი ზღვის სუნთქვა გამომყოლია,
გუშინ ჩემს თავზე ფრენდა თოლია,
დღეს შევარდნები ჰკრავენ კამარას.

საერთო გვექონდა ჭირიც და ლხენაც.
აბლაც ჭიხვინებს ეზოში ცხენი,
შენ რომ მაჩუქე უწინ, ყაბარდოვ!

მისმობდა შენი გულის ხმაური,
სისხლი და ენა — ნათესაური.
აქ მიყრდნობიან ერთმანეთს მხრებით
აფხაზეთის და ჩაგემის მთები —
ამაღლებულნი ერთურთზე ფიქრით.

დრო გადის... შენ კი უფრო მშვენიდები,
უფრო და უფრო შორს იხედები;
შენა ხარ მხარე გმირი ნართების —
უბერბული და შუქნათელი.

ჩვენ ხომ მარადის ვიყავით ერთად,
მომშესთან — მოძმე და მტერი — მტერთან,

ერთად მივიდევართ მსრებგაშლილები,
ტკბილად მსვდებიან შენი შვილები.
ალიმ, ყაისინ! — სალამი ძმური,
მოვედი, თქვენთან გავტეხო პური!

მეგობრის სლოვანს

დაცარიელდა ოთახი უცებ,
შეკრთნენ, დადუმდნენ უცებ კედლები.
და მაგიდაზე გაფანტულ ფურცლებს
ჩაესმით მგოსნის ჩუმი ვედრება.

დადუმებული კალამიც იქვე
დღეს — მოწყენილი და უნიათო;
საით გაფრინდა პოეტის ფიქრი,
ანდა სიმღერა საგანთიადო?!

ობლად დაკიდულ ცარიელ პალატოს
არ დაშვენდება მისი ბეჭები,
სანაპიროზე გავივლი მარტო,
მის დაძახილზე არ შეეჩერდები,

ზღვას არ შეჰყივლებს ღამენათევი,
არ გვეყოლება სუფრის თამადად;
ჩემს გულში დარჩა მისი ნათელი,
მისი აზრი და სიტყვა თამამი.

ის ჩემთვის მარად დარჩა ცოცხალი,
მისეულ სითბოს ვარ შეჩვეული,
მისი სიმღერა — წყარო ცინცხალი —
ათას ხმაში მაქვს გამორჩეული.

როდესაც მიჭირს, ვსაუბრობ მასთან,
თითქოს სინათლე შემოდის სულში.
ის მხედება ყველგან: ყანაში, ზღვაზე
და მხარში მიდგას ისე, ვით გუშინ.

აფხაზურიდან თარგმნა მურმან ხარცილავამ.

ბოჩის ბურბულია

ღამაზ მიწაზე, მდიდარ მიწაზე,
უფრო ძნელია, ძმაო, ცხოვრება!..
მაგრამ, მერწმუნე, უფრორე გავძლებთ,
თუ წინაპრები გვემახსოვრება! —

გვემახსოვრება მამა-პაპანი, —
თავდადებულთა დიდი კრებული!..
სამშობლო — მათი სისხლით ნაბანი
და მათი ძვლებით გამავრებული!

მათ დაგვიტოვეს ზღაპრული მხარე,
იქცნენ მამულის უკვდავ ფესვებად!..
ჩვენც გამოვიხშოთ და მოვიხმართო
მათი ძალა და მათი შეძლება!

გმირთა თვალებით გადანათოვარ
ამ ცის და მიწის ვჭედოთ დიდება!
თუ ვერ მოვუვლით მათ დანატოვარს,
ჩვენს შვილებს, ძმებო, გაუჭირდება!

დღეს არა ვარ, აფხაზეთო, შენთან!..

დღეს არა ვარ, აფხაზეთო, შენთან,
არ მაღვიძებს შფოთვა შენთა ჩქერთა,
ველარა ვსვამ შენს ანკარა წყაროს,
შენი ზღვით და ზეცით ველარ ვხარობ!

ველარ ვიპყრობ შენს მწვერვალებს, ზვიადს,
მონადირეც უკვე აღარ მქვია.
შენს ჩიტუნებს ველარ ვუკვებ მახეს,
ველარ ვფარავ სევდასა და ნალველს!

დღეს გაფრენილ ბავშვობაზე ვფიქრობ
და ეს ფიქრი მოგონებებს მითბობს...

აღარ ვდგავარ ვაჟკაცების გვერდით, —
რომ გაბურღეს შენი მთების მკერდი, —

შავი ოქრო რომ ამოაქვთ უხვად
და გმირობით საქვეყნოდ რომ ჰქუხან!

ველარა ვერეფ ჩაის მწვანე ფოთოლს —
ცინსამიანს, ხასხასას და ლორთქოს.

მოსკოვში ვარ, შევეყვარდი მოსკოვს —
მეგობრობის სიმფონიას რომ ქსოვს!
რუს ძმებთან ვარ, მათთან ვცხოვრობ, ვსწავლობ,
აფხაზეთო — ჩემო ნატვრისთვალო!

ჩემი სულთქმა, ჩემი გულისფეთქვა
იყო, არის და იქნება შენთან!
ჩამოვალ და შენ მოგახმარ ცოდნას, —
იმაზე მეტს, — რაც წასვლამდე მქონდა!

მე და დედაჩემი

ჩემი მოხუცი დედის
სახეს ცრემლები ჰბანს: —
„სულ შეგითხელდა თმები,
ჭაღარაედები, ნან!“

ნერვიულობ და შფოთავ,
და გაუხეშდი თან!
ვიცი, სადარდო რომ გაქვს,
მაინც ნუ დარდობ, ნან!

ხან ვიღაც უცნობს ამართლებ,
ნაცნობს ამტყუნებ — ხან!

მე ხანთელივით დამადნე,
სხვებსაც არ ინდობ, ნან!

სადაც ვარდია, იცოდე,
იქვე ეკალიც ჩანს!..
ნუ გამიმწარებ სიცოცხლეს,
თავს გაუფრთხილდი, ნან!“

გმადლობ, ჭკუას რომ მარიგებ!
ცამდე მართალი ხარ!
მაგრამ, დედიკო, გამიგე,
მეც ხომ მშობელი ვარ?!

* ნან — აფხაზურად: შვილი!

პირქენი ქალი

ჩვენს წყნარ ეზოში ცხოვრობდა დიდხანს
ერთი ღარიბი ბერძენი ქალი...
ვერც კი ვამჩნევდი, მართალი გითხრათ,
იშვიათად თუ მომიკრავს თვალი.

ბავშვს რომ აცმევდა, ერთხელ ტანსაცმელს
და შეჰხაროდა ყმაწვილის ტიტინს, —
უცხო მშვენებით, — ჩემს წინ, აღსავეს, —
დადგა ქალღმერთი ბერძნული მითის.

აფხაზურიდან თარგმნა ზაშრ ბოლქვაძემ.

ბაქარჯვების 30 წელი

ლილია კოლოჯილი

„აჰაგა“ და მარუხ-ბაში

ვუძღვნი კავკასიონის დაცვის
ოცდაათი წლისთავს.

ახეის ნაპირზე წიფლისა და სოკის ტყეში ბილიკი მალა მიემართება. ცხენები აღმართში სულმოუთქმელად აივლიან და მოსახვევში ნაბიჯს ანელევენ, მძიმედ სუნთქავენ და ძალას იკრებენ.

წინ მიმავალი მწყემსი მგზავრულს წამოიწყებს „დელი დელა, დელი დელა“. ჩემი თანამგზავრები ერთნაირ იტაცებენ სიმღერას... უცებ ისე ნათლად წარმოვიდგინე, როგორ მიიწვიებდნენ უღელტეხილზე 1942-ში სოხუმის ფეხოსანთა სასწავლებლის კურსდამთავრებულები, რომ სუნთქვა შეეცრა. ისინიც ამ გზას მიჰყვებოდნენ და ამ სიმღერას მღეროდნენ.

ათასობით ახალგაზრდა მსროლელი ავიდა ზეით. მათგან ბევრი აღარ დაბრუნებულა, უმრავლესობამ სამუდამოდ დაიდო ბინა ქედზე და თეთრი ძელებით შეადულა ძველი გრანიტის ბზარები...

რაც უფრო ზემოთ ავყავართ ცხენებს იელის ხშირ ბუჩქნარებში, მით უფრო გიზგიზებს ფერები და ლამაზია სამყარო...

ჩემი ცხენი „წყალიკრფიას“ იასამნისფერ ყვავილებს თელავს. მათ შორის ედელვაისის იშვიათი ვარსკვლავები შევნიშნე. აი ის, ჰიტლერული არმიის რჩეული ალბიური პოლკების ემბლემა! მაგრამ ეს რაღა? ედელვაისის თანაგვარსკვლავედებით მოჭედოლ ხშირ ბალახში უცნაური თეთრი ბურთი შევნიშნე. დაეიხარე და ხელში ავიღე... თავის ქალა. 30 წლის მანძილზე ფერუცვლელ, მჭირდელ ჩამწკრივებულ, ახალგაზრდულად მოვლევარე კბილებს საზარელი სიცილი შეჰყინებია... „მტერი ხარ თუ მოყვარე?“ — ვკითხულობ შეძარწუნებულ. შორიხლო კიდევ თავის ქალა გდია, ირგვლივ თეთრი ძელები, მასრები, ყუმბარის ნამსხვრევები და ქუთრის დაქანგული ფრთე-

ბი მიმოვანტულა. „მტერია თუ მოყვარე?“ უცებ, პირდაღებულ ფეხსაცმელზე წავიფორხილე. სარჩულზე ნახევრად წაშლილი გერმანული სიტყვა გაჟარჩიე.

აი, როგორია ქვეყანა, რომელსაც ბეშთიდან დაჰყურებდნენ იმ დღეებში კავკასიონის დამცველები! თავბრუდამხვევი სიმალიდან ძირს დაშვებული ფერდობები, რომ იქ ზღვის ფერხთით განერთხონ... ზღვაც იქ არის, ჰორიზონტზე, სადაც ფირუზი და თეთრი ოპალი ბზინავს.

გზას სანჩარის უღელტეხილის მძათა სასაფლაოს ობელისკამდე მივყავართ; ქვაზე სამახსოვრო სიტყვები ამოუკვეთავთ. მათ შორის უკვდავებასაც ასხენებენ.

შეეცქირა ობელისკს და ვფიქრობ იმაზე, ვინც ეს ფერები გადავიჩინა, ბრძოლებით შეუშფოთებელ მთის მშენებაზე, ძალადობისგან დაცულ სულისა და თვალის ამ სიამეზე.

და მე ჩაბუწვი სიტყვა „უკვდავების“ კემ-მარიტ აზრს. იგი არის ამაღლებული ადამიანის სულის სწრაფვა, დროის წარმავლობა მას ვერ ერევა. სუნთქვაშეწყვეტილი გულებიდან ის იმ გულს გადაეცემა, ახლა გამალებით რომ ფეთქავენ. ამის გამოა, რომ თანამედროვენი ყოველდღე უხდიდნენ ხარკს მათ სიყვარულს, ვინც სამშობლოსათვის იბრძოდა.

ეს აღმოსავლეთ კიდურზე კლდოვანი გვირგვინის ბზინჯაოს კბილები აღმართულა, მათში ყარა-ჯის მწვერვალი შევიცანი...

ამაფშიდან მოქნილი, ფრთხილი ნაბიჯი მიიწევს ჩვენსკენ ჯმუხა კაცი. ერთი შეხედვით ორმოცდაათ. წლამდე იქნება. ისეთ უჩვეულო ფართო მხარ-ბეჭი აქვს, მაინცდამაინც მაღალი არ გვეგონებათ. კარგად გამოყ-

ვეთილ, ლამაზ სხეს ჰალარა წვერი უმწვე-
ნებს. თავლისფერი თვალები მშვიდად და ღმობი-
ბიერად იტყვირებიან დიდ, ღრმად დანაოქე-
ბულ, ბრძნულ შუბლის ქვეშ. თითქოს ჩვეუ-
ლებრივი გარეგნობა აქვს, მაგრამ რაღაც და-
ვიწყებით იპყრობს უცხო თვალის ყურადღებას.
„ისმაილს ვაუმარჯოს!“ — „სალამო მშვი-
დობისა, ავაზას!“ — მხიარულად მიესალმნენ
ჩემი მეგობრები ქართულ, აფხაზურ და რუ-
სულ ენებზე.

„ვეთილ გზასა და გამარჯვებას ვისურვებთ! —
მიუთუ მან, — ფარა და ჯოგი როგორ გვაცეთ?“

— ყველაფერი კარგად არის, ავაზას! — ჯო-
გიც არას უჩივის. ისეა გათქვირებული, რო-
გორც ის ყაზარდოული ცხვარი, რომელზედაც
ასე კარგად ნადირობდი ოდესღაც ქედს გადა-
ღებია! — თვალგებს ემსახურად ჰუტუტავს წინ მი-
მავალი მწყემსი.

— ო, შე ჩხუბისთვო! — იცინის შეცბუ-
ნებული ისმაილი, — ძველს თუ გაიხსენებ,
იყო რა მოგელის?! — და სანამ ყმაწვილი ხმას
ამოიღებდა, ისმაილი მისი ცხენის წინა ფეხებს
სწვდა... ზურგზე მძიმე ნაყეცხად აფშალა პე-
რანგი და მყერდი საბერველს დემსგავსა. ირ-
ველიე აღტაცებული შეძახილები და ტაშის
ცემა ვაისჭა. ისმაილი ცხენი და მხედარი ზე-
ვიდ ასწია. იდგა და ზღაპრული ამირანიეით
იღიმებოდა... შეეცქეროდით და თვალს არ ეუ-
ყერებდით, თვალს ვერ ვაშორებდით ამ
მკლავ-კისერს. ხანდაზმულობაშიც კი ეცხე-
ლოვან გასაოცარ ძალას რომ აეცხო.

„როგორ, ისმაილს არ იცნობ?! — უყვირო
ჩემს მეგობრებს? — ავაზას!“ ეძახიან ხედავ,
რა ღონე აქვს! — ავაზას ღონე! ავაზასავით
ხედავს ბნელში, მართალს გუებნებით. ჩვენი
ქარის გამყოლი იყო ოქში. თავი ისახელა. ჯი-
ლდოდ აეტომავტი აჩუქეს!“

● მას შემდეგ არაფერად შეგხვედრივარ ადი-
ლულ ვოლიათს ბზიფის ხეობასა *და ავტორი-
ბსტში, უღელტეხილზეც, უსწორი სახელი რომ
ქვია — „ძაღლის კვალი ხავსურაზე“ — ალამ-
ტრახუ..

ყოველი ჩემი ცდა, დამეტყუებინა ისმაილი-
სათვის ორიოდ სიტყვა ლაშქრობასა და მის
გმირობაზე მთაში, იმით მთავრდებოდა, რომ
თანამებრობათა ვაეკაცობაზე მიაპობდა.

დამტრეული რუსული ყეობდა, ხმოვნებს
აღღერებდა. მისი მტრეველება მკაფიო, დალა-
გებულ და ამავე დროს პოეტურიც იყო. ჩვე-
ულებრივ, მშვიდად ყვებოდა ხოლმე, მაგრამ
როცა ფრონტულ თანამებრობათა გმირობაზე
მოგვეყვებოდა, თავლისფერი თვალგები უფა-
რითოდებოდა, უმუქდებოდა და ნაპერწყლემს
აფრქვევდა...

ისმაილმა თავის თავზე არაფერი მომიბორო-
ბა. ისმაილზე სხვები მიაპობდნენ. კავკასიონზე

მოგზაურობისას, მის მხილველთა მოგონებები,
ადილელის საბრძოლო ეპოპეა და ხალხში გა-
დასული ეპიზოდები არაერთხელ გვსმენია. ხა-
ლხის ცხოველი წარმოდგენა რეალობას აყო-
ბდა, სინამდვილე ფანტაზიას ერწყმოდა.

ამ ნარეკვეში მისი ცხოვრების სურათი აღ-
ვადგინე. და ქალაღზე ის გადავიტანე, რაც
მთიელთაგან მოვისმინე.

„ის-მა-ი-ი-ი-ი-ი, ო, ის-მა-ი-ი-ი-ი! ნეტა სად
დაიკარგა ეს ყაჩაღანა, ხომ არაფერი შეემთხ-
ვა?“

მოხუც ასლანს მზე ხელის გულით მოეჩ-
რდილა და იმწორეულ ბილიკს ვაწყურებდა,
ძლივს რომ მოჩანდა. ბილიკზე რომ ვერაიენ
დაინახა, აკსატუს დაბლობისკენ დავშვა შე-
წუხებული. მოხუცმა ჯერ კიდევ შუადღისას
გაგზავნა შვილიშვილი მეზობელ მწყემსებთან,
გასახებული მარლის დასაბრუნებლად. აი,
უკვე საღამოდებდა, ბიჭუნა კი არა და არ
ჩანს. თმეცა ბიჭს არავითარი საფრთხე არ
ეცოდა, მოხუცი მაინც ვერ ისვენებდა. ზეთი
წლის წინ ბორბოტმა ძალად მიიბრა — უკანასკ-
ნელი, უსაყვარლესი შვილი წაართვა; მას შე-
მდეგ მისი ერთადერთი იმედი და ნუგეში შვი-
ლიშვილი იყო. ისმაილის დედა ქმრის ჯაგრმა
გადაიყოლა და ბიჭი ობლად დარჩა, ბაზუა
ზრდიდა. წლის უმეტესს დროს კავკასიონის
საძირებზე ატარებდნენ.

ბინდებოდა. აღუღებელი ასლანი ბილიკს
მიჰყვებოდა, ჩქარობდა, ძალაგამოცლილი მუ-
ხლები ძლივსა ემორჩილებოდნენ... უცებ,
გზაზე მომავალი, ძალზედ უცნაური რამ მოე-
ჩვენა. ვაგონებელი მოხუცი ადგილზე გაქვავ-
და; ვაგონება მალე შიშმა შესცვალა: ვიღაცა
თითქოს ადამიანს მოათრევდა. ისმაილს ხომ
არა? მოხუცს შეაქრეოლა, ძალა წაერთვა, ჩა-
ცუტდა და სახეზე ხელები აიფარა. თავი რომ
ასწია, კიდევ უფრო საოცარი რამ იხილა: თი-
ტქოს ცაზე გამოიკედებულ უზარმაზარი ჯი-
ვი ტაბრით მოიჩქეროდა გზაზე. ის, ვისაც ჯი-
ვი მხრებზე წამოეკიდა, იმდენად პატარა იყო,
ტვირთქვეშ არც კი ჩანდა, მოხუცმა მთიელმა
შეისევ შეიცნო შვილიშვილი და სიხარულით
წაბაჯაჯა მისკენ...

პაპის სასიხარულოდ ბიჭი ჯანმრთელი და
ასაკთან შედარებით ღონიერი იზრდებოდა, მა-
გრამ დღეს პირველად გაოცა ასლანი შვილი-
შვილის ღონემ! — თორმეტი წლის ბიჭი მთა-
რევედა ნადირს, რომელიც მასზე თითქმის ხუ-
თჯერ უფრო დიდი იყო. მოხუცმა ბიჭთან მიი-
ბრინა, არ იცოდა მიხმარებოდა თუ დაეტქმა-
ს. „მე თვითონ“ — ჩიუტად მოუჭრა ბიჭმა. და-
ბნულმა პაპამ მხრები აიჩჩა და უსიტყვოდ

ლიდია კოდოშვილი
„ავაზას“ და მარშხ-ბაში

ვაჟვა. ისმაილი ჩიხვი ქობის ზღურბლოან დაავდო, ქობში შევიდა, ნახევრადღაფერფლილ ცეცხლს მიუჭდა. მხოლოდ მაშინდა უთხრა მოხუცს:

— ჩიხვები ერცანოს ქარაფებზე ჩხუბობდნენ. შედარებით პატარამ და სუსტმა უფრო მობზრდილი და ღონიერი ჩიხვი ჩამოავდო. მთის ძირში ავიყვანე, წინა ფეხები მოტეხილი აქვს, მაგრამ იქნებ მოვარჩინო, პაპა? რქები ნახე, თემირ-ხანის ხმალს არა ჰგავს? ვახსოვს სამი დღის წინ რომ მიყვებოდით... მითხარი პაპა, რატომ წაავო ომი ჩემმა ჩიხვმა?

— მეტოქე უფრო გულადი გამოვდა. — ომში გულადობა ყველაფერია, ჩემო ბიჭო.

— ესე იგი შამაჩევი მირზა არც ისე გულადი ყოფილა, რახან ვერ გადაიჩა?

ასლანმა შვილიშვილის დაქინებით ჩახედა თვალეში, ხელები ძირს დაუშვა, ჩამქრალი მზერა ცეცხლში დაფერფლილი ბუჩქის ტოტებზე შეაჩერა. როცა თავი ასწია თვალეში კვლავ ახალგაზრდულად კიაფობდა ცეცხლის ანარეკლს.

— მამაშენი გულადი, კეთილი და გონიერი კაცი იყო, ისმაილ... ამაში ეჭვი არასოდეს შეგეპაროს. ჩვენი კომისრის მოსე შოვეგნოვის მსგავსად მასაც სურდა, რომ ჩერქეზთა ქობედან სილატაყე განედგენა, უნდოდა უზღუნების უსაქმურობიდან გაქაბათებულ ხელემა არ შესძლებოდა საყუთარი ბელელი ლატაი გლეხების გახევებული და დაწყულუბული ხელემათ მოყვანილი პურით ავსოთ. მამაშენს სურდა მთის სამოვრებზე, ბატონები რატომდაც თავისად რომ სთელიდნენ, დაბეჩავებულ მთიულთა ცხვარს ეძოვა და კიდევ მირზას უნდოდა, რომ სკოლებს, მარტო მდიდრების შვილებს რომ ასწავლიდნენ, სასწავლად მიეხმე შენ და სხვა უბრალო ხალხის შვილები, რათა მამა-პაპასავით უმეცრებას არ დაებრმევიბნით... მირზა თავის არბებს ხალხს არ უშალავდა; მდიდრები ბრაზობდნენ; ვილაც გლახაკი როგორ ბედავს ურყევი კანონის შეცვლა მიონდომოსო? მაგრამ მაღლი ალაპს, მირზა იარაღოვის ოცნება ახლა, ეს იყო 1918 წლის ვაზაფხული... მთავლებმა მამაშენსა და სხვებს დაეალეს მონაწილეობა მიეღოთ ბატონების მინდორ-სამოვრების განაწილებაში. ბატონებმა ეს არ აპატიეს. არხიზიყენ მიმავალ ფაკრიელ გზაზე ჩაუსაფრდნენ და ბუჩქებს-ამოჭარებულმა ლაჩრებმა მოკლეს...

— პაპა, მითხარი მეკლელის სახელი და მე ვაფუქსორდები მას, პირისპირ, როგორც ამდღეულ ჭივიტს შეგვიწინს!

— იმათ ხალხი ვაფუქსორდა, შვილო, და თუ ყველაფერი, რისთვისაც მირზა იბრძოდა, ავიხივდება, ამ მთებში მისი მღვთვალე სული ადამიანებს გაუღიმებს... სკოლაში რომ ივლი და ჩვენს მაგივრად ისწავლი, შენც ვავიდი-

მებს. შემოდგომაზე, როცა საქონელს ბარში ჩაერეკავთ, ჩერკასკაში წავალთ, სკოლაში წავიყვან. იცი, როგორ უნდა იყოჩალო, სხვა მოსწავლეებს რომ დაეწიო...

— დიახ, დავუწევი; ძალიან, ძალიან შევეცდები, პაპა, მე ხომ მუდამ ისე მინდოდა, ისე მინდოდა მესწავლა, რომ...

მთელი დამე წრიალებდა მწყემსის ტახტზე ცხვრის ტყავში გახეველი ისმაილი. ხან ერგებოდა, რომ ასლანთან ერთად ქალაქს მიეშურებოდა ახალი ჩექმებისა და ზურგჩანთის საყიდად; ხან უცებ, თითქოს ცხადში ხედავდა წიგნში დაბეჭდილ, მისთვის უცნომ სიტყვებსა და ასოებს; უნდოდა წაეკითხა, ისინი კი აქეზებდნენ, წიგნის ფურცლებიდან გარბოდნენ, ბიჭი ბრაზობდა და მთ კვლავ წიგნში მიერეკებოდა...

როგორც ჩანს, ისმაილის მხურვალე სურვილს, ესწავლა—ახლობა არ ეწერა.

ორ კვირაში ქალაქს დაშვებას აპირებდნენ. ასლანს, მთის მწვერვალზე გაფანტული ცხვრის ძებნაში, ზევი წამოეწია. მოხუცი ვარბოდა, მთელი ძალ-ღონე მოეკრიბა, რომ სიკვდილს გაქცეოდა, მაგრამ ამოდ, ზევემა არ დაინდო და ჩამარბა მისი ბებერი სხეული. ფეხებგაფარხულსა და მკლავაშოშოლს მოუხსრო სიკვდილმა.

კვლავ დაობდა ისმაილი. აქაუტას სათავეებთან დარჩა. მეზობელ მწყემსებს ეხმარებოდა. ასე მიჰყენენ ერთმანეთს წლები... დიდხანს დადიოდა დაღონებული. წარსულთან მზროლდ პაპის ნაამბოი აკავშირებდა, რომელსაც მოხალისე, მაღლიერ მსმენელსაც გულუხვად სთავაზობდა. შემოდგომის გრძელ საღამოს, ქობში, კერის პირას ჩამოსდებოდნენ და ზოგჯერ გათენიანდევ კი ისმენდნენ მოჭადღებულ მწყემსებში თუ ბარდას ამოსლული შემთხვევითი სტუმრები ახალგაზრდა ადოლევის გრძელ ნაამბობს. მისი ნაამბობის ძირითადი და უსავყარლესი თემა ქემშარიტ თუ შეთხზულ გმირთა საქმენი გახლდათ. მართალია, გმირობით, შემკული, მაგრამ მაინც მწყემსის ყოველდღიური, ერთფეროვანი ცხოვრება ისმაილის შთაბეჭდილებით გაუმადარ გულს არ ყოფინდა, გვერდით არ ჰყავდა ახლობელი ვამოცილილი კაცი, რომელიც საგმირო საქმეებზე მეოცნებე ახალგაზრდას შრომისა და პატიოსნების გზაზე თუ ვერ დააყენებდა, ყოველ შემთხვევაში უსინდისობის გზას აადგენდა... ისმაილმა ამხანაგებთან ერთად მეზობელი უზნების მწყემსთა საქონელზე დაიწყო ნადირობა. არაერთხელ ჩამმულან ადოლეველ მწყემსებთან უთანასწორო ბრძოლაში და გაბედული რისკი და მოქნილობა გამოუჩენია და მხოლოდ ხიფათთან შებმის უგუნური სურვილის გამო იტაცებდნენ სხვის ქონებას... მეზობელ ჯოგზე ერთ-ერთი თავდასხმის დროს

ბანდიტები შეიარაღებული მილიციის რაზმს ჩაუვარდნენ ხელში. 18 წლის ატამან იარალოვს, როგორც მას, თანამოსაქმენი უხმობდნენ, 5 წლის პატიმრობით უნდა ეგო პასუხი არა მარტო საკუთარ, არამედ მეგობრების ბოროტმოქმედებისთვისაც.

თითქოს შეუთრეველობობის ბოროტი ძალა გაუქდა იარალოვს, როცა ის ბანაქის გალაენში შეიყენეს. ვერც მოლაპარაკებამ, ვერც მკაცრმა ზომებმა ვერ აიძულეს იგი ემრომა დანაშაულის გამოსასყიდად. მთელი დღეები კარავში, ტახტზე ველაღმა გამოტილიყო და ფიქრობდა; ზოგჯერ, ფანჯრის კუთხეს გაუშუტებებდა თვალს, და სევდიანად ღლინებდა გამბულ, ჩერქეზულ სიმღერებს. ახაფერი აღუღებდა, არც მკირზე ულუფა, იმას რომ აძლევდნენ, ვინც სამუშაოს თავს არიდებდა... მხოლოდ, დროდადრო ბარაკის ამხანაგებს თავისუფალ კიდაობაში ეჯიბრებოდა, თანაც რამდენიმეს ერთდროულად. წარბშეკმუხვნილი და ნაღვლიანი, ბარტყებივით მიმოფანტავდა იმათ და უკვე მობერებულ საწოლზე, ისევე უხმოდ აძვრებოდა.

ერთხელ პალატაში მორიგეობაზე უარი თქვა, მდიანარსკენ დაეშვა და მშენებლობასთან შეჩერდა. აქ მის თანამეინახეთა ბრიგადა მუშაობდა. ისმაილი იღვა და გულგრილად გასცქეროდა, როგორ ავსებდნენ ბეტონით ხიდის ბურჯის ყალიბს.

— ეს ისმაილ იარალოვია, ჩვენი მძლეოსანი! — დაიტრამბეს მშენებლებმა სამუშაოთა მწარმოებელთან, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ ჭიდარა კაცთან. მან ზურგულედ შეათვალთვარა თვალმოუხუტული ყმაწვილი.

— მძლეო-სანი! — გამოაჯერა გაქირდვით, — ძალა აღმაინა პატიოსანი შრომისათვის. უნდა გამოიყენოს. ეგ კი ძველ დაქანებულებს თავის ღონეს, როგორც ძენწი მალავს თავის ფულს მტვრიან ლიბში...

სამუშაოთა მწარმოებელმა ერთი ჩაიჭირქილა და ხე-ტყის გადაწყობას შეუდგა; გორილასვით მარად მთქეკა თავში და ხიდის სანაპირო მალის ფორმებისაკენ გაცოცდა. ისმაილი კი უძრავად იღვა და ინინინის სიტყვებით გამოწვეულ ბრაზში ანუელი სირცხვილისგან ციებ-ცხელება უვლიდა.

„აი, ვცემ და მაშინ ნახავს სად ვინახავ ღონეს!“ გაიფიქრა ისმაილმა და მუშუტები შეკრა. მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა.

ასე დაბრუნდა დარცხვენილი ისმაილი ბარაკში. მეორე დღესაც გამოჩნდა იგი ბორცვზე, ხიდის მშენებლობასთან; ზანტად იტოხნებოდა ბალახის ღეროს, თვალდაბრილი აკვირდებოდა სამუშაოთა მწარმოებელს.

ისმაილმა იცოდა რომ მას ბაგრატი ერქვა, რომ ის კავასიონის მთებიდან კელასურის ველზე გადასახლებული რაქველი იყო... ბარაკში

ისმაილის მეზობელი ყმაწვილები ამბობდნენ, ბაგრატი აღლამესაც გამოიჩინოს რაღაც საბედისწერო შეცდომის გამო ხანგრძლივი პატიმრობა აქვს მისჯილი. მკვლევობა ბრალდებოდა, რომლის მონაწილე არცა ყოფილა... ცოტა ხნის წინ საქვე კვლავ განიხილეს და დანაშაული მოცდისსენ, მაგრამ აღლამ მინც აქ დარჩა სამუშაოდ, ახლა უკვე თვითუფალ მშენებლად...

პატიმრები ამბობდნენ — ბაგრატი საქვეში მკაცრად, და მინც მის თბიქტზე გადაყვანის ბევრი თხოულობსო. რით იზიდავდა ეს 35 წლის სიცოცხლით სავსე კაცი ხალხს? იარალოვმა მაშინ არაფერი იცოდა მის იშვიათ ნიჭზე, რომლის წყალობითაც იგი პატიმრების გახვევებზე სულს ხმელ კანს ალავიდა და მათ აღამიანურ ღირსებებს უღვიძებდა.

ახალგაზრდულმა გაცაცებამ და მოწყურებულმა მეგობრობის გრძნობამ მიიზიდა იარალოვი ბაგრატისკენ. იგი ყოველდღე მიდიოდა მშენებლობაზე და შორიდან უცქერდა იმის საქმიანობას. ის კი, თითქოს ყურადღებიან მზერას ვერ ამჩნევსო, საათობით ტრიალებდა ყმაწვილის შორიბლო. ერთხელ, როგორღაც პირისპირ შეეჯახნენ ერთმანეთს.

— არწივს გაუშარქოს! — აშკარად დასცინა ბაგრატმა.

დამცინავად ტუჩებამრეზილი აღლამე უყურებდა, როგორ ეცვლებოდა გამომეტყველება ყმაწვილის. თან თითქოს მის აზრებს კითხულობდა.

— გადაწყვიტე იმუშაო შენი მშენებლობა! — დამტერული რუსულით გამოსცრა ისმაილმა

— ჰო? მაგრამ მე არ ავიყვანი — სუფთა აღლუტერ ენაზე მიუტო ბაგრატმა.

— როგორ თუ არ ამიყვანი! — საკუთარ ყურებს არ დაუტვარა ისმაილმა.

— არ ავიყვან და გათავდა! სამუშაოდ ფიტული კი არა, ყოჩალი ბიჭები მჭირდება.

ისმაილმა იფთქა და შუბლი შეიკრა, მაგრამ სიტყვა არ დასცდენია, შემობრუნდა და გასცილდა. მეტად იქ აღარ გამოჩენილა... ბარაკმაც თავი მოაბერა. დღისით აწყვეტილივით დახეტებოდა ბანაქის ტერიტორიაზე, საღამოს საღლაც უჩინარდებოდა და ბარაკში შეღამისასა, დაქანებული და უცნაურად მდუმარი ბრუნდებოდა.

ერთხელ ისმაილი მდინარის პირას იღვა, როცა ვილაცამ მხარზე ხელი დააღო იგი შემობრუნდა და ბაგრატი აღლამე დაინახა.

— რატომ დაგვივიწყე, ყმაწვილო! ასე მალე ავიჯარდა გული საქმეზე?

ეს ისე მოთლოდნელი იყო, რომ დაბანულმა ისმაილმა არ იცოდა რა ეპასუხნა.

ლილია კოლოზიძე
„პაპა“ და მკვარს-ბაპაძე



— ძალიან მინდოდა შენთან მუშაობა!
 — მაშინ, შენი რატომ არ ვაიტანე?
 — შენ გგონია, უფროსო, რომ სიამაყე აკრძალვოდა მაქვს?

— მერე სიკეთე ხელს უშლის სიამაყეს? მე შენი გამოცდა მინდოდა!
 ამ დღიდან დაიწყო მათი მეგობრობა.

არა მარტო მეცადინეობით, გატაცებითაც საესე იყო შეი მუშის, ისმაილ იარაღისის შრომა № 27 უბანზე. შეუძლებელი იყო გულგრილად გეცქირა, რა მარდად დაძვრებოდა ეს ვოლიათი ფიცარნაგზე, როცა ბალასტით საესე ურიაყას მიაგორებდა, ანდა როგორ ატრიალებდა მეტალის ძელებს მშენებარე ხიდის მალში.

პატიმრობის უკანასკნელ დღეს ბაგრატ აღდაეშინა ისმაილი გულახდით, დაუნდობელ საუბარში გამოიწვია.

— ისმაილ, ხშირად იხსენებ ხოლმე რისთვის დაიღუპა მამაშენი, მირზა იარაღი.

— ეს მე არასოდეს მიაფიწყდება. მამაჩემი ვმირი იყო, გმირები კი სიმართლისათვის იღუპებიან.

— შენ ამბობ 23 წლისა იყო... წელს შენც ამდენივე შევიტრულდა!
 ისმაილი გაფითრდა და პირქუშად გახდა ბაგრატს.

— წაქეულ კაცს მაგრად ურტყამ, უფროსო!

— განა გირჩენია მირზა იარაღი შევიტრულა?

— თუ ამ ხევში თავივე გადავეშვები, მამაჩემის სული შეილის სირცხვილით აღარ შეშლავოდემა?

— თვითმკვლელობაზე ადვილი არაფერია. ლამაზია, მაგრამ უსარგებლო. ამისგან ვის რა ხერი აქვს. სიცოცხლეზე უნდა იფიქრო, ისმაილ! მუდამ გახსოვდეს, რომ ძარღვებში მირზას სისხლი გიდულს. უნდა ეცადო, რომ შენი ქვეყნისათვის გააქეთ ის, რაც მირზამ ვერ მოასწრა. აი, წერილი, ჩემს მეგობართან. მშვიდობით. წერას რომ ისწავლი, მომწერე! აქ მშენებლობას რომ დაემათვრებ მოშობილურ კუთხეს დავუბრუნდები, კვლასურის ხეობაში შევხვდებით! — და აფორიაქებულ ისმაილს ახლობელივით გადახეცია,

ისმაილ იარაღივმა სულ სხვა ცხოვრება დაიწყო, რომელზეც რესპუბლიკური თუ ადგილობრივი გაზეთების მეოთხე გვერდზე — „მოვლენების“ რუბრიკით დაბეჭდილი მოკლე სვეტები მოვითხრობდნენ. აი ზოგი მათგანი: „ს. ღვანდრის მცხოვრებმა ი. გველებიანმა, ბრავონიერობაში მეორედ მხოვებულმა, მთისსაფარ ტყეში, ტყის დაცვის თანამშრომელს გ. პირველს სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა და მიიშალა. სოფლის მცხოვრებთა და მილიციის

მუშაეთა ყოველგვარი ცდა დაეკავებინათ, რომ რატომღაც, ტრაგიკულად მთავრდებოდა მისი გაუწეებლობა თავს იღო რაიონული მილიციის ინსპექტორმა ი. იარაღივმა. გველებიანის კვალს მეზობელ ტყეში მიაგნო, სადაც შეილებთან ერთად სისხლის აღებას ემალებოდა, დრო შეუტრია და ახლობელთა გარემოცვიდან „მოიტრია“... მკვლელი მილიციას ჩააბარეს...

ერთხელ აღწერდნენ შემთხვევას, თუ როგორ დაეწია და გააჩერა იარაღივმა მანქანა, რომელიც მთავრად მძლოლს მიჰყავდა და ქალაქის ხალხმრავალ მაგისტრალზე სახითათო ზიგზაით მიიყვლებოდა გზას. სხვა დროს იუწყებოდნენ, როგორ დააკავა გუშაგმა თავზეხელაღებული მძლოლი, გზაჯვარედინზე აეარია რომ მოახდინა და უკიდურესი სიჩქარით გააქანა თვითმკვლელი. ისმაილმა მანქანას წინ საკონტროლო ჩიხური ჩაუვდო, რომელსაც თთხი კაციც კი ვერ დასძვრავდა ადგილიდან და გზა გადაუღობა.

ერთხელ იარაღივს პოსტზე ტელეფონით აცნობეს, ფესხაცმელების საწყობი გაქურდვისო. გატაცებული საქონლით საესე სატვირთო მანქანიდან დადენებულ მილიციის მოტოციკლეტს ესროლეს. მანქანა ქალაქის განაპირას მიჰქროდა და როგორც ჩანს, ჩრდილოეთისკენ მიმავალი შარავზით მთავარ გზაზე გაქრას ცდილობდა. იარაღივმა გააფრთხილეს, გამტაცებლები არ დაეკავებინა, რადგან ისინი მის მოკვლას შეეცდებოდნენ, ურჩევდნენ მანქანას უკან საბურავებისთვის ესროლა და მანქანა ისე გაეჩერებინა... მაგრამ უცებ იარაღივს გონებაში სხვა, ორიგინალური, მაგრამ სარისკო ჩემბი მომწვივდა. გზისპირას მდგომ წიწველზე აშკრა და ტრუტე ჩამოკიდებულნი გაქვებდა... აი, ნომერშელებილი მანქანა იარაღივს საუარასკენ ნაპქრის, ელვაზეუბრად ვანგარიშებული ნახტომი და ის უცეე ძარაშია; სამ ბანდიტს ციდან მოვლენილი, მთელს ოლქში სახელგანთქმული ძალოვანი მილიციელი დაატყდა თავს. ბანდიტებმა ხელის გამოღებაც ვერ მოასწრეს, რომ იარაღივმა ორი მათგანი შუბლებით ერთმანეთს მიახეთქა და დაარტყანა. მესამეც უცებ მოცეა და სამივე ვანაირადა... მძლოლის გვერდით მქდომი ჭვუთის მეთაური, ძარაზე მომხდარი ამბავი ფიქრადაც რომ არ მოსდიოდა, ნავანომარჯვებელი დამაბული გასქეწროდა გზას... წუთიც და სატვირთო მანქანის ძარიდან კაბინის ფანჯარაში გადახრილი ისმაილის თითების მარყუქუმი მოქეუული, ისიც უძლური აღმოჩნდა.

როცა მტერმა კავასიას შემოუტია, ადგილი ისმაილ იარაღივს სამთომსროლელი რაზმის მეგზურად დანიშნეს.

— ისმაილ იარალოვ, ორი საათია უსიტყვოდ მიგყავართ, — მიმართა მეგზურს ივან ტოლჩეკოვმა, მზევრათა გზუფის ხელმძღვანელმა, — იქნებ ის ხევი ასახლეულად წაყლებ სახიფათოა. სარდლობას სასწრაფოდ ესაჭიროება: იმ გზების გაგება, რომლითაც გერმანელები მამუელი ძალების აყვანას ცდილობენ. „მოენენ“ უნდა მოვიპოვოთ! მაგრამ იმას ვერ შევძლებთ, თუ მტრის სნაიპერები ყველას ამ გადასული ზურდობზე ამოგვხოცავენ... გუშინ ვან-თქმული მთამსვლელები — სვანი მზევრათებიც ვერ დაბრუნდნენ დავალებიდან! ჩვენ უნდა შეგვიძლია; მათ ვაუტოლოდით! — და უკან მოსვალა, ოფლში გაუწეული ჯარისკაცები დაანახა, უჩვეულო სიმძლავრე სულს რომ ძლიერ ითქვამდნენ. — რატომ სდუმბარ იარალოვ?

— ბევრი გაჩუმიდი, ესე იგი ბევრი იფიტე... ეს გზა საშიში არაა, ნუ ღელავს, იარალოვმა ეშმაკურ გზა აირჩია, გერმანული ორი მილი თვალზე გაიკეთა, ვერაფერი დინახა... უნდა ბევრი იფიტო! მამანეში 25 წლის წინ ჩრდილო კავკასიაში მოკლეს... ზურგში ეს-რრრრრრრრ გულზე შეუშინდათ ძაღლებს. მამის სისხლი არ ამიღია, პატარა ვიყავი; ახლა კი ძაღლის შვილები ჩვენს მთებში მოვიდნენ. ქვეშაში იმალებოდნენ, ახლა მე მათი სისხლი უნდა ავიღო... მე თქვენ მოგახმარე — თქვენ მე!

— ჰო, ჰო იარალოვ, სწორია. მტერზე შურს ვიძიებთ. მოიცა ერთ წუთს, აი პლანშეტი, მოიღო. ზუსტად გავარკვიეთ სადა ვართ ახლა და რთვორ გავაგრძელოთ გზა!

— მე უსწავლელი კაცი ვარ, მშაო. დაწერილი ქალღმრთის წყალობა არ შემძლია. ასე მოხდა ვინდა, იარალოვი მთებში წყაობის რუკა ახა, მისმინე: ჩვენი პოზიციიდან — 2550 წერტილიდან აქამდე 5 კილომეტრი გამოვიართეთ. იქიდან 500 ნაბიჯით ჩრდილოეთით გადავინაცვლოთ, ხანჯალით კლდე იქნება, ამის ქვეშ მდინარეა: 30 ნაბიჯით ქვემოთ, უმცროს დას ხედება, ერთად ქვები საფეხურებში ჩამოდინა, ორი მშა ხედებიან, — დედაიშიწა ზანზარებს. აი, იქიდან ორსაი ნაბიჯი კიდევ ხევით მივიღოთ. გაიხედე — მარუხის მუორი ნაპირია: მარცხნივ წყალი ეშვება, მზით ბურთაობს. ეს ჩანჩქერი „პაირტ-ჩარას“ ეძახიან; მარჯვნივ გახედე — „ვერცხლის ტბა“ ესე იგი „ვერცხლიანი“. მათ შორის მთა პშივი გასკვირის ადმოსავლეთს. იქ კი ჩვენი მარუხბაშია, მყინვარს მუცლით უკარავს, მყინვარი კი ერთი ფეხი უღელტეხილზე გაუქიპავს, მეორე მოუხრიბა და მდინარე ლაგავში ჩაუღვამს. მყინვარის მარჯვნივ ქვის კედელი 200 მეტრის სიმაღლე (შეამოწმე, შეამოწმე რუკა, მართალი თქვა ისმაილ თუ ტყუის). კედელი ზევით — გამოქვაბულებია, მნიშვნელოვანი სათვალთვა-

ლა. ყველა გზა ხელისგულით მოიანს. გამოქვაბულში გერმანელი ძაღვს „აპშივით“. ესე იგი დათვივით ზის... აქ, აქედან 300 საყენზე წყნარი წალი. მერე 500 საყენი ფრთხილი წადი. კოვრით გახიზრე ყველა ქვა, მე თვალთ ვეძიებ... ხილათი მოდის — ჭკვიანი იყავი, ხილათი მოვიდა — ეშმაკ იყავი, გაიგე?.. მალე ავლენ. ხედავ, ცა „იზაბელას“ წითელი წვენი დასეარა; ე. ი. ხვალ ნისლი გაიქცა, ნათელი ღდის უმლოდები. ოპერაცია დღეს უნდა მოასწრო. დამე პირველი საათი უნდა გათავდეს — მერე მთავარე „შალტი-ბალტის“ იზამს. გერმანელებისთვის ნათელი — კარგ ხასიათზეა — ზევიდან ადვილად ხედავს. ჩვენი ჯარისკაცს ეწყინება, ქვემოთ არ ხედავს. ცივა. ფარავ არაა. მარტო ერთის კარავ-ლაბა არის, სამის არ არის... კოცინი არ გათბობს, საკმელი სულ ცოტა არის. ოპერაცია მალე უნდა დაიწყე, მალე გათავე... მარე, ჩქარა წავედით!

დაკლავილი ბილიკი მარუხის ნაპირს მიეკვებოდა, ზოლად გაქიმულ „პაირტ-ჩარას“ აღმოსავლეთით უღლიდა და პირდაპირ ისარივით იჭრებოდა მარუხის გადასასვლელზე. ხეობაში სხვა გზა არ იყო... ვერცხლის ჩარხათი მოსევადებული სადაფისფერი „ვერცხლის“ ტბის წინ ადიღელმა ბილიკიდან გადაუხვია და მზევრათები მარუხ-ბაშის ოდნავ გაცვალული საცაღმფო ბილიკით ყარაჯის მწვერვალის სამხრეთ-დასავლეთი შტოკენ წაიყვანა. ეს ის მარშრუტი გახლდათ, ისმაილმა ბავშუვით უბრალოებითა და გულტურყვილობით რომ აუწერა ტოლჩეკოვს.

მზის ჩახვლისთანავე ჩასაფრებული ნისლი „დათვის ხახის“ პირქუშ ხვრელებში ამოძრავდა და ზემოთ, ცოტა უფრო აღმოსავლეთით გადაინაცვლა, ყარაჯის და პშიშას ქვის გვერდებს მსუყვალა.

გზა სულ უფრო ციკაბო ხდებოდა. ჯარისკაცები რიგში ჩამწყრდნენ და დამაბულნი, ცდილობდნენ მეგზურს არ ჩამორჩენოდნენ, დროისაგან დატყუენილ ნაყარზე და ზევაზე მსუბუქად და ძაღლუტანებლად რომ მიაბიჯებდა.

1942 წლის აგვისტოს მიწურული იყო — კავკასიის ბრძოლების დანაჯარებით: დამძიმებული დღეები... გუშინ ყველა ააღეცა გერმანელთა მიერ ჩვენი რჩეული რაზმის ვანდგურებამ, მარუხის უღელტეხილიდან აღმოსავლეთისაკენ რომ მიემართებოდა ქალხორის რაიონში დაბანაკებული მტრის ზურგში შესაჭრელად. აჯსაუტას სათავეებთან ტრიალ მინდორზე, „ვერცხლოვან ტომარაში“ აღმოჩნდა... ირგვლივ, მტრის სიმაგრეებზე ქვეულმა

ლიდია კოლოზილი
„აშაზა“ და მარუხ-ბაში



კლდეანმა ფერღობებმა მეომრებს მოულოდნელად წამოუშინა სასიკვდილო სეტყვა...

ნიაბიჯებს დაძაბული და მღუმარე ისმაილი, ღროდღროდ თანამგზავრებს ვახედავს; ეცოდებოდა ისინი, მაგრამ მისი სიბრალული მკაცრი სისყვარულია, ადილოელი წუთითაც არ ანელებს ნაბიჯს და მეომრებს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს? უნდა რომ ყოველგვარი მოულოდნელობა აცილოს თავიდან. ამ ფერღობებიდან მის მეგობრებს ცეცხლით ემუქრებიან. მთაზეა მტრის მსროლელთა საფარი... ჩრდილოეთიდან მიძინარე იეროზის მიუხედავად ჩვენები მარუხის უღელტეხილს არ თმობენ. ცოტა უფრო აღმოსავლეთით მტერმა შეჩდელი ყარა-კაის ჩრდილოეთ მყინვარიდან ორი სამი კილომეტრით უფრო სამხრეთით წაწეულიყო და მარუხ-ბაშის დასავლეთ განშტოების თხემი დაეკაევიან. გერმანელთა ცალკეული ჯგუფები ლაგვის მყინვარისკენაც კი დაეშენენ. ისმაილს ამაში ეჭვი არ ეპარება. დაკვირვებული მეგზური გზად მტრის მიერ დატოვებულ ძლივს შესამჩნევ უამრავ საღარბაზო ბარათს ამჩნევს. ტყვიამტრეხვის მიერ ციბანოზე ასლახან ჩამოჭრილი კუთხით დაწყვებული და სხვანაირად გახვეული თამბაქოს ნამწვავისა და დამწვარი ქონის სუნით დამთავრებული. მეგზური ცდილობს ოცეული საეჭვიო პოლიგონიდან გაიყვანოს. უარი სთქვა აღმოსავლეთის გათელილ ბილიკზე, რიყესა და ღორღთან კონსუტებზე მომქანცველი ასვლა ამჯობინა. უფრთხილდება ხალხს, ეს ხალხი მისთვის მხოლოდ ჭარისკაცები როდენ არიან, ისინი სისხლისმღვრელმა ბრძოლამ დაანათესავა. მას მტკიცედ სწამს რომ ეს ყმაწვილები, ახლა მარუხ-ბაშზე რომ მიჰყავს, ამ მთების სხვა მცველებთან ერთად გაანადგურებენ ფაშისტებს...

— მოდი, შევიცნეთო, იარალოვ, ხალხი დაილა, ფეხზე ვერ დგება—უთხრა წამოწეულმა ტოლჩოვმა.

— ცოტა გინდა მოითმინე. აქ არ შეუძლია დასვენება!

— ნახე ერთი, ხალხი გაწყდა. ამას კი ფეხებზე ჰკიდია! — იფეთქა ტოლჩოვის თანაშემწემ, ქალივით ღამაზმა სერჯანტმა კამილ დარდამ, იგანს რომ მოსდევდა ფეხდაფეხ...

— იარალოვ, მეტი აღარ შეუძლიათ, შევიცნეთო! — არ ეშვებოდა ივანე.

— კარგი, ოღონდ იქ, ლოდის ძირში... აქ მიზანში ამოვიღებენ, არ შეიძლება! ფერღობის მოსახვეში განხვრელი რიყეს რომ მიუახლოვდნენ, კელავგაშლილი იარალოვი შეჩერდა, ლოდის ქვემოთ ღრანტებზე მიუთითა.

— აქ დაისვენე!

მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა მზვერავების დასვენება, სულის მოთქმაც ვერ მოასწრეს, რომ მათ თავზე, თითქოს სიმი გაწყდა—„ძინ

—„ძინ“. ათეულს ერთბაშად გადაეფარა დადილილილობა. მზვერავები მუცელზე გაწევენ და საბრძოლველად მოემზადნენ. მიწაზე გაწოლილი ისმაილი, საითყენდაც ვაფოუხდა, მალე კვლავ გამოჩნდა.

— იქ, უკან, მყინვარ ლაგვის უკან სამი მოთხილამურე—მსროლელი ავტომატიდან ისვრიან. 50 ნაბიჯით ქვემოთ, ტყვიამტრეხევი კაკანებს... ამხანავო ლეიტენანტო, ნება მომეცი შეშხანით ჩამოვიცილო ისინი

— არა, იარალოვ, თავად გავუმკლავდებით. ღრო ცოტა გვაქვს. კიდეც კარგი, რომ შენი რჩევით აქაურობას შევფარეთ თავი. უხელა ცალ-ცალკე უნდა ვიოქმედოთ. კამილ, უხელა მძღვრეულე ჯგუფს, 2 კაცი შეაჩივი, ოღონდ არა ნაწილები, ისინი ჩვენ გვეკრიბება... ერთი დავალებს ვაქვო. „მოუნე“ გამოცინცლოთ. იარალოვი ვაგვიყვანო. ხვალ, გამთენიისას შევხვდებით. კარგი? ახა, წარმატებას გისურვებ!

— დაუფრთ ჩემი სიტყვა ამხანავო ლეიტენანტო, სნაიპერი იმ ღართი გაუშვით, 100 მეტრით მაღლა, ორ ლოდს შორის ამოვა. დროდადრო რომ ისროლოს, ღმერთი ხელს მოუშარ თავს!

თავისიანები მოეფარნენ და 4 კაცმა დამრცხე ვადიარბინა, მარჯვნივ ხმაში ჩაიარბინეს და მის მეორე ნაბიჯზე ამოსვლა იწყეს. ფრთხილად აყურადებდნენ ზურგს უკან ატეხილ სროლას, კარვად სცნობდნენ თანამებრძოლთა იშვიათ, თავშეკავებულ გასროლას... ჩქარობდნენ ასვლას, ღიღხანს მიიწევენ წინ, ცხარობდნენ. დაუქმდაც კამილ დარდაც ნებდებოდა, ნაბიჯს ევლარ უსწორებდა გამყოლს. ისმაილი შედგა და მოკლედ გამოაცხადა — „დაისვენე!“ სამივე მის დაუშვა მოშიშვლებულ განიჩტებ, დაკბილულ ქვებს მკერდით ეკვრდნენ.

იქვე მდგომი გამყოლი რაღაცას უქრებოდა. უცებ, გვერდით ჩაცუქქდა და ხმადაბლა თქვა:

— კარვად დაისვენე, მე მარტო წავალ გერმანელებამდე. მალე დაებრუნდები.

„მაგრამ, როგორც კი წამოიმართა, მზვერავები ერთად წამოხტნენ, ზურგზე ტომრები და ავტომატები გადაიკიდეს... ისმაილი კამილს ზურგზე დაადო თავისი დიდი ხელი.

— ლამე ძნელია, ნუ წახვალ, უმაწვილო, აქ მოიკადე.

— ეს რა გამოიგონე?—განრიხხდა დარდა და გამყოლის ხელი მოიშორა — იქნებ გგონია რომ ლაჩრები ვართ? მარტო წავა, გამოიმინდა გმირი!

— კარგი, ნუ ბრახობ, წადი, წადი. „ავახას“ თანაშემწე ეს ლამე ვინ იქნება?

— იქ, ქვემოთ, მთაში ისე მორბოდა, კინალამ მთელ ოცეულს ქანცი გაუწევიტა — უფრს აღარ უგდებდა, — ისე ბობოქრობდა კამილი — აქ კი უცებ გულკეთილი გახდა... — და

გაბრაზებულმა თავის ამხანაგებს, მოტყუენარ, დაუღლელ და გულგაუტუტებელ გრიგორსა და სიტყუაქვირ, მუდამ ჩიუთქრებულ მერაბს ანიშნა, გზა განვაგრძოთო.

„შემბედა — თითქოს ეკალმა მიჩხელიტო, მითხრა და თითქოს სილა გამაწინესო“ — გაიფიქრა კამილზე ადიღელმა.

„განა ახლახან არ იყო, ასულის მსროლელი კურსანტები, მათ შორის კამილიც, მხიარულად რომ შესტეკროდნენ გამყოლს, აღფრთოვანებული იყვნენ მისი უჩვეულო ძალით? ეს თაყვანისცემა მევეტომატეთა მუთაურმა, კაპიტანმა ზორისსკამა ვაიცოცა, ცოტა ხნის წინ რომ ეწევი მათ ქვეგანყოფის. იარალოვში შრომა-განწორების ბანაქის ყოფილი პატიმარი რომ შეიქნო, რომელთანაც იმ დროისათვის სამუშაოთი იყო დაკავშირებული, კაპიტანმა ხალხის თვალწინ, ხმაძალა გამოთქვა ვაიცოცა.“

ამ რეპლიკით ღრმად შეურაცხყოფილმა იარალოვმა ზორისსკას არაფერი უპასუხა, უხმოდ გაშორდა კაპიტანს. იარალოვის ახალგაზრდა თანამებრძოლებმა, მთიელის ავადმყოფურ თავმოყვარობასა და წარსულის გამო მის მწარე თვითგვემავზე რომ არაფერი იცოდნენ, დუმილი სიმბდალედაც კი მიიღეს.

სალამოვდებოდა... ვიწრობები ბოლომდე რომ ამოავსო, ჩრდილი დასავლეთისკენ გადაიწეო; ყარა-კაის მოცვეთილი კბილები დამალა.

მგზავრები მყინვარ ლაგევის ჩრდილოეთ დასტოების გასწვრივ მიაბიჯებენ.

ქარი მძლავრობს და ხალხიც იყინება ოფლისაგან დანამულ ტანსაცმელში წინ კი ჯოჯობითური აღმართია ძველი, ყინულოვანი ცირკის შესართავისკენ. აქედან მდღობის თხემზე გადავლენ, მთავარი მყინვარით ჩრდილო-დასავლეთისკენ წაიწევენ, მტრის საბუღარისკენ მიმავალი გზა რომ დაზვერონ თხემის მეორე ფერდზე. მთავარია მოულოდნელად თავს წაადგე თითქმის კომფორტულად მოწყობილ, გამოკეცილ და ამპარტავან ალბინისტებს, რომლებიც ბავარიის საწვრთნელი ბაზიდან მოვიდნენ.

ისმილ იარალოვმა მიმოიხედა, სახეზე დაბნულს გოგონებმა აღბეჭდოდნა, ცირკის ნაცნობ გზას ვეღარ სცნობს. მთიდან ახლახან დავობრებულმა ზევემა მისკენ მისასვლელი გზები თოვლის ხორგითა და ქვის ლოდებით ამოქოლა. ერთი შესაძლებლობაა დარჩა...

— შეხედეთ, — აუწყა გამყოლმა მგზავრებს, — თოვლი ჩამოწვა და ქვიშარი ჩაქეტა. ერთი გზა დავგრჩენია, ციკაბო კლდით უნდა ავიდეთ.

მერე ხანგრძლივი დუმილის შემდეგ დაუმატა:

— მე მარტო ახვალ ვარმანელებთან. აქ დამიცდი. აი, ბუშმეთი გაიყინე — დაიხურე... დავისტვენ — მოდი მომხმზარე. უნდა ვიჩქა-

რო, მთავარ დავასწრო, სანამ ფაშისტს მილი დაუმიზნებია, მალე დავბრუნდი! — სწრაფად შემობრუნდა და ერთი ნახტომით კლდის ქიმს ჩამოეკილა.

— ყველაფერი გავითვალისწინე. უკან იარალოვი — იყვირა კამილ დარდამ. — გიბრძანებ, შესდექი!!

მაგრამ მზისგან პერანგგამოხუნებული, ჩანთამოკიდებული მგზავრის ფართე ზურგი მსუბუქად ატურდა ზევით... კამილი მისკენ გაქანდა. ბინდში იდაყვი კლდეს მიარტყა და აეტომავტი მოიპარცა.

— გაგეძო? — ხელეში ეცა გრიგორი. — ნამდვილა! — დამკინავე ხმით დაუდასტურა მერაბმა და მშვილად წინ გადაუღდა კამილს.

— რას ამბობთ, ბიჭებო, მარტო გავლშვათ გერმანელებთან? ეს ზევი ჩვენს ჩამოსამოვრებლად მოიგონა ტუცილად კი არ მაფრთხილებდნენ პოლკში, თვალი არ მოამოროო!

— მაშინ გაყევი, რაღას უღგებარ! — ანეთო გრიგორი — ჩვენ კი მისი ძალა არა გეპქეს, ამ წყევლიანში ნახუვარილომეტირანი სიმალის ქვეს კედლით მტრის ბუნავში რომ აქვრეთ!

— ლალტისთვის, ძვირფასო კამილ, უფრო იოლ გზას იჩვენენ, ვიდრე ესაა — ჩაიცინა მერაბმა. — მე ვმურს. მისი, გრიშა, მთავი ის-მაილს ტუცილად არავინ შეარქმევდა „ავაზას“... ეჭ, ასეთი ღონე რომ მომცა!

„ავაზა“ წოდებული კაცი კი ფერდობზე მიტოვდა. ხელისგულებითა და ბანდლებში ჩაყოფილი ფეხის წვერებით სინჯავდა შევრილებსა და პრალებს შიშველი გენისების კედლებში, მაგრამ არც ბუნებრივი სიმაღლის გრძნობა, არც ინსტინტი, ქარაფებზე მთასველეს წონასწორობას რომ უნარჩუნებს, არ იყო გადამწყვეტი. გამარჯვება დიდად იყო დამოკიდებული გულზე. გული კი ჭრჭერობით უზადოდ მუშაობდა. ბროლის ამ ცხარე დღეებში გამყოლს დასასვენებლად სად ეცალა. ნაწყვეტი-ნაწყვეტად ეძინა, ხშირად უხერხულად მჯდომს თავი უხელებზე ჩამოუარდებოდა ხოლმე. რაზმთან კავშირის გაწყვეტის გამო უკვე დიდი ხანია თანაბოლკელებთან ერთად უციღურესად ლარბულ ულუფას — დღეში ერთ ქილა ლობიოს კონსერვასა და 2-3 ორციობილას ინაწილებდა. იქნებ იმიტომაც ამ მუღარებულად ძნელ აღმართზე, წერაყინი, ჩაქუჩი და თოკი რომ არა ჰქონდა, შედარებით მალე იგრიძნო მისთვის უტხო თავბრუსხვევა და კოჭის ტკივილი. ცდილობდა ყურადღება არ მიექცია ამისთვის. ჯიუტად მიიწევა წინ. დროდადრო ებჯინებოდა და ასე თუ ისე სულს ითქვამდა.

ლილია კოდოვხილი
„აპაზა“ და მარუხ-ბაში



პირდაპირულ ჩამონაშალზე საფესურებიან რელიეფად აღმართულიყო ვეება გნისებია, მაგრამ მათი სიმყარე საეკვო იყო. ზოგჯერ ერთი კაცის სიმძიმეც კი საკმარისია, რომ გამოცოცხლდეს და ქვეით დაიძრეს, დაშვებისას ფერღობი დაღწის და დაქუცმავოს. თუ არა ისმაილს, ამა ვის უნდა სცოდნოდა ერთხელ უკვე თავის სასუფეველში მეთედრობადარღვეული კლდეების სკაიფიტე. გულდამძიმებულმა მთიელმა ბუნებრივ კიბზე უარი თქვა. მის ორსავე მხარეს შავი კედლები აღმართულიყო, სადაც ვერც ხელს წაავლებ ვერაფერს და ვერც თოვს მოხაბა... „სამაოდე სოლი რომი მისტკა—ფიქრობს ისმაილი — ანდა, თუნდაც წერაყინი“, მაგრამ მხოლოდ გიბის დანით დაკმაყოფილდა. ჯიუტად კვეთს ადიღეული ფიქალში ფეხის საჯენს, უტერად დანის ტარი გადაუტყდა და ხელის გული გაიჭრა. მერე დანა ქვემოთ ჩაუვარდა — „ო, ალბა, ერთი საფეხურიც და გამოწაშვებს მივწვდებოდი, ახლა კი...“ და გაუბედავად ახედა ზევით. ამ დღონერ კაცში ორი არსება ერთმანეთს შეეკამათა. ერთმა, წლების მანძილზე რომ სდევდა საკვილის შიში, „ვერ მიალწვეო — უთხრა — უნდა მიალწვიო“, ჩასახა მეორემ.

ისმაილს აგონდებდა, რამეცურად გაუსწორდნენ მის თანამემაულე პარტიზანებს მაიკოპში გერმანელები, თვალწინ გაივლიდა აქსაუტას ნაღვლიანმა ტრაგედიამ, 800 კაცის სიცოცხლე რომ შეიწირა. ისმაილის ამხანაგებიც დაიღუპნენ—ლაშხი, სტრემილოვი, დიოვიეი, მათი მკვლელები აქვე, ახლოს არიან ქვის თავშესაფარში სულ რაღაც 200 მეტრით ისმაილზე ზემოთ! ბრახმა იფეთქა და მთიელს ონე მოემტა. ფეხით უკანასკნელად ამოკვეთილ ორმოს ეგჩინება, სხეულთი კლდეს ეგვრის, თითის წვერები კედლის ყოველ მტკაველს სინჯავენ — ერთი ნაბილიც კი არსადა! თითები კი მოთმინებით ეძებენ... უცებ აზრმა გაუელვა: კავის ნაცვლად ძველი მამისული ნავანი რომ იხმაროს, ზურგჩანთაში ყუმბარების გვერდით რომ უდევს? ისმაილი სამახსოვრო ავგაროზავით უფრო ინახავს, ზიღერ როგორც საბრძოლო იარაღს... ადიღევილმა ნავანის ლულა გნისებში ჩაასო, უროსავით მძიმე მუშტებს ურტყამდა, ხელებიდან სისხლი მოჴვეთავდა, ის კი გამარჯვებულ იცინოდა — ახლა კი მიალწვის ზემო შევრლი... და კვლავ იბრძვის კაცი ყოველი მეტრი სიმაღლისათვის. და ამ სახიჯავთ! „ორთაბრძოლაში ციკაბო მისი ვერავი მტერია, მთიელის იარაღი კი იმათი უკიდევანო სიძულვილია, ვინც მარუხ-ბამის ნაოჭებში ჩამჭვარდა და ისმაილის თანამემაულეებს სიკვდილით ემუქრება. და ისმაილიც ებრძვის ციკაბოს, სულ ზემოთ და ზემოთ მიიწევს. და მამინ შურას ბურუსი ერევა, კაცს სული ეხუთება... მწვერავალზე ქარი ძვალ-რბილში ატანს.

გაციხულ ხელებს ტანი ფილდან ფილდამდის კარნიზიდან კარნიზზე გადააქეთ. დაშვებული მარჯვენა ხელისგული გადატყვევებული ხორცის ნაღვლივით ევერის ქვეს... კაცი ზემოთ მიფოფხავს, სულ უფრო ზშირად უბნელდება გონება, მერე თავბრუსხვევა გადაუტყდება და კვლავ ზევით მიფოფხავს. თვალბს კვლავ უბრუნდებათ სიმკვეთრე მაგრამ უფრო მკვეთრად მეხსიერება ხედება. ფეხშიშველა ისმაილს აქ, მშობლიურ მწვერვალზე არაერთი ბილიეი გაუთელავს ბავშვობაში, არაერთ ფრიალთ კლდეს ჩისკიდებია ჯიუტად...

დამრეტის ზემოთ, გადამკვეთ საფეხურზე მტერი დანაეკებულა. იქამდე, მხოლოდ იმ ეიწრო ნაღვარეგით თუ მიალწვე; ქვემოთ, სრამში რომ ეშვება. ჰო, ამ გზით ნამდვილად შეიძლება მიზანს მიალწვიო, თუ ძალა ჯერ არ გამოგლევია.

ისმაილი წუთითაც არ უფიქრდება შესძლებს თუ არა, რომ ეს საოცარი აღმართი დაძლიოს. მისთვის უკან დამრუნება უფრო საშიშია, თუკი ნაივრს ვალდებულდება ვერ შეასრულებს... ხელკარიელი რომ დამრუნდეს, რას იფიქრებენ მასზე ახალგაზრდა თანამებრძოლები. მან კარგად იცის, რასაც იფიქრებენ. მხოლოდ გვირბილა წაშლის სამარცხინო წარსულს. მთავარის ცისფერმა შექმა ცის აღმოსავლეთი გაანათა. უნდა ირქათოს, ისმაილ იარაღებმა აღმართი თვლით გაზომა და ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა. ფილების გადარეცხილ თავებს გზლაუქება და ქვის კედლის შევრილებს ევიდებმა ხან მუხლებით ეგრდობა ხან ეგრდით. ევლარც დალილობას გრძობოს, ვერც ხელის ტიევილს... მთავარია გულმა. არ უღალატოს. ეჩვენება, რომ სიცოცხლე მხოლოდ მარუხბაშია ახარდალმანთური შემართებისათვის აქვს მინიჭებული... მთავარია გულმა არ უღალატოს! ზედა დამრეტამდე დათვლილი მეტრებილი დარჩა; გულმა კი არა; უეტრად ვახევაბულმაში დღნიერმა ხელებმა უღალატეს. იარაღოვი ქვემოთ მოცოცავს, გნისების ზედაპირზე; ჯერ ისიც ვერ გაუზარებია რა-მოსხა, ისმაილი ცდილობს კვლავ დაკვალა გაიმეოროს ნახტომი, მაგრამ ამოღ... „ხეილბმა მიღალატეს“—გაუელვა აზრმა. მღელვარებისაგან კანკალებს, ხელებს ისრებს, ქვეს ურტყამს, მაგრამ მათი ვაცოცხლება არ ძალუძს... სასოწარკვეთილებმაში არეულმა შიშმა კვლავ მიიკეცა ერთი წუთის არე გამარჯვებაში დარწმუნებული მთიელი. ძალა, მისი უჩვეულო ძალა, მთელი მღელვარე ცხოვრების მანძილზე წინააღმდეგობის რომ არ ეშინოდა, უსახელოდ დამარცხდა, თანც მამინ, როცა მოზნს სამი მეტრისა ამორებს. ჩანჩქერის ქვეშ მოკუნტული კლდეს ავგრა და ბრახით სავსე, უსუსური, მის ცხოვრებაში პირველად ტირის...

„განა ამის შემდეგ კაცი ხარ?!“ გამოსცრა

კბილებში — ხელებმა იმ დროს გილალატეს, როცა შენს ხელთ მარტუხ-ბაშისა და ამხანაგების ბედი იყო. ხელებმა გილალატეს, როცა მირზას ბრძანება უნდა შეგესრულებინა... ო, მამაჩემო, შენ უკან არ დაიხვედი, არა მე კი მე...“

ფრჩხილებს იმტვრევს, კბილებს აღრქვიალებს და მანში გაბმული მხეცივით, ბღაის. „მჭინვარება ეუფლება.“

„მე შენი შვილი ვარ, მირზა.“ აღმოხდა თითქმის გონდაკარგულს და გამშავებული კვლავ „ავაზას“ ემსგავსება, თითებდასისხლიანებულ ავაზას. მისი თვალები ავაზასეით ანათებენ.

წაპით შეიკუმშა და წარმოდგენილი სიშმაგვით ზემოთ აისროლა სხეული. თითებს აღარ ენდობა, შეერილს ნიკაპით ებღაუჭება. იდაყვებსა და მუხლებს იშველებს, სხეული ფრიალო კლდესა და ზედა კარნიზს შორის რომ ატანოს როგორც იქნა დაიმორჩილა კლდე უნაგირივით მოაქდა, მძიმედ სუნთქავს. აი, ისიც, მტრის ბუნჯი, რომლისკენაც თითქმის ხელი საათის განმავლობაში მიიწვედა „ავაზა“. გარკვევით ესმის უცხოური ლაპარაკი და ჯანს მოსზრიალუ ბგერები რადიომიმღებში... თანდათანობით ამწყვდის, რომ ვაშვებულ ხელების ტვივილი ასე დიდხანს და უღმერთოდ რომ სტანჯავდა, აღმართზე დაუამდა... მთიელი მტაცებელ მხეცს დაემგვანა, მსხვერპლზე დასაცემად რომ ემზადება. თვალის გუბები ვეგარვარებულ ფოლადს რომ მიუგავს, სინაფის ცისფერ ნაკადს აფრქვევს.


„ავაზა“ უკან, ფრიალო კლდეზე ფრთხილად აბაშს მარუყუცს და მის ბოლოს ქვემოთ ეშვებს. მეორე გორგალს წელზე იყრავს, ჯიბეებში ქუქრებს იჩრის, ნელა დგება და მოქნილად ახტება შეგირის...

„მირზა, ეკაოფილი ხარ? სულ სდუმხარ, თავი დამიქნე, რაღას... მტერი ერთია: ისიც, ზურგში რომ გესროლა და ესეც, დაუბატიყებლად რომ მობრძანდა მარტუხზე და ზემოდან რომ ისერის... შენი სისხლი ავიდე და კიდეც ავიღებ, სანამ ვიციცხლებ, სანამ მთაში მტერი იქნება... ხომ შევიმსებუქდა, მირზა? თავი დამიქნე!“

— მერაბ, ვის ელაპარაკება შეზე, ილიმება! — ალბათ თავის ალას ევედრება, ხელს ნუ შეუშლი, კამილი... შენ კი გრიშა, გაიკვ ერთი, რა მოხდა მარტუხ-ბაშზე?

— მთელი გზა ვეკითხებოდი, ვცდილობდი გამომეტყუა, თორიდე სიტყვა ძლიეს ამოვგლიჯე! რაც მართალია, მართალია, ნამდვილი „ავაზაა!“ უკუნეთ წყვდიადში ციკაბო გზით მთის თხემზე ავიდა, მხევრავს პირი აუხვია, ხრამში ჩამოავლო, მხეცივით დაახტა ეგერებს, ტენტის ქვე, ბანქო რომ გაეშალათ. უხმაუროდ მოივლო ილიაში, ერთი მთაშით, მეორე თოკით შეერა, უღსკრულში ჩამოეშვა (ყოველ წუთში რომ მზად ყოფილიყო ჩამოსასვლელად) ცხადია, ქალღმებრიანი ჩანთა და სურსათიც წაპოილი... შემდეგ გადაწყვიტა მეზობელ სატყვიამფრქვევივით შეეხება, მაგრამ ქვის ფილების გროვაში საიდუმლოს წააწყდა. დაიწყო სროლა და თავშესაფარში გერმანელი მსროლელები ფეხზე წამოყარა. კიდეც კარგი, „ავაზა“ ხელოდან დაუძვრდა. კლდის ნაპრალებში აპირებდა მოცდას, მაგრამ პროექტორი მიანათეს... მაშინ იყო, ყუმბარა რომ მოისროლა, ალბინისტებიც მიეშველნენ მტერს და ხელის ტყვიამფრქვევით დაეშვენ თოქის კიბეზე. იარაღები მათაც ყუმბარებთ მიესალმა. მარტუხ-ბაშის ქვეშ შემჭვრალი ფაშისტების ბზიკები ააფორიაქა. შეაშინა, ვისი ვასრესაც შესწლო, ვასრისა, ჩვენებს მათი დისლოკაცია გაუგო და ვითომც არაფერი მომხდარაო, ისე დაბრუნდა. თითქოს არაფერი გაეკეთებინოს... — უა, გენაცვალე! მე მითხრა ზევით ძლიეს ავედიო... — იციო, ამხანაგებო, ხელის გული ძვლებამდე დაფლეთილი აქვს... — შეხევეა მინდოდა, მაგრამ თავიდან მომიშორა... სულ სხვა კაცია.

„ავაზა“ კი ჩვეულებრივ იჯდა, კლდეს ზურგით მიყრდნობოდა და ხელები მუხლებზე შემოერტყა. იჯდა და ფიქრობდა თავის წმინდანზე, თვალის აცილებდა მთვარიან ღრუბლებს, რომლებსაც უკან, მსუბუქი ნაბიჯით მისიდედა ჩრდილი... ნათელ ღრუბლებში ისმაილი ახლობლების სახის ნაკეთებს აცნობდა... მებრძოლ მეგობართა აჩრდილებს, სამუდამოდ ახალგაზრდანი რომ დარჩნენ. და ბავშვური გულბრყვილობით სწამდა, რომ მისმა ბრძოლამ და მურისძიებამ მისი სასუფეველი დღეს ისევე ნათელი და მსუბუქი გახადა, როგორც მთვარის შარაყანდღმა — მარტუხ-ბაშის ღრუბლებში...



წ ე რ ი ლ ე ბ ი

ლავროსი ქალანღაძე

ერთი ნაწარმოების სულიწკვეთებისა და მისი გენეტიური სათავეს გამო

თუ ოდესმე იმის მტკიცებას, რომ საქართველო უპირატესად პოეზიის ქვეყანაა, რაიმე საფუძველი გააჩნდა, დღეს ეს საფუძველი უდავოდ აღარ არსებობს. იქვე არ არის, რომ თავისი დროის ქართული სამყაროს ტსთეტიკური ათვისების თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსანს“ ბაღალი არ მოეპოვებოდა. შესაბამის დროთა პოეტური ანარქიის თვალსაზრისით თითქმის იგივე ითქმის ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვეკას შემოქმედებაზე. იქვე არ არის, რომ მათს დროში სხვა ქანრი მხარს ვერ უსწორებდა მათ პოეზიას. მაგრამ, ჩემი აზრით, ეს აიხსნებოდა, უწინარეს ყოვლისა, თვით მათი დროის და ამავე დროს თვით მათი ქვეყნის რაღაც განსაკუთრებული ვითარებით, განსაკუთრებული ნიშნით, უკეთ ვთქვათ, ჩვენი ქვეყნის განვითარების გარკვეული საფეხურის შინაარსით.

ვფიქრობ, სადავო არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ მხატვრული შემოქმედების ყოველი ფორმა, მათ შორის ყოველი ქანრიც, არსებითად იმ მოთხოვნებით არის განპირობებული, რომელთაც ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული განვითარების შესაბამისი საფეხური წამოაყენებს ხოლმე. ამა თუ იმ შემოქმედს, შესაძლოა, კიდევაც ეგონოს, რომ თვითონ პირადად სრულიად თავისუფალია თავისი შემოქმედების გვარობათა თუ ფორმათა არჩევანში, რომ მას პირადად დროისა და გარემოებისაგან დამოუკიდებლად მოაქვს თავისი საკუთარი, პიროვნულად განუმეორებელი მხატვრული სამყარო. მაგრამ ეს მხოლოდ ილუზია იქნება. რასაკვირველია, ყოველ დიდი და ქემპარიტი მხატვრული შემოქმედება ინდივიდუალურად განუმეორებელი და განსხვავებულია. მაგრამ იგი არავითარ შემთხვევაში არ არის შემთხვევითი მოვლენა. მას უამრავი ფესვი აქვს გამ-

დგარი ქვეყნისა თუ ქვეყნიერების ნიადაგში... ამიტომაც გულდაგული შემოწმებისას აღმოჩნდება, რომ ყოველი ცალკეული შემოქმედის „საკუთრებას“ ყოველთვის ჰყავს არა მარტო ისეთი უცილობელი მოზიარე, როგორცაა დრო, ეპოქა, არამედ სისხლბორცეული სულიერი წათხსავებიც. გინდა არ გინდა, არა მარტო დროის სულიკეთებაა დაეინებული მოკარნახე სულიერი განწყობილებისა (ზოგჯერ აშკარა და პირდაპირი, ზოგჯერ ჩუმი და შემპარაყი), არამედ უფრო შორეული და მალული ფსიქიკური, უკეთ ვთქვათ, სულიერი გენებიც.

სანამ ერთ გენეტიურ სათავეს შეეხებოდე, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი დროის ქართული ლიტერატურის განვითარებაში მრავალი საგულისხმო სახლე შეიმჩნევა. მაგრამ, ვფიქრობ, შევედებოდით, თუ ამ სახლეებს მხოლოდ სუბიექტური მიზეზებით ავსნიდით და მხოლოდ ცალკეულ შემოქმედებს ან მხოლოდ რომელიმე ერთ თობას მივაწერდით მათ.

რასაკვირველია, ყოველი ქემპარიტი შემოქმედი, როგორც ზემოთ ვთქვით, თავისი განუმეორებელი პიროვნული კუთხიდან აღიქვამს და გამოხატავს გარემოს, მოვლენებს. მაგრამ ეს სრულიადაც არ გამორიცხავს იმას, რომ ყოველ სახლეს მხატვრული შემოქმედების სფეროში, ისე როგორც საზოგადოების მთელი სულიერი ცხოვრების სფეროში, „საბოლოო ანგარიში“ განსაზღვრავენ და განპირობებენ თვით საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ძირითადი ტენდენციები, თვით ეპოქის სიღრმისეული მოვლენები.

ყოველ შემოქმედების პროცესსა თუ მოვლენას, რა განუმეორებელიც და განსხვავებულიც უნდა იყოს ის, ალბათ ყოველთვის შეესაბამება დროისა და ქვეყნის გარკვეული სუ-

ლიერი ატმოსფერო, ხალხის, საზოგადოების, ერის სულიერი ცხოვრების გარკვეული თუ განსაზღვრული ვითარება. საბოლოო ანგარიშში ყოველი ეპოქა თავის განსაზღვრულ სულიერ-ესთეტიკურ, უკეთ ვთქვათ, თავის განსაზღვრულ მხატვრულ ამოცანებს სახავს. და, მე მგონია, თვით უღიღესი და განუყოფელი გენიოსიც კი ვერ გადააბტება თავისი ეპოქის შესაძლებელ საზღვრებს, ვერ გადასწყვეტს ისეთ მხატვრულ ამოცანას, რაც მის დროსა და მის ქვეყანას არც კი დასიზმრებია. თავისი დროის გასწვრივ დაღ შემოქმედს მხოლოდ იმდენად შეუძლია, რამდენადაც შესძლებს თვით ამ დროში ჩასახულ მომავლის მიკვლევას.

* * *

ვიტარობ, ქართული ლიტერატურის ყოველი გულწრფელი მოყვარულისათვის არ შეიძლება სასიამოვნო არ იყოს ის ფაქტი, რომ ქართული მწერლის — ნოდარ ლუმბაძის სახელი შორს გავარდა და გახმაურდა. თუმცა უნდა ვთქვა, რომ გახმაურება, რასაკვირველია, ლიტერატურული ნაწარმოების ორგანულ, შინაგან თვისებად არ ჩაითვლება და, მაშასადამე, ყოველთვის როდეს გამოდგება მისი ღირსებისა თუ ხარისხის ნიშნად. მაგრამ ამ შემთხვევაში, ჩემი აზრით, გახმაურება შეესატყვისება თვით ლიტერატურული მოვლენის ხარისხსა თუ ღირსებას.

ცნობილია, რომ ნოდარ ლუმბაძემ — ქართული მწერლობის იმის შემდგომი თაობის ერთ-ერთმა ფრიად თვალსაჩინო წარმომადგენელმა — მწერლობა პოეტური დაიწყო. და, მიუხედავად იმისა, რომ დღეს თითქმის ირონიულადაც კი იხსენებს თავის პოეტურ წარსულს, იგი ურთივო ლექსებს როდეს წერდა... მაგრამ, როგორც ჩანს, ის ცხოვრებისეული მასალა, ის სულიერი გამოცდილება, რაც მწერალს სათქმელად დაუტოვდა, მოითხოვდა სხვა ენარს, სხვა ფორმას. თუმცა ნოდარ ლუმბაძის პროზა ახლოსაა მთავრისთან, უკეთ ვთქვათ, იგი არსებითად პოეტური პროზაა. ამ პროზის ზოგიერთი ნაკვთი თითქმის მართლაც თვითი ლექსია, სავსე რაღაც განსაკუთრებულ ლირიზმითა და პოეტური მღვდვარებობით. შეიძლება ითქვას, რომ მწერალი თავისებურად აგრძელებს ქართული რეალისტური პროზის, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოეტურ-ლირიკული ნაკადის კარგ გამოცდილებას. ჩემს ახლანდელ შეფასებას, რომ სადღაც მის ნახელაში იგრძნობა რაღაც შორეულად ნათესავური ქოლა ლომთათბის მოთხრობების ლირიკული ინტიმურ ინტონაციასთან. ნოდარ ლუმბაძისათვის უფრო დამახასიათებელია სახე-განცდა ანუ მღვდვარე ლირიკული დამოკიდებულება, ვიდრე სახე-შვრება, ანუ გულშემაღლ ეპოური დამოკიდებულება ქვეყნისადმი. რასაკვირვე-

ლია, ამ უარესად პირობით ცნებებში მხოლოდ აქცენტებს, მხოლოდ ნიუანსებს ვკულისხმობ და პირადად მე არავითარ გარდღეულ ზღვარს არ ვაგლეზ ხელოვნების ემოციურ და ინტელექტუალურ მხარეებს შორის.

გარკვეული სოციალურ-ისტორიული კანონზომიერებანი, რასაკვირველია, მხატვრული ლიტერატურის განვითარებაშიაც მოქმედებენ. ამ კანონზომიერებათა ძალით განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე, ქვეყნის მდგომარეობის შესაბამისად, ხმარებიდან გამოდიან ან უკმარისი ხდებიან სამყაროს მხატვრული ათვისების ესა თუ ის. ფორმები, ხერხები და საშუალებები (ზოგადი კანონზომიერება, რასაკვირველია, არ გამოირჩევა „შემთხვევითსა“ ანუ პიროვნულსა და განუყოფელს). ლირიკულ-პოეტური პროზა კი ჯერ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მიეკუთვნოს უკვე ყველგასულ ფორმებს. პოეტური პროზა, ისე როგორც მელიოდურ-ლირიკული ლექსი, ჯერ კიდევ რჩება (და ალბათ დიდხანსაც დარჩება) თანამედროვეობის მხატვრული ათვისების საკმაოდ მარჯვე და ტევად ფორმად. ამის თვალსაჩინო და დამაჯერებელ მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ ნოდარ ლუმბაძის შემოქმედება. ამ მწერალმა ქართული ლიტერატურაში უეჭველად მოიტანა რაღაც განუყოფელად თავისებური, მოიტანა გულიან სიცილეში გადასვალა კეთილი ღმილი, სიკეთისა და კაცთმოყვარეობის თავისებური განცდაც და, თუ გნებავთ, დიდი ტიცილის განსხვავებული გრძნობაც. მწერალმა კეთილი და უშუალო პურობით წამოიწყა ჩვენი საუკუნის შუახანის ახალგაზრდა ქართველი კაცის ისტორია. ეს ახალგაზრდა კაცი — თავისი დროის საკმაოდ გრძნობიარე ნერვად ქცეული — მწერლის ერთი ნაწარმოებიდან გადადის მეორეში, მესამეში და ასე უშეწყვეტად ეყვარება თავისი წლები თითქმის ყოველთვის დასუსხულია რაღაც მწარე ხვედრით, მწარე თავგადასავლით. თუ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“-ში იგი ღეთისპირიდან გადავარდნილი ზურციკელა ვაშლომობია, „მე ვხედავ მზე“-ში ენაკვიმბატი სოსოია მამალაქია, „მზიანი ღამე“-ში თემურ ბარამიძე, „ნუ გეშინია, დედა“-ში ავთო ჯაყელი და ა. შ. — ეს ახალგაზრდები, როგორც ხასიათები, როგორც სოციალური ტიპები, არსებითად თითქმის ერთმანეთის ორეულეობა თუ ერთმანეთის გაგრძელება.

მოდ, მივიხედოთ მათი ცხოვრების სათავეებისაკენ, გავვეთო მათ მათს გარემოში, შევიხედოთ თუნდაც დღევანდელი გურიის ზოგიერთ ნაცნობ სოფელში. შეიძლება ჩვენ იქ გადავყვაროთ ნამდვილ ილიკოს, ილარიონს,

ლავროსი ქალანდაძე
მთიი ნაწარმოების სულიერკავთებრის
და მისი ბენედიქტოი სათაპის ბამო

ბებია ოლღას, მამიდა ქეთოს, მერის, ხატიას (შესაძლოა, ის ყოველთვის ბრმა არ იყოს), ბაბილოს, ბუენას და თეთი ნაყაჩაღარ-ნადე-ზერტირალ დათიკოსაც კი. მართალია, ჩვენ შერთ, როგორც ლიტერატურულ პერსონაჟებს, უმთავრესად ომისა და ომისშემდგომ დროინდელ ფსიქოლოგიური რეაქციებით, განწყობილებებით და საქციელებით ვიცნობთ. მაგრამ გასაყვირი არაფერი იქნება, თუ მათი სულიერი თვისებების, ბუნებისა და ხასიათის აღმანიშნებს დღესაც შევხვდებით. კიდევ მეტი: ასე წლითაც რომ შეგვევლინო უკან დახევა, შესაძლოა, ილიაობებსა და ილარიონებს, ბაბილოებსა და მისთანებს იმ დროშიაც ვიპოვილით. ყოველ შემთხვევაში, ზოგჯერ ასე გგონია, რომ მე ისინი მინახავს წინათ, დიდი ხნის წინათ, მათი ლიტერატურული ცხოვრების დაწყებამდე. ალბათ, ასე ძალუძთ მომავლისაკენ ან წარსულისაკენ ვაჭრა რეალისტურ მხატვრულ სახეებს, მით უმეტეს, მართალ ეროვნულ ხასიათებს.

ჰოდა, დღევანდელ გურამივც ბევრი რამ ვგავსენებო ზურაველასა თუ სისოიას მიერ დანახულსა და განცდილს. ბევრ ენამოსწრებულ თუ ენაყინამტ კაცსა და ქალს შეხვდებით თქვენ აქ; იფიქრებთ, სწორედ აქ შეუსისხლხორცებით ამ ყმაწვილებს ბევრი რამე, მათ შორის თავისთავისაც და სხვათა და სხვათა ვაკიცხვისა თუ გასასწავლოების ხერხები... აქ შეხვდებით ბევრი რთული და ჩახლართული ბუნების პიროვნებებს, მაკვარანცხებს თუ მაკვარანცხი ხასიათის აღმანიშნებს რომ ეძახიან. სახელდახელოდ მაგონდება ერთი მთავანი, ქარმაივი კოლმურენე. მას არასჯობით არ უნდოდა კოლმურენეობის საწყობიდან მიეღო კუთვნილი სიმინდი — 400 გრამი შრომადღებზე. თურმე ნუ იტყვით, კოლმურენეობის დიდი წარმატება რომ აღენიშნა, რაიონულ ვაზეთის დაებეჭდა, ამ კოლმურენეობამ თვითიველ შრომადღებზე ორ-ორი კილოგრამი სიმინდი დაიარაკო. აღნიშნული კოლმურენე სრულიად დინჯად და ვაუცინებლად დასციინდა ტრაბახა ავტატორებს და დაეინებით გაიძიხიდა, მე შინდა ჩემი კუთვნილი სიმინდი რაიონული ვაზეთის რედაქციამ მომარწყოსო... ასეთ მაკვარანცხებს საკმაოდ შეხვდებით სუფისის, გუბაშოულისა თუ ბახვისწყლის ნაპირებზე, მართლაც, მთელი დედამიწის ზურგზე ამ ერთობ განსხვავებული, გემმაი და წყალანაკრა მდინარეების პირას, როგორც ჩვენი მწერალი იტყოდა ხოლმე. მარტო ის რად ღირს, რომ გუბაშოულს ნაფიცარაში (ასე ქება ერთ მიიან აღვადმდებარეობას ზემო გურიაში) უერთადევა კიდევ უფრო მშვენიერი კალაშა — ჩქერებისა და კამკამა ფირუზისფერი მორევეების ერთი გაბებული, თავბრუდამხვევი სიმფონია — ბუტბუტი, ჩქრაილი თუ სიმღერა, სიცოცხლის გასათავადე სულში რომ

გებულებათ. აქ, ახლომახლო სოფლებში ილიკოსა და ილარიონის, ტრლებისაგან, ან უფრო ხნიერებისაგან, ან უფრო ახალგაზრდებისაგან, ან მათი შთამომავლებისაგან ათასნაირი უცნაურ ამბებს გაიკრებთ.

ამას წინათ ერთმა აქაურმა ხანდაზმულმა კაცმა, კროლა თვალეში ეშმაკური დროში რომ უთამაშებდა, იკვმიტანელ მართალ ამბად მოგვიყვა:

„ჩვენი კალაშა პირდაპირ სახლპარო მდინარეა. რამდენი დაუეწყარი წუთი, რამდენი მღელვარება განვიციდა მის ნაპირებზე თუ მის ჩქერებში. ვამბობთ ჩემს ერთ თავადასავალს, რაც შემემთხვა ამ მდინარეზე. თითმეტ-ხუთმეტი წლისა ვიქნებოდი, როცა ერთ ზაფხულს დღეს რამდენიმე ჩემ ტოლ ბჭთან ერთად სათევზაოდ წავედი კალაშაზე. არც სასროლი ბადე გვეონდა და არც ანეკსები, ხელით უნდა გვეთევზავა. შევედღეით საჭმელს, ლოდებს ქვეშ ხელს ვყოფთ და ვეძებთ იქ თავმეფარებულ თევზებს. ავერ ვხედავ მდინარის შუაგულში უშველგებელი წითელი ლოდი ძეგს და ზედ ძლიერი ჩქერი ვადექუს. ლოდის ძირში წყალი თითქოს დღეს; მერე ინარება. მე იმ ნარწყალში შევტრევი. შინდა ლოდქვემა ღრუში ხელი შევყო და მოვსინჯო, კალმახი ხომ არ არის შივ ვაწოლილი. მაგრამ ლოდის ახლოს ჩქერში დიდ სიბზ ხის მორს ვავეყარი. მორი ორი მეტრი მაინც იქნებოდა. იგი თითქოს გაქანდა და წინ გაიწია, მერე ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა. მეუცნურა. წყალში თავაღახელიდა ჩავეყინეთ. ვხედავ, დიდი სიბზი მორი ფართო წითელ-ყვითელი ფორეკებით არის მოხატული. წყლიდან ზემოთ ამოვცურდი, სული მოვითქვი და ისევ ჩავეყინეთ. ფორეკებიან მორს ხელი მაგარად მოვხედავ, იგი ისევ წინ გაიწია. ბიჭვდი, რომ ეს ორმეტრიანი კალმახი იყო (ჩვენი ამბობენ: კალმახი ძალიან რომ ვაიზრდება, ორაგულად გადაიტყევაო). თავი ამოვყავი, სული მოვითქვი და ბიჭებს ვაძახებ, — მიშველეთ, ათფუთიანი კალმახი არის ვაწოლილი. ავერ წითელ ქესთან-მეთქი. სიცილი დამაყარეს, იქნებ ღორჯოა მაგი შენი კალმახიო. რაღა მექანა; მე ისევ დავეყინეთ, ჩემს უზარმაზარ თევზს ლაყუნების რაკლები მოვუძვინდეთ. თითებით გაუესენი, ხელები ლაყუნებში ჩაგავლე, ზურგზე გადავაყვი და თავი წყლიდან მაღლა ამოვწიე. ამ დროს კალმახი გაქანდა, გაქანდა საარაკოდ, თვალის დახამამებელი ერთ აღაჯზე გამიტაცა ზევით, ჩქერებსა და ლოდებში. ერთხელ კიდევ ვუკვილე ბიჭებს. მაგრამ რაღას ვაგავონებდი. ბელარის ფაფარში ხელჩაველავდ მოქირითესავით მიმაქროლებდა უზარმაზარი კალმახი სულ ზევით და ზევით, მადგაფუნებდა ჩქერებში, მაყურებულავებდა მორევეებში. მუხლები და წვიკები სულ დამეჩევა. ლოდებზე და სიბზებზე მიხეთ-

ქებით. თავი სულ ამოღებულნი მქონდა, ხე-
ლები კი უფრო ღრმად და ღრმად შემქონდა
თევზის ლაყურებში, ვმავრობდი, მაგრამ ახლა
უფრო შიშით, ვიდრე ვეცაცობით. გავცდილი
თხემლარას, წიფნარას, წყაენარას და მივადე-
ქით, საოცარ უხეტომს. დედამაფის ზურგზე
ორი თვლი უწყეთი და უმშვენიერესი ვერა-
ფერს ნახავს. ერთი პირობა კიდევაც გადამა-
ვიწყდა, რომ კალმახის ზურგზე ვარ ვადამ-
ყდარი და სადაც მივექრებოვარ. ვხედავ, ოცი-
ოდცახუთი მეტრის სიმაღლის პიტალო კლდე-
ზე ქაჩის ქალის თმასათუ. ვადმოკიდებულა
კამკამა მდინარე და გუგუნით ეცემა კლდის
ძირას. ირგვლივ კი ერთი ქვეყის სიფათოთე-
ზე თეთრი მხეფებიან ბურუსი დგას. მხეფებ-
ში ბევრი წყრილი თუ მსხვილი თევზი ხტება
მალა, ალბათ უნდათ ვადმოკიდულ წყალს
ყუენენ ზევით. მაგრამ ნურას უეცარად...
ჩემმა კალმახმა კი არც აცივა, არც აცხელა და
მედგარად ამატურა ვადმოკიდებულ ჩქერში.
კლდის ასათავში თითქოს ცოტა ვაუქირდა,
სრბოლა შეანელა (ვიფიქრე, ვათავდა ჩემი
და ჩემი კალმახის დედა და მოსწრება-მეთქი),
მაგრამ მაინც აიტანა წელი და ერთი მომტრო
მორევში შემავტურა... ასე ამაქენა წყალ-წყალ
ჩემმა კალმახმა ოცდახუთ-ოცდაათი კილომეტ-
რის მანძილზე. უცებ გული ამირყუდა და გუ-
ნებში ვთქვი: — ხედა შეიძლება აწვალო და
მოულა საოცარი სულიერი, ვინაც ასეთი მწე-
ლი, ხიფათიანი, მაგრამ შესანიშნავი გზა გა-
მოგატარა, ასეთი მომხიბვლელი სილამაზე ვი-
ჩვენა-მეთქი? თევზის ლაყურებიდან ხელები
ვამოვივლე, იგი უშალეუ ვაპარდა და ზურვიდან
ვადმომავტურა.

— მშვილობის გზა გქონია-მეთქი! — მივა-
ძახე.

— შენც ღმერთმა ხელი მოვიმართოსო, —
მომამახა თითქოს...

მივიხედ-მოვიხედე. ვამახსენდა, რომ უხ-
ტომის მიდამოებში ჩვენებური დედაგეები იყ-
ვნენ. მათ საძებრად ვაცსწივ დედამოხილამ.
მაგრამ ვაის ვავეყარე და უის შევეყარეო.
ავერი, ვხედავ ჩემსკენ მოაპირებებს უხარამზარი
დათვი. შიში მიჩვენე, ვაქცევას ვიჩვენებო
ვაჭრეო უგზოუკვლოდ, ლიწინ-ლიწინით.
კარგა წინს შემდეგ ვულამოვარდნილა უქან
მოვიხედე, მაგრამ ვაი ჩემს დღეს, ვხედავ
დათვი მიწვევა. მოვიკრიბე ძალ-ღონე და შურ-
ღღლივით ვაგქანდი. მაგრამ, კიდევ ვაი ჩემს
დღეს და მოსწრებას, ამას რას ხედავს ჩემი
თვლები: წინ ჩაუფსკრულებული ხრამია, ასი
მეტრი მაინც იქნება მეორე ნაპირამდე. უფს-
კრულში ჩავიღწეო სკობას, ვიდრე დათვი
ადამგლოჯოს-მეთქი. — ვავიფიქრე და ვაია-
ხტი: ვატყობ, სადაც ვჭურღმულში ვვარდ-
ები, მაგრამ უცებ ძალა მოვიკრიბე, პაერში
ავიწიე და წინ ვადავებტი, მაინც უფსკრულში
ვვარდები, კიდევ ავიწიე პაერში და კიდევ ვა-

დავებტი, ახლა ვატყობ შუა უფსკრულში ვვარ-
დები, კიდევ ავიწიე მალა და კიდევ ვადავ-
ებტი, პაერში ასე ხტუნვა-ხტუნვით, როგორც
იქნა, ვადავებტი ხრამ-უფსკრულის მეორე ნა-
პირზე; უქან, ვადმისაკენ ვავიხედე და დავი-
ნახე პირშიჩალავამოვლებული დათვი ხრამის
პირას უქანა ვეხებუე შემიღვარიო და წინა
თათებთ თითქოს ტარს მეკრავდა.

— ავაშენა ღმერთმა, — ვავძახე, — სადაც
შენი თქვა, ჩემიც ნუ დაგავიწყდება-მეთქი.

მგონი ვამომახას: — კარგო...

მერე ბევრი ვიხეტიალე ტყე-ღერში და
ბოლოს, როგორც იქნა, მივადწიე მეგოგეების
კარვებამდე. პიზელად ტყის კაცი ვგვონე
ჩვენებურ მწყემსებს და ტყეა კინაღამ მკრეს.
მაგრამ მალე მიცნეს, ტანზე რაღაც ძველმა-
ნები ჩამაცვეს... მესამე დღეს კი ერთი კოთ-
ხო კარაქი და ათი ცალი ჰყინტი სულგენი მა-
ჩუქეს და შინ დამამარუნეს*.

ამ ამბის მომყოლი ხანდაზმული გურული
საკმაოდ ნაყოხი კაცი იყო. მან ანა კალანდა-
ძის ბერი ლექსი იცოდა ზეპირად; რამდენიმე
ლექსი კიდევაც წარმოთქვა თავისებურად, ვან-
საკუთრებული გრძნობით წაითხა „შორისი
თამარ“ და „ომარ ხაიაშ“... პოეტი ქალის დი-
დი ქება თქვა, მოიგონა მისი ბებია ანა, ბაბუა
ანანია, მამა პავლე, დედა მინია, მამიდები ნა-
რო, ფოცია, ვარო, ბიძები — შოთა, ნესტო-
რი... მერე ნოდარ ლუმაბაძის მშობლებიც ვაი-
ხსენა; მისი პერსონაჟები და მათი პროტოტი-
პებიც დაასახელა... ზურგიელა ვაშლომიძეზე
და სოსოა მამალაძეზე თქვა: „კარგი ბიჭებია,
ბევრ სასაცილო რამეებს ვეიყვებიან, ბევრს
ვავიცინებენ, თუმცა სამწუხაროც საკმაოდ
არის მათს მონათხრობში... ისინი უქველად
კარგად იცნობენ ამ ჩვენს მხარეს, ჩვენებურ
კაცსა და ქალს, მართალიც დაეკრებოთ და
ზოგჯერ ტყუილიც კი... მაგრამ სოსოა რომ
ამბობს, წვერამ, ტომმა და ქაშაშმა დაბოლა-
თება იცისო, მგონი, მთლად მართალი არ
არის. წვერამ კი იცის დაბოლათება, მაგრამ
ტომისა და ქაშაშის ბოლათი მე არ მინახავს
და, მგონი, არც არავის უნახავს. არც იმაშია
მართალი სოსოა რომ ამბობს, დედალი ჩხარ-
თვი ვალომბაო. ჩემი დავიკრებით, დედალი
არც ჩხართვი, არც შაშვი და არც თვით იალო-
ნიც კი არ ვალობს. ვალობენ მხოლოდ მალე-
ბი — წითელნიკარტა შაშვი, დედალთან შე-
დარებით უფრო ეანგისფერი წიწყკლებით
ვულმოხატული ჩხართვი, უფრო მუქ-ნაცარა
იალონი...“

ბრემიც რომ სხვას ამტკიცებდეს, ეს გუ-
რული ბერაკიც ალბათ იმასაც ვაეკამათებო-
და. მაგრამ ვანა საოცარი არ არის, რომ კაცი,

ლამროსი კალანდაძე
მართი ნაწარმოების სულიანკვეთებისა
და მისი გენეტიკური სათავის ბაპი

ენც კალმახზე გადაშვარდა ოცდახუთ მეტრონიან დაკიდული ჩქერი აიჭირითა ან ასი მეტრი მანძილი ჰაერში ხტუნვა-ხტუნვით განვლო, ასეთ ჩაიკრიკტებულ სიხუსტეს მოითხოვდეს? თუმცა მისთვის რომ გეყოთათ, ალბათ გეტყვოდით, ერთია სურათის გაძლიერება, გამაძვრება, გაუფხობება და სხვა არის აშკარა უზუსტობა, აშკარა უსწორობა...

განეაგრძობთ წილადობილა გენების ძიებისა. თუმცა გურია აუხაზეთივით არ არის განთქმული სიცოცხლის ხანგრძლივობით. მაგრამ გურის ბევრ სოფელშიც — საღმე სუფისს, გუბაზოულის, ბახვისწყლის, ბუქუის ან გურისის რომელიმე სხვა პატარა მდინარის პირას შეხვდებით თითო-ორილა ას წელს მიღწეულ, ზოგჯერ ას წელს გადაცილებულ მოხუცებსაც კი, ჯერ კიდევ საკმაოდ მაკაგებსა და ჭკუა-გონებიაანებს, სასაიმოვნო მოსაუბრეებსა და მოამბებებს. ერთი მათგანი თითქმის უკვე ას წელს მიღწეულ, მაგრამ ვასაოცრად ფხიზელი გონებისა და ენაწყლიანი კაცი ამასწინათ გვიცინა. დავმეგობრდით. მან მიაშინა თავისი თავგადასავალი: „წისქვილის ქვა არ მობრუნებულა ჩემს თავზე, სხვაფერე კი ყველა ქარცეცხლი და ჭოჯობითი გამოვლია. შეიდი ძმა ვიყავით; ყველა ახალთაობას ევეუთვნოდით. დედაჩემი ივლიტაც არამეტუ ჩვენი მიმღევიარი, არამედ თითქმის მოთავეც კი იყო... ჯერ იყო და ნიკოლოზის ჩამოგდებას შეველიეთ ძალდონე... ერთხელ ჩემმა უფროსმა ძმებმა — მქედლებმა — გიგომ და აბესალომმა — წითელ პარასკევს სამქედლოში, გზის პირას სუფრა გაშალეს და ქვეყნის დასანახად შექამეს შემწვარი გოჭი... მაშინ ეს პირდაპირ დიდი ბუნდი იყო... სამონა მღვდელმა მაშინ თურმე კიდევაც გადასცა ხატზე მთელი ჩვენი ოჯახი, ანტიქრისტეები და ურჯულეები გვიწოდა... ამის შემდეგ დიდი დრო არ გასულა, რომ „სტრატეიკებთან“ ერთი შეტაკების დროს ზელფებიან მუხასთან მოგვიტლეს ერთი ძმა — კვლდსავით ვეკავი — აბესალომი. მისი დასაფლავებაც აჯანყებას ჰგავდა... მაღელ სამმა ძმამ — გიგომ, ვარდენმა და მე — ნასაქორალის ჩასაფრებამაიც მივიღეთ მონაწილეობა. მაშინ თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ბიჭი ვიყავი. საჩუბათო გზით საქმელ-სასმელი მიქონდა წითელ რაზმელებისათვის... ბოლოს მაინც დამარცხდა ჩვენი რევოლუტია. ეგზეკუტითი ჩამოგვიყენეს — ინგუშები, ოჯახი აგვიწიოკეს. ძმები ნაქალაქევის ტყეებში ვიმალებოდით... ორი ძმა მაინც დაიპირეს და გააციმბირეს. მე შემთხვევით გადავარჩი. არალეგალურ ორგანიზაციის განაგრძელებაში ვიყავი, როგორც ტერორისტი. მხოლოდ ერთი კაცის მოკვლის ცოდვა მაღვეს, ისიც საზიაროდ. მასწავლებელი იყო, არალეგალური ორგანიზაციის ერთობ. მიზლიომებული და საქმიანი წევრი, თურმე მსხვილი ჯამელი იყო. ბევ-

რი კარგი ვეკავი ჩიუვლო ხელში პოლიციას. მათ შორის ჩემი ძმებიც. ძალიან ფრთხილად მოქმედებდა, მთელი დასავლეთ საქართველოს არალეგალური ორგანიზაციის ვეკემას აპირებდა. იქვემოტანებდა რომ დავრწმუნდით მის ჯამუშობაში, გადაწყდა მისი მოკვლა. სამ კაცს დაგვეტლეს სა საქმის შესრულება. ფრიად საიდუმლო პირებთან შეხვედრის საბაბით ვეკავეთ სატურიას ტყეში. თოფისა თუ რევოლვერის გასროლა არ შეიძლებოდა. ყველა სოფელში ვეგავეთ იღვა — ინგუშები და კახაკები. ტყის სიღრმეში რომ შევიყვანეთ, დამეკდა და უკან გამოქცევა დააპირა. სამთავე ვეკით, მაგრად გაიბრძოლა, კინადა გავვექვა... ერთი დაბადლება კიდევაც მოასწარო... მაგრამ თოვი მაგრად წაუშუქრეთ ყელში... რალა ბევრი ვეგავრძელო, დავახრჩვეთ... კარგა ხანს ეთხრიდით სმაარეს მალულად მოტანილი ბარები... შემზარავი ღამე იყო, ღრუბლიანი, ჯანდიანი, უმთვარი... მოხდა საშინელება. საზარესთან რომ მივათრიეთ, ერთი საზარლად ამოხხრტიანი და მკლავები აქეთ-იქით გადაყარა... სამთავე კინადა შევიშალეთ... ჰეპ, სასტორია ასეთი საშინელების ვახსენება... ჩემი ორი ძმა უკვე ახლად დაწყებულ პირველ მსოფლიო ომში იყო წყავანილი. მე კი ორ ფირალიან ერთად ხან ერთ სოფელს ვეფარებთ თავს და ხან მეორეს, ხან კი — ტყედრეს... ერთ ადგილს ჩვენი ჩაფრების დიდი რაზმი დაგვესხა თავს. ალბათ ვილაცამ გავცა. ატყდა ძლიერი სროლა. სულ დაცხრილეს ერთი სამზადი ფაკეა, რომელშიაც შემწვადული ვეგვრონი ჩვენი კი შორი-ახლო ბუჩქებში ვიყავით გაწოლილი. თოფი არ გავვისროლია, საჩუბათო ბილიეთ ვაპირებდით ვაქცევას... თითქოს კიდევაც ვიყავით გასული სამშვიდობოზე, როცა ბრმა ტყვია დამეწვია და თქვის ძვალი დამომსხვრია. ამხანაგებმა მაინც ვამიტანეს სამშვიდობო ადგილას. ექვს თვეს ვიწევი ჩვენებური სააქციო ბოქაულის სახლის სხვერზე. ბოქაული ვერ გავცემვდა, რადგან ახალთაობის შურისხვევის ეშინოდა. პოლიცია კი მასზე იტვს არ მიიტანდა. თვეში ორ-სამჯერ ღამ-ღამობით ჩემთან სამკურნალოდ მოდიოდა ჩვენი სოფლის ფერშალი — ახალთაობის კაცი. შესანიშნავი ვეკავი იყო. მოარზიყე. ქალები ჭკუას ჰკარგავდნენ მის გამო. სხვენზე ჩემი მკურნალობა ძლიერ ვაძნელდა. კრილობა საშიში ხდებოდა. გადაწყდა, სალადანი ტანისამოსი ჩაეკეთათ, საღმე ომის ახლობელ ფრონტზე გავეყვანეთ, რომ იქიდან ვითომ როგორც დაჭრილი სალდათი თბილისის ერთ-ერთ ლაზარეთში მოვეთავსებინეთ. მართლაც წამიყვანეს ჩემად ოსმალეთის ფრონტზე და იქედან როგორც დაჭრილი სალდათი მომიყვანეს თბილისში. მაშინ გოგირდის აბანოების ახლოს, მტკვრისპირას, ყოფილ ადელხანოვის ფეხსაცმელების ფაბრიკის შენე-

ბაში სამხედრო ლაზარეთი იყო. მე იქ მომავსეს და ჩემი თავი ჩააბარეს არალეგალური ორგანიზაციის წევრს, მოწყობის დას — ნატალიას. ეს ნატალია შემდეგ ჩემი მეუღლე გახდა; იქ შევიყვარეთ ერთმანეთი... ბევრი ვასაკური ვნახეთ, მაგრამ გავიხარეთ მედის ტანტის დამხობით. სოფელში ახალგაზრდებს წითელი ქსოვილის ნაკერზე — თეთრი ასეთები წეწერათ — „მრავალტანჯულსა ივლიტეს ეღირსა თავისუფლება“ და ჩემს მოხუც დედისათვის მეუკრათ ზურგზე. ცოტახანს მართლაც ბედნიერი იყო დედაჩემი. ვადასახლებიდანაც და ომიდანაც დაუბრუნდნენ შვილები. მეც თუმცა დაკოტლებული, მაგრამ ჯანმრთელი დავბრუნდი ჩემი ნატალიათი. უმცროსი ძმაიც კარგად დავგვხვად, უკვე საშუალოს ამთავრებდა. მაგრამ მალე დაიწყო დიდი განხეთქილება და დავიდარბა ჩვენს ოჯახშიაც კი: ორი ძმა ბოლშევიკი, სამი ძმა მენშევიკი და ერთიც ფედერალისტი იყო... რაღა ბევრი ვავაგრძელო, ღრომ თუ ქვეყნობებამ ისე მოიქნა ექული კი არა — ლახვარი, რომ დედაჩემი მაინც მრავალტანჯულად ჩავიდა საფლავში. მძათიან მხოლოდ მე შემოვარკი ქვეყანას. მოდლიო ცოტათი ვაწუ გავდქი და ვამთასკლას თითქოს მხედველობიდან გამოვარჩი. კარგი შვილები დამეზარდნენ — ორი ვაჟი, ერთი ქალი. სამივეს უმაღლესი განათლება ჰქონდათ მიღებული; შვილიშვილები კარგები გამოჩნდნენ... შერე კი ღრომ დავგარა ხელი. ჩემი ორი უმცროსი ძმა და ჩემი უფროსი ვაჟი მწარე დღეებმა თუ თვეებმა ისე შთანთქმეს, რომ ნაკავაღვიც არავინ იცის. ჩემს მეუღლეს მწუხარებამ ადრე ამოხადა სული, მე კი გაძალღებული ცას გამოვეკერე. უმცროსე ვაჟი ქერჩში მომიყვან დაწესებდა, სიმეც იქვე დამეტლუა. ომის დამთავრებამ თვეებია აქლდა, როცა სადღაც ბერლონის ახლოს დამეხვდა საამაყო შვილიშვილი — გმირი მფრინავი... ახლა დამრჩა ერთი ბედგამწარებელი, უკვე ხანში შესული ქალიშვილი — დამსახურებული ექიმი და ორი შვილიშვილი — ორთავე ვაჟი — ერთი ვაჟიდან, მეორე ქალიდან. უმაღლესი უკვე დაამთავრეს. კარგებია, მაგრამ ვინ იცის, წინ რა ბედი უფეთ... ახლა თქვენი იანგარიშით, ვინ ვარ და რა ვარ... ჩემი გრძელ სიცოცხლე ისე ჩამაღდა ხელში, სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგე, რა რისთვისაა ამქვეყნად... უკვე ოთხმოცდაათ წელს ვადაცოდლი და საცოკარი ის არის, ზოგჯერ მეჩვენება თითქოს ყველანაირი გუშინ თუ გუშინწინ იყო, კარგია და ავიცი, რაც თავს ვადამხდია... ხან კი მგონია, რომ ნამდვილი მათუხალა ვარ, ცხრასი თუ ათასი წლისა... ზოგჯერ პირვით. ასე მეჩვენება, ბევრი. ბევრი სულ თითქოს ხუთი ექვსი წლის წინათ იყო შვიდი-რვა. წლისას ტუბლად რომ ჩამეძინებოდა დღის მუხლებზე თვეობიბულს... თქვენ,

კი, ალბათ, გულში ფიქრობთ, რაებს ბოდავს ეს გადახუტებული ბერკაცი, ცას რომ გამოკერებია და სიკვდილს ადარ აბირებს... იქნებ, მართლაც ცას ვარ გამოვერბული... მაგრამ არის ერთი ყველაზე სწორი და მართალი სიტყვა ქართულ ენაში: წუთისოფელი. მე არ ვიცი, თუ არსებობს რომელიმე სხვა ენაში ასე მართალი და ამაზე მართალი სიტყვა... ჰაი, დედასა!“

ასე დაამთავრა ერთი თავისი მოგონება ჩემმა ახლადგაცნობილმა მოხუცმა.

მკითხველი ალბათ წარბებს ახიდავს და გუნებაში ვაიფიქრებს, რა კავშირი აქვს ამ წილადობილას განსახილველ ნაწარმოებთან.

მე კი მოგახსენებთ: ეს ერთგვარი წილადობილა გენებისა. თანაც საკითხავია: ყველამ ერთნაირად რატომ უნდა დავიწყოთ და დავამთავროთ ჩვენი სათქმელი ამა თუ იმ ლიტერატურული ფაქტის გამო? ნუ თუ არ შეიძლება ჩვენებურად ვეძიოთ შორსმომავალი ფესვები მხატვრული სიტყვისა?

აქ სადღაც გენებში ილანდება ცქაფი, ფიცხი, გონებასხარტი, ენამოსწრებელი, მოკრიბანჭული, მზიარული, მოკანყე, გულღია, სტუმართმოყვარი, მოუსვენარი, მოქვიონი, სვედიანი, მრავალჭირნაცადი, მსუბუქი, მზიმეც და უცნაური გურია. ეს, რასაკვირველია, იმას როდი ნიშნავს, რომ ეს თვისებები მხოლოდ ამ კუთხის ახასიათებდეს. აქ მხოლოდ ამ თვისებათა თავისებური შეზავებაა. და სწორედ ამ თავისებურების მძაფრია გრძნობა განსახლვარცა მწერლის ნიადაგობრივობას.

შეიძლება აღმავს, რომ მწერლის პირველი ერცელი ნაწარმოები — „მე, ბებია, ილიკო და ილირიონი“ ერთობ ლოკალური (გურული) წარმოშობის სეგდანარევი სიცოცხლის ხელოვნების მნიშვნელოვანი მოვლენაა... მაინც საკითხავია: რა რისაგან? თვით ადამიანები და ადამიანთა ცხოვრება არის აქ შეცნობილი თავისთავად სასაცილო მოვლენად თუ მწერალის ცდილობს დანახული და განცდილი აქციოს სასაცილო სახედ, სურათად, ვითარებად? შესაძლოა, ერთიც იყოს და მეორეც. მართლაც, საიდან ვარწმუნობა ქვეყნად ხურობა, სასაცილობა, რომ სადღაც და როგორღაც თვით ცხოვრება არ იყოს ხუმრობა, სასაცილო? ანდა კიდევ უფრო უფლებამოსილია კითხვა: ვინ მოიგონებდა დრამატულსა თუ ტრაგეკულს, რომ თვით ცხოვრება არ იყოს დრამატული და ტრაგეკული? ვინ იცის, იქნებ ხუმრობაც, სიცილიც თავდაპირველად ცხოვრების დრამატული თუ, უფრო მეტ, ტრაგეკული სიმძიმის შესასმუბუქებლად არის წარმოშობილი... ერთი რამ ცხადია: მწერალს კარგად ეხერ-

ლაპრონი კალანდაძე

ერთი ნაწარმოების სულიწაბთეობისა და მისი ბენედიქტირ სამთავის ბაშო

ხება წარმატებული სასაბჭოო ანგარიშს, სახეობად თუ სურათებად აქციოს არამართი ყოფაცხოვრების სხვადასხვა ვითარება, არამედ თვით თავისი ფრიალ-საყვარელი ადამიანები კი — თავისი პერსონაჟები. იქვი არ არის, რომ მწერალს პირდაპირ უახლოეს ნათესავურად უყვარს თავისი ზურგიკელი, სოსოიაც, ილიკაც, ილიაბონიც. ბებიაც, ხატიაც და სხვები — ეს ერთობ კეთილი, გულითადი და ენამხავილი ადამიანები. მაგრამ ისინი თითქმის ყოველ ფენის გადადგმაზე სასაბჭოო ანგარიშს ვინ იტყვის, რომ ცალთვალადაა საქმოდ მწერზე ხვედრი არ იყოს ადამიანისა (ცალთვალაა ილიკო, მეტე ილიაბონიც ხდება ცალთვალა), მაგრამ ეს ხვედრი ისეა „გათამაშებული“ ნაწარმოებში, რომ ჩვენ ვიცივით, გულთანად ვიცივით და ეს სიცილი თითქმის ახასტროს არ არის ამ ადამიანების ადამიანური ღირსების დამამცირებელი, მათი შეურაცხყოფელი...

...საქმოდ ხშირად მწერლის გონებამახვილობასა და წარმატებულ ხუმრობაში გახვეულია საქმოდ მწარე სიმატილე, ზოგჯერ მწარე ირონიაც, დღი ტყვილიც, საერთოდ კი სიკეთის მძაფრი გრძნობა და უზალო სიყვარული ადამიანების მიმართ...

შეიძლება ითქვას, რომ ჯერჯერობით მწერალი თავის ქმნილებებში მეტწილად უფრო ეთამაშება, ეხუმრება, ეხეღვრება ან მწარედ ესაყვარება ცხოველებს, ხატავს მას მეტწილად ლირიკული შთაგონებით, წარმატაც ფერადებით. ზოგჯერ კარიკატურულადაც, ზოგჯერ გროტესკულადაც კი... ამავე დროს მწერლის დამოკიდებულება ქვეყნისადმი, ადამიანებისადმი არ არის მოკლებული საქმოდ მძაფრ დრამატუზმსა და ზოგჯერ საქმოდ ღრმა ტრაგიკულ განცდასაც კი...

პირობითად, ძლიერ პირობითად ნოდარ დუმბაძის პროზას შეიძლება ეწოდოს პოეტურ-ლირიკული პროზა.

ყოველივე ზემოთქმული ერთგვარი გენეტიკური წილადობილია, რის წამმდგარება მე საჭიროდ ჩავთვალე იმ საუბრისათვის, რომელიც მე მქონდა ქართველ მწერალთა წრეში 1968 წლის თებერვლის ერთ საღამოს ნოდარ დუმბაძის „შპანი ლამის“ გამო. თავისი ჰუმანისტური, სულსკვეთებითა და მიდრეკილებით ეს ნაწარმოები მიმაჩნია ერთ-ერთ ფრიალ თავისებურ და საკულისხმო მივლენად.

ქვემოთ უცვლელად მომაქვს ყოველივე ის, რაც ამ ნაწარმოების გამო ვთქვი 1968 წელს.

გულწრფელად უნდა მოგახსენოთ, მე კარგად არ მესმის, თუ რატომ აუხიარდა ზოგიერთი ამ ბოლო დროს, ვთქვათ, ლირიკულ, პოეტურ პროზას. ჯერ ერთი, მე ვფიქრობ, ეს არის, უწინარეს ყოვლისა, მწერლის ნიჭის თავისებურების, მისი ინდივიდუალური სტილისა და ხელწერის საქმე... მეორეც, რასაც

ვირველია, არსებობს გარკვეული-ისტორიული კანონზომიერება, რომ განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე, ქვეყნიერების მდგომარეობის შესაბამისად, სწარებიდან გამოდინან, უმცარისი ხლებიან სამყაროს მხატვრული ათვისების ესა თუ ის ფორმა, ხერხები, საშუალებები. შესაძლოა, მომავალში — ზევ ან მასზე — უმცარისი გახლდეს ან სახე იცვლოს სინამდვილის მხატვრული წარმოსახვის ბევრმა დღევანდელმა საშუალებამ, ფორმამ, ხერხმა, მათ შორის პოეტურმა პროზამაც. მაგრამ დღეს არა მგონია, რომ ეს პროზა, ისე როგორც მელოდურ-ემოციური ლექსი უარსაყოფი იყოს, როგორც თანამედროვე ცხოვრების მხატვრული ათვისების საშუალება, თუნდაც როგორც ერთ-ერთი ელემენტი, შესარწყმელი სხვა ხერხებთან, სხვა ფორმებთან.

ამ მხრივ ჩვენში, საქართველოში, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, ფრიალ თვალსაჩინო და დამაყრებელ მაგალითს იძლევა ნოდარ დუმბაძის მთელი აქამდელი შემოქმედება, მათ შორის რომანი „შპანი ლამეც“.

ეს ნაწარმოები ისე, როგორც ამის წინამორბედი ნაწარმოებები მწერლისა, არ არის ფართო სოციალურ-ეპიური ტილო — თავისი ღრმა სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემეტიკით, ხალხის ცხოვრებისა და ეპოქის სხვადასხვა ფენებისა თუ შრეების ფართო სურათების ჩვენებით, ადამიანთა ტიპობრივ სოციალურ-ფსიქოლოგიური დახასიათებებით.

ნოდარ დუმბაძე არ არის ფართო-ეპიური ტილოების მხატვარი; აქამდე, ვგონებ, ამის პრეტენზიაც არ ჰქონია მას. ხოლო შემდგომ, თუ საით განვითარდება მისი ნიჭი, — ეს უკვე მომავლის საქმეა.

„შპანი ლამე“ ხელოვნებისა და მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით არსებობდა აგრძელება მწერლის ადრინდელ შემოქმედებას. როგორც ვიცი, ამ ნაწარმოებს არ ახასიათებს ისეთი მწყობრი სიუჟეტური ქარგა, რომელსაც ეწეობდა, ვთქვათ, რამე დამოუკიდებელი პოეტოლოგიური თუ მხატვრული დეურე ფუნქცია. მოვლენათა და ვითარებათა იმ კავშირის, იმ თანამიმდევრობის, იმ ქაჯვს, რასაც ჩვენ ჩვეულებრივ სიუჟეტს გუფრადებთ, ამ ნაწარმოებში არ აქისრია რამე მკაფიოდ გამოკვეთილი განსაკუთრებული მხატვრულ-თემატური ამოცანა. ნაწარმოების მთელი განვითარება არსებითად მისდევს თუ მიყვება მისი შთავაზი გმირის — ჩვენი დროის ახლავარსა კაცის — ქართველი სტუდენტის თეიმურაზ ბარამიძის თავგადასავალს, უკეთ ვთქვათ, მის სულიერ მოძრაობას, მის განცდებს, განსაკუთრებით მძაფრ განცდებს, სწორედ ეს განცდებია, ასე ვთქვათ, დროის, ეპოქის მხატვრული წარმოსახვის, ადამიანთა მხატვრული სახეების შექმნის შთავაზი საშუალება აქ და ირკვევა, რომ ეს საშუა-

ლება საქმაოდ მახვილი და მარჯვეა თანამედროვე მხატვრული ფაქტორი შესაქმნელად. მართლაც, ეს მხატვრული ფაქტორი უფრო მხატვრულ-ემოციური დახასიათება დროისა, ვიდრე მისი მხატვრული გამოკვლევა; — მაგრამ ეს არის მინც ხელოვნება, თანამედროვე რეალისტური ხელოვნება, რომელიც ავლენებს და გარკვეულ ესთეტიკურ მკაყოფილებას ანიჭებს მკითხველს, ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე მკითხველთა საქმაოდ ფართო წრეებს, ვარდა ამისა, თვით ამ დახასიათებაში არ შეიძლება არ იყოს და უმკველად კედელზე არის მხატვრული კვლევის ელემენტები. განსაკუთრებით ეს ელემენტები იგარძნობა ჰუმანიზმის, ჩვენი დროის ჰუმანიზმის რომელიც ახალი კუთხის, თუ შეიძლება ითქვას, რაღაც ახალი საფეხურის, თუნდაც ერთი ბეწო ახალი საფეხურის მინიშნებაში. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

დახასიათება, ეგრეთწოდებული ემოციური დახასიათება რომანის სათაურებში იწყება — „შოანი ღამე“ და ეს სათაური არსებითად უმკველად არის გამართლებული თუ განაღლებული მთელ ნაწარმოებში. მაშასადამე, არის ღამე, წარმავალი ღამე, მაგრამ არის მზეც, მზე არ არის ჩამკრალი... სხვათა შორის, მზე ნოდარ ღუმბაძის ერთ-ერთი უსაყვარლესი სიმბოლიკა სიკეთის, ოპტიმიზმის, სიტოცხლის... თითქოს მკითხველმა საღაც თავისთავიდაც უნდა წამოსკრას და პასუხი ვასცეს კითხვას: მზე ჩამკრალი რომ იყოს და გაუთუნებელი ღამე სუფედეს, მაშინ საიდანა მიიღება ამდენ სითხისა და სინათლეს ამ ახალგაზრდების, კერძოდ კი თემურ ბარამიძის საქმაოდ მძიმედ დაყოილი გული, საქმაოდ მშვამედ ტრავმირებული სული?

თემურ ბარამიძე არც თავისი ბიოგრაფიით, არც თავისი სულიერი ვანცეებით, ჩემი აზრით, არ სცოდავს სინამდვილის წინაშე. იყვენ, არიან ჩვენში ასეთი ბედისა და ასეთი ფიქრების ახალგაზრდები. მაშასადამე, თემურ ბარამიძე, როგორც მხატვრული სახე — რეალისტური სახეა. მაგრამ კმარა კი სინამდვილესთან შესატყვისობა მხატვრული სახის მთელი ღირებულების საზომად?

ვეფქობთ, როგორც ბუნების ძალების ორგანიზაციის ის ზომა, ის პირიენა, რომელიც ჰქმნის რომელიმე ურთულეს თანამედროვე მანქანას, არ შეიძლება ბუნების ძალებად მიიჩნიოთ, ისე მხატვრული კონკრეტისაციის ზომა არ შეიძლება მთლიანად შევეტანოთ სინამდვილესთან შესატყვისობის საზომში. ყოველი ჰუმანიტარი მხატვრული ფაქტორი, ჩემი აზრით, რაღაც ახალი საღებავის, ახალი შტრიხის მიმატებაცაა არსებულისადმი.

შე შევეცდები გავყუე ამ თვალსაზრისს, შესაძლოა, ერთობ მარტივ თვალსაზრისს, მაგრამ, ჩემი აზრით, მინც სწორსა და მარჯვეს.

თემურ ბარამიძე, ვისი პირითაც არის მო-

თხრობილი ნაწარმოები, როგორც ვიცი, ჩვენი ქვეყნის გარკვეული პერიოდის გარკვეული სიმრულით — ეგრეთწოდებული განუყოფელი უკანონობის მეხდაცემული ახალგაზრდაა. მაგრამ იგი არც დაღუბული და არც დაკარგული კაცი არ არის. თუმცა ამ მხრივ საღაც ბეწვის ხილი ვავლი, საღაც და როგორღაც დაძლეულია ავებდითი შესაძლებლობა. გაიხსენეთ, ვურამ ჰიჭინაძის — არსებითად თემურ ბარამიძის ამ მხატვრული ორეულის საგულისხმო აღსარება მეგობრის წინაშე, გამოთქმული მათს უბრალად, მაგრამ აზროვნად ღილაკში. შეზარხოშებული ვურამი ეუბნება თემურის: — „მე შენ ძალიან მიყვარხარ. აბა, თუ იცი რატომ?“

— ვიცი!
— არაფერი არ იცი, აბა, რატომ?
— არ ვიცი?
— პოლი, ვერე. შენ ჩემი ძმა ხარ, ნამდვილი ძმა. წინათ მე შენი მეშინოდა, მერე მრცხვენოდა, დიდხანს მეშინოდა და მრცხვენოდა.

— რისი გეშინოდა?
— არ ვიცი, ისე, მეშინოდა, სულ მარტო რომ იყავი...

— რატომ? — გამოვიკრდა მე.
— არ ვიცი, კლასში რომ რამე დაიკარგებოდა, მეშინოდა, შენი წადებული არ ყოფილიყო. გავყვილს რომ გააცდენდი, მეშინოდა, სკოლაში აღარ დაბრუნდებოდა-მეთქი. თავერა რომ ქურდობაზე დაიჭირეს, მეშინოდა, შენც დაგიკრდნენ მეგონა მასთან ერთად. ათწული რომ დავამთავრეთ, მეშინოდა, უშაღლესში არ შემოე-ამეთქი... მერე ჩემი შიში რომ არ მართლდებოდა, მრცხვენოდა, თან მიხაროდა“.

ეს შესანიშნავი ჩახედვაა არა მარტო ამ ახალგაზრდების სუფთა, კეთილ და ნათელ გულში, მათს უნაგარო აღმიათურ ურთიერთობაში, არამედ დაღუპვის, დაკარგვის იმ დიდ საშიშროებაშიც, რომელიც ემუქრებოდა რეპრესირებული მშობლების მართლ დარჩენილ შვილს.

მაგრამ თემური არ დაიკარგა. იგი არც ქვეყნის მიმართ ვაგებულო და ვაგორიტებული კაცი ვახდა. პირიენა, მისთვის ესოდენ დამახასიათებელი უშუალო გრძნობა, სიმართლის გრძნობა თითქოს კიდევაც ვაუმძაფრებია იმ მძიმე ვანსაცდელს, რაც მას დროის გარკვეული მანკის უღობულობამ შოყენა. იგი უკომპრომიზოა თავის ამ გრძნობაში, უკომპრომიზოა თავის სუფთა სინდისშიც. „შოანი ღამეში“ ჩვენს თვალწინ იშლება ამ ახალგაზრდა კაცის თვალთ დანახული და ვანცდილი

ლადროსი კალანდაძე
ერთი ნაწარმოების სულიწკვეთებისა და მისი პინტბიური სათამის ბაძო

ქვეყანა, დრო, ადამიანები, — უკეთ ვთქვათ, თვით ამ ახალგაზრდა კაცის სული, მისი განცდების სამყარო, რადგან ნაწარმოების მთელი სახეთა სისტემა — არის ეს ცხოვრებისა და ბუნების სურათები თუ ადამიანთა სახეები — უმაღლესი თვით ბარამიძის განცდების, ამა თუ იმ ადამიანურ თვისებებთან, ადამიანების ჭირ-ვარამთან მისი დამოკიდებულების გამოხატვა, ვიდრე თვით ამ ადამიანების სასიათების ეპიური ჩვენება, მათი დამოუკიდებელი მხატვრული გამოკვლევა.

დაიწყოთ ნაწარმოების ერთ-ერთი ცენტრული სახიდან — დედის სახიდან. ეს არის არსებითად სახე-ვანცდა, სახე-მოვრება, ვანცდა დატანჯული დედის გულის სიბრძნისა და სიკეთისა. ამ სახის მხატვრული ხორცშესხმა, მისი მხატვრული კონკრეტისა თუ მხატვრული ინდივიდუალისა უფრო მის განსხვავებულ ადამიანურ ბედშია, მის თავგადასვალშია, ვიდრე მის რამდენიმე განსხვავებულ ფსიქოლოგიურ წყობილებაში. დედა როგორც დედა, კეთილი, მოსყვარულე, გრძობიარე, აქ ჩვენ საქმე არ გააქვს რთულ სოციალურ ან სულიერ კომპლექსთან, რაც ბუნებრივად წამოიჭრა ხოლმე რამდენ რთულ პრობლემას და ამ პრობლემის ვრცელ მხატვრული კვლევის საჭიროებას. დედის რეაქცია სტალინის ავადმყოფობაზე — „დავიღუპეთ, შეილო, სტალინს დამბლა დეცა“, ან კიდევ „შენ ნუ იტყვი, შვილო, რაღომ თქვას, შენ მაინც ნუ იტყვი, თუ დედა გყვარს“ — არსებითად იმ საყოველთაო დიდი ემოციური აფეთქების ანარეკლია, რაც, როგორც თითქმის ყველა ჩვენ მოწმე ვიცავით, თან სდევდა ამ ამბავს. ასეთივე ლირიკულ-დრამატული ანარეკლის სასიათისა პატარა ჩანახატე იმ დღეებისა უნივერსიტეტში, სადაც უამრავი ადამიანი „კლუბის სცენაზე დასვენებულ რეპროდუქტორს თვალკრემლიან, მუდარითა და მუდარებით შესცქეროდა, რომელიც ყოველ ორ საათში, მზის დაბნელების შემზარავ პრიცესს ვაღმოცემდა“.

არც ნაწარმოების მხარობელი და ალბათ არც ავტორი არ შედის ამ საყოველთაო სულიერი მღელვარების, მე ვიტყვოდი, ყველაზე რთული თემის სიღრმისეულ კვლევაში. აქ, შესაძლოა, ლირიკულ-პოეტური პროზის საშუალებებით, სიკეთისა და ბოროტების უშუალო განცდის გზით მართლაც ვერ წავიდეთ ძალიან შორს, მაშინაც ვერ ავიწიოთ მხატვრული აზრი შესატყვის დონეზე. ამ მხრივ ფრიად საგულისხმო და მრავლისმეტყველოა თვით თემურის უაღრესად გულწრფელი აღსარება.

„მე მინდოდა მიმხვდარიყავი, რას ვანიცდიდა, რა აწუხებდა, რა სტიქოდა, რისი ემიონოდა, ან რას სტიქოდა დედაჩემი. მაგრამ ვერ მივხვდი და, ალბათ, ჩემს სიციცხლეში ვერაიოდეს ვერ მივხვდები და ვერ ახსნი ამ სათ-

ნობით სავსე, პატარა, შეშინებული, შეძრწუნებული ჭაღარა ქალის ცრემლების მიზეზს“.

ვფიქრობ, ეს ავტორის აღსარებაცაა.

თუმცა რომ ლირიკულ-პოეტური პროზა, პირველყოლისა კი, მძვინვარე უშუალო სულიერი განცდა შეიძლება იყოს დედის ცხოვრების, სინამდვილის ესთეტიკური ათვისების სკემაოდ ძლიერი საშუალება, რომ ამ საშუალებით შეიძლება შეიქმნას ღრმად განზოგადებული მხატვრული სახე, ამას, შორს რომ არ წავიდეთ, თვით „მზიანი ღამე“, განსაკუთრებით კი ზოგიერთი მისი პასაჟი აღსატურებს ფრიად თვალნათლივ. მთელი საქმე იმაშია, თუ რა ძალის ტალანტი და რა სიუხვის სულიერი გამოტყდობაა კონდენსირებული განცდაში — ლირიკული პროზის ამ მთავარ კომპონენტში.

დედის სახესთან დაკავშირებით ნაწარმოებში, როგორც ვიცით, მთავარია შეილისათვის მისი გაუცხოების უმწვავესი გრძნობა, უმძაფრესი განცდა. ამ განცდის უღრმესი დრამატიზმი კი, მე ვიტყვოდი, აქ პირდაპირ ქვემარტივ ტრაგიზმამდე აწულდება... და ერთი ძუნწი, ლაკონური საშუალებებით. უახლოესი ადამიანის გაუცხოება, მთელი ქვეყნიერების გაუცხოების გრძნობაში რომ გადადის, მარტოობისა და ადამიანური კავშირების მოშლის უღმობელ სურათს წარმოგვიდგენს... გმირთან ერთად თითქმის თქვენიც სული გვხუთებათ... მაგრამ აქვე უეტრად იწყება სულის მოოხება, სულიც მოთქმება, და ადამიანურ კავშირებში ჩართვა, ადამიანის გულის დიდი სიბრძნისა და სიკეთის, გულმემატიკობისა და ჭირთა თანაზიარობის ფრიად წრფელი და ნათელი განცდა სწორედ ამ განცდით არის შექმნილი, ვაკეთებელი და გამოქმნილი ნაწარმოების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი, ყველაზე მეტყველი მხატვრული სახე — ღამის დარაჯის ართავის სახე, რომელმაც შეიძლება მხოლოდ უკურნებელ სნობაზე არ მიანიჭოს ნამდვილი ესთეტიკური კმაყოფილება... და არა მარტო ესთეტიკური კმაყოფილება. საერთოდ ღამის სცენა თერთმეტსართულიან სახლთან და სცენა სახაშემში, მე ვფიქრობ, „მზიანი ღამის“ ყველაზე ძლიერი პასაჟია... აქ თითქმის ყველაფერს თვალნათლივ ხედავთ, ყველაფერს გრძნობთ და, რაც მთავარია, გრძნობთ ადადამიანურ აზრისა და გრძნობის სიღრმეს, სიცხველეს. ჩემი აზრით, ართავის სახეში მინიმუმბულია რაღაც ახალი საფუძვრი ჩვენი დროის ჰუმანიტური აზრის მოძრაობაში — ძიება აქტიური, მაგრამ უქაღალდე ადამიანური სიკეთისა, რომელიც არ შეიძლება გადაიზარდოს ბოროტებაში, რადგან იგი დაფუძნებულია გულშემატიკობისა და ჭირთათანაზიარობის ამაღლებულ გრძნობაზე, შესწრაფებზე, რომელიც თავისუფალია ყველა გრძნობიერი დანაშრეებისა და მინარეებისაგან და რომე-

ლიც ყველაზე წმინდა ადამიანური კავშირი შეიცვება იყოს ადამიანებს შორის, მით უმეტეს ტრაგიკული ბედის ადამიანებს შორის, რომელთაგან, ვთქვათ, ერთი მარტოსულივით დაბორილობს ღმერთ და კაცს ეძებს, მეორეც ჩანარებულ ცეცხლთან ჩამტვრეა და კაცს ელოდება (სხა, როდის არ ეძებს კაცი კაცს და როდის არ ელოდება კაცი კაცს) მთავარია, კაცმა იპოვოს კაცი... და ამას წინ არ ვაღიარებოთ არც რაიმე შესაძლებელი ცრურწმენა — გროველური შეუთავსებლობისა და კიდევ უფრო საშინელი ცრურწმენა უბრალო, ჩვეულებრივი ადამიანის სულიერი არასრულფასოვნებისა. უბრალო ღამის დარაჯი, სამეხი ათავაჯი დანახულია მის წმინდა ადამიანურ არსებაში, იგი კაცია, ნაშვლილი კაცი, დიდი სულისა და ნათელი გონების. ერთგვარად ამაშიც არის თავმჯდომარეობა ამ სახისა. მერე რა დამაყვრებელი, რა უეჭვოა თავის ყოველ ქცევასა და მოძრაობაში ეს ადამიანი. თანაც რა კეთილი ღმერთი, რა ნათელი იუმორით არის შეზავებული ის საღებავები, რომლებითაც დახატავს ეს საკმაოდ მწუხარ მხატვრული სახე (გოხსენეთ მისი რეპლიკები, თოფის დამოწმებაში ტიფი მაქვს, ამას ქლექი" და სხვ.) ჩემი აზრით, სწორედ ეს ორგანული იუმორია ორგანული ნორად ღუმბაქისათვის და არა ის საკმაოდ იაფფასიანი მოარული ხუმრობანეგდოტები, რომლებიც, სამწუხაროდ, არც თუ შიკრიეა ნაწარმოებში.

დროის ადამიანური შეინარსისა და მისი თავისებური მხატვრული წარმოსახვის თვალსაზრისით ბევრი რამ არის საკულისხმო და საინტერესო ნაწარმოების ამ სიუჟეტურ ხაზებში, რომლებიც ეხება სასიყვარულო ამბებს, სტუდენტური ახალგაზრდობის ყოფაცხოვრებას, დიდ პოეტთან შეხვედრას, რაღაცათი ნაღობი ცალკეულ ადამიანებს, გროტესკულ სახეებსაც კი. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ნაწარმოებში მთავარი მხატვრული აქცენტი, მთავარი მხატვრული ხაზგასმა უკეთდება წარმოდგენილი ახალგაზრდობის, შესაძლოა, ერთგვარად ტკივილებიან, მაგრამ მიიწნე სუფთა, ფაქიზ და ნათელი სულიერი სამყაროს. შეიძლება ზოგიერთი ფრიად საკულისხმო მხატვრული-იდეური და ცხოვრებისეული საკითხი დატყუებოროთ ისეთ ცოცხალ, მართალ მხატვრულ სახეებს, როგორცაა გულიყო, ლია, ლიდა, გურამი, ავთო, დურსუნი, თაყერა და სხვა. მაგრამ რაჯი ნაწარმოების ძირითადი კონცეფციის მთავარ სიმკიმე, ჩემი აზრით, დავკავშირებულა პოეტობა-კონკრეტ აბიბო თოდროსის სახესა და ქცევასთან, შეძლებისდაგვარად შეეხებებით მას.

ვინ არის აბიბო თოდროსი?
უნდა ითქვას, რომ ამ ტინას საკმაოდ ძუნწი შტრიხებით, ერთგვარად ვადაყრული ნიშნე-

ბითაც და ერთგვარი სიფრთხილითაც ხატავს მწერალი. ამ სიძუნწესა და სიფრთხილში, ჩემი აზრით, მხატვრული ტაქტიკა და არა რაიმე კომპრომისი. მყვირალა, კუკეტელა საღებავები აქ გამასუბუქებდა და გააზერებდა მხატვრულ მოტივს. მაგრამ უკვე თემურისა და აბიბოს პირველსავე დიალოგში ჩანს აბიბოს ქუქყიანი სულის ცინიზმიც და მომკირაიც. იგი თითქოს ადამიანზე მზრუნველის ნიღბსაც იკეთებს. უკვე მისი ბინის მორთულობა — „შორაანის სადგურში რომ უზარმაზარი ბუფეტი დგას, იმხელა შავი ბუფეტი, ვერცხლის ოქროს წყალში ამოვლებული ქურბლით სავსე“, „საწერ მაგიდაზე თეთრი მარმარილოს უხმარი საწერი მოწყობილობა“, ალბათ ასევე ხელუხლებელი „წიგნებით გამოკედილი კარადა“ და საწერი მაგილის უჯრამი შენახული კონიაკი — მიგვანიშნებს რომ იგი კაი კაცი არ არის, რომ მასში, შესაძლოა, მიმარტულია აქტიური მესმინისა და მომხვეჭელის ღატკი და უწმინდური ბუნება, თუმცა ამაზე ბირდაპირ არსად არ არის თქმული, მაგრამ უკვე აბიბოს რეპლიკებიდან თემურის დედისა და მამის შესახებ, ჩვენ ვხვდებით, რომ მას სული და ხელები გასვრილი აქვს თემურის დედ-მამის გაუბედურებაში, რომ იგი თუ სულის ჩამდგელი არა, ყოველ შემთხვევაში, აქტიური აღმსარებლებელი მაინც არის ვარჯიშულ დროში დატრიალებულ განუკითხაობისა და უკანონობის. თავისი დაუნდობლობა და გულქვაობა ადამიანების მიმართ, თავისი სიჩუნუნე და სიყრუეუე ადამიანურ ტკივილებსადმი — აბიბომ ერთხელ კიდევ ცხადყო თავერას მიმართ გამოჩენილ ვერაგობაში (თუმცა ვარჯიშულად თითქოს აქ არც თუ ისეთი უკანონობა იყო... აქ თემურის დედამაც უთხრა მწერალს და თავერას: „არ ვიცი, მე მგონი, ასეთი საქმის პატიება არ შეიძლება“). მაგრამ მწერალი ვარჯიშულად ხედავს, რომ დროის სადავები მართო აბიბოს ხელში არ არის, რომ მის საპირისპიროდ იდგნენ და დგანან ისეთი ადამიანები, როგორცაა უნივერსიტეტის რექტორი, ფაკულტეტის პარტკომის მდივანი დავითი, თვით თემურიც, გურამიც, თუნდაც ართავაზიც, თუნდაც მეგობრულ მამედო და, თუ გენებავთ, მთელი არმია გულწმინდა ახალგაზრდობისა, რომელთაც შეუძლიათ ენდონ და გაუგონ ადამიანებს. მაშასადამე, აბიბო არ არის დროის ერთადერთი და მთავარი წარმომადგენელი. მიუხედავად თავისი თანამდებობრივი მდგომარეობისა, იგი არსებითად ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზმის ნაღობი სხეულია. რასაკვირველია, აბიბოს, ისე როგორც ყოველ სოციალურ და ზნეობრივ ბოროტებას, არა-

ლავროსი კალანდაძე
ერთი ნაწარმოების სულსაშვეთებისა და მისი ბენეფიკური სათაპის გამო

ვიტორი გამართლება არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს. მაგრამ მას, ისე როგორც ყოველ მოკვლას, თავისი ახსნა აქვს... და ამ ახსნას, ჩემი აზრით, უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა აქვს თვით ნაწარმოების მხატვრულიდებული კონცეფციის ახსნისათვის. მართალია, აბიბოს სახე შესრულებულია მწერლისათვის დამახასიათებელი მანერით — ამ ტიპის თვისებების უშუალო განცდის მანერით, მწერალი არ შედის ხასიათის სოციალურ-ფსიქოლოგიურ სათავეების შორეულ მხატვრულ კვლევაში. მაგრამ იგი მიიწევს მხატვრულ კონკრეტურობის იმ ზომით არის მოცემული, რომ თითქმის თვითონვე ვიხსნის გზას ცხოვრებისა და ფსიქოლოგიის იმ პროცესებისაკენ, რაც მის უკან იმალება და რაც მის ფაქტურაში, მის ხორცში, მის მატერიაში არ ჩანს.

აბიბო, რასაკვირველია, ჩვენი სინამდვილის, ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების საპირისპირო ძალთა ბრძოლასა და შეჯახებაში წარმოშობილი მოვლენაა. მტრულ ძალთა ბრძოლასა და შეჯახებას საერთოდ ყოველთვის ბუნებრივად თან სდევს ურთიერთ დაუნდობლობის, ურთიერთ დამარცხებისა და, თუ გნებავთ, ურთიერთ განადგურების სულისკვეთება; მით უმეტეს ეს დამახასიათებელია დიდი სოციალური გარდატეხებისა და რევოლუციური ძვრების ეპოქისათვის. ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების საპირისპირო ძალთა აშკარა თუ ფარულ ბრძოლებისა და შეჯახებების მონაწილე ადამიანებსაც, რომელ ბანაკშიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, რასაკვირველია, უნდადებოდეთ თუ ეუფლებოდათ შესატყვისი სულიერი, ფსიქოლოგიური რეფლექსები, ვთქვათ, მოწინააღმდეგის დაპირუნივისა, დამარცხებისა, მისადმი უნდობლობისა, მისი სიციხის არად ჩაგლებისა, მისი ყოველი ქმედების ექსპლემს დაყენებისა, თუ გნებავთ, მის წინააღმდეგ ჩასატერებისა და მისთვის მიხედვით დაგებისა... (დაახლოებით ისე, როგორც აბიბო ხდება ხოლმე). მაგრამ იმ ადამიანებს, რომელთათვისაც არსებობდა უცხო იყო რეჟიმის, პროგრესის, ჰუმანიზმის იდეალები და რომლებიც ბრძოლებში ჩაბმული იყვნენ არსებითად რაიმე პირად ანგარებიანი ანგარიშის, ეს სულიერი რეფლექსები ხშირ შემთხვევაში ადვილად გადაექცეოდნენ ხოლმე საერთოდ სამყაროსადმი, ადამიანებისადმი დამოკიდებულებად, სულიერი ჩვევად, ერთგვარ „მსოფლმხედველობად“ თუ თავისი სიცოცხლის პროგრამად (აქ მათ ერთგვარი ნიღაბიც და მომიჯნავე სკრინდებოდნენ). აი, ამ კატეგორიის ადამიანების წარმომადგენელია, ჩემი აზრით, აბიბო თოდროსი.

ზოგჯერ, ალბათ, შესაძლებელია, რომ აღნიშნული ფსიქოლოგიური რეფლექსები ერთგვარ სულელებს ჩვევად, საერთოდ სამყაროსადმი და ადამიანებისადმი დამოკიდებულებად

გადაექცეს ისეთ ადამიანსაც კი, რომელიც სულთ ხორცამდე გამსკვალულია რევოლუციისა და პროგრესის იდეალებით. მაშინ საქმე გვექნება ძალიან რთულ ფსიქოლოგიურ პრობლემასთან, რთულ ტრაგიკულ პიროვნებასთან (და მათ უფრო რთულია და სამძიმო, თუ ეს პრობლემა დიდი და ღონიერია). მაგრამ მოვეშვათ ამ უღრანს, შესაძლოა, დავიბნეთ შიგ... აბიბო არ არის ტრაგიკული პიროვნება, იგი სულიერი სიყრუეით დაავადებული ვინმეა, იგი იმ საღდაოს ჰგავს, ვისაც ომში მტრისაკენ ტყვეის სროლის ყინი საერთოდ ადამიანებისაკენ ტყვეის სროლის ჩვევად გადაქცევა. იგი წერილობრივი ავი სულია.

და ეს კაცო, ვისაც მოველისა და თავის გაქმევის სურვილი მოუვიდა ერთხელ თემურ ბარამიძეს, იმავე თემურ ბარამიძემ არამც თუ დაინდო, როცა იგი მომკვდარი ნახა, არამედ კიდევაც შეიბრაღა, კიდევაც მოუარა მას: ერთი სიტყვით, გარკვეულ ვითარებაში აღმართული სულიერი რეფლექსი თემურ ბარამიძეს არ ექცა სულიერ ჩვევად, არ ექცა საერთოდ ადამიანის სიცოცხლისადმი დამოკიდებულებად. ასე რომ მომხდარიყო, მაშინ იგი არსებითად აბიბოს იარაღთ აღიჭურვებოდა. მომკვდარი აბიბოს მიმართ მან გამოიჩინა სწორედ ქრთაზიარობის ის გრძობა, ის გულშემბატყვეობა, რაც, როგორც ვნახეთ, იმის ყველაზე ძლიერ საშუალებად გვიჩვენება, რომ კაცმა კაცი იპოვოს!

რა არის ეს? პატიება? ყოვლის შემწყნარებლობა?

არა გვონია! კარგი პატიებაა, მე და ჩემმა ღმერთმა, როცა ისე გვაზიზღებს ამ ტიპს, რომ ყველაზე მაკარს და მწარე სიტყვებს ვეძებთ მის დასაგმობად, მის გასათათხავად.

მაშ რა არის? ეს არის, ჩემი აზრით, ერთგვარი მინიშნება (შეგნებულთ თუ ქვეშევსენული, ეგ სულერთია); მინიშნება იმისა, რომ ჩვენი დროის მოწინავე ჰუმანისტურ-სულსკვეთებასთან ძნელად შესათავსებელია და, მაშასადამე, ჩვენი დროის მოწინავე ესთეტიკურ კონცეფციის ძნელად შესატანია ტიპობა თუნდაც უსაზიზღრესი ადამიანის ტანჯვის, ტიპობა თუნდაც უბოროტესი ადამიანის სიკვდილით და მით უმეტეს ტიპობა მკვლელობით, თუნდაც საშინელი ადამიანის მკვლელობით.

სხვათაშორის, რამდენადაც ვიცო, წარსულ ეპოქათა დიდ ჰუმანისტურ ლიტერატურასა და ხელოვნებაშიც ძალიან იშვიათად შეიძლება მოინახოს ასეთი რამ, არა, შესაძლოა, ჩვენი დღეებულის მოწინააღმდეგეებმა ბევრი მაგალითიც მოიტანონ იმისა, როცა შემოქმედის ახდენს მკვლელობის ერთგვარ ესთეტიკურს, ე. ი. ცდილობს გვასიამოვნოს მტრის წამებით, მოწინააღმდეგის სიკვდილით, მათ შორის, შეუძლიათ მოიტანონ მაგალითი შოთაძან „კარვის კალთა ჩახლართული ჩაქვერ ჩავაქარბაქე,

ყმასა ფერხთით მოგვეყიდე, თავი სვეტსა შევეუ-
ტაკე, ან კიდევ „ვერღა“ აესწრა, იღუმალ
მოკლა, თუ ვერცა ვცანიათა, ხელი მოჰკი-
და, მიწასა დაასვენა, დელა დანიათა“, ან
კიდევ შექსპირიდან, როცა სასიკვდილოდ
დაჭრილი ჰამლეტი დაშნით განგმბრავს ვე-
რავ მეფებს... მაგრამ, ჯერ ერთი, არ შე-
იძლება დავივიწყოთ, რომ ეს არის მეთორ-
მეტე-მეტამეტე და მეთექვსმეტე საუკუნეში.
თანაც ამ გენიოსთა სიდიადესთან ასეთ რა-
შეებს, ჩემი აზრით, ყველაზე ნაკლებ აქვთ კავ-
შირა. გარდა ამისა, უხელოესი დროიდან ან
თუნდაც დღევანდლობიდანაც რომ მოვიტა-
ნოთ ბევრი მაგალითი, — ამას მინეც არ ექ-
ნება მნიშვნელობა ჩვენი საკითხის მართებუ-
ლი გაშუქებისათვის. მე ვლასპარაკობ ჩვენი
საზოგადოებრივი განვითარების დღევანდელ
დონეზე, ადამიანის სულის განვითარების დღე-
ვანდელ ვითარებაზე და მით განპირობებულ
მოწინავე ჰუმანიტური სულისკვეთებისა და
მისი შესატყვისი ესთეტიკური მოთხოვნების
ტენდენციებზე.

შესაძლოა, ვინმემ ამაში მიიჩნიოს ეკ-
რთოფუნდებელი აბსტრაქტული ჰუმანიზმის „ან
ერთადერთი ტოლსივრცელობის ქადაგება და რე-
ვოლუციური, მებრძოლი ჰუმანიზმის უკუგდენ-
ბის ცდა. მაგრამ, ჩემი აზრით, ეს იქნება ღრმა
შეცდომა.

ჯერ ერთი, თუ ჩვენ რევოლუციურ, მებრ-
ძოლ ჰუმანიზმს წარმოვიდგენთ როგორც რა-
ღაც ერთ წერტილზე გაყინულ, უძრავ, ყო-
ველგვარ განვითარებას მოკლებულ იდეათა
სისტემას, მაშინ იგი არამეტო რევოლუციუ-
რი, არამედ კონსერვატულზე კონსერვატული
რამ იქნება. ავიღოთ, მაგალითად, საკმაოდ
ცნობილი დებულება: „მტერი როცა არ გნებ-
ლებათ, იგი უნდა გაისწიოს“. თუ ამ დებუ-
ლებას უყველად დოგმად წარმოვიდგენთ სა-
ზოგადოებრივი განვითარების ყველა საფეხუ-
რისათვის, მაშინ მტერიც რაღაც მარადიულ,
უცვლელ არსებად უნდა მივიჩნიოთ და მისი
გასრესაც სამუდამო უსიამო საქმედ. მაგრამ,
როგორც ვთქვი, ჩვენი საბჭოთა საზოგადოე-
ბის შოვნით, სადაც უკვე აღარ არსებობენ
მტერი, ანტაგონისტური კლასები, მტრის
ცნებაც და მისი გასრესაც ვნებაც, ალბათ, ძა-
ლადი აღარ უნდა დარჩეს, ყოველ შემთხვევა-
ში არსებობდა უნდა შეიცვალოს. მართალია,
რამდენადაც ვიცე, კაცობრიობის ისტორიაში
ჯერ არც ერთ ქვეყანას ჯალათის თანამდებობა
არ გაუქმებია. ეს, ალბათ, იმას მოწმობს,
რომ მიუხედავად ატომური ბომბებისა და სა-
ოცარი ტექნიკური მიწვევებისა, ჩვენი ცივი-
ლიზაცია არც თუ ისე ძალიან, როგორც შე-
იძლება მოგვეჩვენოს...“ და ჩვენ ვანა არ უნდა
ვისწრაფოდეთ იქითგან, რომ ქვეყნად არ მო-
იქმნოს არცერთი კაცი, რომელიც ისურვებდა
სიკვდილის განაჩენის სისრულეში... მოყვანის

და რომელსაც, მამასადამე, ექნებოდა კაცის
მოკვლით ტკობის მოთხოვნები? მაშინ, ალ-
ბათ, არც სიკვდილის განაჩენის გამოტანა იქ-
ნებოდა საჭირო. რასაკვირველია, მცნება
„არა კაც ჰყლა“ ძველისძველია და შესაძლოა,
ქრისტიანობას იგი ნასესხები აქვს კიდევ უფ-
როს აღრინდელი მოძღვრებიდან. მაგრამ ჩვენც
და ნოღა და დღემდამეცა, ვინაც თავისი „მზი-
ნი ღამის“ ბოლოს თავს სწორედ „არა კაც
ჰყლა“ დაარქვა, შესანიშნავად იცის, რომ საუ-
კუნეების მანძილზე ამ მცნების საფარქვეშ
ბევრი კაცისკვლა ხდებოდა, თვით ამ მცნების
შქადაგებულთა ხელითაც და რომ მას შეესა-
ბამებოდა ქვეყნიერების განვითარებისა და
ადამიანის სულიერი გავითარების სულ სხვა
მდგომარეობა, სულ სხვა ვითარება. მამასადა-
მე, დღის ლაპარაკი შეიძლება ამ მცნების სულ
სხვა შინაარსით გაესებაზე, ისეთი შინაარსით,
რომელიც შეესაბამება ქვეყნიერების განვითა-
რებისა და ადამიანის სულის მოძრაობის თა-
ნამედროვე მდგომარეობას, რაც უეჭველად
არის დამუხტული ჩვენი ჰუმანიტური იდეე-
ბისა და წარმოდგენების გაუხეების, გამიღი-
რებისა და განვითარების ტენდენციებით. და,
რასაკვირველია, თუ ვინმეს შეფერის ამ ტენ-
დენციების გამოსახვა, ყველაზე უმალ იგი შე-
ფერის იმ ქვეყნის, იმ საზოგადოების ლიტე-
რატურასა და ხელოვნებას, სადაც პრინციპი —
„ადამიანი ადამიანისათვის — ძმა და მეგობა-
რი“ — საერთო-სახალხო იდეოლოგიად არის
აღიარებული. სხვათა შორის, ეს პრინციპიც,
ფორმის მხრივ, ალბათ, საკმაოდ ძველი წარ-
მოშობისაა.

ჩვენი დროის მოწინავე ჰუმანიტური აზ-
რის მოძრაობისა და ამაღლების იმ ძლიერ ში-
ნაგან იმპულსებზე რომ არაფერი ვთქვათ,
რომლებიც ჩვენი ეპოქის სიღრმეში იმაღებთან,
ერთი რამ ზომ შეუიარაღებელი თვალათაც
ჩანს, სახელდობრ ის, რომ ჩვენს თანამედრო-
ვე საზოგადოებას არ შეუძლია გულგრილი
იყოს ყოველივე თისადმი, რაც შესაძლებელს
გახდის აბიზო თოდრიას ვარიაციულ გამოცე-
მას (და, მეტე, არ იტყვიოთ, რა ათასნაირი ვა-
რიანტი შეიძლება გამოიყოს ის?).

როგორც ხედავთ, ჩემი აზრით, ნოდარ
დუმბაძემ თავისი ნაწარმოების ძირითადი კონ-
ცეპციით, თავისი კარგი აზროვნებით, თავისი
სუფთა გულის თეიმურაზ ბარამიძით, თავისი
გულისხმიერით რექტორით — კარგად, მართ-
ლად და შთავინებულად გამოსახა ჩვენი სა-
ზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი არსე-
ბითი ტენდენცია, შექმნა მხატვრული ფაქტი-
რობელი გვაღივებებს და გვაფიქრებს. ეს

ლავროსი აბაღანაძე
მართი ნაწარმოების სწავლისკვეთებისა
და მისი ბენედიქტური სათავეს ბაგო

არის ამ კეთილი, ნათელი და შრატალი ნივის
საგულსისში წარმატება.

ლირიკული პროზის არამოკუთენი — ლი-
რიკულ პროზას უწუნებენ გულკეთილობის გა-
დაპარბებულ პოეტრიზირებას (ამბობენ „მარ-
ტო გულკეთილობით შორს ვერ წავალთ“),
უწუნებენ გულკეთილი ბებებით და ბაბუე-
ბით, ბავშვობისა და სიუბუტის დღეების მო-
გონებებით გატაცებას.

შესაძლოა, მართლაც საუკომანო იყოს
გულკეთილი ბებებით, ბაბუებით და ბავშვო-
ბის დღეების მოგონებებით მეტისმეტი გატა-
ცება... მაგრამ ყოველ გატაცებას აქვს თავისი
კანონზომიერება, ყოველ გატაცებაში არის
დროის, ეპოქის შინაგანი იმპულსები — და ეს
არ შეიძლება მხედველობიდან გავუშვათ... ხო-
ლო ლირიკულ-პოეტური პროზის საშუალებე-
ბით (რასაკვირველია, მათი უაღრესად პირო-
ბითი და შეფარდებითი გაგებით), რომ შეიძ-
ლება შეიქნას მნიშვნელოვანი თანამდროწუ
მატერული ფაქტი, — ამას მოწმობს ნოდარ
დუმბაძის მთელი შემოქმედება, კერძოდ კი
მისი „მზიანი დამე“.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს ნაწარმოები
ყოველმხრივ უნაკლო და სრულყოფილი იყოს.
არა, პირიქით, ჩემი აზრით, იგი სადღაც საკ-
მაოდ უსწორმასწოროა. გულწრფელად უნდა
ვთქვა, რომ მისი კითხვისას ზოგჯერ მე დაახ-
ლოებით ისეთივე განცდა მქონდა ზოგორც
ძველებური თვითმფრინავის მგზავრს — ნარ-
ნარი ფრენიდან თვითმფრინავი უეცრად პე-
რის ორმოებში რომ ჩავარდებოდა ხოლმე. არ
შეიძლება არ გზიბლაფეთ ნოდარ დუმბაძის
ელვარე იუმორი. მაგრამ, ჩემი აზრით, ამ
საქმეში მას ზოგჯერ ზომიერების გრძნობა და-
ლატობს. ვფიქრობ, ძალიან მდარე გემოვნების
ობიგატელზეა გაანგარიშებული ზოგიერთი სა-
კმაოდ გაერცობილი ხუმრობა-ანეგდოტი,
ვთქვით, ისეთი, როგორცაა „უენდერკინდის“
გათამაშება და სხვ. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდი-
ლება გრჩებათ, რომ ნაწარმოებში ერთგვარ
ხორცმებად არის შეტანილი არც თუ ისე მა-
ღალი ხარისხის საესტრადო სეკტი.

როგორც ჩანს, ნოდარ დუმბაძის ძალიან
უყვარს გალაკტიონი და მისი პოეზიის უდი-
დესი და უვალწრფელესი თყუარისმცემე-
ლია. მიუხედავად ამისა, თავი „გალაკტიონი“,
ვფიქრობ სუსტად არის დაწერილი. პირდაპირ

საოცარია, ილიკოს, ილარიონის, ბებიას, ხა-
ტიას, ართავაზის და სხვა დაუფიწყარი მხატვ-
რული სახეების შემქმნელმა — ჩვენი დიდი
პოეტის მცირე პორტრეტის გასაკეთებლად
რად აირჩია ფოტოგრაფიის და ისიც ცუდი
ფოტოგრაფიის ხერხი?

ბევრ ჩვენგანს გალაკტიონი ისეთ „სტილ-
ში“ უნახავს, — იგი რომ ფოტოგრაფიულად
გადმოწეროთ, დაბმულ ქაქს ააწყვეტინებს,
მაგრამ გალაკტიონი არ იქნება, არ იქნება ის
გალაკტიონი, ვინაც შექმნა დიდი წიგნი, წიგ-
ნი შვი ასოებით, დაწერილი სისხლის წვე-
თით, დაწერილი სასოებით.


გალაკტიონის გაბმული ხითხითისა და „მა-
მიკოთი“ შეხაებული ექსცენტრიული რეპლი-
კების შემდეგ, თემურ ბარამიძემ ბევრიც რომ
იძახოს, გალაკტიონი ღმერთაკაციოთ, — ძნე-
ლად თუ ვისმეს დააყვრებს. მხატვრულად
მდარე რომ არის. მოკიდავე ჩემპიონთან შე-
პირისპირება, აქაო და ოფიციატები და ობი-
ვატელზე გულგრილი არიან დიდი პოეტის მი-
მართ.

• — არა, ჩემი აზრით, გალაკტიონის ნამდ-
ვილი რეალისტური მხატვრული პორტრეტი,
თუნდაც ძალიან პატარა პორტრეტი, ამ გზით
და ამ ხერხებით არ შეიქმნება და არც უნდა
შეიქმნას.

სხვა შენიშვნები შეიძლება გავაცეთოთ.
მაგრამ იქნებ არც არის საჭირო ჩაიკრიკებუ-
ლად გამოეხჩრაკოთ ლაქები ნაწარმოებში,
რომლის ღირსებები უშუველად ფარავს ამ
ლაქებს. თანაც, ვინ იცის, ამ ჩაიკრიკებით
მასალაც მიკეთო კვიმატ ავტორს თავისი უშუ-
ხუნა იუმორისა და, იქნებ, საკანონისთვისაც.
თუმცა ამაში ცუდი რა იქნებოდა, თუ ამას
არ მოპყვებოდა არაკარგი, არსებითად მიზან-
ტროპული და კონიუნქტურული ლექსი...

თვითონ მწერალმა ხომ კარგად მიგვანიშ-
ნა იმას, თუ რაოდენ სახიფათოა ადამიანის სუ-
ლისათვის შემთხვევითი განწყობილების გა-
დაქტევა ადამიანებისადმი, ქვეყნისადმი და
პოკიდებულებად.

მოსაწონია ნოდარ დუმბაძის ნათელი, გა-
ქვირავლე სტილი, მისი კარგი ქართული...
მაგრამ ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებ, რად-
გან მე არსებითად იმ თვითვე შემოვიფარგლე
ერთი საკითხით.



ახალგაზრდა კაცის უსიძოლობისათვის

არჩილ სულაქაშვილისა და გურამ გუგუშვილის ზოგადი თეორიული ნაწარმოების მიხედვით

ჩვენს ლიტერატურაში წარმოსახულ ადამიანს (უმთავრესად, „დადებით გმირად“ გამოყვანილს) კარგაინს აკლდა თავისი დამოუკიდებელი პიროვნული არსებობის შეცნობა. თუმცა, აკლდაო რომ ვთქვიო, ზუსტად ვერ გამოვხატეთ საქმის ვითარება; კი არ აკლდა — ვერაუ თუ მისუღიყო საკუთარი „შეს“ სრულფასოვანი ინდივიდუალური არსებობის შეცნობამდე. იგი „მთელის“ დეიდ „ნაწილს“, „ზოგადს“ შენივთულ „კერძოს“ წარმოადგენდა და ამგვარადვე შეიცნობდა — უფრო კი შეიგრძნობდა — თავის თავს. მისი თავი ეკუთვნოდა (ანდა შეიძლებოდა გვეთქვა: თავის თავს აკუთვნებდა) ობიექტურ იდეას, მიჩნეულს უმაღლეს კეშმარტებად და იმავე დროს უმაღლეს სიკეთედაც. ამ „კუთვნილების“ დონე და ხარისხი განსაზღვრავდა ცალკეული ადამიანის ღირსებასაც და ამქვეყნურ დანიშნულებასაც (როგორც საზოგადოების, ისე იმ ცალკეული ადამიანისავე თვალში); ბეჭედს ასევე ინდივიდის უფაქიზეს ადამიანურ გრძნობებს, ბევრწილად პირობადებდა თვით სიყვარულის ადგილსა და რაობას, ამგვარსა თუ იმგვარ წარმოდგენას, შეხედულებას. საყვარელ ქალს ან საყვარელ კაცს. ინდივიდი არსებობდა იმდენად, რამდენადღე მსახურებდა ზოგად იდეას. ამ იდეის წილად ორი რამ მოიხარებოდა ძირითადად: ახალი ცხოვრების, ახალი სამყაროს შენება და მშობლიური მიწის სიყვარული, „ქვეყნის დაცვის ნიჭი“. თავად არსებობას, სიცოცხლეს უაღრესი ღირებულება ენიჭებოდა; სიცოცხლე დიდად, თვალმუდგამად წარმოიდგინებოდა. ამ მხრივ ეს წარმოდგენა ისევე ხელშეუხებელი იყო, ისევე შეუხებლად ფიქრის, განწყობისაგან, როგორც ტაბუდებული რამ. ამგვარი შეგნების, ამგვარი სულსკეთების ბატონობა გმირული საქციელის ჩასადენად აღძრავდა, სიქველისმიერ აღტყინებას

აზიარებდა ადამიანს. მსგავსმა ვითარებამ ყალბი პათეტიკით დაღდასმული, მდარე, უსიცოცხლო ნაწარმოებების დახვედრისთან ერთად ლიტერატურას შესძინა გულწრფელი პათოსით, შინაგანი გზნებით აღბეჭდილი, ღირსეული მხატვრული ქმნილებები. ამგვარ ქმნილებათა გმირები; ჩვეულებრივი, ბავშვობის ასაკიდანვე, ლამის ცნობიერების გაღვივებიდანვე მოყოლებული საკუთარი გამოცდილებით, საკუთარ ტყავზევე შეიცნობდნენ ხოლმე ცხოვრებას, რადგან აღრიდანვე უხდებოდათ არსებობისათვის მძიმე ბრძოლაში ჩაბმულობენ, ეწვნიათ ბეჩაეი ყოფის მკაცრი სუსხი. ცოცხალ სინამდვილესთან პირისპირ შეხლა იმთავითვე წვრილია, აყალიბებდა მათს შეგნებას, სკოლად და წიგნად უმთავრესად თვით ცხოვრების ქრელი ასაბრევი ევლინებოდათ. მათს და მათსავე ბელში მყოფ მრავალთა უმკაცრო ფილებს თავიანთი ხვედრით ჰქონდა ერთი საერთო ძირა — ცხოვრებაში წილდაკარგულობა. შემდგომ, როცა ეს მრავალჭირანხელი თაობა სისხლისა და წყვეტების ფასად ცხოვრების ბატონ-პატრონი შეიქნა, მთელი თავისი ძალ-ღონე, სულიერი ენერჯია, ბუნებრივია, მატერიალური ცხოვრების პირობების განვითარებისაკენ მიმართა; საყოველთაო სწავლავანათლების, მეცნიერებისა თუ ხელოვნების სიკეთეც უპირატესად ამავე მიზანს დაუშორჩილა. ცოდნა და სიკეთე იდენტურ ცნებებად იქცნენ. „ხე ცნობადისა“ იმავე ნიშნავდა, რასაც მწვანე ზე ცხოვრებისა. ყოველი წარმოტება, ყოველი წინწადგმული ნაბიჯი შეგნების, „ახლის“ დამკვიდრების, საზოგადოებრივი პროგრესის გზაზე იმავე დროს არსებითი სასიცოცხლო ინტერესების გამოხატულებად აღიქმებოდა თითოეული ინდივიდის მიერ. „კარგი ცხოვრების“ შექმნა სიცოცხლეს „სინხარულად“ აქცევდა. ხოლო როცა თაობა თავისივე პირით დაიღდადებდა, „სიცოცხლე სი-

ხარულითაა, მაშინ ამაყაა, რომ მის თვალში სიცოცხლის მანანდა ფრიალ მდგალია, ყოფნის ფასი ათასწილ სკრაბობს არყოფნისას, ყოფნა-არყოფნის უწყეთსადა-უარესობის საციოხი ეპყადაც კი არ აღიჭვრის. ვასკვირი არ არის, თუ ამ თაობის შრომისა და ბრძოლის ამსახველ მხატვრულ ქმნილებებში არც წამოჭრილა საკუთრივ ინდივიდუალურ-პირიველი სულისმიერი პრობლემები. „მაშობისაგან“ განსხვავებით, „შვილებს“ აღარ მოსწევიათ, ბავშვობისა და ყრმობის ასაკივე დაეწყეთ ცხოვრების ავ-კარგში გარკვევა; ამათი ცნობიერების ჭეკარ დაუწყებელ დავაზე პირველი ასოები უკვე „სწავლას, ფიქრსა და ოცნებას“ გამოჰყავდა. იქმნებოდა მძალი წარმოდგენა სინამდვილეზე, ადამიანის დანიშნულებაზე; მაღალ შეხედულება ყოფდა ნათელია და მშვენიერებაზე. ჯერ ყალიბდებოდა სინამდვილის ერთი განსახილველი მოდელი, და შერბედა უნდა შეეცურა კაცს ამ სინამდვილის შორსვე, იმ კაცს თან ახლდა ნათელია რწმენა ყოფნისმიერი საციოხისა, რაიც ესოდენ მკაფიოდ გამოვლინდა პირველივე დიდი განსაცდელის ეპოს, სამამული ომში, სიკვდილ-სიცოცხლის უღრმობელი შეჯახების ფონზე. ეგვეგრძნობა მსკვალავს კაბზე „ჯარისკაცს“ არჩნელ სულაყურის მოთხრობაში „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან“, რომელიც ომის ეპიზოდებზეა აგებული ომის პირველი ხანა, ის პერიოდი, როცა გერმანელები ვაფთვრებით მოიწყვდნენ წინ. „ჯარისკაცი“ და მისი თანამებრძოლი „ზემდეგ“ იძულებულნი არიან, უფუქცენ შიშალებული ბტრის წინაშე. ამ შემთხვევაში დრის „ჯარისკაცს“ არ დალატობს ობტინისტური რწმენა. ჩვენ აუცილებლად ვავიზარტვებით, დარწმუნებული ეუბნებდა შეიკვებულ „ზემდეგს“. ოღონდ საინტერესოსა, რაზე აფუქცნებს თვის ობტინიზმს. ერთადერთი მისი არტუმენტი ამგვარია: „ბოროტებას რომ ვაეზარტვა, ქვეყანა ადრევე დაიღუბებოდა“. „ჯარისკაცი“ აქ გულისხმობს არა მარტო ფაშოზმს, როგორც ბოროტების ერთ-ერთ კერძო გამოვლენას, არამედ ბოროტებას საერთოდ, იგი ზოგად-ფილოსოფიური თვალსაზრისით უტყუერის ეთიკისა და ბოროტის დაპირისპირებას. ხოლო ამგვარი ზოგად-მსჯელობისას, მის მიერ ჩამოყალიბებული ის სილოგოზმი, რაც ზემოთ მოვიტანეთ, თავად რწმენის — მშვენიერი რწმენის — გამოხატულება უფროა, ვიდრე ლოგიკური დასაბუთების ნიშნუმი, განსწმენი-მოპოვებული უტყუარი ცოდნის შედეგი. მართლაც, ამ მის მიერ გამოტყმულ, თავისთავად მომხიბლავ თეზისთან — რაიც ბოროტებამ წარსულში ვერ იხატა, ვერც აწი იხარტვბს — სინამდვილეში უპირისპირება, შესაძლოა ნაკლებ მომხიბლავი, მაგრამ არანაკლებ საფუძვლიანი ანტითეზისა. თუ დავეყრდნობით დედამიწის

წარმოშობის მეცნიერებაში შემუშავებულ კოსმოგონიურ თეორიას, ვინ იცის, ქვეყანა რამდენჯერ „დაბეჭულა“ წინათვე, და კვლავ წარმოქმნილა. ამგვარ მტემორფოზსათა რიცხვი შეიძლება უსასრულოდ ზარდოდ წარსულში, ასევე — სამერმისოდაც. მაგრამ ანტითეზისის სასარგებლოდ მარტოდენ კოსმოგონიური კი არა, ისტორიული თვალსაზრისის მოშველიებაც შეიძლება. ეკონომიკის ისტორიაში ხომ, უამთა სიყვის წყალობით; არაერთი და ორი ტომი ან ხალხი აღველია მიწის პირისაგან, დამზობდა მათი ცივილიზაცია (აქ-იქ ვეკლია თუ შემორჩენილა ამ ცივილიზაციის, ანდა ისიც კი არა). ზოგჯერ მეკიდრე მოსახლეობა მივილი ვანტინენტისაც კი თითქმის ერთიანად ამოწყვეტელა (მსოფლიო პეისის მეშვეობით ხანდახან ახლაც ვეგვბთ, რომ ზოგერთი ძველი ტომის ნაშთი ავტრ ჩვენს თვალწინ იხიბობა). თქმა არ უნდა, იმ გამჭარლო, ვადამენებულ ტომებისა თუ ხალხებისათვის კაცობრიობა სწორედ რომ დიდებუბა, ქვეყნიერების მზე სწორად რომ ნახევენა. დამბლოს, ზნეობრივი თვალსაზრისითაც თუ განსკით, ძნელია ვადატრით, კაცუგოზიულად თქვას, ცოდვა-მოდლის სასწარზე რომელი მზავ ვადასწარლა, ოდღვისა თუ მდღლისა. ნათქვამის ცხადსყოფად მკითხველს აქ მოვაკონებთ ცნობილ მაგალითს ლიტერატურის ისტორიიდან. წმინდა ბუნების მქონე ერთ ყმაწვილს, ცხოვრებაზე უყურებანოდ „პოს“ მთქმელს, უამზობენ: ვინმე გენერლის, მდიდარი მემამულის, საყვარელ ძალღს შინაყმის ბიკუნმა უტანებდალ ქვა მორატყა ფეხში და დააკოჭლა. განჩარტვებულმა ბატონმა დედა-შვილი მოავტრევირა. ბიკი გაატრტვებინა. მერე უბრძანა, გაქეკო. გაქეკულ ბავშვს ძალღების ხროვა მიუისიხინა. დედის თვალწინ დაავლევირა უტოდველი ბავშვი დაეეებულ ქოფაკებს. იმ ყმაწვილს კითხვას დაუტვამენ: რას იტყვი შეიძლება თუ არა ამის შემდეგ გული მოგებრუნდეს ცხოვრებაზე, ცოდვილად შეზარტყო კაცობრიობა ყმაწვილი ვერ ვაბედა. „პოს“ — თქვას. აღვილი წარმოსადგენია, რამდენი ანაირი უდნაშაულ ბავშვის, რამდენი დედა-შვილის ენით აუწერელი წამების, მხეტერი დახოცვის ამბების მომსწრე, გამოვინე და წამოცივლი იქნებოდნ არჩილ სულაყურის მოთხრობის გმორი: მომსწრე — იმ ვატუნარი ბოროტებისა, რასაც ვადამივილი; X X საუკუნის ადამიანად წოდებული, იქამად სჩადიოდა მისი ქვეყნის ვაპარტახებულ მიწა წყალზე. მაგრამ მოთხრობის გმირს მაინც არ შერყევია ნათელი მრწამსი, გულში იჭვის კიბა არ ჩასტრომია, სკეპტიციზმი არ ვაპარტვბია. არ ვაპარტვბია; რადგან ასე ძალღმად ვასკლომოდა უნივერსალური საციოხის რწმენა. კიდევ იმიტომ, რომ ჯერაც მოსდგამდა აბსოლუტური, და არა რელატიური აზროვნების მანერა.

მალალი რწმენა მშობლობური ქვეყნის შეუ-
ვლობისა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებუ-
ლი სიცოცხლის სიკეთისა, განუყრელ ღირსე-
ბად ახლდათ წინამორბედი ხანის ლიტერატუ-
რულ გმირებსაც. ამ მხრივ „ქარისკაცის“ მხა-
ტერული სახე რაიმე პრინციპული სიახლით
არ გამოირჩევა (თუ მხედველობაში არ მივი-
ღებთ იმას, რომ „ქარისკაცი“ საკუთარი ქვეყ-
ნის უძველესობის შეცნობით, ომის ბედის
განმსაზღვრელ კონკრეტულ ფაქტორებზე და-
ყრდნობით კი არ დაასვენის საერთოდ სიყე-
თის უძლეველობას, არამედ, პირადად — ზო-
გადი სიკეთის გარდღევალობისაგან გამოჰყავს
საკუთარი ქვეყნის დამარცხების გარდღევალო-
ბა). ეს სახე საინტერესო უფრო იმითაა, რომ
ახალგაზრდა კაცის ფსიქიკაში მომხდარი სა-
ყურადღებო ცვლილება წარმოგვიჩინა, მისივე
შინაგანი ცხოვრების გაღრმავების ახალ მიჯ-
ნას მიგვანიშნა, ვაფართოვა და წინ გადასწია
სამაინი ინდივიდუალურის, პიროვნულისა. ამას
გვიმოწმებს იმგვარი გავება სიყვარულის,
ეროსისა, როგორც „ქარისკაცისა“ და „ქა-
ლიშვილის“ ურთიერთობის ჩვენებისას მკლავ-
ნდება „ქარისკაცისთვის“, ოცი წლის ჰაბუკი-
სათვის, რომელსაც აქამდე, მისივე თქმისა არ
იყო, მხოლოდ უსწავლია, უფიქრია და უოც-
ნებია“, ქალიშვილი არაა მხოლოდ და მხო-
ლოდ ჩვეული პირველი სიყვარულის, უბრა-
ლოდ ახალგაძვირებული ტრფობის საგანი.
იგი გაცილებით უფრო მეტია (ცინილო მკითხ-
ველი კარგად იცნობს არჩილ სულაკაურის ამ
მოთხრობას, ამიტომ ამბისმიერ დეტალებს
აღარ შეეხსენება). ოცდაათიან-ორმოციანი
წლების ლიტერატურულ თუ ხელოვნებისულ
გმირის (კაცი იქნებოდა თუ ქალი), ჩვეულებრივ,
ის არსება შეუწყვარდებოდა ან, ყოველ შემ-
თხვევაში, იმ არსებას ჩათვლიდა გულისკა-
სუბის ღირსად, ვისაც შრომაში ან ბრძოლაში
გამოვლენილი ღირსება ამცობდა. ეს ერთი
ფრიად საგულისხმო პირობა გახლდათ. სიყვა-
რული ამგვარ ვითარებაში მნიშვნელოვან სა-
ზოგადოებრივ ძალას იძენდა. მაგრამ მიჯნურს
გულისწიორი თავად სიცოცხლის ფასეულო-
ბის განმსაზღვრელად მაინც არ ესახებოდა,
სიცოცხლისა და სიკეთის იდეის ტოლფარად
მაინც არ ევლენებოდა, იდეალის ცნების რან-
გში არ აჰყავდა. ხოლო „ქარისკაცის“ თვალ-
ში „ქალიშვილი“ თვით სიცოცხლის მშვენიე-
რებას განასახიერებს. ესაა სიყვარული მშვე-
ნიერ სხეულში მობინადრე მშვენიერი სული-
სა, ეროსის ის სახეობა (პლატონის მიხედ-
ვით), როცა მშვენიერებას შემსკვალილი ადა-
მინი ამ მშვენიერების წილად, საბოლოოდ,
უკვდავებას ეზიარება. თუ მანამდე სიცოცხ-
ლის მალალი ღირებულებების რწმენა ერთიან,
განუყოფელ ცნებას წარმოადგენდა, შემადგე-
ნელ ნაწილებად არ დიფერენცირდებოდა, ახ-
ლა მას გამოეყო და დაუწყვილდა მშვენიერე-

ბის იდეა, ისინი ჯუფთნი შეიქნენ. სიცოცხლის
ღირებულების იდეა უკვე აღარ არის ცალკე-
ული ინდივიდის ნებისაგან დამოუკიდებლად
არსებული უცვლელი და უძრავი რამ, სუბი-
ექტი თავად იმარჯვეს მისი შეფასების კრი-
ტერიუმს, არსებითი შინაგანი მოთხოვნილების
საზომით უდგება მას. თვით ის ფაქტიც, რომ
დაჭრილი „ქარისკაცი“ აღსასრულის წინ სა-
განგებოდ, შეგნებულად იწყებს ფიქრს სი-
ცოცხლის მნიშვნელობაზე, საკუთარი თვალ-
თახედვის მიხედვით განსჯის ობიექტად აქ-
ცევს, შეფასების საგნად ხდის მას, მოგვანიშ-
ნებს სუბიექტის როგორც თვითშემეცნების
გაღრმავებას, ისე სულიერი მოთხოვნილების
გაზრდას. ქალი იღუპება, ვაჟი ჰკარგავს მას,
მაგრამ სასოწარკვეთილებაში არ ვარდება,
თუმცა ღრმა მწუხარება მოიცავს. ეს არ არის
შემთხვევითი. გავიხსენოთ, რას ნიშნავს საყ-
ვარელი ქალის დაკარგვა, ვთქვათ, იმ მწერ-
ლის ნაწარმოების გვირისათვის, რომელიც და-
სავლურ ლიტერატურაში ე. წ. „დაღუპული
თაობის“ წარმომადგენლად ითვლება. გინდაც
უღაბნოში მოხეტიალე დამაშვარალი მგზავრ
წაწყდომოდეს შემთხვევით, რაღაც სასწაუ-
ლად შემორჩენილ ეულ ოაზისს, და მერმე ის
ოაზისიც ერთბაშად წართმეოდეს. სიცოცხლეს
უქანასენელი ფასი ეკარგება ამ გმირის თვალ-
ში, უქანასენელი თავისისდრეკი სავანე ქრება,
არსებობა უძმიმეს ტვირთად იქცევა. ხოლო
„ქარისკაცი“ განრიღებულა პესიმისტს, რად-
გან „ქალიშვილის“ სიკვდილთან ერთად მის-
თვის არ მომკვდარა მშვენიერების იდეა. პი-
რიქით, უწინარესად ამ იდეის დასაცავად აპი-
რებს ბრძოლის განგრძობას, მტრისთვის სამა-
გიერის მიზღვას, თუკი დასცილდა. მომკვე-
დავი, იგი მღერის სიცოცხლის უკვდავებაზე,
წმიდათაწმიდა შტრისგებაზე, კვდება, მაგრამ
თან მიჰყვება სიცოცხლის ამაღლებული რწმე-
ნა.

გაზრდილი სულიერი მოთხოვნილების მქო-
ნე გონებაგანვითარებულ ინდივიდს იმავე
ღროს უფრო მალალი დონის გარემომცველი
საზოგადოება და უფრო მალალი დონის ობი-
ექტური პირობები სჭირდება პარაზოიული გან-
ვითარებისათვის, სულიერი წონასწორობის
შენარჩუნებისათვის. ცხოვრებაში ფეხის შე-
დგმა, სინამდვილის აღმანიშნავსა და მათი
ურთიერთობის უშუალოდ გაცნობა თავი-
ებურ დაღს ასევე მანამდე უმთავრესად წარ-
მოდგენებით ნაკვეთ ახალგაზრდა კაცის ფსი-
ქიკას, ამა თუ იმ ვეხით წარმართავს მის შეგ-
ნებას. ამ მხრივ საგულისხმო სურათს ვედა-
გვიშლის არჩილ სულაკაურის რომანი „ოქ-
როს თევზი“. საინტერესოა, თვალთ მივაღედ-
ნოთ მისი მთავარი პერსონაჟის დათო ნათე-

თანხიზ ჩხაიძე
ახალგაზრდა ძაღვის ფიციოლოგიისათვის



შვილის სულიერი ბიოგრაფიის გზას, ანუ უფრო სწორად, ამ გზის ერთ თვალსაჩინო მონაკვეთს (მონაკვეთს-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ, როგორც შეიხველს მოეხსენება, ჯერ მხოლოდ პირველი წიგნი გამოქვეყნდა ხსენებული რომანისა; როგორც იქნება დათო ნათი-შვილის შემდგომი გზა, ჯერჯერობით უცნობია), დათო ნათიშვილის სულიერი ფორმირების პროცესი ორმოცდაათიანი წლების მერო ნახვერისა და, განსაკუთრებით, სამოციანი წლებისათვის დამახასიათებელი სინამდვილის ფონზე მიმდინარეობს. ამდენად შეიძლება მას, პირობითად, სამოციანელიც ვუწოდოთ.

დათოს ცხოვრებამ გაუმართალო, ამ სიტყვებით იწყება რომანის პირველი ნაწილი. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მშენებლობაზე მოუწყობა სამუშაოთა მწარმოებლად. დიდ საცხოვრებელ სახლს აგებს საბურთალოსზე. ის იღწვის აღამიანთა ერთ-ერთი არსებობა მატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის. შრომა მართლაც საარსებო საშუალებათა მოპოვება როდია მისთვის, იგი მადლიერია იმის შეგნებას ანიჭებს, რომ სარგებლობა, სიკეთე მოაქვს სხვებისათვის. მაგრამ არა მარტო სხვებისათვის, თავისთვისაც: იმ სახლში, ახლა რომ აგებს, თავადაც იცხოვრებს, ერთთახიანი ბინის მიცემის შეპირდნენ უკვე. ეს მით უფრო ახარებს, რომ ჰყავს სატრფო, სტუდენტი ციციწო, და მომავალზე, ოჯახის შექმნაზე ფიქრობს. ის საქმე, რასაც აკეთებს, საერთო კეთილდღეობის საქმეა. ამრიგად, შრომა ზნეობრივ კმაყოფილებას ვერის, იმის რწმენას უნერგავს, რომ ნამუსიანად იხდის თავის ვალს საზოგადოების წინაშე. დათო მყიდრო, შემოღებული ოჯახის შვილია. ჰყავს მზრუნველი, მელოკურული დედა; წყნარი, კეთილი მაინაცავალი — პლატონი, ძმა — მირიანი, და — თინათ. ჰყავს აშხანაგ-მეგობრებიც. თავისი დაუმთავრებელი სახლის მესამე სართულზე ასული, ციციწოსთან ხელგადახვეული და ღამით გაჩირადნებული თბილისის მაქტერალი, ცაზე მოკიანვე ვარსკვლავებს თვალმიშტერებული, იგი იმედიანად შეჰყურებს მომავალს. სულიერად მხნეა და ჯანსაღი. ბედნიერია. ბედნიერი რომ არის, ამას ოქროს თევზის ალუგორიულმა მიგვიანიშნებს. ოქროს თევზი დათოს სულიერი მდგომარეობის თვისებურ ბარომეტრად გვევლინება. ხოლო დათოს ცხოვრების ამ ეტაპზე ოქროს თევზის შესახებ ნათქვამია, ბედნიერად გრძნობს თავს. მაშასადამე, დათოც ბედნიერად გრძნობს თავს. თუმცა, დღეს ვამჯობინებდით გვეთქვა, სულიერი ჰარმონია არ დარღვევია, თავისივე არსებობა არ ქცევია საკიბორტო საკითხად, მით უმეტეს, თავსატეხ პრობლემად.

ერთადერთი ავისმომასწავებელი ნიშანი,

რაც დათოს შრომითი ურთიერთობის შემოქმედებაში შეიმჩნევა ჯერჯერობით და რასაც ავტორი გავრით აღნიშნავს, ის არის, რომ სამუშაოთა მწარმოებელს კუთვნილი ცემენტის მიღება სადავოდარბო საქმედ ვახლოვია: თუ გინდა დროზე მოგვენ, კრთამი უნდა მისცა.

სწორედ იმ დროს, როცა თავისი დაუმთავრებელი სახლის მესამე სართულზე ზის და ციციწოს გვერდით მომავალზე ოცნებობს, დათოს შეემთხვევა ისეთი რამ, მთელ მის ცხოვრებას რომ შეაღრიალებს. ღამის სიჩუმეში უცებ მანქანის ხმას გაიგონებს, მერმე კაცის ხმაც შემოესმება. ცოტა ხნის შემდეგ ქვემოდან ისევ მოსწვდება ხმაური. წამოდგება და მშენებლობის ეზოზე გადაიხივებს. ღამის სიბნელეში დაღანდავს სატვირთო მანქანას და ორ მოფუსფუსე კაცს. ფრთხილად დაუყვება ხის კიბეს. ეზოში ჩასული მკირე მანძილი გაივლის რომ შეამჩნევს: ვიღაცეები ცემენტით ტვირთავენ მანქანას, ცემენტს იპარავენ. შეუძახებს. ორი ლანიდ გამოეშურება დათოსკენ. ნიჩბებმომარკვებული მიუახლოვდებიან: ვიდრე ქაბუცი რასმე მოასრუდეს, ნიჩბებს გაზეტებით ჩასცებენ თავში. გრძნობადარგული დაეცემა. სიკვდილს ბეწუზე ვადარჩება.

ხასკასით უნდა ითქვას, რომ დათო ინსტიტუტურად როდი მოქმედებდა; ანგარიშს აქლევდა თავის თავს იმაში, რასაც აკეთებდა და რისთვისაც აკეთებდა. ეკვით აღძრული უჩუმრად წაჰპარა და შენიშნა: ქურდები მშენებლობის ცემენტს იპარავდნენ, სწორედ იმ სიმწრობით ნაშობე ცემენტს, რაც სახლის დასამთავრებლად უნდა მოეხმარებინა, სახლისა, სადაც თავისი მომავალი ბინაც ვეუღლებოდა. შენიშნა და აღუტა ქურდები. ცხადია, გრძნობდა: ვარკვეულ რისკს სწევდა, ზიფათში იღვებდა თავს. მაგრამ ყოყმანი და მერყეობა არ გამოუქმდებოდა. მისი ეს საქციელი გაბედული კაცის სწორედ შეგნებული, სინდისიერი საქციელია. კიდევ მეტი: ეს მოქმედება ახალგაზრდა საცოლის წყენინების ფასადაც დაუჯდა. ციციწო ეხვეწება, შენი პირი-მე, ნუ წახვალ, მარტო ნუ დამტოვებ, მარტო თუ დამტოვებ, გავგიფრებო. მაგრამ დათო არ ათხოვებს ყურს. აქ გაუჩნდნა ის პირველი ზზარი მათს ურთიერთობას, რასაც დათო ცოტა მოგვიანებით იგრძნობს და სწორედ აქ მომხდომ ამბავს დაუჯვრებებს.

დათომ იცის, რომ ამ ქურდობის საქმეში ვინმე ნიკო კორინთელის, იგივე „შევი ნიკოს“, ხელი ურევია. სწორედ მან სთხოვა ცემენტი ამ ორიოდ დღის წინ, მკირდება და მომყიდვ, მოვირგდებოდა. ცივი უარი მიიღო. მაშინ ადგა და ეგ იყო — ძალად წაიღო. თითქოსდა, რა ისეთი რთული საკითხის წინაშე დგას კაცი: ბოროტმოქმედი უნდა ამხილოს, დანაშაული დაუსჯვალდ არ უნდა დატოვოს, მით უმეტეს, რომ ის ქურდები მარტო ქურ-

დები კი არა, მკვლევებიც იყვნენ, დათო სწორედ მოსაკლავად გაიმეტეს, შემოხვევით გადაარჩა. ეს, ერთი შეხედვით, მარტოვეი საერთო რთულ დიდიმად იქცევა. ამ დიდიმის გადამკიდეს, ახალგაზრდა კაცს მოუხდებდა შეიცნოს ნამდვილი ცხოვრების აე-კარგი: სახელმწიფოური ორგანოს ზოგიერთი ვაიმესევერი, საკუთარი მშობლები, სატრფო, ამხანაგები, სხვებიც და საკუთარი თავიც, ერთი სიტყვით, გაუღვეს შემეცნებისა და თვითშემეცნების ნარეკლიან გზას.

პირველი „სიუბრიზი“ ამ გზაზე შინეველის. ქურდებთან ნახუბარი და თავგატეხილი, საზოგადო საქმისათვის დაზარალბული, შინ მიყენისას, ბუნებრივია, მეღვინის, რომ თავისიანებზე პირველ რიგში მშობლები, თანაგრძობას გაუწევენ, ავისმქნელების საქციელით აღშფოთდებიან, შვილის ზნეობრივი სიქველით სიამაყეს იგრძობენ, ბოროტმოქმედთა ვამოღონებისა და ალაგვისი ვანზრახვის უყუყმანოდ მოუწონებენ და საქმით თუ ვერა, მორალური მხარდაჭერით მაინც დაეხმარებიან. მორალური მწარედ მოატყუებს. შვილი რომ კინადამ მოუტყეს ავკაცებმა, ამ ამბავს ისე არ შეუშფოთებია და აუფორიაქებია მშობლები, როგორც იმის ვაგებამ შეაშფოთა და ააფორიაქა, დანაშაულის ჩადენა ნიკო კორინთელის ბრალი ყოფილა. დედაც და მამინაცალი პლატონიც ერთმანეთს მხარს აუბამენ, კორინთელს იცავენ, ნიკო დიდი კაციაო, წესიერი კაციაო; ვე საქმე არ უნდა ვახმარდეს, ოთხი ტონა ცემენტი არაფერია, ჩვენი დაგაფრინებენ. არადა, დათომ ამასობაში კარგად შეიტყო, ვინც არის „შავი ნიკო“. ესაა მოუტყულებელი ბოროტმოქმედი, ქურდი, ავაზაკი, ბნელბნელი საქმეების მოთავე, მრავალგზის დაბატიმრებულ-გადასახლებული, ოც წელიწადს ციხეში ნაჯდომი, ბოლო გადასახლებიდან ორმოცდაათობსმეტში დაბრუნებული. ამის შემდეგ დანდათან კარგა მკვიდრად მოუღვამეს უფრო საზოგადოებაში, სიმდიდრე მოუხვეჭია, ამის წყალობით წონა და ვაგლენა მოუბოგებია. კერძოდ რა საქმიანობას ეწევა ამჟამად, იღუპალებითაა მოცული. დათო დაბნეულია, ვაღს ვეღარ მორგება; უტყვის — ქურდებმა და მკვლევებს რატომ უნდა შერჩეთო ავკაცობმა. პლატონი რა ნახავს, დათოსთან სათათბიროდ მოსული ამხანაგი, უფრნალისტი გვლა კორინთელის მკვლელობას აპირებდა ვაგუთის შეშეობით, მთლად ვაცეცხლებდა, ლამის ცოვები ჰყაროს. დათო აქამდე წყნარ და ბუნჩულა კაცად იცნობდა მამინაცალს, ვერ წარმოედგინა, ამგვარი ვაგფორება თუ შეეძლო. ახლა კი თავისი ჩვეული სახის მიღმა თითქოს მეორე, ნამდვილი სახე გამოაჩინა. რაკი შვილს სიციხეს შეამჩნევს, დედა დამიპარტახებებს და თავის მოქონვას დაუწყებს: ვერ პლატონის თავს შეაკიდებს, პლატონს

ეშინიაო კორინთელის (ოღონდ რატომ ეშინია, არ უმხელს), პლატონს დიდ საქმეებსაც უტყუებსო კორინთელი (მაინც რა საქმეებს უტყუებს, ამის თქმას თავს აჩივებს); კორინთელი თუ ვადავიმტერეთ, ჩვენს ოჯახს უბედურება დაატყუებდა; ბოლოს დაბრავებს თუ ვაგფორებდა; არ ვაბნობ, რაც შეგემთხება, ნიკოს სახელი არავისთან ასხნოთ. დათოს აქამდე ვგონა, ყველამ იცოდა, რა არის „კარგი“ და რა არის „სუდი“. ახლა ვაბორჩევა — რაც მის თვალში „კარგია“ და ნამდვილადაც ასეა, ის დედა-მამის თვალში „სუდი“ ყოფილა. შვილი დაინტერესებულა, თავის ზნეობრივ ვალდებულებას, ბოროტებას წინააღმდეგობა გაუწეოს; მშობლები კი დაინტერესებულნი არიან, არ ვაუწიოს წინააღმდეგობა თუქა, უფრო სწორად, რაც შვილს სიავედ მიაჩნია, იმას არც აღიარებენ სიავედ. აქ შვილისა და მშობლების ინტერესები, მორალური შეხედულებები ერთმანეთს დაუბირისპირდა. ამ დაბირისპირებას დათო მით უფრო მტკივნეულად ვანიცდის, რაკი ვედის რიდი და სიყვარული მულამ ჰქონდა. მგარამ ხასიათის ვეროვან სიმტკიცე იჩენს, იწყებს ზნეობრივად ვამიჯენას მშობლებისაგან, არც მათ უმართებულ ნება-სურვილს ემორჩილება. მაინც ვაღაწყვეტს, მშენებლობის უფროსთან მივიდეს და ყველაფერი უამბოს. ოღონდ მანამდე ვაკვრით მაინც უნდა აღენიშნოთ, როგორ შეხვდავენ ამხანაგები იმ ამბავს, დათოს რომ შეემთხება. მოვლენ, დახედავენ მწოლიარეს, ცოტას ვაგებულებიან, ცოტას კეთილად დასცილებენ; ვაქოთაქეს, ბოქო, ჰკითხვენ და მერმე ვვერდზე მიდებიათ, სრულიად სხვა საგანზე ვაბამენ მუსაიფს, უკეთ, აღრველ წამოწყებული საუბრის ვაგვრებენ. არჩელ სულაკაური იმ მწერალთაგანია, ვის ქმნილებებშიც არა მარტო ზუსტად მიგნებული მხატვრული დეტალი, ნიუანსიც ფრიალ ანგარიშავსაწევი, ვაქოთაქეს, ბოქო? — ამხანაგების ამ მიმართვის ახლავს ნიუანსი, რაკი ვანსაცდევამოვლილ დათოს თითქოს ეუბნება: ვე არაფერი, ვაჯობეს, ხომ? რა მოხდა მერე, ვანა მაგისთანევი სხედა ცხოვრებაში, ვე ვერთ და სხვა მრავალიო. ვრთადერთი უფრნალისტი ვგლაა, აღშფოთებას რომ ვერ ფარავს, ვულითაა მოწადინებული, ნიკო კორინთელს ვაუსწორდეს, როგორმე ნილბე ახადოს. მავრამ „შავ ნიკოსთან“ საბრძოლველად ძალაც ავლია, ვამოცდილებაც და თავისი უფროსების მხარდაჭერაც:

შენებლობის უფროსთან მისულ დათოს მორიგი „სიუბრიზი“ ელის. კარგანის ლონდინს შემდეგ უფროსი ცივად მიიღებს. ხეობიანად არც კი დააკლის უამბოს, რაც მობხდა

მანვიზ ჩხიშიძე

ახალგაზრდა კაცის ფსიქოლოგიისათვის



და კრფორც მოხდა, უმაღ აქეთ დაცხმის თაჲს; იმ დამეში მშენებლობაზე რა ვინდოდად, რისთვისა მხნედლით, ვისთან ერთად მიხვედით, მშენებლობა საოოსკიო ხომ არ გგონიათ? მერმე საერთოდ ახალგაზრდობას მოსდევება, ბოლოს დამეტქება, ამ საქმეს სასამართლოს გადაეცემო (უნდა ეთქვა, საგამომიებლო ორგანოს). ერთი სიტყვით, ალალ-მართალ კაცს გააბითურებს და გაათახსირებს. დათო ვეღარ მოითქება და ცინება და აქნად აგდებას, საჩხუბრად გაიწევს. ვიღებენ ოთახიდან გაიყუანენ და ქუჩამდე მიაცილებენ.

მერმე მშენებლობიდან დაითხოვეს, დაადანაშაულეს და ზარალის ანაზღაურებაც დააკისრეს. სადაც კი მიდიოდა სასამართლის საშოვნელად, ყველგან თან მისდევდა იმ ოთხი ტონა ცემენტის დანაკლისი. ასე ვასიხვეთ, ნაცნობებმა თუ უცნობებმა აღმაცურადაც დაუწყეს ცეკრა. ასე დარჩა ვანზე: რალა უნდა ექნა, დაჯდა უსაქმოდ შინ. განმარტოვდა, გაბრწყია. ცხოვრებამ ზურგი აქცია. იმ ამბის შემდეგ, მშენებლობაზე რომ შეემათვა, საცოლუ თანდათან ჩამოშორდა, სხვა საქმეში იპოვა. ამხანაგებთან კონტაქტი სუსტო, მოიგწეებითი გამოდგა, მათთან კომუნიკაბლობის დონე და ჩარისხი. — ერთობ დაბლო (მარტო გელა თუ ჩათვლება გამოწავლისად). მორიანს მიერ გამოთქმულ აზრისა არ იყო, ყველა თავთავისი ვიწრო-პირადელი ინტერესების თხილის-გულისოდენა ნაჭუჭში შეეკეტლა.

აქ გვიხდა, ურთ. რამე მივაქციოთ მკითხველის ყურადღება, როცა იმ დამოკიდებულებას ავირდებო, რაც მშენებლობის უფროსმა გამოიჩინა სააღსარებოდ მისული დაქოსადმი, გავიწინებდებო, ის აგრესიული დახვედრა, ის აგრესიული ტონი, ვერავალი შეკითხვები და ის ნაუცბათევი, უამებლიო გამტყუნება ალალ-მართალი კაცისა დაბრალო იმ უფროსის მართოდენ სირვენეს, უნდობლობასა და ბიუროკრატულ უსულგულობას. უნებურად აღვეყვარის ეჭვი, ხომ არ ყოფილა წინასწარ გადაპირებული თუ მოსყიდული ის უფროსი კორინთელის მიერ? ხომ არ გაუფრთხილებია პლატონს კორინთელი, ასე და ასე გიბრუნებინა, რომეხი მიიღო? ეს ეჭვი არათუ უსაფუძვლო მოგვიჩვენება, თუ ვაისხენებ პლატონისა და დათოს დედის აფორიკებებს. მათს ხაილუმლო ჩურჩულს, საეჭვო ქცევას, ხოლო შექმნილ ვითარებაში შეიღის განაცტყუნებლად რომ უნდა ემოქმედათ, ამასი ცუდს მანიცდამაინც ვერაფერს ხედავდნენ, სინდისის ქენჯნა არ შეაწუხებდათ. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ პლატონს (და დედსაც) გუნება გამოუქეთლებათ, როცა ზარალის ანაზღაურებას დათოს დააკისრებენ და საქმე ასე მშვიდობიანად დამთავრდება. პლატონი იმისაც კი შეჰპირდება დათოს, ცემენტის დანაკლისს შე დაუბრუნებენ. ის ტრავმა კი რაც შეი-

მა განიცადა, მშობლებსთვის არცხნაღს გეზარი დარჩება. გამოთქმულ ვარაუდს არც ის ფაქტი ეწინააღმდეგება, რომ მშენებლობის უფროსმა საქმე კი არ მიაფუქენა, საგამომიებლო ორგანოს გადასცა. „ტაქტიკურად“ სწორად განჭრიტა: ორგანიზაციის სახელით ბრალდებულ პირად ნათიშვილი სცნო და ამით ერთბაშად შეუკრა მას ხელ-ფეხი, სხვისი მხილების მაგიერ საკუთარი თავის დაცვა გაუხადა საზრუნავად; თანაც ბრალდებულ პირის მიერ თავის მართლებიას და დანაშაულის სხვისთვის გადაბრალების ცდას რა ისეთი დამკვერებლობა უნდა ჰქონოდა (საგამომიებლო ორგანოში მართლაც არავინ დაინტერესებულა კორინთელის პიროვნებით). და მინც; ძალზე სარწმუნო ვარაუდი გვარაუდალ რჩება. რომანში ამის შესახებ ვარკვევით არავერია ნათქვამი, საჭირო კი იყო, ვარკვევით ყოფილიყო თქმული; რადგან, ერთია, თუ სოციალური მანიკრების თვალსაზრისით ვანსა, როცა კაცი თავისი სიბრყველს გამო უნებლიედ ჩაიდნეს გამოუწროებელ შეცდომას, და სხვა არის, როცა ხელისუფლების წარმომადგენელი ანგარების გამტ შეგნებულად დათრგვენის, სულში ჩააფურობებს, რქმენს დაუკარავს და საზოგადოებას მოკევის საზოგადოებისავე ერთგულ, სასარგებლო წევრს (ის მოსაზრება, რომ ეს ხარვეზი, შესაძლოა, მწერლის სუბიექტური მიზნით კი არა, გასაგები ობიექტური მიზნით ყოფილიყო გამოწვეული, მდგომარეობას არ ცეცის).

დათოს არა მარტო უმუხთლა ბედმა, დანაცინა კიდც. ბედის დაცინვა იყო, რომ იმ ფესსაცლის არტელის ნამდვილი ბატონ-პატრონი, სადაც პლატონმა სამუშოდ მოაწყო და სადაც თვითონ პლატონი ხელმძღვანელად ითვლებოდა, ნიკო კორინთელი აღმოჩნდა. დათოს ის არტელი კაპიტალურად უნდა შეეკეთებინა და შემდგომ, როგორც გაანდეს, გეგმით გაუთვალისწინებელი სააჭრო უნდა გამოეთხარა.

არტელში დათო უკეთ გაიცნობს მამინაცვალს. ნახავს პლატონს, რომელიც ერთი გულტურაყოლო კაცი ეგონა, თვალთმაქცი და მტყუარა ყოფილა. რაკი ყრუმუნჯე არტელს ხელმძღვანელობს, სასახურში ყოფნისას ზნედაც ყრულ და მუნჯად ასილებს თავს; ამაგარი მატყუარობის წყალობით ხელსაც კარგად ითბობს და თავსაც არეინად გრძნობს. მამინაცვლის შემხედვარე აგრე ფიქრობს: როგორც ჩანს, ტყუილით ცხოვრება უფრო იოლი და ხელსაყრელია, ვიდრე სიმართლით. თვითონ ხომ მართალია; მაგრამ რად ვინდა მერე, მთავარი ის არის, საკუთარი სიმართლის დამტკიცება შეუძლოს. ასე; უშაბო, მუდამ მოწყენილი ბატონ ზურიკო გულწრფელად ებრალებოდა და სასულეა იმითმე შემოქყავდა სოლმეც ხედავდა. ერთობოდა მაგევი, მაგრამ



ვინ დაუყვარა... შინაურებმა (დედამ და დამ) მაინცდამაინც ასე გაიგვის: პატარა ზურგიკო იმიტომ შემოიჩვია, დედამისი რომ დაახლოვბოდაო; ბავშვს ფეხი ამოაკეთინეს. სახელმწიფოებრივ ქონების გამტაცებელი, ბანდიტებს, კინალამ თავი შეაგლა და, იმის მაგიერ, მხარი დაუჭირა, გაემხნევებინათ, აქეთ გამატყუნეს, თავთხელ დაადინეს. აგერ აქ, ამ ჭურღმულშია, სადაც ახლა მუშაობს, ერთი გულკეთილი ყრუ-მუნჯი გოგონაა. თავიდანვე სიბრალულით განიმსჭვალა ამ სუსტი გოგონასადმი, ეგონა, ერთგვარ მფარველობას გაუწევდა სათუთი და ნაზი დამოკიდებულებით. ერთ დღეს, როცა იმ გოგონას ელაპარაკებოდა, უცებ ვიღაც ახალგაზრდა ხარაზი გამოუყარდა დანით ხელში, იმას სხეები მოჰკენენ დანებითა და ჩაქუჩნიებით შეიარაღებულნი. დათოს რისხვა-მუქარა აგრძობიანეს; ვითომ, რა გინდა მაგ გოგონას, თავი გაანებეო. დათო „ყველაზე მეტად მათ თვალდემში გამოხატულმა ზიზღმა შეაძრწუნა“. დემტრია მოწყაე. ცუდი არა გუფლდა რა გულში. მაგრამ ამდღეი ურწმუნოებისა და უნდობლობის შემსწრეს ლამის ტყინი აერთოს, ლამის თავის თავშივე შეეპაროს ეჭვი. იმ გოგონს მიმართ მართლა ფარული ანგარება ხომ არ მამოქმედებდაო. ანდა, იმ გაზუთის რედაქციის მოქმედება ვანსაყე, სადაც გელა მუშაობს, კორინთელის პიროვნებაზე, იმ კაცთაგანზე, ვინც ვარემოს ხრწნის, ხმას არ იღებენ, მისი ბნელი, ავკაცური საქმეების გამო კინისტს არ სძრავენ; სამაგიეროდ, ქვეყანას მოჰჭინეს მუსიკის მასწავლებელ ბუბა ეშვას განქორწინების დაქტი. საქვეყნოდ გამოაქენეს მშვენიერი, ღირსეული, ფაქიზი არსება, ვისი ერთადერთი დანაშაულოც ის არის, რომ ვერ შეჰკუებია გონებაშეზღუდულ ქმარს, აღარ შეუღლია და აღარც სურს მასთან ცხოვრება. გამოაქენეს, რათა საჯაროდ გაეკაცონ ოჯახის დამანჯველის საქციელი, რა არის ოფიციალური წრის სახელით დაიქადონ. ვითომდა, აჰა, ხომ ეიპოვეთ საზოგადოებრივი წესრიგისა და სიმშვიდის დამრღვევი, ხომ ხედავთ, რა მაღლა ვეიჭირავსო ზნეობრივი სიწმინდის ალაში, რარიც დაუნდობლო ბრძოლას ვუცხადებთო მორალური სისწორის გზიდან ოდნავ გადახვევასაც კი.

დათო მარტოობას განიცდის. ამას ოქროს თევზთან მისი დამოკიდებულებაც დასატურებს. ოქროს თევზს ასე მიმართავს: „სულ მარტო დარჩი, შე საწყალო!.. მარტო დარჩი... შენი მარტოობა მაწუხებს ხოლმე. მარტოობა... ერთხელ დამესიხმრა, თითქმის ვე ვიყავი მინის ეს ჭურჭელი... თითქმის მე... შეყავი; და შენ ჩემში ცხოვრობდი“ გულს ეუბნება, რომ შეუძლია სხეებისთვის ბევრი რამ სასარგებლო გაეკეთოს, მაგრამ იმასაც გრწმობს, ვიღაცები ზოქვენ, გასაქანს არ აძლევენ; უღირსი ადამიანები თავიანთ ნება-სურვილზე ატარებენ.

მარტოობასთან ერთად „სიბნელეში“ ყოფნაც ტანჯავს. უნდა, თავი დააღწიოს ამ სიბნელეს. სინათლეს, სიწმინდეს მიესწრაფოს. შესატყვის ხატებად ბუბა ეშვას ივლულებს. სინათლისთვის, სიწმინდისთვის ოცენებს სწორედ მის სახეს დაუკავშირებს. ახალი ცხოვრების ფორმას აღმოაჩენს; ზმანებას. ზმანებაში გადასული ხშირად გვერდით ახლავს ხოლმე ბუბა ეშვას. ორივენი ერთი ბედისანი არიან, ორივეს ზურგი უჩვენა ცხოვრებამ. დათო ნამდვილი სჭირდება ბუბას. სიკეთეს მიაგებდა, მიყენებულ ტყვილებს დაუამებდა. სამუშაოს მიტოვებას განზრახავს, იმ უუგემო საამქროს არ გამოთხრის. ისედაც ვალბი ურევის იმ ბნელ სარდალში, იმ ჭურღმულში დღემდე ჩასვლია. შესაძლოა, სახლდანაც წაიღიდეს. მეტადრე, პლატონის თვალთმაქცობას ვეღარ იტანს. საამუშაოს მიტოვების გადაწყვეტილებას ბუბა ეშვასაც უმადლის, ამ ქალმა მოუწონა ეს განზრახვა, შეაგულიანა კიდევ, როცა ნეტარ ზმანებაში წასვლს იხიტებოდა. ამ ქალმა მოუწონა, თორემ დედა სამუშაოზე ერეკება, ჩასციებია, შენი დაწყებული საქმე შენვე უნდა დაამთავრო, იმ ხალხს შენი იმედი აქვსო.

სამუშაოზე მართლაც აღარ წავა. იცის, კორინთელთა და პლატონთან შესლა მოუწევს ამის გამო, შინაგანად ემზადება კიდევ მათთან შეხვედრისათვის. ამ საბოლოო შეხვედრის სცენა მალე გათამაშდება ნათიშვილების ოჯახში, ოღონდ, გარდა იმ ზემოხსენებული მიზეზისა, სხვა რამის გამოც გათამაშდება. კორინთელი შეიტყობს, დათოს მეგობარ გელას, გაზუთის მუშაკს, ჩემი მამხილებელი წერილი მოუშუადებია გამოსაქვეყნებლადო. შეიტყობს და თავისი ფეხით მოვა ნათიშვილთან. დათოს სთხვის, მეგობართან უშუამავლობს, განზრახვაზე ხელი ააღებინოს. სამაგიეროდ უხვ ჯილდოს პირდება. დათო შორს დაიქერს. ისეთი კაცი არაა, ქრთამის ალბა იყაროსო. ეცაც არ იყოს, და რაც თავი და თვია, „შინაგან“ მუდამ სძულდა, მთელი არსებით ეუცხოებოდა, შინაგანი ზავით არც არასოდეს შეჰკვრია. კორინთელი ხედავს: ნაცალი ჭერხი არ ქრის. მაგრამ კორინთელის წინააღმდეგ ბრძოლა გისი თანამოსაქმის, პლატონის წინააღმდეგ ბრძოლაცაა. დათომ ეს უკვე კარგად იცის ამიტომ, მშობლები არჩევანის წინაშე დააყენებენ სულის თეამეტებს თუ არა პლატონს. მაშინაცვალს ვე გამოეტებს დათო, ამით დედასაც ზურგი უნდა შეაქციოს. მაშინაცვლის პატივისცემა დაკარგული აქვს. ჩამდენადაც დედა ქმრის თანამოსაქმის, ამდენად — დედისაც. გაიმეტებს, რაიმე შუამავლობაზე, მორიგებაზე გადაჭრით. უარს იტყვის. გამბორტებული კორინთელი ერთ რამეშიც რწმუნდება: ეს ახალ-

თენგიზ ჩხიბიძე
ახალგაზრდა კაცის ფსიქოლოგიისათვის



გაზრდა გაცი არც წინათ ყოფილა „მათი“, არც შემდგომ გამხდარა და არც არასდროს გახდებოდა; თურმე ვერ მოუხერხებიათ, ვადმოვიბრუნებინათ, თავიანთ რჩულზე მოექციათ, და ვერც მოახერხებენ; იმნაირი არ ყოფილა, ეშმაკს სული მიჰყიდოს. ადვილი მოსალოდნელია, არცთუ უჩვეულო საიმდროთ ამბავი მოხდეს, გაზრდის რედაქტორს ტელეფონის ზარმა განზრახს შეაცვლევინოს, მაშინდებელი მასალის დაბეჭდვის ნება არ დართოს. კორინთელის ჩვეული შემპარავი ჩაღიშება წასვლისას, ნიშანი თავდაჯერების და უკანდაუხელოობისა, თითქოს სწორედ ამას მიანიშნებს მკითხველს. მაგრამ ამ შემთხვევაში, რაკ დათოს ზნობრივი პოზიცია გვანტერგებს, უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ბოლომდე უკომპრომისო რჩება იმ მთავარ ზნობრივ საკითხში, რაც მასსა და შრომლებს შორის შინაგანი კონფლიქტის წარმოქმნელი, თვალსაზრისთა სხვადასხვაობის გამოშამაყარაველი ძირითადი მიზეზი გახდა.

ამასობაში დათოს დაიბარებს მშენებლობის ახალი უფროსი. იგი გაცნობია დათოს საქმეს. გააპართლებს მას და აქვე დარჩიო სამუშაოდ, იტყვის. მაგრამ დათოს აღარ მოუხერხებდა გული იქაურობაზე. უფროსს სადმე სხვაგან წარგზავნო, ვთქვით, იგივე ენგურპეისის მშენებლობაზე, რასაც უფროსი შესთავაზებდა. თუ რამ ნამდვილად აჯავშირებდა ამ ქალაქთან ბოლო დღეს, ბუბა ვნა იყო. მაგრამ ბუბა უშვას ვეღარ მიუხსურა დროზე, მძიმედ სწულელსა ინახულებს, საავადმყოფოში მწოლარებს. ქალს არც ვისიმე ნახვა ახარებს, არც ვისიმე გაკარება სურს. იტყობა, უკვე უტეგია თავისი წილი სიმწარე. აღარც საამქვეყნო პირი უჩანს.

დასრულდა დათოს ცხოვრების ერთი მნიშვნელოვანი პერიოდი; დასრულდა ბედნიერების გრძნობიდან მარტობისა შეგნებამდე გამოვლილი გზა. ამ გზაზე მავალი ზნობრივად მაინც არ დაეცემა, „ლამაზი არსი“ თავისი კაცობისა მაინც არ დაუკარგავს; სინათლის, სიწმინდისა და სილამაზის მოთხოვნილება არ ჩამკედარა მის სულში, სიკეთისკენ სწრაფვის სურვილიც მთლად არ გაქრობია. ოღონდ ეგ კი იყო — ერთობ დაეკუეეს სიკეთის ქმნის შესაძლებლობაში, გამებლობაზე ამან დაუკარგა. მაგრამ ლაჩარი და შვიშარა არ ყოფილა. შეიძლება თუ ვერა თუნდაც გაიკრებოთ, თუნდაც ძალისძალად, მაგრამ მაინც აღმართ-აღმართ ვიდოდეს რწმენის ციკაბოვან ბილიყზე, ამას, ალბათ, მომავალი გვიჩვენებს.

ე. წ. „ლირიკული გმირი“ ვერამ გეგეშიძის მოთხრობათა პირველი კრებულისა („მზეა, თბილა“) უპირატესად გრძნობადი, ჩანსადი სენსუალური ცხოვრებით ცხოვრობს.

ხუთივე გრძნობა დრად გამახვილებულია, ძალითა და ენერგიით აღვსილ ქაბუქს, ამხანაგთან ერთად მთად და ბარად მოხეტილეს. ზურგჩანთის ამარა, ხანაც კლდესა და ყინულს შევიდებულს უსხავად მწებრავლის დასაპრობად, სიცოცხლის პირველყოფილ ხალისს განაცდენენებს აღქმისა და შეგრძნების სიციცხალე. მარტივ, ჩანსად სიამოვნებას, თავისებურ სიტყვას სპირებს. ბუნებრივად სიხალეთით, მეგობრის ან იმ ქალიშვილის გვერდით ყოფნით, ვინუ მოსწონს, იზიდავს. მარტივი ყოფის გემოს დასი იცის, ოღონდ თავადაც სულიერად მარტივი როდია. ზოგჯერ, მთამსვლელად წასულს ან წასაცვლელად მოვარჯიშეს, დიახაც დაეუფლება იდილიური განწყობა. მაგრამ ის არ ითქმის, იდილიური ყოფისდვის მიუენიათ. ჯერ ერთი იმტომ, რომ მაშინაც ბუნდოვანად მარც მონენტრება ხოლმე ნამდვილი, სისხლსავსე ცხოვრება. მეორეც კიდევ იმიტომ, რომ ბუნების ძალებთან ჰიდისისა განსაცდელი უნდა გამოსცადოს, გასაჰირს უნდა გაუძლოს, ხიფათში ჩავარდნის ამხანაგს არ უნდა უღალატოს. როცა ყოველ სიძნელეს დაძლევის, ხასიათის სიმტკიცეს, ნებისყოფის მაქსიმუმს გამოიჩენს, მაშინდა თავისი თავით კმაყოფილი, ზნობრივად მშვიდდება. ის მყუდრო განწყობაც სწორედ მაშინ დაეუფლება, სულ უბრალო წერტილში უჩვეულო სიამეს პოულობს. სიძნელესთან ბრძოლა საშუალებას აძლევს, უფრო გაიგოს საკუთარი თავი, საკუთარი თავის ფასი. ეს ბრძოლა ამავე დროს თითქოს გამოცდაცაა, უფრო დიდი და ნამდვილი ცხოვრებისათვის შემამზადებელი. ამეზარა რომ ფიქრი იშკრათად თუ გაუჩნდება, ხანდახან უტრნობ ან ალბობელი აღამაინის მთაში დაღუპვის მოწმე გახდება. სიკვდილს პირისპირ შეეყრება. მაგრამ სიკვდილზე დაფიქრება საბოლოოდ მაინც ვერ ურღვევს პარნიონულ განწყობას. ამ განწყობას კრებულის საერთო სათაურიც ეხამება: მზეა, თბილა. ავბედი აზრები ჯერ არ აშფოთებს. ინტელექტი მისი მოსვენებულია. თვლუმს ან ეს-ესაა თვლემისაგან ერკვევა.

იგივე გმირი შემდგომი კრებულის მოთხრობებში („სიწორე“, „ეუ“, „ოცნება“), უკვე მეტეორად შეცვლილი ჩანს. მარტივი, ჩანსადი სიამოვნების მაგიერ ფიქრს, განსჯა მოსჭარბებია; გრძნობად-მოცოფური ცხოვრების შენელების კვალობაზე ინტელექტუალური მოსაძლელია. ფილოსოფიური საკითხები აწუხებს — სიკვდილის რაობის, სიცოცხლის აზრისა თუ უაზრობის საკითხები. ოღონდ ის რთული გზა, რაც სხენებულ გმირს უნდა გამოეცლო, ვიდრე ცნობიერების მიჯნისეული საკითხების პირისპირ აღმოჩნდებოდა, ნაჩვენებები არაა. კარკავრება პიროვნების თვითშეგნებაში სიკვდილი გამოყო; ესთეტიკური, ეთიკური და რელიგიური. თუ ამ სქემას

პირობითად მივიღებდით, იმ განსხვავებით, რომ სამივე სტადიას ურთიერთდაკავშირებულად, ერთიანი პროცესის გამოხატულებად მივიჩნევდით და არა ერთმანეთისაგან გამოთიშულ, დამოუკიდებლად არსებულ, სამ სხვადასხვა საფეხურად, როგორც ეს კირკველის ესმოდა, თანაც რელიგიის ადგილას, ათეისტის შესაფერისად, ფილოსოფიას ჩაესვდით, მაშინ შეიძლებოდა გვეთქვა, რომ გურამ გეგეშიძის მოთხრობათა ლირიული გმირი პირველი სტადიიდან მესამეში გადაშტაბრი გამოიყურება. ვიდრე აღმაინი იმის განსჯას, აწონდაწონას დაიწყებდეს, რაოდენ ღირებულად სიცოცხლე, მანამდე სხვა კითხვა წამოჭრება: როგორ იცხოვროს? რა ვნა აირჩიოს? რა აკეთოს? რაც უფრო მეტად შეესატყვისება ის რეალური საქმიანობა, რასაც ეწევა, არსებით შინაგან მოთხოვნილებებს, რაც უფრო მეტად უჩანს ეს საქმიანობა ზნეობრივ ვალად საზოგადოების წინაშე, სულიერად მით უფრო მზნედ, ბედნიერად გრძნობს თავს. და, პირველ რიგში უფრო ნაკლებად ასოცირებული იგივე საქმიანობა ზოგადი მნიშვნელობის გამოკლებული იდენტობა, რაც უფრო ნაკლებად სცილდება იდენ ბოლოვებული არსებობის შემანარჩუნებელ მნიშვნელობას, მით მეტი აუცილებლობით ილტვის პიროვნება ზემოსხვებულ მეთორ სტადიიდან მესამისაკენ. ხდება ხოლმე, ჩვეული დეკორაციები ინტრევად გამოდევნება დილით, ტრამვაი, ოთხი საათი კონტორაში ან ქარხანაში, სადილი, ტრამვაი, ოთხი საათი მუშაობა, ვახშამი, ძილი — ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, სულ იგივე რიტმით მეორდება. (ა. კამილ). ერთფეროვანი, გამოფიტვული, „რიტუალური“ ქცევით „გამოლაყვებულ აღამიანს, ერთხელაც იქნება, ფიქრი გაჰკრავს: მაინც რისთვის არის საჭირო ვე ერთი და იგივე დარღუდა? აქვს კი რაიმე აზრი? აკვირდება ეს ფიქრი. „ასე თუ უფრო, მოიხდებდა და საბუნსიოც ვამხდარხარ, მერე კი ცალი ფეხი უცე სამარეში გიდვას“. ამგვარ ფიქრებში აღამიანს ელის მარტოობის ერთი ყველაზე უფრო ფეხმოკიდებული თანდროული სახესხვაობა — გაუცხოება, როცა აღარც ვისმე უყვარს და აღარც ვინმე ვუღიფთ უყვარს, მთელი ქვეყნისათვის უცხოა და მთელი ქვეყანაც უცხო შექმნილა მისთვის. ამრიგად, სიცოცხლის აზრისა თუ უაზრობისფრის ფიქრი „ჩნებულა“ ხდება თუ აღარაა — ჩვეულებრივი, რიგითი აღამიანის „წყველარტულიან“ კითხვად იქცევა.

გურამ გეგეშიძე არ უარყოფს ეთიკური ასპექტის მნიშვნელობას აღამიანის სულიერი ჰარმონიისათვის. მაგალითად, მოთხრობა „სიშორეში“ მოთხრობელი წუხს იმის გამო, რომ წინანდებურად ვეღარ განიცდის „ჰარმონიულ დამოკიდებულებას გარემოსა და თავის თავს შორის“, რადგან „უყოველთვის ახსოვს, კარგ-

თან ერთად არსებობს ცუდი“. მაგრამ სახელდობრ როგორ დამოკიდებულებას იჩენს ამ „უღელსადში“, იმ სიკუჩქითა და ნებისყოფის იმ დაძაბვით ამკვიდრებს თუ არა „კარგს“, რა სიკუჩქითაც და ნებისყოფის რა დაძაბვითაც ბუნების სტიქიონის ერკინებოდა წინაშე; რა პრაქტიკული ურთიერთობა აქვს აღამიანებთან, ამის შესახებ თითქმის არაფერი ვიცით. გმირის სულიერი ცხოვრების ეს მონაკვეთი უბრალოდ გამოტოვებულია, გვერდაკლილია. ჩვენ მხოლოდ შედეგის მოწმენი ვხვდებით. ეთიკური მხარის მნიშვნელობას მწერალი სავანებოდ გამოკვეთს მოთხრობა „სიშორეში“ გაშლილი მსჯელობის დროსაც. მაგრამ ამ მსჯელობას ბოლოს შევხვებით.

მოთხრობელი (მოთხრობა „ოცნება“) ამხანაგის სახანავად მიღის საავადყოფოში. ამხანავს უკურნებელი სენი ჰქონს, მისი ღღებები დათვლილია, ოღონდ თვითონ არ იცის ეს ამბავი. ლაპარაკობს აქეთუფრე, იქითურზე. მოთხრობელმა იცის: ავრ, თუ წინაშე მშვიდად მოსაუბრე ამ აღამიანის აღსასრული მოახლოებულია. იმ ფაქტს, ერთ დროს რომ არსებობდა, მალე არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნება. იცის ეს და გული მწუხარებით ეცნება, რადგან ველწრფელად უყვარს და ებრალება ამხანავი. მაგრამ მწუხარების, სინანულის გრძნობა აქ იმავე დროს უნუგეშობის, უსასობის, ელფერითა შეუფეროლი. ორივენი თანატოლები ჩანან; განთლებით, ინტერესების არით — ერთმანეთთან ახლო მდგომნი. ამიტომ მოთხრობელი იოლად „აიგებებს“ თავის თავს მოამკვლევეთან. უნებურ ჩნდება ასოციაცია: ხელო იქნება თუ ზევ იქნება, შენც ვევე დღე მოგვლის. მაშ, რა აზრი აქვს სიცოცხლეს? ესაა სწორედ ის „უთქმელი“, რასაც მოთხრობაში გამჟღავნებელი მთლიანი განწყობილების მიხედვით ხვდება. მკითხველი. ამ შიშველ ჭეშმარიტებას, რომ უნდა გაქრე, ვერ უპირისპირდება, ვერ აბათილებს რაიმე დიდი ღირებულების მქონე ჭეშმარიტება. არ შეიშინება, არ იგრძნობს ისეთი ძლიერი მისწრაფება, სიყვარული ვინმესადმი ან რაიმესადმი, ვაცს რომ შეაძლებინებდა, საკუთარი თავი დაევიწყებინა, თავისი არსებობა-არარსებობა ძალაუნებურად არ მოსვენებულად ერთადერთი და უმაღლესი მნიშვნელობის სათვისად. მოთხრობა „სიშორეში“ გამართული დიდილოგი მოთხრობელსა და სოლომონს შორის, როცა ცდილობდა გაარკვეონ სიცოცხლის აზრი ან უაზრობა თანამედროვე აღამიანის თვალში, რომლის ანტიმომისმავაკარ წინააღმდეგობას ააშკარავენს. ამიტომ, ამ წინააღმდეგობის მოსახსენებლად, მოთხრობელი მოამიანს აღამიანს გახდის მსჯელობის საგანად.

თამაზი ჩხაიძე
ახალგაზრდა კაცის ფსიქოლოგობისათვის



კოტა სხეავარი გზით მიჰყავს თვითშემეცნებას ახალგაზრდა სოფელში კაცი ჭიჭიკო (მოთხრობა „პარილი“). მოქმედება იშლება დღენ, უღიმღაო სოფლური ყოფის ფონზე. ჭიჭიკოს იმ დროს დევნობით, როცა გაუცხოების საფრთხე დასდარაჯებია. გაუცხოება ემუქრება. თვალწინ უყვდება, წამებით სულს ღრეს მისი გამზრდელი, მოაბავე, მძლერი ბახვი, ეს სახლშიცა თვითონ ცხოვრობს. ბახვის აღსასრულის მოწამე, იგი ხედება, რომ იმ სიყვარულის ნატამალიც არ შემორჩენია გულში, რა სიყვარულითაც წინათ. მეტადრე, ბავშვობაში, უყვარდა თავისი მამობილი, ის ადამიანი, ვინაც დომბლებულს უპატრონდა შვილივით გამოზარდა. სინანულს, გულსტიკვილს ვერ გრძნობს იმის გამო, რომ უახლოესი ადამიანი ამქვეყნიდან მიდის, სამუდამოდ შორდება. მართალია, ცდილობს შეიცოდოს, მაგრამ იმასაც ხედება, ასე ზნეობრივი ვალის კარნახით იქცევა. საბოლოოდ იძულებულია, თავის თავს გამოტყუდოს, რომ მოხუცი გამზრდელის სიყვდილი გულზე არ ეყარება. იგი გულგრილია, ტანვით ეკვლობს ახლოშელი ადამიანისას მხოლოდ. ფიზიოლოგიურ პროცესად აღიქვამს.

ძვირფასი მოსაგონარი თელა აქვს მაინც რამე? ეგებ შშობლის, დედის სხოვნის მიმართ მოიწეება ბუნებრივად გულს? არა, დედის მიმართაც ვერ გრძნობს სიყვარულს. ეს ნათლად ჩანს იმ ფიქრების მიხედვით, დედის საფლავზე მისულს რომ აღეპერის (აღდგომა და სასაფლაოზე გაგზავნიან შინიდან, საკურთხის გაატანენ). შშობლებზე აგრე ფიქრობს: „რა მისცეს მათ, რა ნახა ამ ცხოვრებაში სახარბილო? ის ხომ მუდამ უკმაყოფილო იყო თავისი ბედით?“ ბედნიერი წუთები იშვიათად თუ განუცდია, ისიც წარსულში, ბავშვობისას. ხოლო „უმეტესი დრო ცხოვრებისა გადის ყოველდღიურ საზრუნავში, წახილში და ვაჭირებებაში. სრული ერთფეროვნებაა“. ამგვარი გახალთე მისი დასკვნა, გამოტანილი პირადი გამოცდილებიდან. შშობლების უმადურიად, გაეჭირდება ამის მოკვეთილად თქმა, მაგრამ არც მაღლივით; უფრო სწორი იქნება, გულგრილიად, თუ იტყვი. ოღონდ ამით ის არ თქმის, თითქოს ბუნებით ღჭუ ვინმე ყოფილიყოს. სხვათა შორის, ზოგიერთი დეტალის მიხედვით შეითხველისთვის ისიც საცნაური ხდება, ბახვის გარდაცვალებას გულგრილად რატომ შეხვდა. ბახვისადმი სიყვარული უმთავრესად დაკავშირებული იყო იმ ბედნიერ წუთებთან, ბავშვობისას რომ განუცდია. ოდა სახლის წინ მილზე წამოწოლილი ბახვა ეკიდებოდა ხოლმე პატარა ჭიჭიკოს, თან ნესტორ ესებუასა და კულა გლდანელის ორთაბრძოლის ამბიეს უყვებოდა. ბავშვი ხარობდა; განსაუფრთხობით მოსწონდა, როცა ბახვისთან მოაძიგლავე თავის თავს ნესტორ ესებუად

წარმოიდგენდა. ეს მოგონება თითქმის ერთ ნათელ სურათად შემორჩა ჭიჭიკოს სიუენას. გარდა სხვა დეტალისა, ესეც მიგვეჩვენებს, რომ პატარაობისას გულში უღვივდა სურვილი სიქველის, თავის გამოჩენის; ჰქონდა ნატურა უყუთი ხვედრის, მოლოდინი უფრო ლამაზი და მიმზიდველი მომავალი ცხოვრების (ბავშვის წარმოდგენით სურვილსა და შესაძლებლობას ხომ დიდი ზღვარი როდესაცაა). რაკი მოლოდინი არ გაუმართლდა, თავისი ხვედრით უკმაყოფილო დარჩა, ის ნათელი ბავშვობისდროინდელი მოგონება, ის ნათელი სურათი თანდათან გაფერმკრთალდა. ხოლო იმ სურათის გაფერმკრთალუასთან ერთად ბახვის სიყვარულიც მიწვდნა და ბოლოს სულ გაქრა.

გაუცხოებულ ადამიანს სიცოცხლე გაუფრთხლებული, გაუფასურებული უჩანს (ამა შესაბამის ლიტერატურულ პერსონაჟებზე წერულე დაკვირვებაც მოწმობს). როცა გაუცხოების საფრთხის წინაშე მდგარი ადამიანი ცდილობს, სიცოცხლეს რაიმე ფასი შეუნარჩუნოს ან რაიმე ღირებულება მიანიჭოს თავის თვალში, მაშინ ადვილად შესაძლებელია, ამა თუ იმ ბიოლოგიური ინსტინქტის ტყვედ იქცეს; უწინარეს ყოვლისა — სექსუალური ლტოლვის, სქესობრივი ინსტინქტის ტყვედ. ერთადერთი ნამდვილი ფასი ჭიჭიკოსთვის შემორჩენა სურვილს — დაუფლოს მეზობლის გოგოს ქუფუნას სხეულს. წინათ ერთი-ორჯერ შემთხვევა ჩაუვარდა, ეგებნა ამ სხეულის სიტყვა, მაგრამ ესაა — ბოლომდე არ უყვებინა. მთლად ვერ გაიმეტა, დანდო ქალიშვილი, მთელი შეუპოვრობით არ ცდილა მისი წინააღმდეგობის გატეხას. ახლა ეს თავისი საქციელი უნდა განსაყოს, აწონ-დაწონის და გადაწყვეტოს: როგორ უნდა მოიქცეს, თუ ხელსაყრელი შემთხვევა გამოუჩნდება. ამ გადაწყვეტილებაში იმავე დროს უნდა გამოაყენოს მთელი მისი ზნეობრივი თვალთხედვა, ცხოვრებისმიერი პოზიცია. აგრე მსჯელობს: „იმ დამეს ვერ იყარვა. ისუსტა“. მცირედით დაკმაყოფილდა, ხოლო „ვინც მცირედთ კმაყოფილდება, იმან რას უნდა მიღწიოს?“ საქმე ისაა, რომ, როგორც აქტორი გემკნობს, ჭიჭიკო „თავიდანვე რბილი ხასიათისა იყო, მორიდებული და გაუბედავი“. ცხოვრებაში ბევრი ვაჭირებდა და დამცირება გამოუცდია, მეტადრე მაშინ, როცა სახელოსნო სასწავლებელში მიაბარეს. მორიდებულობის, გაუბედაობის გამო ხშირად დაუქარაუთ. და მუდამ მწვავედ განიცდიდა ამ ამბავს. ბოლო მოსდიოდა საკუთარ თავზე — სუსტს, უწინაო რად უნდა ვიყოთ. ახლაც ნანობს, ვერ უპატეობია თავისი თავისთვის, „იმ დამეს“ მართხებულა ქალიშვილთან სისუსტე რომ გამოჩინა. საჭიროა გახედოს და ზნეობრივი მჯანა გადაიხოს. ის უწინარი, წესიერი კაცის ნათელი და ისევე იმ უღიმღაო,

უნტერესო, სრულიად ერთფეროვანი ყოფა, ან მძაღრი სიამოვნების, თრობის, ზარბაზნის განცდა, სიცოცხლის მკვეთრად შეგრძნობა. ეს „ან — ან“ არჩევანის წინაშე აყენებს, ამავე დროს — საკუთარი თავის „არჩევის“ წინაშეც. საბოლოოდ აგრე დასკვნის: „თუ შენ თვითონ არ გამოგლიჯე, ვინ რას მოგცემს ამ ქვეყანაზე? —“ რაც პირადად გსურს და ნამდვილად გსურს, რაც გულით გწაღია, ერთადერთი ჭეშმარიტებად ის არის. ესაა ერთადერთი ღირებულების მქონე, სულ ერთია, იმ წადილის აღსრულება ვისმე ზიანს მისცემს თუ არა, სხვები აუტე საქციელად მიიჩნევენ თუ არა, ამას აღარა აქვს მნიშვნელობა. ზნეობრივი მიჯნა ვადალახელია. სინდისი, როგორც ხელნაწიშეშვლი რამ, მოიპოვება. ახლა მისთვის უკვე „უფლაფერი ნებადართულია“. მაგრამ მართო ზნეობრივი მიჯნა ვადალახეა არ კმა-რა, გაბედული უნდა იყო. მით უმეტეს, როცა კმარიან ქალს ეხება საქმე (გარიდან ახალ-დამბრუნებულ კიკიკოსს ეუფუნა გათხოვილი დახვდება). ეუფუნას ქმართან, ნაციხარ ბუჭუნისათან შეხვედრა. მასზე დაკვირვება: აგრძობ-ნივებს, რომ თვითონ სიბავშვამე აკლია. ბუჭუ-ნის თამაშია: რაც სურს, იმას აკეთებს. იგი სტიქიური მოქმედებებს კაცია. კიკიკოს გულში შერს მისი. გარდა ამისა, წყნად ახსოვს მის-გან ბავშვობაში: ერთხელ დაჯანა და კიკიკომ სამავირო ვერ გადაუხადა. ეუფუნას უნდა და-ვეუფლო, გულში რომ ამოუჭრია, ამით თითქოს სამავიროც უნდა ვადალახელს ბუ-ჭუნისად და იმავე დროს, ბოლოს და ბოლოს, თავისი ძალიც, ძლიერებაც ირწყუნოს. აქ მის სქესობრივ ლტოლვას ერწყმის აგრესიული ინ-სტინქტიც. ოღონდ ეს აგრესიულობა ჭარბი ძალის გამოუღენა კი არ არის, შედეგად საკუ-თარი „სისუსტის“ შეგრძნობის და ამ სისუსტის დაძლევის ჯიუტი ცდისა. საწადელის ასასრუ-ლებლად ნასვამი რომ მიადგება სახლში ეუ-ფუნას (ქალი ამ დროს მართო ვეულება შინ), იმას არ ნიშნავს, თითქოს ინსტინქტურად, ან-გარიშვიტემალად მოქმედებდეს. თავისი ქვე-ვაეც და გრძობებშიც ვაცნობიერებული აქვს. რაკი დათვრა, სწორედ ის სათამაშე შეიძინა, რაც მიზნის მიმდღეუდაც კლდა: „უფრო მიუტ-ვდით: „რა მშენიერი შეგრძნებაა, როცა ვა-დალახე იმ ზღუდეს, რომლის წინაშე ყოველ-თვის უკან იხევდი. რა უსაზღვრო თავისუფ-ლებაა! რის სინდისი, რის ნაშუიში რა-კობია ამ თავისუფლებას, როცა შინაგანი ზმა ღმს, როცა მხოლოდ შენი საკუთარი სურვილი არ-სებობს და მიუყუბუ მას შეუზღუდავად?“ ამ-გვარი ფიქრები და გრძობა მოიცავს, როცა ქა-ლის კარ-მეღამოს შიგნას. ხოლო როცა ვა-ბო-ში შევიდა, „რაღაც აქამდე უჩვეულო, გამოუ-ცდელი შეგრძნება დაეუფლა. შეგრძნება მო-ძალადესი, ვადალახელის, შეგრძნება, რომე-ლიც შინაგანად აცარიელებდა. აქსუბუებდა.

ათავებდებდა და რატომღაც ვილაცხე თუ რა-ლაცხე ამქინვარებდა კიდევ“. მაგრამ ქიჭი-კო მარცხიან გზას ამოირჩევს. იგი ბუჭუნის სელით იღუბება. ამრიგად, გურამ გეგუშვიდის მოთხრობები-დან ზემოთმოტანილი რამდენიმე მაგალითი გვიჩვენებს: თვითმეშვენიერების გზას მყოლო-მა ახალგაზრდა კაცმა, „სამოთხიანელმა“, შეც-ნო არყოფნის შიში, შემლახველი სიცოცხლის აზრისა, ვაუტსოების საფრთხე და ავებდობა ბიოლოგიური ინსტინქტებით ნაკარნახევი „ნე-ბის თავისუფლების“. საკუთარი თავის „არ-ჩევისა“. ამით გამოხატა ინდივიდუალური ცნობიერების ვარეუული კრიზისიც. რა ესა-ხება გამოსავლად მჭერად? წინ იციტიება, იმდის რაიმე სხვისა მჭერტს, თუ ხელჩაქე-უღია და ისლა დარჩენია, სიცოცხლე „სიკე-დილისათვის მზადებად“, აღიაროს? ამის ვასა-რევედ ვანსაკუთრებელი მნიშვნელობა ენი-ჭება მთხრობელის შემდეგ მსჯელობას მოთხ-რობა „სისოტრეში“. „პირველ რიგში უნდა მო-ისპოს ვულგარილობა და უყურადღებობა, რა-ღვან სისასტიკისაც კი არ მოაქვს იმდენი მორტება, რამდენიც ვულგარილობას და უყუ-რადღებობას. ყველა ადამიანი უნდა განდეს აბსოლუტურად კეთილი და ობიექტური სა-კუთარი თავისა და შესაძლებლობების მი-მართ. უნდა მოისპოს შერი“. ეს წარმოქმნის საყურადღაო სიყვარულსა და მოამინების უნარს. ყველამ უნდა დაისახოს ერთი მიზანი, ყველამ უნდა მიიჩნიოს, რომ მთავარი ეს არის და მასში მოისპობა პაკეცმოყვარეობა და დამვიდრდება სრული სამართლიანობა. შემ-დეგ, როცა ვაცობრიობა ამ ეტაპზე მივა, მან საკუთარი თავის შეცნობა არავითარ შემთხვე-ვაში არ უნდა დაისახოს მიზნად, ეს საჭირო უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ მიზნის მი-საღწევად, მიზანი კი უნდა იყოს შიშის და-კარგვა სიკვდილის წინაშე. და აი, როცა ადა-მიანი ისე აღიზრდება, ისე გარდაქმნდება, რომ დაჭარბავს სიუსტ ტყვილისა და სიკვდილს წინაშე, მაშინ ცნობრება აღარ იქნება ქიჭირა“. ამ მსჯელობის საუქუქულზე — ქართულ კრიტი-კაში გამოითქვა შეხედულება, რომ, რაკელ მჭერალი ადამიანს მიზნად უსახავს საკუთარი თავის შეცნობაზე ხელის აღება, ამით მას, ადამიანს, სრული პასიურობისათვის წირავს, პროგრესის ყოველგვარ პერსპექტივას უკარ-გავს. ასე რომ ამ მსჯელობისას ავტორი ჩისში იმეჭრდება, თუ აბსურდამდე არ მიდი-სო. რადგან მჭერლის თვალსაზრისის მართე-ბელი ვაგებისათვის ზემოთმოტანილ მსჯელო-ბას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, ამიტომ კიდევ ერთხელ ვანიხილოთ იგი. თქმა არ უნდა რამდენადაც ადამიანი შეიცნობს სინამ-

თენგიზ ჩხაიძე
ახალგაზრდა პადის მსიკომოტაგისათვის



დვილეს, ზემოქმედებს ბუნებაზე, აღწევს მას-ზე. ბატონობას, სწორედ იმდენადვე შეიცნობს საკუთარ თავსაც, საკუთარ ძალას, ავლენს თავის ნიქს, მიდრეკილებას. ისიც უღაბა, რომ ამგვარი ფართო, ზოგადი მნიშვნელობით გაგებულ საკუთარი თავის ცნობაზე უარის თქმა მართლაც იმას ნიშნავს, თავი გადასდო პასიურობისათვის, უმოქმედობისათვის, არ გამოავლინოს შენი ნიჭი თუ უნარი, ერთი სიტყვით, „იყო სოფელში, და სოფლისთვის არა იზრუნო“. მაგრამ საკუთარი თავის შეცნობას აქვს სხვა, სავანებო ფილოსოფიური მნიშვნელობა. „შეიცან თავი შენი“ — ეს დევნის, როგორც ცნობილია, სოკრატემ დაამკვიდრა ფილოსოფიაში. დაამკვიდრა პირქმინდა ეთიკური შინაარსის შემცველ ფორმულად. შეცნობა ნიშნავდა სიკეთის შეცნობას, სიკეთის ცოდნას. სოკრატეს სჯეროდა: თუ კაცს ეცოდინებოდა, რა არის სიკეთე, ბოროტებას აღარ ჩაიდენდა. ამიტომ, პიროვნებას იგი კონკრეტულ მიზანს უსახავდა: საკუთარი ზნეობის სრულყოფას, ანუ თავისი თავის ცნობას. შემდგომ ამ ფორმულად შინაარსობლივი ცვლილება განიცადა, სრულიად განსხვავებული აზრი შეიძინა — „აიჩნიე თავი შენი“. მაგრამ ეთიკური მოძღვრების ფარგლებშივე დარჩა. ეთიკური აზრით არის იგი ნახმარი — გურამ გვეგშიძის ხსენებულ მოთხრობაში: ლაპარაკი სრულიად სამართლიან-უსამართლობა არ იფიქრისმგება; ავტორის მხედველობაში ჰყავს ის საზოგადოება, სადაც ეკონომიურ ბატონობას ადამიანისა ადამიანზე საფუძველი უკვე გამოუღლილი აქვს. ავტორი პირდაპირ მიუთითებს სამართლიანობის ხელისშემშლელ მიზეზებს: გულგრილობას, შურსა და პატივმოყვარეობას. განსაკუთრებით — გულგრილობას. სამივე მათგანი ეთიკური ცნებაა, ზნეობის სფეროს განეკუთვნება. გულგრილობა აქ იგივე ეგოიზმისა და ინდივიდუალიზმის გამოხატულებაა. როცა კაცს მართო შენი თავი გიყვარს, მართო საკუთარი თავისთვის ზრუნე და ფიქრობ, ეჩოსავით ყველაფერს შენვენი მიითლი, ყველაფერს პირადი გამოჩენისა და სარგებლიანობის თვალსაზრისით ზომავ, მაშინ, ცხადია, სხვისი ბედი რად უნდა გენადვლებოდეს, სხვისი ვასაჟირი გულს არ გაგვეკარება, სხვისი გულსათვის უნაგაროდ თითსაც არ ვაანჭრებ. ერთი უმოთარეხი გბძნობა, რაც სხვამ შეიძლება აღგიძრას, ისეც ის შური იქნება, ე. ი. მწყობრება სხვისი სიკეთის გამო. ზნეობრივად სრულყოფილ ადამიანებს, სრულიად სამართლიან საზოგადოებაში მცხოვრებთ, აღარ დასჭირდებათ საკუთარი თავის შეცნობა (ცხადია, ეთიკური თვალსაზრისით). რადგან ყოველს, რასაც შეიმეცნებ, საპირისპირო თვისების მიხედვით შეიმეცნებ. ხოლო თუ ბოროტება (უსამართლობა) არ არსებობს, სიკეთის (სამართლიანობას) რის მიხედვითღა შეიცნობ.

„აზრის“ ადვილს აქ უქმედება“ დიკტონარი“ იგივე უქმედება“ იქნება. სოციალისტური მეტაბოლიზმი. გუტსოხობაც, — არსებითად სიუხვებაც“ ინდივიდუალური — არსებითად კი ინდივიდუალისტური — ცნობიერების ნაყარი ყლორტებია. მაგრამ ინდივიდუალური ცნობიერება ვერ ჩაითვლება ადამიანისათვის ერთხელ და სამუდამოდ გამოტანილ საბედოწიერო რამ განაჩენდა. ცნობილია, რომ საზოგადოების ისტორიაში იყო დრო, როცა იგი არ არსებობდა. პირველყოფილ საზოგადოებაში, სადაც მარტივი სამართლიანობა სუფევდა, ცალკეული ადამიანის ცნობიერება არ იყო გამოიყენებული კოლექტიური ცნობიერებისაგან, არ განსხვავდებოდა მისგან. ამრიგად, იგი ისტორიული ცნებაა, წარმოქმნილია და განვითარების თავისი ისტორია აქვს. ხოლო ამდენად, სხვა მოვლენების დარად, ისიც უნდა დემორჩილოს ცნობილ პრინციპს „უარყოფის უარყოფისა“. გურამ გვეგშიძემ აქ, კაცმა რომ თქვას, შეცნობიერება ნიშნავს დგას. რაციონალიზმის პოზიციასზე დგას, საწინააღმდეგოდ რაციონალიზმისა. ალბათ, იტყვიან, კოლექტიური ცნობიერება თუ დამკვიდრდა, სულიერი შემოქმედების ისეთ სფეროს, როგორცაა, ვთქვათ, ლიტერატურა და ხელოვნება, რაღა ეშველება. მართლაც; თანადროული ხელოვნება უამრავი ცალკეული, ზოგჯერ უკიდურესობამდე მიხული, ინდივიდუალური ცნობიერების უქვეყნაა. ამიტომ; არცერთ იმეოთაად, ძნელად გასაგები ან თითქმის გაუგებარი უქვეყნა (ყოველ „შეშვებვაში, უმარავესობისათვის მიიწევ). მაგრამ როგორ იქნება ან როგორი უნდა იყოს ლიტერატურისა და ხელოვნების ადგილი და როლი იდეალურად მოწყობილ საზოგადოებაში, იეს უკვე სულ სხვა საკითხია. აქ მხოლოდ იმას შევნიშნავთ, რომ ის ხალხური სიმღერები ან ის მარგალიტები ხალხური პოეზიისა, რაც საუკუნეების გადამა შეუქმნიათ თუ შეუთხზათ უსახელო ავტორთადა და დღესაც ასერიგად გეაღელვებენ, ძირითადად სწორედ კოლექტიური ცნობიერების ანარქულია.

თავისი არსებითი, ძირეული ინტერესების შეცნობა ჩვენი საზოგადოების ადამიანს უფრო და უფრო მსკეპლავს ერთი საერთო შეგნებით: ყოველნაირად ხელს უწყობდეს, წესილს მატებდეს არა მარტო ეკონომიურ აღმავლობას მშობლივ გრისა, არამედ ზნეობრივ პროგრესსაც. ამ შეგნების განმკვიდრება პრაქტიკულ ამოცანას უსახავს — „იყო უფრო მეტად ეფრაფილეს, იყოს უმარტივად მოქალაქე გეპოპოვარ შრომასაჟი ერთუ“ (ლიც აქტიულებულია, მაგრამ არ ძარა უმარტივად მოქალაქეობისათვის); მოუღლეოდ ისტობდეს როგორც თავისი ზნეობის სრულყოფად, ისე სხვისი ბოროტების წინააღმდეგაც.

1 იხ. K. P. Мегрелидзе, «Основные проблемы социологии мышления». Изд. «Медицинреба», Тбилиси, 1973, გვ. 207—208.

ახალი რკალი

მას შემდეგ, რაც წავიდნენ ლექსის დი-
ლისტაქები, თითქოს ბინდი ჩამოწვა. ადრე
მათი ფიზიკური არსებობა და შორეული
დღეების შარავანდი ავსებდა სიცარიელეს.
მერმე ილუზიის ნისლეუ აილანდნენ სინამ-
ღვილის მკაცრი კონტურები. აღმოცენდა
მტანჯველი სკეპსისი. ფეტიშები წარსულმა
ჩაიბარა. გრძელდებოდა მძიმე პროცესი პო-
ეზიაში ახალი სახელების დამკვიდრებისა. ამ-
იტრამაც ბუნებრივი ჩანდა უჩვეულო ფორ-
მებისადმი უნდობლობა. ახალი გემოვნება,
სტილი და მსოფლადქმა განსხვავდებოდა
ადიარებული მოდელებისაგან. შეგუების ეპი-
გარკვეულ პერიოდს თხოვლობდა. წლების
მანძილზე ფარული ვაჟუღი უეცრად გამო-
ვლანდა. ეს მკითხველებმა ინსტინქტურად
იგრანეს, ხოლო პოეტებმა გააცნობიერეს.
აღმავლობა შესამჩნევი გახდა. საყოველთაო
საკუპოსი, რომელიც მწერლობასაც გადაედო,
თანდათან დავიწყებას მიეცა. პოეტებს ისეც
მოუხდათ მომქანცველი ბრძოლა ქართული
ლექსისათვის ინტერნაციონალური იერის მი-
სანიჭებლად. განახლდა კონტაქტი ევროპულ
კულტურასთან და 20-იანი წლების ქართულ
მწერლობასთან. შეიძლება ითქვას, რომ ქარ-
თული პოეზია იბრუნებს ბრწყინვალე დღე-
ებს. აშკარად გამოიკვეთა ე.წ. საშუალო და
ახალი თაობის რამდენიმე პოეტის სახელი.
რიცხვს იმ მწერლებისა, რომლებიც ქმნიან
თანამედროვე ქართული ლიტერატურის ჭეშ-
მარტ სახეს, მიეკუთვნება ვახტანგ ჯავახიძე.
ამისი ნათელი დასტურია ლექსების კრებულთა
„ფიზიკა“, რომლითაც მან დაარღვია საკულ-
ტური პოეზიის სქემატიზმი და გვიჩვენა ახ-
ალი შესაძლებლობანი.

რაციონალისტური სტრუქტურა. საერ-
თოდ, ვახტანგ ჯავახიძის ლექსებისათვის უც-
ნობაა შემთხვევითი და ბუნდოვანი კომპოზი-
ციები. პოეტი მაქსიმალურად იაზრებს სათ-
ქმელს. ის ლექსს ქმნის პასიურად მოცემული
და გათვლილი ვარიანტების ასამოქრავებლად.
სტრიქონებს აერთიანებს არა მხოლოდ ემოცი-
ური კავშირი. ამიტომ გაუქმებულია ასოციაცი-
ური სტრუქტურა, როცა განცდები ინტივი-

ურად თხზავენ მრავალფერად მასალას. ეს რა-
ციონალისტური პრიციპი იშლება უფალავ
სახედ. ის გამოანათებს ხან სტროფულ წყობა-
ში, ხანაც აზრის განვითარების ეპოს, ზოგჯერ
კი იძლევა ზუსტი მსჯელობის სიმფონიას. თით-
ქოს მათემატიკური სისადავითა და სინათლით
იმუხტება ლექსის ნერვი. ბანალურ ურთიერ-
ობებში პოეტის თვალი ეძებს უმცირეს ნიუ-
ანსებს, რომლებსაც აქცევს ჭკერტის საგნად.
ეს არის მალაზიეზში დანთვული პამიდორას
ხანძარი, სახლის ნგრევის რიტუალი, წინასწარ
გაქრილ სამარეთა იდუმალეობა, ჭირსიმის გახ-
სენების კომპარი თუ რიონის ტალღების მონა-
ტრება. ის ერიდება პათეტიკასა და აწეულ
ტონს. ყველაფერი უხმაუროდ მოძრაობს. სი-
ნამდვილე კი საგნა ასკეტურად განზომილი
შექარდილებით. მას ყოფითი დეტალებიდან
გამოტანილი მასალა წარმოუდგება. ლექსის
შინაარსად. თვალისმომკრელი პოეტური სა-
ხეცე კი, თუ ის ნაწარმოების წყობას ვერ
ეგუება, უუგდებელი იქნება. მაგრამ ეს სა-
კითხი არცა დგას: ის შინაგანად ებრძ-
ვის ნივთების მბზინვარებასა და ფერადოვნე-
ბას. მხოლოდ გააზრინების პროცესში
გარდაქმნილი ფაქტი არის მშვენიერი და მარ-
თალი, ხოლო უეცარი ეფექტებით მიგნებული
ფრაზები — მატყუარა და ყალბი. საგნებს ამ-
დენად ნეიტრალური ელფერი ადევს. მათი გა-
ესთეტიკურება რაციონალისტური შთაბეჭდი-
ლად უფლებია. თვით უხეში სიტყვები, ტრივიალურ-
ი ამბებიც კი, შესაძლოა ლამაზად აეღიდრდეს:
„დისონანსივით ჩაივლის ბოლმე კინოსტუდის
ნაცნობი ეტლი, ზოგჯერ სახანძრო რაზმის სი-
არენა მთელ სიმფონიას დაუსვამს წერტილს“.
სიტყვა მისთვის ოდენ საშუალებაა პოეტური
აზრის გამოსაკეთად, თავისთავად მშვენიერე-
ბას კი მოკლებულია. ლექსიკური ესთეტიზმი
დიხავს მავნებელია. ეს ტენდენცია აღმოსავ-
ლური პოეზიის ანარეკლია. პოეტი მართებუ-
ლად გამორიცხავს ტკობას სიტყვათა შერჩე-
ვის საფუძველზე. სიტყვის ხელოვნება იცვლე-
ბა აზრის ხელოვნებით. ემოციას წარმოქმნის
პოეტური თვალსაზრისის ზუსტი განვითარება,
მძაფრი დრამატიზება: გონებით გვწვდებით ემ-



ოციებს. ეს ემოციები კი წაყოფიან ხელოვანს მთერ გარდაქმნილი მოვლენებით აღტაცებისა.

მასალა და ხელოვნება. ვახტანგ ჯავახიძის ახალი ლექსები ყოფით ურთიერთობათა პოეტური განათებაა. ის მასალა, რომელზეც წერს, თანამედროვე სინამდვილის წაწილია. ობიექტისადმი მიმართება პევეტორია და რეალური. პოეტი არასოდეს მოუხმობს შორეულს წარსულის ლანდებს. ყოველი განცდა იშლება და მთლიანდება სადღესო თემატიკით. ის ჰერეტს უბნანისტულ გარემოს, მანქანების ბულში გახვეულ ქუჩებს, ნოტარიუსის კარებთან აწურულ მოქალაქეებს, ავეისტოს სიციხით შემკრთალ ჭალას. ლექსების საწყარო დასაზღვრებელია ხილული და ყოველდღიური საგნებით. პოეტს შემოაქვს არამოეტური მასალა, რათა მას ოცნებამ სიცოცხლე მიანიჭოს. ამიტომ იცვლება მიმართებათა ფორმები. სიტუაცია ზოგჯერ თავად გეგარანობს თემებს, მოტივებს, იდეებს. ხანც ხელოვანი შეიწავის შინაგანი ნებით გარემოცველი ნივთების დეფორმირებას. მაგრამ რაციონალისტი პოეტი ემორჩილება ლოგიკურ თანმიმდევრობას. მას სურს კითხვების ანა გადახაზვა, ამავე — გადაჭრა, შეცნობა და არა მხოლოდ ტკბობა. ამიტომ არის ის მრავალწახანგოვანი სინამდვილის. მკაცრი და სერიოზული სისტემატიზატორი. ვ. ჯავახიძის ადრეული ლექსები გვიჩვენებდა ობიექტური საშუალოს ცვალებადობას. ის თითქოს მოვლენათა მიმოქცევის მეკლევარი იყო. შემდეგ წაიშალა დისტანცია. პოეტი შეერთო ასასახვ გარემოს. წარმოიშვა ახალი პარმონია. ის თავად იქცა ამ პროცესის მონაწილედ, რომელსაც გვიჩვენებდა. გადახალისდა ლექსის რიტმული სტრუქტურა. კატრენული სტროფი ათმარცვლოვანი ლექსისა დაიშალა. მას თან გადაეცვა ქორეული კოლაზეზა. მღელვარე სინამდვილის მთლიანმა მიღებამ ხელოვანს მოსთხოვა უარყოფა ბარნასული სტილის მსავსი ლექსებისა, რომელთა ზუსტი ფორმა სიცოცხლე გამოიწვამდა. მაგრამ დამთრგუნა სერიოზული და მკაცრი პოზა: გაღხვა ტრავეული გრძნობები. სტრიქონებმა აიშინსუნთქეს. პაროლია და ირონია, სინამდვილისადმი ჰუმორული მიმართება ამოწვევს ახალ პრინციპს: ვლერბულობთ ასახვის შესავე განზომილებას: პირველი—ეს იყო „წინადაღს“ მოცემული. მერმე პოეტმა იგრძინო, რომ ცოცხალი კომუნიკაციის ლექსში დამკვიდრება საკრატობდა ფორმათა გადახარისხებას. სტრიქონებს შორის ჩადგა მეტი სინათლე და პეროვნება. ის მინდო სულის თავისუფალ ლტოლვას; ასე შეიქმნა ვ. ჯავახიძის საუკეთესო ლექსები. შემდეგ ეს პოზიციაც გადაფადა. ტრავიზში დაიშხხრა და იშვა ირონიული ღმილი. მასალის სხვადასხვაობამ გამოიწვია სტილური დიფერენცირებანი. პოეტი არ მთერდა ექსპე-

რიმენტებს: მაშინ, როცა თითქოს სსბოლოდ იყო გამოკვეთილი მისი მხატვრული აზროვნების სტრუქტურა. ვანდა ახალი ტკბობის მისავე ცნობიერებაში, რომელმაც გადაფადა შედეგები საყუთარი სულის წვისა. ეს დაუტხრობელი ძიება, ინტელექტუალური ინტიმის დამკვიდრება ამხელს პოეტის ფაფულ პოეტნიკას.

ნიკვალისტური სიშხმბი. ვახტანგ ჯავახიძის ყოველი ლექსი კონკრეტულ სიუეტს მოიცავს, რომელიც ნოველის პრინციპით ვითარდება. წერტილი გარეგნულადც დაცულია. საგანგებო დაკვირვების გარეშეც საგრძნობია, რომ სტროფების გადადგლევა არ შეიძლება შესაძინეია ერთგვარი სწორხაზოვანი სვლა. პირველიდან ბოლო სტრიქონამდე ემოციებს ძაბვა პატარა, ზოგჯერ მკრთალი, სიუეტის ინტელექტუალური დრამატოზება. პოეტი საგნიდან საგანზე გადადის ლოგიკური სიზუსტით. მევეორდება ხედვითა პლანი. ნაწარმოების დასასრული კი გონებამახვილურია. ლექსი შთავრდება ნოველისათვის ნიშნული სხარტი, უეცარი და ექვეტუთი ფინალით (მღრა—როცა პატარა ვიყავი“, „ტყეში ამოდი, ბაბაო,“ „თურემ ამქვეყნად“, „ორი მეგობარი“, „პირველი წიგნი“, „გელარ ვცნობ კარისმეზობელს...“) ეს, როგორც ითქვა, რაციონალისტური პრინციპის გასაგნებაა. პოეტი არ ენდობა ასოციაციათა თავისუფალ თამაშს. მისთვის არსებობს აზროვნების მკაცრი ლოგიკური წესი, რაც ფაქტის თანდათანობითი გაშლით ვლინდება. ფაბულის ანაბეჭდი საკრთია, რათა მკითხველს სწავლეს და სჯეროდეს, რომ მოწოდებული შეხედულება სწორია და მშვენიერი. გარდა ამისა, ხომ უნდა ჩანდეს ლექსის დასაწყისი და დასასრული. ვ. ჯავახიძე ამ მხრივ ნაწარმოებს ავტონომიურ უფლებებს უტოლებს: მისი ზუსტი სტრუქტურა ვერ აიტანს ფასარული გარითმას. პოეტის მიერ მომართული ფრაზები თითქოსდა ავტორისდა დამოუკიდებლად თხზავენ ლექსს. ავტორი კი კონტროლიორია საყუთარი შთავონების ინერციული გაფორმებისა.

რიტმული სიშხმბა. ვახტანგ ჯავახიძის ლირიკა გამოირჩევა რიტმული სიზუსტით. ავტორი წერს ნათელი და იოლად აღსაქმელი სტრიქონებით. მხატვრული სახე გვეძლევა კრისტალიზებული ფორმით. მისი დახვეწვა და გავრძელება ანუ დასრულება არ ხდება მკითხველის ცნობიერებაში. კეთილსმოვანების დაცვა აადვილებს მასალის ესთეტიკურ აღქმას. მაგრამ ვ. ჯავახიძის ლექსები როცა მკვეთრი მუსიკალობით აქცენტირებული. აქ ლტოლვა შეუგზახვა შეჩერებული. მას არ შეეძლო, გამოდევნებოდა ევეონიურ სრულყოფას, ყოფილიყო ანალიტიკოსიც და ამასთანავე დეკლარაფაბული ლექსი. ამ დროს აუცილებელი გახდებოდა სტილიზება და მანერული მეტ-

ყველგა, რასაც პოეტი თავის ბუნებით ვერ
 პტოს. ამიტომ არჩევანი შეჩერდა ლექსში
 რიტმული წინასწრობის დაცვაზე, რომლის
 შემდეგაც უნდა დაიწყო ურთულესი და უფ-
 აინების გამეზბნე ადრერება. სავთლი და
 ქართულ პოეტთა ერთ ნაწილს სძენდა აშკარად
 დახმობ. გასაგებია, რომ ეს ეპოქის ტენდენცი-
 ათა გამოვლენაა, მაგრამ არტული სასურველი. ა-
 მითომ სავითარადღა შეუძლებს გამოძიბნა.
 ე. წავახამე კარგად გრძნობს, რომ სათქმელი, პო-
 ეტური ეპიცედა რიტმული ერთსაბუნების შე-
 ლეგ იქცევა ლექსად. ამდენად არს მისი სუსტა
 შტოები კი ხალხისთან და ცოცხალი რიტმული
 საესე. მაგრამ აქ ჩნდება მონოტონურობის სა-
 დობიხე. რაც აშკარად დაეტოვ. წავახამის
 მრავალ ადრეტულ ნაწარმოებს. პოეტი თითქმის
 იძლეოდა ერთი რიტმული განწყობის ვარაუდი-
 ბის. მასლის სხვადასხვაობა იხვედრებდა ფორ-
 მის ერთგვარობით. ის უმოკრილობდა ამაო-
 ცლოვანი ლექსის პოეტუკას. ახალი კრებული კი
 აშკარად გვიჩვენებს, რომ პოეტი გაქცა აქედ
 შემორკულ სტერის. მან გამოიყენა მრავ-
 აღვცარი საზომი, რათა რიტმული შახლონი
 დამსხვრია. ტერფების მახილა შენაცვლებიო;
 სიტუაია აქსტუტური - შეთანხმებით დიშალა
 რიტმული ბეტონი და იშვა მოქნილი ეფთონია
 (ცხადია, ლექსი საამისოდ თქვის დროს არ გვი-
 ტოვებს). ის ნაწარმოების სტრუქტურაში ჩაწი-
 ლი თარული ხაზია; მისი არსებობა შეუძნევე-
 ლია; არარსებობა კი — აშკარა. ე. წავახამე გე-
 ბრის სტრულერ ორნამენტებს. ტაეებში აზრობ-
 რივ ნიუანსებითა დატვირთული. ლექსის რიტ-
 მზე დამყარება. მის მთავარ ძალად ქცევა, გამო-
 იწვევდა სააზროვნო ტონუსის შესუსტებას. ხო-
 ლო შეტყულების ქამს თავისუფალი სუნტქვის
 დაცვა პოეტის ღირსებაა. სწორედ რიტმის ხელ-
 ვენების დაუფლება აძლევს ე. წავახამის საშუ-
 ალებას, შექმნას ორიგინალური წყობის ე. წ.
 გრადუელი ლექსები. ზოგჯერ გონებას აეკიბა-
 ება ერთი სიტყვა (შდრ.: „სადაც შემხედება ქუ-
 თაინის მატარებელი“, „სდუმდა თოფი“, „უუ-
 ლისწლის უპირეულეს. მთლიანის“), რომლის
 სხვადასხვა ასპექტებით წარმოიღვენა წარმოშობს
 ლექსის წყობას. ამ დროს უმთავრესია ტაეტო-
 ლოგისაგან თავის დაღწევა, შეგნებული განწე-
 ორბანი, რომ ასეთი ლექსი პოეტური უწყობის
 დემონსტრირებად არ იქცეს. ვახტანგ წავახამე
 ზემოთი რიტმულითა სიტყვათა ეფექტური
 განლაგებით ირიღებს მოსალოდნელ ხიფათს.
 ძნელია მას ეუბოვით რიტმულად დაუშუშავე-
 ბელი; ჩავარდნილი სტრუქონი.

გრადუალური ლექსი. ბევრი იქნება ერთ-
 ფეროვანი საგნების ხილვით. მისაწყენია ნაცნო-
 ბი ტეხილებს უსასრულად მონაცვლობა. ლექ-
 სის გრაფიკული სქემა, ზოგჯერ, ბანალობს
 შეგრძნებას იწვევს. ეს ადრევე შენიშვნს პლ-
 ეტებმა. მათ გადაახალისეს ტაეობა განლაგება.

20-იან წლებში ჩვენშიც დაშალეს კანონიერი
 სქემა. შემდეგ ისევ ნაცნობა მანერამ გაიმარჯვა.
 ზოლო წლებში ამ მხრივაც იცვლებდა ლექსი. ვახ-
 ტანგ წავახამე უმთავრესადაა ნაირგვარი გრაფი-
 კული დაწერილობის ლექსი, რათა სიახლენი
 გარეგნულადაც აშკარა ყოფილიყო. ეს ერთგვარი
 წუთშესვენებაა მომდღელი მართათის წინ, გრა-
 ფიკული გრუნბამხილობის შედეგის არ შეიქ-
 მნება. ის მხოლოდ პოეტის გემოვნება და მის
 ედროლობაზე მეტყველებს; მაგრამ ფსიქოლო-
 გიურად არის მომგებანი. ამ დროს ვგრძნობთ
 მეტ თავისუფლებას, რომელსაც აკვირდება თვა-
 ლი. მზერა ისვენებს. ვიტყვებულად განლაგე-
 ბულ ტაეობა ტევრში. ამ მოტივით წიგნში ცალ-
 კე რაღია გამოყოფილი და პეტიტით აწყობი-
 ლი (2). პოეტი სიტყვებით სახავს უჩვეულ სქე-
 მებს; საგნებს ჩამოთვლით, პოეტური მოტივი-
 რებით, თითო საფეხურის დაწვეით მივდივარ
 ემოციურ დასკვნამდე („გახაზებლი“); მათემა-
 ტიკური სიზუსტით იხსება. სამი სამკუთხედი,
 სიტყვებით მარცვლებად იშლება, რაც გზათა მი-
 მოქცევის გრაფიკული სიმბოლოა („გზადგება“);
 წიგნის წვეთების მსგავსად იმნევა ასრევი
 („ჭარწყემა“). სტრუქტურული რეამარცვლოვანი
 მეტრი ავებს პირამიდის („პირამიდა“). საილუს-
 ტრაციოდ ამ ლექსს მთლიანად მოვიტან:

ე
 შენე
 პირამიდა,
 დიდზე დიდი
 პირამიდა. ახლა
 ვეღარ გამოვადიარ
 პირამიდეს სიზაილიდან.
 რად მინდოდა პირამიდა, დიდზე
 დიდი პირამიდა, შუა კედელს ვეჯახებო,
 მე კი ვანაპირა მინდა. მზე, დედამწიფავი
 გაანათე პირამიდა, გზა მასწავლე; შენთან
 მოვალ დიდი შესაწირავითა; ვისაც უნდა
 იმას ქონდეს დიდზე დიდი პირამიდა; — აღარ
 მინდა უკედეგება, — აღარც პირამიდა მინდა.

ინტელექტუალური სიძლიერი. წიგნის ერთი
 ნაწილი მოიცავს ირონიულ ლექსებს (4). სე-
 რიოზული და დრამატული მსოფლადქმა იც-
 ვლება ჰუმორული მანერით. ყოველდღიური
 მიმართებით გროტესკულად წარმოიდგინე-
 ნება. მასალა და ამსახველი ერთმანეთს დას-
 ცილდნენ. პოეტმა ირონიულად შეხება ცხოვ-
 რებისეულ წვრილობანებს. მათი დრამატიზება
 შეუძლებელი იყო. სინამდვილე რომ ყოველ-
 თვის როდია პერტიკული. ხელოვანიც არ არის

სოსო სიგუა
 ახალი რაალი



ვალდებულები, დღემდარად ამაღლებული და პაე-როვანი განცდები ადგივძრას. პროზაულ ურთიერთობებს შესანიშნავად ასახავს წყურის ირონიული მანერა. ადრე ასეთი პოზიცია შეიმუშავა მუხრან მაკავარიანმა. მაგრამ მისი ცდები რჩებოდა ლექსის ფარგლებში. პოეტო თვით ლექსის სტრუქტურისადმი იყო პაროდულიად განწყობილი, რამაც შვა ანტილექსის პირველი ნიმუშები. შემდეგ ტარიელ ჭანტურიამ ირონიულ-პაროდული სტილი ასახეის კონკრეტულ მეთოდად გარდაქმნა. ლექსის დეკლარებულ სტრუქტურა მოერგო გამარბულ სურათებს სინამდვილისას („აუწყობელი გიტარები“). ასევე ვახტანგ ჯავახიძემ შექმნა ირონიული ლექსების მთელი ციკლი, რაც ასახავს ლირიკის შინაგანი დახურულადებისა. პოეზიაში აღმოცენდა ნიპილიზმი როგორც გარე მოვლენების, ისე თვით ლექსის მიმართ. ნიპილიზმი კი დასასრულის მაინა (შტრ—ლექსი-ანტილექსი, პოემა-ანტიპოემა, რომანი-ანტირომანი). ეს პროცესი ზოგჯერ არაცნობიერად თრგუნავს ხელოვანს. ვახტანგ ჯავახიძესთან ირონია უნებლიედ აღმოცენდება. ის ერთ-ერთი სერხია მანკიერი თუ სასაცილო არის გასახსენლად. მე ვფიქრობ, ამგზით არ შეუქმნიათ ქართველ პოეტებს ნიშნულელოვანი ქმნილებანი. მაგრამ მისი როგორც მზარდი ტენდენციის უკუგდება ნაპალადევი გამოვა; პოეზია იძლევა და ასახავს დეკლარებების სიგნალებს; ხელოვანი დიფერენცირებულად ეყიდება ესთეტიკურ კატეგორიებს; იცვლება შეგრძნებათა ფორმები, რაც მოგვიწყურებს დიდ და მღელვარე ემოციებს; ის, რაც დღეს დაუსრულებელია, ხელო შეიქლება იდეალური აღმოჩნდეს. ეგებ გამოჩნდეს პოეტი, რომელიც ამ სწრაფვის კანონიზებას მოახდენს. ამ წინასწარმეტყველება დახტურდია. თანამედროვე პირობებში არის მძაფრი ლტოლვა სიახლეთა მოსატანად, მისაგნებად, გაღმოსანერგად. ვ. ჯავახიძე ამ საერთო მიდრეკილებს მებდაფა. მაგრამ ამასთანავე მწვავედ იგრძნობა უკმარობა მხოლოდ სიახლეთა ძიებისა, ვინაიდან ისე სწრაფად იცვლება მოვლენები, რომ აღქმასაც ვერ ვასრუებთ. სიახლენი უმაღლე ბერდება და ხუნდება. ადრე, რაც საუკუნეების მანძილზე მზადდებოდა და გრძელდებოდა, დღეს რამდენიმე წელიწადში მოექცევა. კონდენსირებული ეპი სობის და შობის ნაირნაირ ლიტერატურულ მოდებს. მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა მეტად მოკლეა. მაგრამ პოეზია მისდევს ეპოქის ნების და ამ ცვალებადობას ასახავს. ინტელექტუალური სიცილიც დროით ნაქარნახევი მოვლენაა: პოეტებმა მოიშორეს ტრადიციული ნიღბები და სიტყვა ისწავლეს. მე ვერ ვიტყვი, რომ ვახტანგ ჯავახიძის ამგვარი ტაბის ლექსები თითქმის განსაკუთრებული ხარისხისა იყოს. მაგ-

რამ რაციონალისტური პრინციპების შემოხრებით მისი ხუმრობა და ირონია უპირისპირდება ე. წ. სინანგო ლექსებს. გარემომცველ სავნებზე დაკვირვება, მათი თავისთავადი პოპულარობა წარმოშობს ჭანსალი და გონიერული სიცილის საჭიროებას:

აქვს
ფანტაზია
ბავშვის
ცაში
დაეძებს
სოროს,
სამსართლიან-სახლში
მეცხრე
სართულზე
ცხოვრობს („მეოცნებე“).
ასე
მღერიან
ემიგრანტები:
„სამშობლოსავით
შემიყვარდები“ („ემიგრანტი“).

„ფიქრი მრბაპალწმირივანი“. ვახტანგ ჯავახიძის სარეცენზო კრებული შრავალ ლექსს მოიცავს. რა თქმა უნდა, ყოველი მათგანი არ არის თანაბრად ფასეული. მე მინდა გამოეყო ზოგიერთი მათგანი, რომლებიც ავლენენ ავტორის სტილს, მსოფლალქმისა და პოეტურ ილას. ეს დიფერენცირება სტუბექტურია, მაგრამ, ვფიქრობ, სწორად წარმოგვიდგენს ვ. ჯავახიძის ლირიკის ლირსებებს.

თანამედროვე ცხოვრების დაძაბული და ნერვიული რიტმი თითქმის გამოირიცხავს განყენებული იდეებისადმი ერთგულებას. კონკრეტული მოვლენებით დასაზღვრება ერთგვარი თვითგაუცხოების ანარქულია. აღდამინი იქმნის გაცნობიერებულ საუფლოს. მარტოობისა და შიშის განცდა მას იძულებს, ეძიოს სუბექტურში სუბიექტური. ცივილიზაციის ბოზოქარი ტემპისაგან გაღწევა და საკუთარი სახის დადგენა უნდობლობის მოტივებსაც მოიცავს. ყოველივე ეს ღრმადია მიმალული არაცნობიერ ფსიქიკაში, მაგრამ ყოველდღიური ურთილმანები, ჭარბი კომუნიკაციება ნაუცბათეგად ამფავნებენ. ამგვარი ურბანისტული განცდითაა გამსჭვალული ლექსი „მე არც მებუყე სართულზე ვცხოვრობ“. მასში უხვადია გაბნეული მანქანური ტემპიკის ამსახველი ტერმინები, სახეები, ცნებები („ავტომობილითა სოლო და ქორო“, „თანამედროვე სამოქალაქო ტრანსპორტის პარადი“, „სახანძრო რაზმის სირენა“). ეს თითქმის აბშობს ბუნებრივად შობილი ოცნების თავისუფლებას. ნამდვილად ასე კი არ არის. პოეტი პირდაპირ, გაშუალების გარეშე, აღიქვამს კონსტრუირებულ ქვეყანას. ის ლექსში ამკვიდრებს არა მხოლოდ ურბანისტულ აზროვნებას, არამედ — ქალაქური ყო-



ბი. სასიქადლო მგოსანს დაუვაჟებრდა ნა-
წილწ ორი პოეტის ზიფორადიისა. („მ. ლებანი-
ძეს“). ამ ლექსსად ასაზრდოებს რეალური და
ნაცნობი მასალა: როგორ ვამოიცა ვალაქტიონის
„ჩრეული“:

და დაეუღღვი ძეგლივით —
ციხფერ მოგონებათა
წიგნი — ვისაც
ლექსის ვარდა —
არაფერი ებადა“.

მერმე ვადავდივართ შორეული წარსულისა-
კენ. დღევანდელობის ჭერება, ვარემომცველი
საგნები ანაზღუელად მოგვაქეცენ ისტორიის
დაფერფლილ ლაბირინთებში. ორი პოეტი პერი-
ოდულად მეორდება („დ. გურამიშვილს“). ერთ-
მანეთს ერთმანება პოეტი და პოეტის შველი.
მსგავსება და ანტითემა ლექსის სააზროვნო
სტრუქტურაა. ორი რეალობა იყვითება პარა-
ლელური მდინარეებით: პოეტი და პოეტის ფე-
ლი, პოეტი და პოეტის ძეგლი. ორივენი ვასა-
ქეცენ ექებენ, რადგან ყოველდღიურ ურთიერ-
ობაში ადგილი ვერ ვამონახეს. ორივენი იქ
დგანან, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ. ვაქე-
ცესა და ვაბრძოლებას ვერ ახერხებენ, ერთი
ქვასში ჩამარხული ოცნებაა, მეორე — ძეგლი
თავისი თავისა.

ვახტანგ ჯავახიძე ვაურბის პატრიოტული
ვანდების შარბ ვაღმომალს, ვინაიდან აქ იმა-
ლება ერთგვარი ექსკლავაციის სურვილი. ში-
ლი ლექსები იშვიათად ასხენებენ ისტორიულ
ქეგლებს, რეალიებს, პერსონაჟებს. მას უფრო
რეზიდაეს ლიტერატურის სარდლების ცხოვრები-
ნული დეტალები. ასეთი მასალა საფუძველ-
ზევე ინტიმურია და ვანშორებელი პავეტიკას.
მხოლოდ ერთგან ვანათებს ალავერდის სიწო-
ლიკა: „შორს ალავერდი ისე მოჩანს, როგორც
რაქება, რომლის ვაშვებაც ვადაიდო სამარადი-
სოდ“. ეს ერთი ფრაზა უფრო მახვილია, ვიდრე
წრეგვადასული დიდიარამბი. ვაქტის ზუსტი გე-
ცნობის პროცესი ვამორიცხავს სასოტობო პოტი-
ვებს.

წიგნში შეტანილია ადრე დაწერილი საინტე-
რესო ლექსი „ვან გოგი“. იგი ერთ-ერთი ყველა-
ზე შვეფერი მავალითია ვახტანგ ჯავახიძის ძე-
ლი ლექსებისა. მასში ვაკეთდა ერთგვარი კინე-
ტისენცია ვანსაზღვრული პერიოდის მიღწევათა.

წიგნის მეორე ნაწილი(2) ორადობი ლექსი-
საგან შედგება („მეორე ნოველა“, „მესამე“). ეს
ნაწარმოებები რიტმულად ერთმანეთს ჰგვანან,
თუმცა ვანსხვავებულ მასალას მოიცავენ. „მეო-
რე ნოველა“ ასოცირებულ სიმბოლოზეა ავებუ-
ლი. პოეტმა მოინდომა, რომ ვაქტისეოდა ტრადი-
ციულ მიმართებას ვაქტთან. თითქოს მთელი
ლექსი სიხპრული ნათელხოლვის პოეტური ფი-
ქსირებაა: მიღელავს ცხოვრება. მეორდება ერ-
თიდავივე. თითქოს ვწვედებოთ რაღაც იღუმალს.
თვალისგან ფარულს, ნამდვილად კი ვბრუნავთ

მოვადობებულ წრეში. მოჩვენებითია ვაწიველი
ამბოხი. მზერა. ეცემა ნაცნობ საგნებს. ვამარ-
ჯებებს სიხარული დაეკარგა, როგორც ერთი
ფილმის მრავალგზის ჩვენებას და დამორჩილე-
ბის, ახლის წვედენის ოცნებას ძალა ვწარბთა.
დასასრულ მოულოდნელად ჩნდება სახეობ თე-
ნდორე. ეს თითქოს მოულოდნელი იყო. გვე-
ჩვენება, რომ ირდვევა ნაწარმოების მკაცრი
კომპოზიცია. ვაგრამ ლექსი მოითხოვს არა
მხოლოდ ერთებურ, ვაღარბენით ვადაკითხვისა.
ვ. ჯავახიძე ხომ სათქმელის მიღმა ყოველთვის
ნაცნობ ქვეტექსტს არ გულისხმობს. ნაწარმო-
ებში ცნობილი ლეგენდიდან აღებულისა იღვდა
მას ჰქვია დაეცემა ბრმა ბედისწერაც უთავ-
ბლოდ ავგვატარებს, რათა დაპყრობისა და
მოპოვების ენი ვავეჭვებს.

ლექსი „მესამე“ რამდენადმე არდვეს ვა-
ტანგ ჯავახიძის მკაცრ კომპოზიციურ სტილს.
ის მოიცავს ასოციაციას რამდენიმე პოლასტს,
რომელსაც აერთიანებს თემატურად—შვილისა-
მი სიყვარული კომპოზიციურად — ღამის პანი-
რამა. თანამედროვე პოეზიაში ფართოდაა დამკვი-
დრებული ინტიმური თემები. საავტოციო და
ასტრაქტული ლირიკა ცოცხლობენ მხოლოდ
პერიფერიებში. პოეზია იბრუნებს და პოულვს
ახალ-ახალ სივრცეებს. სუბიექტური წარმოსა-
ხეებისა და ფიქრების ლექსად ქეცვა ადრე მოი-
ნათებოდა კამრეულ ლირიკად (უმიველია.
მშვენიერი ლექსი „მესამე“ მასში მოხვდებო-
და). საბედნიეროდ, ლირიკის თანდაყოლილი
ნიშნებია სუბიექტურობა. პირადულთა, ინტი-
მურთა... „მესამე“. სწორად იმიტომაც კარგი
ლექსი, რომ პოეტი ვაღმომცვეს თავის მარ-
თალ ვაწყობილებას, რომელიც მხოლოდ მი-
სია და ლექსად ვარდაქმნის შემდეგ. იქეცვა
სხვათა კუთვნილებად.

ნიშნები, რომლებაც მიმოვიხილე. ახასიათე-
ბენ ვახტანგ ჯავახიძეს როგორც ურბანისტული
აზროვნების პოეტს. ეს არაა ჩვენთვის მარტივი
და უბრალო ამბავი. ურბანისტული აზროვნება
არის მიდრეკილება ამ ორი ცნების გაიგივებო-
სა. რაც ვაუგებრობის შედეგია. ჩვენ სულ რა-
მდენიმე ურბანისტი პოეტი გვეყავდა და პროზა-
იკოსი. დღეს ლიტერატურის ურბანისტის ვა-
რეში მის ინტერკაციონალურ მნიშვნელობაზე
საუბარი — ზედმეტად უნდა ჩაითვლოს. ანი-
ტომაც მტკივნეულია ბრძოლა უწყვეტი ვანახ-
ლების შესანარჩუნებლად. ზოგმა ტრადიციის
ინერცია ტრადიციად მიიღო. ვახტანგ ჯავახი-
ძისათვის საეცნობი ორგანულია ურბანისტული
პოეზიის პრინციპები. სოფლური პრიმიტივი,
ბუკოლიკური თემები. ადგილის კოლონატის
დაცვა მისთვის ესთეტიკურად მიუღებელია. ეს
შეიძლება ასატანი იყოს ისეთი ურბანისტი პო-
ეტისათვის, რომელიც მოიქანა და იდიქ ქალაქის
ცივილობაცითა და კულტურით, რომელსაც
მოეხატარა მოგონებად ქეცულია სინამდვილე.

რუსთველი რუმინეთში

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისა და დაპიზიზება ჩვენი სახელოვანი გამარჯვების შემდეგ ქართულმა ლიტერატურამ გაბედულად გადალახა ეროვნული საზღვრები, საყოველთაო ყურადღება მიიპყრო და მალე საპატიო ადგილი დაიმკვიდრა საერთაშორისო სარბიელზე. ქართული ლიტერატურისადმი ინტერესი შესამჩნევად გაიზარდა მრავალ ქვეყანაში, კერძოდ, რუმინეთშიც. აღრეულ საუკუნეებში არსებელი ქართულ-რუმინული კულტურული კავშირ-ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდა და გაძლიერდა; ბევრი ქართველი მწერლის თხზულება ითარგმნა რუმინულ ენაზე, არაერთი რუმინელი შემოქმედი ამტყვევდა ქართულად. რუმინულად ითარგმნა ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებით საპატიო ადგილი უჭირავს გენიალური ქართველი პოეტისა და შოაზროვნის შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ორჯერ ითარგმნა და სამჯერ დაიბეჭდა ბუქარესტში.

„ვეფხისტყაოსანი“ რუმინულ ენაზე თავდაპირველად პროზაულად გამოქვეყნდა. მთარგმნელმა ვ. რომანმა იგი გადაიღო პოემის რუსულ ტექსტიდან, რომელზეც ნ. ზაბოლოცკის მიერ ახალგაზრდობისათვის იყო თარგმნილ-ვადაკეთებული. მანვე მოკლე წინასიტყვაობაში მოგვცა: „ხოვადი ცნობები „ვეფხისტყაოსანზე“ და მისი ავტორის პორტრეტის, დანტესა და სხვა გამოჩენილი კლასიკოსების გვერდით მოიხსენია.“

ვ. რომანს კეთილი მიზანი ამოძრავებდა, მაგრამ მან ვერ შეასრულა თავისი მისია: ვ. რომანმა რუმინულ მკითხველებს მიაწოდა შემოკლებული პროზაული ტექსტი; ვაიცნო პოემის შინაარსი, მაგრამ ვერ ავრძობინა „ვეფხისტყაოსანის“ თვითმყოფი მშვენიერება, ლექსის შესანიშნავი ჰარმონიულობა და შესატყაობაში მტკიერ ტრაგიკთ გამოკვეთლ-მა წიგნმა ოდნავადაც ვერ დაეკმაყოფილა მკითხველთა მოთხოვნები:

ვ. რომანის თარგმანმა რუსთველს ვერ მოუპოვა სათანადო აღიარება რუმინეთში, მაგრამ მისი გამოქვეყნება მაინც საყურადღებო მოვლენას წარმოადგენდა, რადგან არსებითად ეს იყო პირველი ცდა „ვეფხისტყაოსანის“ რუმინულად ამტყვევებისა.⁴

რუმინეთში კვლავ მწვავედ შეინიშნებოდა ქართულ-რუმინულ კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობაში არსებული ხარვეზი — „ვეფხისტყაოსანის“ სრული პოეტური თარგმანის უქონლობა. საზოგადოებრიობა ვრძნობდა, რომ ეს ხარვეზი უახლოეს ხანში ამოკვეთას საჭიროებდა. მალე ამ საპატიო და პასუხსაგებ საქმეს ზელი მოჰკიდა ცნობილი მწერალი, ნაყოფიერი მთარგმნელი ვ. კერნაბა. იგი არამდინჯერმე ეწეოდა საქართველოს (პირველად — 1957 წელს, მეორედ — 1961 წელს) ზეზხელში,⁶ ხოლო მესამედ — რუსთველის საიუბილეო (1966) წელს, როდესაც აქტიურად მონაწილეობდა დიდი ქართველი პოეტის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულში,⁷ ვაიცნო ჩვენი ხალხის ყოფაცხოვრება; შეისწავლა რუმინულ-ქართული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა,⁸ თარგმნა ბევრი ქართველი მწერლის (ნ. ბარათაშვილის, გ. ტაბიძისა და სხვ.) თხზულებანი, გამოაქვეყნა ნარკვევები ქართულ პოეზიაზე; მუსიკაზე, მხატვრობაზე კმყოფილებს; ხალხთა ამოზამეგობრობის მქადაგებელი პოეტი კარვა ხანია დაეწაფა პოემას იმ შემოქმედისა, რომელმაც „შვიდი საუკუნის წინ უმღერა ხალხების დამოპილებასა და



ურთიერთისიყვარულს“. როგორც ერთ-ერთ წერილში¹⁰ ვაიმცნობს, მისი ლიტერატურული „შესანიშნავი ქართული კლასიკური ნაწარმოებებით“ და „ლტოლვა რუსთაველისადმი შემთხვევითი“ არ ყოფილა, „რუსთაველის სხარტი შაირის სიყვარული, ესოდენ ძლიერი გრძნობების მქონე პოეტით უსაზღვრო აღფრთოვანება, გატაცება მწერლით, რომელიც სათნოებას, ეთიკაობას და გამბედაობას უძღვრის“, მოულოდნელად და ანახლებულად არ მომხდარა.

ვ. კერნახმა გიმნაზიაში გაიცნო ანთიმოზ ივერიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი მხარე. მართალია, „მაშინდელი სკოლა რუმინული კულტურის ნამდვილ საგანძურებს გვერდს უვლიდა“, სახელმძღვანელოებში მეტწილად ანთიმოზის საეკლესიო მოღვაწეობა იყო განუქმებელი და მისი „ქადაგებების“ ხელმისაწვდომი გამოცემა არ არსებობდა, მაგრამ რუმინული ლიტერატურის სახელმძღვანელოში შეტანილი მცირერიცხოვანი ციტატებიდანაც კი ჩანდა „ავტორის განსაკუთრებული ლიტერატურული სტილი, მხატვრული მრავალფეროვნებით აღსავსე მდიდარი ენა“. ვ. კერნახმა გააცნო ანთიმოზის იტალიაში და დაინტერესა მისმა სამშობლომ. უნივერსიტეტში მან უფრო ღრმად გაიცნო ანთიმოზის კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობა. მასზე „უდიდესი გავლენა მოახდინა უცხოელის გულწრფელმა სიყვარულმა თავისი მეორე სამშობლოსადმი, თურქეთის ჩაგვით დატანჯული რუმინელი ხალხისადმი“. ამიერიდან, თავდავიწყებით „შეუყვარდა ანთიმოზ ივერიელი და მისი მეოხებით საქართველო“.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ვ. კერნახმა შეხვდა ქართველებს, მოისმინა ქართული საუბარი და სიმღერები. 1946 წელს წაიკითხა ნ. ბარათაშვილის ლექსების პ. პასტერნაკისეული თარგმანი (ეს იყო პირველი გაცნობა ქართული პოეზიისა), შემდეგ — შ. დადიანის, გ. ტაბიძის, გ. ლეონიძისა და ს. ჩიქოვანის თხზულებანი. ინტერესი საქართველოსა და მისი ლიტერატურისადმი თანდათან გაუღვივდა და გაუძლიერდა.

1950 წელს ვ. კერნახმა გაიცნო „ვეფხისტყაოსნის“ შ. ნუცუბიძისეული რუსული თარგმანი, გულდასმით წაიკითხა და რამდენიმე სტროფი დაიზეპირა კიდეც. მაგრამ მაშინ არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია. ორი წლის შემდეგ იგი გულმოდგინედ ჩაუქდა ქართველ პოემას, ხოლო 1953 წელს მის თარგმანზეც დაიწყო ფიქრი. მუშაობის დაწყებისთანავე იგრძნო უძღურება; მალე შენიშნა, რომ „ქართულ ოთხტეპიან და ერთიოთხიან სტროფს რუმინულ პროსოდიაში არ გააჩნია თავისი შესატყვისი“, მაგრამ რუსთაველის მიერ არჩეული ფორმის შეცვლა არ სურდა. ამასთანავე იგრძნო, რომ საქართველოზე ბევ-

რი არაფერი იცოდა. მისი მართებულობა ნიშნით, „ამა თუ იმ ხალხის ლიტერატურული შედეგის თარგმნა არა მხოლოდ მხატვრულ-შემოქმედებით მუშაობას ნიშნავს, არამედ სერიოზულ მეცნიერულ კვლევა-ძიებასაც ეროვნული სპეციფიკის ანალიზის, მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ნაწარმოების შექმნის გამოშვებები მოვლენებისა და სხვა მრავალი საკითხის შესწავლის მიზნით“. ამიტომაც მან შეისწავლა ჩვენი ქვეყნის ისტორია და გეოგრაფია, ხელშეკრულ წაიკითხა ქართველი ავტორების წიგნები, ვაიფრთოვანა წარმოდგენა ქართულ კულტურაზე და მხოლოდ შემდეგ შეუდგა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას. მუშაობდა ინტერესით, გულმოდგინედ, დიდი პასუხისმგებლობის გრძობით. რუსთაველის რუმინულად ამტკიცებულებაში გერონდას გამოადგა ძველი რუმინული პოეტების, რიტორებისა და ეპოთაღმწერლების ენის ცოდნა, აგრეთვე რუმინული ხალხური პოეზიის საგანძური. თანდათანობით „ვეფხისტყაოსნის“ რუმინული პოეტური თარგმანი ვ. კერნახისათვის მის მიერ დაწერილი ყველა ნაშრომზე ძვირფასი გახდა, იგი დაუმთავრებელი სახითაც ახარებდა თარგმნელს, რადგან აღაფრთოვანებდა ფიქრი იმის შესახებ, რომ ერთგვარი წვლილი შეიტანა ქართული ხალხის სულიერი საგანძურის რუმინულ ენაზე პოპულარიზაციის საქმეში.

„ვეფხისტყაოსნის“ რუმინულად თარგმნის ისტორიის გასათვალისწინებლად არანაკლებ საყურადღებოა ვ. კერნახის მეორე წერილი — „როგორ ვთარგმნე რუსულში“ — რომელიც ქართულად გამოქვეყნდა.¹¹

თუ მივივლ წერილით ავტორი მკითხველებს მოუთხრობდა, როგორ გაიცნო რუსთაველის პოემა და როგორ შეუდგა მის თარგმნას, ახლა უკვე ერთგვარი ანგარიში წარუდგინა ქართველ საზოგადოებრიობას და აუწყა, თუ როგორ თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“, რა სიძნელე იდგა მის წინაშე, როგორ გაართვა თავი რთულ ამოცანას (ამასთანავე, მკითხველებს ნაწილობრივ შეახსენა, თუ როდის და როგორ შეუდგა „ვეფხისტყაოსნის“ რუმინულად ამტკიცებულებას). აქვე განაცხადა, რომ ვარდა „ვეფხისტყაოსნის“ შ. ნუცუბიძისეული რუსული პოეტური თარგმანისა, მას ხელთ ჰქონდა ს. იორდანიშვილის მიერ შესრულებული პოემის რუსული პუკარდი,¹² პ. ანტოლო-სკის თარგმანის ნაწყვეტები¹³ და პარიზში გამოქვეყნებული ფრანგული თარგმანი.¹⁴ სებათა შორის, მან საგანგებოდ შეისწავლა ქართული ანბანი და სწორად კითხულობდა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალს, რათა გაეგო რიტმი, ალიტერაცია და ა. შ. მთარგმნელი დიდხანს ფიქრობდა, თუ რა სახით მიეწოდებინა რუმინულ მკითხველებსათვის „ვეფხისტყაოსანი“, ეთარგმნა იგი ძველ რუმინულ სა-

გვლესიო ენაზე, თუ გადაელო თანამედროვე რუმინულზე, მაგრამ ესარგებლა ძველი ენობრივია მასალითაც. ბოლოს ეს უკანასკნელი გზა აირჩია.

დასახელებულ წერილში ვ. კერნაბაშა ერთხელ კიდევ გამოხატა გულწრფელი სიყვარული რუსთველისადმი. „როგორ შეიძლება, — წერდა იგი, — არ გიყვარდეს პოეტი, რომელიც უმღერის მეგობრობასა და სიყვარულს, პოეტი, რომელიც ასე მშვენივრად ათავსებს ეპიკური თხრობის პათოსს ლირიკულ მგზნებარებასთან? როგორ შეიძლება არ მოგხებლოს პოეტმა, რომელიც ესოდენ ბუნებრივად მოგვითხოვს თავის გმირთა თავგადასავალს? როგორ არ დატყებები ასეთი პოემის კითხვით, სადაც ამდენი სიმბრუნე გამოვლინებული არა მშრალი პედანტურობით, არამედ დიდი და რთული ადამიანური გონებისა და სულის წიგნით? როგორ შეიძლება პატევი არ სცე ადამიანს, რომელიც ასე ბუნებრივად გადმოგცემს წარბეჭდვას ამბებს, რომელიც ერთი იდეიდან მეორეზე, ერთი პოეტური სახიდან მეორეზე გადასვლისას მკითხველს არ ღლის?“

ასეთივე აზრები გამოთქვა ვ. კერნაბაშა ბუქარესტში დაბეჭდილ სამეცნიერო-პოპულარულ წერილში („ქართული ლიტერატურის კლასიკოსი“),¹⁵ რომელშიც მოკლედ მიმოიხილა რუსთველის ეპოქა, დაახასიათა მისი მოღვაწეობის ხანა, მკითხველებს მიაწოდა ზოგადი ცნობები „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად იდეურ-თემატურაზე და ა. შ. ეს საინტერესო წერილი არსებითად არის ერთობ შეუქმუელი, მოკლე ვარიანტი იმ მოზარდილი შრომისა, რომელიც ვ. კერნაბაშა შემდეგ დაბეჭდა მის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობის სახით.

1956 წელს ვ. კერნაბაშა გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის“ რუმინული პოეტური თარგმანის¹⁶ ვრცელი წინასიტყვაობითა (გვ. 7-24) და განმარტებებით.¹⁷ წიგნი პოლიგრაფიულად კარგადაა გამოცემული, რუსთველის პორტრეტი და „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები ეკუთვნის ს. ქობულაძეს, თავფურცელი და გრაფიკული გაფორმება — ი. პეტრესკუს. იგი გულთბილად მიიღო რუმინეთის საზოგადოებრიობამ¹⁸ (თბილად გამოეხაზურა მას ქართული პრესაც).¹⁹ მოკლე ხანში მთელი ტირაჟი გაიყიდა და ღლის წესრიგში დადგა თარგმანის ახლად გამოცემის საკითხი. თარგმანის სრულყოფისა და ახლად გამოცემის იდეა ვ. კერნაბაშს შთაუნერგა და განუმტკიცა პირველი გამოცემის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცევამ და კარგა გამოძახილმა რუმინულ ლიტერატურულ კრიტიკაში. რუმინული თარგმანის ხარისხის ამაღლების მიზნით ვ. კერნაბაშა ვადაწყვიტა ქართული ენისა და ლიტერატურის საფუძვლიანი შესწავლა, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის გულდასმით გაცნობა. ამ

ვადაწყვეტილებამ იგი საქართველოში ჩამოყვანა. თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ჩვენმა საშობლომ, ნათლად ჩანს მის საყურადღებო წიგნში, — „მყინვარებისა და ნარინჯების ქვეყანა“, — რომელშიც ვრცლადა მსჯელობა საქართველოსა და ქართველებზე.²⁰ იგი დაწერა ილია სიბოთით და სიყვარულით. გამოთქმული მართებული აზრით, მას შეიძლება ვთქვათ: „საქართველო ქებათა ქება“ დარქმეოდა (რ. ჭაფარიძე). ამ წიგნით ავტორმა რუმინულ მკითხველებს ბევრი საინტერესო ცნობა მიაწოდა რუსთველსა და მის პოემაზე.²¹ მისთვის საუბარია „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებსა და გამოცემებზე, მის პოპულარობაზე საქართველოში, რუსთველის ზოგადსაკაცობრიო იდეალებზე და სხვ. ვ. კერნაბაშის დასავსებით. „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა მგობრობა მეგობრობის საუკეთესო მაგალითია. პოეტმა რვა საუკუნის წინ უმღერა მეგობრობის უზენაეს იდეას, უმღერა იმ დროს, როდესაც ხალხი მეგობრობის წმინდა მცნება ჯერ კიდევ არ სარგებლობდა პოპულარობით და აქტულობით ევროპის ხალხთა ლიტერატურაში, მაგრამ ის უკვე სულწაღმრუდი იყო რუსთველის ხალხის ზნე-ჩვეულებებსა და ადათ-წესებში“.

რუმინელი მწერლის გულთბილად დაწერილ წიგნს კმაყოფილებით შეხვდა ჩვენი საზოგადოებრიობა.²²

საქართველოში ყოფილი მიღებული შთაბეჭდილებებითა დაწერილი ვ. კერნაბაშის საინტერესო ლექსი „ნათესავი მიწოდეთ“:

მე ვიყავი იმ ქალაქში,
სადაც იყო თამარი,
სადაც ქმნიდა რუსთველი
თავის უკვდავ სტიქონებს.
ისევ დაჰქრის მთიდან მთამდე
თბილი სიო ფრთამალი,
ისევ დაჰქრის თბილი სიო
და ის მარად იქროლებს!

მისწრაფება დაჰყოლია
თბილისის მარად ახალი,
ნგრევის გრიგალს ვაჰყოლია
ნეაქრის და ნახშირი,
დარჩენილა ნათლის სვეტი,
ოცნებაზე მადლით,
აღმოსავლეთ-დასავლეთის
დიდი საძიმ კავშირის.

აქ ანთიმოზ ივერიელს
თავზე დასთენებია,
რომ შეექმნა რუმინელთა,
ჩემი ხალხის, ანბანი,

ლევან მენაბდე
რუსთველი რუმინეთში

და გგონია ჩემს მამულშიც
ყველა ქართველებია,
ისე გულით შეიყვარეს
ტარიელის ამბავი.

უცხოელად არ მიმიღოთ,
ნათესავი მიწოდეთ,
მეგობრობის ყვავილები
განა იცრიცებინა!

შოთამ ძმობა გვიქადავა,
ჩვენც ამ წებით ვიწყოდეთ —
თბილისი და ბუქარესტი
ერთიმ ღვიძლი ძმებია.

მე ვიყავი იმ ქალაქში,
სადაც იჯდა თამარი,
სადაც ქმნიდა რუსთაველი
თავის უცვლად სტრიქონებს...
სადაც უნდა მატარებდეს
ბედისწერა ფრთამაღლი,
ჩემი ფიჭვი აწ და მარად
ამ ქალაქში იქროლებს.²³

(თარგმანი ა. გელოვანმა)

სამშობლოში დაბრუნებული ი. კერნაბში კვლავ ინტენსიურად მუშაობდა "ვეფხისტყაოსნის" ტექსტზე და სრულყოფდა რუმინულ თარგმანს, სწავლობდა სტეციალურ ლიტერატურას და თანამემამულეებსაც აცნობდა რუსთაველითვის ახალ მონაოცრებს.²⁴ ხანგრძლივი მუშაობით მან სასურველ შედეგს მიაღწია — სრულყო და დაბეჭდა თავისი თარგმანი და შეორედ დაბეჭდა 1963 წელს²⁵ (ქართულ პრესაში ამ წიგნის გამოცემაც კმაყოფილებით აღინიშნა).²⁶ საგანგებოდ უნდა შეგვიხსენოთ "ვეფხისტყაოსნის" რუმინული პოეტური თარგმანის წინასიტყვაობაზე, რომელიც ამჯერად (1963 წ.) შეესებულ-გაგაცრთმებლ სახით დაიბეჭდა.²⁷

გ. კერნაბში საკმაოდ სრულად მიმოიხილა "ძველი ქართული მწერლობის უდიდესი ქმნილება", "უცვლადი პოემა", რომელიც "თავის თავში იტევს ქართული ხალხის თვალს შემოქმედებით ძალს და მზით გასხივოსნებულ სულს" და წარმოაჩინა და დაახასიათა იგი როგორც "ქართველთა პოეტური გენიის უშთაერის ძეგლი და მსოფლიოს ყველა ხალხის კუთვნილება".

მთარგმნელმა ვკაცლად მიმოიხილა XII-XIII საუკუნეთა საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მდგომარეობა და საზოგადოებრივი ცხოვრება, საგანგებოდ დაახასიათა "ქართული აღორძინება, რომელიც (ეს არ უნდა დაგავიწყდეს!) წინ უსწრებს ევროპულ რენესანსს"; გარკვეული ყურადღება დაეთმო "ვეფხისტყაოსნის" ავტორის ვინაობის პრობლემას. გ. კერნაბში ამცნო თანამემამულეებს, რომ რუსთაველის ბიოგრაფიის საკითხები ბუტუსითაა მოცული, პოეტის ცხოვრების პევირი

მხარე ამოუცნობი საიდუმლოებითაა მოსილი, რის გამოც მკითხველებს მის შესახებ პოემის მიხედვით უხდებათ წარმოდგენის შექმნა. საქართველოს ისტორიულმა აგებულებამ, მტრის ლაშქრის შემოსევამ და ქვეყანაში დატრიალებულმა ტრაგედიამ განაპირობა რუსთაველის ბიოგრაფიულ მასალების მოსპობა და გაუჩინარება. ვანადგურდა დოკუმენტები, რომელთა მიხედვით შესაძლებელი იქნებოდა "აღკვედგინა გგონის დიდებული ბიოგრაფია" ისტორიული მასალების მოუღწევლობით გამოწვეულ ხარვეზს რამდენადმე ავსებს ხალხურ სიტყვებებში შემონახული ვადმოცემა. ვ. კერნაბში ხალხური მასალებსა და ზოგიერთი ქართული მეცნიერის ნაშრომის საფუძველზე რუმინულ მკითხველებს გააცნო რუსთაველის ბიოგრაფიის რამდენიმე მომენტი, მის ხელთ არსებული მასალების მიხედვით გაიმეორა ტრადიციული აზრი და რუსთაველი მიიჩნია თამარის თანამედროვედ — XII-XIII საუკუნეთა მიჯნის მოღვაწედ.

ვ. კერნაბში მოკლედ დაახასიათა რუსთაველის ხანის ქართული ლიტერატურა, წარმოაჩინა პოეტის კავშირი ადგილობრივ შემოქმედებებთან დასახლებას. მისი სიტყვით, რუსთაველს არ შეეძლო არ გაეცლო მოწაფეობა; მხატვრული წრითა. მისი ქართველი მასწავლებლები იქნებოდნენ შავთელი, ჩახრუხაძე, მსახინელი, მისი თომკველი, ქართული ზეპირსიტყვიერების ანონიმი ავტორები და სხვ. მისი მასწავლებლები იქნებოდნენ აგრეთვე ბერძენი ჰომეროსი და სპარსელი ფირდუსი. ვ. კერნაბის აზრით, რუსთაველი ვერძნობდა "არ შემოფარგულთა ორიგინალური თუ თარგმანი რამდენიმე წიგნით, ამის გონება დაუფლებული იყო მრავალმხრე ცოდნას, როგორც მხატვრული, ისე მეცნიერული შემოქმედების ყველა სფეროში".

რუმინელმა მთარგმნელმა საგანგებოდ წამოსწია წინა პლანზე "ვეფხისტყაოსნის" მკიდრო კავშირი ერთგუნდ ნიადაგთან. მისი თქმით, "პოემაში საქართველოს მოუხსენებლობა მხოლოდ პირობითი ფორმალური აქტია. ნამდვილად პოემა-სხვის არაფერს არ ასახავს; თუ არა პოეტის დროს და მისი სამშობლოს ცხოვრებას".

გ. კერნაბის მხედველობიდან არ გამოირჩევა "ვეფხისტყაოსნის" პოლოგის ცნობა პოემის ამბის ადმოსავლურ წარმომავლობაზე (მისთვის ცნობილი ყოფილა რუსთაველითაგიაში არსებული აზრთა სხვადასხვაობა პოლოგის ჩვენების თაობაზე), მაგრამ ამისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია, რადგან, მისი დასკვნით, "ყოველი ნაწარმოების ღირსებას უშეიარესად მისი მხატვრობა შეადგენს და არა წარმომავლობა, რომელზედაც იგია აგებული". "ვეფხისტყაოსნის" სპარსული წყაროს ძიება, რასაც არავითარი

შედეგ არ მოჰყვა, მან არაქტუალურ პარამ-
ლემად მიიჩნია და კატეგორიული ტონით გა-
ნაცხადა: „პოემა, მიუხედავად მოქმედ გვირ-
თა-პირობითი უცხოური სახელებისა, მთელი
სისრულით მოიცავს თვით ქართველი ხალხის
სულიერ სამყაროს, მის გრძნობებს, იდეებსა
და მისწრაფებებს“.

ვ. კერძაძემა სავსებით გაიზიარა ჩვენს
სამეცნიერო ლიტერატურაში. გავრცელებული
აზრი იმის თაობაზე, რომ რუსთაველის გენიას
მხოლოდ „ვეფხისტყაოსანი“ არ შეუთხზავს
და მის კვლავს სხვა ნაწარმოებებიც უნდა
ეკუთვნოდეს, მისი ღრმა რწმუნებით, „წარმოუ-
დგენელია, რომ ისეთი ნაწარმოები, როგორიცაა
„ვეფხისტყაოსანი“, რომელიც გამოირჩევა
მხატვრული სრულყოფილებით, ერთბაშად,
ხანგრძლივი წინასწარი ლიტერატურული ცდებ-
ის გარეშე დაწერილიყო“.

ვ. კერძაძემა ჭეროვანი ყურადღება დაუ-
თმო „ვეფხისტყაოსნის“ თემატურ-შინაარსობ-
რივი სიმდიდრისა და იდეურ-აზრობრივი სი-
ღრმის ჩვენებს. იგი ვრცლად შეჩერდა მე-
გობრობასა და მიჯნურობაზე, საშობლოს სი-
ყვარულსა და მისთვის თავდადებაზე და ა. შ.
რუმინელმა მთარგმნელმა „ვეფხისტყაოს-
ნის“ ავტორი თანამედროვეებს წარუბრა-
ვად შეჰმოქმედად, რომელიც ხალხს უქადა-
გებდა სიცოცხლის სიყვარულს, უნერგავდა კეთ-
ილი ძაღების გამარჯვების რწმენას, „დახვე-
წილ პოეტებს, საზოგადოებრივი ცხოვრების,
თავისი ეპოქის სტრუქტურების, ადამიანის სუ-
ლის სიუფქვლიან და ღრმად მცოდნე მწერ-
ლად, თავისი თავისადმი დიდად მომთხოვნ და
ისეთი თვისებებით აღჭურვილ გენიოსად, რო-
გორც მოუპოვებთ მხოლოდ ცხოვრების სი-
ბრძნით აღსავსე, გამობრძმედილ და გამოც-
დილ აღმანიებს“.

განსაკუთრებით ვრცლად შეჩერდა ვ. კერ-
ძაძე „ვეფხისტყაოსნის“ ტიპაჟზე და ბევრი
საყურადღებო დაკვირვება და მახვილგონივ-
რული მოსაზრება გააცნო რუმინელ მკითხვე-
ლებს. მისი სიტყვით: „მდიდარი ცხოვრებისე-
ული გამოცდილებით აღსავსე გმირები თავდა-
დებით იბრძვიან ამქვეყნიური ცხოვრების მო-
წყვსიერებისათვის, მიწერილი იდელების გან-
ხორციელებისათვის. ისინი არიან არა ფლეგ-
მატური, სქემატური არსებანი, არამედ უაღ-
რესადად ადამიანური, „ოღონდ ძლიერ კონდენ-
სირებული და კონცენტრირებული თვისებე-
ბით“, კუმარიტად ადამიანური - ხასიათი,
ნებისყოფით, ტემპერამენტით. თავისი სახე-
ლოვანი გმირებით რუსთაველი „აღდაგვის ჩვენს
წინაშე თავისუფლებასა და სინათლეს მოწყუ-
რებულ, ბოროტებისა და უსამართლობის დამ-
თრგუნველ ძლიერ და შეუპოვარ ადამიანთა
ციცხლ სახეებს“.

ვ. კერძაძემა ალტაყებითა და აღდგომით-
ნებით წერდა „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ-

ლიტერატურულ ღრძნებაზე. მისი აზრით,
რუსთაველის მხატვრული სამყარო არ შემოი-
ფარგლება მხოლოდ აღმოსავლური პოეზიის
ძველი სახეებით. მისი პოემა შეიცავს ისეთ
ეპითეტებს, მეტაფორებს, შედარებებსა და
ფიგურულ გამოთქმებს, რომლებიც ხსნიან
მოვლენების არსს; პოეტისა და მისი გმირ-
ების სულიერ მდგომარეობას. ამით აიხსნება,
რომ პოემის გმირთა თვით უმძიმესი, განცდ-
ები, ზოგჯერ ცრემლთა ფრქვევით გამოძვავ-
ნებული, წარმოგვიდგენენ არა გარდაუვალ
და უღმომავლი ბედისწერით განსაზღვრულ
ტრაგიკულ მდგომარეობას გმირებისას, რო-
გორც ამას ვხედავთ ძველბერძნულ ტრაგე-
დიებში, არამედ მზიარული, სიცოცხლის მო-
ყვარული, ძლიერი გონებისა და გაცისკროვ-
ნებული სულის ადამიანთა სულსკვეთებისა.
ზოგჯერ პოემის ტრაგიკულ მდგომარეობას და
გადახლართულია ჯანსაღი და ნათელი იუმორი,
რაც ქმნის ადამიანურ გრძნობებს შორის ლო-
გიკურ წინასწარობას და ხელს უწყობს პოე-
მის მხატვრულ სრულყოფას.

ვ. კერძაძემა სწორად გაიგო და გაიზარა,
რომ „რუსთაველმა არა მხოლოდ პოემის არ-
სით წარმოგვიდგინა თავისი ესთეტიკური
მრწამსი, არამედ პოეტურ ფორმულად ჩა-
მოაყალიბა ამ მრწამსის ძირითადი პრინციპე-
ბი „ვეფხისტყაოსნის“ შესავალ ნაწილში“. მი-
სი დაკვირვებით, „ვეფხისტყაოსანი“ არ გა-
ნეუტოვება მხოლოდ და მხოლოდ ერთ რომელ
ლიტერატურულ ტიპს, არამედ მრავალ-
ხლართულია სხვადასხვა ენაზე. უპირატესად
იგი დიდი ეპიკური ნაწარმოებია, კონსტრუქ-
ციული, როგორც დიდებული რაინდული
რომანი. ყველაფერში შეინიშნება ზომიერება,
ყველგან დატულია წინასწარობა, ვერსად შე-
ვხვდებით ზედმეტ ეპიზოდებს, გაუმართლებელ
სიუჟეტურ გადახვევებს; „ერთმანეთთანა შე-
რწყმული იდე ეპიკური სუნთქვა, ჳმირთა
მოქმედებისა და დიალოგის იშვიათი ღრამა-
ტული ოსტატობა და უფაქიზენი გრძნობების
ამწლილი ღირბიმი. რუსთაველის გენიამ ერთ
მთლიანობაში მოკვია პოეზიის ეს სამი მთავა-
რი სახეობა, ააგო კა პარამონიული წინასწო-
რობის უმწვენიერესი შენობა“.

თავის მოზრდილ ნარკვევში ვ. კერძაძემა
გულწრფელი ეპყოფილება გამოთქვა იმის
გამო, რომ „ვეფხისტყაოსანმა“ — „ქართული
აღორძინების ამ უბადლო შედეგმა“ გაუძლო
ეპოთა სიავსს, „უცვლელად და მთელი სიწმინ-
დით შეინარჩუნა მდიდარი იდეური შინაარსი
და მომაწარმებელი პოეტრობა“.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“
რუმინელი პოეტური თარგმანი გულთბილად
მიიღო საზოგადოებრიობამ. მართლაც, რუმინ-

ლევან მინაგაძე
რუსთაველი რუმინეთში

ნელმა ლიტერატურათმცოდნეებმა ბ. ბუხი-
ლამ, დ. ჰაულიკამ, თ. ვანემ და სხვებმა ქება-
დიდება შესახებ ვ. კერნახის თარგმანს. სა-
გულისხმოა, რომ რეცენზენტები არა მარტო
თარგმანის ღირებუება მსჯელობდნენ, არამედ
რუსთველის პოემის ცალკეულ საყოფხებსაც იხი-
ლავდნენ და ამ გზით ხელს უწყობდნენ „ვეფ-
ხისტყაოსნის“ პოპულარიზაციას. სანიშნოდ
შეგჩერდებით დ. ჰაულიკას რეცენზიაზე.

ცნობილია კრიტიკოსმა, ყურნალ „XX საუ-
კუნის“ რედაქტორმა დ. ჰაულიკამ მალაღი შე-
ფასება მისცა „ვეფხისტყაოსნის“ რუმინულ
პოეტურ თარგმანს (მისი სიტყვით, მთარგმ-
ნელმა კარგად ამტკიცებდა რუსთველი რუმინ-
ულად, მშვენივრად შეიცნო აფორიზმთა არ-
სი და ზუსტად ვადილო მშობლიურ ენაზე,
მარჯვედ გამოიყენა არქაიზმები და ტიპიველს
მიაწოდა საცხებით სრულყოფილი ტექსტი),
მაგრამ არ შემოიფარგლა მხოლოდ ამ თარგ-
მანის აკარგინების ჩვენებით და მთარგმნე-
ლის პოეტური ოსტატობის დახასიათებით. მან
მკითხველთა ყურადღება მიიქცია „ვეფხის-
ტყაოსნის“ ძირითად იდეურ-თემატიკურ მო-
ტივებს, პროლოგში განვითარებულ თვალსაზ-
რის ეგზალტირებულ შეყვარებულის — მიჯ-
ნურის შესახებ. ყოველივე ამის მიმოხილვამ
მას საფუძველი მისცა დასკვნა, რომ რუსთ-
ველს შეეყვართ „რაინდულ ეპოქაში, სამ-
ყაროში, დაფუძნებულ ურდითობაზე, რომ-
ელსაც მიუხედავად აღმოსავლური კოლორი-
ტისა, ვხვდებით ჭერ კიდევ კურტუაზიული
რომანის ციკლიში“.

დ. ჰაულიკა საგანგებოდ ამხვილებდა ყუ-
რადღებას „ვეფხისტყაოსნის“ გმირებზე, მსჯე-
ლებდა მათ სიყვარულსა და მეგობრობაზე,
რუსთველის მხატვრულ-გამომსახველობით ხე-
რბებზე. მისი დასკვნით, რუსთველის გმირე-
ბი „არ არიან ზღაპრული ქმნილებანი, მათი
მომყვარებელი ჟესტები მოქცეულია ფსიქო-
ლოგიურ მექანიზმში, გაცილებით კონკრეტულ-
ში, ვიდრე ეს დასავლეთის კურტუაზიულ რო-
მანებშია“.

დ. ჰაულიკას რეცენზიაში განსაკუთრებულ
ყურადღებას იქცევს მსჯელობა „ვეფხისტყაოს-
ნის“ გმირთა ხასიათსა და სულიერ თვისებებ-
ზე. რეცენზენტის დაყვირებით, რუსთველის
გმირების ტანჯვა სატრფიალო ვირველობითა
და სიმკაცრით კი არაა გამოწვეული, არამედ
აბეღობით. ტარიელი „ხელ-ქმნილია“, სუ-
ლიერად შეძრწუნებულია, დიდხანს ვერ პოუ-
ლობს ნესტან-დარეჯანს, მაგრამ იმის გამო კი
არა, რომ მისი სატრფიო უკარგება (როგორც ეს
შემთხვა ივენს კრეტეინ დე ტრუს რომანში
„რაინდ ლომით“). „ვეფხისტყაოსნის“ გმირი
ქალი არ წარმოადგენს ტირანს, რომელსაც
ხელუწივება განაგოს რაინდას ბედი. მართა-
ლია, ქალები დავალებებს აძლევენ თავიანთ
მიჯნურებს, მაგრამ ეს ნაყარნახევია სიტუაციით

და გამოდინარობს საერთო ინტერესებიდან
რუსთველის პოემის შეყვარებული გმირი ქა-
ლები გაცილებით გონიერი არიან, ვიდრე სხვა
რაინდული რომანების შეყვარებული ქალები“.
დ. ჰაულიკას აზრით, მიჯნურისათვის და-
ვალების მიცემა, გმირის მიწინააღმდეგეთა
შერყენება, მსხვერპლის ვალება და მოსიან-
ნი რუსთველის პოემაში თვითმზნური არაა.
გმირთა ყოველი მოქმედება სითანადოდ მოტი-
ვირებული და დასაბუთებულია. „დიდება აქ
წინა პლანზე კი არაა წამოწეული, როგორც
ეს დასავლურ რომანებშია, სადაც გმირები,
თუკი მათ ვაქცაობაში ექვს შეიტანენ, საყვარ-
ელი ქალის ბრძანებით მიეგზავრებიან სა-
კუთარი დიდების შეუვლოდს დასამტკიცებ-
ლად, როგორც, მაგალითად, მიეგზავრება
ერეკი... რუსთველის გმირებისათვის დიდები-
საყენ სწრაფვა არ წარმოადგენს განსხვავრულ
ფაქტორს. მათი მამოძრავებელი ძალა სიყვარ-
ული და მეგობრობაა“.

რუსთველის საიუბილეო (1966) წელს რუ-
მინეთის პრესაში დაიბედა რამდენიმე წერი-
ლი თუ ექსპონონენცია ქართულ პრეტსა
და მის პოემაზე, საქართველოში საიუბილეო
დღეებისათვის მზადებასა და დღესასწაულის
ჩატარებაზე, რუმინეთში რუსთველისადმი მი-
ძღნული ღონისძიებებზე და ა. შ.²⁸ კვლავ
საყურადღებო წერილები გამოაქვეყნა ვ. კერ-
ნახმა,²⁹ რომელმაც ერთხელ კიდევ წარმოაჩინა
რუსთველის ზოგადსაკაცობრივი მნიშვნე-
ლობა და დაახასიათა მისი პოემა, რომელიც
„რვა საუკუნის შემდეგაც ესთეტიკური სიამო-
ნეებით იყთხება“. იმავე პერიოდში დაიწე-
რა ბუქარესტის უნივერსიტეტის ლექტორის,
ლიტერატურათმცოდნე თ. განცის „შოთა რუს-
თველი რუმინეთში“, რომელიც ქართულ
პრესაში განსხვავებული სათაურით დაიბე-
და.³⁰ ავტორმა მიმოიხილა რუსთველის „საო-
ცარი ეპოპეა, რომელმაც საუკუნეები გამოაჩინა
და კიდევ უფრო ეღვარე მოაღწეა ჩვენამდე“,
საგანგებოდ გაამხვილა ყურადღება პო-
ემის რამდენსავე საყოფხზე (ქუმანიზმი, ხოტ-
ბაშეხსნული სიყვარული და მეგობრობა,
მსოფლმხედველობა, აფორიზმთა, მხატვრულ-
მხარე და სხვ.), წინა პლანზე წამოსწია რუსთ-
ველის ფილოსოფიური ხასიათის იდეური ჩა-
ნაფიქრი, რომელიც მას „უნივერსალობას და
უქნობ დიდებით ანიჭებს“, დაახასიათა ვ. კერ-
ნახის თარგმანი.

ორიოდე სიტყვა რუსთველის საიუბილეო
წელს რუმინეთში ჩატარებულ ღონისძიებებზეც.

13 სექტემბერს გაიმართა ბუქარესტის სა-
ზოგადოებრიობის საზეიმო საღამო, რომელიც
მიძღვდა რუსთველის დაბადების 800 წლის-
თავს. რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენ-
ტრალური კომიტეტის ორგანი „სკინტეია“
(„ნაპარწყალი“) სანიფორმაციო ცნობაში —

„800 წელი პოეტ შოთა-რუსთველის დაბადებიდან“ — იუწყებოდა: „დიდი კულტურული იუბილეებიდან, რომელთა აღნიშვნა გადაწყვიტა მშვიდობის მსოფლიო საბჭომ, სამუშაოთ საღამოს სსრ კავშირთან მეგობრობის სახლში გაიმართა ქართველი პოეტის შოთა რუსთველის დაბადების 800 წლისთავის იუბილე. იგი მოაწყვეს მშვიდობის დაცვის ეროვნულმა კომიტეტმა, მწერალთა კავშირმა, კულტურულ-მეცნიერული ცენტრის გამაგრებლებმა სხვადავან და რუმინეთ-სსრ კავშირის მეგობრობის საზოგადოების საბჭომ. ხალხმრავალ სხდომას ესწრებოდნენ სსრ კავშირის საელჩოს წარმომადგენლებიც. მწერალმა ვ. კერნახმა ილაპარაკა იუბილეთის პოეზიაზე.“³¹

28 სექტემბერს რუმინეთის რადიომოწყობა სპეციალური ლიტერატურული გადაცემა — „შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“.

30 ოქტომბერს ხალხმრავალი სხდომა ჩატარდა კონსტანცაში, სადაც რუსთველის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა უნივერსიტეტის ლექტორი ტ. სიმულა³² და სხვ.

უქანსკენადად, უნდა აღვნიშნოთ, რომ რუმინელი მწერალი—პოეტი, პროზაიკოსი და კინოკრიტიკოსი დ. მ. იონი ამზადებს „ქართული პოეზიის ანთოლოგიას“, რომელშიც წარმოდგენილი იქნება რუსთველის „ვეფხისტყაოსანიც“,³³ ხოლო პროზაიკოსი და კრიტიკოსი მ. პეტრიშორი, რომელიც ამზადებს „ქართული პროზის ანთოლოგიას“, უაღრესად მოიხიბლა ქართული პოეზიით და კერძოდ რუსთველის გენიით: „ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართულმა პოეზიამ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული პოეზია მსოფლიო პოეტური აზროვნების მწვერვალია. არც ერთი ქვეყნის ძველი პოეზია არ ელერს ისე თანამედროვედ, როგორც ქართული;“ ესეც ქართული აზროვნების სიღაღღეჭ ლაპარაკობს. მე მოხიბლული ვარ რუსთველითა და ნ. ბარათაშვილით.“³⁴

ყოველივე ამასთან ერთად, თუ იმასაც მოვიგონებთ, რომ რუმინეთში აქა-იქ არსებობს „ვეფხისტყაოსნის“ მშობივად გატანების ტრადიცია³⁵ და ბუქარესტში, ქალაქის ერთ-ერთ პარკში, — მსოფლიოს გამოჩენილ მწერალთა ძეგლები გვერდით, — დგას რუსთველის ბიუსტი,³⁶ მაშინ ცხადი გახდება, რომ რუსთველმა რუმინეთში საკმაო აღიარება პოვა.³⁷

შენიშვნები:

¹ Șota Rustaveli, Viteazul in blană de tigru. Prelucrare din Limba rusă de V. Roman, București, 1947.

² [V. Roman], Șota Rustaveli și poema lui, ი. ვ. ვ. გვ. 9—16 (ეს წინასიტყვაობა მეტწილად ნ. ზაბოლოცის წერილის ვარდათქმას წარმოადგენს).

³ თ. განე, არსება მისი გრძელია, „კომუნისტ“, 28.VIII. 1966, № 196 (13580).

⁴ მ. ახვლედიანი, ქართველი მწერლები უცხოურ ენებზე, „მნათობი“, 1956, № 9, გვ. 146-147; გ. იმედაშვილი, რუსთველ-ლოლოკიური ლიტერატურა (1712-1956), თბ., 1957, გვ. 791.

⁵ ნ. ჩიხლაძე, რუმინელი პოეტი საქართველოში, „კომუნისტი“, 23.VI. 1957, № 147 (10844).

⁶ კვლავ რუსთველის სამშობლოში, „კომუნისტი“, 11.VII.1961, № 55 (12069); В. Кернбах, Я рад, что я вновь на родине Руставели, «Вечерний Тбилиси», 13.VII.1961, № 162 (2470).

⁷ შეხვედრა ვ. კერნახთან, „კომუნისტი“, 6.X. 1966, № 228 (13612); „თბილისი“, 6.X. 1966, № 235 (4080); Румынский поэт в гостях у студентов. «Заря Востока», 6.X.1966, № 230 (12774); Встреча с В. Кернбахом, «Вечерний Тбилиси», 6.X.1966, № 235 (4073).

⁸ ვ. კერნახი, რუმინელ და ქართველ

ხალხთა კავშირი ძველთაგან, „ცისკარი“, 1959, № 3, გვ. 139-145.

⁹ ფ. ჯინჯიხაშვილი, რუმინულ-ქართული კულტურის კავშირი წარსულში და დღეს, „დროშა“, 1957, № 1, გვ. 12; მისივე, Дружба, пронесенная через века, «Заря Востока», 16.XI.1966, № 264 (12808); В. Мачарадзе, Узы братства, «Заря Востока», 2.XI.1963, № 258 (11883); მისივე, ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობარი (ვ. კერნახის დაბადების 50 წლისთავის გამო), „კომუნისტი“, 14. X. 1937, № 241 (15758).

¹⁰ ვ. კერნახი, „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე შეშობისას, „ლიტერატურული გაზეთი“, 4.II. 1955, № 5 (915).

¹¹ ვ. კერნახი, როგორ ვთარგმნე რუსთველი, „ლიტერატურული გაზეთი“, 26.VII. 1957, № 30 (1044).

¹² ს. იორდანიშვილის მიერ დამზადებული პუკარტი რუსთველის პირველი იუბილეს დროს (1937 წ.) გავრცელდა ხელნაწერის სახით. ჩანს, ვ. კერნახმა გაიცნო პუკარტის მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტი. აღნიშნული პუკარტი გამოქვეყნდა 1966 წელს (Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре. Подстрочный перевод с грузинского С. Иорданишвили, Т., 1966).

ლევან მინაღა
რუსთველი რუმინეთში



13 საფიქრებელია, ვ. კერნბახს ხელთ ჰქონდა «Поэзия Грузии» (М.-Л., 1949), რომელშიც დაბეჭდილია მოზრდილი ნაწევრები პ. ანტოკლესის თარგმანისა (გვ. 90-127).

14 Chota Roustaveli. L' Homme à la Peau de Léopard. Texte français de M. C. Gvazava et de M-me A. Marcel-Paon, Paris, 1938.

15 V. Kernbach, Un classic al literaturii gruzine (Şota Rustaveli), «Veac Nou», 12.X.1956.

16 Şota Rustaveli, Viteazul in piele de tigru. Tălmăcire, studiu introductiv, note și glosar de V. Kernbach, București, 1956.

17 აქ წარმოდგენილია შენიშვნები და კომენტარები (გვ. 367-375). ცნობები „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანებზე (გვ. 376), სპეციალურ ტერმინთა ლექსიკონი (გვ. 377-382).

18 B. Buzila, რეცენზია: Şota Rustaveli, Viteazul in piele de tigru, «România liberă», 18.X.1956; D. Haulica, რეცენზია: Şota Rustaveli, Viteazul in piele de tigru, «Gazeta literară», 8.X.1956.

19 ი. კობახიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ახალი პრეტურთა თარგმანი, „კომუნისტა“, 7.II, 1957, № 32 (10729).

20 V. Kernbach, Tara dintre zăpezi și portocali, București, 1958. ქართულად თარგმნა რ. ჯაფარიძემ, თავდაპირველად დაიბეჭდა „მნათობში“ (1966; № 4, გვ. 96-127, № 5, გვ. 111-140; № 6, გვ. 84-124), შემდეგ გამოვიდა ცალკე წიგნად (ვ. კერნბახი, მყინვარებისა და წარმოშობის ქვეყანა, თბ., 1967).

21 იხ. ქართული თარგმანი; გვ. 4, 12, 35, 46, 52-53, 113-115; 117, 122-123, 137, 139-140, 161-162.

22 დ. ქორჯოლიანი, რუმინელი მწერლის გულწრფელი სიტყვებ, „თბილისი“, 15.VII. 1958, № 153. (1556); ვ. ბერაძე, საშვიკურ რუმინეთში, „ცისკარი“, 1959; № 10, გვ. 98; Ф. Джинджихашвили, «Страна между снегами и апельсинми», «Заря Востока», 11.X.1959, № 238 (10652).

23 ვ. კერნბახი, ნათესავი მიწოდეთ, „კომუნისტა“, 23.VIII.1958, № 194 (11198). ამ ლექსზე იხ. ს. არველაძე, მწერლები უმღერებენ თბილისს, „სტალინელი“ (ჭუთაისი), 4.X.1958, № 197 (7248); მისივე, საქართველოს გაზაფხულის მეზობლები, „მნათობი“, 1961, № 5, გვ. 150-152; მისივე, რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“ უცხოელ მწერალთა თვალთახედვით, „ქუთაისი“, 27.XI. 1965, № 233 (9981); მისივე, უცხოელ მწერალთა თვალთახედვით, „რუსთაველი“ (ჭუთაისი), 25.IX.1966.

24 V. Kernbach, Portretul lui Şota Rustaveli descoperit după opt secole, «Veac Nou», 2.XII.1960, № 48.

25 Şota Rustaveli, Viteazul in piele de tigru. Traducere in forma originală din limba georgiană, cu un studiu introductiv, note și glosar de V. Kernbach, București, 1963.

26 ლ. ხუბულუძე, მეგობრობის წიგნები, „კომუნისტა“, 29.III, 1963, № 75 (12587); ქართველ მწერალთა ნაწარმოებები რუმინულ ენაზე, „ლიტერატურული საქართველო“, 19.IV, 1963, № 16 (1342).

27 V. Kernbach, Prefața, იქვე, გვ. III-XXX; ვ. კერნბახი, როცა რუსთაველს კითხულობ, „მნათობი“, 1962, № 5, გვ. 111-129 (შემდეგ გამოვიდა ცალკე წიგნად — თბ., 1966).

28 Anul Rustaveli, «Veac Nou», 3.VI.1966, № 22 (1107); Aniversarea lui Şota Rustaveli, «Informația - Bucureștiului», 12.IX.1966, № 4070. A. Vințeler, O. Vințeler, Şota Rustaveli, «Tribuna», 22.IX.1966, № 38, გვ. 8, S. Podina, Jubileul Rustaveli, «Scinteia», 29.IX.1966, № 7116; I. Mihai, 800 let coindia rōdenia poeta Şota Rustaveli, «România», 1966, № 12, გვ. 42.

29 V. Kernbach, Şota Rustaveli, «Pentru apărarea păcii», 1966, № 10, გვ. 24-25; მისივე, Şota Rustaveli, «Secolul 20», 1966, № 11, გვ. 163-164.

30 თ. ვანე, არსება მისი გრძელია, „კომუნისტა“, 28.VIII, 1966, № 196 (13580).

31 ვ. შაქარაძე, რუსთაველიანა რუმინეთში, „თბილისი“, 17.XII, 1966, № 294 (4139).

32 იქვე
33 რუმინელი და ავსტრალიელი მწერლები, „ლიტერატურული საქართველო“, 21.VII, 1972; № 29 (1822). ამჟამად ეს ანთოლოგია გამოსულია.

34 შ. ბეტრიშორი, მოხიბლული ვარ ქართული კულტურით, „ლიტერატურული საქართველო“, 23.XI, 1973, № 46 (1890); „სამ-ზობლო“, XII, 1973, № 23-24 (329).

35 ი. თოფურია, „ვეფხისტყაოსანი“ რუმინეთში, „ახალი კოლხიდა“ (ფოთი), 30.V, 1965; № 64.

36 A. Келенджеридзе, В стране Антима, «Литературная Грузия», 1971, № 8, გვ. 50.

37 წერილობა გამოყენებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთაველის კაბინეტის მასალები, რომლის ნაწილი კაბინეტს გადასცეს ს. არველაძემ, გ. გოგიაშვილმა, ე. დონაძემ, მ. კვეცილავამ, ვ. შაქარაძემ, ფ. ჯინჯინაშვილმა და ბუქარეტის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ, თარგმნეს დ. ჯინჯინაშვილი და თ. გოლიაძემ.

მალუნა მიჩინაუვილი

ქვედი ქართული საგარეგნო საზღვრების ნოვებზე
ჩინების შესახებ

ცირიზმის რუსიფიკატორული კოლონიური პოლიტიკის დროს ქართული მუსიკალური კულტურის განვითარებას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. მივიწყებული იყო ქართული ხალხური მუსიკა და საეკლესიო გალობა. იდევენობა ქართული სიმღერა-გალობის ნოტებზე გადაღების ყოველგვარი წამოწყება.

ქართული ეროვნული მუსიკის დასაცავად ხმა აღიმაღლეს ქართველმა საზოგადოებებმა. ისინი პრესის ფურცლებზე პროპაგანდას უწყებდნენ ქართულ მუსიკას და ნოტებზე მისი ჩაწერის აუცილებლობას, სიმღერა-გალობის ძველი კილო-კავების აღდგენას.

მართლაც, ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო საგალობლების ნოტებზე ჩაწერა საქარო, აუცილებელი და გადაუდებელი საქმე იყო, რადგან ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო საგალობლების მცოდნეთა რიცხვი თანდათან მცირდებოდა, რაც ქართულ მდიდარ და მრავალფეროვან მუსიკალურ ნიმუშებს დავიწყება-დაკარგვას უქაღდა.

ქართული საეკლესიო გალობის აღდგენის და ნოტებზე ჩაწერის საკითხი რეალურად XIX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. ამ მიზნით შეიქმნა კიდევ ქართული გალობის აღმდგინებელი კომიტეტი¹. პირველ ხანებში საქმე კარგად წარიმართა, მაგრამ მრავალი წინააღმდეგობის, განსაკუთრებით სანოტო დამწერლობის დაბალი დონის და კარგად მომზადებული კადრების არარსებობის გამო, ეს წამოწყება კარგა ხანს შეფერხდა. იგი მხოლოდ 80-იან წლებში განახლდა.

ქართული გალობის აღმდგინებელი კომიტეტი ორ ჯგუფად გაიყო. ქუთაისის კომიტეტში იმერულ-გურული საგალობლების ნოტებზე გადაღება დაიწყო მიზნად და საგალობლების ჩამწერად ფილიმონ ქორიძე მოი-

წვია. თბილისის კომიტეტმა კი ქართულ-ახური საგალობლების ნოტებზე ჩაწერა გადაწყვიტა. ეს საქმე ითავა აღექსანდრე ებსიკოპოსმა. მან საკუთარი ხარჯებით ხელშეკრულება დაუდო კომპოზიტორ იპოლიტოვ-ივანოვს. იპოლიტოვ-ივანოვი ქართული მუსიკის დიდი თაყვანისმცემელი იყო და ქართული საგალობლების ნოტებზე გადაღება სიამოვნებით იყისრა. მას ამ საქმეში უნდა დახმარებოდნენ მაგალობლები — პოლიექტ და ვასილ კარბელაშვილები, ა. მოლოდინაშვილი, გ. მღებრიშვილი. განზრახული იყო 500 საგალობლის ჩაწერა, მაგრამ მხოლოდ 76 საგალობლის ჩაწერა მოხერხდა.

1896 წელს იპოლიტოვ-ივანოვმა საგალობლების კრებული სინოდში წარადგინა. კრებული სინოდალური სასწავლებლის ქოროს დირექტორსა და მუსიკათმცოდნეს ვადაეცა განსახილველად და დასკვნისათვის. ნაშრომი დადებითად შეფასეს. ამის შემდეგ, 1897 წლის 7 დეკემბერს, თბილისის სასულიერო სემინარიის ეკლესიაში სპეციალურმა კომისიამ მოიხილა და დადებითი წერილობითი დასკვნის წარდგინების შემდეგ, დასამტკიცებლად სინოდში გაგზავნა. საგალობლების კრებული 1899 წელს გამოქვეყნდა. ნოტების წერა-კითხვასა და გალობაში ბავშვების გაავრცელებისათვის, კრებულს დაერთო მოკლე ახსნა-განმარტება და მითითებანი.

ზ. ფილიშვილმა აღექსანდრე ებსიკოპოსის წამოწყებულ ამ საქმიანობას დიდი შეფასება მისცა. იგი წერდა: „თუ ამ სულისშემტოველ ბირობებში ქართული საეკლესიო გალობა ითქმის ხელშეუხებლად შენახულა, ეს აიხსნება უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში თავგამოდებულის, ყოველმხრივ უმწიკვლო პიროვნების გულშემატკივრობითა და ქართული საეკლესიო გალობის აღდგენის თაოსნობით“.

პარალელურად შემუშავდა და ნოტებზე ჩაიწერა საგალობლების კრებული, რომელიც „ქარბელაანი კილოს“ სახელწოდებით ორ ნაწილად გამოვიდა. მისი პირველი ნაწილი „მწუხრის“ სახელწოდებით 1897 წელს დაიბეჭდა. მეორე ნაწილი — „ციცკარი“ კი — 1898 წელს. კრებულში შევიდა კარბელაშვილების ოჯახის მიერ შემოწახული, წლების განმავლობაში თაობიდან თაობაზე გადმოცემული ქართული საეკლესიო საგალობლები. ეს დიდი და რთული საქმე ითავა ვასილ კარბელაშვილმა — თბილისის სასულიერო სემინარიის გალობის მასწავლებელმა.

თბილისის სასულიერო სემინარიისა და საქართველოს სასულიერო სასწავლებლებში მოსწავლეებს ქართულ საეკლესიო გალობას ასწავლიდნენ. გალობის შესწავლის საქმეში დიდ დაბრკოლებას ქმნიდა ნოტებზე ჩაწერილი ქართული საეკლესიო საგალობლების უქონლობა. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ქართული გალობის შესწავლის საქმე პედაგოგთა ცოდნის დონეზე იყო დამყარებული. წლების განმავლობაში მოწაფეებს ერთსა და იმავე საგალობლებს ამეორებინებდნენ.

1896 წლის მაისში ვასილ კარბელაშვილმა თბილისის სასულიერო სემინარიის გამგეობაში წარდგინა ერთეული მოხსენება, სადაც განმარტა, ქართული სიმღელებთან იყო დაკავშირებული ქართული გალობის შესწავლის საქმე, რას წერდა იგი: «В училищах, в семинарии только проходили обедни и другие песнопения и то с грехом пополам, в продолжении шести лет». ვასილ კარბელაშვილმა თბილისის გამგეობას დაუსახუბა ქართული საგალობლების ნოტებზე გადაღების აუცილებლობა. «Из своей трехлетней практики я убедился, что необходимо было отлитографировать переложенные мною на ноты церковные песнопения и так давать ученикам».

1896 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის გამგეობის სდლომად დაადგინა, ეშუამდგომლათ საქართველოს ეგზარქოსთან, რათა დაერთო ნება ნოტებზე ჩაეწერათ ქართული საეკლესიო საგალობლები.

1896 წლის ივნისში, საქართველოს ეგზარქოსის დასტურით შედგა კომისია, რომელმაც 1897-1898 წლებში ცალ-ცალკე განიხილა ვასილ კარბელაშვილის მიერ ნოტებზე ჩაწერილი საგალობლების კრებულის პირველი და მეორე ნაწილი. კომისიის სხდომებზე საგალობლებს ასრულებდნენ იოსებ რატილი და ვინჩენკო.

კომისიამ მოიწონა ვ. კარბელაშვილის მიერ ნოტებზე ჩაწერილი ქართული საეკლესიო საგალობლების ორივე კრებული. დადებითი დასკვნის წარდგენის შემდეგ ვასილ კარბელაშვილმა საკუთარი ხარკით დაბეჭდა ქართული

საგალობლების კრებულის ორვე ნაწილი. კრებულის პირველ ნაწილში შევიდა 67 საგალობელი, მეორე ნაწილში — 193. ავტორმა საგალობლებს „I ნაწილს“ დაურთო ახსნა-განმარტებანი სანოტო დამწერლობის შესახებ. კერძოდ, ხუთ ხაზიანი სანოტო სისტემის, ნოტების გრძობის, ნოტების ამაღლება-დადაბლების ნიშნების, სხვა სანოტო ნიშნების შესახებ და ა. შ.

ეს წინამდებარე მცირედი შრომა, — წერდა ვ. კარბელაშვილი, — ღმერთმან უწყის, რატანჯვითა და კიევაგაზით მოვიტანეთ ბოლომდის, ვიდრემდის იგი ეღირსებოდა ნათელსა ამა სოფლისას!»

ვასილ კარბელაშვილის ქართული საეკლესიო საგალობლების კრებულის გამოცემის ქართული მაგონიწვე საზოგადოებრიობა მოუთმენლად ელდა. მისმა გამოსვლამ თავიდანვე დიდი ინტერესი გამოიწვია. რუსმა მუსიკათმცოდნემ სტ. სმოლენსკიმ დიდი ყურადღება გამოიჩინა კრებულისადმი და მას ორიგინალური ნაშრომი ეწოდა: «Не наберу слов, чтобы высказать, как нетерпеливо жду 2, 3, 4 и следующие части грузинского песнопения», — აღნიშნავდა იგი და ქართულ პარზონის მრავალფეროვნებით აღტაცებულ წერდა: «...И по истине удивительные голосоведения и ритмы...» «...стараясь постигнуть секреты их противоречия с западно-европейской...», «...Я потащил и моих товарищей в Грузию, хотя бы мысленно и только по книге».

1898 წელს სპეციალური კომისიის დადგენილებით ვასილ კარბელაშვილის მიერ გამოქვეყნებული ქართული საეკლესიო საგალობლების კრებული „მწუხრის“ და „ციცკარი“ საქართველოს სავაჭარო საქონელბებისა და სემინარიისათვის ქართული გალობის ერთადერთ და მეტად სასარგებლო სახელმძღვანელოდ იქნა მიჩნეული.

1907 წელს გამოქვეყნდა კარბელაშვილების მიერ ჩაწერილი ქართული საეკლესიო საგალობლების ახალი კრებული. ამკერად მისი ნოტებზე გადაღები იყო ფილიმონ კარბელაშვილი.

რუსული გალობის პროგრამის შედგენისათვის 1904 წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში მოქმედმა სპეციალურმა კომისიამ, რომლის ერთმხიანი სახელმძღვანელოს შექმნის საკითხა დასვა. მისი შედგენა დაევალი ფილიმონ კარბელაშვილს.

ფილიმონ კარბელაშვილის დიდი ხნის სურვილი იყო ქართული გალობის სახელმძღვანელო შედგენა. იგი ჯერ კიდევ მოწაფეობის დროიდან აგროვებდა მასალებს ამ საკითხის ვარშემო.

1905 წლის თებერვალში ფილიმონ კარბელაშვილმა კომისიას ხელნაწერის სახით წა-

რუდგინა ქართულ საეკლესიო საგალობელთა კრებული. ნაშრომი განიხილეს და დადებითად შეაფასეს. კომისიამ ავტორს მისი დაბეჭდვის ნება ღართო და თბილისის სასულიერო სემინარიის, თბილისის, თელავის და გორის სასულიერო სასწავლებლების გალობის სახელმძღვანელოდ აღიარა.

ფილიმონ კარბელაშვილმა კრებული საკუთარი ხარჯით დაბეჭდა. უსახსრობის გამო 2400 ცალის მაგივრად, მხოლოდ 1200 ცალად გამოვიდა. მასში 14 საგალობელი შევიდა.

სემინარიაში და სასულიერო სასწავლებლებში აღნიშნული სახელმძღვანელოებით სწავლებამ დიდად შეუწყო ხელი ქართული გალობის უკეთ შესწავლას. თბილისის სასულიერო სემინარიაში განსაკუთრებით მას შემდეგ ამოღდა გალობის სწავლების დონე, რაც იქ ქართული გალობის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა ეროვნული მუსიკის კარგმა მცოდნემ, უანგარო პედაგოგმა და კომპოზიტორმა ია. კარგარეთელმა. ამის გამო ია კარგარეთელმა საქართველოს ეგზარქოსის, სინოდისა და სხვათა მოწონება დაიმსახურა.

დღეს, ქართული მუსიკალური კულტურის აყვავებისა და გაფურჩქვნის ხანაში, ქართული საზოგადოება არ ივიწყებს და დიდ ყურადღებას აქცევს წინაპართა მიერ ფიქსირებულ უნიკალურ ნიმუშებს. ცნობილი ქართველი კომპოზიტორი ალ. მაკავარიანი ამის შესახებ წერს: „რატომ არ უნდა ჩავიწყროთ, არ მოეძებნოთ ახალი და არ გამოვიყენოთ ადრინდელი ჩანაწერები ზ. ფალიაშვილის, იონე ოქროპირის ლიტურგია და განსაკუთრებით, ფასდაუდებელი და უპატრონოდ მიტოვებული ფ. ქორიძისა და ქმების — კარბელაშვილების მიერ ფიქსირებული მასალები, საკმაოდ უხარისხოდ გამოცემული ოქტომბრის რევოლუციამდე“.

ჩვენი წინაპრების მიერ დაუღალავი და უანგარო შრომით ჩაწერილმა საგალობლებმა ღიმილსამსახური გაუწია ქართულ საზოგადოებას. მან შემოგვინახა ქართული საეკლესიო საგალობლების საუკეთესო ნიმუშები, რითაც მნიშვნელოვნად გაამდიდრა ქართული მუსიკალური კულტურის საგანძური და ხელი შეუწყო მისი შესწავლისა და შემდგომი ზრდა-განვითარების საქმეს.



ბიოგრაფი პარაფაზი

დასავლეთის პროპაგანდის ნაციონალისტური ასპექტები სოციალიზმის ქვეყნების წინააღმდეგ

დასავლეთის პროპაგანდა გამუდმებით ეძებს ახალ იდეოლოგიურ და, აგრეთვე, ისტორიულ-პოლიტიკურ არგუმენტებს, რომელთა საშუალებითაც იგი მოახერხებდა რაიმეგვარად განეცალკეებია საბჭოთა ხალხები, დაენერგა ჩვენი ქვეყნისადმი არაკეთილმოსურნე დამოკიდებულება, ეკვი ან აშკარა მტრობაც კი საზღვარგარეთ, მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში, თითო სოციალისტური თანამეგობრობის შიგნით. კერძო სოციალისტური ქვეყნების გათიშვისაგან, მათ შორის შესაძლებელი ყოველი წინააღმდეგობის გახვიადებისაგან, ანტისოციალისტური სტრატეგიულ საფუძვლად აქცეის სოციალიზმის ქვეყნებზე მიმართული მტრული პროპაგანდა, უწინარეს ყოვლისა, წარმადგენს ცდებს დანერგონ სოციალისტურ წინადაგებ ნაციონალიზმისა და რეგიონალიზმის იდეები.

იმპერიალისტური რადიო-პროპაგანდა, რომელსაც სოციალისტური ქვეყნებისა და საბჭოთა ხალხების ენებზე ერევიან, მუდამ ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს თავისი პოტენციური მსმენელების ეროვნული თვითგნობიერების გრძნობაზე. ამავე დროს სოციალიზმის პრობლემებზე სხვა „გამოკვევებში“¹ რომელიც უფრო მასობრივი აუდიტორიისათვისაა გამიზნული, ბურჟუაზიის იდეოლოგიები ცდილობენ დაეკინონ ერის როლი, წარმოვედინონ იგი როგორც სოციალური პროგრესის შემფერხებელი. სოციალიზმის თვალთმაქცობაში ანტიკომუნისტურ ნიშნით ორივე ამ ვარიანტში ცდილობს დაეჩვენებას მისცეს, მნიშვნელობა წაართვას ან დაამახინჯოს მარქსიზმ-ლენინიზმის ერთ-ერთი შემადგენელი დებულება კომუნისტური იდეოლოგია ისტორიაში პირველი იყო, რომელმაც დაამკვიდრა ახალი შეხედულება ერზე, მის ისტორიულ როლზე, ხალხთა თავისუფალი ოსტების უფლებაზე. მარქსიზმ-ლენინიზმს ერებსა აყვავდა სოციალური პროგრესისა და ადამიანთა პიროვნების მრავალმხრივი განვითარების პირო-

ბად მიანიჭა. ამავე დროს, როგორც აღნიშნული იყო, სკვპ ცენტრალური კომიტეტის საინფორმაციო მუხსენებში, „პარტიის X XIV“ ურთილობზე, სოციალისტური მშენებლობის წლებში განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში შექმნა ადამიანთა ახალი ერთობა — საბჭოთა ხალხი, ერთობლივი შრომაში; სოციალურებისათვის ბრძოლაში; მისი წარსულისათვის ბრძოლაში წარმომავალი კლასებისა და სოციალური ჯგუფების, ერებისა და ეროვნებების ახალი, უპარტიზონული ერთობა — მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა; კომუნისტური სხვაობისა და განსხვავების, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიის ერთობის საფუძველზე სოციალისტური ქვეყნების ხალხთა შორის — დამკვიდრდა ინტერნაციონალიზმის გრძნობები; ურთიერთმტკიცებისა და ამ ურთიერთმტკიცების გრძნობები.

ცნობიერებასა და მორალში, როგორც ცნობილია, ცვლილებები უფრო ნელა მიმდინარეობს, ვიდრე ეკონომიურ და პოლიტიკურ ურთიერთობებში. ინაციონალიზმის „გამოვლინება“ სოციალიზმის მშენებელ ხალხებში ვაჰიტალიზმის ერთ-ერთი ყველაზე უფრო კმომე... და ღრმა გადმონათობა. ნაციონალიზმი კლასობრივი ანტიკომუნისტური ლიკვიდაციისათვის როლი იღობა. მის შესახებ, რომ ეროვნული წინააღმდეგობები კიდევ დიდხანს იარსებებენ, მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმის გამარჯვების შემდეგაც კი, გაფართოვდება კლასიკური ილიას „ქეღონი“.

ბურჟუაზია, რეაქცია, როცა მათ სჭირდებათ დათ გავლენებით ნაციონალისტური გრძნობები, განწყობილებები, ცრურწმენები, ყოველთვის იყენებდნენ ნაციონალიზმის თავისებურებებს, სოციალისტური ქვეყნებისათვის გამიზნული პროპაგანდისას დასავლეთი დაწინებთ

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებ., გამოცემა მეოთხე, ტ. 31, გვ. 97-98.

ქადაგებს რასობრივი და ეროვნული კონფლიქტების გარდუვალობას, პრაქტიკით კი ყოველნაირად ცდილობს გადალევოს არსებული ობიექტური წინააღმდეგობები.

„კომუნისმის ბელს ალბათ გადაწყვეტს ნაციონალიზმი — ეს უდიდესი ემოციური ძალა ჩვენი საუკუნისა“, — წინასწარმეტყველებენ ავტორები ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოსულ ანტიკომუნისტური კრებულისა. „მარქსიზმი თანამედროვე მსოფლიოში“, „ნაციონალიზმი, უდავოდ, წარმოადგენს საუკუნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას, თუ ყველაზე მნიშვნელოვანს არა“ — ამტკიცებს ლ. დოუბი, იელის უნივერსიტეტის პროფესორი.

თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების დინამიკა ხელს უწყობდა ნაციონალური სწრაფობის მნიშვნელობის გაზრდას პოლიტიკაში და მისდამო მონოპოლისტური ბურჟუაზიის ყურადღების გაძლიერებას. ბურჟუაზიული იდეოლოგია და პროპაგანდა უარს ამბობს საზოგადოებრივი თვითმართვის არაწარმატებულ შედეგებზე და თეორიულად, რომელიც ემყარება რასიზმს, უკიდურეს შოვინიზმს და გეოპოლიტიკას, მაგრამ იგი თავის ძველ შეხედულებებს როდი ლაღობს. იგი ეროვნულ ანტაგონიზმს კვლავ ისეთ მარადილად და აუცილებელ მოვლენად მიიჩნევს, რომელიც საზოგადოების ნებისმიერ ტიპს ახასიათებს, რამდენადაც, თითქოს, ეროვნული კონფლიქტების ძირი თვით აღმამიანის ბუნებაშია.

შასაჩუქრების ტექნოლოგიური ინსტიტუტის ეკონომიკის პროფესორი, სახელმწიფო დეპარტამენტის პოლიტიკის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე უ. როსტოვი ამერიკის შერთებულ შტატების საზღვარგარეთის პროპაგანდისტულ სამსახურს ამჯობილ მოუწოდებდა „განმეტყველები ნაციონალიზმის იმპულსები“. „ბი-ბი-სის“, „ამერიკის ხმის“ და „თავისუფლები“ გადმოცემები რუსულ და კიდევ უფრო მეტად — არარუსულ ენებზე, თვალთმაქცურად ასხამენ ხობტას ამა თუ იმ ხალხს „ეროვნულ თავისებურებებს“ და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის „ორთხოვლქსულობას“ უპირისპირებენ ნაციონალიზმს, რომელიც თითქოს „შეხედულებათა სიჭარბეთსა“ და სინამდვილეს წინააღმდეგობას ნიშნავს.

ნაციონალური ინდივიდუალიზმის თვისებათა წაქეზებაზე დაამყარეს მათ თავისი პროპაგანდისტული საქმიანობა, ხელი შეუწყობს საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების ხალხებს „საკუთარი ღირსების გრძობის განვითარებაში“. „სეკიარალიზტური პროპაგანდა თავისი მრავალრიცხოვანი „ხმების“ მეშვეობით ზოგჯერ სოციალიზმის სამყაროს წარმატებებსაც კი აღიარებს. აუდიტორიის თვალში ეს პროპაგანდისტული ზეგნის შეიძლება ობიექტურობის თანამართლებად იქცეს, რომლის გასაწინააღმდეგებლად მსმე-

ნელთა ნდობა იხმარება. ამავე დროს კი რადიოსადგურ „თავისუფლები“ კომენტატორს არაფერი უშლის ხელს განაცხადოს, რომ, მაგალითად, სომხეთი თითქოს ყველაზე ღარიბი და ჩამორჩენილი, ან ერთ-ერთი ჩამორჩენილი რესპუბლიკაა საბჭოთა კავშირში. და ამას ლაპარაკობენ სომხები ენაზე, საქმეში ჩახველი კაცის დამარწმუნებელი ტონით.

დღეს სოციალისტური ქვეყნებისათვის გამიზნული მთელი იმპერიალისტური პროპაგანდა დიფერენცირებულა ეროვნული ნიშნის მიხედვით, ცდილობენ ერთმანეთს დაუპირისპირონ სოციალისტური და ეროვნული მნიშვნელოვანად გაიზარდა საბჭოთა კავშირის ეროვნული რესპუბლიკების ენებზე გადმოცემა მოცულობა. ყველა გვრეთაოდებულ — სოციალისტური ინტერმიზმს და „ყახახეთს, თურქმენეთის, სომხეთის, ლიტვის პრობლემათა“ „სეკიარალიზტების“ შტატები. ამავე დროს აშკარად ჩანს ტენდენცია, უარი თქვას სოციალისტური ქვეყნებიდან ემიგრირებულ გარეწართა სამსახურზე, რომელთაც ყველაზე მეტად გაიტყუებს სახელი საზოგადოებრივი ფარის თვალში. აიღეს კურსი საკუთარი კაცობის მომზადებისაკენ დასავლეთის უნივერსიტეტების სლავოფილენობისა და ორიენტალისტის მრავალრიცხოვანი კათედრების ძალებით.

თუ საქართველოსა და სომხეთისათვის გამიზნულ პროპაგანდაში „რუსიფიკაციის“ საკითხებს დროგამოშვებითა და ერთგვარად გაკვირთ ეხებოან, სამაგიეროდ ეს ერთ-ერთი მთავარი თემაა შუა აზიისათვის გამიზნულ პროპაგანდაში. ყველაწართა გზით ფერცულელებენ თეზისს, თითქოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა მიზნად ისახავდეს განადგურებს შუა აზიაში ძველი თვითმყოფი ეროვნული კულტურები და ტრადიციები, მიადწიოს სრულ გარუსებას და შექმნას ერთიანი რუსული კულტურა. მაგრამ როდესაც დასავლეთის „ხმებს“ ძალა არ შენსწევთ თავისი პოტენციური მსმენელები „საბჭოთა აღმოსავლეთის ჩამორჩენლობაში“ დაარწმუნონ, ისინი საკუთარ ვერსიის ავითარებენ იმის შესახებ, თუ რა განაპირობებს იმ საბჭოთა ხალხების ცხოვრების აყვავებას, ხალხებისა, რომლებიც ადრე მეფის რუსეთის განაპირობებში მცხოვრებ განცალკევებულ ტომებს წარმოადგენდნენ. „შუა აზიის ასეთივე წარმატებებისათვის საბჭოთა წყობილებს გარეშეც შეეძლო მიეღწია, რადგანაც მსოფლიო წინ მიიწევს და პროგრესი არავითარ პოლიტიკურ ისტრატეგიასთან არა დაკავშირებული“. — 1960

გიორგი ჰანაძე

დასავლეთის პროპაგანდის ნაციონალისტური ასპექტები სოციალიზმის ქვეყნების წინააღმდეგ

წელს გამოსული წიგნის „რუსეთის შუა აზია“ ავტორის, ამერიკელი „სოვეტოლოგის“ რიჩარდ პირსის ამ მონაჩმას არაერთგზის იმეორებად რადიოსადგურში „თავისუფლება“ თავის უზბეკურ პროგრამებში.

რაც შეეხება რუსულ კულტურას, ცდილობენ მისდამი ბუნებრივი ინტერესი მისთვის გამოიყენონ, რომ პროპაგანდა გაუწიონ წარსულის რუსული პოლიტიკური და ლიტერატურული აზრის კონსერვატიულ ტენდენციებს. აქტიურად უწევენ პოპულარიზაციას თეზის რუსული თვითყოფობის შესახებ, რომელიც თითქმის მხოლოდ „სლავური სულისათვისაა“ გასაგები, და რომელთანაც ახლო იდგა ბაკუნინისა და დოსტოევსკის, კრაპოტკინისა და ტროცკის იდეები. რუსულ ენაზე იმპერიალისტური რადიოგადცემების ავტორები მზად არიან თავის მსმენელებს ყველაზე უფრო რეაქციული „შვირ რაზმის“ გამოკვლეობაც კი გაანდონ, რომლის არქივიც თავის დროზე ამერიკის შეერთებულ შტატებში იქნა გატანილი. ყოველივე ამას იმ მიზნით მიმართავენ, რომ მარქსიზმი რუსული სლავური ბუნებისთვის უცხო, თავსმოხვეულ მოვლენად წარმოსახონ.

რადიოსადგურმა „თავისუფლებამ“, რომელიც თავის ოკეანისიფიკა პატარონა ნებას ემსახურება, საკმარისად ფართოდ, მაგრამ, ცხადია, თავისებურად აღინიშნა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლის იუბილე. ავსტრალიაში გაზეთმა „ფოლსშტიმემ“, რომელიც თავის განკარგულებაში არსებულ საიდუმლო ამერიკულ დოკუმენტებს ემყარებოდა, 1972 წლის დეკემბერში ვრცელი ამონაწერები მოიყვანა ზუსტი მითითებებიდან და ინსტრუქციებიდან წამყვებლური გადაცემების შინაარსისა და ფორმის შესახებ. ამ დოკუმენტებს, რომელნიც ნიუ-იორკის შტაბ-ბანაშია შედგენილი და რომელთაც ხელს აწერდა რადიო „თავისუფლების“ კომიტეტის პრეზიდენტი სარჯენტი „ცივი ომის“ სუნი უდის. რადიოსადგურ „თავისუფლებას“ პირდაპირ ეძლეოდა ბრძანება, მთელი თავისი ძალბა და რადიოსადგურის საერთაშორისო მიმართა, რომ ერთმანეთისათვის წავსისიანება საბჭოთა ხალხები და ამით ეცადა დაერღვია მათი ერთიანობა და მჭიდრო და მრავალმხრივი ურთიერთკავშირი. ეთერის დივერსანტებს საიდუმლო ინსტრუქციებში რჩევას აძლევდნენ ყოველი აქტუალური მოვლენისათვის იმგვარი ინტერპრეტაცია მიეცათ, რომ საბჭოთა ხალხში ურთიერთუნდობლობა გამოიწვიათ. ინსტრუქცია მოუწოდებდა „გადცემებში ყოველთვის არ მიჰყოლოდნენ სიმართლეს“, დაუბრუნებლად „გამოეგონებოთ გარკვეული მოვლენები და ფაქტები“, რამდენადაც შეუძლებელია მათი „შემოწმება საბჭოთა კავშირის ვრცელ ტერიტორიაზე“.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემის წარმოშობამ და განვითარებამ და მრავალეროვნო საბჭოთა სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ პრაქტიკულად განახორციელა ინტერნაციონალიზმის იდეები, რომელთაც დასავლეთის პროპაგანდა უტოპიურად მიიჩნევდა. პროპაგანდას სოლიდარობისა და ინტერნაციონალიზმის იდეალები ისტორიაში პირველად იქცა სახელმწიფოებრივი ურთიერთობის ნორმად რიგი ქვეყნებისათვის.

მტრული „ხმების“ იდეოლოგები იძულებული არიან აღიარონ სოციალური გარდაქმნების გრანდიოზულობა ყოველ აღმოსავლეთურ სოციალისტურ ქვეყანაში, მაგრამ მაშინვე ცდილობენ ეს წარბაქებები მიაყრიონ ტექნიკურ პროგრესს, რომელიც ჩვეულებრივ მოვლენაა „ყოველი ინდუსტრიული საზოგადოებისათვის“. მეორე დივერსიული თეზისი, რომელსაც ბურჟუაზიული პროპაგანდა გზავნის აღმოსავლეთურ სოციალისტური ქვეყნების მისამართით, ქადაგებს, რომ საბჭოთა კავშირთან ამ ქვეყნების კავშირის განმტკიცება დაბრკავებული იქნება მათი ეროვნული ეკონომიკისა და კეთილდღეობის შემდგომი განვითარების ზღაზე. რეალური საქმის ვითარება ამ თეზისის საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

სოციალისტური სინამდვილე ბურჟუაზიულ პროპაგანდისტებს უარესად ღარიბ მასალას აძლევს ნაციონალისტური თუ ანტისაბჭოური გამოვლინებების შესახებ. იმისათვის, რომ „კონკრეტული მაგალითები“ მოიპოვიონ. იმპერიალისტური პროპაგანდა მიმართავს მანიპულაციებს, რიგგარეშე პოლონელი მკვლევარი, პროფესორი კოლჩინსკი „გვარდნივი გადაცემის“ მეთოდს უწოდებს: ყოველ სოციალისტურ ქვეყანას აძლევს „ინფორმაციას“ იმ ნაციონალისტური თუ რევიზიონისტული გამოვლენების შესახებ, რომელთაც თითქმის ადგილი ჰქონდა სხვა მძურ ქვეყნებში. მაგალითად, როგორც კი ჩეხურ ლიტერატურულ ეურნალში გამოჩნდებოდა სადისკუსიო წერილი პარტიისა და მწერალთა წრის ურთიერთობის შესახებ, წერს კოლჩინსკი, „თავისუფალი ევროპის“ რედაქციამ მის უმაღლეს თარგმანდნენ და გადასცემდნენ სხვა ქვეყნებში. ასევე, ადგილებს რუმინული მეცნიერული პრესიდან, სადაც განხილული იყო ეკონომიური ურთიერთობების შესახებ საბჭოს პრობლემები, ეთერში გზავნიდნენ სხვა აღმოსავლეთურ სოციალისტური ქვეყნებისათვის.

სინამდვილის კონტექსტიდან ამოგლეჯილ, სპეციალურად შერჩეულ მასალას უზენაეს ეყენებს ბურჟუაზიული პროპაგანდა „თავისუფალი სამყაროს“ მიღწევებისა და საერთაშორისო მოვლენების გაშუქებისას. სოციალისტური ქვეყნების საშინაო პრობლემების გან-

ხელვისას იმპერიალისტური „ხმები“ კომუნისტური მშენებლობის ამა თუ იმ კონკრეტული რეჟიმის „სისწრაფის“ საკუთარ შეფასებას უწყაის ხაზს. ამ კატეგორიული ანტიკომუნისტური და ანტისაბჭოური მსჯელობების დოკუმენტური მხარე სრულიად უსუსურია და კრიტიკის ვერ უძლებს. ასეთი ინფორმაციის წარმოქმნის ძირითადი მეთოდებია ფალსიფიკაცია და გამოგონება.

აღმოსავლეთევროპული სოციალისტური ქვეყნების საშინაო მოვლენების გაუმჯობესებას დასავლეთის რადიოსადგურები ცდილობენ ამ ქვეყნების ხალხთა ინტერესები დაუზიარისპირაოდ საბჭოთა კავშირის პოლიტიკას. ამ ტენდენციის შესახებ აშკარადაა ნათქვამი რადიოთაიფიკალი ევროპის“ მოღვაწეობის შესახებ მოხსენებაში, რომელიც 1972 წელს მოამზადა ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკის კვლევითმა სამსახურმა.

მტრული პროპაგანდის უკიდურესი ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გამოხატულებაა, მაგალითად, ფარისევალური ქება-დიდება, რომელსაც ეს პროპაგანდა აფრქვევს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში მიმდინარე სოციალისტური გარდაქმნების მიმართ. მიუთითებენ უნგრეთის მდიდარ რევოლუციურ წარსულზე, უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ უნგრელი ხალხის გმირულ ბრძოლაზე, მის თავისუფლებისმოყვარეობაზე და ამით ცდილობენ დაასაბუთონ „უნგრული მარქსიზმის“ განსაკუთრებული შემოქმედებითა ხასიათი და უპირატესობანი. იმპერიალისტური რადიოსადგურები მიკროდენებთან, რომელნიც უნგრულ ენაზე გადასცემენ, გამოდიან ბურჟუაზიულ ფილოსოფოსები და მინისტრები, დიპლომატები და პუნჯეროლოგები. უნგრული ეკონომიური რეფორმა, ჭადაგებენ ისინი, „ყველაზე უფრო ამაღლებული ექსპერიმენტია ცენტრალურ ევროპაში“. და იქვე დასძენენ, რომ უნგრული რეფორმის შემდგომი განვითარება შეუძლებელია „ახლანდელი კომუნისტური სისტემის ცვლილების გარეშე“.

ამ ანგარიშ კომენტატორების დარიგებებზე პასუხი მოცემულია უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტული მდივნის ამხანაგ იანო კადარის ინტერვიუში ამერიკის სააგენტო იუბის კორესპონდენტთან (1971 წლის მარტი). ი. კადარმა გადაჭრით განაცხადა, რომ არ არსებობს არავითარი „სპეციალურად უნგრული გზა“ სოციალიზმისაკენ, არამედ არსებობს ერთენულია და საერთო აუცილებელი შერწყმა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობაში. „სოციალიზმის მშენებლობას აქვს თავისი საერთო, საერთაშორისო მასშტაბით მიღებული კანონზომიერებანი. სადაც მათ ყურადღებას არ აქცევენ

ან არღვევენ, იქ განსაცდელი იჩენს თავს, საფრთხე ემუქრება სოციალიზმის მონაპოვართ, დაბრკოლებები ელობება საზოგადოების წარმატებით განვითარებას“.

უნგრეთის სახალხო ინტელექტუალისთვის გამოხვეული პროპაგანდა იმაში გამოიხატება, რომ ჯერ იმას აღნიშნავენ, რომ ამ ქვეყნის ტექნიკური და მეცნიერული ზრდის წარმომადგენლებმა უღარესად დიდი წვლილი შეიტანეს მსოფლიო პროგრესში. ყოველივე ეს იმისათვის სწორდებათ, რომ შემდეგ მეცნიერთა მუშაობის „შიმში პირობები“ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში დაუპირისპირონ „შესანიშნავი პირობებს“ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

სოციალიზმის აღმოსავლეთევროპული ქვეყნებისათვის გამოხვეული იმპერიალისტური პროპაგანდა გამუდმებით ეძებს რეალურ თუ გამოკონილ წინააღმდეგობებს საერთოსოციალისტურ, სახელმწიფოთა შორის და ადგილობრივ, ეროვნულ ინტერესთა შორის. ბურჟუაზიულ იდეოლოგიებს თავისი მდიდარი ფანტაზია და ეგემენტარული სინდისის სრული უქონლობა საშუალებას აძლევს გამუდმებით ამტკიცონ, რომ თუ ამა თუ იმ კომუნისტურ პარტიას სურს იყოს „დამოუკიდებელი და გამსახურებოდეს თავისი ხალხის ეროვნულ ინტერესებს, იგი საშუაოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გზას არ უნდა გაჰყვეს“. გარკვეული ენობრივი აუდიტორიისათვის ამტკიცებენ, რომ სწორედ მისი ქვეყნის კომუნისტური პარტია არის „ყველაზე გავლენიანი, ყველაზე ავტორიტეტული ცენტრალურ ევროპაში“, რომ უკვე დღეისათვის იგი ყველაზე უფრო „მოქნილი და დინამიური“ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების კომუნისტურ პარტიებს შორის. ამგვარ წინასისინიანებულ და პროვოკაციულ განცხადებებს გადასცემენ პოლენეთის, იუგოსლავიის, რუმინეთისა და სოციალიზმის ბანაის სხვა სახელმწიფოებისათვის.

„თავისუფალი ევროპის“ ტერიტორიული რედაქციები, დასავლეთის სხვა რადიოსადგურთა აღმოსავლეთ-ევროპული სამსახურები გადასცემენ დღი რადიონობის ცილისწამებებს საბჭოთა კავშირზე. მაგალითად, ანტიუნგრულ პროპაგანდაში გადაცემთა მოცულობის ნახევარზე მეტი უკავია ფალსიფიკატორულ მასალებს საბჭოთა კავშირის შესახებ. ანტიოვერტონის წილი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისათვის გამოხვეული იმპერიალისტურ პროპაგანდაში ორჯერ მეტია, ვიდრე ასეთსავე პროპაგანდაში ბულგარეთის სახალხო რესპუბლი-

გიორგი ჰანაძე

დასავლეთის პროპაგანდის ნაციონალისტური ასპექტები სოციალიზმის ძველებზე წინააღმდეგ

კისათვის, და მნიშვნელოვნად შეტია. ვიდრე პროპაგანდში პოლიტიკის სახალხო რესპუბლიკისათვის. დასავლეთის იდეოლოგიით თავისებურად იყენებენ იმ გარემოებას, რომ უნგრეთის ადრე ისეთი ისტორიულად ჩამოყალიბებული მეგობრული ურთიერთობები არა მხოლოდ ჩვენი ქვეყანასთან, როგორც ბელგარეთსა და ჩეხოსლოვაკიას, „თავისუფალი ევროპა“ ამერიკის ხმა და „გერმანიული ტალღა“ თავის რუმინულ გადაცემებში ხელსაყრელ შემთხვევას არ უშვებენ ხელს, რომ არ გაიმეორონ, რომ მეფის რუსეთი მონაწილეობას იღებდა უნგრეთში ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობაში, ამასთან იყენებენ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი გმირების ლაოზ კომუნის, იბრვან ლობჯიანი, პეტრე შ. პეტრევიას გამოხატუებებს „უნგრეთსა საძულველ უცხოელ დამპყრობელთა“ შესახებ, სადაც ამხინებენ ამ გერმანიულებს რაგულურ კლასობრივ აზრს.

ანტიკომუნისტური გონებრივი ცენტრები სერიოზულად იკვლევენ, რა თქმა უნდა, ავი მიზნებით — ურთიერთკავშირების პრობლემებს სოციალისტურ თანამეგობრობაში. წამყვანი იმპერიალისტური სახელმწიფოები „კომუნისტური სისტემის შესწავლის პროგნოზით“ გათვალისწინებული სამუშაოებისათვის სხვა ქვეყნებთანაც იწყებენ შემსრულებლებს. 1970 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოვიდა ტრონტის უნივერსიტეტის (კანადა) პროფესორის ბენეტ კოვიგის წიგნი „უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა“. უნგრეთის ისტორიის განხილვისას ავტორი წინადადებას იძლევა: დავუბრუნო უნგრეთს ეროვნულ ენობრივობით ისეთ ნიშნებს, როგორცაა იმაში დარწმუნებულობა, რომ უნგრეთი „კარბატების აუზის ბატონ-პატრონი“ ამას ერთგვის წინადადება დღენის სახელმწიფოთა კონფედერაციის შექმნის შესახებ, რომელიც დემოკრატიულად უნგრეთის „ნეიტრალურობის“ იდეას ირ „ბლოკის“ ურთიერთქმედების პირობებში იმპერიალისტური პროპაგანდა უფრო სად ტენდენციურად ახსიათებს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას. ბერძენული იდეოლოგები ცილს სწამებენ გერმანიის სოციალისტურ სახელმწიფოს და თავის პროპაგანდაში ხელმძღვანელებენ იმ „პარნიციბებით“, თითქმის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენულ უფლებები ფაქტურად აღიარებული არ იყოს.

ასევე ისეთ უცვლელი დარჩა დასავლეთის ძველი პოლიტიკა რომელიც მიმართული იყო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალისტური მშენებლობისათვის ყოველგვარი დაბრკოლების შექმნისათვის. აქ მთავარ როლს ეკავა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა თავიშეშენ. შინ განსაკუთრებული ადგილი იქონივს ფიქლოგიურ ომში, რომელსაც თანა-

მედროვე იმპერიალიზმის წარმოებს „სოციალისტური“ ქვეყნების წინააღმდეგ. სოციალისტური დემოკრატიის მმართველობის განმტკიცებაში ამომსავლეთზე გამიზნული იდეოლოგიური პროპაგანდას „პარტი“ გაიზარდა. შესამჩნევად უფრო მეტად ვიდრე წინა თორეულელებში, წერს პოლიტგენი მკვლევარი ი. კოლინსკი. ახალი აფრისკავლეთი-პოლიტიკის პროპაგანდის დამახასიათებელი გახდა ფორმების არსებითი შეცვლა, რომლებშიც უფრო მთქნილი გახდნენ და უფრო მეტად იყენებენ იდეოლოგიური ზემოქმედების „თვით“, ოფიციალურ აზრებს. ფრაზეოლოგიაში მოხდა აფრიკალებთან შედარებით უფრო გადამჭრული უარის თქმა „ცივი ომის“ დროინდელ ღრუბლებზე და გაათვრებული ანტიკომუნისტური ტლანქ სტერეოტიპებზე.

გამოხატადნენ რა თავის მემარჯვენე ლიდერთა აზრს, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თეორეტიკოსები 1966 წელს წარდგინეს: „გაყოფილ გერმანიაში კომუნისტური იდეოლოგიური ბრძოლის გამოცდილების მქონე სოციალ-დემოკრატიული პარტიის ამოცანას“. შეადგენს სულ და ახალი რეგების განვითარება იმ მიზნით, რომ ზეგავლენა მოახდინოთ პირობებზე საბჭოთა ზონაში (იკვლეს-მება ვლ. გ. ე.). სპერია დისპეტის პროცესირება მუდამ „სპერია ყოველგვარი სენტიმენტების გატყვევით მოწინააღმდეგის სუსტი მხარეები“. არსებითად ასეთავე აზრს იცავდა აშშ-ის პრეზიდენტი ჯონ კენედის იმპერიალიზმის ანტიკომუნისტურ და ანტი-საბჭოურ კონცეფციებს სოციალისტურ ბანაკის შესახებ იგი ახსიათებდა როგორც „მისწრაფებას ცვლილებისაკენ დაახლოების სმუშალებით“.

ტრონი „ინფილტრაცია“ ვეაღაუ კარგად ასახავს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის მიმართ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ არსებული პროპაგანდისტული პოლიტიკის ძირს: ჯერ გულმოდგინედ აქებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შიწივებს, ყველა სფეროში, შემდეგ წარმატებებისა და განვითარების ტენდენციებიდან გადადის „წინააღმდეგობრივ მახსენებებს ამოცანებზე“; შემდგომ დაზნავს უსჯამენ სანკოთ-გერმანულ ნიშნებს ანუ ისეთ ტენდენციებს სოციალისტურ განვითარებაში (კონკრეტულ სფეროში); რომელიც ერთგვარი ზედამართული მსგავსება აკავშირებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მოხდარ ანალოგიურ მოვლენებთან.

დასავლეთ გერმანიაში სოციალ-დემოკრატიების ხელმძღვანელობა უმზარობა სპირისპირი პოლიტიკურ სისტემაზე, კერძოდ, — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე აქტიური იდეოლოგიური ზემოქმედების აზრს, რომ დასავლეთში შემორჩენილი წარმოდგენები, სოციალიზმის

სტიქიური და ფატალური გადაგვრების შესახებ („კონვენტის“ თეორია) საჭიროა შეიცვალოს კონცეფციით იმის შესახებ, რომ სოციალიზმის შეცვლის უკვე „კანონზომიერად კი არ უნდა დაველოდოთ“ ინდუსტრიული საზოგადოების „ობიექტური“ განვითარებიდან, არამედ იგი პოლიტიკური მოღვაწეობის გადინაობებულ მიზნად უნდა იქცეს.

პროპაგანდისტულ ანტირწინაგვას, რომელსაც რეალური სოციალიზმის სანაცვლოდ გთავაზობენ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ბელადები, ისინი „დემოკრატიულ სოციალიზმს“ უწოდებენ. ამ ფორმულაში ასახულია რეალური კაპიტალისტური სისტემის რეფორმებისაკენ (განახლებისაკენ) სწრაფვა, ისე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კონტრარევოლუციური გზით სოციალისტური წყობილების შეცვლის ცდებიც. არ შეიძლება ისტორიულ შემთხვევითობად მივიჩნიოთ სოციალ-დემოკრატიული ელიტის აქტიური მონაწილეობა იმ ევროპული კაპიტალისტური სასოციალური პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელიც უშუალოდ ესაზღვრებიან სოციალიზმის ბანაყის ქვეყნებს ოფიციალური ბურჟუაზიული რეფორმები აქ „კომუნისმის გაერკვლებს წინააღმდეგ მიმართულ სანიტარული კორღონის“ თავისებურ როლს ასრულებს. მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიის თავისებურებას — შეეგუოს იმპერიალიზმის მოთხოვნებს და მნიშვნელოვანი იდეოლოგიური ზეგავლენა მოახდინოს ფართო მასებზე — ხაზს უსვამდა ვ. ი. ლენინი. წერილში „II ინტერნაციონალის კრახი“ იგი აღნიშნავდა, რომ ბურჟუაზიული პოლიტიკოსები, რომელიც თავს მუშათა მასების წარმომადგენლებად ასაღებენ, ბურჟუაზიის უკეთესი დამცველებია, ვიდრე თვით ბურჟუები.

კომუნისტური და მუშათა პარტიების ბრძოლაში რევოლუციონარული და სხვა ანტი-სოციალისტურ გამოვლინებების წინააღმდეგ საჭიერებდა ახალ ფარდა „დემოკრატიული სოციალიზმის“ ბურჟუაზიული პლატფორმის კონტრარევოლუციურ არსებას, რომლის პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში შეტანას აქტიურად ცდილობდნენ დასავლეთის დინტერესებულ წრეებში, ნე-ბოსლოვაკელი რევოლუციონარები შეგავსდნენ შექმნილი ავტორიტეტული სახელმწიფო, რომელიც გარეგნულად ელანებს ზევით იდგომებოდა სინამდვილეში კი ელიტის დიქტატორის იარაღი იქნებოდა. ეს ვერაფრადებულ „მესამე გზა პოლიტიკაში“ ყოველი პიროვნების კეშმარტი თავისუფლებისა და აყვავების უზრუნველყოფის ნაცვლად ატყობებულად გამოიწვევდა მუშათა მოძრაობის დათრევილებას ბურჟუაზიის პოლიტიკისა და იდეოლოგიისა და კონტრარევოლუციისა ჩეხოსლოვაკიაში გასაგონად

მსგავრობა სოციალისტური საზოგადოების პერსპექტივების დამუშავების აუცილებლობის შესახებ, ამასთან, პროპაგანდას უწევდა სოციალიზმის საერთო კანონზომიერების, ძირითადი ელემენტებისა და კრიტერიუმებისაგან განდგომას. 60-იანი წლების ბოლოს ჩეხოსლოვაკიაში პოლიტიკური კრიზისის დროს შექმნილ ვითარებას ასევე გამოიხატებდა ვ. ლენინის სიტყვები: „... აქვარა სიფიქსებში მარქსიზმს აცლიან მის რევოლუციურ ცოცხალ სულს, მარქსიზმში ცნობენ ყველაფერს, გარდა ბრძოლის რევოლუციური საშუალებებისა, მათი ქადაგებისა და მომზადებისა, მასების აღზრდისა სწორედ ამ მიმართულებით“.¹

„დემოკრატიული სოციალიზმის“ იმპერიალისტური იდეოლოგიების ნამდვილ პოლიტიკურ სახეს უქანასცნულ წლებში აშკარად ხედავენ ისინი, ვის მიმართაც იყო გამიზნული დასავლეთის დივერსიული პროპაგანდა. „ჩვენ ყველანი ვეთანხმებით სოციალიზმის ძირითად პრინციპებს... ჩვენ ვებრძვით არა მარქსიზმს, არამედ მხოლოდ მის ინტერპრეტაციის ფორმებს...“ — ქადაგებდა პოლონური ემიგრაციის რეაქციული წრეების ერთ-ერთი წამყვანი თეორეტიკოსი მეროუსესკი. პოლონელი ხალხის ინტერესების მოვალაქის სიცრუესა და ცინიზმს ადასტურებს ამავე ავტორის სხვა განცხადება. იგი უაღრესად აშკარაა და 1968 წელს დაიბეჭდა ემიგრანტულ მემარჯვენე ყოველთვიურ ორგანოში „კულტურა“, რომელიც პარიზში გამოდიოდა. რევოლუციის (ე. ი. კონტრარევოლუციის. — გ. ვ.) პირველი ფაზა შეიძლება განხორციელებულ იქნას ლიბერალური კომუნისტების მიერ“. შემდეგ დაპროგრამებულ ორგანოში იყო დაწვრილებული რევოლუციონარული „ლიბერალურ კომუნისტებზე“ საზოგადოებრივი შთაბეჭდილება და მეურნეობრივი გაძლიერების სტრუქტურის შეცვლის მიზნით: „ამ ლიბერალიზაციის პერიოდში დემოკრატიებს აქვთ შანსი დაამუშაონ ჯეროილების სოლიდური დემოკრატიზაციისა და თავისუფლების უზრუნველყოფის პროგრამა. აქ იწყება მესამე და უქანასცნული ფაზა, — წერს მეროუსესკი, — და ამ მომენტში ლიბერალური კომუნისტების რევოლუციური როლი მთავრდება. ამ ეტაპზე რევოლუციის ხელმძღვანელობა დემოკრატიებმა უნდა იკისრონ. რამდენადაც მხოლოდ ისინი იძლევიან მისი გამარჯვების გარანტიას“.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებ., გამომცემი მუხომბე, ტ. 28, გვ. 274.

გიორგი ჰანაძე
დასავლეთის პროპაგანდის ნაციონალისტური ასამბლეის „სოციალიზმის ძველები“ წინააღმდეგ



ჩვენ ვიცით, როგორ ჩაიფეთა იდეოლოგიური და პოლიტიკური დივირსიების ამგვარი საკულდაგულოდ დამუშავებელი გეგმები, რომელიც მიმართული იყო მთელი რიგი სოციალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ. მაგვრამ ჩვენ ასევე არ შეგვიძლია დავივიწყოთ, რომ ასეთი გეგმები არსებობდა. უეჭველად არსებობენ დღესაც და. ალბათ, მომავალშიც იარსებებენ ახალი, სახეცვლილი ფორმებით. საყურადღებოა, რომ 70-იან წლებში რიგმა წამყვანმა ბურჟუაზიულმა იდეოლოგებმა აღიარეს, რომ გავორტდა იმპერიალისტური პროპაგანდის ის კონცეფციები, რომელთა ცენტრალურ ლოზუნგს წარმოადგენდა თვისობით ბურჟუაზიულ თავისუფლებათა შესახებ ერთ-ერთ მიზეზს, რომელმაც გამოიწვია ერთ დროს მოხდა ქვეყნული პროპაგანდისტული დოქტრინის მოძველება, წარმოადგენს მოქალაქეობრივ თავისუფლებათა მზარდი შეზღუდვები და ულტრამემარჯვენელი პოლიტიკური ტენდენციების ზრდა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ამერიკელი ბურჟუაზიული იდეოლოგი ზ. ბევენსისი 1971 წელს თავის წიგნში „ორ ეპოქას შუა“ — ამერიკის როლი ტექნოკრატულ ერასში“ წინადადებას იძლეოდა უარი ეთქვათ „თავისუფლების პრობლემებზე“ ყურადღების გამახვილებაზე და უპირატესობა მიეცათ ამერიკის შეერთებულ შტატებში სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის განხორციელების დადებითი ასპექტებისათვის, საერთაშორისო ურთიერთობების პრაღის ინსტრუქტის დირექტორს იაროშირ სელვას მიანიჩა, რომ ბევენსის რჩევას სერიოზულად მიაქციეს ყურადღება. ამერიკის საგარეო-პოლიტიკური პროპაგანდის მასალებში, — წერს ი. სელვაკი, — დიდი ადგილი უჭირავს სამეცნიერო ტექნიკური რევოლუციის პრობლემებს, რომლებიც მოწყვეტილია კაპიტალიზმის პირობებში მასთან დაკავშირებული ბევრი ნეგატიური მოვლენისაგან. დასავლეთის „ხმები“ დღეს უფრო აქტიურად ცდილობენ გაადვიონ სამომხმარებლო სტანდარტები სოციალისტურ ქვეყნებში და ამით შექმნან „მაკრატელი“ მოსახლეობის მოთხოვნილებათა და მათი დაწყაოვნილების იზიქტურ ეროვნულ შესაძლებლობებს შორის.

იმპერიალიზმის ტაქტიკა სოციალიზმის ქვეყნების წინააღმდეგ მიმართულ ფსიქოლოგიურ ომში ყოველთვის გულისხმობს საზოგადოებრივი აზრის განსხვავებულ, თუნდაც არაორგანიზებულ მიმდინარეობათა და გამოვლინებას სოციალისტურ აუდიტორიაში, იმ მიზნით, რომ ისინი ხელოვნურად დაუპირისპირონ ერთმანეთს, რადიოსადგური „თავისუფალი ევროპა“ 1972 წლის 16 იანვრის პოლინურ პროგრამაში იმოწმებდა წერილს, რომელიც თითქოს მიუჩვენებდა ვაგზავნა უცნობმა „პო-

ლონელმა სტუდენტმა“; დიდი წინმეტყველებით საზოგადოებრივ აზრზე (პოლონეთსა, — გ. ე.) ფაქტურ ზემოქმედებას, თაბუკაციამ საჭაროდ უნდა გამოიჩინოს თავისი შეზღუდულებები — არ მალავდეს თავის პოლიტიკურ აზრს... მე მჯერა, რომ თაბუკაცი და საზოგადოება ხელიდან არ გაუშვებს. შესაფერისი მომენტს. ამისათვის თაბუკაცი წრული შეგნებითა და თანმიმდევრობით უნდა განხორციელოს საზოგადოებრივ აზრზე გავლენის თავისი პროგრამა“. ამგვარი საინსტრუქციო წერილის (სხვა სახეობის მას მწელია ევოლუს) აქტორები უოველნაირად ცდილობენ „პოლიტიკური აქტივობისა“ და „ორგანიზაციული მხადოვნიისა“ მოუწოდონ პოლონეთის ინტელიგენციასა და ახალგაზრდობას. ამ ფრავილოგიის უკან იმალება „მშვიდი“ თუ „ამჟარა“ კონტრრევოლუციის ნაღდი ანტისოციალისტური პროგრამა.

იმპერიალისტური იდეოლოგები მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ზრდისას წარმოქმნილი ობიექტური სიძნელებით აწარმოებენ სპეკულირებას, დასავლეთის პროპაგანდისტულ მანქანაში გადაღმუშავების შემდეგ ეს სიძნელებები ისეთი დასკვნების სახეს იღებენ, თითქმის დასრულდა კომუნისტური იდეოლოგიის ერთიანობის, ერთიანი ინტერნაციონალური მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ერა. „ნაციონალიზმმა სძლია ინტერნაციონალიზმში“, — გაპყვირთან „კეთილისმოსურნენი“ და აშკარა სიამოვნების ვრძნობით მარქსიზმისაგან გადახრას, მის გაყალბებას მარქსიზმის რაღაც ახალ „ნაციონალურ ფორმად“ ასაღებენ.

უკანასკნელ დროს „მარქსიზმის ახალ ფორმად“, რომელიც თითქოს „უფრო რევოლუციურია, იმერპიალისტური პროპაგანდა მარქსიზმის ჩინურ წერილობრეუზიულ და ნაციონალისტურ რევიზიას ასაღებს. მათ ქედ-ლენის ჯგუფის ხაზისათვის დამხასიათებელია უარისტქმა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე, სოციალიზმის მშენებლობის ძირითად კანონზომიერებებზე. „მემარცხენე“ ფრავოლოგია, რომლითაც ნებდავენ მათ ქედ-ლენის ჯგუფის მევენ მოქმედებას, მიმართულს სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობის წინააღმდეგ, ანტიკომუნისტური პროპაგანდის იდეოლოგებს ზიზღს კი არა ჰვერის, არამედ აღაფრთოვანებს.

ჩინეთის სახელმწიფო პოლიტიკის ეკლექტიკური პლატფორმის ინტერპრეტაციისას იმპერიალისტური პროპაგანდა სოციალისტური ქვეყნების აუდიტორიას მიმართავს თბრობით „რევოლუციური გარდაქმნების“ შესახებ ჩინეთში, ცდილობს გაამართლოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ნებისმიერი საგარეო-პოლიტიკური აქცია, რომელიც კი ეწინააღმდეგება სოციალიზმის ბანაკს და მსოფლიო კომუნისტურ

მომართობას. და იგივე იმპერიალისტური იდეოლოგიები ჩინური ექსტრემიზმით (რომელსაც ყველაზე უფრო ჰემმარიტი სოციალიზმად ასაღებენ) აწინებენ ფართო წვრილბურჟუაზიულ ფენებს საკუთარ ქვეყნებში.

„ბი-ბი-სის, „მიუტერმოგბელი ანალიზი“ ზში-რადაა მიმართული გამოჩენილი საგნისაკენ. საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობათა თე მისაკენ. ეს რადიოსადგური გამუდმებით ლაპარაკობს „რუსების ჩვეულ შიშზე ჩინეთის წინაშე, რომელიც ეს-ეს არის დააცხრება ციმბირს“. ბი-ბი-სი ამართლებს ანტისოვეტიზმს რომელსაც ჩინეთში ნერგავენ მმართველი მალაღი ფენები, და თანაგრძნობით აღნიშნავენ, რომ „ჩინეთისათვის საბჭოთა კავშირი დღეს მართლაც ნომერ პირველ მტერს წარმოადგენს“. რა შეიძლება ვუწოდოთ ამ სიტყვებს, რომელიც აღებულია 1973 წლის 20 თებერვლის რუსულ გადაცემიდან, თუ არა უხეში პროვოკაცია:

ბურჟუაზიული ნაციონალიზმი ემყარება კერძო საკუთრებას—მის პირველმოიზესა და მატერიალურ საფუძველს. „კაპიტალისტები,—ამბობდა ე. ი. ლენინი,—ცდილობენ გაავრცელონ და გადავიდონ მტრობა სხვადასხვა სარწმუნეობის, სხვადასხვა ერის, სხვადასხვა რასის მუშებს შორის... ყველა ქვეყნის მდიდრები ერთმანეთთან კავშირში არიან და აშობენ, ჩაგრავენ მარ-

ცვავენ, თიშავენ მუშებს... სირცხვილი მათ, ვინც ავრცელებს სიძულვილს სხვა ერებისადმი“.¹

ბურჟუაზიული ნაციონალიზმი წარმავალი მოვლენაა. კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობის პირობებში მას არსებობის არავითარი შანსი არ გააჩნია. კომუნისტები იბრძვიან იმისათვის, რომ ყოველმა ერმა მიაღწიოს სოციალურ პროგრესს, მშვიდობას, თავისუფლებას და დემოკრატიას. სწორედ ეს შეადგენს ეროვნული ინტერესებისათვის და პროლეტარული ინტერნაციონალიზმისათვის ბრძოლის ურდვევი ერთიანობის ობიექტურ საფუძველს. ლენინური ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი კომუნისტური და მუშათა პარტიების ერთგულება ამის საწინდარია, რომ ჩაიფლუმება იმპერიალიზმის ზრახვა გადავიდოს ნაციონალიზმი.

სკკ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის პრილის პლენუმმა თავის გადაწყვეტილებაში კვლავ მიაქცია ყურადღება იმის აუცილებლობას, რომ მუდამ ფხიზლად და მზად ვიყოთ საკადრისი პასუხი გავცეთ იმპერიალიზმის აგრესიული რეაქციული წრეების ყოველგვარ ხრიკებს.

¹ ე. ი. ლენინი, თსზ, ტ 29, გვ 228.





— ქადაგებენ მინდულეთსაც
— ცხელადვე ამოვიგონებ
— მითხრობენ უფლებებისა...

საახალგაზრდო სურათები

სოფლიო ვიზაჟი

ახალი სტილით — სოფიკოს,
და ძველი სტილით — სოფირს! —
ძველით ახალ წელს გილოცავ!
შენ შემოგვევლოს მსოფლიო!

როდეს ალბათ ხშირად მიიღებს,
ვინც რეჟისორის ცოლია,
მაგრამ მთავარი როლებში —
ხალხის მსახურის როლია!

საბავშვო ნიჟარები

დაღვეს თუ არა ჩაის —
ჩაის საკრეფად მიდის.
მაგალითია კარგი,
როგორ იქმნება მითი.
აქვს შივანუდაც მეტი
ხელი, და ხელზე — თითი.
შვენიის სოლომონიას
ხელით ნაქსოვი ჩიითი.
ზღაპრული მოსაგლისთვის —
„ცისკრის“ მადლოზაც დიდი!

გურამ ფანჯიკია

1975 წლიდან საქართველოს მეორე
ინდუსტრიულ და კულტურულ ცენტრ-
ში — ქალაქ ქუთაისში გამოსულას
იწყებს ახალი ლიტერატურული აღმშენებ-
კვანთაიდა — საქართველოს მწერალთა
კავშირის ორგანო. მთავარი რედაქტო-
რი — გურამ ფანჯიკია.

ახალთახალი „ჟიგულის“
გადაჭრა ქედი სურამის,
და დასავლეთში ჩავიდა,
აღმოსავლელი გურამი.

მცხეთა, სიღნაღი, რიონი,
ვანი, გვიშტიბი, ოკრიბა —
ყველა ახალი ჟურნალის
გარშემო შემოვიკრება!

თვალი არ გეცეთ ბიჭებო! —
გლოცავთ მე, თქვენი მგოსანი!
და თუ გეცემათ, ჯობს გეცეთ
თქვენც „თვალი ჰატიოსანი!“

გოგი ჯავთარაძე

კინოში ვარ — წინა რიგში,
თუ თეატრში — ქანდარზე —
ეკრანზედაც, სცენაზედაც,
ყველგან — გოგი ჯავთარაძე!

ოცნებაში — ხან შექსპირი,
ხან — პლაგატი და მენანდრე ვარ;
რა ვქნა, შენთვის ყველა როლზე
კარგი როლი მენატრება!

ვახტანგ ჯაფარიძე

ვახტანგ მეექვსე მეც ვიცი!
მაგრამ ვინ იყო მეშვიდე?
ვახტანგ მეშვიდე შენა ხარ
და შენი წიგნი: „მეშვიდე!“

ძვირფასო ვ. ჯაფარიძე,
მოკლედ, გილოცავ ახალ წელს!

ამირხალი

ცეზარ ხაზარაძეს.

სიტყვა და საქმე ცეზარის -
ნეტავი შემამკობინა:
მსურს ახალმოსახლეობა
მეც მიველოცო კომბინატს.

შორს ხართ: მანძილი დიდმამდე —
ცხრა მილიონი ციცერო!
მანინც თქვენთან ვართ! ლექსები
მხოლოდ თქვენ უნდა გიწერთ.

ქვეყანა ცუდი წიგნებით
რომ აღარ დანაგვიანდეს,
ჯერ — კარგი წიგნი დაბეჭდეთ!
ცუდს — რა ვქნათ, დააგვიანდეს!

ღავით წარედინი

ქართველების ერედიას —
გაუმარჯოს წერედინს!
შენს ვითონს ვენაცვალე! —
პოეტს ფრანგულ ბერეტინს!

მოგილოცავ ახალ წელს და
ფიქრისათვის გაძღვევ ერთ წელს:
„ანდერძივით“ ნაღდი რამე —
საკუთარიც გვიანდერძე!

ენო ღრონოვა

დრო ხომ გადის! წლები გადის!
გავა დრო და დრო მოვა:
ჩემპიონის ოქროს მედალს:
ჩამოგვიტანს დროსოვა!

სამაია

აი, ჩვენი სამაია:
ნონა!
ნანა!
და მაია!

თავაზ ვიწვივაძე

მეგობრებო! წიფვივაძით
ნუ შედრება თქვენი გული!
დე, მკერდს შრომის დალი აჩნდეს
და პირველ წიგნს — „ნაკადული“!

ვანო ჩხიკვაძე

შარშანს აქეთ გაიზარდე,
წელშიც გამოიკვანწე,
„ნიჭიერი“, „საიმედო“,
ანუ ვანუ ჩხიკვაძე!

არ იქნება, საახალწლოდ
რამე არ დაგელოთ!
პოდა, ნახე: მზიას ლექსი
შენში არ აგერიოს!

პოეტი მზია ხეთაგური, ვ. ჩხიკვაძე

მორის ფოცხივაძე

მე რა ვთქვა, როცა შენ თვითონ
წვერი ხარ იუ-მორის!
სიციცხლე შენს წიგნს! აჰა შენ,
ეს ყანწი ნია-მორის!

თუ ღვინო არ სვი, და დღესაც
არ დაყოლე „ფრი“ —
ვერ აფრინდები ვერაფრით!
აფრინდები და —
ფრი!

დალილა ბაღინია

კარგად წერ! თანაც, რასაც წერ,
თვითონ წერ, სხვისგან არ იწერ!
სახელს და გვარსაც კარგს აწერ:
„დალილა ბეღინიძე“.

დალიე და დადგი თასი,
სულ დალილა, დალილა!

სოსო სიგუა

სულ ციტატა, ციტატა —
კაფკა-ჯოის-მოემი!
ლირიკული მკვლევარო
ლირიკული პოემის!

მუდამ დარჩენილიყო,
დღეს რომ გიცნობთ, ისეთად!
კალანდობას გილოცავთ
ძმას, მწერალს და დისერტანტს!

ვლადიმერ სიხარულიძე

„შორეული ქალის ეშხი
მოვა, მაგრამ როდის!“
რომანს ალბათ შენც მოიტან,
ვოვა, მაგრამ როდის!

ჯანსუღ ღვინჯილია

კრიტიკაც, ძმავო, თმია:
ხან — წინა ხაზი! ხან — ზურგი!
მიყვარს კრიტიკა — ჯანსაღი!
და კრიტიკოსი — ჯანსუღი!
— ან ეს სულგუნე გასინჯე,
ან ეს პიესა, ან სუკი!
... დაწერე, ჯანსუღ! დაბეჭდვით
დაბეჭდავს ჩვენი ჯანსუღი!

გიორგი ბაჟანიძე

შენ გენაცვალე პწკარედში,
ჭირიმე შენი, თარგმანო,
თუ ჯიბე გახვრეტილია,
შენ შეგიძლია დაგმანო!

მაგრამ ნურავინ ზეიმობს,
თითქო საკუთარს აღარ ვწერ:
ცხრა მეთედი რომანით
ვხვდები, ძამიკო, ახალ წელს!

გენია ხარანაულს

ხარანაულს საახალწლოდ
სახუმარო ლექსი ვკადრე!
ყველა ლექსი გავიხსენე —
ბესიკიდან — ბესიკამდე!

მართალი ხარ: სულ ერთია
ფრანგული და თიანური,

ოღონდ იყოს ნაღდი ლექსი —
ლამაზი და ჭკვიანური!

თამაზ ჩხენკელი, ზურაბ აიანაძე

ხან — იქითური! ხან — აქეთური!
ხან — შუმერული! ხან — აქადური!
მაგრამ მე უფრო მიყვარს ქართული,
ოდისეისის და თქვენი ქართული!

სიტყვა ლამაზი, საქმე ლამაზი
ხან — ბო ძი უის, ხანაც — რამანი!
ზურაბ კიკნაძე — თავის „თამუზით!“
„მაჰაბჰარატა!“ — თავის თამაზით!

ამირან ბორჯაძე

რაც თქვი, სულ საქმედ აქციე. არადა, რაც თქვი, კარგად თქვი!
შენი წყალობით ჩაიშიც დამთავრდა მატრიარქატი!
გავთოხნოთ! გავაკრიალოთ! მოვსპოთ ჯაგი და ჯირკები!
ჯერ ჩაი ვკრიფოთ, მერე კი დავერტყათ ჩაის-ჭიქები!

როდამ (რულ) ჩაჩანიძე

— საახალწლოდ, მითხარი, რას პირდები, რულ, ერს?
— თუ გამიშვეს, გავყვები კიდევ ერთხელ ტრაულერს!
ამით ალბათ ყველანი კმაყოფილი ვიქნებით:
მე — ახალი თევზით და თქვენ — ახალი წიგნებით!

ლაპარაკობს თოვლის პაპა

ხ ვ ე ლ ა ს

ქართველებო! უფროსიდან
ბრძანებაა საახალწლოდ:
„არ ვიცი მე! ასი წელი,
გვეალებათ ყველამ გაძლოთ!
სამი შვილი — სიძედ მიწდა!
სამი გოგო — საპატარძლოდ!
თან იცოდეთ: არ მივიღებ
არც მექრთამეს!
არც ქურდს!
არც ლოსს!

აღარ მომწონს ძველი სუფრა
თავის ყანწით, თავის რქებით
უსარგებლო ლაილაით,
ტრაბახით და თავის ქებით!
ჩვენებური მითქმა-მოთქმით!
სხვისი ლუდით,
და „ვისკებით“,
ბოლოს კიდევ — მუშტი-კრივით:
თავის კეტით, თავის ქებით!

„შიგულების“ პატრონებო,
ნუ დამკოდავთ შიგ გულში:
თუ „შიგულის“ ლუდი გისვამთ,
ნულა ჯდებით „შიგულში“,
ნურც ნასვამი დაჯირითობთ,
და ნურც ნაბახურევზე:
მკვდარს ცოცხალი მიჩვენებია,
თუნდაც იჯდეს ურემზე!..

უნდა თავი დავანებოთ
ქურდობას და ტაცობას!
ქელეხებს და სახლის ხურვას,
დისერ-დესერტაციობას!
ჩაი კრიფეთ! ვაზი სხალით!
ისწავლეთ და ოფლი დგარეთ!
და, რომ მოვკვდე გაის აშ დროს —
ყვავილები დამაყარეთ!“
ნაძვის ხეზე ჩამოკიდეთ
ახალი წლის ეს ბრძანება!
მისი შეუსრულებლობა
უფროსებსაც ვერძალდება!

კვლევა

აზსტრია

„რომბარტ მუზიკლის საზოგადოება“

ვენაში საფუძველი ჩაეყარა XX საუკუნის ავსტრიის უდიდესი მწერლის „რომბარტ მუზიკლის საზოგადოებას“.

საზოგადოების მოვალეობას შეადგენს დაიცვას და შეისწავლოს მუზიკლის ლიტერატურული მემკვიდრეობა, მოამზადოს მისი ნაწარმოებები გამოსაცემად, პირველ რიგში კი მისი დაუმთავრებელი რომანი.

გღრ

გამომცემლობის იუზილია

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთ უდიდეს გამომცემლობა „კინდერბუხ-გერლაფ“-ს შეუსრულდა 25 წელი. მეოთხედი საუკუნის მანძილზე მან გამოუშვა 125 მილიონი წიგნი.

გამომცემლობა დიდ ყურადღებას უთმობს საბჭოთა მწერლების წიგნებს. აქ გამოქვეყნდა გაიდარის, მარშაკის, მიხალკოვის, პანტელევიცის, ნოსოვის, კასილის ნაწარმოებები.

საკრძობლად იზრდება თანამედროვე მწერლების რიცხვი, რომლებიც დღეს წერენ ბავშვებისათვის. ესენია ბენო პლუადრა, გიუნტერ გერლიხი, კურტ დვილი და უვე კანტი.

„საბავშვო ლიტერატურის განვითარების პრობლემა ესთეტიურ-იდეოლოგიური პრობლემაა, — წერს გამომცემლობის მთავარი რედაქტორი ფრედ როდრიანი, — ჩვენ ვალდებული ვართ კარგად ვიცნობდეთ ბავშვების ცხოვრებას, მათ ფსიქოლოგიას, სინარულს, მწუხარებას, შეგვეძლოს სწორად ავსახოთ იგი ჩვენს ლიტერატურაში. მე ვფიქრობ, რომ გამომცემლობის მთავარი ამოცანაა დახმარება ამ პრობლემის გადაწყვეტაში“.

გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ აღნიშნავს დიდ როლს კონფერენციების, რომელსაც აწყობს გამომცემლობა „კინდერბუხ-ფერლაფი“. კონფერენციებზე, რომელიც სხვადასხვა ქალაქებში ტარდება, იკრიბებიან მწერლები, კრიტიკოსები, მეცნიერ-მუშაკები. ისინი განიხილავენ ფანტასტიკური და საბავშვო ლიტერატურის საკითხებს.

გვრ

თეატრი ემიგრაციაში

როგორც პრესა აღნიშნავს, მიუნხენში — თეატრალური მუზეუმის შენობაში გაიხსნა გამოფენა „თეატრი ემიგრაციაში“ 1938-1943 წლებში“.

პირველ რიგში მნახველთა ყურადღება მიიპყრო მსახიობების, რეჟისორების, დრამატურ-

გების და თეატრალური ხელოვნების სხვა მოღვაწეთა ბედმა, რომლებიც იმუშავეს იუვენენ ნაცისტური რეჟიმის დროს დეტოვებინათ თავიანთი სამშობლო.

მიმოხილვისათვის გამოფენილია დოკუმენტები, ფოტოგრაფიები, პროგრამები, აფიშები, მკეტიები, დეკორაციები და სხვა მასალები. გამოფენის ექსპონატები გამოსახვენ გერმანიის თეატრის ისტორიის იმ პერიოდს, როცა იგი იმყოფებოდა ემიგრაციაში.

გამოფენაზე გერმანული სცენის უდიდესი წარმომადგენლების გვერდით — როგორცაა ბერთოლდ ბრეხტი, ერვინ პისკატორი, ფრიტ კორტნერი, წარმოდგენილია აგრეთვე ავსტრიის თეატრის წარმომადგენლები — მაქს რეინვარდი, ფონ ნორვატი და სხვები.

კუბა

მწერლის იუზილია

გამოჩენილ კუბელ მწერალს ონელიო ხორხე კარდოსოს 80 წლისთავი მიულოცა „გასეტა დე კუბა“-მ. საბჭოთა მკითხველებისათვის იგი ცნობილია მოთხრობების კრებულით „მარჩის ცხენი“.

მისი მოთხრობების გმირებმა — გლეხებმა მეტეველები. მათ ცხოვრებას მწერალი ვამოგვეცემს მიწვიდველად.



მარკო

თეატრალური ფესტივალი

ბოლო წლებში მარკოს თეატრალურმა ხელოვნებამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია.

მარკოს თეატრი ცნობილია როგორც არაბეთის ქვეყნებში, ასევე ევროპაში.

მარკოში რეგულარულად მიმდინარეობს პროფესიონალური და თეატრის მოყვარულთა ფესტივალი. ახლახან აქ გაიმართა თეატრის მოყვარულთა XV ეროვნული ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქვეყნის სხვადასხვა რაიონების თვითმკვლევმა კოლექტივებმა.

კულტურული ცხოვრების დიდ მოვლენად ით-

ვლება თანამედროვე არაბეთის თეატრის ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ათობით არაბული ქვეყნების კოლექტივებმა.

კოლონეთი

ბოი-ჟელენსკის 100 წლისთავი

გასული წლის 21 დეკემბერს შესრულდა 100 წელი თავდგუშ ბოი-ჟელენსკის დაბადებიდან, რომელიც გერმანელმა დამპყრობლებმა დახვრიტეს ლვოვში 1941 წლის ივლისში.

ბოი-ჟელენსკის დარჩა დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა. ის იყო მწერალი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი, ლიტერატურათმცოდნე და

მთარგმნელი. პოლონეთის კულტურის განსაკუთრებულ მნიშვნელოვან საგანძურად ითვლება „საბრძოლო ბიბლიოთეკა“, რომელიც მოიცავს 100 ტომს. მასში შედის საფრანგეთის კლასიკოსების — რაბლეს, ვიონის, მონტენის, მოლიერის, მონტესკიეს, რუსოს, დიდროს, პომარსეს, სტენდალის, მერიმეს, ბალზაკის, პრუსტის და სხვათა თარგმნილი ნაწარმოებები.

ბოი-ჟელენსკი იყო ლვოვის უნივერსიტეტის პროფესორი, როცა ქალაქში შევიდნენ გერმანელი დამპყრობლები.

კოლონეთის ლიტერატურულმა საზოგადოებამ ფართოდ აღნიშნა მწერლისა და სწავლულის თავდგუშ ბოი-ჟელენსკის დაბადებიდან 100 წლისთავი.

ტექნიკური ხელმძღვანელი ნ. ციციშვილი.

კრიტიკისა და პუბლიცისტის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენარის პრ. № 91.

ტელეფონები: რედაქციის — 95-08-75. პ. მ. მდივნის — 95-08-85. განყოფილებების: პოეზიის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85, პროზის, ნარკვევისა და კულტურის — 95-08-86.

გადაეცა ასაწუბად 22/XI-74 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/1-75 წ., ქალაქის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-სავ თაბახი 14,5. შეეკეთა № 4218. უე 01713. ტირაჟი 30.050.

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



6 31/2

3260 60 333.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236